სრულიად საქართველოს მიხეილ თამარაშვილის საქ[illegible]
საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოება

მურმან პაპაშვილი

საქართველო - რომის ურთიერთობა VI-XX სს.

წიგნი ეძღვნება დიდი ქართველი მამულიშვილის, საზოგადო [illegible]
ვაწისა და მეცნიერის მიხეილ თამარაშვილის ნათელ ხსოვნას

გამომცემლობა „ალმაშენებელი"
თბილისი — 1995

წინამდებარე მეცნიერულ-პოპულარულ წიგნში დიდძალი პირველწყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე გაანუკეთებულია საქართველოს ურთიერთობა პაპობასთან VI—XX საუკუნეებში; განხილულია და გაანალიზებული საქართველოში სხვადასხვა ორდენის კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა რელიგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელზე XIII—XVIII საუკუნეებში; ავტორი მიმზიდველი ფორმით მოგვითხრობს ქართველ კათოლიკეთა პროგრესული როლის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: აკადემიკოსი ილია ტაბაღუა

რეცენზენტები:
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი დ. გოგოლაძე
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ჯ. სტეფნაძე
ისტ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი ვ. ჩოჩია

გადაეცა წარმოებას 20/IX-95 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.12.95 წ. სააღრ-საგამომც. თაბახი 23. ტირაჟი 3.500. შეკვ. № 380.

ფასი სახელშეკრულებო

სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი". ქრ. რობაქიძის 7.

შესავალი

მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის შემოთავაზებულ წინამდებარე მეცნიერულ — პოპულარულ ნაშრომში გაშუქებულია საქართველო-რომის, კერძოდ, ვატიკანთან სარწმუნოებრივი, დიპლომატიურ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის საკითხები. ამ პრობლემის განხილვა შეუძლებელია საქართველოში კათოლიკე მისიონერების მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგების გაანალიზების გარეშე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხების განხილვისას ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის კათოლიკობის გავრცელების ისტორიას საქართველოში.

ამდენად, წინამდებარე წიგნში, ერთის მხრივ, დიდი ადგილი ეთმობა ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ორდენის (ფრანცისკანელთა, დომინიკანელთა, იეზუიტთა, თეატინელთა, კაპუჩინელთა) მისიონერთა და, მეორეს მხრივ, ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის შესწავლას.

საქართველოს დასავლეთ ევროპის არცერთ ქვეყანასთან არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორია, როგორც ვატიკანთან. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რომიდან, როგორც პოლიტიკური და ქრისტიანული სამყაროს სასულიერო ცენტრიდან, ქართველები მოელოდნენ ქრისტიანთა ხსნასა და მფარველობას მაჰმადიანური ქვეყნების აგრესიისაგან. ამიტომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველ მეფე-მთავართა საუკუნეობრივი მისწრაფება იყო დაკავშირებოდნენ რომის პაპებს და მათი მეშვეობით სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობა დაემყარებინათ ევროპის რომელიმე სახელმწიფოსთან, რათა ქრისტიან მესვეურთაგან მიეღოთ დახმარება ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ.

მართალია, ასეთი დაახლოება ყველა შემთხვევაში უშედეგო გეგმებსა და დაპირებებს არ გასცილებია, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის მრავალი სასარგებლო ნაყოფი მოუტანია: პირველ ყოვლისა ის, რომ სარწმუნოებრივ-კულტურული კავშირი ვატიკანთან მომავლის იმედს

უსახავდა განსაცდელში მყოფ საქართველოს, რომელიც იმთავითვე მკაცრად ემიჯნებოდა მაჰმადიანურ სამყაროს, რომლის შუაგულშიც იყო მოქცეული და არასოდეს არ ცდილა რაიმე სახის modus vivendi გამოენახა მათთან თანამშრომლობისა სახელმწიფოებრივი სისტემის შესაცვლელად ან საკუთარი წეს-ჩვეულების მოსაშლელად. ქართველებისათვის ევროპული ცივილიზაცია უფრო ბუნებრივი, მშობლიური და სავსებით მისაღები იყო, ვიდრე მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების ცხოვრების წესი. შეიძლება ამითაც აიხსნას ქართველთა გამძლეობის ესოდენ დიდი მაჩვენებლები, რომ ვერც ერთმა მაჰმადიანმა დამპყრობელმა ვერ შეძლო აღეგავა პირისაგან მიწისა ან გაეთქვიფა აზიის ხალხთა ოკეანეში ჩვენი ხალხის მოდგმა. ამიტომ იყო, რომ ევროპული ცივილიზაციის მატარებელ მისიონერებს საქართველოში მოღვაწეობის საუკეთესო პირობები ექმნებოდათ.

საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა, რომელიც ამჟამად ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით სათავეს VI საუკუნიდან იღებს და (ხანდახან ეს კავშირები ხანგრძლივად შეწყვეტილიც იყო) დღემდე გრძელდება, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიაში. ამიტომ მის მიმართ მეცნიერ-მკვლევართა ყურადღება ყოველთვის დიდი იქნება. როგორც დასაწყისში აღინიშნა, საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა მრავალ მხარეს მოიცავს. მათგან ამ ნაშრომში ყველაზე მეტი ყურადღება გადატანილია საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობაზე პოლიტიკურ, რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელზე.

საქართველოში კათოლიკობის ისტორია ხელუხლებელი და დაუმუშავებელი დარგი როდია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დიდი მამულიშვილი, ცნობილი მოღვაწე და ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი, რომელმაც ორი ფუნდამენტური ნაშრომი უძღვნა აღნიშნულ პრობლემას: 1. „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტუილისი, 1902"; 2. „L' Eglise géorgienne des origines jusgu'à nos jurs, Rome, 1910". ამ ნაშრომებში საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა ძირითადად გამოკვლეულია საეკლესიო ისტორიის თვალსაზრისით.

მიხეილ თამარაშვილის შემდეგ, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, საქართველოში კათოლიკობის ისტორიის შესწავლა წინ წავიდა. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **მ. თარხნიშვილის, ი. ტაბაღუას, ბ. გიორგაძის, შ. ლომსაძის, მ. ტაბაღუას, კ. ალონსოს, პ. ლიჩინის** და სხვათა ნაშრომები. რამდენადაც წინამდებარე წინასიტყვაობის ფარგლებში ჩვენ არ დაგვისახია მიზნად საკითხის გარშემო არსებული ნაშრომების, საარქივო მასალებისა და სხვადასხვა სახის პირველწყაროების ანალიზი, (მათ თავისთავად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ), მოკლედ აღვნიშნავთ: საქართველო-ვატიკანს შორის რელიგიური, პოლიტიკური, დიპლომატიური და კულტურული ურთიერთობის საკითხების შესასწავლად დღეს არსებობს დიდი მეცნიერული ღირებულებების მქონე ნაშრომები და პირველწყაროები.

აქვე სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მ. თამარაშვილის შემდეგ ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში მრავალი ახალი მასალისა და დოკუმენტების გამოვლენის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს, როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მეცნიერებმა. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **ი. ტაბაღუა, ჯ. ვათეიშვილი, ე. ხინთიბიძე, ლ. ტარდი, ლუის ხილი ფერნანდესი** და სხვები[1]. ამ ავტორთაგან ი. ტაბაღუამ მის მიერ აღმოჩენილი მასალების ერთი ნაწილი გამოაქვეყნა სამ ტომად, ხოლო დანარჩენი ნაწილი გამოცემას ელის. საქართველო-ევროპისა და საქართველო-ვატიკანის ურთიერთობის საკითხების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ილია ტაბაღუასა და ესპანელი მეცნიერის ლუი ხილი ფერნანდესის მიერ მადრიდში 1993 წელს გამოცემული დოკუმენტების კრებულს: „ლუის ხილი ფერნანდესი, ილია მ. ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV–XVII სს.), მადრიდი, 1993“.

---

[1] წინამდებარე ნაშრომი უკვე გადაცემული იყო საქართველოში წმიდა საკრის საღვთისმეტყველო ადმინისტრაციას, როდესაც ხელთ ჩაგვივარდა პროფ. გიორ ეორდანიასა და ზურაბ გამეზარდაშვილის მიერ გამოცემული წიგნი: „Римско-католическая миссия и Грузия, часть I, Тбилиси, 1994“. ნაშრომი უმთავრესად წარმოადგენს დოკუმენტების პუბლიკაციას. ისინი ეხებიან XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის 20—30-იანი წლების საქართველოს ურთიერთობას ოსმალურ-კათოლიკურ სამყაროსთან. საბედნიეროდ, ჩვენს წიგნში ვერ შევძელით ამ მეტად საინტერესო ნაშრომის გამოყენება.

დღეისათვის ხელმისაწვდომი სპეციალური ლიტერატურისა და მასალების[1] საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გაგვეკეთებინა უფრო ზოგადი ხასიათის დასკვნები და გვეჩვენებინა ზოგიერთი ისტორიული პერსპექტივა, ურომლისოდაც ვერ გაირკვევა ვატიკანთან მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული პოლიტიკური თუ სხვა სახის ურთიერთობა.

ამდენად, ჩვენს წინაშე დაისახა ამოცანა, გაგვერკვია რომის პაპებთან და დასავლეთის პოლიტიკურ მესვეურებთან ქართველ მეფე-მთავართა ურთიერთობის საფუძვლები და დაგვედგინა, რომ ამ საფუძვლებს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური სარჩული ედო. საჭირო გახდა გვეჩვენებინა, რომ საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა იყო ქართველ მეფე-მთავართა დასავლური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება XIII-XVIII საუკუნეებში. იგი დაიწყო რომში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის ძიების მცდელობით აგრესორი მაჰმადიანების წინააღმდეგ და დამთავრდა საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის გაშლით. ამასთან კავშირში აუცილებელი გახდა გაგვეშუქებინა პაპიბის პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მიმართ, კათოლიკობის შემოსვლისა და გავრცელების გზები, საქართველოს მისიის ამა თუ იმ ორდენისათვის ჩაბარების მიზეზები, მისიონერების დამსახურება ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო აღორძინების საქმეში, მათი პროპაგანდის მეთოდები, წარმატების ან დევნის მიზეზები, მათი მუშაობის შედეგები და როლი ქართველების მიერ ქრისტიანობის შენარჩუნების საქმეში.

საბჭოთა პერიოდში, აზრისა და წარმოდგენების შეზღუდული თავისუფლების პირობებში აღნიშნული საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში ვერ პოულობდა ობიექტურ გაშუქებას, რადგან მკვლევარები იძულებულნი იყვნენ, მისიონერებში დაენახათ დასავლეთის სახელმწიფოს აგენტები და კათოლიკობაში რეაქციული ძალა. ბუნებრივია, ასეთი შეხედულება წარმართავდა აღნიშნული სახის გამოკვლევებს. ჩვენ შევეცადეთ საქართველოში კათოლიკობის ისტორია წარმოგვეჩინა ყოველგვარი წინასწარაკვიატებულობისა და იდეოლოგიის გარეშე და განგვეხილა იგი საქართველოს დასავლური პო-

---

[1] წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული საარქიო მასალები და ზოგიერთი ძნელად მისაწვდომი უცხოური ლიტერატურა ჩვენ მოგვაწოდა პროფ. ილია ტაბაღუამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ლიტიკის დიპლომატიური, ეკონომიკური და კულტურული ამოცანების ჭრილში. ასევე გვეჩვენებინა ქართველ კათოლიკეთა პროგრესული როლი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ახალი აზროვნების დამკვიდრების შედეგად დღეს, როცა არსებითად შეიცვალა მდგომარეობა, დიდი ყურადღება ექცევა რელიგიის ისტორიის შესწავლას. ეს გასაგებიცაა, რადგან სარწმუნოება, რელიგიური ცნობიერება, ჩვენი ისტორიის ყველა ეტაპზე წარმოადგენდა ხალხის ყოფის, რეალური ცხოვრების არსებით ნაწილს. აქედან გამომდინარე ქართველ კათოლიკეთა ისტორიის კვლევა, ისევე როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიისა, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ისტორიის სრულყოფილ გაშუქებას.

როგორც ყოველ მეცნიერულ ამოცანას, ამ წიგნსაც ჰქონდა თავისი სირთულეები. ნაშრომს არა აქვს პრეტენზია მასში დასმული ყველა პრობლემის ამომწურავი გაშუქებისა. ავტორი მკითხველთა სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებს გულწრფელად და დიდი მადლიერების გრძნობით მიიღებს.

დაბოლოს, ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი უღრმესი მადლობა მოვახსენო სრულიად საქართველოს მიხეილ თამარაშვილის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტს ბატონ **სერგო ფეიქრიშვილს** და საქართველოში წმიდა საყდრის დესპანს **ჟან პოლ გობელს** ამ წიგნის მომზადებისა და გამოცემის საქმეში გაწეული დახმარებისათვის. დიდ მადლობას მოვახსენებ აგრეთვე ამ საზოგადოების გამგეობის წევრებს წიგნის გამოსაცემად გაწეული ხელშეწყობისათვის.

თავი I. საქართველო – რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობა ეკლესიათა გათიშვამდე

§ 1. რომის პაპი – კათოლიკური ეკლესიის მეთაური

იტალიური ტერმინი „Papa“ მომდინარეობს ლათინური „Papa“-საგან, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ბერძნული სიტყვა „Papas“ ლათინიზირებულ ვარიანტს და ნიშნავს „მამას“. ადრე-ქრისტიანულ პერიოდში მორწმუნეები ასე უწოდებდნენ თავიანთ სასულიერო ხელმძღვანელებს, ბერმონაზვნებს, მღვდლებს, ეპისკოპოსებს. ნიშანდობლივია, რომ დღესაც სამეგრელოში „მღვდელს“ უწოდებენ „პაპას“. II–III საუკუნეთა მიჯნაზე აღმოსავლეთის ქრისტიანებში „პაპის“ ტიტულს ანიჭებდნენ ალექსანდრიის ეკლესიის პატრიარქს. დასავლეთში კი ამ ტიტულს ატარებდნენ კართაგენისა და რომის ეპისკოპოსები.

რომის ეპისკოპოსთა სახელების გვერდით პირველად „პაპის“ ტიტულის აღმნიშვნელი წარწერა ჩნდება წმ. კალიქსტეს რომის კატაკომბის კედელზე, რომელსაც ათარიღებენ III საუკუნის დასასრულით. ეს შესაძლებელია აიხსნას იმ მისწრაფებით, რომ ამნაირად ცდილობდნენ, გამოერჩიათ რომის ქრისტიანული თემის კანონიერი ხელმძღვანელები „ერეტიკოსი“ ეპისკოპოსებისაგან. IV საუკუნის ბოლოდან საეკლესიო დოკუმენტებში სახელწოდება „პაპა“ მხოლოდ და მხოლოდ იხმარებოდა რომის ეპისკოპოსის, დასავლეთის პატრიარქისა და მსოფლიო ეკლესიის ტიტულის აღსანიშნავად.

1073 წელს რომის სინოდზე, გრიგოლ VII (1073–1085) გადაწყვეტილებით, „პაპის“ ტიტულის ტარების უფლება მარტო რომის ეპისკოპოსს მისცეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკურ საეკლესიო სამართალში მიღებული ოფიციალური ნომენკლატურა დღემდე არ ხმარობს სიტყვა „პაპს“. მას ცვლის გამოთქმა Romanus Pontifex[1] (რომის პონტიფექსი – ანუ რომის ქურუმი ან უზენაესი ქურუმი). ეს ფრაზა ნასესხებია ძველრომაული წარმართული ტერმინოლოგიიდან.

ცნობილია, რომ პონტიფექსთა კოლეგია უზენაესი ქურუმის (Summus Pontifex) მეთაურობით პასუხს აგებდა ოფიციალური სახელმწიფო კულტის ორგანიზაციაზე. საეკლესიო ენაზე გამოთქმა Romanus Pontifex გამოხატავს პაპის ორ მთავარ ფუნქციას: ერთი, რომ იგი არის რომის ეპისკოპოსი და მეორე, ერთდროულად არის პონტიფექსიც, ე. ი. სრულიად კათოლიკური ეკლესიის ქურუმი ანუ მეთაური. ეს საკითხი მოითხოვს თუნდაც მცირეოდენ განმარტებას.

თანამედროვე კათოლიკური დოქტრინის მიხედვით, რომის ეპისკოპოსმა მემკვიდრეობით მიიღო ძალაუფლების ყველა ის ატრიბუტი, რომელიც ჰქონდა მოციქულ პეტრეს. ეს უკანასკნელი კი სათავეში ედგა თორმეტ მოციქულთა კოლეგიას — ქრისტეს მიერ დაარსებული საეკლესიო ინსტიტუტის ყველაზე მაღალ ინსტანციას. ამგვარად, პეტრე მოციქული იყო ეკლესიის მეთაური. ამიტომ მისი კანონიერი მემკვიდრეები ფლობენ ძალაუფლებას სრულიად კათოლიკურ სამყაროსა და მის იერარქიაზე. სამოციქულო მემკვიდრეობის ეს თეზისი პირველად გაჩნდა II—III საუკუნის მიჯნაზე ქრისტიან იდეოლოგთა ნაშრომებში. შან ხანგრძლივი ევოლუციის შემდეგ საბოლოო გამოსახვა ჰპოვა 1870 წელს ვატიკანის პირველ კრებაზე მიღებულ დოგმატში პაპის უზენაესობის შესახებ. სამოციქულო მემკვიდრეობის ეს თეზისი ემყარება ორ წანამძღვარს, პირველი, კოლეგიალურ ძალაუფლებას, რომელიც ხორციელდებოდა თორმეტ მოციქულთა მიერ და ემორჩილებოდა პეტრეს; მეორე, პეტრე იყო რომის ეპისკოპოსი, რომელმაც ძალაუფლება გადასცა თავის მემკვიდრეებს. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ საკითხის თეოლოგიურ წვრილმანებსა და სისწორეში გარკვევა, ამიტომ აქ მეტს აღარ შეეჩერდებით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მკითხველებისათვის საინტერესოდ მივიჩნევთ, მოკლედ შევეხოთ იმ წყაროებს, რომლებიც გადმოგვცემენ თავდაპირველი ქრისტიანული პერიოდის პაპობის ისტორიას. ეს წყაროები ძალზე ძუნწ ცნობებს იძლევა და ამდენად, ნაკლებად სანდოა ის. ყველაზე ადრეული სია პირველი პაპებისა შედგენილია დაახლოებით 180 წელს ბერძენ ეპისკოპოს ლეონ ირინეუსის მიერ. იგი ითვლება „სამოციქულო მემკვიდრეობის" თეზისის პირველ პროპაგანდისტად. მან შეადგინა რომის ეპისკოპოსთა სახელობითი სია, რომელიც მოწოდებული იყო დაემტკიცებინა, „სამოციქულო მემკვიდრეობის" ტრადიცია დაწყებული მოციქული პეტრედან მისი თანამედროვე რომის ეპისკოპოს ვიქტორ I-ის (189—199?) დრომდე.

ბუნებრივია, ეს ტრადიცია სრულიად ქრისტიანებში განამტკიცებდა ეპისკოპოსთა ავტორიტეტს, რადგან იგი ასაბუთებდა, რომ ადგილობრივ ეკლესიათა ხელმძღვანელებმა ძალაუფლება მიიღეს პირველი მოციქულების — ქრისტეს მოწაფეების ხელიდან. მეორე სია, რომელშიც შეტანილია რამოდენიმე პაპის სახელი, იმავე პერიოდში შეადგინა წარმოშობით მცირეაზიელმა ქრისტიანმა მწერალმა ჰეგეზიპმა (გარდ. დაახლოებით 190 წელს)[2].

აღნიშნული სიების კვალდაკვალ გაჩნდა უფრო ვრცელი რეესტრები და პაპთა ბიოგრაფიები. ასეთია მაგალითად პაპი ლიბერიას (352—366) რომის ეპისკოპოსთა რეესტრი[3] და VII საუკუნის „რომის პონტიფიკატთა წიგნი" („Liber Pontificalis"). ესენი საფუძვლად დაედო შუა საუკუნეებში შექმნილ პაპთა ქრონიკებს, რომელთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობდა გნეზნენის არქიეპისკოპოსის მარტინ პოლიაკის (გარდ. 1279 წ.) თხზულება — „პაპთა და იმპერატორთა ქრონიკა".

პაპთა დოკუმენტების (აქტების) პირველი დაწვრილებითი სია შეადგინეს პაპ ინოკენტი III-ის (1198—1216) ბრძანებით. ეს სია შემდგომ წლებში სისტემატურად ივსებოდა და დიდი მზრუნველობით ინახებოდა პაპის საიდუმლო არქივში. თუმცა პაპ ლეონ XIII-ის (1878—1903) განკარგულებით ამ დოკუმენტების ნაწილის გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ ზოგიერთ მეცნიერებს.

დიდ სირთულეს ქმნის პაპთა პონტიფიკატობის ანუ მმართველობის ქრონოლოგია. ყველაზე ადრეულ, უდავოდ დადგენილ თარიღად ითვლება 235 წლის 28 სექტემბერი, როდესაც მარტვილმა პაპმა პონტიანმა (230—235) უარი თქვა რომის ეპისკოპოსობაზე. მეცნიერები დიდი ეჭვით ეკიდებიან სხვადასხვა სიებში აღნიშნული 17 პაპის მმართველობის თარიღებს. ასევე საეჭვოდ მიაჩნიათ ჩამოთვლილ პაპთა სახელებიც. არც გვიანდელ პაპთა პონტიფიკატობის ქრონოლოგიის საკითხიც გამოიყურება უკეთესად. ეს იმის შედეგია, რომ შუა საუკუნეების ქრონიკებში არ სარგებლობდნენ დათარიღების ერთიანი სისტემით.

ამის შემდეგ ვსვამთ კითხვას: რამდენი პაპი იყო სულ? ამ კითხვაზე ისტორიკოსთა, მათ შორის კათოლიკე ისტორიკოსთა, შორისაც არ არის ერთიანი აზრი. კათოლიკობის ცნობილი ისტორიკოსი იან ევრუშ კოვალსკი ვატიკანის წელიწდეულის „Annuario Pontificio"-ის მიხედვით დღევანდელ პაპ იოანე პავლე II-მდე თვლის, რომ სულ

იყო რომის 261 კანონიერი ეპისკოპოსი.[4] „რომის სხვა დანარჩენ ეპისკოპოსთა სახელები შეტანილია ანტიპაპთა კატეგორიაში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ მოწმობს იმას, რომ ზოგიერთი კონტრკანდიდატის არჩევა პაპის ტახტზე გაუქმებულია“[5].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობთ, საინტერესო იქნება განვიხილოთ რომის ეპისკოპოსთა არჩევის წესი. მისი სკრუპულოზური დახასიათება საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ პაპობის პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეობის მრავალი ასპექტი. ამის შესახებ ბევრი რამაა დაწერილი. გარკვეული მოსაზრების გამო ჩვენ მასზე ვრცლად არ შევჩერდებით. მხოლოდ შეეცდებით, სათქმელი მოკლედ გადმოგცეთ.

რომის პირველ ეპისკოპოსებს, როგორც ქრისტიანული ეპარქიის მეთაურებს, ირჩევდა ხალხი და სამღვდელოება. ამის შემდეგ არჩეული ეკურთხებოდა ეპისკოპოსად. უკვე V საუკუნეში დაიწყო რომის ეპისკოპოსის არჩევნების მსვლელობაში საერო პირების ზემოქმედების გამორიცხვის პროცესი. იგი მხოლოდ სამღვდელოების პრეროგატივა გახდა. პაპობის ისტორიაში პირველად 499 წელს რომში იტალიის ეპისკოპოსთა სინოდმა მიიღო დეკრეტი პაპის არჩევის მარეგლამენტირებელი წესის შესახებ. კერძოდ, კანონიერად არჩეული რომის ეპისკოპოსის სიკვდილამდე არავის არ ჰქონდა უფლება პრეტენზია განეცხადებინა პაპის ტახტზე. პაპის მოულოდნელად გარდაცვალების შემთხვევაში (თუ მას არ ჰყავდა დანიშნული მემკვიდრე) რომის ეპისკოპოსი უნდა გამხდარიყო ის, ვინც მეტ ხმას მიიღებდა ადგილობრივი სამღვდელოებისაგან. დეკრეტი არ ახსენებდა არჩევნებში საერო პირების მონაწილეობას,[6] მაგრამ ძალზე ხშირად ხდებოდა ეპისკოპოსთა არჩევნებში უმაღლეს საერო ხელისუფალთა — იმპერატორებისა და შეფეების, ასევე რომის მმართველი არისტოკრატიის წარმომადგენელთა ჩარევა. ეს პრობლემა მძიმე ტვირთად აწვა პაპობას XIX საუკუნის ბოლომდე. გრიგორიანული რეფორმის პერიოდში (XI—XIII სს.) შეეცადნენ, რომ პაპების არჩევნებში გამოერიცხათ საერო ფაქტორების გავლენა. ამ მიზნით გადაწყვიტეს, რომ ეპისკოპოსის არჩევის უფლება გადაეცათ რომის სამღვდელოების ელიტისათვის, ანდა კარდინალთა კოლეგიისათვის. სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული პაპ ნიკოლოზ II-ის (1059—1061) მიერ 1059 წელს ლატერანში შეკრებილი სინოდის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად კანდიდატი აუცილებლად უნდა

ყოფილიყო კარდინალთა კოლეგიის წევრი, ან რომის სამღვდელოების წარმომადგენელი. მსგავსი დადგენილება 1179 წელს მიიღო ლატერანის მესამე კრებამ პაპ ალექსანდრე III-ის ბრძანებით. (1159—1181). ამ კრების გადაწყვეტილებით პაპის ტახტზე არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემდა ამომრჩეველ კარდინალთა ორი მესამედი. აკრძალული იყო გარედან ნებისმიერი სახით ჩარევა. XIII საუკუნიდან კი გამკაცრდა საარჩევნო თათბირების პროცედურისადმი მოთხოვნა. ეს განაპირობა შემდეგმა კონკრეტულმა შემთხვევამ.

1268 წლის 29 ნოემბერს გარდაიცვალა წარმოშობით ფრანგი პაპი კლემენტი IV. ქ. ვიტერბოში კარდინალთა კოლეგიამ ორი წლისა და ცხრა თვის განმავლობაში (1268 წლის ნოემბრიდან 1271 წლის სექტემბრის ჩათვლით) ვერ შეძლო აერჩია პაპი. კარდინალთა ქცევით აღშფოთებულმა მორწმუნეებმა სასახლეში გასაღებით (ლათ. con clave)[7] ჩაკეტეს „მღვდელმთავრები" და გააფრთხილეს, რომ ისინი იქ დარჩებოდნენ მანამ, სანამ ახალ პაპს არ აირჩევდნენ. ამან საქმეს ვერ უშველა. კარდინალებმა ერთმანეთში ისევ განაგრძეს დავა და კინკლაობა. მაშინ ვიტერბოს მცხოვრებლებმა სასახლეს სახურავი ახადეს და კონკლავის მონაწილეები მხოლოდ წყალსა და პურზე დატოვეს. ზამთარი იყო. სიცივემ და შიმშილმა კარდინალები აიძულა შეთანხმებისათვის მიეღწიათ და რომის პაპად აირჩიეს გრიგოლ X.

ახალმა პაპმა გრიგოლ X-მ (1271—1276) იმისათვის, რომ მომავალში კარდინალებს მალე აერჩიათ პაპი, 1274 წელს გამოსცა განსაკუთრებული კანონი კონკლავის შესახებ, რომელიც მცირეოდენი შესწორებებით დღემდე მოქმედებს.

ამ კანონის თანახმად კონკლავი პაპის გარდაცვალების მეათე დღეს უნდა მოიწვიონ. ათი დღე ეკლესია ვალდებულია დაიცვას „ტრაური". ამ დროის განმავლობაში პაპი უნდა დაიკრძალოს იმ ქალაქში, სადაც იგი გარდაიცვალა. კონკლავი კი უნდა შეიკრიბოს იმ შენობაში, რომელიც გარდაცვლილი პაპის რეზიდენცია იყო. კონკლავის დროს კარდინალებს მათთვის განკუთვნილ დაგმანულ სათავსში ათავსებენ. თითოეულ კარდინალს დასვენებისათვის ცალკე ოთახი ეძლევა. თუ სამი დღის შემდეგ კარდინალები არ აირჩევენ პაპს, მაშინ კვების რაციონი ეზღუდებათ მომდევნო ხუთი დღე. თუ ამ ხნის განმავლობაშიც არ იქნა პაპი არჩეული, მაშინ კარდინალები

მარტოოდენ პურზე და წყალზე დარჩებიან მანამდე, სანამ პაპის არჩევა არ მოხდება. ამგვარად, კონკლავის ამოცანას შეადგენს მხოლოდ პაპის არჩევა და არა სხვა რომელიმე საკითხის გადაწყვეტა.

პაპის გარდაცვალებიდან ახალი პაპის არჩევამდე (ამ პერიოდს ეწოდება sede vacante — თავისუფალი ტახტი) რომის კურიის მთელი მოღვაწეობა წყდება. განსვენებული პაპის პალატი ილუქება, ხოლო სალარო შესანახად გადაეცემა კარდინალთა კოლეგიის თავმჯდომარეს — კამერლენგოს, რომელსაც კონკლავის თანხმობის გარეშე არ შეუძლია მისი გამგებლობა.

კონკლავში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა კარდინალს, მათ შორის იმასაც, რომელიც ადრე ეკლესიიდან იყო განკვეთილი. პაპის ასარჩევად აუცილებელია კონკლავში მონაწილე კარდინალთა ხმების არანაკლებ 2/3. პაპად შეიძლება არჩეული იქნეს კონკლავზე დამსწრე ან არადამსწრე კარდინალი ან ნებისმიერი სხვა პირი. მაშასადამე, თეორიულად პაპი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ კარდინალი ან რიგითი მღვდელი, არამედ საერო პირიც.

კონკლავის მონაწილეებს გარკვეული კანდიდატის სასარგებლოდ ეკრძალებათ დაპირების მიცემა, საკუთარ თავზე ვალდებულებების აღება, რაიმე გარიგებები ან კავშირების დადება. ყველა მსგავსი გარიგება უკანონოდ ითვლება[8].

XV საუკუნეში პაპ კალისტო III-ის (1455—1458) განკარგულებით პაპის არჩევნები ტარდებოდა ვატიკანში სამოციქულო სასახლის მარცხენა მხარეში, იქ, სადაც არის დიდი მიქელანჯელოს მიერ მოხატული სიქსტის კაპელა. კარდინალებიდან თითოეულს უფლება აქვს კონკლავზე აიყვანოს ორი თანაშემწე — ერთი სასულიერო და ერთი საერო პირი, ასევე ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი, რა თქმა უნდა, თუ იგი ამას საჭიროებს. გარდა ამისა, პალატაში, სადაც მიმდინარეობს კონკლავის სხდომა, იმყოფება რამოდენიმე ათეული მოსამსახურე პერსონალი: ოფიციანტები, მზარეულები და ა. შ. სულ პალატაში, სადაც კონკლავის სხდომები ტარდება, იმყოფება დაახლოებით 300 კაცი. როდესაც კონკლავის ყველა მონაწილე მოიყრის თავს, მაშინ კამერლენგო შემოივლის სათავსს ძახილით: „Extra omnes!" („ზედმეტებს ეთხოვთ, გავიდნენ გარეთ".). ამის შემდეგ სათავსი იგმანება. მკაცრად იკრძალება რაიმე ცნობის წერილობით ანდა ზეპირად გადაცემა. ახლა კარდინალებს გარე სამყაროსთან დაკავშირება შეუძლიათ მხოლოდ იმ მოწყობილობის საშუალებით, რო-

მელსაც ეწოდება „რუოტა“ (თვალი) — ხის რგოლი დახურული უჯრით. ის კონსტრუირებულია ისე, რომ ადამიანებმა, რომლებიც კარის ორივე მხარეს დგანან, ერთმანეთი ვერ დაინახონ. „რუოტის“ საშუალებით ყოველ დილით კონკლავის მონაწილეებს გადასცემენ ახალ პროდუქტებს, ხილს, ბოსტნეულს, მედიკამენტებს. აკრძალულია გაზეთის გადაცემა, ვინაიდან მან შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკლავის მსველელობაზე. ჩვენს დროში კონკლავის მონაწილეებს ეკრძალებათ თან ჰქონდეთ რადიომიმღებები, მაგნიტოფონები, კინო და ფოტო აპარატები. წესის დამრღვევნი ისჯებიან ეკლესიიდან განკვეთით.

სიქსტის კაპელაში კონკლავში მონაწილეებისათვის დგამენ „ტახტებს“ — სავარძლებს, რომლებზეც წითელი ხავერდია გადაფარებული. ყოველი სავარძლის წინ დგას პატარა მაგიდა, რომელზეც გადაფარებულია იისფერი გადასაფარებელი. სავარძლებზე მიმაგრებულია იისფერი ბალდახინი, რომელსაც ძირს დაუშვებენ პაპის არჩევის შემდეგ. ძირს დაუშვებელი რჩება მხოლოდ ახლად არჩეული პაპის სავარძელზე მიმაგრებული ბალდახინი. კაპელის საკურთხევლის წინ დგას მაგიდა, რომელზეც გადაფარებულია მწვანე საფარი. მასზე დგას ოქროს თასი, რომელიც ბიულეტენებისათვის ყუთის როლს ასრულებს. აქვე დადგმულია თუჯის ღუმელი ბიულეტენების დასაწვავად. საკუთრივ ბიულეტენი წარმოადგენს სქელ ზოლიან ქაღალდს გაღმოკეცილი კუთხით. მის დახურულ ნაწილში მოცემულია ხმის მიმცემი კანდიდატის გვარი, გერბი და რიცხვი. ახალი პაპის არჩევისათვის საჭიროა 2/3 ხმას პლუს ერთი. ხმის დასათვლელად ირჩევენ კომისიას.

ყოველდღიურად — დილითა და ღამით, მიმდინარეობს კენჭისყრის ორი ტური. ყოველი კენჭისყრის შემდეგ წვავენ ბიულეტენს კარდინალთა თანდასწრებით. თუკი კანდიდატებიდან ვერცერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ ცეცხლმოკიდებულ ბიულეტენს აყრიან ნედლ ჩალასა და ძენძს და საკვამურიდან ამოვა შავი ბოლი („სფუმატა“). ეს წმიდა პეტრეს მოედანზე თავშეყრილი მომლოცველების, რომაელების, ჟურნალისტებისა და ცნობისმოყვარეებისათვის იმის ნიშანია, რომ პაპი ჯერ კიდევ არჩეული არ არის. თუ არჩევნები დამთავრდა ახალი პაპის არჩევით, მაშინ ბიულეტენებს წვავენ თეთრი ჩალით, რომელსაც სპეციალურ ბოთლებში ინახავენ. ამის შემდეგ საკვამურიდან ამოვა თეთრი ბოლი, რაც იმის მაუწყე-

ბელია, რომ კარდინალები შეთანხმდნენ და კათოლიკური ეკლესიის ახალი მეთაურის სახელი მალე იქნება გამოცხადებული.

ამჟამად მოქმედი ცერემონიალის თანახმად, მას შემდეგ, რაც კამერლენგო გამოაცხადებს არჩეული პაპის გვარს, ამ უკანასკნელს ეკითხება: „ხარ თუ არა შენ უზენაესი პონტიფექსის თანამდებობაზე არჩევის თანახმა?“ („Acceptasne electionem de te canonice factum in Summum Pontificem?“). როგორც წესი, არჩეული ეთანხმება. მაშინ კამერლენგო მას ეკითხება, რომელი სახელის დარქმევას ინებებს? („Quo nomine vis vocari?“)[9].

არჩევის შემდეგ პაპის სახელის შეცვლა წესად იქცა შუა საუკუნეებში. VI საუკუნემდე რომის ეპისკოპოსები ატარებდნენ იმ სახელს, რომელიც მათ ნათლობის დროს მიიღეს. პირველი პაპი, რომელმაც სახელი შეიცვალა, იყო იოანე II (533—535). მას ერქვა მერკური. ჩანს, მას ეს სახელი წარმართულად მიაჩნდა და იმიტომ შეიცვალა. ასევე პეტრე პავიანელმაც არ მოისურვა რქმეოდა პეტრე II და იოანე XVI-დ იწოდა (983—984).

XVI საუკუნის შუა ხანებიდან იწყება პაპების მიერ ახალი სახელის მიღება. პაპს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი თავისი წინამორბედის სახელი. მათგან ახალი პონტიფექსი ირჩევს იმ პაპის სახელს, რომლის გარკვეული კურსის მიმართ იგი აპირებს მხარდაჭერას. ამით ახალი პაპი ასევე პატივს მიაგებს ერთ-ერთ თავის წინამორბედს. მხოლოდ პირველი პაპის, პეტრე მოციქულის (33 ? — 67 ?) სახელი არ შეიძლება დაირქვას ახალმა პონტიფექსმა და ამიტომ იგი არ მეორდება პაპის რეესტრში. ამჟამად პაპები მნიშვნელოვან დოკუმენტებს ხელს აწერენ იმ სახელით, რომელიც მათ მიიღეს ტახტზე არჩევის შემდეგ, მაგრამ არ უთითებენ რიგით ნომერს.

ბოლოს იწყება არჩეული კანდიდატის პაპის ტანსაცმლით შემოსვის ცერემონიალი და თაყვანისცემის აქტი — ადორაცია, როდესაც კარდინალები რიგრიგობით მიდიან ახალ პაპთან, ემთხვევიან მას ფეხზე, პირსა და ბეჭედზე, რომელზეც გამოსახულია თევზი — თავდაპირველი ქრისტიანობის სიმბოლო.

შემდეგ პაპთან ერთად ყველა კარდინალი გამოდის სამოციქულო სასახლის აივანზე, საიდანაც კამერლენგო აუწყებს ქვეყნიერებას ახალი პაპის სახელს: „გაუწყებთ თქვენ საამურ ცნობას — ჩვენ გვყავს პაპა (ესა და ეს!) („Nutio vobis gaudium magnum — habemus Papam!“) — და ხალხს წარუდგენს მას, ხოლო პაპი აღუვლენს ლოც-

ვას „ქალაქსა და მსოფლიოს“ — „urbi et orbi“. ამ ტრადიციული ქადაგებით გამოდის პაპი ყოველ კვირას 12 საათზე წმიდა პეტრეს საყდრის აივნიდან[10].

ახალ დრომდე წყაროებში ძალზე იშვიათად ასახელებდნენ პაპების დაბადების თარიღს. ჩვეულებრივ სჯერდებოდნენ იმის მითითებას, რომ პაპის ტახტზე ავიდა „მოხუცი“, ანდა, პირიქით, „ახალგაზრდა“ ადამიანი. რასაკვირველია, ეს ძალზე ზოგადი განსაზღვრება იყო, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შუა საუკუნეებში მამაკაცი, რომელმაც 50 წელს გადააბიჯა, უკვე მოხუცად ითვლებოდა. წმ. პეტრეს ტახტზე რამდენიმე ახალგაზრდა პაპი ასულა. იოანე XII (955—964) 20 წლისა იყო, როცა პაპად აირჩიეს, გრიგოლ V (996—999) — 24 წლისა, ხოლო ბენედიქტ IX (1032—1045) — მხოლოდ 15 წლისა (ზოგიერთი წყაროს მონაცემით 12 წლისა იყო).

ძალზე ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ ეროვნებას მიეკუთვნებოდა პირველ სამ საუკუნეში რომის 29 ეპისკოპოსი. მიიჩნევენ, რომ ისინი, ალბათ, ბერძნები იყვნენ, რამდენადაც მაშინ რომის ქრისტიანული თემების უმრავლესობა შედგებოდა მოსული მოსახლეობისაგან და არა ძირძველი რომაელებისაგან.[11] „საეკლესიო ისტორიკოსები მხარს უჭერენ იმას, რომ 261 პაპიდან დაახლოებით 200 წარმოშობით იტალიელი იყო, ხოლო 50 უცხოელი. სხვა დანარჩენ პაპთა ეროვნება დაუდგენელია. უცხოელთა შორის ყველაზე მეტნი იყვნენ ბერძნები და სირიელები; 7 პაპი იყო ფრანგი, 6 — გერმანელი, ორი — უსპანელი 1 — პორტუგალიელი, 1 — აფრიკიდან, 1 — ინგლისელი, 1 — პოლონელი, 1 — ჰოლანდიელი. სწორედ ჰოლანდიელი ადრიანე VI (1522—1523) იყო უკანასკნელი არაიტალიელი პაპი 1978 წელს პოლონელი იოანე პავლე II-ის (ვოიტილას) არჩევამდე. იტალიელი პაპების ნახევარი ძირძველი იტალიელები იყვნენ“[12].

ასევე შეუძლებელია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში პაპების სოციალური წარმომავლობის დადგენა. ცნობილია მხოლოდ, რომ პაპი კალიქსტ I (217—222) იყო იმპერატორის კარის მდიდარი მოხელის, ვინმე კარპოფორის მონა, ხოლო გაიუსი (283—296), პირიქით, იმპერატორ დიოკლეტიანეს (285—305) ნათესავი იყო, ფელიქს III (483—492) და გრიგოლ I დიდი (590—604) წარმოშობით სენატორული გვარეულობიდან იყვნენ. შუა საუკუნეების პერიოდში,

აღორძინებისა და კონტრრეფორმაციის დროშიც პაპების დიდი უმრავლესობა წარმოშობით არისტოკრატთა წრიდან იყო.

ადრეული პერიოდის პაპების გარეგნობის შესახებ გარკვეულად რაიმეს თქმა ძნელია. საკვლევით ნათელია, რომ შუა საუკუნეების მოზაიკებსა და ფრესკებზე გამოსახული რომის ეპისკოპოსთა სახეები არ შეიძლება მათ ნამდვილ პორტრეტებად ჩავთვალოთ. ეს მხოლოდ უმაღლესი საეკლესიო იერარქების სახეების სქემატური მხატვრული გააზრებაა. ყველაზე ადრეულ ორიგინალურ ფერწერულ ნაწარმოებად მიჩნეულია პაპი ინოკენტი XII-ის (1198—1216) ფრესკა, რომელიც ბენედიქტთა ორდენის მონასტრის საკრო სპესო სუბიაკოს კედელზეა გამოსახული. აღორძინების პერიოდიდან მრავალი მხატვარი ხატავდა თავისი მეცენატი პაპის პორტრეტს. ამავე დროს გაჩნდა რომის პონტიფექსთა მრავალი ბიუსტი და სკულპტურა. ვატიკანის მუზეუმის ნუმიზმატიკურ გალერეაში ინახება მედალთა მდიდარი კოლექცია, რომლებზეც რეალისტურად და დიდი ოსტატობით გამოსახულია პაპების თავი დაწყებული ნიკოლოზ V-დან (1447—1455) დღევანდლამდე. ამ გამოსახულებათა მიხედვით ნათლად ჩანს, რომ უკლებლივ ყველა პაპი, დაწყებული კლიმენტი VII-დან (1523—1534) კლიმენტი XI-ის (გარდ. 1721 წელს) ჩათვლით, წვერს ატარებდა. შუა საუკუნეებში წვერი იყო ასკეტური ცხოვრების ნიშანი; აღორძინებისა და ბაროკოს დროიდან წვერი ითვლებოდა მამაკაცის სამკაულად და მას გულმოდგინედ უვლიდნენ. პაპები არ სარგებლობდნენ პარიკებით, მაგრამ განუყრელად ატარებდნენ ბეწვით შემოქობილ წითელი ხავერდის თავსაბურავს — მანროს.

ძველი ტრადიციის თანახმად პაპის ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტული იყო „რომის ეპისკოპოსი". გარდა ამისა, „Annuario Pontificio" ასახელებს მეორე ტიტულს — „იესო ქრისტეს ნაცვალი (ვიკარი)", რომელიც შუა საუკუნეებიდან მოდის. პაპის წელიწდეულებში მოცემულია აგრეთვე სხვა ტიტულებიც, როგორიცაა: „მოციქულთა მთავრების მემკვიდრე", „დასავლეთის პატრიარქი", „იტალიის პრიმასი", „რომის პროვინციების არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი", „ქალაქ — სახელმწიფო ვატიკანის სუვერენი". ეს უკანასკნელი ტიტული, რომელიც ჩვენს დროში იხმარება საერო ხასიათს ატარებს. შუა საუკუნეებში პაპები ხშირად ხელს აწერდნენ ასე: „ღვთის მსახურთა მსახური" („servus servorum Dei"). ეს VII საუკუნეში შემოიღო პაპმა გრიგოლი I-მა. შუა საუკუნეების ლათინურში ეს ტი-

ტული ნიშნავდა არა იმდენად „ღვთის მსახურთა მსახურს“, რამდენადაც „უდიდესს ღვთის მსახურთა შორის“.

XVII და XX საუკუნეებს შორის პერიოდში ეს განსაზღვრება იშვიათად ჩანდა. ვატიკანის II კრების შემდეგ (1962—1965) იგი პაპმა პავლე VI-მ (1963—1978) ისევ აღადგინა.

პაპის სახელთა საეკლესიო ნომენკლატურაში, გარდა ლიბერიისა (გარდ. 366) და ანასტასიისა (გარდ. 498), ყველა პაპი პეტრედან ფელიქს IV-მდე (გარდ. 530), წმინდანად ითვლება. გარდა ამისა, ყველა პაპი მილტიადემდე (გარდ. 314) მარტვილადაა მიჩნეული. წმინდანი და წამებულია ასევე III საუკუნის ყველაზე გამოჩენილი ქრისტიანი მწერალი ანტიპაპი იპოლიტე (გარდ. 235). მარტვილად აღიარებულია პაპი მარტინ I-იც, რომელიც იმყოფებოდა ექსორიაში და 655 წელს დაუძლურებული გარდაიცვალა ხერსონში. 530 წლიდან წმინდან პაპთა რიცხვი არსებითად შემცირდა. XI საუკუნემდე 23 პაპი ითვლებოდა წმინდანად, XIII საუკუნეში იყო მხოლოდ ერთი — ცელესტინ V (გარდ. 1296), ახალ დროში კი წმინდანად აღიარეს ორი პაპი: პიუს V (გარდ. 1572) და პიუს X (გარდ. 1914). აქ ჩამოთვლილი პაპებიდან მხოლოდ ბოლო სამი პაპი იქნა ოფიციალურად კანონიზირებული. რვა პაპს აქვს „ნეტარის“ ტიტული, ხოლო ორს — ლეონ I-სა და გრიგოლ I-ს „ეკლესიის დოქტორისა“. ადრეული აღორძინების პერიოდიდან პაპებს მიმართავდნენ ასე: „წმინდა მამაო“, ანდა „თქვენო უწმინდესობავ“. ამ შემთხვევაში განსაზღვრება „წმინდა“ ეხება მხოლოდ პაპის საღმრთო ფუნქციას.

საუკუნეების განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა პაპთა შესამოსელი. როგორც ჩანს თავდაპირველად იგი უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა დანარჩენი სამღვდელოების სამოსელისაგან. მაგრამ შუა საუკუნეების შუა პერიოდიდან, საერთაშორისო არენაზე რომის ეპისკოპოსთა მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, შეინიშნებოდა მათ მიერ უფრო დიდებული სამოსელის ხმარების ტენდენცია. განსაკუთრებით ეს ეხება იმ სამოსელს, რომელსაც პაპები ატარებდნენ საზეიმო ღვთისმსახურების დროს, ანდა ოფიციალურ ცერემონიებში. ღვთისმსახურებისას პაპები ჩვეულებრივ იმოსებოდნენ არქიეპისკოპოსის ლიტურგიული შესამოსელით, მაგრამ მათ სხვა საეკლესიო იერარქებისაგან განასხვავებდა ტიარა, რომელსაც ისინი X ს-ის დასასრულიდან იხურავდნენ საეპისკოპოსო მიტრის ნაცვლად.

ტიარა წარმოადგენს თავსაბურავს, რომელსაც ზვინისმაგვარი

ჩაფხუტის ფორმა აქვს. თავდაპირველად იგი იყო დაბალი, ხოლო გვიან უფრო მაღალი გახდა. ტიარა მზადდებოდა მკვრივი და უხეში ქსოვილისაგან, რომელსაც ამკობდა მდიდრული ოქროს ნაქარგობა. ზუსტად მისი წარმოშობა უცნობია. XII საუკუნეში პაპის ტიარას პირველად ერთი, ხოლო შემდეგ ორი ოქროს დიადემა ამკობდა, რომელიც პაპის საერო და სასულიერო ძალაუფლების სიმბოლოს გამოხატავდა. ბენედიქტ XII-ის (1334—1342) დროიდან ტიარის ორ დიადემას მესამე დაემატა, რაც გამოხატავდა მთელს მსოფლიოში პაპის უზენაესობას. პაპები ტიარას იხურავდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (კორონაცია, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და ა. შ.). ღვთისმსახურების დროს ისინი სარგებლობდნენ არქიეპისკოპოსის მიტრით. ადრეული შუა საუკუნეებიდან პაპის სამოსელის განმასხვავებელი დეტალი იყო პალია. ამ თეთრი შალის ფართე ლენტს ჩამოიცვამდნენ ყელზე. მისი ერთი ბოლო ჩამოშვებულია გვერდზე, ხოლო მეორე მხრის საშუალებით ზურგზე. პალიას რომში წმ. აგნესას მონასტრის მონაზვნები ქსოვდნენ ბატკნის მატყლისაგან, რომელიც ნაკურთხი იყო პაპის მიერ. პალიაზე აკერებენ შავი მაუდისაგან დამზადებულ ექვს ჯვარს. აღმოსავლეთის ეკლესიებში პალია იყო პატრიარქთა განმასხვავებელი ნიშანი. დასავლეთის ეკლესიებში თავდაპირველად პალიას ჩამოიცვამდნენ მხოლოდ პაპები. შუა საუკუნეებში პაპები პალიას უგზავნიდნენ ეპისკოპოს — მიტროპოლიტებს და ამით ხაზს უსვამდნენ ადგილობრივი ეკლესიების პაპის ხელისუფლებაზე დამოკიდებულებას.

ლიტურგიული ცერემონიის დროს პაპს ხელზე უკეთია წითელი ხელთათმანები, რომელზეც ამოქარგულია ჯვარი, ხოლო ფეხზე აცვია ოქროთი მოქარგული ფეხსაცმელი. უხსოვარი დროიდან სახლში პაპის ჩასაცმელს წარმოადგენს თეთრი სუტანა. როგორც შუა საუკუნეების საეკლესიო მწერლები წერდნენ, სუტანა არის ქრისტეს თეთრი ტუნიკას სიმბოლო, რომელიც რომაელმა ჯარისკაცებმა ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ერთმანეთს შორის წილისყრით გაიყვეს (იოანე: 19:24). კარში გამოსვლისას პაპი იცვამს წითელ ლაბადასა და წითელ თავსაბურავს. 1245 წლიდან პაპებმა კარდინალებს მისცეს უფლება ეტარებინათ ფართოფარფლებიანი წითელი ქუდი ჩამოშვებული „კუდებით". პაპმა ბონიფაცი IX-მ (1389—1404) კარდინალებს უბრძანა, რომ შეეკერათ მეწამული ფერის სამოსელი, რომელსაც მხატვართა ენაზე ღია სინგური ეწოდება. ვატიკანის II საეკლესიო

კრების შემდეგ პაპისა და კარდინალთა ტანსაცმელი მეტად სადა გახდა.

თანამედროვე პაპები უკვე არ სარგებლობენ მრავალრიცხოვანი რეზიდენციებით, რომლებიც შუა საუკუნეებიდან შენდებოდა არა მხოლოდ რომში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. პაპების ყვალაზე ძველი რეზიდენცია არის ლატერანის სასახლე, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306—337) გადასცა პაპ სილვესტრ I-ს (314—335). აღორძინების პერიოდიდან პაპთა მთავარი რეზიდენცია გახდა შენობათა ის კომპლექსი, რომელიც აშენდა წმიდა პეტრეს ტაძრის ირგვლივ და რომელსაც ეწოდება ვატიკანი. განმანათლებლობის ეპოქაში კვირინალის ბორცვზე აშენდა პაპის მესამე სასახლე. ახლა იგი არის იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენცია. 1870 წლიდან პაპები ცხოვრობენ ვატიკანში.

რომის გარეთ პაპის დიდი სასახლეები აშენებული იქნა გაეტში, ნეაპოლის ახლოს, ანანში, ვიტერბოში, ფლორენციაში, პერუჯაში, რომთან ახლოს, კასტელ — განდოლფოში 1596 წელს აშენდა საზაფხულო რეზიდენცია, რომლითაც სარგებლობენ თანამედროვე პაპებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პაპის რეზიდენცია ავინიონში (საფრანგეთში), სადაც რომის ეპისკოპოსები იმყოფებოდნენ 1309 წლიდან 1415 წლამდე. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ავინიონი საფრანგეთის ხელისუფლების მზრუნველობის ქვეშ გადავიდა. ცუდად დაცულ დიდმშვენიერ სასახლეთა ერთი ნაწილი განადგურდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი გამოიყენება კულტურული ღონისძიების ჩასატარებლად.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში პაპებს ასაფლავებდნენ კატაკომბებში[13]. საყოველთაოდ აღიარებულია პაპის კრიპტა[14] კალიქსტეს კატაკომბებში, სადაც ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი პაპები არიან დაკრძალულნი. IV საუკუნიდან პაპის საფლავებს ათავსებდნენ ლატერანის, ვატიკანის და ასევე რომის სხვა ტაძრების მიწისქვეშეთში. ათზე მეტი პაპი დაკრძალულია იტალიის სხვადასხვა ქალაქებსა და სხვა ქვეყნებში.

პაპი თავის ხელისუფლებას ახორციელებს მთელ რიგ დაწესებულებათა მეშვეობით, რომელსაც ეწოდება პაპის კურია. სახელწოდება „კურია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვა „curia“-საგან, რომელიც აღნიშნავდა კაპიტოლიუმში რომის სამოქალაქო ხელისუფლების რეზიდენციას. მოკლედ, კურია წარმოადგენს რომის კათოლიკური

ეკლესიის ცენტრალურ ადმინისტრაციულ აპარატს, რომლის მეთაურია პაპი. კურია ქმნის კონგრეგაციებს, ტრიბუნალებს, სამდივნოებს, საბჭოებს, კომისიებს, ბიუროებს, მმართველობებს, ვატიკანის სამოქალაქო საგუბერნატოროს. კურიის მთავარი დაწესებულებაა — სტატს სამდივნო. მის მეთაურს ეწოდება კარდინალ-გამგებელი (პადრონე) და პაპის ყველაზე ახლო თანამშრომელია.

ამჯერად რომის კურიის გარდა პაპთან არსებობს ორი სათათბირო ორგანო: კარდინალთა კოლეგია და ეპისკოპოსთა სინოდი, რომელიც შეიქმნა ვატიკანის მეორე კრების შემდეგ. საუკუნეების მანძილზე კარდინალთა რიცხვი არ აღემატებოდა 70-ს. მათგან უმრავლესობა იტალიელი იყო. ეს ტრადიცია პაპმა იოანე XXIII-მ (1958—1963) დაარღვია. ახლა 140-ზე მეტი კარდინალია. მათ შორის ცოტანი არიან იტალიელები. სინოდში შედიან ეროვნულ საეპისკოპოსოთა წარმომადგენლები და საერთაშორისო კათოლიკური ორგანიზაციები. სინოდს იწვევენ პაპის ინიციატივით. იგი გადაწყვეტილებას იღებს ხმების 2/3-ით და ძალაში შედის პაპის დამტკიცების შემდეგ.

პაპის ოფიციალური დოკუმენტები ამჟამად ნაწილობრივ იბეჭდება ვატიკანის პერიოდულ გამოცემებში, რომელსაც ეწოდება „Acta Apostolicae Sedis" (AAS). ეს დოკუმენტები რამოდენიმე კატეგორიად იყოფა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია — აპოსტოლიკური კონსტიტუციები და ბულები[15]. თავდაპირველად ბულა ეწოდებოდა მეტალისაგან (ვერცხლის, ოქროს, ტყვიის, კალის) დამზადებულ მრგვალ ბეჭედს, რომლითაც სარგებლობდნენ პაპები VI საუკუნიდან. ამ ბეჭედს შუა საუკუნეებში ჩვეულებრივ მიამაგრებდნენ პაპის დოკუმენტს.

პაპის ბეჭდებიდან ყველაზე უძველესად ითვლება აგაპიტ I-ის (535—536) ბულა. ვატიკანის კრებულებში ინახება პაპ ადეოდატის (615—618) ბულა-ბეჭდის ორიგინალი. აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქაში პაპის ბულებს (დოკუმენტებს) ხშირად დაასვამდნენ თაფლის სანთლისაგან დამზადებულ ბეჭედს, რომელიც მორთული იყო ოქროთი („ოქროს ბულები"). პაპის დოკუმენტთა მეორე ჯგუფს განეკუთვნება ე. წ. ბრევე ანუ პაპის „შეკვეცილი" ფორმის კერძო ხასიათის (პარტიკულიარული) დადგენილებები. ბრევე გაცილებით სადა, ვიდრე ბულა. მესამე კატეგორიას მიეკუთვნება პაპის სხვადასხვა სახის ეპისტოლეები. მათ შორის უნდა დავასახელოთ

Motu — proprio ე. ი. პაპის საკუთარი ინიციატივით დაწერილი ეპისტოლე, რომელიც, როგორც წესი, ეხება ორგანიზაციულ ანდა საეკლესიო მმართველობის პრობლემებსა და საკითხებს. ზოგიერთ ეპისტოლეს, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან დადგენილებებს „დეკრეტი“ ეწოდება. 1740 წელს პირველად გამოჩნდა პაპის ენციკლიკა (Litterae encyclicae): იგი დაწერა პაპმა ბენედიქტე XIV-მ (1740—1758), რომელიც გამოაქვეყნა 1745 წელს — „Vix pervenit“. დღემდე პაპის ენციკლიკების რეესტრი დაახლოებით 200-მდე ასეთ დოკუმენტს შეიცავს. როგორც წესი, პაპი ენციკლიკას უგზავნის მსოფლიოს ყველა ქვეყნის კათოლიკეს ანდა ერთი ქვეყნის კათოლიკეებს. იგი მხოლოდ ლათინურ ენაზე იწერება. პაპმა იოანე XXIII-მ თავისი ენციკლიკა „პაცემ ინ ტერრის“ გაუგზავნა „კეთილი ნების ყველა ადამიანს“. მოკლედ, ენციკლიკა სადირექტივო მნიშვნელობისაა. მას აქვს საპროგრამო ხასიათი და შეიძლება მიეძღვნას რელიგიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, მორალურ და სხვა სახის საკითხებს. ბოლო დროს ენციკლიკების რაოდენობა შემცირდა.

XVIII საუკუნიდან გაჩნდა წესი, რომლის მიხედვით პაპის ენციკლიკას (სხვა დოკუმენტებსაც) სახელს არქმევდნენ ლათინური ტექსტის პირველი ორი — სამი სიტყვის მიხედვით (მხოლოდ ექვსი ენციკლიკა დაიწერა თანამედროვე ენებზე: სამი იტალიურ ენაზე, თითო-თითო ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე). ზოგიერთი დოკუმენტი დამოწმებულია პაპის სპეციალური ბეჭდით, რომელსაც ეწოდება „მებადურის ბეჭედი“, რამდენადაც მასზე ამოკვეთილია მებადური-პეტრეს ფიგურა. ვატიკანის კრებულში ასეთი ბეჭდების პრწყინვალე კოლექციაა. მათ შორის ყველაზე ძველია 1277 წლის ბეჭედი.

პაპი, როგორც ვატიკანის სახელმწიფოს მეთაური, სარგებლობს „რაინდული ორდენებით“ დაჯილდოების უფლებით. პაპის ორდენებით დაჯილდოება დასტურდება შესაბამისი „სამოციქულო ეპისტოლეებით“. ყველაზე ძვირფას ჯილდოდ ითვლება ქრისტეს უმაღლესი ორდენი, რომელიც 1319 წლისს 14 მარტს დააწესა პაპმა იოანე XXII-მ; ოქროს დეზის ორდენი, რომლის დაწესების თარიღი უცნობია. იგი განაახლა პიუს X-მ 1905 წელს; პიუსის ორდენი, რომელიც 1847 წლის 17 ივნისს დააარსა პაპმა პიუს IX-მ და 1957 წელს განაახლა პიუს XII-მ; წმიდა გრიგოლ დიდის ორდენი, რომელიც 1831 წელს დააწესა პაპმა გრიგოლ XVI-მ. 1905 წელს მისი რე-

ფორმირება მოახდინა პიუს X-მ; წმ. სილვესტრის ორდენი, რომელიც 1841 წელს დააწესა გრიგოლ XVI-მ. გარდა ჩამოთვლილი ორდენებისა, არის რამდენიმე სახის წარჩინების ნიშნები. ასეთებია: „ჯვარი ეკლესიისა და პაპისათვის“, რომელიც დააწესა პაპმა ლეონ XIII-მ, ასევე „მედალი დამსახურებისათვის“. აქვე უნდა აღვნიშნოთ წარჩინების ისეთი ნიშნები, როგორიცაა: „ოქროს ვარდი“, რომელიც დამზადებულია ოქროსაგან და მდიდრულად არის მორთული. „ოქროს ვარდი“ ყოველწლიურად იკურთხება დიდი მარხვის მეოთხე კვირას და საჩუქრად ეგზავნება წარჩინებულ პირებს პაპის წინაშე დამსახურებისათვის.

ამრიგად, ჩვენ ზემოთ შევეცადეთ, ზოგადად გვეჩვენებინა პაპობის ისტორიის ძირითადი ხაზები უძველესი დროიდან დღევანდლამდე. ახლა კი მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობთ ვატიკანის, როგორც სახელმწიფოს, მოკლე დახასიათებას.

პაპების რეზიდენცია რომში — ვატიკანი[17] წარმოადგენს დამოუკიდებელ ქალაქ — სახელმწიფოს[18] და მდებარეობს ქ. რომის ცენტრში, მდ. ტიბროსის მარჯვენა ნაპირზე. მისი ტერიტორია შეადგენს — 44 ჰექტარს, ე. ი. 440 000 კვ. მ. აქედან 55 ათასი კვ. მ. უკავია მხოლოდ აპოსტოლიკურ სასახლეს 20 მისი შიდა ეზოებით (25 ათასი კვ. მ.). ამ პატარა ტერიტორიას აქვს დაახლოებით ტრაპეციის ფორმა. მისი ნიადაგი არის მარილიანი. ვატიკანის მოსახლეობა შეადგენს 1000 მცხოვრებს; მმართველობის ფორმაა არჩევითი სახის აბსოლუტური მონარქია. პაპი თავის ხელისუფლებას განახორციელებს კომისიის, (რომელსაც თავმჯდომარეობს ერთ-ერთი კარდინალი), გუბერნატორის, ჟანდარმერიის უფროსისა და ცენტრალური საბჭოს საშუალებით[19].

1929 წლიდან ვატიკანი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოა. მისი ხელისუფლება აღიარებული იქნა იმავე წლის 11 თებერვალს იტალიის სამეფო ხელისუფლების მიერ „წმიდა ტახტისა და იტალიის სამეფოს“ შორის დადებული ლატერანის შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოაწერეს კარდინალმა გასპარიმ და ბენიტო მუსოლინიმ.

ვატიკანის ტერიტორიაზე არის წმ. პეტრეს ტაძარი, რომელიც დაახლოებით 10 ათას კაცს იტევს. იგი ასი წელი შენდებოდა. მის მშენებლობასა და მორთვაში მონაწილეობას ღებულობდნენ გამოჩენილი არქიტექტორები და მხატვრები: ბერნინი, მიქელანჯელო, რაფაელი. ტაძარს აკრავს წმ. პეტრეს მოედანი, რომელსაც შემოვლებუ-

ლი აქვს ბერნინის ცნობილი კოლონადა 280 სვეტისაგან. იგი მორთულია 164 ქანდაკებით. აპოსტოლიკური სასახლე, რომელიც ტაძარს აკრავს, ითვლის სამი ათას ოთახს, 8 საპარადო და 200 ჩვეულებრივ კიბეს, 20 ეზოს. პაპის პირადი პალატი (19 ოთახი) არის აპოსტოლიკური სასახლის მესამე სართულზე. აქვეა განლაგებული სიქსტის კაპელა, სადაც XV საუკუნიდან ირჩევენ პაპებს[20].

ვატიკანის ტერიტორიის გარეთ, რომში, ქალაქ-სახელმწიფოს ეკუთვნის 12 შენობა. ვატიკანის ტერიტორიაზე განლაგებული სასახლეები, სამრეკლოები, არქივის, ბიბლიოთეკისა და მუზეუმების შენობები აგებულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვანაირ სტილზე.

ვატიკანს ჰყავს თავისი ქვეშევრდომები. ზემოხსენებულ ლატერანის შეთანხმებაში ნათქვამია: „საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, წმიდა ტახტის უზენაესი ხელისუფლების ქვეშევრდომად ითვლება ყველა ის პიროვნება, რომელიც თანამდებობისა ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვატიკანის ქალაქში მუდმივად ცხოვრობს"[21]. ვატიკანის ქვეშევრდომებად ითვლებიან ასევე: კარდინალები, რომლებიც ცხოვრობენ რომში, ვატიკანის ტერიტორიის გარეთაც კი; ის პირები, რომლებსაც ვატიკანში ცხოვრების სპეციალური უფლება აქვთ და, ბოლოს, ის პირები, რომლებიც ოჯახური, თუ სხვა მდგომარეობით დაკავშირებული არიან ვატიკანის ქვეშევრდომებთან და მათთან ცხოვრობენ. ვატიკანში მცხოვრებთა 2/3 მამაკაცია. სახელმწიფო ენა იტალიურია, ხოლო ოფიციალური აქტები ლათინურ ენაზე იწერება.

ვატიკანს აქვს უმდიდრესი არქივი და ბიბლიოთეკა. აქ თავმოყრილი ძველი ხელნაწერებისა და ბეჭდურად გამოცემული წიგნების მიხედვით მას მსოფლიო ბიბლიოთეკებს შორის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება. ამჟამად ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება 800 ათასი წიგნი, ხოლო იმ თაროების საერთო სიგრძე, სადაც განლაგებულია საიდუმლო არქივი, 50 კმ-ს შეადგენს.

საინტერესოდ მიგვაჩნია, აქვე რამოდენიმე სიტყვით შევეხოთ ვატიკანის არქივისა და ბიბლიოთეკის შექმნის ისტორიას. რომის ეკლესია თავიდანვე ზრუნავდა, დაეცვა მისი ისტორიისა და ცხოვრების ამსახველი ხელნაწერები. პირველად, 440 წელს, რომის ინტელექტუალურმა პაპმა ლეონ I დიდმა (440—461) შემოიღო პაპების მიწერ-მოწერის დოკუმენტების რეგისტრაცია. ყველა წერილი და ბულა ქრონოლოგიურად იქნა აღრიცხული. აღირიცხა ასევე წიგნები

და ხელნაწერები, რომლებიც პაპის განკარგულებაში იყო. ოფიციალურად ამ საცავს ეწოდებოდა „ბიბლიოთეკა არქიუმ“ და ერთი უფროსი (მცველი) ჰყავდა. 1245 წელს პაპი ინოკენტი IV-ის განკარგულებით „ბიბლიოთეკა არქიუმი“ გადაიტანეს იქ, სადაც იმ დროს რომის პაპი იჯდა — საფრანგეთის ქალაქ ლიონში. შემდეგ იმავე პაპის განკარგულებით იგი გადაიტანეს ჯერ კლუნის (საფრანგეთში) მონასტერში, ხოლო შემდეგ, როცა პაპი ინოკენტი IV რომში დაბრუნდა, ისიც რომში დააბრუნეს. ამის შემდეგ არაერთხელ მოუვლია სხვადასხვა ადგილები „ბიბლიოთეკა არქიუმს“. იგი საბოლოოდ დღეს ვატიკანშია დამკვიდრებული.

1880 წლამდე ვატიკანის არქივი საიდუმლოდ ინახებოდა და მისი მასალებით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ სამ პიროვნებას: პაპს, პაპის წმიდა ტახტის მდივან კარდინალს და არქივის პრეფექტს (მცველს). დანარჩენ სხვას, ვინც კი შეეცდებოდა ვატიკანის არქივში შესულიყო, ეკლესიიდან განდევნა ემუქრებოდა. აღნიშნული წლიდან ვატიკანის არქივის მასალებით სარგებლობის უფლება მისცეს იმ გარეშე პირებს, რომლებიც სათანადო საკითხებზე მეცნიერულ კვლევას ეწეოდნენ. „ამჟამად ვატიკანის საიდუმლო არქივში სამუშაოდ დაიშვებიან არქივის პრეფექტის სპეციალური ნებართვით მხოლოდ იმ მასალებზე, რომლებიც მოიცავენ XII საუკუნის შემდგომ პერიოდს. იმ სახელმწიფოების მოქალაქეები, რომელ სახელმწიფოსაც ვატიკანთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვთ, ვატიკანის საიდუმლო არქივებში ვერ შევლენ“[22].

ვატიკანს აქვს თავისი მეცნიერებათა აკადემია, რომელიც დაარსდა რომში 1603 წლის 17 აგვისტოს. თავდაპირველად მას ეწოდებოდა „ლინჩერუმ აკადემია“. 1847 წელს პაპი პიუს IX-ის დროს, მან მიიღო სახელწოდება: „პონტიფიჩია აკადემია დეი ნუოვო ლინჩეი“. იგი თანდათანობით ფართოვდებოდა პაპების: ლეონ XIII-ის, პიუს IV-ისა და პიუს XI-ის დროს.

ვატიკანის აკადემია ამჟამად ატარებს შემდეგ სახელწოდებას: „პაპის მეცნიერებათა აკადემია“ (Pontifica Accademia delle Scienze) და არის ერთადერთი ამ სახის აკადემია მთელს მსოფლიოში. მას ჰყავს აკადემიის ნამდვილი წევრები. უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლებს საპატიო წევრებად ირჩევენ. აკადემია აქვეყნებს ორ პერიოდულ კრებულს („Pontificiae Academiae Scientifiarum commentarii“; „Pontificiae Academiae Scientificarum scripta

varia"). აკადემიის რეზიდენცია ვატიკანის ტერიტორიაზეა. გარდა აკადემიისა, ვატიკანს აქვს ინსტიტუტი (Istituti Ecclesiastici di edicatione e di istruzione) და კოლეჯები (Seminario e collegi per candidati al sacerdozio; Seminario Minore al Vaticano; Collegi Ecclesiastici). ერთ-ერთი კოლეჯი („კოლეჯიო ეკლეზიასტიჩი") აერთიანებს ამერიკულ, სომხურ (დაარსდა 1883 წელს), ინგლისურ და სხვა კოლეჯებს.

ვატიკანს აქვს თავისი გერბი, რადიო, ფოსტა, საფოსტო მარკები, რკინიგზა (სიგრძე 850 მეტრია), ჰყავს თავისი გვარდია (დაცვა) — შუა საუკუნეების ფორმაში ჩაცმული. ფულის ერთეულია ვატიკანის ლირა, რომელიც იტალიის ლირას ეკვივალენტურია და თანაბარ ბრუნვაშია ვატიკანის ტერიტორიაზე.

ვატიკანს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 100-ზე მეტ ქვეყანასთან. ბუნებრივია, პაპს ამ ქვეყნებში ჰყავს მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლები. ვატიკანის ამ წარმომადგენლებს ეწოდება ნუნციო (ლათ. nuntius — მაცნე). ნუნციოს თანამდებობასა და მის საცხოვრებელ ადგილს ნუნციატურა ეწოდება. თავდაპირველად ნუნციოს, ანუ Legati missi-ს ეწოდებოდა პრელატი, რომელიც გაგზავნილი იყო გარკვეულ ადგილას, რათა დაეცვა საეპისკოპოსო უფლებები. ნუნციო განსხვავდება ლეგატისაგან, ანუ პაპის დესპანისაგან იმით, რომ ამ უკანასკნელის თანამდებობა დროებითია. პაპის პირველ ოფიციალურ ნუნციოდ ანუ ელჩად მიჩნეულია ანგელო ლეონინი, რომელიც 1500 წელს გაიგზავნა ვენეციაში. ამჟამად ნუნციო არის პაპის მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი იმ ქვეყანაში, რომელთანაც ვატიკანს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული. იგი შეესაბამება საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგს. მრავალ კათოლიკურ ქვეყანაში ნუნციო არის დიპლომატიური კორპუსის უფროსი. მოკლედ რომ ვთქვათ, ნუნციო არის დიდ ქვეყნებში აკრედიტებული პაპის მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც აღჭურვილია კათოლიკურ მართლმორწმუნეებზე განსაზღვრული იურიდიული უფლებებით.

დღეს ვატიკანს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს საქართველოსთანაც. იგი დამყარდა 1992 წლის 5 მაისს. საქართველოში წმიდა საყდრის ნუნციოდ 1993 წლის 7 დეკემბერს დაინიშნა მისი აღმატებულება მონსინიორ ჟან პოლ გობელი. 1994 წლის 11 თებერვალს მოხდა ნდობის წერილების გადაცემა საქართველოს მეთაურისადმი.

ჟან პოლ გობელი დაიბადა 1943 წლის 14 მაისს საფრანგეთში ტონონ-ლე ბენში. საშუალო განათლება მიიღო ანესში. აქვე 1962 — 1969 წწ. დაამთავრა უმაღლესი ფილოსოფიისა და თეოლოგიის განხრით. 1970—1974 წწ. ის სწავლობდა პაპის აკადემიასა და სასულიერო აკადემიაში. როგორც ვატიკანის წარმომადგენელმა, დიპლომატიური სამსახური დაიწყო 1974 წელს ავსტრალიაში, იყო ნუნციატურის ატაშე. შემდეგ ორი წელი (1975—1977 წწ.) მუშაობდა ახალ გვინეაში ნუნციატურის მდივნის თანამდებობაზე. ამის მერე ოთხი წელი (1977—1981 წწ.) მან იმსახურა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკაში, ხოლო შემდეგ ექვსი წელი (1981—1987 წწ.) ნიკარაგუას რესპუბლიკაში, ორი წელი — ბურუნდიაში (1987—1989 წწ.) და ოთხი წელი (1989—1993 წწ.) — ფილიპინებში.

§ 2. კათოლიკობისა და მართლმადიდებლობის წარმოშობა

ქრისტიანობა დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ აღმოცენდა რომის იმპერიის განაპირა ოლქის იუდეის დიასპორაში. ახ. წ. აღრიცხვის IV საუკუნეში იგი გახდა ოფიციალური სახელმწიფო რელიგია. მაშინ რომის იმპერია იყო უზარმაზარი სახელმწიფო. ჩრდილოეთით მისი საზღვრები გადიოდა მდინარეებზე რაინსა და დუნაიზე, აღმოსავლეთით აღწევდა მდ. ევფრატამდე, სამხრეთით — მდ. ნილოსის პირველ ჭორომამდე, დასავლეთით — გიბრალტარამდე. იმდროინდელ რომაელთა წარმოდგენით, იმპერია იყო „დასახლებული ქვეყანა", „ოიკუმენი"[1], ხოლო სხვა, ვინც ცხოვრობდა მის ფარგლებს გარეთ, ითვლებოდა ბარბაროსად (მათთვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკედ). ერთიან იმპერიას ერთი იმპერატორი შეეფერებოდა (ყოველ შემთხვევაში თეორიაში მაინც), ერთი ღმერთი და ერთი რელიგია — ქრისტიანობა.

მაშინ ერთიან ქრისტიანულ ეკლესიას ეწოდებოდა „მსოფლიო" (კათოლიკური), რადგან იგი მოიცავდა ყველა ოიკუმენს და იმპერიის ზოგიერთ მახლობელ ადგილებს. მას ასევე ეწოდებოდა „მართლმადიდებლური", რადგან უკანონოდ აცხადებდა ერესს და იცავდა თავისი მოძღვრების სისწორეს. ამდენად, ეკლესია ერთდრო-

ულად იყო კათოლიკურიც და მართლმადიდებლურიც. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოხდა მისი გათიშვა.

კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესია აღმოცენდა გათიშვის, ანუ „სქიზმის“ (Schisma)[2] შემდეგ. როგორ მოხდა, რომ ერთიანი ეკლესიის შიგნით, რიცა „ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება“ (ეფესელთა მიმართ: 4-5), მოხდა სერიოზული უთანხმოებები, რომელმაც გამოიწვია სქიზმა ანუ გათიშვა? ამის საფუძვლები უმთავრესად საძებნია დასავლეთისა და აღმოსავლეთის სისტემების სხვაობაში, რადგან ამან უშუალო გავლენა მოახდინა ამ ეკლესიების ხასიათზე. ახლა ვნახოთ, თუ რაში მდგომარეობდა ეს სხვაობა.

პირველი, დასავლეთის ეკლესია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით იყო ფეოდალური. VIII საუკუნეში მისი მონასტრები უკვე მიწის უზარმაზარი ადგილ-მამულების მესაკუთრენი გახდნენ. ამ მიწებზე მრავალი ათასი ფეოდალურად დამოკიდებული გლეხი ცხოვრობდა. ეპისკოპოსები ნამდვილი ფეოდალ-თავადები იყვნენ, რომელთაც ჰყავდათ საკუთარი ჯარი და ჰქონდათ თავიანთი სასამართლო. ასეთი მამულები ბიზანტიის ეკლესიას არ ქონდა. იგი მეტად უმნიშვნელო იყო, ხშირად ცხოვრობდა ე. წ. სოლემნიების — სახელმწიფო გადასახადის გარკვეული წილის წყალობის, იმპერატორებისა და დიდებულების გულმოწყალების ხარჯზე. დასავლეთში უკვე VIII საუკუნისათვის განმტკიცდა საეკლესიო მეათედი. ხოლო ბიზანტიაში X საუკუნის დასასრულამდე ეკლესიას არავითარი სავალდებულო გადასახადები არ ჰქონდა დაწესებული. აქ გვიან შემოიღეს ზოგიერთი გადასახადი. მეათედი კი საერთოდ ბიზანტიაში არ იკრიფებოდა[3].

დასავლეთის ეკლესია ასახავდა რა ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურას, უფრო არისტოკრატიული და კორპორაციული იყო, ვიდრე ბიზანტიისა. ამავე დროს იგი გახდა განათლების მონოპოლიური მფლობელი. მაშინ, როდესაც ბიზანტიაში აღორძინდა მხოლოდ საერო სკოლები, აქ საერო კარიერა არ უპირისპირდებოდა სასულიერო. მაგ. მოხელეს ანდა უნივერსიტეტის პროფესორს შეეძლო მაღალი სასულიერო თანამდებობა დაეკავებინა. დასავლეთში ეპისკოპოსები და აბატები წარმოშობით იყვნენ ცნობილი არისტოკრატიული გვარებიდან და მღვდლის სამოსელის ქვეშ ისევ ფეოდალებად რჩებოდნენ. ბიზანტიაში ეკლესიის შიგნით იერარქიული გრადაცია კი ძალზე გაურკვეველი იყო[4]. დასავლეთში ეკლესიის შიგნით უმაღ-

ლეს სამღვდელოებას, რიგით მღვდლებსა და ბერებს შორის ზღვარი უფრო მკვეთრი გახდა.

მართალია, დასავლეთის ეკლესია ფეოდალური დაწესებულება იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ატარებდა უნივერსალიზმის (საყოველთაობის) იდეას და შუა საუკუნეების დაქუცმაცებული სამყაროს გამაერთიანებლად გამოდიოდა. ეს უმთავრესად ვლინდებოდა დასავლეთის იმპერიის აღდგენის მცდელობის დროს, რომელსაც ახორციელებდა არა მხოლოდ კარლოს დიდი, ხოლო გვიან გერმანიის იმპერატორები, არამედ რომის პაპები. ბიზანტიის ეკლესიის წინაშე უნივერსალიზმის იდეა არასოდეს იდგა ასე მწვავედ, რადგან აქ ცენტრისკენული ტენდენციების მატარებელი თვით სახელმწიფო იყო. ამიტომ ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირი აღმოსავლეთში აღმოჩნდა მნიშვნელოვანწილად უფრო მტკიცე, ვიდრე დასავლეთში. დასავლეთის სამღვდელოება ხშირად თავისი მეფეების მეთაურობით ორიენტაციას იღებდა რომის პაპზე, რომელიც VIII საუკუნიდან გახდა პაპის ოლქის დამოუკიდებელი ხელმწიფე, ხოლო აღმოსავლეთის სამღვდელოება — მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორზე.

ბიზანტიაში საეკლესიო ორგანიზაციის სათავეში უშუალოდ იდგა იმპერატორი. იგი ითვლებოდა არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურად, არამედ პირველიერარქადაც. „ბიზანტიის იმპერატორები, — წერდა XII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი და მწერალი ნიკიტა ხონიატი, — დიდ შეურაცხყოფად თვლიდნენ, თუკი მათ არ მიიჩნევდნენ ისეთ ბრძენად, როგორც სოლომონ მეფეს, ერთი სიტყვით, ღვთიურ და ადამიანურ საქმეებში შეუცდომელ მსაჯულებად“. XII საუკუნის ერთი ქრონისტი წერს: „იმპერატორი არის ეკლესიის უმაღლესი უფალი და სარწმუნოების დამცველი“[5].

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების განსხვავება ბევრად იყო განპირობებული იდეური ტრადიციებითაც. დასავლეთის ეკლესია ეყრდნობოდა რომის იურიდიული აზრის მიღწევებს, ხოლო აღმოსავლური — ბერძნულ იდეალისტურ ფილოსოფიას, პირველ რიგში ნეოპლატონიზმს. ამასთან დაკავშირებით ორივე ეკლესია სავსებით სხვადასხვაგვარად სვამდა ძირითად მსოფლმხედველობრივ პრობლემებს.

IV—V საუკუნეებში ქრისტიანულმა ეკლესიამ შეიმუშავა სარწმუნოებრივი მოძღვრების საფუძვლები, კერძოდ, წარმოდგენები ღმერთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ. ამასთან ერთად დასავლეთსა

და აღმოსავლეთში მიმდინარეობდა კამათი და მსჯელობები სხვადასხვა საგნებზე.

დასავლეთში მსჯელობის მთავარ საგნად იქცა ეთიკური პრობლემები, პირველ რიგში, ცოდვის პრობლემა. პელაგიის[6] მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი ფლობს თავისუფალ ნებას და შეუძლია მიჰყვეს რა ქრისტეს ზნეობრივ მაგალითს, თავიდან აიცილოს ცოდვა და მისდიოს უბიწო ცხოვრებას. მათ ედავებოდა ავგუსტინი,[7] რომელიც ასწავლიდა, რომ ადამიანი უკვე იბადება პირველქმნილი ცოდვით დამძიმებული (ე. ი. მემკვიდრეობით მიღებული ადამისა და ევასაგან) და თვით იგი თავისი ნებით უძლურია ცოდვისაგან გათავისუფლდეს.

აღმოსავლეთში ადამიანის იგივე მისწრაფება ხსნისათვის გამოიხატება ღმერთის ბუნების განხილვის საკითხში. პირველ რიგში განიხილებოდა სამების საკითხი, თუ როგორია სამების პირთა თანაფარდობა, როგორია ღვთაებრივისა და ადამიანურის თანაფარდობა ქრისტეში. „ბიზანტიის ეკლესია ამტკიცებდა, რომ ქრისტე არის ღმერთკაცი, ჭეშმარიტი ღმერთი, თანაარსი მამა-ღმერთისა (ე. ი. ერთიანი ბუნების იმავე არსის მფლობელი) და ამასთან ერთად სრულქმნილი (ე. ი. ჭეშმარიტი) ადამიანი"[8].

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ღვთისმეტყველთა კამათში ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი იყო სამების პირთა თანაფარდობის საკითხი, ანუ ე. წ. საკითხი „ფილიოკვეს" შესახებ. ლათინური სიტყვა „Filioque" აღნიშნავს „და ძისაგანაც". ამასთან ერთად მხედველობაშია დასავლეთის ეკლესიის მიერ რწმენის სიმბოლოში დამატების შემოღება. ამ დამატების თანახმად, აღმოჩნდა, რომ სულიწმიდა გამოდიოდა არა მხოლოდ მამა-ღმერთისაგან (როგორც ასწავლიდნენ აღმოსავლეთის თეოლოგები), არამედ „ძისაგანაც". აღმოსავლეთის ეკლესია კატეგორიულად უარყოფდა „ფილიოკვეს". შევეცადოთ გავერკვეთ დავის ამ არსში.

დავა სამების შესახებ შეესაბამებოდა შუა საუკუნეების ადამიანების დიდ ფილოსოფიურ შეკითხვებს ერთიანობისა და მრავლის თანაფარდობის შესახებ. იმ დროს ასეთი თავისებური ფორმით ცდილობდნენ დაესვათ და გადაეწყვიტათ დიდი ფილოსოფიური საკითხი ერთიანობისა და მრავლის თანაფარდობის შესახებ. ამასთან ერთად აღმოსავლეთის ღვთისმეტყველებს აქცენტი გადაჰქონდათ სამების პირთა დამოკიდებულებაზე (მამა-ღმერთის, ძე-ღმერთისა და სული-

წმიდის). მაშინ როდესაც, დასავლეთის თეოლოგები, პირიქით, ხაზს უსვამდნენ სამების ბუნების ერთიანობას. ამ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო საკითხში ჩაერია ძალზე რეალური გარემოება, რომელმაც შუა საუკუნეების პირობებში შეიძინა თავისებური ჟღერადობა.

ბერძენი ღვთისმეტყველები დაჟინებით უსვამდნენ ხაზს სამების მონარქიულ საწყისს; ლათინელებთან პოლემიკაში ისინი დაუსრულებლივ იმეორებდნენ IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მწერლის ბასილი კესარიელის[9] სიტყვებს იმის შესახებ, რომ ძე-ღმერთი და სულიწმიდა არის მამა-ღმერთის მარჯვენა და მარცხენა ხელი. მამა ღმერთი მიიჩნევა სამების ორი სხვა პირის ერთიან საერთო წყაროდ. სახარების ცნობილი სიტყვები: „მამა ჩემზე უმეტესია" (იოანე: 14 : 28), XI—XII საუკუნეებში განუწყვეტლივ იქცევდა ბიზანტიელ ღვთისმეტყველთა ყურადღებას. ისინი მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ აეხსნათ ეს ფრაზა. საბოლოოდ, ბიზანტიის პოლიტიკური აზროვნებისათვის მახლობელი დარჩა. სამებაში მონარქიზმის წარმოდგენა.

„ფილიოკვეს" პრინციპი სამების პირთა თანაფარდობაში ხაზს უსვამდა არა მონარქიულ, არამედ იერარქიულ პრინციპს. სიმბოლოსადმი დამატების შესაბამისად აღმოჩნდა, რომ ძე-ღმერთი დაბადებულია მამა-ღმერთის მიერ, ხოლო სულიწმიდა გამოდის როგორც ერთისაგან, ისე მეორისგანაც.

„ფილიოკვეს" სიმბოლოსადმი დამატებაში გამოჩნდა სხვა მომენტიც. დასავლური ღვთისმეტყველება ქრისტეს (ძე-ღმერთს) ამაღლებდა სულიწმიდაზე, ხოლო აღმოსავლური — სულიწმიდას ქრისტემდე. დასავლეთის მორწმუნეობაში ცენტრში იდგა ქრისტეს ფიგურა. ჯვარცმა — ქრისტეს გამოსახვა ჯვარზე დასავლური ტაძრისათვის გახდა მთავარი წმიდა სალოცავი. აქ ქრისტეს თაყვანისცემა აღწევდა უკიდურესი ეგზალტაციის ფორმას[10].

ბიზანტიაში ქრისტე არასოდეს არ იყო ასეთი მხურვალე თაყვანისცემის ობიექტი. პირიქით, აქ მორწმუნეობა თავმოყრილი იყო სულიწმიდის სახის გარშემო. მოციქულებზე სულიწმიდის ვადმოსვლა (რომლის პატივსაცემად ზეიმობდნენ სულთა დღეს) განიხილებოდა, როგორც ადამიანის სულიერი ცხოვრების საწყისი მომენტი[11].

ეს განსაზღვრება გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საღვთისმეტყველო წარმოდგენით ქრისტეს მისია მიმართულია მთე-

ლი კაცობრიობისადმი, მაშინ, როდესაც სულიწმიდას მოღვაწეობა მიმართულია ყოველი ცალკე არსებისადმი. ქრისტეს მისია აერთიანებს კაცობრიობას, ხოლო სულიწმიდას მოღვაწეობა, პირიქით, უაღრესად ინდივიდუალურია.

აღმოსავლეთის ღვთისმეტყველებაში ინდივიდუალიზმი სხვა თვისებებშიც გამოჩნდა. კერძოდ, აქ დაიწყო მისწრაფება იმისაკენ, რასაც „მართლმადიდებლობის მამად" წოდებულმა ღვთისმეტყველმა ათანასე ალექსანდრიელმა (295—373) „გაღმერთება" უწოდა, ე. ი. ღვთაებრივთან მისტიკური შერწყმა, რომელიც მიიღწევა არა აღდგომის შემდეგ, არა ზეცაში, არამედ სიცოცხლეში. მისტიკამ ჭეშმარიტ გაფურჩქვნას X—XI საუკუნეთა მიჯნაზე სიმონ ღვთისმეტყველის შემოქმედებაში მიაღწია. სიმონის ეთიკა გამსჭვალულია ინდივიდუალიზმით: მისი სწავლებით, ადამიანმა მხოლოდ თავისთავზე უნდა დაამყაროს იმედი. ასევე ინდივიდუალურია მისი მოძღვრება „ხსნის" შესახებ. სიმონის თანახმად, ადამიანის ინდივიდუალური მოღვაწეობა ქმნის ღვთაებრივი სინათლის დანახვისა და სიცოცხლეში ღმერთთან შეერთების შესაძლებლობას.

ავგუსტინე ნეტარზე დაყრდნობით, დასავლეთის ეკლესიამ შეიმუშავა მოძღვრება პირველქმნილი ცოდვის შესახებ, რომელიც კაცობრიობას აწევს კისერზე ადამისა და ევას დროიდან. წარმოდგენა პირველქმნილი ცოდვის შესახებ დასავლეთის ღვთისმეტყველთა წინაშე ძნელ ამოცანას აყენებს, რომლის მსგავსი არ იცოდა აღმოსავლეთის ღვთისმეტყველებამ. რა მოეხერხებინათ ქალწული მარიამისათვის, ქრისტეს დედისათვის? შეიძლებოდა თუ არა „მარად ქალწული", ღვთისმშობელი მიეჩნიათ, რომ ის ჩასახული იყო ცოდვაში და ატარებდა თავის თავში პირველ ცოდვას, რომლისგანაც ავგუსტინეს მიხედვით, არც ერთი ადამიანი არ არის თავისუფალი? ამის შესახებ მსჯელობაზე თვით ავგუსტინე უარს ამბობს. შემდეგში დასავლეთის ეკლესია ქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ქალწული მარიამი ჩასახული იყო უბიწოდ და ეს თეზისი XIX საუკუნეში გახდა კათოლიკური დოგმატი.

ეს მოძღვრება აღმოსავლეთის ეკლესიამ არ მიიღო არა იმიტომ, რომ აქ ღვთისმშობლის კულტი ნაკლებად იყო განვითარებული, არამედ იმიტომ, რომ ბიზანტიელებისათვის წარმოდგენა პირველქმნილი ცოდვის შესახებ არ აღმოჩნდა არსებითი.

დასავლეთის ღვთისმეტყველთა მოძღვრების მიხედვით ადამიანის

სიკვდილის შემდგომი ტანჯვისაგან ერთადერთი დამცველი აღმოჩნდა ეკლესია, რომელიც ღვთის მადლს ანაწილებს საიდუმლოებების ფორმაში (მონათვლა, ზიარების მიღება, ზეთის კურთხევა და სხვ.). მოძღვრება საიდუმლოებების შესახებ ცნობილი იყო აღმოსავლეთშიც, მაგრამ მრავალი ბიზანტიელი ღვთისმეტყველი ინდივიდუალურ ლოცვას საიდუმლოებებზე მაღლა აყენებდა.

ადამიანის სიკვდილის შემდგომი ბედის შესახებ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ღვთისმეტყველთა წარმოდგენები რამდენადმე დაშორდნენ ერთმანეთს. დასავლეთის ეკლესიის მიერ შექმნილ წესში დომინირებს სასამართლო, რომელსაც მომაკვდავის სულის სამოთხეში ანდა ჯოჯოხეთში გაგზავნის შესახებ უმალვე გამოაქვს გადაწყვეტილება. ბიზანტიელების წარმოდგენით, მომაკვდავის ბედის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოდ გამოტანილი იქნება მხოლოდ „საუკუნის ბოლოს", შორეულ მომავალში, იმ დრომდე სამოთხეში ანდა ჯოჯოხეთში სულის ყოფნა დროებითია.

დასავლეთის ეკლესია თავისი კორპორაციულობით, ბიზანტიისაგან განსხვავებით, საკმაოდ მკვეთრად ემიჯნებოდა საერო ცხოვრებას. დასავლეთის სამღვდელოების განკერძოებულობა განპირობებული იყო ორი მომენტით: პირველი, დასავლეთში შემოღებული იყო ცელიბატი, ე. ი. სამღვდელოების დაუქორწინებლობის პრინციპი, მეორე, დასავლეთში კლირები (სასულიერო პირები) სხვაგვარად ღებულობდნენ ზიარებას, ვიდრე საერო პირები. კლირები ზიარებას ღებულობდნენ პურით (ქრისტეს ხორცი) და ღვინით ჯამიდან (ქრისტეს სისხლი), მაშინ, როდესაც, საერო პირები ზიარებას ღებულობდნენ მხოლოდ პურით. ბიზანტიაში ცელიბატი გავრცელდა მხოლოდ ეპისკოპოსებსა და ბერმონაზვნებზე, ხოლო საერო პირები, მსგავსად მღვდლებისა, ზიარებას იღებდნენ ორი სახით.

დასავლეთის ეკლესია საეკლესიო იერარქიას უფრო დიდ ადგილს აკუთვნებდა. რიგი წეს-ჩვეულებები, რომელსაც ბიზანტიაში უბრალო მღვდლები ასრულებდნენ, დასავლეთში ეპისკოპოსების პრივილეგიები იყო. ეს განსხვავება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ძალზე აკაფიოდ გამოჩნდა მას შემდეგ, როდესაც ბულგარებმა 864 თუ 865 წელს ქრისტიანობა მიიღეს ბიზანტიისაგან. პაპმა ბულგარების მონათვლა გაუქმებულად ჩათვალა, რადგანაც ცერემონია შეასრულეს უბრალო მღვდლებმა და არა ეპისკოპოსებმა.

დასავლეთში პაპი უცილობელი ავტორიტეტის მფლობელი იყო.

აღმოსავლეთში კი ვითარდებოდა პენტარხიის (ხუთხელისუფლებიანობის) თეორია. აქ ამბობდნენ, რომ გრძნობის ხუთი ორგანოს მსგავსად, რომლებიც წარმართავენ ადამიანის ორგანიზმის მოქმედებას, ეკლესია უნდა წარმართოს ხუთმა პატრიარქმა[13]. აღმოსავლეთის ეკლესია პატრიარქებზე მაღლა აყენებდა კრებებს, უმაღლესი სამღვდელოების ყრილობებს იმპერატორის თავმჯდომარეობით. აქ კანონიკური (საეკლესიო) სამართლის წყაროდ თვლიდნენ საეკლესიო კრების დადგენილებებს (წესებს), დასავლეთში — პაპის დეკრეტალიებს (ახსნა-განმარტებებს).

დასავლეთის ეკლესიის უნივერსალიზმთან მჭიდროდაა დაკავშირებული საკითხი ღვთისმსახურების ენის შესახებ. ფეოდალურად დაქუცმაცებულ მრავალეროვან დასავლეთ ევროპაში ეკლესიამ შეინარჩუნა ღვთიმსახურების ერთიანი ლათინური ენა, რომელიც იყო უნივერსალური ერთიანობის სიმბოლო. ბიზანტიის ეკლესია, პირიქით, არასოდეს არ ითხოვდა, რომ ბერძნული ენა ყოფილიყო ღვთისმსახურების ერთადერთი ენა და უშვებდა, რომ ქრისტიანებს ღმერთისათვის მიემართათ საკუთარ ენაზე.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის არსებული ეს განსხვავებები არ იყო შემთხვევითი. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი იმ სოციალურ და პოლიტიკურ თავისებურებებთან, რომელიც დამახასიათებელი იყო ორივე ეკლესიისათვის. განსხვავებების შედეგად წარმოქმნილმა გარკვეულმა სისტემამ საბოლოო ჯამში განაპირობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების საზოგადოებრივი როლი.

ამ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის განსხვავებებს თან დაერთო ესთეტიკური თავისებურებანი.

ბერძენი ღვთისმეტყველებისაგან განსხვავებით, დასავლეთის ღვთისმეტყველებისათვის დამახასიათებელი იყო დიდი ემოციური დაძაბულობა. ლათინებისათვის ქრისტეს ცხოვრებაში უმთავრესი ეპიზოდი იყო მისი ჯვარცმა. ბერძნები, პირიქით, წინა პლანზე სწევდნენ მის ხორცშესხმას (ღმერთის მიერ ადამიანური სხეულის მიღებას) და აღდგომას. სწორედ ხორცშესხმა და აღდგომა მიაჩნდა ბიზანტიურ ღვთისმეტყველებას კაცობრიობის ხსნის საწინდრად. საღვთისმეტყველო შეხედულებებთან გარკვეულწილად დაკავშირებული ესთეტიკური პრინციპები ხშირად ურთიერთ საყვედურის საგანი ხდებოდა. XI საუკუნეში ანონიმი ბიზანტიელი ავტორი, დასავ-

ლეთის სამღვდელოებას ნაკლად უთვლიდა იმას, რომ ლათინურ ეკ-ლესიებში, გარდა ჯვარცმისა, არ ჰქონდათ სხვა გამოსახულებები და ესეც არა ხატწერილი, არამედ სკულპტურული ფორმისა იყო.

ეკლესიათა შორის კამათში დიდ ადგილს იკავებდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ჩაეცვათ, როგორ გაკრეჭილიყვნენ მღვდლები. სამღვდელოების გარეგნობაც განასახიერებდა ეკლესიათა განსხვავებას. XI საუკუნიდან განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა ზიარებისათვის პურის დამზადების წესში არსებულ განსხვავებას. დასავლეთის ეკლესია სარგებლობდა უსაფუარო ცომით, ბერძნული კი — საფუარიანით.

დავის გამწვავებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ენობრივმა განსხვავებამაც: სანამ ორივე ეკლესია შედიოდა ერთიანი იმპერიის შემადგენლობაში, ლათინური და ბერძნული ენა მოქმედებდა დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. V საუკუნიდან ენობრივი გამიჯვნა მეტისმეტად სწრაფად განხორციელდა. დასავლეთის განათლებული წრეებიც კი ივიწყებდნენ ბერძნულს და ადრე შუასაუკუნეებში მხოლოდ იტალიასა და შორეულ ირლანდიაში იქნა შენარჩუნებული მონასტრები, სადაც ბერებს შეეძლოთ ახალი აღთქმა წაეკითხათ დედანში. შესაბამისად ბიზანტიაში ლათინურმა ენამ შეწყვიტა ყოფილიყო სამართლისა და ადმინისტრაციის ენა. ორივე მხარემ ცუდად იცოდა და კიდევ უფრო ცუდად ესმოდათ ერთმანეთისა.

- რასაკვირველია, ენის დაკარგვა არ განაპირობებდა სქიზმას, მაგრამ იგი აძლიერებდა განკერძოებულობას და, მაშასადამე, აადვილებდა განხეთქილებას.

ამრიგად, მიუხედავად ორივე ეკლესიის საზოგადოებრივი ფუნქციის მსგავსებისა, მათ შორის განსხვავება იზრდებოდა. ეს განსხვავებები არ იყო იმის შედეგი, რომ ერთი სარწმუნოება ჭეშმარიტი იყო, ხოლო მეორე მცდარი (როგორც ამტკიცებდნენ ღვთისმეტყველები და კონფესიონალური ისტორიკოსები). ისინი მომდინარეობენ დასავლეთსა და ბიზანტიაში ეკლესიის სოციალური, პოლიტიკური, იდეური, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების თავისებურებებიდან, რომლებიც ყალიბდებოდნენ საუკუნეების მანძილზე ეკლესიათა გათიშულობის პირობებში.

მაგრამ ეს განსხვავებები ქმნიდნენ მხოლოდ წანამძღვრებს სქიზმისათვის. გაყოფა რეალურად განაპირობა პოლიტიკურმა ბრძოლებმა.

გვიანი რომის იმპერიის საეკლესიო ორგანიზაცია მსგავსი იყო რომის ადმინისტრაციული სისტემისა. საეპისკოპოსო ცენტრები აღმოცენდნენ პროვინციათა ცენტრებში და იმპერიის ადმინისტრაციული რუკის გადაკეთებისას საკმაოდ ხშირად გადაკეთდებოდა თვით დიოცეზის რუკაც. საეპისკოპოსოები ერთიანდებოდნენ სამიტროპოლიტოებში ანდა საარქიეპისკოპოსოებში, მიტროპოლიები — საპატრიარქოებში. V საუკუნისათვის ჩამოყალიბდა ხუთი საპატრიარქო: ოთხი მათ შორის აღმოსავლეთში (ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის), მეხუთე — დასავლეთში, იმპერიის ძველ დედაქალაქ — რომში. საპატრიარქოთა შორის პირველობით სარგებლობდა რომის საპატრიარქო, მეორე ადგილი (ალექსანდრიის საპატრიარქოსთან შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ) დაიკავა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ.

V საუკუნის დასაწყისში რომის იმპერია დაიშალა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმპერიად. ამ საუკუნის დასასრულს დასავლეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. ის დაიპყრეს გერმანელებმა, მაგრამ ამას ეკლესიათა გათიშვის საქმეში ჯერჯერობით არსებითი როლი არ შეუსრულებია, რადგან რომის ეკლესია ისევ რჩებოდა დანარჩენი ეკლესიების მეთაურად. ამავე ხანებში აღმოსავლეთის ეკლესიაში გაძლიერდა თეოლოგიური კამათი. კონსტანტინოპოლის პატრიარქი აკაკიუსი (472—489) ამცირებდა ქალკედონიის საეკლესიო კრების გადაწყვეტილების მნიშვნელობას და მიისწრაფოდა, თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა აღმოსავლეთის ყველა ეპარქიაზე. ამასთანავე მისი გადასვლა მონოფიზიტობაზე ხელს უწყობდა სქიზმას. შედეგიც არ აყოვნებდა. 484 წელს რომში სინოდზე შეკრებილმა ლათინმა ეპისკოპოსებმა დაგმეს აკაკიუსი და პაპმა ფელიქს III-მ (483—492) ანათემა გამოუცხადა კონსტანტინოპოლის ეკლესიას. ასე მოხდა პირველი განხეთქილება ანუ სქიზმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანებს შორის. იგი დაახლოებით 40 წელს გაგრძელდა.

ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527—565) მხარი დაუჭირა ქალკედონიის დოქტრინის მომხრეებს და გაუსწორდა მონოფიზიტებსა და არიანელებს. ამდენად მან საქმე პაპის სასარგებლოდ გადაწყვიტა. იუსტინიანემ კიდევ ერთხელ აღიარა რომის ეკლესიის უპირატესობა და იგი ყველა ეკლესიის დედად მიიჩნია, მაგრამ მის მიერ იტალიის დაპყრობამ თავისი ასახვა ჰპოვა რომის ეკლესიაშიც. იმპერატორი ნიშნავდა რომის პატრიარქებს (პაპებს) და ისინი, ბუ-

ნებრივია, ბიზანტიის პოლიტიკას ატარებდნენ. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელიც თავისი მდგომარეობის გამო ყველაზე ახლოს იყო საიმპერატორო კართან, მიისწრაფოდა პირველობის მოსაპოვებლად.

ამ ტენდენციას გარკვეულწილად გამოხატავდა პატრიარქ იოანე მემარხულეს (582—595) მიერ მსოფლიო პატრიარქის ტიტულის მიღება, რამაც რომის პაპების მკვეთრი პროტესტი გამოიწვია. ამ დროის პაპების დამოუკიდებელ პოლიტიკაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამის მაგალითად გამოდგება პაპი მარტინ I-ის (649—655) ბედი. იგი შეეცადა დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა. კერძოდ, მან ლატერანში 649 წელს შეკრიბა ეპისკოპოსთა სინოდი, სადაც დაგმო მონოთელიტობა[14], ასევე იმპერატორ ჰერაკლესა და კონსტანსა II-ის რელიგიური ედიქტები. ამას მოჰყვა იმპერატორის სწრაფი რეაქცია. მან თავის ნაცვალს რავენაში უბრძანა, რომ პაპი მოეტაცათ და ჩაეყვანათ კონსტანტინოპოლში. აქ მარტინი ციხეში ჩააგდეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ იმპერატორმა ეს მას ყირიმში გადასახლების „შეწყალებით" შეუცვალა. იგი ხერსონში გარდაიცვალა 655 წელს დაუძლურებისაგან. მისი სახელი წმიდა წამებულთა სიაშია შეტანილი[15].

ამ დროს პაპობა იბრძოდა არა ეკლესიის მეთაურობისათვის, არამედ პირობითი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ბრძოლა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: პირველი, პაპებმა შეძლეს რომის ეკლესია გადაექციათ დიდ ეკონომიკურ ძალად, მეორე, აემაღლებინათ მისი პოლიტიკური ავტორიტეტი. VI—VII საუკუნეებში იტალია განიცდიდა მძიმე დროს. ქვეყანაში არ წყდებოდა ომები. ლანგობარდებმა შეავიწროეს ბიზანტიელები ქვეყნის ჩრდილოეთში და ახლა დაემუქრნენ სამხრეთს:

ამასობაში თვით ბიზანტიაში შეიქმნა ისეთი სიძნელეები, რომელმაც იგი მოსწყვიტა იტალიის საქმეებს. VII საუკუნის შუა ხანებიდან იმპერიას შეუტიეს არაბებმა და წაართვეს აღმოსავლეთის მიწები: სირია, პალესტინა, ეგვიპტე. არაბთა ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა აღმოსავლეთის ხამი ხაპატრიარქო — ანტიოქია, იერუსალიმი და ალექსანდრია. სლავებმა VII საუკუნის მანძილზე დაიკავეს ბალკანეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და ბიზანტიასა და იტალიას შორის გაიხიდნენ. ამან პაპებს საშუალება მისცა უფრო თავისუფ-

ლად ემოქმედათ კონსტანტინოპოლსა და ლანგობარდებს შორის. მათი მდგომარეობა რამდენადმე დამოუკიდებელი გახდა.

VII საუკუნის დასასრულისათვის რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე II-მ 691 წელს კონსტანტნოპოლში განაახლა მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების სხდომები. ეს კრება ცნობილია „Quinisextum"-ის სახელწოდებით. ზოგჯერ მას უწოდებდნენ ტრულის (in Trullo) კრებას, ვინაიდან კრების სხდომები მიმდინარეობდა იმპერატორის სასახლის დარბაზში, სადაც მრავლად იყო გუმბათები. ამ კრების მთავარი მიზანი იყო, მოეგვარებინა საეკლესიო სამართლებრივი ურთიერთობები და ამით შეევსო V და VI კრებების ხარვეზი საეკლესიო სამართლის საკითხებში.

რომის პაპმა სერგი I-მა (687—701) კრებაზე გაგზავნა ორი ლეგატი. კრების კანონები (გამოცემული იქნა 102 კანონი) მიზნად ისახავდა, აემაღლებინა ქრისტიანული მორალი და ბოლო მოეღო წარმართული ჩვეულებების გადმონაშთებისათვის. პაპის ლეგატებმა კრების გადაწყვეტილებები დაამტკიცეს, მაგრამ პაპი სერგი წინააღმდეგი გამოვიდა, რადგან ჩათვალა, რომ კრება დასავლეთის ქრისტიანებს თავს ახვევდა იმ ჩვეულებებს, რომელიც გაბატონებული იყო აღმოსავლეთში.

ამის პასუხად იმპერატორმა იუსტინიანემ ძალის გამოყენებით სცადა პაპის დამორჩილება. მან რომში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ვინმე ზაქარია, რომელსაც ევალებოდა პაპის დაპატიმრება და კონსტანტინოპოლში იმპერატორის სასამართლოზე ჩამოყვანა. მართალია, ამ განზრახვის შესრულება შეუძლებელი გახდა, მაგრამ ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ურთიერთობის გაწყვეტა.

VIII საუკუნეში ბიზანტიაში დაიწყო ხატმებრძოლთა მოძრაობა. მას სათავეში ედგა იმპერატორი ლეონ III (717—741) და მისი გარემოცვა. იმპერატორი მიიღტვოდა, ხელთ ეგდო საეკლესიო სიმდიდრე და თვით ეკლესია უშუალოდ გაეხადა მასზე დამოკიდებული. ხატის კულტი გამოცხადდა კერპთაყვანისმცემლობად. ხატის ძვირადღირებული მოჭედილობა, საეკლესიო ნივთები, ყუთები წმინდანთა ნაწილებით ჩამორთმეული იქნა. აქვე უნდა ითქვას, რომ დღესაც ბოლომდე აუხსნელია, თუ რა მიზეზით წარმოებდა ხატის კულტის წინააღმდეგ ბრძოლა.

პაპები გამოვიდნენ ხატმებრძოლების წინააღმდეგ. ბრძოლა ძალზე მწვავედ მიმდინარეობდა: პაპმა გრიგოლ III-მ (731—741) ოფიციალურად დაგმო ხატმებრძოლები. ამის საპასუხოდ იმპერატორმა ლეონ III-მ პაპის ელჩები ციხეში ჩააგდო. შემდეგ მან გაგზავნა თავისი ფლოტილია და სიცილიასა და კალაბრიაში დაიპყრო პაპის სამფლობელოები. იმპერატორმა პაპს ჩამოართვა ძალაუფლება ილირიაზე (დასავლეთი იუგოსლავია) და მის მიერ დაკავებული ყველა ტერიტორია კონსტანტინოპოლის პატრიარქს გადასცა. მაგრამ საეკლესიო სქიზმა VIII საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო. ბიზანტიის საძღვდელოება და, განსაკუთრებით ბერმონაზვნობა, თვით ეწინააღმდეგებოდა იმპერატორის ხატმებრძოლურ პოლიტიკას და, ბოლოს და ბოლოს, ბიზანტია ისევ ხატთაყვანისცემას დაუბრუნდა.

787 წელს ნიკეაში VII საეკლესიო კრებამ ისევ აღადგინა ხატთაყვანისცემა. ეს პაპობის დიდი გამარჯვება იყო. ხატთაყვანისმცემელთა საბოლოო გამარჯვება გაფორმდა 843 წელს. ამგვარად, რომის პაპი კვლავ იქნა აღიარებული ყველა ეკლესიის მეთაურად და მოციქულ პეტრეს შთამომავლად. ასე რომ, 787 წელს რადიკალურად გაუმჯობესდა პაპობასა და აღმოსავლეთის ეკლესიას შორის ურთიერთობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკლესია სრულად განზე იდგა ბიზანტიის ხატმებრძოლობიდან და დევნილ ხატთაყვანისმცემლებს მფარველობდა კიდეც. ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ასეთმა ურყევმა დაცვამ მას შორს გაუთქვა სახელი[16].

რომის იმპერიის დასუსტებამ — ჩრდილოეთ იტალიაში ლანგობარდების მიერ ახალი გერმანული სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ — რომისა და კონსტანტინოპოლის ურთიერთობაშიც წარმოშვა ბზარი. იზრდებოდა ლანგობარდების მიერ რომის დაპყრობის საშიშროება. რომის პაპებმა რამდენჯერმე დაიცვეს რომი ლანგობარდებისაგან და ბიზანტიის იმპერატორთანაც შეინარჩუნეს თანხმობა. მაგრამ ეს თანხმობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რადგან რომს უნდა ენახა რეალური მფარველი, რომელიც დამპყრობლებისაგან დაიცავდა. ამ ფუნქციას კი ბიზანტიის იმპერატორი ვერ შეასრულებდა. ამიტომ პაპმა სტეფანე II (III)-მ (752—757) კაროლინგთა დინასტიას თხოვა დახმარება. სანაცვლოდ აღუთქვა მორალური მხარდაჭერა. 754 წელს ფრანკებმა გაანადგურეს ლანგობარდები და პაპმა ფრანკთა მეფეს პიპინ მოკლეს (751—768) სამეფო გვირგვინი დაადგა და დაადგინა, რომ ამიერიდან ფრანკებს მონარქად მხოლოდ პიპინის შთა-

მომავლები უნდა აერჩიათ. თავის მხრივ მეფემ სტეფანე II დიდი პატივისცემით მიიღო და ლანგობარდებისაგან წართმეული რავენის ეგზარხატი რომთან ერთად საჩუქრად გადასცა. ასე ჩაეყარა საფუძველი პაპის ოლქს, რომელმაც 1870 წლამდე იარსება.

პაპის ამ სახელმწიფოს აღმოცენებამ დაასრულა რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ჭიდილის პირველი ეტაპი. ამ ეტაპზე პაპობამ შეძლო ბიზანტიის კონტროლისაგან გამოსვლა და დამოუკიდებლობის მიღწევა. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კონსტანტინოპოლთან ძველი ურთიერთობის გაწყვეტას, რადგან პიპინის ნაჩუქარი ტერიტორიები კვლავაც ბიზანტიის იმპერატორის ძალაუფლების ქვეშ რჩებოდა.

დიდი განხეთქილება მოხდა პაპ ლეონ III-ის (795—816) პონტიფიკატის დროს. ფრანკთა მეფე კარლოს დიდმა (768—814) გაანადგურა ლანგობარდების სახელმწიფო და რომის პაპისაგან 800 წელს იმპერატორის ტიტული მიიღო. კონსტანტინე VI-ის გარდაცვალების შემდეგ პაპი იმპერატორის ტახტს კონსტანტინოპოლში ფაქტიურად ცარიელად თვლიდა. კონსტანტინოპოლში ეს აქტი აღიქვეს, როგორც ღალატი და აჯანყება ნამდვილი იმპერატორის წინააღმდეგ. კარლოს დიდმა სწრაფად შეაფასა ამ აქტის მნიშვნელობა და გადაწყვიტა, კონსტანტინოპოლის დედოფალზე თავისი ქორწინებით მოეხდინა პაპის ქმედების ლეგალიზება, მაგრამ დედოფალი ტახტიდან გადააგდო ნიკიფორე I-მა. კარლოს დიდსა და ნიკიფორე I-ს შორის გამართულ ომში კარლოსმა გაიმარჯვა და იგი ბასილევსად იქნა აღიარებული. ამის შემდეგ კარლოს დიდი თავს რომისა და იტალიის მბრძანებლად თვლიდა. ახლა ქრისტიანულ სამყაროში ორი იმპერატორი მბრძანებლობდა: აღმოსავლეთისა და დასავლეთის.

ამ მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა რომის ეკლესიის თავისუფლებაზე და ძველ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც პაპის არჩევა ხდებოდა რომაელთა მიერ. ფრანკთა მეფეების ჩარევა პაპის არჩევაში რომაელებს არ მოსწონდათ და რომის არისტოკრატიასა და კაროლინგთა დინასტიას შორის ერთგვარი ბრძოლა გაჩაღდა. ბოლოს მაინც მოხერხდა, რომ პაპის არჩევა რომის არისტოკრატიის ხელში გადასულიყო, რაც კონსტანტინოპოლს ხელს აძლევდა, რადგან არისტოკრატიის დიდი ნაწილი პრობიზანტიური განწყობილებისა იყო.

ერთი სიტყვით, ამ დროს არ იყო არავითარი საფუძველი რომსა და კონსტანტინოპოლს შორის დავისა. 843 წელს ბიზანტიაში საბო-

ლოოდ აღდგა ხატთაყვანისცემა და ამით გაქრა კონფლიქტი პაპობასთან. მიუხედავად ამისა, ხატთაყვანისმცემელთა გამარჯვების შემდეგ უმალვე რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის წინააღმდეგობებმა იჩინა თავი. ამ წინააღმდეგობების პოლიტიკური შინაარსი ცხადად და გარკვეულად გამოჩნდა.

XI საუკუნიდან იწყება ნელი, ხშირად არათანმიმდევრული პროცესი რომის პაპების აღმავლობისა. რომის პონტიფექსთა უნივერსალისტური პოლიტიკის აქტიურ წინამძღოლად გამოვიდა პაპი ნიკოლოზ I დიდი (858—867), რომელიც გადაჭრით ერეოდა საერო ხელისუფალთა საქმეებში, ეკლესიიდან განკვეთდა და ხსნიდა უმაღლეს სასულიერო პირებს, რამაც მას დიდი პოპულარობა მოუხვეჭა. მისი ხანმოკლე პონტიფიკატი ისტორიაში შევიდა, როგორც პერიოდი, როდესაც პირველად თანმიმდევრულად დაიწყო პაპის თეოკრატიული იდეოლოგიის ჩამოყალიბება. „ნიკოლოზ I-ის აზრით, რომის პაპი ფლობდა ეკლესიაში მთელ ძალაუფლებას და იგი იყო მისი ერთადერთი მეთაური. დანარჩენ სხვა ეპისკოპოსთა ძალაუფლება (აღმოსავლეთსა და დასავლეთში) მომდინარეობს პაპისაგან, რომელსაც უფლება აქვს მსჯავრი დაადოს ნებისმიერ სასულიერო პირს, როგორც მას მოეხასიათება ისე“[17].

პოლიტიკური წინააღმდეგობები არსებითად დავიდა ორ პრობლემამდე: პაპის პირველობის საკითხისა და ტერიტორიულ გამიჯვნის საკითხამდე. რავენის ან რეიმსის საარქიეპისკოპოსოების გამგებლობის მსგავსად ნიკოლოზ I დიდი ცდილობდა სათავეში ჩადგომოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ამ საქმეში ჩარევისათვის ხელსაყრელი მომენტი გამოჩნდა: 858 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ეგნატე (847—858; 867—877) გადააყენეს საერო მესვეურებმა და იგი შეცვალეს მეცნიერითა და დიპლომატით ფოტით (858—867; 877—886), რომელიც რამდენიმე დღეში გაატარეს ყველა იერარქიულ საფეხურზე და საერო პირიდან ბიზანტიის ეკლესიის მეთაურად აქციეს. ამის გამო ეგნატეს მომხრეებმა პროტესტი განაცხადეს და მიმართეს პაპს მხარდაჭერისათვის. ნიკოლოზი მთელი ძალით შეეცადა თავის თავზე აეღო კონსტანტინოპოლის კონფლიქტის გადაწყვეტა, მაგრამ ამაოდ. ბიზანტიის მთავრობა თავისი პრეროგატივების ხელყოფაზე უარს აცხადებდა, ხოლო ოპოზიცია, ძალზე სუსტი იყო და ანგარიშგასაწევ ძალად არ ითვლებოდა. ნიკოლოზის პრე-

ტენზიები უარყვეს, ხოლო თავის პასუხებში ფოტიმ ეჭვის ქვეშ დააყენა პაპის პირველობის პრინციპი ეკლესიაში.

რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ტერიტორიული დავა დიდი ხნის წინათ მწიფდებოდა. ორივე ეკლესია პრეტენზიას აცხადებდა სიცილიის, სამხრეთ იტალიისა და ილირიის მეთაურობაზე. ფოტიმ დემონსტრატიულად დაუჭირა მხარი და დაიახლოვა სირაკუზის არქიეპისკოპოსი გრიგოლ ასვესტი, რომლის უფლებები იმ დროს რომის ტახტის თვალში სადავოდ იყო ქცეული. ფოტის ამ ნაბიჯს რომში შეურაცხმყოფელად მიიჩნევდნენ, მაგრამ ურთიერთობა უმთავრესად გამწვავდა სლავი ხალხის მიერ ქრისტიანობის მიღებასთან დაკავშირებით: მორავიელებმა პირველად ქრისტიანობა მიიღეს ლათინი სამღვდელოებისაგან. შემდეგ შეეცადნენ გათავისუფლებულიყვნენ დასავლეთის გავლენისაგან და 862 წელს მოიწვიეს საეკლესიო მისია კონსტანტინოპოლიდან (ამ მისიას სათავეში ედგა სლავი განმანათლებლები კონსტანტინე (კირილე) და მეთოდე, „სოლუნის ძმები", რომელთაც შექმნეს სლავური დამწერლობა); ბულგარები ასევე მონათვლის შესახებ მოლაპარაკებას ეწეოდნენ რომთან; მაგრამ 864 თუ 865 წელს მათ ქრისტიანობა მიიღეს ბიზანტიელი მღვდლებისაგან.

ორივე მხარეს შორის არსებული წინააღმდეგობები ღია ლანძღვაში გადავიდა. დაბოლოს, 863 წელს ნიკოლოზმა ფოტი ჩამოგდებულად გამოაცხადა. თავის მხრივ ფოტიმ ნიკოლოზი განკვეთა ეკლესიიდან.

პოლემიკის მსვლელობის დროს წამოყენებული იქნა საღვთისმეტყველო და დისციპლინარული საკითხები. ფოტი პირველ ხანებში დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ორივე ეკლესიაში არსებული წესჩვეულებების განსხვავებას: დასავლეთის სამღვდელოების ცელიბატი და აღმოსავლეთში წვერის ტარება მას არ მიაჩნდა უთანხმოების საფუძვლად. გვიან, დავის გამწვავებისას ის საყვედურობდა პაპობას დასავლეთის წეს-ჩვეულებების უარყოფას, მაგრამ საღვთისმეტყველო პოლემიკის მთავარ პუნქტად მისთვის სულიწმიდის გარდამოსვლვის საკითხი რჩებოდა.

ფოტის სქიზმა ხანმოკლე აღმოჩნდა. პოლიტიკურმა მიზეზებმა ისევ შეუწყვეს ხელი რომისა და ბიზანტიის დაახლოებას. ეს მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: პირველი, პაპობა არაბთა საშიშროების წინაშე იდგა. არაბები დაეუფლნენ რა სიცილიას, მიისწრაფოდნენ, დაეკავებინათ სამხრეთი იტალია და ემუქრებოდნენ თვით რომსაც. ამ

ძალის წინააღმდეგ ფრანკთა იმპერიის მხრიდან დახმარების იმედებმა არ გაამართლა — მათ არ ჰყავდათ ის ძალა, რომელიც პიპინისა და კარლოს დიდის დროს გააჩნდათ. არაბების წინააღმდეგ პაპების ერთადერთი რეალური დამცველი იმ დროს შეიძლებოდა მხოლოდ ყოფილიყო ბიზანტიის იმპერატორი. მეორე, ნიკოლოზ I-ის უნივერსალისტური მისწრაფებები უდროო აღმოჩნდა. „იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში რომის პაპის დიდი ჩანაფიქრი, რომ მოეპოვებინა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანებზე სრული ძალაუფლება, საბოლოოდ წარუმატებელი აღმოჩნდა“[18].

ორივე ეკლესიის დაახლოება დაიწყო უკვე IX საუკუნის დასასრულს. 867 წელს ბიზანტიის ტახტი მიიტაცა ახალმა იმპერატორმა ბასილი პირველმა, რომელმაც ძალიან მალე გადააყენა ფოტი. იმავე წელს გარდაიცვალა პაპი ნიკოლოზ პირველიც. პოლემიკა ჩაცხრა და ის არ განახლებულა მაშინაც კი, როდესაც ფოტიმ ხელმეორედ დაიკავა პატრიარქის ტახტი.

დაახლოებით 900 წელს საეკლესიო ერთიანობა ოფიციალურად აღსდგა და პაპის ელჩები X საუკუნის დასაწყისში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ კონსტანტინოპოლში მოწვეულ კრებებში. მაგრამ ეკლესიათა ეს ერთიანობა მხოლოდ გარეგნული აღმოჩნდა. ის ძალები, რომლებიც მათ თიშავდნენ, მოქმედებას აგრძელებდნენ და ადრე თუ გვიან გაყოფა ცხადი უნდა გამხდარიყო.

X—XI საუკუნეებში ურთიერთობა ბიზანტიასა და ლათინებს შორის გამწვავდა. ფრანკებისა და გერმანელების მიერ იტალიის დიდი ნაწილის დაპყრობის შემდეგ რომის ეკლესიაში გერმანულმა ელემენტებმა შეაღწიეს. ამან ბიზანტიელთა თვალში რომის ეკლესიის გაუცხოება გამოიწვია. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ფაქტორს საეკლესიო სწავლებაში წარმოადგენს ნიკეის მრწამსისათვის სიტყვა Filioque-ს (და ძისაგან“) დამატება[19]. მეორე გერმანული ჩვეულება, რომელიც აგრეთვე რომის ეკლესიაში აღმოჩნდა, დაკავშირებული იყო საკუთარი ეკლესიების ფუნქციონირებასთან. საერო პირები, რომლებიც თავისიანი აშენებული ეკლესიების ბატონ-პატრონები იყვნენ, დაიქირაგებდნენ მღვდელს და ამუშავებდნენ. ფაქტიურად ამ წესით საეკლესიო პირები ექვემდებარებოდნენ საერო პირებს. ამან კი გამოიწვია X—XI საუკუნეებში დასავლური ეკლესიების მორალური დაქვეითება (სიმონია, კლეროგამია, ინვესტიტურა). პასუხად რომის ეკლესიაში რეფორმისტულმა მოძრაობამ იფეთქა, რომელმაც ბიზანტიის ეკ-

ლესიაში ვერ ჰპოვა გამოძახილი. ლათინებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ აღმოსავლეთის ეკლესიებში საკუთარ ეკლესიათა არსებობის სისტემა არ იყო. არც ფეოდალური სისტემა აფერხებდა ეპისკოპოსთა საქმიანობას.

ამრიგად რეფორმატორებმა რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მაგივრად ხელისშემშლელი როლი შეასრულეს. რომის იმპერატორ ჰენრიხ III-ის (1039—1056) მიერ რამდენიმე პაპი იქნა დანიშნული. ლეონ IX-ც, რომელიც რეფორმატორული მოძრაობის მხურვალე მომხრე იყო, იმპერატორის მიერ იქნა წამოყენებული პაპობის კანდიდატად. მან ჩაატარა მთელი რიგი საეკლესიო კრებები, რითაც ეკლესიის მდგომარეობა გააუმჯობესა. ლეონ IX-მ მხოლოდ იმის შემდეგ შეძლო თავისი ნომინაციის ლეგალიზება, როცა რომაელები დათანხმდნენ, მიეღო პაპის კვერთხი. ამით მან სიმპათია დაიმსახურა ბიზანტიელებისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიხეილ კირულარიას (1043—1058) თვალში.

კონსტანტინოპოლის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ იტალიის ტერიტორიაზე ლათინთა მიერ რეფორმატორული მოძრაობის დაწყებამ ბიზანტიელების უკმაყოფილება გამოიწვია. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ვითომცდა თავისი ინტერესების დაცვის მიზნით ამ ტერიტორიებზე ლათინთა ეკლესია-მონასტრები დაკეტა და ყველა ლათინურ ინსტიტუტს ბერძნული ტიპიკონის მიღება დაავალა. კირულარიამ მიმართა ოხრიდის არქიეპისკოპოსს ლეონს, რათა ლათინთა ქმედებისაგან თავი დაეცვა. ლათინთა და ბიზანტიელთა ასეთმა დაპირისპირებამ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რაც არ მოეწონა ბიზანტიის იმპერატორს, რადგან ეს ტერიტორიები მის გამგებლობაში იყო და ახალი არეულობა ართულებდა ბიზანტიის ურთიერთობას ნორმანებთან[20].

მიუხედავად ამისა, ბიზანტიასა და რომს შორის ამ დროს პოლიტიკური კავშირი იმდენად აუცილებელი იყო, როგორც არასოდეს. საქმე ისაა, რომ სამხრეთ იტალიაში იმჟამად გამოჩნდა ახალი ძალა, რომელიც ემუქრებოდა რომსა და კონსტანტინოპოლსაც. ესენი იყვნენ ნორმანები, მამაცი მეომარი მძარცველები. ნორმანებმა დაიწყეს პაპის კუთვნილი ტერიტორიების ძარცვა და დაკავება. პაპი იძულებული გახდა დაცვაზე ეფიქრა. მაგრამ რაკი ნორმანთა წინააღმდეგ საჭირო რაოდენობის ჯარის შეგროვება ვერ შეძლო, დახმარებისათვის ბიზანტიის იმპერატორს მიმართა. იმპერატორმა მოსახლეობის

დამშვიდების მიზნით აპულიის გამგებლად ლათინი არგიროსი დანიშნა. ამან კი კირულარიას უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მიაჩნდა, რომ არგიროსის დანიშვნა კონსტანტინოპოლის ეკლესიის გავლენის დაცემას გამოიწვევდა აპულიაში და შეეცადა იგი მოეშორებინა, მაგრამ უშედეგოდ. პაპ ლეონ IX-ისა (1049—1054) და არგიროსის ჯარები გაერთიანდნენ და 1053 წელს შეუტიეს ნორმანებს, მაგრამ დამარცხდნენ. პაპი იმავე წლის 18 ივნისს ციციტატესთან ნორმანებმა ტყვედ იგდეს. მან ერთი წელი გაატარა ტყვეობაში.

სწორედ ამ დროს ატყდა ახალი საეკლესიო პოლემიკა. ენერგიულმა და პატივმოყვარე მიხეილ კირულარიამ ისარგებლა ნორმანებთან პაპის დამარცხებით და თავის მომხრეებთან ერთად შეტევაზე გადავიდა. კირულარიას მომხრეთა მანიფესტი გახდა ბულგარელი არქიეპისკოპოსის ლეონ ოხრიდელის ტრაქტატი, რომელიც მიმართული იყო სამხრეთ იტალიის ქალაქ ტრანის ეპისკოპოსის იოანესადმი და მისი საშუალებით „ფრანკების" (ე. ი. დასავლეთის) ყველა ეპისკოპოსისა და თვით პაპისადმიც.

დასავლეთის ეკლესიას ლეონ ოხრიდელი განსაკუთრებით საყვედურობდა წეს-ჩვეულებების დარღვევას და ეძებდა რა იაფფასიან პოპულარობას, თავის ბრალდებებს ანტისემიტურ მიმართულებას აძლევდა. პაპობას, ჩანს, ბრალი ედებოდა იუდაიზმში, ვინაიდან ებრაელების მსგავსად, რომლებიც მაცას აცხობენ საფუარის გარეშე, დასავლეთში ზიარებისათვის იყენებდნენ არა გაფუებულ პურს, არამედ უფუარს. გარდა ამისა, დასავლეთში, ებრაელებივით, უქმია შაბათი. აქ ლეონ ოხრიდელს მხედველობაში ჰქონდა დიდი მარხვის დროს შაბათს საჭმელზე თავის შეკავება.

კირულარიასა და მისი მომხრეების მიერ წამოყენებული ბრალდებები ეხებოდა მხოლოდ მეორეხარისხოვან საკითხებს (შეგახსენებთ, რომ ფოტი წეს-ჩვეულებებში მსგავს განსხვავებას სრულიად დასაშვებად თვლიდა), მაგრამ ლეონ ოხრიდელის ტრაქტატმა მძაფრი რეაქცია გამოიწვია დასავლეთში. როცა პაპი მიხვდა, რომ ლეონ ოხრიდელის წერილის გამო იტალიელი ბერძნების დამოკიდებულება ლათინთა მიმართ გაუარესდა, კარდინალ ჰუმბერტს სთხოვა, გაეცა პასუხი ბრალდებაზე.

ამრიგად, რომის კონტრმოქმედების სულისჩამდგმელი გახდა კარდინალი ჰუმბერტი, რომელიც პაპ ლეონ IX-ის მრჩეველი იყო. მან გადათარგმნა ბერძნულიდან ლათინურად ლეონ ოხრიდელის ტრაქტა-

ტი და გააცნო პაპს. ამ უკანასკნელის თხოვნით ჰუმბერტმა მოამზადა პასუხი ეპისტოლე მიხეილ კირულარიასა და ლეონ ოხრიდელისადმი. ბულგარელი არქიეპისკოპოსის ბრალდებაზე ყველაზე ადრე რეაგირება მოახდინა აპულიის გამგებელმა არგიროსმა. უფრთხოდა რა პაპთან განხეთქილებას, არგიროსმა სწრაფად გაგზავნა კონსტანტინოპოლში ტრანის ეპისკოპოსი იოანე და მისი საშუალებით დაჟინებით მოითხოვა, რომ პატრიარქს შეედგინა პაპისადმი შემრიგებლური ეპისტოლე, სადაც არ იქნებოდა არც ერთი სიტყვა ნათქვამი უფუარ პურზე, არც შაბათის მარხვაზე, არამედ ხაზგასმული იქნებოდა თანხმობისა და მშვიდობის აუცილებლობა[21].

ასეთ ვითარებაში პაპის დავალებით ჰუმბერტმა შეადგინა პასუხი, რომელიც ძალზე მკაცრი და ტენდენციური იყო. ამჯერად პასუხი არ იქნა გამოქვეყნებული, რადგან პაპს იმპერატორისაგან მოუვიდა ელჩი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან შემრიგებლური წერილის გადასაცემად. ლეონ IX-მ გადაწყვიტა, გაეგზავნა სამი ლეგატი კარდინალ ჰუმბერტის მეთაურობით იმპერატორთან და პატრიარქთან წერილში აღთქმული დანაპირების ცხოვრებაში გასატარებლად. პაპმა კარდინალს ასევე დაავალა, რომ მოეთხოვა პატრიარქისაგან პასუხი იმ წერილზე, რომელიც კირულარიამ მას მისწერა.

ამრიგად, ეპისტოლეებით აღჭურვილი ჰუმბერტი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, სადაც იგი ჩავიდა 1054 წლის მარტსა თუ აპრილში. მისი მისია წარმატებისათვის განწირული აღმოჩნდა. კირულარიამ არ მიიღო ლეგატები, რადგან წერილში უარყოფილი იყო კონსტანტინოპოლის სასულიერო მესვეურის მეორე ადგილი საპატრიარქო იერარქიაში. ეკუმენური პატრიარქის ტიტული და კირულარიას სამართლიანი არჩევა ეჭვქვეშ იყო დაყენებული. ასევე მას ბრალს სდებდნენ რომის ეკლესიის პრიმატის უგულებელყოფაში, აღმოსავლეთის პატრიარქებისადმი ქედმაღლურ დამოკიდებულებაში, დასავლეთის ეკლესიის წეს-ჩვეულების მიმდევართა დევნაში. რაც შეეხება იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახს (1042—1055), მას პაპი და ჰუმბერტი წერილში ხოტბას ასხამდა, ადარებდა კონსტანტინე დიდს და უწოდებდა სასტიკი ნორმანებისაგან რომის დამცველს.

პატრიარქის ქცევით განაწყენებულმა ჰუმბერტმა გამოაქვეყნა თავისი პასუხი ლეონ ოხრიდელის წერილზე, რითაც მკაცრად გაილაშქრა ზოგიერთი ბერძნული ჩვეულების წინააღმდეგ. ჰუმბერტმა იფიქრა, რომ ამ წერილით მოახდენდა პატრიარქის დისკრედიტაციას

ხალხის თვალში და იმპერატორის დახმარებით შეძლებდა კირულარიას გადაყენებას. მოლოდინი არ გამართლდა. ბერძენი სამღვდელოება განაწყენდა და გაერთიანდა თავისი პატრიარქის დასაცავად.

პაპის ელჩთა მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როდესაც კონსტანტინოპოლში მოვიდა ცნობა 1054 წლის 19 აპრილს პაპ ლეონ IX-ის გარდაცვალების შესახებ. წმ. პეტრეს ტახტი ვაკანტური აღმოჩნდა და ჰუმბერტი გარდა საკუთარი თავისა, უკვე სხვას ვერავის ხედავდა.

იმპერატორმა კონსტანტინე IX მონომახმა სცადა ჩარეოდა საქმეში. მისი ზეწოლით სტუდიის მონასტრის ბერმა ღვთისმეტყველმა ნიკიტა სტიფატმა, რომელიც კირულარიას აქტიური მომხრე იყო საჯაროდ თქვა უარი თავის შეხედულებაზე და დასწყევლა ისინი, ვინც არ აღიარებდა რომის ეკლესიის პრიმატს. მაგრამ ჰუმბერტმა მოულოდნელი სვლა გააკეთა: 1054 წლის 16 ივლისს წმ. სოფიას ტაძრის მთავარ საკურთხეველზე მან დადო სიგელი კირულარიას განკვეთის შესახებ.

ჰუმბერტის სიგელმა კირულარიას მისცა საფუძველი, რომ მერყევ კონსტანტინე IX-ზე ზემოქმედება მოეხდინა. დედაქალაქის ქუჩებში მიმდინარეობდა ხმაურიანი ანტილათინური დემონსტრაცია, რომელსაც ალაგზნებდა პატრიარქის ფანატიკური მომხრეები. პაპის ლეგატებმა ნელ-ნელა დატოვეს კონსტანტინოპოლი. ამგვარად, პატრიარქმა და ლეგატებმა ანათემებით შეაჩვენეს ერთმანეთი (და არა ეკლესიები). ასე რომ, პაპის წამოწყებული საქმე, გაეძლიერებინა ეკლესიების ერთობა, დამთავრდა განხეთქილებით.

აღმოსავლეთის პატრიარქებისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში კირულარიამ რომის ეკლესიის მომხრეები გამოაცხადა ერეტიკოსებად და გულმოდგინედ ჩამოთვალა ლათინთა ყველა „ცოდვა“: უფუარი პურის გამოყენება, შაბათის შარხვის დაცვა. მღვდელთა წვერის გაპარსვის წესი, ცელიბატი, რწმენის სიმბოლოში „ფილიოკვეს“ დამატება, მონათვლა მხოლოდ ერთი მიპკურებით და არა ჩაყვინთვით, ხატის კულტის განდევნა, აღმოსავლეთის სამი დიდი სარწმუნოების მასწავლებლის — გრიგოლ ნაზიანზელის, ბასილი დიდის და იოანე ოქროპირისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება. იგი მოითხოვდა, რომ პაპის სახელი ყველგან ამოშლილიყო საეკლესიო დიპტიქებიდან.

ამრიგად, 1054 წლის 16 ივლისი ითვლება ოფიციალურად კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის დაბადების დღედ.

უდავოა, 1054 წლის ამბები, მნიშვნელოვანი ეპიზოდია ეკლესიათა გათიშვის ისტორიაში, მაგრამ ეს სულაც არ იყო ამ დრამის ფინალი. სინამდვილეში ჰუმბერტის სიგელი (თუკი მას ვაღიარებთ კანონიერად, ხოლო მისი კანონიერების საფუძვლიანობა საეჭვოა, ვინაიდან იგი, გაცემული იქნა არა პაპის სახელით, არამედ ჯარდინალისა, რამდენადაც ამ დროს პაპის ტახტი ცარიელი იყო) მიმართული იყო არა აღმოსავლეთის ეკლესიის, არამედ ცალკეული პირების წინააღმდეგ. ზუსტად ასევე, კირულარიას განკეთა ეხებოდა მხოლოდ ჰუმბერტსა და მისი ელჩობის მონაწილეებს.

1054 წლის შემდეგაც ორივე ეკლესიას შორის ურთიერთობა ისევ გრძელდებოდა. მომავალშიც მრავალი პაპისა და იმპერატორის მიერ გადაიდგა ნაბიჯი ამ ეკლესიებს შორის უნიის დამყარებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. ბიზანტიაში კვლავ იდგნენ თავიანთი სახელმწიფოს კონცეფციაზე იმპერატორით სათავეში და ლათინთა ეკლესიის პოლიტიკური გეზის განვითარებას (ახალი თეოკრატიული თეორიით, რომელიც სასულიერო მმართველობას მაღლა აყენებს) ვერ გაუგეს. მიუხედავად ამისა, ორ ეკლესიას შორის ურთიერთობა არ გაწყვეტილა. 1272 წელს, მაგალითად, პაპი ალექსანდრე II-ის (1061—1073) ელჩობა ჩავიდა კონსტანტინოპოლში, რათა ახალი იმპერატორის მიხეილ VII დუკასათვის (1071—1078) ტახტზე ასვლა მიელოცა.

ამ წლებში ბიზანტიის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. მას ასუსტებდა გაბატონებული ფენის ორ დაჯგუფებას შორის გაჩაღებული შუღლი. ეს, ერთი მხრივ, იყო დედაქალაქის ბიუროკრატია და, მეორეს მხრივ, პროვინციის სამხედრო ფეოდალური დიდკაცობა. სახელმწიფო გადატრიალებები ერთი მეორეს მოსდევდა: 1055 წლიდან 1081 წლამდე, უზურპატორების გამოკლებით, რვა იმპერატორი შეიცვალა. იმპერიის იტალიურ სამფლობელოებს დაეპატრონენ ნორმანები. აღმოსავლეთის საზღვრებში გამოჩნდნენ საშიში მტრები — თურქ-სელჩუკები, რომელთაც 1071 წელს მანასკერტთან ბრძოლაში გაანადგურეს ბიზანტიელები და მათი იმპერატორი რომან IV დიოგენი ტყვედ ჩაიგდეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი სელჩუკთა ურდოები უკვე ბატონობდნენ მცირე აზიაში. ამ დროს პაპების მდგომარეობა უფრო მტკიცდებოდა. მათ უნივერსალისტურ ტენდენციებს ფართოდ უჭერდნენ მხარს რეფორმირებული მონასტრები და უმაღლესი სამღვდელოება. ნორმანები, რომლებმაც ბიზანტიელები განდევნეს

სამხრეთ იტალიიდან, რომის ვასალები გახდნენ. გერმანიის იმპერატორმა ჰენრიხ IV-მ კაპიტულაცია გამოაცხადა პაპ გრიგოლ VII-ის წინაშე. XI საუკუნის 70—80-იან წლებში ბიზანტიელები დაინტერესებულნი იყვნენ რომთან კავშირით და პაპ გრიგოლ VII-მ ბერძნებს ისევ მოსთხოვა ეცნოთ პაპის პრიმატი.

1081 წელს კონსტანტინოპოლში ხელისუფლების სათავეში მოვიდა კომნენოსთა დინასტია, რომელიც პროლათინურ პოლიტიკას ატარებდა და ეძებდა კავშირს პაპობასთან. ბიზანტიის სამსახურში აღმოჩნდა მრავალი დასავლელი ფეოდალი, რომლებიც ღებულობდნენ მამულებსა და ტიტულებს. დასავლელი რაინდი ანასტასია ალემანი, რომელიც სელჩუკების წინააღმდეგ იბრძოდა, ხოლო შემდეგ თავისი რაზმით დასახლდა კუნძულ კვიპროსზე, ბიზანტიის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ლათინების წინააღმდეგ ამ წლებში ბიზანტიელთა პოლემიკა შერბილდა: ბულგარეთის ახალმა ეპისკოპოსმა თეოფილაქტე ეფესტმა (დაახლოებით 1089—1126) ხაზი გაუსვა ორივე ეკლესიის წეს-ჩვეულებებს შორის განსხვავების უმნიშვნელობას და მხოლოდ ერთი პუნქტი — დავა „ფილიოკვეს“ შესახებ — ჩათვალა არსებითად. XII საუკუნის ბიზანტიელი ღვთისმეტყველი ნიკიტა მარონელი იცავდა „ძიდანაც“ სულიწმიდის გარდამოსვლის დასავლურ პრინციპს.

ამრიგად, ნიკიტა მარონელი ლათინელებთან დაახლოებაზე თეოფილაქტე ბულგარელზე უფრო შორს წავიდა. XII საუკუნეში ბიზანტიელ ღვთისმეტყველებსა და დასავლეთის სქოლასტიკოსებს შორის უშუალო კავშირი არსებობდა. XII საუკუნეში პრაქტიკულად სქიზმა ჯერ კიდევ არ იყო.

მაგრამ არ იყო თანხმობაც. პოლემიკა არ წყდებოდა. 1112 წელს კონსტანტინოპოლში შედგა დისპუტი მილანის არქიეპისკოპოსის პიეტრო გროსოლანოსა და ბერძენ თეოლოგებს შორის. 1136 წელს ჩატარდა მეორე დისპუტი გერმანიის იმპერატორის ელჩ, ჰაველბერგის ეპისკოპოს ანსელმსა და ბერძენ ნიკიტა ნიკომედიელს შორის. გვიან ანსელმ ჰაველბერგი კიდევ ერთხელ მონაწილეობდა ბიზანტიელებთან დისპუტში. ყველა ეს დისკუსია უშედეგო აღმოჩნდა: ორივე მხარე თავის თვალსაზრისზე რჩებოდა. ერთი მეორის მიყოლებით გაჩნდნენ პოლემიკური ტრაქტატები, რომლებიც უარყოფდნენ ურთიერთ შეცდომებს. მიუხედავად დაახლოების ცალკეული ტენდენციებისა, ეკლესიათა გაერთიანება დაუძლეველ დაბრკოლებად იქცა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ეკლესია არ ჩარეულა რწმენის შესახებ დავაში, რომელმაც შუა საუკუნეებში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები სრულ განხეთქილებამდე მიიყვანა. საქართველო პაპის ტახტს მოგვიანებით ჩამოშორდა და ეს გამოყოფა თანდათან განხორციელდა. პირველი ცნობა ამის შესახებ 1240 წელს გვხვდება[22]. ამგვარად, ამ დრომდე საქართველოს ეკლესია კათოლიკური იყო.

მართალია, საქართველო იმჟამად ბიზანტიის ერთმორწმუნე რჩებოდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, განხეთქილების შედეგებს ჩვენში არ გამოუღია ისეთი ნაყოფი, როგორც ეს სასურველი იქნებოდა ბერძნული ეკლესიისათვის. ქართული ეკლესია მაღალი პოზიციებიდან უჭვრეტდა ამ გათიშვას; იგი კვლავ ინარჩუნებდა მთლიანობას თაყვის წიაღში, არ ემხრობოდა მოწინააღმდეგე ბანაკთაგან არცერთს, უფრო მეტიც, იმთავითვე ეძიებდა ეკუმენური გზით კვლავ შეერთებას კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიებისას[23].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: მართალია, კათოლიკურ და მართლმადიდებლურ მიმდინარეობებს შორის არსებობს განსხვავება სჯულთმოძღვრებაში, დოგმატებში, კულტში, ტრადიციებში, წეს-ჩვეულებებში, მაგრამ კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიას უფრო მეტი რამ აერთიანებს, ვიდრე აშორებს ერთმანეთისაგან. ამის მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ: საუფლო დღესასწაულები, აღდგომა, განცხადება, ამაღლება და სულთმოფენობა, ხარება, ლამპრობა, მიგებება, ფერისცვალება, ჯვრის პოვნა და სხვა, რაც ორივე ეკლესიისათვის საერთოა.

ბევრია საერთო ლიტურგიკულ წეს-ჩვეულებათა შორისაც. ბზის კურთხევა და ბზის პროცესია, ჯვრის თაყვანისცემა, რომელიც პალესტინის ეკლესიის მონაპოვარია, მთელი მარხვის პერიოდი, განსაკუთრებით ვნების კვირა თითქმის გაჟღენთილია აღმოსავლური წეს-ჩვეულებებით. ამას ემატება სხვა ლოცვა და ჰიმნი, რომელიც დასავლეთმა აღმოსავლეთისაგან მიიღო, მაგ., დიდება შინა, წმიდაო ღმერთო; შობასა შენსა, ღვთისმშობელო ქალწულო; ჯვარსა შენსა თაყვანი ვცეთ; მეოხებითა შენითა.

გარდა ამისა, ზიარების საიდუმლოთა შეწირვა ხდებოდა იმ უძველესი ეკლესიის ფრიად დასაფასებელი წესის მიხედვით, რომელიც დღევანდელ აღმოსავლურ ეკლესიას უნდა გავუთანაბროთ. ნათლობა დასავლეთში XV საუკუნემდე, როგორც წესი, წყალში ჩაყვინთვით

ხდებოდა, რასაც მოსდევდა მირონის ცხება, უშუალოდ ამის შემდეგ კი არასრულწლოვან ბავშვებს წმ. ზიარებას აძლევდნენ. ეს წესი XVI საუკუნემდე შემორჩა. აფუებული პური ზიარებისათვის გამოიყენებოდა VIII საუკუნემდე მაინც და ევქარისტიულ სერობაში მონაწილეობა XIII საუკნემდე ორივე სახით ხდებოდა. მანამდე ხალხი ლოცვისას იმგვარად იწერდა პირჯვარს, როგორც ეს აღმოსავლეთში დღესაც წესად აქვთ.

ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ორივე ეკლესიას უფრო მეტი რამ აერთიანებს, ვიდრე თიშავს. კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების აღმოცენება იყო სქიზმის შედეგი, რომელიც თავის მხრივ იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი. იგი არ იყო მხოლოდ შიდა საეკლესიო ამბავი. გაყოფა მოხდა სხვადასხვა ფაქტორების — სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური შეუთანხმებლობის შედეგად. ყოველივე ეს თავისებურად გამოვლინდა საღვთისმეტყველო და დისციპლინარულ დავებში და განმტკიცდა მყარ წესებში.

- დასასრულ, საამაყო მამულიშვილისა და გამოჩენილი მეცნიერის მიქელ თარხნიშვილის ნაშრომებზე დაყრდნობით ვაკეთებთ შემდეგ დასკვნას: ეკლესიათა გათიშვის შემდეგ ყოველთვის იყო ცდები გაერთიანებისა. ამისათვის მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენეს. პოლემიკური დაპირისპირებები, მშვიდობიანი განმარტებები, სინოდალურ კრებებზე შეხვედრები, მისიონერული მოღვაწეობა და ა. შ. რომისა და კონსტანტინოპოლის ურთიერთანათემანი 1965 წელს საზეიმოდ იქნა გაუქმებული რომის პაპის პავლე VI-ისა (1963—1978) და კონსტანტინოპოლის პატრიარქის ათენაგორას I-ის მიერ, მაგრამ სრული და რეალური ერთიანობა ისევ მომავლის საქმედაა დატოვებული. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კავშირი ისეა გაცხოველებული, როგორც არასოდეს. მართალია, ეკლესიათა გაერთიანება მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა მოხდება გარკვეული შეთანხმება ლიტურგიულ-რელიგიურ და თეოლოგიურ სფეროში, მაგრამ, თუ ჩვენც ადამიანები, მივყვებით დროით განპირობებულ მოთხოვნებს და დროში არსებულ პირობებსა და ღირებულებებს არ ავიყვანთ ერთადერთი ჭეშმარიტებისა და აბსოლუტურის დონემდე, მიზანს მივაღწევთ.

§ 8. საქართველო — რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობა

ახალმა რელიგიამ, ქრისტიანობამ, მისი აღმოცენებიდან ოფიციალურად დამკვიდრებამდე რთული და მეტად ძნელი გზა განვლო. I საუკუნიდან IV საუკუნემდე მან განიცადა ხანგრძლივი დევნა და შევიწროება, მაგრამ ამ გზაზე იგი განმტკიცდა და შეკავშირდა. უკვე III საუკუნის მიჯნაზე რომის ეკლესიამ უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა ქრისტიანულ სამყაროში. ეს იმიტომ, რომ იგი მოქმედებდა იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში. იგი იყო მაგნიტი, რომელიც იმპერიის დედაქალაქში მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებიდან ასეულობით ქრისტიანებს იზიდავდა. ხშირად ისინი განათლებული და მოღვაწე ადამიანები იყვნენ, რომელთა შეხედულებებმა ადგილობრივ ეპისკოპოსებში ვერ პოვა აღიარება, ამიტომ რომში ეძებდნენ თავიანთი იდეების მხარდაჭერას.

ასე რომ, დიდი მიზიდულობის ძალა ჰქონდა რომს ჭეშმარიტების მსახურთათვის. არა მარტო დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდანაც მოედინებოდნენ ისინი რომისაკენ. პოლიკარპე, ჰეგესიპი, ირენეუსი გაემგზავრნენ რომში, რათა ენახათ წმ. პეტრეს მოსაყდრე და გასცნობოდნენ მოციქულთა მოძღვრებას, იქით მიისწრაფოდა აბერკი ჰიერაპოლელი, რათა „ეხილა ოქროთი მოსილი დედოფალი", იქით მიილტვოდა ორიგენე ეგვიპტელი, რომელიც ოცნებობდა, ენახა რომის უძველესი ეკლესია[1].

რომი მხოლოდ მომლოცველთა მიზანი კი არ არის, არამედ ღარიბთა და გაჭირვებულთა თავშესაფარიცაა. მისი მწყემსივით ზრუნვა ვრცელდებოდა აღმოსავლეთზეც და დასავლეთზეც, მისი გულუხვობა და შემწყნარებლობა საარაკო გახდა. განსაკუთრებით დევნისა და შიმშილიანობის დროს გამოჩნდა რომის ეკლესიის ეს სიკეთე. ამასთან ერთად, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა რომის პაპს სხვა ეპისკოპოსებთან და საეკლესიო კრებებთან შედარებით. როგორც წმ. პეტრეს საქმის გამგრძელებელი, ის ხელმძღვანელობს საერთო კრებებს და ამტკიცებს მათ გადაწყვეტილებებს, იდეებს, აპელაციებს, ერევა კამათში და არის ბოლო ინსტანცია. ათავისუფლებს თანამდებობიდან ერეტიკოს და უკანონო ეპისკოპოსებს და უბრუნებს თავიანთ ადგილს უსამართლოდ დევნილებს.

წმ. მამებმა იციან ეს და ერთხმად აღიარებენ პაპის ტახტის ამ

პრივილეგიებს. მართალია, კლიმენტი რომაელი აღარ მოჰყავთ რომაული პრიმატის დამამტკიცებელ საბუთად და ეგნატე მარტვილის ციტატებსაც აღარ იმოწმებენ, მაგრამ მაინც უდავოა, რომ ირინეუსისათვის რომაული ეკლესია მოციქულთა თავების პეტრეს და პავლეს დაარსებულია და ყველა სხვა ეკლესია მას უნდა ბაძავდეს. კიპრიანეს მიხედვით, „რომი ერთობის შუაგულია და „კათოლიკე ეკლესიის დედა და საფუძველი". ამბროსი მართლმორწმუნეობის სასინჯ ქვად აღიარებს თანხმობას კათოლიკე ეპისკოპოსებთან, ე. ი. რომის ტახტთან. იერონიმე მხოლოდ პაპთან ურთიერთობის მომხრეა, რადგან იცის, რომ ეკლესია ამ კლდეზეა დამყარებული და მხოლოდ მასთან არის მამათა მემკვიდრეობა შეურყვნელად შემონახული. რომაელი ეპისკოპოსი მისთვის სამყაროს ნათელია და მარილი ქვეყნისა; ვინც მასთან არ არის, დაიბნევა და ვინც მის კიდობანში არ ცხოვრობს, დაიღუპება[2].

ქრისტიანობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო IV საუკუნის დასაწყისში. 313 წლის თებერვალში რომის იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა (306—337) თავის ქვეშევრდომებს ნება დართო, რომ ქრისტიანობა უშიშრად ეღიარებინათ, ხოლო იმავე წლის „მილანის ედიქტით" (ბრძანებულებით) ქრისტიანობა რომის იმპერიაში ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული.

ქრისტიანობა ყველა ქვეყანაში ერთდროულად არ გავრცელებულა. ასე მოხდა ჩვენშიაც. რომაელთა გავლენით ქრისტიანობამ ძალზე ადრე შეაღწია საქართველოში[3]. პირველად ქრისტიანული სარწმუნოება კოლხეთში ანუ დასავლეთ საქართველოში გავრცელდა. აქ ამ ახალი სარწმუნოების შემოსვლა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება. უძველესი ზეპირი გადმოცემის მიხედვით, კოლხეთში ქრისტიანული სარწმუნოება იქადაგეს თვით ქრისტეს მოციქულებმა წმიდა ანდრია პირველწოდებულმა[4] და სვიმონ კანანელმა. ეს უკანასკნელი აქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია ათონში (აფხაზეთში). მის საფლავზე შემდეგ მშვენიერი ტაძარი ააგეს.

ზეპირი გადმოცემის მიხედვით, საქართველოს გაქრისტიანება, როდესაც მოციქულებმა მსოფლიოს ცალკეული ქვეყნები გაიყვეს საქადაგებლად, წილად ხვდომია ღვთისმშობელს. ამიტომ ჩვენს ქვეყანას ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას უწოდებენ. ღვთისმშობელი საქართველოში გასამგზავრებლად გაემზადა, მაგრამ უფალმა მისი იერუსალიმში დარჩენა ინება და აღუთქვა, რომ მომავალში მისი

წილხვედრი ქვეყანა გაბრწყინდებოდა[5]. ღვთისმშობელმა საქართველოს მოქცევა მიანდო წმიდა ანდრია პირველწოდებულსა და სვიმონ კანანელს. მოციქულებმა ღვთისმშობლისაგან მიიღეს ხატი და ქრისტიანობის საქადაგებლად წამოვიდნენ საქართველოში. მართალია, ეს ლეგენდა „ისტორიულად დაუსაბუთებელია, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს იმ დიდ პატივისცემაზე, რასაც ქართველები გრძნობდნენ ღვთისმშობლის მიმართ"[6].

ასე რომ, ქრისტიანული თემები მოციქულთა დროიდან, პირველი საუკუნიდანვე ჩნდება საქართველოში, თუმცა ქრისტიანობა ჯერ კიდევ სახელმწიფო რელიგიას არ წარმოადგენდა.

საქართველოს სამდვილი მოქცევა კი მოხდა მოგვიანებით, კერძოდ. IV საუკუნეში მოციქულთა სწორის წმ. ნინოს მიერ. ქართული ეროვნული ტრადიციული ვერსია ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ასეთია: წმიდა ნინო იყო ბიძაშვილი წმიდა მთავარმოწამე გიორგისა. მშობლები ქართველთა განმანათლებლისა ნინოსი წარჩინებულნი და ღვთისმოსავნი იყვნენ: მამა — ზაბულონი რომის მხედარმთავარი იყო, დედა სუსანა, იერუსალიმის პატრიარქის იობენალის და. ნინოს ღვთისმოშიშად და ადამიანებისადმი თანაგრძნობით ზრდიდნენ. წმიდა ნინო 12 წლისა რომ გახდა, მშობლებმა ქონება გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ, სადაც ნინოს მამა ბერად აღიკვეცა, ხოლო დედა — მისი ძმის, იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით დიაკონისად დაინიშნა სნეულთა სამყოფში. წმ. ნინო აღსაზრდელად მიაბარეს ტაძარში ღვთისმოყვარე მოხუც დედაკაცს, რომელიც ყმაწვილ ქალს ასწავლიდა მართლმორწმუნეობას. ამ ღვთისმოყვარე დედაკაცმა აუწყა ნინოს, რომ ჯვარცმული ქრისტეს უკერავი პერანგი ანუ კვართი, რომელიც ღვთისმშობლის ხელით იყო ნაქსოვი — საქართველოში, კერძოდ მცხეთაში ინახებოდა; და რომ ქართველები წარმართები იყვნენ და არ უწყოდნენ უკვდავება ადამიანის სულისა.

ამ დღიდან ნინოს არ შეუწყვეტია ვედრება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი, რომ ღირსი გაეხადა იგი, ენახა საქართველო და ეამბორა ქრისტეს კვართისათვის. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ისმინა მისი ვედრება, გამოეცხადა სიზმარში და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში. იქადაგე იქ სახარება უფალი იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს, და მე ვიქნები შენი მფარველი". ამაზე ნეტარმა ნინომ უპასუხა: „როგორ შემიძლია მე — სუსტ ქალს, რომ

ასეთი სამსახური გავუწიო ქრისტეს და რით შემიძლია ვერწმუნო ასეთი ჩვენების ჭეშმარიტებას?“ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა გაიკეთა ჯვარი ვაზისაგან, მისცა ნინოს და უთხრა: „მიიღე ეს ჯვარი: ეს იქნება შენთვის ფარად და დამცველად ხილული და უხილავი მტრების წინააღმდეგ. მისი ძალით დანერგავ იქ მხსნელ სარწმუნოებას ჩემი საყვარელი ძისა და უფლისას“. გაღვიძებულმა ნინომ დაინახა, რომ მართლაც ხელში ჯვარი უჭირავს და სიხარულისაგან ცრემლებით დაასველა ის, მოიჭრა ნაწნავი და დიდი პატივისცემის ნიშნად თავისი თმით შეკრა ეს ჯვარი.

ამის შემდეგ ნინო წავიდა იერუსალიმის პატრიარქთან, თავის ბიძასთან, უამბო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულებრივი გამოცხადება, უჩვენა ჯვარი და აუწყა თავისი გადაწყვეტილება საქართველოში წასვლის შესახებ.

ნინო ერთ ცნობილ ქალთან ერთად, რომელიც ჩამოსული იყო იესო ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად, იერუსალიმიდან ჩავიდა რომში. ისინი მოერიდნენ რომის იმპერატორის დიოკლიტიანეს (284—305) დევნას და ნინო რომიდან, სხვა პატიოსან ქალიშვილებთან ერთად, გამოიქცა სომხეთში. ერთ დღეს, მგზავრობით დაღლილმა ნინომ დაიდო ქვა თავქვეშ, მიწაზე დაიძინა და ნახა სიზმარი: მასთან მივიდა ვიღაც საკვირველი მამაკაცი, მისცა დალუქული წერილი და უთხრა: „წადი საჩქაროდ ქალაქ მცხეთაში და მიეცი ეს წერილი იქაურ წარმართ მეფეს“. როცა გამოეღვიძა, ნინომ ნახა, რომ ხელში უჭირავს სასწაულებრივი გრაგნილი, შევსებული სახარების სიბრძნისმეტყველებით, თავში კი ეწერა: „ამინ გეტყვი თქვენ: სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდეს, რომელიცა ესე ჰყო მისგან სახსენებლად მაგისისა“. „წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს, და ნათელი ეცით მამის და ძის და სული წმიდის სახელით“ (მათე: 28 : 19).

დიდი ხნის დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ნინომ მიაღწია ქალაქ მცხეთას, სადაც მისი მისვლის მეორე დღეს დანიშნული იყო ყოველწლიური დღესასწაული ერთ-ერთი წარმართული მთავარი ღმერთის პატივსაცემად. სხვებთან ერთად ნინოც წავიდა ამ ღღესასწაულზე. აქ აღმართული იყო კერპი, რომელსაც უკმევდნენ საკმეველს და სწირავდნენ მსხვერპლს. მეფე მირიანი, დედოფალი, მხედრები და იქ მყოფი ხალხი მოწიწებით თაყვანს სცემდნენ კერპს. ნინო უყურებდა მწუხარებით და შეძრწუნებული გულით წარმართთა ღღე-

სასწაულს და მზურვალედ ევედრებოდა ღმერთს, რათა მას გაენათებინა ამ ხალხის გონება. უეცრად ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, მეხმა დაამსხვრია კერპი და შეშინებული ხალხი გაიფანტა. ნინო კი ადიდებდა ღმერთს, რომელმაც უსმინა მის ლოცვას და დაამსხვრია კერპი (ეს მოხდა მაცხოვრის იესო ქრისტეს ფერისცვალების დღეს — 6 აგვისტოს).

ამის შემდეგ ნინო ცხრა თვე ცხოვრობდა მეფის ბაღში მოსამსახურე ქალთან ერთად. (ეს ბაღი იყო იქ, სადაც ამჟამად სვეტიცხოველის ტაძარი დგას). იგი მალე გახდა ცნობილი მთელ ქალაქსა და მის შემოგარენში, როგორც სხვადასხვა სენით დაავადებულთა მკურნალი. უამრავი ავადმყოფი მოდიოდა მასთან. ნინო ლოცვებით კურნავდა მათ და ესაუბრებოდა ცისა და მიწის გამჩენ ღმერთზე, იესო ქრისტეზე, რომელიც ჯვარს ეცვა ხალხის ხსნისათვის. შემდეგ ნინომ ვაზისაგან საკუთარი თმებით შეკრა ჯვარი, დადგა იგი მაყვლის ბუჩქებში და თვითონაც იქ ცხოვრობდა. (ახლა იქ დგას სამთავროს ტაძარი). ექვსი წელი ცხოვრობდა ნინო ამ ადგილას, სადაც ჯერ ფარულად, ხოლო შემდეგ აშკარად ქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას და სასწაულებს ახდენდა.

სწორედ ამ ხანებში ავად გახდა დედოფალი. ვინაიდან ექიმებმა მას ვერაფერი უშველეს, დედოფალმა გადაწყვიტა მოეწვია მადლიანი უცხოელი, მაგრამ ნინო არ წავიდა მეფის სასახლეში და მოიწვია დედოფალი თავის ღარიბ ქოხში, ილოცა მისთვის და ავადმყოფი განიკურნა. „არა მე გაგკურნე შენ", — უთხრა მას ნინომ, — „არამედ იესო ქრისტემ, სამყაროს შემქმნელი ღმერთის შვილმა". დედოფალმა იწამა უფალი.

ერთხელ, 20 ივლისს, მეფე მირიანი სანადიროდ გაემართა იმ მხარისაკენ, სადაც ეხლა მდებარეობს სოფელი მუხრანი. გზაზე მეფემ განიზრახა ყველა ქრისტიანის განადგურება, მაგრამ, როდესაც თხოთის მთაზე იყო, მოულოდნელად დაუღამდა. შეშინებულმა დაუძახა თავის მხლებლებს, მაგრამ ისინი ვერავითარ სიბნელეს ვერ ხედავდნენ და განაგრძობდნენ ნადირობას. გამოუცნობი სიბნელე ფარავდა მხოლოდ მეფეს. მან შიშით მოიგონა ნინოს სიტყვები და მიმართა ღმერთს, რომელსაც იგი აღიარებდა და ქადაგებდა. სიბნელე მაშინვე გაიფანტა. ამ სასწაულით გაოცებული მეფე ნინოსთან წავიდა. მისგან ჭეშმარიტ გზაზე დაყენებულმა მირიან მეფემ მთელი გულით იწამა ქრისტე. „მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი

არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოდ შუენის დიდება უკუნისამდე" — წერს ისტორიკოსი ლეონტი მროველი[7].

მომდევნო დღეს კი მირიან მეფემ და ნინომ ხალხი გაგზავნა კონსტანტინოპოლში ეპისკოპოსისა და მღვდლების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლათ. იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილმა სასულიერო პირებმა მონათლეს მეფე, მისი ოჯახი, დიდებულები და ხალხი. ეს ისტორიული ნათლობა შესრულდა მტკვრისა და არაგვის შესართავში. შემდეგ ღვთის ნებით აღმართული იქნა სამი ჯვარი: ერთი იმ ბორცვზე, სადაც ახლა ჯვრის მონასტერია, მეორე თხოთის მთაზე, სადაც მირიანმა პირველად იწამა ქრისტე, ხოლო მესამე — ქალაქ უჯარმაში. აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარი იქ, სადაც უფლის პატიოსანი კვართი იყო დაფლული, შორიახლოს კი — ილია წინასწარმეტყველის მოსასხამი. ამ დროიდან საღმრთო განგებით ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაივანებს მრავალი რელიქვია და სიწმინდე: ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის თმა და სარტყელი, მისი კვართი, ფიცარი ცხოველისმყოფელი ჯვარიდან, რომელზედაც უფლის პატიოსანი ფერხნი დამსჭვალეს, თვითონ სამსჭვალი, იოანე ნათლისმცემლის თითი და თავის ქალა, წმიდა დიდმოწამე გიორგის მუხლისთავი და მრავალი სხვა.

ქართლის სამეფოს შემდეგ წმიდა ნინომ თავისი მოციქულებრივი საქმიანობა განაგრძო წობენსა და ერწო-თიანეთში, საიდანაც გადავიდა კახეთში, მოაქცია დედოფალი და იქვე მიიცვალა. იმ ადგილას, სადაც წმ. ნინო გარდაიცვალა, მირიან მეფემ აღაშენებინა ტაძარი წმ. გიორგის სახელობისა. შემდეგში აქ დაარსდა ბოდბის ეპარქია, რომელიც დღესაც არსებობს. ღვთივკურთხეული წმ. ნინოს საფლავიც ამ მონასტერშია.

ქართულმა ეკლესიამ წმ. ნინოს მიაკუთვნა საპატიო სახელი „მოციქულთა სწორი". მის ხსენებას დღესასწაულობენ 14 იანვარს. ღვთისადმი და თავისი ხალხისადმი სიყვარულის ნიშნად წმ. ნინომ დაგვიტოვა ჯვარი, რომელსაც დღესაც თაყვანს სცემენ მორწმუნენი თბილისის საკათედრო ტაძარში[8].

დღეს საკამათოდ არ ითვლება, რომ წმიდა ნინო წარმოშობით ქართველია[9]. იგი იყო კაბადოკიიდან, სადაც მკვიდრობდნენ ქართველები (კოლხები, ჭანები). ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძველი რჩება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად მიღების თარიღი. სპეციალისტები 276 წლიდან

355 წლამდე სხვადასხვა თარიღებს უჭერენ მხარს. ყველაზე სარწმუნოდ მიიჩნევენ 337 წლის ახლო ხანებს[10]. ჩვენი შეხედულებით უფრო სწორია ის აზრი, რომ ქართლის სამეფო კარის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება 317—318 წლით უნდა დათარიღდეს[11]. ასევე სარწმუნოდ მიგვაჩნია ის აზრი, რომ დასავლეთ საქართველოში ანუ ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ნიკეის საეკლესიო კრების (325 წ.) წინ მოხდა[12]. ძირეული არგუმენტების მოშველიებით ბოლო დროს გამოითქვა აზრი, რომ ეგრისის მოქცევა ქართლის თანადროულად უნდა მომხდარიყო 318 წელს[13].

ასე რომ, საქართველოში ქრისტიანობამ რომის იმპერიის თანადროულად გაიმარჯვა. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა, რადგან იმდროინდელი საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომთან და ქართლი და ეგრისი რომის იმპერიის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ორბიტაში მოქცეულიყო[14]. სწორედ „ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება ამ ქვეყნების რომზე საგარეო-პოლიტიკური დამოკიდებულების გამოვლენად უნდა ჩაითვალოს“[15].

მიჩნეულია, რომ კონსტანტინე დიდის დროს გაქრისტიანებულ საქართველოს თავისი პირველი იერარქია რომიდან განეწესა, ხოლო შემდეგ ქართული ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული. ვ. გოილაძის აზრით, ქართული ეკლესია იერარქიულად დამოკიდებული იყო ანტიოქიის ეკლესიაზე, ხოლო „487—488 წელს ქართლის ეკლესიამ ავტოკეფალია[16] მოიპოვა, რომელიც 681 წელს კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადასტურა“[17]. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მან კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ავტოკეფალია X საუკუნის დამდეგს მოიპოვა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა და ეკლესიებში მოსახლეობისათვის უცხო ბერძნული ენის მაგიერ ღვთისმსახურება ქართულ ენაზე დაიწყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ქრისტიანობამ რომაელთა გავლენით ძალზე ადრე შემოაღწია. ამიტომ, ბუნებრივია, ქართული ეკლესიის კავშირი რომთან სათავეს იღებს საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების დროიდან. „ეს კავშირი ისეთივე ძველია, როგორც თვითონ ქართული ეკ-

ლესია"[18]. ნიშანდობლიეია ის ფაქტი, რომ წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა უყურადღებოდ არ დარჩენიათ რომში. იმპერიაში აინტერესებდათ „ქართლის საქმენი"[19]. ამის გამო, „მათ დღეთა შინა მოიწია წიგნები ჰრომთ წმიდისა პატრეაქისაი ნეტარისა ნინოისა და მირვან მეფისა და ყოვლისა ერისა ქართველისა. და მოევლინა ბრაჯი[20] მთავარდიაკონი ქებისა შესხმად და კურთხევისა მოცემად, და წმიდისა და ნეტარისა ნინოისა ლოცვისა წარღებად და მადლისა ზიარებად. და ჰქონდა წიგნი ბრაჯთა მეფისაი ნეტარისა ნინოისა, რამეთუ მოენათლნეს იგინი მამასა მისსა ზაბილოვნს"[21].

ბრანჯმა მთავარდიაკონმა იხილა რა ქართლში ნინოს მიერ მოხდენილი სასწაულები, მან ისინი „აღწერა მატიანეში და წაიღო თავის ქვეყანაში — ბრანჯეთს"[22]. შესაძლებელია ამ მოვლენასთან დავაკავშიროთ რომის პაპ სილვესტრი I (314—335) წერილი წმ. ნინოსადმი. ძნელია ითქვას, თუ რამდენად სარწმუნოა ეს ფაქტი. ამის შესამოწმებლად სხვა საკონტროლო მასალა არ გაგვაჩნია. თუ ეს ფაქტი სწორია, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ პაპი სილვესტრი წმიდა ნინოს, ალბათ, უჩვენებდა იმ გზას, რომელიც ეკლესიას უნდა გაევლო. ასევე ამ გზას უნდა გამოეწვია რომთან სარწმუნოებრივი კავშორის განმტკიცება. ნიშანდობლივია, რომ წმ. ნინო რომის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მის დღესასწაულად 15 დეკემბერია გამოცხადებული. დაბოლოს, პაპ სილვესტრის წმ. ნინოსადმი მიწერილი წერილის რეალურად არსებულ ფაქტად აღიარების გარეშეც ცხადია, რომ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებისთანავე რომის ეკლესიასთან მჭიდრო კავშირი არსებულა. ამ აზრის სასარგებლოდ და მასთან კავშირში უნდა განვიხილოთ იბერიის კათალიკოსის კირიონ I-ის წერილი რომის პაპ გრიგოლ I დიდისადმი.

ქართლის კათალიკოსი კირიონ I (596—610) თავისი დროისათვის მეტად განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი წარმოშობით ჯავახეთიდან იყო. მას პირველდაწყებითი სწავლა მიუღია თავის სამშობლოში, ჯავახეთში, სოფელ სკუტრის სკოლაში, ხოლო სწავლა დაუმთავრებია საბერძნეთში მცირე-აზიის ქალაქ კოლონიაში, სადაც 15 წელიწადი დაუყვია და საფუძვლიანი ელინისტური განათლება მიუღია. რადგან კირიონი აღზრდილი იყო საბერძნეთში დიოფიზიტურ ტრადიციებზე, რომელთაც ქართლში პოლიტიკურ მიზეზთა გამო, უკვე სიმპათიები მოეპოვებინათ ამ დროს, ის ქართლში შემოსვლის შემდეგ გაღაუდგა სომხურ მონოფიზიტობას. მათთან დავაში კირიო-

ნი მედგრად იცავდა ქალკედონის[23] კრების ქრისტოლოგიას და ამით საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობასაც[24].

ჩვენთვის ცნობილი არ არის იბერიის კათალიკოს კირიონ I-ის წერილი პაპ გრიგოლ I დიდისადმი. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის ბედუკუღმართობის გამო ჩვენი ქვეყნიდან გაგზავნილი წერილების უმრავლესობა დანიშნულ ადგილზე არ მისულა, მაგრამ საპასუხო წერილებით კი ნათელი ხდება, რომ გამგზავნის წერილი უსათუოდ უნდა არსებულიყო, რადგან საპასუხო წერილი გადარჩენილია და ამაზე მიუთითებს მისი შინაარსიც.

პაპ გრიგოლ I დიდის 596 წლით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ კათალიკოს კირიონ I-ს პაპისათვის წერილი გაუგზავნია და რომში სალოცავად მიმავალი ქართველი მგზავრისათვის გაუტანია. მგზავრი, როგორც ჩანს, პირდაპირ რომში კი არ წასულა, არამედ იერუსალიმზე გაუვლია, სადაც მას წერილი დაუკარგავს. იგი შემთხვევითი პირი არ უნდა ყოფილიყო, რადგან კირიონის წერილის შინაარსი კარგად სცოდნია და ის პაპისათვის სიტყვიერად გადაუცია. შესაძლებელია, რომ იგი იერუსალიმის პატრიარქსაც ეწვია კირიონის დავალებით. ის საქართველოში უკან დაბრუნებულა.

როგორც აღნიშნული წყაროდან ირკვევა, კათალიკოს კირონ I-ს პაპ გრიგოლ I დიდისათვის მიუმართავს ერთ-ერთი დოგმატური ხასიათის შეკითხვით. კერძოდ, განემარტა, საჭირო იყო თუ არა მონანიე ნესტორიანელები, რომლებიც დაუბრუნდნენ კათოლიკე ეკლესიას, ხელახლა მოენათლათ? სანამ ამ კითხვაზე პაპის პასუხს მოვიტანდეთ, მანამ რამდენიმე სიტყვით შევეხებით გრიგოლ I-ის პიროვნებას, მის ადგილსა და როლს იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში.

პაპი გრიგოლ I დიდი (590—604) წარმოშობით ანიციუსთა სენატორული გვარიდან იყო. მან რომში მიიღო იურიდიული განათლება. იგი ბრწყინვალე იურისტი, მწერალ-მორალისტი და ჩინებული ადმინისტრატორი იყო. პაპმა პელაგია I-მა (556—561) დიაკონად კურთხევის შემდეგ გრიგოლი კონსტანტინოპოლში გაგზავნა, როგორც მუდმივი წარმომადგენელი.

590 წელს, პაპ პელაგია II-ის (579—590) გარდაცვალების შემდეგ, იგი აირჩიეს პაპად. მისი არჩევა დაამტკიცა იმპერატორმა მავრიკიუსმა (582—602). კონსტანტინოპოლის მონარქების მიმართ, რომლებიც რომის ფორმალური მბრძანებლები იყვნენ, გრიგოლი

ინარჩუნებდა ტაქტიკურ ლოიალობას. მან უყოყმანოდ დაუჭირა მხარი იმპერატორ ფოკას, როცა იგი მავრიკიუსის მოკვლის შემდეგ ტახტზე ავიდა. მიუხედავად ამისა, პაპმა გრიგოლ I-მა კატეგორიული პროტესტი გამოხატა „მსოფლიო პატრიარქის" ტიტულის წინააღმდეგ, რომელიც თავის თავს მიანიჭეს კონსტანტინოპოლის პატრიარქებმა[25].

პაპობის ისტორიაში გრიგოლ I ერთადერთი პაპია, რომელმაც ძალზე ნაყოფიერი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. დღემდე შემორჩენილი მისი ნაშრომებიდან — 4 წიგნი — „მწყემსებრივი დარიგებანი" (სამღვდელოებისათვის სახელმძღვანელოს სახით), „იობის წიგნის განმარტება („Moralia"), 40 საკვირაო ქადაგებანი, 24 ქადაგებანი იეზიკელის წინასწარმეტყველების შესახებ, 800-ზე მეტი ეპისტოლე, 4 წიგნი „დიალოგთა" განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ქრისტიანულ კანონიკასა და ლიტერატურაში. ამ ნაშრომებიდან, როგორც მ. თამარაშვილი წერს, „დიალოღონი", „ქადაგებანი", „მწყემსებრივი დარიგებანი", ქართულად ადრევე იქნა თარგმნილი ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავრის ექვთიმე მთაწმინდელის მიერ[26].

მ. თამარაშვილს ხაზგასმით აქვს აღნიშნული ის ფაქტი, რომ გრიგოლ დიდის „დიალოღონში" მოხსენიებულია აგრეთვე V საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი. „დიალოღონის" ექვთიმე ათონისეულ თარგმანში იკითხება: „რამეთუ იყო მონაზონი ვინმე, სახელით პეტრე, ნათესავით ქართველი, და შეეყო იგი მარტოდმყოფსა ვისმე მონასა ღმრთისასა, რომელსა ეწოდებოდა ევასე"[27].

გრიგოლ I დიდს ადრე შუასაუკუნეების ერთ-ერთ გამოჩენილ პაპად თვლიან. იგი ცნობილია, როგორც მწვალებლობასთან მებრძოლი მღვდელმთავარი. ახლა დავუბრუნდეთ ისევ კირიონ I-ის თხოვნაზე პაპის განმარტებას.

პაპი გრიგოლ I დიდი კირიონ I-ს კანონიკური წესების თანახმად ავალებს, რომ მონანიეს ლმობიერად მოეპყროს, მხოლოდ ხელახლა არ მონათლოს და მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დაკანონებული ჩრწამსის ლოცვა წარმოთქმევინოს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მაშინ მოქცევის საეკლესიო წესდების კანონიკური ნორმა არსებობდა. პაპის წერილში მითითებულია ასევე მოქცეულისადმი ტაქტიკა. პაპის წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ახლა ისმება შემდეგი კა-

ნონიერი კითხვა: იბერიის კათალიკოსმა კირიონ I-მა სასულიერო კითხვების განსამარტებლად რატომ მიმართა რომსა და არა კონსტანტინოპოლს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ პირდაპირი წყაროები არ გაგვაჩნია. მიუხედავად ამისა, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ იმ დროს საქართველოს სასულიერო მესვეურებში აღიარებული იყო რომის პაპის პრიორიტეტი. შორეულმა ქრისტიანულმა საქართველომ იმიტომ მიმართა რომს და არა კონსტანტინოპოლს, რომ ქრისტიანულ სამყაროში იბერიის ეკლესია განსაკუთრებულ ავტორიტეტს ანიჭებდა რომის ეკლესიას. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან საქრისტიანოს მწყემსი სწორედ წმიდა პეტრე მოციქულის შემკვიდრე რომის პაპი იყო. საქართველოში ერთხმად აღიარებდნენ Sades Apostolica-ს (პაპის ტახტის) ამ უპირატესობას. თუ გაკითვალისწინებთ იმასაც, რომ ბიზანტიის იმპერატორი ფოკა (602—610) პაპ გრიგოლ I-ს „თვლიდა სრულიად ეპისკოპოსთა მეთაურად"[28], მაშინ ჩვენი დასკვნა უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის კათალიკოსს კირიონ I-ს ეპისტოლე გაუგზავნია პაპი გრიგოლი I დიდისათვის, რაზედაც დამარწმუნებელი პასუხი მიუღია კიდეც. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვეყნის საეკლესიო ურთიერთობის მაჩვენებელი არაერთი წერილი იქნებოდა გაგზავნილი და მიღებულიც, მაგრამ ასეთმა ეპისტოლეებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. გარდა ამისა, „ამ ეპისტოლეთა გაცვლა-გამოცვლას მარტო მონანულთა რიტუალების (მირონცხება, ხელდასხმა, აღსარება, ნათლისღება) დადგენა როდი აქვს მიზნად. ეს არის ორმხრივი კონსულტაციები, რომელიც რომისა და საქართველოს უფრო დიდ და ცხოველ კულტურულ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს"[29].

რაც შეეხება პაპ გრიგოლ I-ის ზემოხსენებულ წერილს, იგი ჩვენთვის მრავალმხრივაა საინტერესო: პირველ ყოვლისა, ეს წერილი მოწმობს, რომ ქართველებსა და რომაელ კათოლიკეებს შორის მისვლა-მოსვლა და სარწმუნოებრივი ურთიერთობა ადრეულ საუკუნეებში არსებულა. მეორე, საქართველოს სასულიერო მესვეურებს „სარწმუნოების კითხვებში რომთან უფრო კავშირი ჰქონია, ვიდრე ბერძნებთან"[30].

VII საუკუნე ეს ის ეპოქაა, როცა საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო განხეთქილება უკვე კარგა ხნის მომხდარი ფაქტია და სა-

ქართველოს ეკლესია საბოლოოდ გაეთიშა მონოფიზიტობას და დიოფიზიტობა აღიარა ევროპასთან ერთად. ზემომოტანილი ეპისტოლეც უტყუარი საბუთია ისტორიულად მომხდარი ამბისა და ჩანს, რომ სომეხ მონოფიზიტებთან გამართულ პოლემიკაში კირიონს დაუჭირეს მხარი „რომაელებმა", რომელთა რწმენაც მათთვის Supreme lex იყო.

„აღმოსავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოსათვის შექმნილი ავტოკეფალიის ავტორიტეტი VIII-დან IX საუკუნემდე საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებს გასცდა და შავ ზღვამდე გავრცელდა. გავლენის სფეროებისა და იურისდიქციის ასეთმა ზრდამ ხელი შეუწყო საზღვარგარეთ მისი ავტორიტეტის ამაღლებასა და განმტკიცებას. ამ დროიდან სხვა ეკლესიებთან დამოკიდებულებაში საქართველოს ეკლესიას შეეძლო ბევრად უფრო დამოუკიდებელი და მიზანდასახული ყოფილიყო, ვიდრე წინათ. ამიტომ იგი სრულიად განზე იდგა ბიზანტიის ხატმებრძოლობიდან და დევნილ ხატთაყვანისმცემლებს მფარველობდა კიდეც. ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ასეთმა ურყევმა დაცვამ ისე შორს გაუთქვა მას სახელი, რომ თვით ყირიმის გუთების საეკლესიო წინამძღოლი, სახელად იოანე[31] 758 თუ 759 წელს მცხეთაში[32] ჩავიდა, რათა გუთების ეპისკოპოსად ეკურთხებინათ. საქართველოს იმჟამინდელი პატრიარქი იოანე II-მ გუთელი სვეტიცხოველში ეპისკოპოსად აკურთხა[33].

რადგან ზემოხსენებული 596 წლით დათარიღებული წერილის გარდა დღემდე სხვა საბუთები არ გაგვაჩნია, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა VII საუკუნიდან XII საუკუნემდე საქართველო-რომის ურთიერთობა გაშუქებულიყო, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფრაგმენტულ ცნობებს.

„საეკლესიო ანალებში" ნათქვამია, რომ „856 წელს ლაზების მეფემ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს მეფემ, ჩვენი აზრით, დემეტრე II-მ (825—861) საუცხოო საჩუქრებით ელჩობა გააგზავნა წმიდა პეტრეს სახელზე რომის პაპთან" (ალბათ, ბენედიქტ III-სთან 855—858)[34]. ამ ცნობის საფუძველზე ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რას ისახავდა მიზნად ამ ელჩობით დასავლეთ საქართველოს მეფე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ ღვთისმოსაობის გამო, რომელსაც მაშინდელ იბერიასა და ეგრისში იჩენდნენ რომის პაპისადმი, ქრისტიანობის განმტკიცებისათვის დაუცხრომლად მზრუნველმა დემეტრე II-მ

მოკითხვის მიზნით საუცხოო საჩუქრები გაუგზავნა რომის პირველ-მღვდელმთავარს.

ქართველ-ლათინთა ურთიერთობისათვის საგულისხმოა IX საუკუნის ცნობილი ქართველი სასულიერო პირის ილარიონ ქართველის (822—875) მოღვაწეობა. მან კონსტანტინოპოლის პატრიარქ ფოტისა და რომის პაპ ნიკოლოზ I დიდის კამათის დროს მოიარა ქრისტიანული სამყაროს უდიდესი კულტურული კერები და მათ შორის რომიც. იგი აქ ორ წელიწადს ცხოვრობდა თავისი ორი მოწაფით, რათა პატივი მიეგო წმ. პეტრეს აღმსარებლობისათვის და იქ დასაფლავებული „წმიდა მამებისათვის"[35]. „და ვითარცა ირემმან, — წერია მის ბიოგრაფიაში, — სურვიელად წყაროდ მიმართ წყალთაისა, ეგრეთ აღგზნებულმან სურვილთა საღმრთოითა მეყსეულად მიისწრაფა ტაძრად წმიდათა და თავთა მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა თაყუანის-სცა და ამბორს-უყო მოწლედ მხურვალებითა სულისაითა წმიდათა სამარხოთა მათთა და ყოველთავე ნაწილითა წმიდათა მღვდელთ-მოძღუართა და მოწამეთასა, რომელთა ოდენ მიემთხვა"[36]. ბუნებრივია, ილარიონ ქართველი რომის სიწმიდეთა უბრალო მომლოცავი არ იქნებოდა.

X საუკუნეში ქართველ-ლათინთა ურთიერთობაში ძალზე საინტერესო მომენტია ათონის ივერთა მონასტრის სასულიერო პირების დაახლოება ლათინებთან. ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებლის იოანე მთაწმინდელის (იოანე ათონელის) დროს რომიდან მოსულა ვინმე განათლებული სასულიერო პირი ლეონი ექვსი მოწაფითურთ. როცა ათონელებს შეუტყვიათ მისი განათლება, გულთბილად შეხვედრიან, უთხოვიათ დარჩენა და მონასტრის აშენება აღუთქვამთ. „ჩვენც უცხო ვართ და შენც უცხო ხარო" და „გულით დაარწმუნეს, რამეთუ ენება რათამც ერთაგან იყუეს მონასტერსა შინა". ქართველებს ხელი შეუწყვიათ მისთვის, უყიდიათ ადგილი და „აღაშენა მონასტერი მშუენიერი და ძმანი მრავალნი შეკრიბნა და თანა დგომითა ძმათა ჩუენთათა სრულ ჰყო ყოველი საქმე შენებისა"[37].

ლეონ რომაელი ხშირად მოდიოდა ივერიის მონასტერში სტუმრად და რამდენიმე დღეს რჩებოდა მისთვის განკუთვნილ საკანში, თავის მეგობარ გაბრიელ ქართველის მახლობლად. ლათინთა მონასტერი, როგორც მას გიორგი მთაწმიდელი აღწერს: „არს ჰრომთაი დღეს მთაწმინდას და კეთილად და წესიერად ცხოვნდებიან კანონსა

და განგებასა ზედა წმიდისა ბენეტიკტესსა, რომლისა ცხოვრებაი წერილ არს დიალოღონსა შინა"[38].

ამრიგად, ქართველ-ლათინთა ურთიერთობას ათონში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. ათონის ქართველთა სიტყვა, სხვებთან ერთად, რომის წარმომადგენელთა ყურადღებასაც იპყრობდა. ქართველი ათონელები შესაძლებლობის მიხედვით ყველას ეხმარებოდნენ, მათ შორის ლათინებსაც.

საქართველო-რომის სარწმუნოებრივ ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის გიორგი მთაწმინდელის (1009—1065) რომთან მიმართებაში ნათლად გამოხატულ შეურყეველ რწმენას. 1065 წელს, ეკლესიების გათიშვიდან II წლის შემდეგ გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინოპოლში იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059—1067) კარზე იმყოფებოდა. იმპერატორს მოუსურვებია დიდად განსწავლული გიორგი მთაწმინდელისაგან მოესმინა მისი აზრი რომაულ-კათოლიკური და ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიებს შორის არსებული განსხვავების შესახებ.

გიორგი მთაწმინდელმა იმპერატორის სასახლეში შეკრებილ ბერძენი და რომაელი სამღვდელოებისა და დიდებულთა თანდასწრებით ასე წარმოთქვა: „ესე არს სარწმუნოებაი მართალი ნათესავისა ჩვენისაი. და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯველ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს"[39].

როგორც ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელი სიამაყის გრძნობით აცხადებდა იმპერატორის წინაშე, რომ ქართველ ერს არასოდეს გადაუხვევია მართალი სარწმუნოებიდან და არც არასოდეს გადაუხვევდა ამ ჭეშმარიტ გზას. იგი ქართული ეკლესიის უპირატესობის ქადაგებით როდი დაკმაყოფილდა. მან ბრწყინვალედ დაიცვა რომის ეკლესია და მისდამი ურყევი რწმენა გამოავლინა. გიორგი იმპერატორს ეუბნებოდა, რომ „ვინაითგან ბერძენთა შორის მრავალი წვალებაი შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს, ამისთვისცა მსგავსად თქვენსა ღმრთისმსახურთა მეფეთა წმიდანი კრებანი შემოკრიბნეს და წვლილად გამოიძიეს განგებულებისათვის ქრისტეს ღმრთისა და ჩვენისა და ხორციელად გამოჩინებისათვის მისისა. და საუფლოთა მათთვის ხორცთა გამოძიებაი იქმნა და დააწესეს, რათა მივიღებდეთ ცომსა სახედ ხორცთა ქრისტესათა; ხოლო პურის ცომსა — სახედ სულისა გონიერისა და მარილსა — სახედ გონებისა, წი-

ნააღდგომად წვალებასა უშჯულოისა პოლინარისსა. რომელი — იგი ხორცთა მათ ქრისტესათა საუფლოთა უსულოდ და უგონებოდ იტყოდა უგუნური იგი და უსულოი. ხოლო ღვინოისა თანა წყალსა ჭრთავთ სახედ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდამოხდა გვერდსა მხსნელისასა, ვითარცა იტყვის ივანე ოქროპირი. ესე არს განმარტებაი და მიზეზი ამათ საქმეთაი. ხოლო ჰრომთა ეინაითგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარაოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაი შემოსრულ არს მათ შორის. და ვითარცა — იგი მაშინ თავმან მოციქულთამან პეტრე შეწირა უსისხლოი იგი მსხვერპლი და უმეტესადღა, ვითარცა თვით თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ ეგინი. და არარაი არს ამას შინა განყოფილებაი, ოდენ სარწმუნოებაი მართალ იყოს"[40].

გიორგის პასუხით სიხარულისაგან ანთებულმა რომაელმა მთავრებმა უთხრეს წმინდანს: „წარგიყვანოთ წინაშე წმიდისა პაპაისა"[41]. მაგრამ ამის შემდეგ გიორგი მალე გარდაიცვალა.

როგორც ამ ვრცელი ამონარიდიდან ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელი რომის კათოლიკურ ეკლესიას წვალებისაგან დაცულად მიიჩნევს, ხოლო ბერძნულ ეკლესიაში მრავალი წვალების შემოსვლას აღიარებს. მას რომის ეკლესია სამოციქულო მოძღვრების ერთგულად მიაჩნია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ცნობილი სწავლული აკაკი ბაქრაძე გამოთქვამს აზრს, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ კათოლიკური ეკლესიისადმი ქების სიტყვები ნაკარნახევი იყო პოლიტიკურ-რელიგიური თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველოს პოლიტიკური იდეა იმ შემთხვევაში განხორციელდებოდა, თუ იგი თავს დააღწევდა ბიზანტიის მეურვეობას და ახალ მოკავშირეს იპოვიდა. „ბიზანტიის უარყოფა აბეზარი მეურვის მოცილებასაც ნიშნავდა და უმოკავშირეოდ დარჩენასაც. არადა ჯერ მოკავშირე აუცილებელი იყო. ქრისტიანული ქვეყნისათვის ასეთი მოკავშირე მხოლოდ კათოლიკური დასავლეთი შეიძლება ყოფილიყო"[42]. ამიტომ, ა. ბაქრაძის აზრით, გიორგი მთაწმინდელის მიერ „კათოლიკობის უკეთესობის" აღიარება ნაკარნახევი იყო პოლიტიკურ-რელიგიური თვალსაზრისით. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, „როგორ, გიორგი მთაწმინდელმა არ იცოდა, რომ კათოლიკურ ეკლესიასაც ისევე აწამებდა ერესი, როგორც მართლმადიდებლობას?" — სვამს კითხვას ა. ბაქრაძე. იგი აქვე პასუხობს: „რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ახლა, პოლიტიკურ-რელიგიური თვალსაზრისით, საქართველოსათვის ასეა საჭირო. აუ-

ცილებელია კათოლიკური ეკლესიის გულისმოგება და არც გიორგი იშურებს ქების სიტყვებს"[43].

ჩვენ ვთვლით, რომ ა. ბაქრაძის აზრი საინტერესოა და საყურადღებო, მაგრამ, ვფიქრობთ, გიორგი მთაწმინდელის შემთხვევაში საქმე არ უნდა გვქონდეს სარწმუნოებრივი ორიენტაციის საკითხთან. სავსებით სწორად აღნიშნავს მ. თამარაშვილი, რომ გიორგი მთაწმინდელი იმთავითვე წინააღმდეგი იყო წვრილმანი კონფესიური განსხვავებების ნიადაგზე ეკლესიათა გათიშვისა. ამიტომ გიორგი მთაწმინდელი ბიზანტიის იმპერატორის წინაშე გამოდიოდა ეკლესიათა ერთიანობის დამცველად. ეკლესიათა გათიშვის შემდეგ, ჩანს, ქართველი სასულიერო პირები რომთან ორგანული კავშირის შენარჩუნების განუხრელი მომხრენი იყვნენ. ისინი რომს უპირატეს ადგილს აკუთვნებდნენ მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ გიორგი მთაწმინდელი ერთადერთი მიზნით იცავდა კათოლიკურ ეკლესიას. კერძოდ, მას სურდა, ქართული ეკლესია უშუალოდ შესულიყო რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობის სფეროში. ამის მოთხოვნილება კი, ა. ბაქრაძის თანახმად, მაშინდელ საქართველოში არსებობდა.

გიორგი მთაწმინდელის მსგავსად, ეკლესიათა გათიშვის წინააღმდეგნი იყვნენ ექვთიმე გრძელი და იოანე პეტრიწი, რომელნიც რომს დადიოდნენ სალოცავად და აღიარებდნენ პაპის ავტორიტეტს. აღსანიშნავია, რომ წმ. იოანეს, წმ. ექვთიმეს და წმ. გიორგის ნეშთნი რომს წაასვენეს 1250 წელს. ათონის ივერთა მონასტრის ქართველები ლათინთა მონასტრის ბერებთან მეგობრობდნენ, ხოლო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები ტამპლიერ რაინდ-ბერებთან იყვნენ დაახლოებულნი, რომელთა მოსახსენებელიც გვხვდება ჯვრის მონასტრის აღაპებში. ჩანს, რომ „1205—1210 წწ. ათონის მთის ქართველი ბერები azymis ლიტურგიის ჩატარებაშიც კი ექვემდებარებიან ლათინებს. XIII საუკუნიდან ეს დამოკიდებულება უფრო ინტენსიური შეიქმნა"[44].

ყოველივე ეს ცხადად მეტყველებს, რომ XIII საუკუნეში „ისევ ყოფილა ერთობა ლათინთა და ქართველთა შორის"[45].

თ ა ვ ი II. პაპობის დიპლომატიური და საეკლესიო ურთიერთობა საქართველოსთან XII–XVI საუკუნეებში

§ 1. ქართველ-ლათინთა ურთიერთობა ჯვაროსნული ომების ხანაში

XI საუკუნის დასასრულამდე ხუთიოდე წელიღა იყო დარჩენილი. დროის ამ მცირე მონაკვეთში დასავლეთსა და აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ისტორიული ამბები მოხდა. ჩვენს ქვეყანაში ამ დროს მეფობდა საქართველოს ისტორიაში უდიდესი პიროვნება დავით აღმაშენებელი (1089–1125). რომში კი წმიდა პეტრეს ტახტზე იჯდა წარმოშობით ფრანგი პაპი ურბან II (1088–1099). დიდ სელჩუკთა იმპერიის სამხედრო ძალა უწინდელ ძლიერებასა და ბრწყინვალებას მოკლებული იყო. დადგა ჯვაროსნული ომების ხანა.

ცნობილია, რომ XI საუკუნის შუა ხანებიდან თურქ-სელჩუკებმა ფართო შეტევები დაიწყეს მცირე აზიაში. შინაგანი წინააღმდეგობებით დაუძლურებული ბიზანტია სელჩუკებს არსებით წინააღმდეგობებს ვერ უწევდა. ბიზანტიის იმპერატორის რომან IV დიოგენის (1068–1071) ცდას, რომ აღედგინა სახელმწიფოს მთლიანობა, წარმატება არ მოჰყოლია. იგი 1071 წლის 19 აგვისტოს მანასკერტთან (ბერძნულად მანციკერტთან) ბრძოლაში დამარცხდა თურქ-სელჩუკებთან. იმპერიის ჯარმა გამანადგურებელი მარცხი იწვნია. თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს თითქმის მთელი მცირე აზია, ასევე სირია და პალესტინა წმიდა ქალაქი იერუსალიმით, სადაც იყო ქრისტიანთა მთავარი სალოცავები.

თურქ-სელჩუკთა წინაშე ბიზანტიელთა მარცხი საქართველოს დიდი საფრთხის წინაშე აყენებდა. იგი მარტო დარჩა ამ უდიდესი სამეფოს პირისპირ. შედეგმაც არ დააყოვნა. XI საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველო თურქების გამუდმებული თავდასხმებისაგან საშინლად აოხრდა. ქართლისა და კახეთის ბარის ზო-

გი თემი გაუკაცრიელებულ ტყით დაბურულ მხარედ იქცა. საქართველო სელჩუკთა სულთნებს დამამცირებელ ხარკს აძლევდა.

ამგვარ ვითარებაში ქვეყნის წინაშე მდგარი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამოცანებისათვის წარმატებით ბრძოლას სათავეში ჩაუდგა პირადი ღირსებებით დაჯილდოებული დიდი სახელმწიფო მოღვაწე დავით აღმაშენებელი. მან დაუყოვნებლივ დაიწყო დიდი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო რეფორმების ჩატარება, რომელსაც უმთავრესად ხელი უნდა შეეწყო ქვეყნიდან სელჩუკი ურდოების განდევნისათვის. ამ ამოცანის განხორციელებაში მას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, თურქ-სელჩუკთა იმპერიის დასუსტება[1] და, მეორე მხრივ, ჯვაროსანთა მოპოვებული წარმატებები ახლო აღმოსავლეთში[2]. ამ ამბებთან დაკავშირებით აქვე მოკლედ შევჩერდებით.

- ჩვენ აქ არ შევუდგებით ჯვაროსნული ომების მიზეზების გარკვევას. მხოლოდ რამდენიმე წინადადებით აღვნიშნავთ: თურქ-სელჩუკთა მიერ იერუსალიმის დაპყრობამ შეუძლებელი გახადა მომლოცველთა მიერ წმიდა ადგილების მონახულება. ეს კი, ბუნებრივია, აძნელებდა რელიგიურ კონტაქტებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. როგორც ფრანგი ისტორიკოსი კ. კაენი წერს, „დასავლეთ ევროპის ქრისტიანები მუსლიმანებს განიხილავდნენ, როგორც იდეურ მოწინააღმდეგეებს და მუსლიმანობას თვლიდნენ ანტიქრისტეს ნაყოფად"[3]. ამიტომ პალესტინის ქრისტიანული წმიდა ადგილების მუსლიმანებისაგან გათავისუფლება ჯვაროსნული ლაშქრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. ამ იდეის სულისჩამდგმელი იყო პაპი ურბან II (1088—1099). იგი იყო მაღალი ზნე-ჩვეულებების მქონე პიროვნება. მის დროს წმიდა ეკლესიამ ყველაზე მაღალი უფლებრივი მდგომარეობა მოიპოვა. მას ყველაფრის სწრაფად, მოფიქრებულად და მოხერხებულად გადაწყვეტა შეეძლო. ამგვარად, იქმნებოდა რეალური შესაძლებლობა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანობა გაერთიანებულიყო რომის პაპის ხელისუფლების ქვეშ.

ურბან II პირადად გაემგზავრა საფრანგეთში, რათა 1095 წლის ოქტომბერში კლერმონში სინოდზე — ოვერნის დედაქალაქში — გამოეცხადებინა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა. 1096 წელს დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები, რომელიც სულ მცირე 200 წელი გაგრძელდა[4].

დასავლეთიდან წამოსული ლეგიონები 1097 წლის მიწურულს გადავიდნენ მცირე აზიაში. ამ დროს საქართველოს ძლიერების ხმა

უკვე გავრცელებული იყო. ეს ფაქტი ევროპიდან მოსულ ჯვაროსნებს ყურადღებიდან არ გამოეპარებოდათ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თურქ-სელჩუკების სახით მათ საერთო მტერი ჰყავდათ. როცა პირველი ლაშქრობების შედეგად ჯვაროსნებმა ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფო დააარსეს, მათ ადგილობრივ ქართველებთანაც დაუმყარებიათ ურთიერთობა. ამის საუკეთესო მაგალითია ის წერილი, რომელიც იერუსალიმის კანტორს, ვინმე ანსოს პარიზის ეპისკოპოსის გალონისა და ღვთისმშობლის ტაძრის კრებულისათვის 1108 წელს გაუგზავნია[5].

ამ წერილის მიხედვით, აღნიშნულ ხანაში იერუსალიმში ყოფილა დედოფალი, დავით აღმაშენებლის პირველი მეუღლე, რომელსაც მონაზვნობა მიუღია. ანსოს სიტყვით, იერუსალიმში შიმშილობა ჩამოვარდნილა, რის გამოც დედოფალი იძულებული გამხდარა მონასტრის საჭიროებისათვის საქართველოდან წამოღებული მეფისეული ჯვარი გაეყიდა, რაც პირადი საჭიროებისათვის არ ჩაუდენია. სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის ცნობით, დავით აღმაშენებელს ყივჩაღთა მთავრის ასულის შერთვამდე სხვა ცოლი ჰყოლია[6], რომელსაც დიპლომატიურ მოსაზრებათა გამო გაჰყრია. პარიზში, რომ უფრო დაეჯერებინათ გაგზავნილი ჯვრის მეფისეული წარმოშობა, ანსომ აღნიშნული დედოფალი ქვრივად გამოიყვანა, რის გამოც წერილში დავით აღმაშენებელი გარდაცვლილად არის დასახელებული[7].

იერუსალიმის კანტორმა ქართველთა ჯვრის შეძენის შესახებ წერილი გააგზავნა პარიზში, საიდანაც წმიდა რელიკვიის ჩამოსატანად მიუვლენიათ სპეციალურად ბერი ანსელმი, რომელიც გზაში გარდაცვლილა, ხოლო მის შვილს ფულკს პარიზის ეპისკოპოსი გალონი დიდი ამბით მიგებებია და ჯვარი 1109 წლის 30 ივლისს სენ-კლუს კლესიაში დაუსვენებიათ. იმავე წლის 1 აგვისტოს კი ეს ჯვარი, ურიცხვი ხალხის თანდასწრებით, ზეიმით მიიტანეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში[8].

ჩვენთვის ეს წერილი საყურადღებოა, როგორც ქართველ-ლათინთა ურთიერთობის ამსახველი საბუთი. გარდა ამისა, იგი გვიჩვენებს, თუ რა აზრისა ყოფილან ჯვაროსნები საქართველოზე. ანსო თავის თანამემამულეებს სწერს, რომ ამ ჯვარს ქართველთა მეფე დავითი დიდ თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. „ის დავითი, რომელს, მისი წინაპრებივით, კასპიის კარი — გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს — ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრუ-

ლებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ (მიდია) და სპარსთა წინა-აღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია"[9].

ამ ცნობიდან ცხადად ჩანს, რომ ჯვაროსნებს საქართველო ბურ-ჯად მიაჩნდათ და მის მნიშვნელობას გრძნობდნენ თავიანთი ახალშე-ნებისათვის სირია-პალესტინაში. იერუსალიმის სამეფოს ჩრდილოე-თისაკენ მზერა უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ხანებში ახლად დაარსებულ ახალშენებს შორის დაიწყო ბრძოლა და სწორედ 1108 წელს ჯვაროსანთა ხელმძღვანელი მტერ-თან დაზავებულ ჯვაროსან ბალდუინს და ჟოსლენს ეომება, რომელ-თაც მუსლიმანები ეხმარებოდნენ.

არანაკლები ქებითა და აღფრთოვანებით იხსენიებს დავით აღმა-შენებელსა და ქართველთა ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებას დიდ-გორში ანტიოქიის ფრანკთა სამთავროს კანცლერი — გოტიე, რომე-ლიც პალესტინაში ტანკრედისა და ბოემუნდ I-ის ჯვაროსნებთან ჩა-მოსულა. მისი „Bella Antiochena" 1114—1122 წლების ამბების ქრონიკას წარმოადგენს, რომელშიც ომი II, მუხლი XVI, აღწერი-ლია დავით აღმაშენებლის მიერ 1121 წლის 14 აგვისტოს დიდგორ-თან თურქ-სელჩუკ-არაბთა კოალიციის სარდლის ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზის დამარცხება[10].

ამ შრომიდან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მე-ორე ფრანგ მეფეს ბალდუინს (1100—1118) ხშირად საჩუქრებს უგ-ზავნიდა. „უნდა ვიფიქროთ, რომ დავითისა და ბალდუინის ურთიერ-თობა საკმაო ფართო ხასიათისა იყო და ალბათ ეს მმართველები თვალსაჩინო დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს სელჩუკებთან ბრძო-ლაში"[11]. 1119 წელს ბალატთან იღ-ღაზის მიერ როჟერ ანტიოქე-ლის დამარცხების შემდეგ, ჯვაროსნები იძულებული გახდნენ, ეძებ-ნათ ახალი მოკავშირეები ქრისტიანთა შორის და, კერძოდ კი, კავში-რი დაემყარებინათ დავით აღმაშენებელთან[12].

დავით აღმაშენებელს ჯვაროსნებთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა. ეს მტკიცდება დიდგორის ბრძოლის ეპოპეითაც. ამ ომში ქართველთა მხარეზე ფრანგი ჯვაროსნების საკმაოდ მოზრდილი რაზმიც (200 ფრანგი მეომარი) იბრძოდა. გოტიეს ზემოხსენებულ ნაშრომში და-ვით აღმაშენებელი ჯვაროსნად არის გამოყვანილი. ის თავის ჯარს ასე მიმართავს: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდე-ვართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ"[13].

ამ ხანებში საქართველოსა და ჯვაროსანთა ინტერესები საერთო მტრის დამარცხების საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა. საქართველო კი თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. ჯვაროსნები ვარაუდობდნენ, რომ მუსლიმანები საქართველოზე გამარჯვების შემდეგ პირს მათკენ იბრუნებდნენ გაძლიერებული ჯარით. ამიტომ დავით აღმაშენებლის მიერ იღ-ღაზის დამარცხებამ დიდი სიხარული გამოიწვია ჯვაროსნებში, რადგან საქართველოს მეფის ბრწყინვალე გამარჯვებამ მათ უდიდესი დახმარება გაუწია. ისინი „დავით აღმაშენებლის გამარჯვებას ქრისტიანობის საერთო გამარჯვებად თვლიდნენ“[14].

ქართველ-ლათინთა ურთიერთ ინტერესს ქართული მატიანეებიც აღნიშნავენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“[15]. იგივე მატიანე იხსენიებს საფრანგეთის „მეფეებსა და ხელმწიფეებს“[16].

საინტერესო ცნობას გადმოგვცემს იოანე ბატონიშვილი. მისი მიხედვით, დავით აღმაშენებელის მიერ ლორეს აღების მეორე წელს საქართველოში დავრიშის სახით ფარულად საქართველოს მეფის სანახავად და „განმსტრობად[17] ივერიისა“ მოსულა იერუსალიმის მეფე ბალდუინ II (1119—1131) მცირე ხნის შემდეგ იგი ისევ უკან, ფარულადვე გაბრუნებულა. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, დავით აღმაშენებელი ბალდუინ II-ს ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა[18]. დამტკიცებულია, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალიმისათვის[19]. ანა კომნენის ცნობით, ქართველთა ლაშქარი ჯვაროსანთა ომში მონაწილეობის მისაღებად გავიდა და შავ ზღვაში დაიღუპა[20].

ამრიგად, დავით აღმაშენებელი მეტად პოპულარული პიროვნება იყო ჯვაროსანთა შორის. მათი თვალსაზრისით, დავითის ჯარი ლათინთა ბუნებრივი მოკავშირეა. „ასე რომ, საქართველოსა და ჯვაროსნების ერთმანეთთან კავშირი, გარკვეულ ვითარებაში ურთიერთსასარგებლო იყო. ჯვაროსნებს ქრისტიანული საქართველო თურქსელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა, დავით აღმაშენებელს კი ჯვაროსნების ეს ბრძოლა დამპყრობთა განდევნას და მათზე გამარჯვებას უადვილებდა“[21]. საკუთრივ სწორად დაასკვნის ზ. ავალი-

შვილი: „XII—XIII საუკუნეების საქართველო იმას არ ფიქრობდა, რომ იარაღად უმსახურა ჯვაროსანთა მიზნებისათვის. მისი ცდა იყო საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფა, დაცვა და ეროვნულ ძალთა გაშლა“[22].

ამავე ხანებში საფუძველი ჩაეყარა ჯვაროსანთა და ქართველთა შორის კულტურულ ურთიერთობასაც. ამ მხრივ საგულისხმოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე წმიდა სებასტიანეს ისრით გამსჭვალული შიშველი სხეულის გამოსახვა. წმ. სებასტიანე ქ. რომის მფარველად ითვლებოდა. მის გამოსახვას მართლმადიდებლური ეკლესიის ხელოვნება საერთოდ ერიდებოდა. ჯვაროსანთა ეპოქაში შექმნილმა ვითარებამ, როგორც ჩანს, დაარღვია ეს ტრადიცია. ამის შედეგი უნდა იყოს ქართული სავანის გამგებელთა ნებასურვილით ჯვრის მონასტრის კედლებზე ჯვაროსანი რაინდების საყვარელი წმინდანის დახატვა[23].

1125 წელს დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა. მან დატოვა ძლიერი სახელმწიფო. მის დაწყებულ საქმეს, რომლის მთავარი არსი იყო ქვეყნის განმტკიცება და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, წარმატებით განაგრძობდნენ მისი მემკვიდრეები დემეტრე I (1125—1156), გიორგი III (1156—1189) და თამარი (1184—1213).

XII საუკუნის მეორე ნახევარში ალეპოსა და მოსულის ემირმა ნურ ად-დინმა (1146—1174) 1147—1149 წწ. ანტიოქიაზე გაილაშქრა და სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები. შემდეგ მან მახვილი იერუსალიმისაკენ მიმართა. მერე დამასკო ჩაიგდო ხელში. ერთი სიტყვით, ნურ ად-დინი პალესტინის დაპყრობას ლამობდა. შექმნილი მდგომარეობით წაქეზებული ბიზანტიის იმპერატორი მანუელ კომნენი (1143—1180) ჩრდილოეთიდან იმუქრებოდა. მტერთა შორის მოქცეულ ჯვაროსნებს მოსპობა მოელოდა.

სწორედ ამის საპასუხოდ 1147 წელს დაიწყო ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა, მაგრამ იგი ამ უკანასკნელთა სრული დამარცხებით დამთავრდა. ჯვაროსანთა მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში ძირეულად შეიცვალა. ეგვიპტეში შეიქმნა ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და ნიჭიერი მხედართმთავარი სალაჰ ად-დინი (1171—1193), ანუ ევროპული წარმოთქმით სალადინი. 1189 წელს მან იერუსალიმი აიღო. პაპ კლიმენტი III-ის მიერ ორგანიზებულმა მესამე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, რომელიც 1189 წლიდან 1192 წლამდე გაგრძელდა, სა-

სურველი შედეგი ვერ მოიტანა. იერუსალიმი მტრებს დარჩათ. ამან ქრისტიანულ სამყაროს დიდი დარტყმა მიაყენა, რადგან, როგორც ვიცით, წმიდა ქალაქის გასათავისუფლებლად დაიწყო ჯვაროსნული ომი.

ადვილი წარმოსადგენია რა განწყობილება იქნებოდა ისლამის ოკეანეში მოქცეულ ახალშენებში. შორეული სამშობლოსაკენ იცქირებოდნენ მაშველთა მოლოდინში და ახლობელი ქვეყნებისკენაც იყო მათი იმედი მიმართული. ასეთ პირობებში ლათინებს მხედველობიდან არ გამორჩებოდათ გაძლიერებული საქართველო.

საქართველოს მეფეთა ურთიერთობას იერუსალიმელ ლათინებთან თამარის ისტორიკოსიც ადასტურებს. „სძლვნობდეს და სძმობდეს მას (გიორგი III-ს — მ. პ.) მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი (გერმანელები — მ. პ.) და ჰრომთანი...“[24]. გიორგი III-ის დროს ბალდუინ III-ს და ბალდუინ IV-ს იცნობდნენ ქართველები, ხოლო 1154 წელს სვინაქსარში ბალდუინ III ყოფილა მოხსენიებული[25].

თამარის მეფობის დროს საქართველომ უდიდეს ძლიერებას მიაღწია. თუ მეფე დავითი საქართველოს ძლიერების საფუძვლის ჩამყრელად უნდა მივიჩნიოთ, თამარი ყოველივე იმის განსახიერებაა, რითაც შეიძლება ამაყობდეს ერი პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ სფეროში. ის დიდი მმართველი იყო, დიდი კულტურის მფარველი და დიდი წმინდანი. მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს ქალი-ხელმწიფის სხვა იდეალი, რომელიც ისე მაღლა იდგეს, როგორც თამარ მეფე. მის მიერ გადახდილი ძლევამოსილი ომები მუსლიმანების წინააღმდეგ, ბუნებრივია, დიდ ზეიმს გამოიწვევდა ჯვაროსანთა ბანაკში. საქართველო ისლამის შემმუსვრელად და ქრისტიანობის დამცველად გამოდიოდა. ცხადია, ჯვაროსნების ხანაში ხსენებულ ომებს ამგვარი იერი ეძლეოდა. ლათინები ხედავდნენ სირია-პალესტინის ქართველ სავანეთა სიმდიდრეს, უხვ შეწირულობებს, და, როგორც ჩანს, თქმულებებიც შეთხზეს თუ, როგორ იცავდნენ ქრისტიანთა სიწმინდეებს ჩვენი მეფენი და მათ გამოსყიდვასაც ცდილობდნენ მტრისაგან. როცა სალადინს იერუსალიმი დაუპყრია, თამარს წმიდა ჯვრის გამოსყიდვა განუზრახავს. თამარის სახელი საქართველოს საზღვარს გასცდა. დასავლეთმაც ვერ აუარა გვერდი თამარის მომხიბვლელობას: ქრონიკაში წერია, რომ „ფრანკი მეზღვაურები შავ ზღვაზე ცურვისას კარგ ამინდში თამარ დედოფლის სადიდებელს მღეროდნენ“. ამ და მსგავს გამონათქვამებზე დაყრდნო-

ბით ვარაუდობს ვენის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი რობერტ ბლაიხშტაინერი, რომ შუა საუკუნეების დასავლეთის რაინდობა ქართულის გავლენას განიცდიდა[26].

1192—1193 წლებში ბერძნები და ქართველები თამარ მეფის ჯვრით ცდილან იერუსალიმის და მის მახლობლად მდებარე დაკარგული მიწების გამოსყიდვას. თამარ მეფემ 200 ათასი ოქრო აძლია ჯვრის გამოსახსნელად, მაგრამ სარკინოზები არ დათანხმებულან[27]. 1214 წელს, მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებმა დაიპყრეს, ივირონის მკვიდრნი ათონის მთაზე პაპს დაექვემდებარნენ და ჟამისწირვაში უმარილო პურის ხმარებაც კი შეიტანეს, რის გამოც ბერძნებმა მათთან კავშირი გაწყვიტეს[28].

1212 წელს გარდაიცვალა მეფე დიდი თამარი და მის მაგიერ სამეფო ტახტზე ლაშა-გიორგი IV (1213—1222) ავიდა. ახალგაზრდა უფლისწულს წილად ხვდა აღმოსავლეთში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს მეფობა. ლაშა-გიორგის სახელი შორს იყო გავარდნილი. რაინდული სულისკვეთების მქონე ჭაბუკი მეფისაგან ჯვაროსნები ხსნას ელოდნენ. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის წერილი, რომელიც ზღვის გაღმიდან ვინმე რაინდს დე ბუას ბეზანსონის არქიეპისკოპოს — ამედე დე ტრემლეისათვის გაუგზავნია. იგი წერდა: „აწ ისმინეთ... საკვირველი და საყურადღებო, ამბად მივიღე, და საქმის სიჭეშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიითაგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრებით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელ დახმარებით ძალათა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს... ზემო აღნიშნულნი წმიდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი, წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ეს დედამისის დედოფლის უძლიერესის თამარის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვლებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ“[29].

ამ წერილიდან საყურადღებოა სამი მომენტი: პირველი, რა მოუთმენლად მოელოდნენ ჯვაროსნები საქართველოს ძლევამოსილი ჯარის სამხრეთისაკენ გალაშქრებას, მეორე, როგორ ცდილობდნენ

ამ იმედით თანამემამულეთა წაქეზებას ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ, და მესამე, რა დიდი იყო ჯვაროსანთა აღფრთოვანება და პატივისცემა გიორგი-ლაშასადმი. ჯვაროსანთა ახალი ნაკადი 1219 წელს დამიეტის[30] კედლებს მიაწყდა. ამ ვითარებაში მთლად უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული რაინდის მოლოდინი, რომ საქართველოს ჯარი წამოვიდოდა ჯვაროსანთა დასახმარებლად.

ცნობილია, რომ 1218 წლის გაზაფხულზე ჯვაროსნები ეგვიპტის მნიშვნელოვან სავაჭრო და სამხედრო ქალაქ დამიეტას მიადგნენ. ჩვიდმეტი თვის ალყაშემორტყმული ქალაქი 1219 წლის ნოემბერში დაეცა. ამან ჯვაროსანთა ავტორიტეტი ასწია, ხოლო მუსლიმანები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ფრანგების მიერ დამიეტის აღებას დიდი გამოხმაურება გამოუწვევია საქართველოში. ქართველები ჯვაროსნებთან ერთად საბრძოლველად განწყობილან[31]. ისინი ჯვაროსნებს გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდნენ. როგორც იორდანუსი აღნიშნავს, „ქართველები ეპისტოლეებით მოუწოდებდნენ ჯვაროსნებს ბრძოლისაკენ, აღაფრთოვანებდნენ მათს საბრძოლო სულისკვეთებას და აგულიანებდნენ, გაემრავლებინათ გამარჯვებები. ამასთანავე მიუთითებდნენ, რომ მათთვის სირცხვილი იქნება, თუ არ გადაწვავენ დამასკოს, არ დაიმორჩილებენ უწმიდურ ცრუმორწმუნეთა სხვა მთავარ ადგილებს და იარაღით არ შეებრძოლებიან ურწმუნოებს, როგორც ამას ადრე აპირებდნენ მეომრები“[32]. ვოლატერანოს ცნობით, „იმ დროს, როდესაც დამასკოს მთავარმა ქალაქ დამიეტას ალყა შემოარტყა, მასთან ქართველები მივიდნენ, რათა საღვთო ომში მონაწილეობა მიეღოთ“[33]. ქართველებმა სულიერად იმდენად გაამხნევეს ჯვაროსნები, რომ მათ დამასკოც კი გაათავისუფლეს[34].

უფრო ადრე კი გიორგი-ლაშამ რომის პაპის ონორე III-ის მოწოდებით გადაწყვიტა, მიმხრობოდა ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობას. ამის შესახებ ჩვენ ცნობას რუსუდან დედოფლის (1223—1245) რომის პაპ ონორე III-სადმი 1224 წლის 12 მაისს მიწერილ წერილში ვპოულობთ. ამ წერილის მიხედვით, დამიეტში პაპის ლეგატს პელაგიოსს საქართველოს მეფისათვის მიუმართავს წინადადებით, რომ საერთო ძალით ემოქმედათ მუსლიმანების წინააღმდეგ. „დამიეტში მყოფი შენი ლეგატისაგან, — წერს რუსუდან დედოფალი ონორე III-ს, — მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა

ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო"[35]. ამასვე იმეორებს პაპისადმი წერილში ივანე მხარგრძელი[36].

გიორგი-ლაშას, როგორც ჩანს, პაპის მოწოდება უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ჯვაროსნობა უტვირთია: „ეს თავად მისი სურვილი იყო და წასასვლელადაც ემზადებოდაო"[37], — წერს რუსუდან დედოფალი პაპს დასახელებულ წერილში. ამას ივანე მხარგრძელიც ემოწმება: „ჩვენ ვემზადებოდით იარაღის, სურსათის, ცხენებისა და მებრძოლთა საჭირო მარაგით, რათა წამოვსულიყავით ქრისტიანების დასახმარებლად და წმიდა საფლავის გასათავისუფლებლად"[38].

1220 წელს საქართველოს საზღვრებს მოადგა მონღოლთა 20 ათასი მხედარი. ეს იყო მათი დაზვერვითი ხასიათის ლაშქრობა. მოულოდნელ გრიგალს გიორგი-ლაშამ თავისი უძლეველი ჯარი შეაგება, მაგრამ ქართველები ძლეულ იქნენ. მიუხედავად ამისა, მონღოლები უკან გაბრუნდნენ. მომდევნო წელს მათ ისევ სცადეს შემოსევა, მაგრამ შეიტყვეს რა ქართველთა ჯარი მზად იყო მათთან საბრძოლველად, უკან გაბრუნდნენ. საქართველოში მყუდროება გამეფდა. ყველას ეგონა, მონღოლები საბოლოოდ ჩამოშორდა მცირე აზიას. ამ წარმოდგენამ, ჩანს, ქართველი პოლიტიკოსები გაათამამა. 1221 წელს გიორგი-ლაშა კვლავ სირია პალესტინისაკენ გასალაშქრებლად ემზადებოდა. მაგრამ მონღოლთა ბრძოლაში მიღებული სასიკვდილო ჭრილობის გამო გარდაიცვალა.

ამასობაში ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა შეიცვალა. დამიეტს ისევ დაეუფლნენ მუსლიმანები. პალესტინის ახალშენები ჯვაროსნებს განსაკუთრებული სულისკვეთებით მოელოდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია ალექსანდრიის პატრიარქის ნიკოლოზის წერილი პაპ ონორე III-სადმი. პატრიარქი ხსნას მხოლოდ ჯვაროსნებში ხედავს. აღწერს რა დიდ გაჭირვებას, გერმანიის იმპერატორს ფრიდრიხ II-ს (1212—1250) მოუწოდებს, და, რაც მთავარია, ასწავლის მარშრუტს და ხერხებს, თუ როგორ იმოგზაუროს მხედრობამ, როგორ შემოვიდნენ მათი ხომალდები ეგვიპტეში[39].

პაპი ონორე III-ც აქტიურად ემზადებოდა. 1223 წელს ვერონის კრებამ ლაშქრობის ვადად სიცილიის მეფესა და გერმანიის იმპერატორს ფრიდრიხ II-ს[40] 1225 წლის ივნისი დაუნიშნა. ყველა დიდად იყო დაინტერესებული ამ ამბებით. ლაშქრობისათვის სამზადისის ხმას საქართველომდეც მოუღწევია. მას აქ სიხარულით შეხვედრიან. ეს ბუნებრივია, რადგან საქართველო ჯვაროსანთა კოალიციაში შე-

სული და სარკინოზებთან ომში განთქმული იყო. 1224 წელს საქართველოდან რომში საგანგებოდ გაგზავნეს ანის ეპისკოპოსი დავითი, რომელსაც პაპთან რუსუდან დედოფლისა და მხედართმთავრის ივანე მხარგრძელის წერილები მიჰქონდა. „დიდად გავიხარეთ, — წერს რუსუდან დედოფალი პაპს, — როდესაც შევიტყვეთ, რომ შენი ბრძანებით იმპერატორს (ფრიდრიხ III-ს — მ. პ.) მართებს, წმიდა ადგილების დასახსნელად ახლა სირიაში გადავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავგზავნით ჩვენს მხედართმთავარს ივანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმიდა საფლავის გასათავისუფლებლად, სადაც უბრძანებთ მას ჩასვლას“[41]. ამასვე წერს ონორე III-ს ივანე მხარგრძელი და უმატებს, რომ პირადად თვითონ მზად არის, 40 ათასი მხედრით ომში მონაწილეობის მისაღებად წავიდეს[42].

ამრიგად, გიორგი-ლაშამ ვერ მოასწრო წერილობით ეპასუხა რომის პაპისათვის. ამიტომ რუსუდან მეფემ 1224 წელს საპასუხო წერილი გაუგზავნა პაპ ონორე III-ს და მასში გამოხატა გიორგი-ლაშას პოლიტიკური კურსისადმი მხარდაჭერა ჯვაროსნების მიმართ.

ვატიკანში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს დედოფლისა და მხედართმთავარ ივანე მხარგრძელის წერილებს და პასუხებიც არ დააყოვნეს. 1124 წლის 12 მაისს რუსუდან დედოფლისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში პაპი ონორე III აღფრთოვანებას გამოთქვამდა ქართველთა გმირული ბრძოლის გამო უსჯულო დამპყრობელთა წინააღმდეგ, მათ მზადყოფნაზე, მონაწილეობა მიიღონ ჯვაროსნულ ლაშქრობაში[43]. ივანე მხარგრძელისადმი წერილში პაპი საქართველოს მხედართმთავარს მამობრივი გულკეთილობით მოუწოდებდა დაპირებისამებრ თავისი ჯარით შეწეოდა ფრიდრიხ II-ს წმიდა ადგილების გასათავისუფლებლად[44].

ამრიგად, რომსა და საქართველოს შორის ურთიერთობას პირველი ნიშანი კარდინალმა პელაგიოსმა მისცა. ობიექტური მიზეზების გამო რუსუდან დედოფლის დაპირებული ლაშქრობა არ განხორციელდა. 1225 წელს ხვარაზმ-შაჰ ჯალალ ედ-დინის შემოსევამ საქართველოს მხედართმთავრობას ჯვაროსნებზე ფიქრი დააავიწყებინა.

ჯერ არ მოესვენა სისხლისმღვრელი შემოსევებისაგან საქართველოს, როცა მის საზღვრებს მონღოლთა საშინელი ძალა მოადგა. საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში დადგა კრიტიკული მომენტი. ქვეყნის მესვეურები დაბნეულობამ შეიპყრო და რომ ვერა მოა-

ხერხეს რა, ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტნენ. მონღოლებმა სწრაფად დაიპყრეს ოდესღაც ძლიერი და აყვავებული ქვეყანა. ეს მოხდა 1235 წელს. რუსუდან დედოფალი დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

მეფესა და მთავრობას სხვა არავისი იმედი არ ჰქონდა და გულშემატკივარ მოკავშირედ მათ რომის პაპი დაიგულვეს. საქმე ისაა, რომ მონღოლების შემოსევამდე საქართველოში რომის პაპს გამოუგზავნია ფრანცისკანელთა ორდენის მისიონერები. ცნობილი არაა, თუ რამდენი იყვნენ ისინი. ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთი მისიონერის სახელი ვიცით. იგი არის იაკობ დე რუსანო. ეს უკანასკნელი და სხვა მისიონერები რუსუდან დედოფალს ღირსეულად მიუღია და მათთვის მოქმედების ფართო შესაძლებლობა მიუცია. ამის გამო იაკობ დე რუსანო პაპ გრიგოლ IX-ის წინაშე საქართველოს მეფეს ქება-დიდებას ასხამდა. მისიონერ იაკობ დე რუსანოს საშუალებით საქართველოდან ახალი ამბების გაგების შემდეგ პაპმა გრიგოლ IX-მ იგივე მისიონერი სხვებთან ერთად, რუსუდან დედოფლისადმი 1234 წლის 16 აპრილით დათარიღებული წერილით, კვლავ საქართველოში გამოაგზავნა. მიუღია რა ეს ეპისტოლე, რუსუდანს, საპასუხო წერილი მიუწერია გრიგოლ IX-სათვის. დედოფლის ეს წერილი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ მისი შინაარსის დადგენა შესაძლებელია პაპი გრიგოლ IX-ის მიერ 1240 წელს რუსუდანისა და დავით მეფისადმი მიწერილი ვრცელი წერილიდან. ასე რომ, იაკობ დე რუსანოს საშუალებით რუსუდან დედოფალმა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარა პაპობასთან.

რუსუდან დედოფალი პაპი გრიგოლ IX-ს აუწყებდა, რომ „კათოლიკური ეკლესიის მტრები“ მონღოლები შემოესივნენ საქართველოს, სთხოვდა სამხედრო დახმარებას და სამაგიეროდ „რომის ეკლესიასთან შეერთებას“ ჰპირდებოდა. საქართველოს მეფეს საფუძველ• ჰქონდა შველა ეთხოვა, მაგრამ იმედი არ გამართლდა. პაპი ვერ მიეშველა აღმოსავლეთის საქრისტიანოს. ამის მიზეზად გრიგოლ IX აცხადებდა დასავლეთში ერეტიკოსების[46] წინააღმდეგ ბრძოლას, ფრიდრიხ II-სთან გამწვავებულ ურთიერთობას[47] და ტერიტორიულ სიშორეს. ამიტომ „ნუ გაგიკვირდებათ, — შესჩიოდა პაპი რუსუდან დედოფალს, — თუ რომის ეკლესიის მხედრობა არ მოვა ხსენებული თათრების წინააღმდეგ თქვენს დასახმარებლად, ვინაიდან ამის საშუალება არ მოგვცეს ბიწიერმა სარკინოზებმა, რომლებიც ჩვენს და თქვენს შორის იმყოფებიან და რომელთა განდევნასაც ვცდილობთ

ხსენებული სირიიდან"[48]. სამაგიეროდ გრიგოლ IX-მ შეაქო რუსუდანი რომის ეკლესიასთან შეერთების განზრახვისათვის. ვრცელი წერილი მისწერა პაპის უფლებათა განმარტებით და მოუწოდა მას თავის ქვეშევრდომებთან ერთად ელიარებინათ პაპის მეთაურობა[49]. ხსენებულ წერილში პაპი დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც ამას რუსუდან დედოფალი წერდა, „ეკლესიის დაარსების დღიდან მტკიცედ და შეურყეველად" შემონახულა. ამ ფრაზაში, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ ის აზრი, რომ ქართული ეკლესია კვლავ იცავდა ეკლესიათა ერთიანობის იდეას.

ერთი სიტყვით, რუსუდან დედოფალმა რომის პაპს გრიგოლ IX-ს მონღოლებთან წინააღმდეგ სთხოვა სამხედრო დახმარება. სანაცვლოდ პირობას იძლეოდა, რომ ქართული ეკლესია რომის ეკლესიას შეუერთდებოდა. რუსუდან დედოფლის ამ განზრახვას პაპმა „ღვთაებრივი შორსმჭვრეტელობის საუკეთესო ნიმუში"[50] უწოდა. ეს ბუნებრივი იყო, ამ დროს დასავლეთში პაპობის მიერ კატართა ერესისა და ფრიდრიხ II-ის რეფორმატორული ნაკადის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე. აკი სწორედ ამის გამო ვერ მალავდა პაპი სიხარულსა და აღფრთოვანებას. რადგან, როცა ევროპაში „დამღუპველი განხეთქილება მძვინვარებდა" მაშინ „უცნობი მეფეები და ხალხი, მისგან ესოდენ დაშორებულნი, მიმართავდნენ მას მის წმიდა წიაღში შესვლის შესახებ"[51], მაგრამ ქართველ მესვეურთა აზრით, „ეს საკითხი რეალურად მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური საკითხების მოგვარების შემდეგ უნდა დამდგარიყო"[52].

პაპის პასუხის შედეგად მთლიანობის დაცვისა და მოსპობისაგან გადარჩენის მიზნით, საქართველომ ისევ მონღოლებთან დაზავება არჩია. რუსუდან დედოფალი კვლავ თბილისში დაბრუნდა, თავისი ძე დავითი კი 1242—1243 წწ. სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად ჩრდილო ულუსში გაგზავნა. ამ დროიდან საქართველო მონღოლთა ბატონობის მძიმე უღელქვეშ მოექცა, მაგრამ დამპყრობელთა წინაშე ჩვენი ქვეყანა ქედს არ იხრიდა.

ამრიგად, ჯვაროსანთა ლაშქრობის ხანა საქართველოს გაძლიერებისა და აყვავების პერიოდს დაემთხვა. საერთო მტერთან ბრძოლა ქართველ-ლათინთა ინტერესებს ააზლოებდა. ამიტომ ქართველ-ლათინთა კავშირი უმთავრესად პოლიტიკური მოტივებით იყო გამოწვეული. მართალია ქართველთა ბრძოლა მუსლიმანების წინააღმდეგ

პოლიტიკური მიზეზით იყო გამოწვეული, მაგრამ ჯვაროსნობის ხანაში ეს ბრძოლა რელიგიურ ელფერს ატარებდა.

რელიგიური მოტივით დაწყებული ომები ფაქტიურად ეკონომიკურ-პოლიტიკურ მისწრაფებაში გადაიზარდა. სირია-პალესტინის ჯვაროსანთა შორის მუდმივი და შეუნელებელი ბრძოლა იყო, რაც მათ ბანაკს ასუსტებდა. ძალამოკრებილი მტერი მათ განადგურებას უქადდა. რაინდები ხსნას სამშობლოდან მოელოდნენ, მაგრამ ევროპა მათ დროზე ვერ ეხმარებოდა. ამ ხანებში ფრანგმა რაინდებმა საქართველოზე თქმულებები შექმნეს. ჩვენთვის ასეთი ხასიათის ცნობები მაინც ძვირფასი და საყურადღებოა, რადგან მჭევრმეტყველურად გვიჩვენებენ საქართველოს ძლიერების ხმას ჯვაროსანთა შორის და მის პოპულარობას ევროპაში.

ქართველ-ლათინთა ურთიერთობის ამბები რომის პაპის კარს არ გამოჰპარვია. დამიეტას დაცემა ბევრად განაპირობა იმან, რომ ქართველთა თუნდაც მცირე რაზმი ვერ მიეშველა ჯვაროსნებს. ამ ამბებიდან რომმა თავისი დასკვნები გამოიტანა და მალე საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასაც შეეცადა.

§ 2. კათოლიკობა და უნიის საკითხი საქართველოში XIII—XV საუკუნის I ნახევარში

ჩვენ ვნახეთ, რომ რომის ურთიერთობა საქართველოსთან ჯვაროსნული ომების ხანაში წმინდა პოლიტიკურ ნიადაგზე დაიწყო. მალე ამ ურთიერთობამ განვითარება ჰპოვა მისიონერული მოღვაწეობის სფეროში, თუმცა საჭირო შემთხვევაში იგი პოლიტიკურ ხასიათსაც იძენდა.

საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის დაწყებასთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებული პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დაზუსტებულად შეიძლება ჩაითვალოს: 1233 წელს პაპმა გრიგოლ IX-მ საქართველოში თავის წარმომადგენლად გამოგზავნა ფრანცისკანელი მისიონერი იაკობ დე რუსანო რამოდენიმე მისიონერთან ერთად[1]. დააფუძნა რა მისიონი, იგი 1234 წელს რომში დაბრუნდა. მან პაპს მოახსენა, რომ რუსუდან

მეფემ ღირსეულად მიიღო ფრანცისკანელი მისიონერები და მათ მოღვაწეობის ფართე ასპარეზი მისცა[2]. ამ ცნობის საფუძველზე იმავე წელს პაპმა გრიგოლ IX-მ ხსენებული იაკობ დე რუსანო კვლავ საქართველოში გამოგზავნა რუსუდან მეფისადმი 1234 წლის 16 აპრილით დათარიღებული წერილით, რომლითაც იგი მეფეს მოუწოდებდა, რომ მისიონერები მფარველობაში ჰყოლოდა. ახლა რუსუდან მეფემ პაპს საპასუხო წერილი მისწერა და იგი რომში ისევ იაკობ დე რუსანომ წაიღო. ეს ალბათ 1240 წლამდე მოხდა, რადგან იმავე წელს პაპი გრიგოლ IX იმავე რუსანოს რვა მისიონერთან ერთად საქართველოში აგზავნის[3].

ერთი სიტყვით, რუსუდან მეფის „რომის ეკლესიასთან შეერთების" კონკრეტულ წინადადებას პაპი გრიგოლ IX-მ ასევე კონკრეტული ნაბიჯი შეაგება. კერძოდ, პაპი საქართველოს მეფეს არაორაზროვნად აუწყებდა „სასუფეველის კარი გაეღება მხოლოდ იმათ, ვინც პეტრესა და მისი მოსაყდრის მორჩილნი იქნებიან"[4]. ამ მიზნით იგზავნებოდა სწორედ 1240 წელს საქართველოში რვა კათოლიკე მისიონერი.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: 1233 წელს საქართველოში დაარსდა ფრანცისკანელთა მისიონი. ის უკავშირდება იაკობ დე რუსანოს სახელს. იგი იყო პაპის პირველი ლეგატი საქართველოში, რომელმაც, ალბათ, სრული წარმოდგენა შეუქმნა რომს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შესახებ. თუ პაპ ონორე III-ს ქართული ეკლესია არ მიაჩნდა რომის ეკლესიისაგან განშორებულად[5], ეს უკვე პაპი გრიგოლი IX-თვის რეალური ფაქტია. ამდენად, სწორად უნდა ჩაითვალოს მ. თამარაშვილის აზრი, რომ 1230 წლამდე „რომისა და საქართველოს სარწმუნოებრივი ერთობა მტკიცედ იყო დაცული, ხოლო ამ ხანების შემდეგ მოხდა განცალკევება"[6].

1240 წელს თბილისში დომინიკანელებმა თავიანთი მისიონი დაარსეს[7]. მათ ფრანცისკანელ მისიონერებთან ერთად გაშალეს მუშაობა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისა და რომის ეკლესიასთან გაერთიანების მომზადებისათვის[8]. 1245 წელს პაპმა ინოკენტი IV (1243—1245) აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, გამოგზავნა დომინიკანელი მისიონერები. ზუსტად, თუ რამდენი იყვნენ ისინი, თქმა ძნელია. თუმცა ამ დროისათვის საქართვე-

ლოში ფრანცისკანელ და დომინიკანელ მისიონერთა დიდი ჯგუფი უნდა ყოფილიყო.

- ამასობაში ჩვენს ქვეყანაში უმეფობის დრო დადგა. 1245 წელს რუსუდან მეფე გარდაიცვალა. მისი ძე დავითი და გიორგი ლაშას ვაჟიშვილი — ასევე დავითი, ამ დროს მონღოლთა სატახტოში (ყარაყორუმში) სამეფო ტახტის დასამტკიცებლად იბრძოდნენ. 1249 წელს მანგუ ყაენმა ორივე დავითი დაამტკიცა საქართველოს მეფეებად. ამ დროიდან საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული მონღოლების პოლიტიკასთან, თუმცა თავისი მიწა-წყლის გასათავისუფლებლად ქართველ ხალხს ბრძოლა არ შეუწყვეტია. ჯერ კიდევ ყარაყორუმში ყურულთაიზე დამსწრე ქართველ დიპლომატებს, აქ პაპი ინოკენტი IV-ის მიერ რელიგიური და დიპლომატიური დავალებით ჩასული ფრანცისკანელი ჯოვანი დელო პლანო კარპინისათვის გაუნღვიათ აჯანყების მოწყობის განზრახვა[9].

ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობას საქართველოში თავისი დაღი უნდა დაესვა მისიონერთა საქმიანობისათვის, მაგრამ, ჩანს, ეს ასე არ მოხდა. თუმცა რომის ეკლესიასთან შეერთების საკითხზე ქართველებს არ უზრუნიათ. ვატიკანი კი აღნიშნული მიმართულებით ცდას არ ანელებდა. 1245 წლის 15 ივლისს პაპი ინოკენტი IV-მ (1243—1254) წერილი მისწერა „ქართველთა პატრიარქს[10], რათა იგი დაუბრუნდეს ერთიან ეკლესიას"[11]. ქართველთა პატრიარქი კი ამ დროს რომში ანგარიშგასაწევი პიროვნება ყოფილა. ჩანს, იგი მისიონერებს საქართველოში ყურადღებას არ აკლებდა. „ჩვენ შენი დიდი იმედი გვაქვს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ამ თხოვნას შეასრულებ... ამ წერილის მომტანი... მორჩილი ძმა დომინიკანელთა ორდენიდან იოანე და მონტეკორვინო ჩვენ გვაცნობებს შენი დიდი მოღვაწეობის შესახებ"[12] — წერდა პაპი საქართველოს პატრიარქს. აქვე ყურადღებას იქცევს პაპის უშუალო მიმართვის ფორმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი: „ქრისტეს მიერ ღირსეულ ძმას, ჩვენს ქართველთა პატრიარქს მოციქულებრივი ლოცვა-კურთხევა"[13].

საქართველოში მისიონერთა დაუბრკოლებელი მოღვაწეობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ რომიდან მისიონერთა გამოგზავნა დიდი ინტერესით ხდებოდა. 1247 წელს აღმოსავლეთში გაგზავნილ ფრანცისკანელ მისიონერთა ერთი ნაწილი მორჩილი ძმა ანდრეა და პერუჯას მეთაურობით საქართველოში ჩამოვიდა. „მათ დავალებული ჰქონდათ ქართველებისა და სომხების დაკავშირება რომის ეკლესი-

ასთან"[14]. ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეძლეს ამ მისიონერებმა თავიანთი ამოცანის შესრულება, მაგრამ ფაქტია, თერთმეტი წლის შემდეგ, 1258 წელს პაპმა ალექსანდრე IV-მ (1254—1261) საქართველოში გამოგზავნა ფრანცისკანელ და დომინიკანელ მისიონერთა ახალი ჯგუფი[15].

წყაროთა უქონლობის გამო ძნელია ითქვას, თუ რა შედეგს აღწევდნენ კათოლიკე მისიონერები საქართველოში, ან ქართველი პოლიტიკოსები როგორ პოზიციას იჩენდნენ ვატიკანის რელიგიური პოლიტიკის მიმართ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დროგამოშვებით, მაგრამ მაინც აგზავნიდნენ პაპები საქართველოში მისიონერებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონღოლთა უღელქვეშ მოქცეული ქართველი მესვეურები რომის სახით შესაძლებელ მოკავშირეს ხედავდნენ და ამ იმედით მისიონერთა საქმიანობას, შეძლებისდაგვარად, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ. რაც შეეხება ეკლესიათა გაერთიანების საქმეს, მასზე ქართველ პოლიტიკოსებს აღარ უზრუნიათ, „რადგან საქართველოს მმართველი წრეებისათვის რომის ეკლესიასთან შეერთების საკითხს უფრო პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი"[16].

ჩვენს ხელთ არსებული ერთი წყაროდან ჩანს, რომ XIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის საქართველოში მისიონერთა გარკვეულ ჯგუფს მოუყრია თავი. მათ ჰქონდათ, ალბათ თბილისში, „წმიდა მარტინის ქართული მონასტერი". გარდა ამისა, მათ ხელთ იყო სხვა ეკლესიებიც. ბუნებრივია, აქ მრევლს ქართველი კათოლიკენი შეადგენდნენ. ჩანს, მისიონერთა მოღვაწეობას პრაქტიკული შედეგები მოჰყვა. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ 1265 წელს რომში შედგენილ წერილს, რომელიც მიმართული იყო „წმიდა მარტინის ქართული მონასტრის აბატებისადმი". „განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, — ავალებდნენ ადრესატს, — უფლის შთაგონებით განსწავლულ პირთა შერჩევას; შეარჩიეთ შესაფერისნი და ღირსეულნი, რომლებიც საეკლესიო მეთაურის პოსტზე დგომას იმსახურებენ. ისინი სხვებისაგან უნდა განსხვავდებოდნენ სრულყოფილი თავმდაბლობით და უნდა ბრწყინავდნენ ღირსებით. შეეცადეთ ეკლესიების მეთაურებად აირჩიოთ ღვთისმოსავი გულისა და წმიდა ხელების მქონე ადამიანები. მოძღვრის ხელი, რომელიც მორწმუნეებს ეხება, წმინდა უნდა იყოს"[17].

ერთი სიტყვით, საქართველოში კათოლიკურ ეკლესიას გარკვეუ-

ლი წარმატებები ჰქონდა მოპოვებული. ამის უშუალო მოწმობაა ის, რომ ამ დროს საქართველოში ყოფილა ხუთი კათოლიკური მონასტერი, მათ შორის ორი თბილისში და ერთი ახალციხეში[18]. ამ ეკლესიების განმტკიცებას ისახავდა მიზნად 1278 წელს პაპი ნიკოლოზ III-ის (1277—1280) მიერ რამდენიმე ფრანცისკანელი მისიონერის გამოგზავნა[19]. სამწუხაროდ, ამ მისიონერთა მოღვაწეობაზე ჯერჯერობით ცნობები არ მოგვეპოვება.

აღნიშნული დროიდან თერთმეტი წლის შემდეგ, 1289 წელს პაპმა ნიკოლოზ IV-მ (1288—1292) წერილობით მიმართა საქართველოს მეფეებს დემეტრე II-ს, დავით VI ნარინს, საქართველოს პატრიარქსა და სხვა იერარქებს.

ხსენებულ წერილში პაპი დემეტრე II-ს (1270—1289) შეახსენებდა, რომ რომის ეკლესია კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდა. სთხოვდა მეფეს, რომ ხელი შეეწყო ეკლესიათა შეერთებისათვის და ერთგული ყოფილიყო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც რომის ეკლესია აღიარებდა[20]. ამ ეპისტოლეს 1289 წლის 11 ივლისის თარიღი აქვს დასმული, დემეტრე II კი ამავე წლის 12 მარტს არღუნ ყაენმა სიკვდილით დასაჯა. ჩანს, ეს ამბავი რომს არ სცოდნია.

საქართველოს კათალიკოს აბრამ I-სა (1280—1310) და სხვა იერარქებს პაპმა უფრო ვრცელი ეპისტოლე მოსწერა ეკლესიათა შეერთების წინადადებით. ამ გზაზე ქართველთა კათალიკოსს პაპი სთხოვდა, რომ გულმოდგინედ ეღვაწა იმ დაბრკოლებების გადასალახავად, რომელიც ეკლესიათა გაერთიანების დროს იჩენდა თავს. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ეპოქალური მნიშვნელობა ენიჭებოდა თვით კათალიკოსის მიერ კათოლიკობის აღიარებას. აკი პაპიც მას მოუწოდებდა „რამდენადაც თქვენი მაგალითით ბევრს შემოუერთებთ, ვინაიდან იცით, რომ ქვეშევრდომნი ადვილად მიბაძავენ თავიანთ მწყემსების მაგალითსო. ამ წერილის მომტანმა, ჩვენმა საყვარელმა შვილმა, მინორიტების მონაზონმა იოანე და მონტეკორვინომ მოგვითხრო თქვენი მრავალი შესანიშნავი მოქმედება, რომლის მოსმენამ გაგვახარა“[21].

როგორც ირკვევა, იოანე და მონტეკორვინო საქართველოში ადრეც ყოფილა. იგი პაპმა ნიკოლოზ IV-მ თავის ლეგატად გაგზავნა ინდოეთსა და ჩინეთში 1280 წელს. ჩანს, ამ პერიოდში ჩამოვიდა იგი საქართველოში. ცხადია, აქ ნაცხოვრები იოანე სხვა ცნობებსაც მიაწვდიდა რომს საქართველოზე. ყოველ შემთხვევაში საქართველოს

ორად გაყოფის ამბავი და მათი მეფეთა სახელები იქ იციან. რაც შეეხება დემეტრე II-ის სიკვდილით დასჯის ამბავს, იოანე და მონტეკორვინოს ის არ ეცოდინებოდა, რადგან საქართველოდან იგი 1288 წლის ბოლოზე გვიან ვერ წავიდოდა.

ორი წლის შემდეგ პაპმა ნიკოლოზ IV-მ ისევ გამოგზავნა ეპისტოლე საქართველოს მეფეებთან. აქ უკვე ის წმინდა პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდა. ამის მიზეზი პალესტინაში ლათინთა მდგომარეობის გამწვავება იყო. ცნობილია, რომ ხსენებული პაპის პონტიფიკატის დროს დაეცა ანტიოქია, ხოლო 1291 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს უკანასკნელი პუნქტი სენ-ჟან დ'აკრა (აკვა). ამით დამთავრდა ჯვაროსნული ომების ერა.

სწორედ ჯვაროსნების მაჰმადიანებთან უკანასკნელი ბრძოლის ჟამს პაპმა ნიკოლოზ IV-მ სცადა სამხედრო დახმარება მიეღო საქართველოსაგან წმიდა ადგილების დასახსნელად. ამ მიზნით 1291 წლის 1 სექტემბერს პაპმა საქართველოს მეფე დემეტრე II-თან (რომში ის ცოცხალი ჰგონიათ) და დავით VI ნარინთან ეპისტოლეები გაგზავნა, რათა მთელი ჯარით მომზადებულიყვნენ „წმიდა ადგილების" გამოსახსნელად. ამ ეპისტოლეს საქართველოში ჩამომტანებს მინორიტ ფრანციისკანელ მისიონერებს გილემ დე კიეროს და თეატინის მოქალაქეს მათეს ქართველი მეფეებისათვის ზეპირად უნდა მოეხსენებინათ პაპის აზრი წმიდა ადგილების დახსნის შესახებ[22]. ორივე ეს მისიონერი პაპის დიდი ნდობით სარგებლობდა.

როგორც აღვნიშნეთ, 1291 წელს დემეტრე II უკვე ცოცხალი აღარ იყო, ხოლო დავით VI ნარინი, მართალია, მონღოლებს არ ემორჩილებოდა, მაგრამ თავისი სამეფოს დამოუკიდებლობას ძლივს ახერხებდა. ჯვაროსანთა ლაშქრობა ვერ მოეწყო, რადგან ევროპა საამისოდ არ იყო განწყობილი. უიმედო მოლოდინში ახლო აღმოსავლეთის საქმეების ჩინებული მცოდნე პაპი ნიკოლოზ IV 1292 წელს უეცრად გარდაიცვალა.

1278 წლიდან ვიდრე 1307—1313 წლამდე ჩვენ არ ვიცით რომიდან იგზავნებოდნენ თუ არა საქართველოში მისიონერები. არც ის ვიცით, ამ პერიოდში რა შედეგებს აღწევდნენ ისინი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XIV საუკუნის I ნახევარში მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისიონერთა საქმიანობას საქართველოში აღნიშნულ წლებში არანაკლები შედეგებისათვის უნდა მიეღწია.

1307 და 1313 წლებში საქართველოში პაპმა კლიმენტი V-მ (1305—1314) ბევრი ფრანცისკანელი და დომინიკანელი მისიონერი გამოგზავნა. მათი მთავარი ამოცანა იყო რომის ეკლესიასთან საქართველოს ეკლესიის შეერთების საკითხის მომზადება და გადაწყვეტა[23]. ამ მიმართულებით, თუ რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში ჩვენ არ ვიცით, საქართველოსთან რელიგიური ურთიერთობის პრაქტიკაში ეკლესიათა გაერთიანების საკითხის დაყენება ვატიკანის მხრიდან უკვე ტრადიციული გახდა. საფიქრებელია, საქართველოსთვის ყოველ რთულ და მძიმე საგარეო პირობებში, ვატიკანის მხრიდან, ეკლესიათა გაერთიანების საკითხის დასმა, ქართველ მესვეურებში არ ასუსტებდა პაპზე შესაძლო მოკავშირის წარმოდგენას. ეს კი, ბუნებრივია, საქართველოს უჭირველობის დროსაც არ უნელებდა ვატიკანისადმი ინტერესს ქართველ პოლიტიკოსებს. ალბათ, ამის შედეგი იყო ის, რომ ჩვენს ქვეყანაში კათოლიკობის მიმართ სრულიად შემწყნარებლობას იჩენდნენ და უკვე ზოგიერთი ქართველი მისიონერებთან უშუალო მუშაობაშიც ჩაება.

XIV საუკუნის I ნახევარში საქართველომ განვლილი დიდება დაიბრუნა. საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შემდგომ, არც ერთ მეფეს თანამედროვეთა შორის და შთამომავლობაში ისეთი სახელი არ მოუხვეჭია, როგორც გიორგი V ბრწყინვალემ დაიმსახურა (1314—1346). საქართველოს ამ უდიდესმა ხელმწიფემ მოხერხებულად შესძლო 1329 წელს ორმეფობის მოსპობა და 1334 წელს მესხეთის შემოერთება. ამით საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობაც აღსდგა. დასუსტებული მონღოლები გიორგი V ბრწყინვალის ჯარს იშედის თვალით შეჰყურებდნენ. 1335 წელს კი შეფე გიორგი V-მ საქართველოს კისრიდან გადააგდო ასწლოვანი მონღოლ-თათართა უღელი.

პოლიტიკურად გამაგრებისა და განმტკიცების შედეგად საქართველო ეკონომიკურად მოღონიერდა. ეს ძალზე დასტყობია თბილისს. „ახალ სიტუაციაში კვლავ წამოიზარდა დამოუკიდებელი საქართველო, რომელმაც დაიწყო ტრადიციული საგარეო-პოლიტიკური კურსის აღდგენა და საკმაო ამბიციებიც გამოამჟღავნა“. თუ რამდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა აღორძინებულმა საქართველომ ქრისტიანულ სამყაროში, გვიდასტურებს ის ფაქტი, რომ პაპმა იოანე

XXII-მ ქ. სმირნიდან თბილისში გადმოიტანა კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა[24].

პაპი იოანე XXII-ის (1316—1334) საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აღმოსავლეთთან ურთიერთობამ. ეს ავინიონელი პაპი იტალიის მდიდარ ქალაქებთან ურთიერთობისა და მათი სავაჭრო საქმეებისადმი მხარდაჭერის გზით ფიქრობდა თავისი გავლენის შემდგომ განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით მკითხველებს მოკლედ მოვუთხრობთ შავი ზღვის სანაპიროზე ევროპის სავაჭრო ფაქტორიების დაარსების ისტორიას.

ცნობილია, რომ ჯვაროსნული ომების შედეგად დასავლეთ ევროპამ შეძლო ხელში ჩაეგდო აზიის სავაჭრო გზები, მაგრამ იქ ევროპის კაპიტალმა ფეხი ვერ მოიკიდა. ამის მიზეზი ლათინთა მუდმივი უთანხმოება და სარკინოზების გაძლიერება იყო. იტალიელებს თავიანთი ბაზრები ალექსანდრია, ბეირუთი, ტრაპიზონი საიმედო საყრდენად არ მიაჩნდათ, რადგან გზის ჩაკეტვისა და მათთან მოწყვეტის შესაძლებლობა მუდამ არსებობდა. ბიზანტიის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დაუძლურებამ იტალიის ქალაქებს ძლიერი მეტოქე ჩამოაცილა. ახალი ბაზრების ძებნაში ისინი შავ ზღვაზე განმტკიცდნენ და მისი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი სანაპიროები დაიკავეს. საბოლოოდ გენუა და ვენეცია XIII საუკუნის ბოლოს განმტკიცდნენ ყირიმის ნახევარკუნძულზე. შავ ზღვაზე ვაჭრობაში წამყვანი ადგილი გენუის ქალაქ რესპუბლიკას ეკავა, მეორე ადგილზე ვენეციელები იყვნენ. 1270—1275 წწ. გენუელებმა ფეოდოსიის ყურეში დააარსეს ახალშენი კაფა, რომელიც შავიზღვისპირეთში გენუელთა მთავარი კოლონია იყო. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ გენუელებმა სავაჭრო ფაქტორიები დააარსეს შავი ზღვის აუზის ყველა რეგიონში. იმავე გენუელებმა 1316—1332 წწ. თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები დააარსეს აზოვის ზღვის სანაპიროზე, დონის შესართავზე, ტანაში (აზოვი) და ა. შ.[25]. გენუელებმა თავიანთი სავაჭრო ფაქტორია დააარსეს სოხუმშიც. აქ ისინი პირველად 1280 წელს იხსენიებიან[26]. ბუნებრივია, ეს იწვევდა საქართველოსა და გენუას შორის ცხოველი სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. ქართველები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აღნიშნულ ახალშენებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან აქედან გზა აზიის, ინდოეთისა და ჩინეთისაკენ გაიკვალა. მაგალითად,

პაპის ელჩი პლანო კარპინი 1245 წელს ლიონიდან გერმანიაზე, ბოჰემიაზე, კრაკოვსა, კიევსა, აზოვის ზღვის ნაპირებზე და რუსეთის ველზე გავლით სარაიში მივიდა ბათო ყაენთან. იქედან კასპიისა და არალის ზღვების ჩრდილოეთზე გავლით შვიდ მდინარეთით შუაგულ მონღოლეთს მიაღწია. მეორე ელჩი რუბრუკვისი 1253 წელს აღმოსავლეთში გაემგზავრა საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის დავალებით. იგი კონსტანტინოპოლიდან ყირიმში მივიდა, იქედან დონით და ვოლგით ყარაყორუმში — მანგუ ყაენთან.

გენუელთა ახალშენების დაარსებას შავიზღვისპირეთში, ბუნებრივია, თან ახლდა კათოლიკური მოსახლეობის გაჩენა. ამ მხრივ ყველაზე დიდი ცენტრი იყო კაფა. აქ სამი ქრისტიანული თემი არსებობდა, რომელთაგან ყველაზე მეტად კათოლიკური გამოირჩეოდა. 1318 წელს კაფას ეპარქია გაიხსნა, ხოლო 1322 წელს პაპმა მისი საზღვრები დაადგინა. უფრო გვიან, 1333 წელს პაპმა იოანე XXII-მ კაფაში დააფუძნა მისიონერთა მონასტერი, სადაც ბერები აღმოსავლურ ენას სწავლობდნენ. ყირიმის სხვა ახალშენებში დაარსებული ეპარქიები ბოსფორი (თანამედროვე ქერჩი) 1332 წელს მეტროპოლიას გაუთანასწორდა და ეპისკოპოსად დომინიკანელი ფრანჩესკო დე კამერინო დაინიშნა. ყირიმიდან იგზავნებოდნენ ეპისკოპოსთა კადრები აღმოსავლეთში.

აღნიშნულ პერიოდში კათოლიკე მისიონერების საქმიანობამ დიდ წარმატებას მიაღწია აღმოსავლეთში. ცნობილია, რომ 1258 წელს მონღოლების მიერ ბაღდადის აღების შემდეგ სავაჭრო გზებმა ირანში გადაინაცვლეს. გენუელებმა მონღოლ-ილხანთა სახელმწიფოს ცენტრ — თავრიზსა და დასავლეთ ირანის სხვა ქალაქებში XIII საუკუნის ბოლოს დააარსეს სავაჭრო ფაქტორიები[27]. მას შემდეგ, რაც ოლჯაით ხანმა (1304—1316) საფუძველი ჩაუყარა ქალაქ სულთანიეს[28] (ყაზვინთან ახლოს) და იგი გახდა ილხანთა სახელმწიფოს ცენტრი, გენუელთა სავაჭრო ფაქტორიამ იქ გადაინაცვლა.

სულთანიე მალე მისიონერთა მოღვაწეობის ცენტრად იქცა. აქ კათოლიკეთა რიცხვი ისე სწრაფად გაიზარდა, რომ 1315 წელს უკვე 25 ეკლესია გაიმართა, ხოლო 1318 წელს მისიონერ ფრანკო და პერუჯას პაპისათვის ვილჰელმ ადა გაუგზავნია მისიონერების მოშველიების სათხოვნელად. პაპმა მისიის წარმატება რომ მოისმინა, სულთანიეში მთავარეპისკოპოსის კათედრა დააწესა. არქიეპისკოპოსად ფრანკო და პერუჯა დანიშნა[29]. დამხმარედ ექვსი ეპისკოპოსი დაუ-

ნიშნა. ამათგან ორი საეპისკოპოსო საქართველოში იყო. ერთი თბილისში, ხოლო მეორე სოხუმში.

ერთი სიტყვით, პაპმა იოანე XXII-მ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთში კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის საკითხს. მან 1318 წელს აღმოსავლეთისათვის განკუთვნილ მისიონერთა ნაწილი საქართველოში მიავლინა. აქ ამ დროს ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ მისიონერები. ამის შედეგი იყო ის, რომ ზოგიერთმა ქართველმა კათოლიკობა მიიღო და აქ მოღვაწე მისიონერებთან ერთად ჩაება აღნიშნულ საქმიანობაში.

ცნობილია, რომ ქართველმა სასულიერო პირმა დიმიტრიმ კათოლიკობა მიიღო. იგი იტალიელმა მისიონერებმა ბერად აღკვეცეს და 1320 თუ 1321 წელს ფრანჩისკანელ მორჩილ ძმებთან — ტომაზო ტოლენტინოს, იაკობ პადუელისა და პეტრე სიენიელისთან ერთად წავიდა ინდოეთში სამოღვაწეოდ. დიმიტრი განათლებული პიროვნება ყოფილა. მას კარგად სცოდნია აღმოსავლური ენები და, ჩანს, თარჯიმნის როლს ასრულებდა პატრებთან. მან ხსენებულ მისიონერებთან ერთად 1321 წლის 13 აპრილს მოწამებრივად დაასრულა სიცოცხლე ინდოეთში ქალაქ თჰანაში[30].

ეს კონკრეტული ფაქტი ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ საქართველოში კათოლიკობა წარმატებით იკვლევდა გზას. შეუძლებელია, მარტო თბილისელი დიმიტრი ყოფილიყო ქართველი კათოლიკე. შეიძლება სხვა ქართველ კათოლიკეთა სახელები იმ წერილებშია მოხსენიებული, რომლებიც ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის, ან შეიძლება ბედუკულმართობის გამო დრომ შთანთქა ისინი.

1318 წელს თბილისში გამოგზავნილ მისიონერთა ერთი ნაწილი რომში დაბრუნდა და პაპს მოახსენა, რომ საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმე კარგად მიდისო. ასეთი ცნობით კმაყოფილმა პაპმა მისიონერთა ახალი ჯგუფი გამოგზავნა ჩვენს ქვეყანაში და მათ ვრცელი წერილი გამოატანა მეფე გიორგი V ბრწყინვალესთან. ეს წერილი 1322 წლის 15 ოქტომბრითაა დათარიღებული. პაპი „ქართველთა უბრწყინვალეს მეფეს გიორგი V-ს“ წერდა: „ჩვენ ვითხოვთ და ვლოცულობთ უფალი ქრისტესათვის, რათა თქვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ ერთიან წმიდა რომის ეკლესიას და ნაკლებად მნიშვნელოვნად არ ჩათვალოთ ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში უფლის შთაგონებით და ჩვენი მორჩილი ძმების რჩევით ვაკეთებთ. ეს მორჩილი ძმები დაკავებულნი არიან თქვენი და თქვენის ხელისუფ-

ლების ქვეშ მყოფი ხალხთა განათლებით, წმინდა საღვთო წერილის ავტორიტეტის დახმარებით, რაც გათვალისწინებულია ჩვენი ხელი-
'უფლების მიერ"[31].

პაპი იოანე XXII გიორგი V ბრწყინვალეს სთხოვდა, რომ მისი მოწოდება შეესრულებინა თავის მთავრებთან ერთად. ამავე დროს არწმუნებდა, რომ ის მატერიალურად სულ არ არის დაინტერესებული. ამიტომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას რომთან შეერთება არ დაეყოვნებინა იმ საბაბით, რომ „ეს შეუძლებელია საყოველთაო კრების (მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის) გარეშე, ჩვენ გიპასუხებთ: კეთილგანწყობით ვუყურებთ ასეთი კრების მოწვევას თქვენთვის და თქვენგან ახალშეძენილთათვის; მზად ვართ, თქვენი რწმუნებულები და დესპანები პატივითა და გულითადობით მივიღოთ". ამ მოწოდების სასარგებლოდ გიორგი ბრწყინვალის გადაწყვეტილების იმედით აღფრთოვანებული პაპი აღნიშნულ წერილში წერდა: „მოვაწყობთ ქრისტეს მიერ საყოველთაო ლხინს ყველა მორწმუნესათვის და აღფრთოვანებით და სიხარულით გამოვაცხადებთ, რომ კათოლიკური ეკლესია დაუბრუნდა თავის თავდაპირველ მშვენიერებას"[32]. პაპი ამასთან ერთად საქართველოს მეფეს სთხოვდა, ყურადღება მიექციათ მისიონერებისათვის და ეკლესიათა შეერთების შესახებ მოელაპარაკათ.

იმავე პაპმა გიორგი V ბრწყინვალეს 1329 წელს კიდევ ერთხელ მოუწოდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად კათოლიკურ ეკლესიას შეერთებოდა[33]. როგორც აქ მოხმობილი წყაროებიდან ირკვევა, რომის მხარე საკმაოდ ამზადებდა ნიადაგს ეკლესიათა გაერთიანებისათვის. ამას მოწმობს თვით პაპ იოანე XXII-ის ზემოხსენებული წერილი, რომელიც ჩვენ უნდა ჩავთვალოთ, როგორც მნიშვნელოვანი დოკუმენტი ეკლესიათა გაერთიანების მომზადებისათვის. როგორც ჩანს, პაპი ამ საკითხის გადაჭრას უახლეს ამოცანად სახავდა და მისი შესრულება უმთავრესად გიორგი ბრწყინვალეს ევალებოდა. მეფის მიერ დასტურის მიცემა ნიშნავდა უნიის მომზადების დამთავრებას და მისი უშუალო მოქმედების საბოლოო ფაზაში შესვლას. უნდა ითქვას ისიც, რომ აქ კი არ იდგა საკითხი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიისადმი დამორჩილებისა, არამედ აქ იდგა საკითხი ორივე ეკლესიის გაერთიანებისა.

სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით, აღნიშნულ წერილებს რა პასუხი გასცა გიორგი ბრწყინვალემ, ან რა აზრისა იყო ეკლესიათა გაერთი-

ანების შესახებ. ჩანს, ამ იდეას საქართველოში ჰქონდა საყრდენი, მაგრამ მას მაინც ფრთხილად შეხვდნენ. შეიძლება, რომ ეკლესიათა გაერთიანების საკითხს დროის ამოცანად სახავდნენ. თუ იმ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, რა წარმატებას მიაღწია მისიონერთა მოღვაწეობამ საქართველოში გიორგი ბრწყინვალის მეფობის ჟამს, უნდა დავეთანხმოთ მიხეილ თამარაშვილის დასკვნას, რომ „გიორგიმ თანაგრძნობა და მფარველობა აღმოუჩინა საქართველოში კათოლიკე სარწმუნოებას", რის შედეგადაც „საქართველოს ბევრ პროვინციაში ქართველები გადავიდნენ კათოლიკობაზედ"[34].

ეკლესიათა გაერთიანების საკითხის დადებითად გადაუწყვეტელობას არ შეუფერხებია საქართველოში კათოლიკე მისიონერთა ქმედითუნარიანობა. ამ მხრივ საქმე პირიქითაა. მათ საქართველოში მტკიცე სამყოფელი ჰქონდათ. მაშინ როდესაც ასლო აღმოსავლეთში ლათინთა ელემენტი შემცირდა, პაპმა იოანე XXII-მ 1328 წლის 9 აგვისტოს ბულით გააუქმა სმირნის საეპისკოპოსო და აღნიშნული კათედრა თბილისში გადმოიტანა.

ეს გადაწყვეტილება ცარიელ ნიადაგზე როდი იყო დამყარებული. მიხეილ თამარაშვილის აზრით, თბილისში მთელი ეპარქიის გადატანა უდავოდ მოწმობს ქართველი კათოლიკეების მრავალრიცხოვნებას საკუთარი სამღვდელოებით. რომში მისიონერების რჩევით დიდხანს უმსჯელიათ კარდინალებს ხსენებული გადაწყვეტილების მისაღებად. საბოლოოდ დაუდგენიათ, რომ თბილისში აშენდეს „საკათედრო ტაძარი, საეპისკოპოსო ეკლესია და ეწოდოს ტფილისის საეპისკოპოსო ეკლესია"[35].

1329 წლის 6 თებერვალს პაპი იოანე XXII-მ სპეციალური ბულა გამოსცა კათოლიკური სარწმუნოების გასაძლიერებლად, მცხოვრებთა აწმყო და მომავალი ბედნიერებისათვის და სხვადასხვა საჩინო მიზეზების გამო.

თბილისის პირველ ეპისკოპოსად პაპმა იოანე XXII-მ 1329 წლის 19 აგვისტოს დანიშნა დომინიკანელი მისიონერი იოანე ფლორენციელი, ხოლო სოხუმში — პიეტრო ჯერალდი[36]. იოანე ფლორენციელი 1318 წელს ჩამოვიდა თბილისში, სადაც მთელი წლების განმავლობაში მისიონერობდა. რომში გაწვევის შემდეგ კარდინალთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ იგი თბილისის კათოლიკეთა ეპისკოპოსად დაენიშნა. 1330 წლის 9 აპრილს იოანე ფლორენციელი აღმოსავლეთის ქვეყნებში განწესებულ ექვს ეპისკოპოსთან ერთად საქართვე-

ლოსკენ გამოემგზავრა. მას ხელთ ჰქონდა პაპის ბულა ეპისკოპოსად დანიშვნის შესახებ, თან მოჰქონდა იოანე XXII-ის წერილები საქართველოს კათოლიკეებთან, სამღვდელოებასთან და გიორგი V ბრწყინვალესთან.

ეპისტოლეში პაპი სრულ ნდობას უცხადებდა იოანე ფლორენციელს და სთხოვდა, გულმოდგინებით განეგრძო მოღვაწეობა. მრევლისადმი მიმართულ ეპისტოლეში იყო მოწოდება, რომ ჯეროვანი პატივი ეცათ მწყემსმთავრისათვის. სამღვდელოებას კი ბრძანებანარევი ტონით მიუთითებდა: „უკეთუ ეპისკოპოსებს არ დაემორჩილებით, მაშინ კანონიერად რა სასჯელსაც დაადგენს ურჩების წინააღმდეგ, ჩვენც დავამტკიცებთ“[37].

იოანე ფლორენციელი საღვთო საგნებში მეტად განსწავლული პიროვნება იყო. მან 30 წელი იცხოვრა საქართველოში, კარგად გაეცნო ჩვენს ქვეყანას და შეისწავლა ქართული ენა. თბილისში ყოფნის დროს იოანემ რამდენიმე წიგნი თარგმნა ლათინურიდან ქართულად[38]. მან თავისი მაღალი ნიჭითა და თავდადებული შრომის წყალობით ქართველი ხალხის უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა[39].

სამწყსო ქალაქ თბილისით არ ისაზღვრებოდა. პაპისავე სიტყვით, კათოლიკობაზე მოქცეული იყვნენ თბილისისა და „მის გარშემო ადგილების“ მცხოვრებნი. თბილისი, როგორც „ქართველთა სამეფოს შუაგული“, საეპისკოპოსო ქალაქად გამოცხადდა და მას რომის მესვეურები „ღვთაებრივ ქალაქად იხსენიებდნენ. თბილისის საეპისკოპოსო სულთანიეს დაექვემდებარა.

ლათინთა გავლენა საგრძნობი იყო სებასტოპოლისში ანუ სოხუმში. აქ არსებობდა კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა. სოხუმის პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი იყო ბერნარ მორე, რომელიც დაინიშნა 1318 წელს,[40] ხოლო 1330 წლიდან საეპისკოპოსოს განაგებს პეტრე ჰერალდი. ცხოვრობდა რა დიდ სიღარიბეში, ყოველგვარ გავლენას მოკლებული, ჰერალდი ჩიოდა, რომ ქრისტიანები სარკინოზებზე თავსა ჰყიდდნენ და მას წინააღმდეგობის საშუალებაც არ ჰქონდა[41]. ჰერალდის მრევლი ძირითადად კოლონისტებისაგან შედგებოდა. სწორია ვ. ჰეიდი, რომ ამ ეპარქიაში ქართველი უნიატებიც იქნებოდნენ[42].

ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის მფლობელი მამია I დადიანის (1323—1345) დროს სოხუმის ოლქში გენუელებთან ერთად ქართვე-

ლი კათოლიკენიც იქნებოდნენ. კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების შესახებ აღნიშნულ ეპარქიაში მოლაპარაკებები განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. პეტრე ჰერალდი ერთგან აღნიშნავს, რომ ამგვარ გაერთიანებაზე თანახმა ყოფილა მამია I დადიანი, იგი მზად იყო თვითონაც მიეღო კათოლიკობა[43].

სებასტოპოლისის ანუ სოხუმის საეპისკოპოსო კაფას ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა. მან იარსება სოხუმში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის ლიკვიდაციამდე[44]. პეტრე ჰერალდის შემდეგ ცნობილია სებასტოპოლისის მხოლოდ ხუთი ეპისკოპოსი: რობერტ ჰინტელსჰამი (1388—1399), ბერტოლდ ვოლი, ნიკოლოზ პასეკი, იოანე-პავლე ფრანცისკანელი და ჯორჯო და რეჯობო[45].

ზემოხსენებული იოანე ფლორენციელის მუშაობა თბილისში მეტად ნაყოფიერი იყო. იგი ბოლო წელს ცხოვრობდა პერაში, კონსტანტინოპოლის გარეუბანში, სადაც 1348 წელს გარდაიცვალა[46]. იოანე ფლორენციელის გარდაცვალების შემდეგ თბილისის ეპარქიაში მალე გაიგზავნა შემცვლელი და იმ დროიდან მოყოლებული, ეპისკოპოსები სისტემატურად ინიშნებოდნენ.

მეორე ეპისკოპოსად პაპმა კლიმენტი VI-მ (1342—1352) 1349 წელს დანიშნა დომინიკანელი ბერტრანდო კოლეტი. ამ დროს თბილისში უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა კაპიტულო ანუ სასულიერო პირთა კოლეგია, რომელიც დიდ როლს ასრულებდა დიოცეზის მმართველობაში. კაპიტულო, როგორც წესი, არსებობს მხოლოდ იმ ეპარქიებში, სადაც მრავლად არის მრევლი და სამღვდელოება და სადაც საკათედრო ეკლესიას დიდი მატერიალური შემოსავალი აქვს.

ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას სასურველი პირობები შეექმნა. ბუნებრივია, კათოლიკე მესვეურები საქართველოში ქვეყნის მმართველ ზედაფენასთან ამყარებდნენ კავშირს და სარგებლობდნენ მათი მფარველობით, ნდობითა და მორალური მხარდაჭერით. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ საქართველოში „კათოლიკების ეკლესიასაც ჰყავდა საკუთარი ყმები“[47].

ბერტრანდო კოლეტმა 7 წელი დაჰყო საქართველოში. 1356 წელს იგი გერმანიაში ამპურიენის ეპისკოპოსად გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე იმავე წელს დიდად განსწავლული დომინიკანელი ბერნარდო პაგესი დანიშნეს[48]. ამ დროს საქართველოში ბევრი მისიონერი ჩამოვიდა. განსაკუთრებით გააქტიურდა ფრანცისკანელთა მოღვაწე-

ობა. პაპმა ურბან V-მ (1362—1370) 1370 წლის 22 აგვისტოს გადაწყვიტა საქართველოში ორჯერ ნამყოფი მალტის ეპისკოპოსი ანტონიო 25 ფრანცისკანელ მისიონერთან ერთად გაეგზავნა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამათგან უმრავლესობა „აუცილებლად საქართველოში უნდა ჩასულიყო“[49]. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია ანტონიო და მისი თანამოძმეები წავიდნენ თუ არა აღნიშნულ ქვეყნებში.

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან პაპების გავლენამ სწრაფად იწყო დაცემა. ამის მიზეზი იყო პაპების ავინიონის ტყვეობა, რომელიც 70 წელიწადი (1307—1378 წწ.) გაგრძელდა. კათოლიკური სამყაროს მეთაური პაპი მრავლის თვალში საფრანგეთის მეფის დაყენებულად ითვლებოდა. იტალიიდან ჩამოშორება ავინიონის ტყვეებს საფრანგეთის ეპისკოპოსად გადაქცევას უქადდა. პაპი გრიგოლ XI 1378 წელს რომში ჩამოსვლისთანავე გარდაიცვალა. არსებული კანონიერი წესის თანახმად ახალი პაპი მისი წინამორბედის გარდაცვალების ადგილას უნდა აერჩიათ. რომში სახეზე მყოფი 16 კარდინალიდან, თერთმეტი წარმოშობით ფრანგი იყო. ეს უკანასკნელნი წინააღმდეგნი იყვნენ რომში პაპის არჩევისა, მაგრამ იძულებულნი გახდნენ კანონს დამორჩილებოდნენ. პაპის ტახტზე არჩეული იქნა ქალაქ ბარის არქიეპისკოპოსი ბართლომეო პრინიანო, რომელიც ურბან VI-ის სახელითაა ცნობილი. იგი საფრანგეთისათვის სასურველი არ იყო, რის გამოც ანანში ფრანგმა კარდინალებმა აირჩიეს წარმოშობით ფრანგი ანტიპაპი კლემენტი VII, რომელიც ზეიმით გადავიდა ავინიონში. ამ დროიდან დაიწყო ისტორიაში ცნობილი ორპაპობის ხანა, რომელიც დიდი სქიზმის ანუ დასავლეთის ეკლესიის ორად გაყოფის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი გაგრძელდა 1417 წლამდე[50]. ამ მოვლენამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაზე. გაყრილობის უარყოფითი შედეგი შორეულ ქვეყნებშიც იგრძნობოდა.

თბილისის ეპისკოპოსი ბერნარდო პაგესი კანონიერი პაპის ურბან VI-ის პარტიას ეკუთვნოდა, რის გამოც ანტიპაპმა კლემენტი VII-მ იგი გადააყენა და მის მაგიერ ფრანცისკანელი ენრიკო რაცი ვანაწესა. იგი კარდინალ გულიელმოს ავალებს ზსენებული ბრძანების სისრულეში მოყვანას და ბერნარდოს ისეთი სიტყვებით ამკობს, რომელიც მ. თამარაშვილს უმჯობესად მიუჩნევია ეს ადგილი მრავალი წერტილით შეეცვალა[51]. გადაყენებულ ეპისკოპოსს ბერნარდო პაგესს, ჩანს, იარაღი არ დაუყრია და იგი ისევ აღუდგენიათ თბილისის

კათედრაზე, რომელსაც ის 1391 წლამდე განაგებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ 1391 წელს პაპმა ბონიფაცი IX-მ (1389—1404) თბილისის ეპისკოპოსად დანიშნა დომინიკანელი მისიონერი ლეონარდო და ვილაკი. პაპმა მას დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია საქართველოში ეკლესიების მდგომარეობისათვის. ამ პაპის წერილებში მითითებულია საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად დანგრეული ეკლესიების აღდგენის აუცილებლობაზე. ამ დროისათვის კი საქართველოში არსებობდა ორი კათოლიკური მონასტერი ერთი თბილისში, ხოლო მეორე — ახალციხეში[52].

ლეონარდო და ვილაკის გარდაცვალების შემდეგ უცნობია ვინ დაიჭირა მისი ადგილი. მხოლოდ დადგენილია, რომ თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი იოანე 1424 თუ 1425 წელს გარდაცვლილა[53]. ამავე წელს პაპმა მარტინო V-მ (1417—1431) თბილისის ეპისკოპოსობა უბოძა დომინიკანელ მისიონერს იოანე სენტ-მიშელს[54]. ამ უკანასკნელისადმი პაპის წერილში ნათქვამი იყო, რომ მას დიდი ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოეჩინა კათოლიკური ეკლესიის აღორძინებისა და წარმატებებისათვის. ამასთან ერთად პაპი სულთანიეს არქიეპისკოპოსს ავალებდა, რომ თბილისის საეპისკოპოსოსათვის მფარველობა და შემწეობა არ მოეკლო. როგორც წინამორბედი ეპისკოპოსებისა, ისე იოანე სენტ-მიშელის მოღვაწეობის შესახებ ცოტა რამ ვიცით. უცნობია, ეს ეპისკოპოსი რამდენ ხანს განაგებდა თბილისის კათოლიკეთა კათედრას. მხოლოდ ცნობილია, რომ პაპმა ნიკოლოზ V-მ (1447—1455) 1450 წელს თბილისში ეპისკოპოსად დანიშნა დომინიკანელი მისიონერი ალესანდრო. მის მიერ რომში გაგზავნილ წერილში ლაპარაკია საქართველოში კათოლიკე მისიონერების ნაყოფიერ მოღვაწეობაზე[55].

ერთი სიტყვით, XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან, ვიდრე XVI საუკუნის 10-იან წლებამდე არსებობდა თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსო. ჩვენს ხელთ არსებული ყველა პირველწყაროს მიხედვით ამ საეპისკოპოსოს ეპისკოპოსთა სია ასე გამოიყურება[56].

1. იოანე ფლორენციელი (დომინიკანელი) — 1329—1348,
2. ბერტრანდო კოლეტი (დომინიკანელი) — 1349—1356,
3. ბერნარდო პაგესი (დომინიკანელი) — 1356—(1382?).

(იგი ანტიპაპმა კლემენტი VII-მ, რომელიც პაპი გახდა 1378 წელს, კანონიერი პაპის ურბან VI-სადმი მხარდაჭერის გამო

გადააყენა. ბერნარდო გარდაცვალების წინ 1391 წელს ისევ თბილისის ეპისკოპოსად ჩანს).

4. ენრიკო რაცი (ფრანცისკანელი) — 1382 —,
5. ლეონარდო და ვილაკი (დომინიკანელი) — 1391 —,
6. იოანე სან მიკელედან (არ ვიცით რომელი მოწესეა) — იგი 1424 თუ 1425 წელს გარდაიცვალა,
7. იოანე სენტ-მიშელი (დომინიკანელი) — 1425 —,
8. ალესანდრო (დომინიკანელი) — 1450 —,
9. ენრიკო (არ ვიცით რომელი მოწესეა) — 1462—1462,
10. ენრიკო ვონსტი (ფრანცისკანელი) — 1462—1469,
11. იოანე იმაკი (ავგუსტინელი) — 1470—1471,
12. ალბერტო ენგელი (ფრანცისკანელი) — 1493 —,
13. იოანე შნაიდერი (ფრანცისკანელი) — 1507 —,

ეს ფაქტი, რომ თითქმის 180 წლის განმავლობაში არსებობდა თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსო ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას ამ ხნის მანძილზე უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ქართველთა შორის ბევრმა საერო თუ სასულიერო პირმა მიიღო კათოლიკობა. ქართველი მესვეურები სრულ თავისუფლებას აძლევდნენ მისიონერებს კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად. ამის შედეგი იყო ის, რომ თბილისის კათოლიკურ ეკლესიას ჰყავდა საკუთარი ეპისკოპოსები, რომლებიც ნიადაგ პაპების შეუნელებელი ყურადღების ცენტრში იყვნენ.

ხელშესახებ წყაროთა უქონლობის გამო ძნელია, პირდაპირ ითქვას, თუ როგორი კავშირი ჰქონდათ მისიონერებს საქართველოს საერო თუ სასულიერო მესვეურებთან, ან როგორ ამზადებდნენ ისინი ნიადაგს ეკლესიათა გაერთიანებისათვის, ან რა მოტივით ასაბუთებდნენ ქართველი საეკლესიო თუ საერო მესვეურები ეკლესიათა გაერთიანებაზე უარს. არც ის ვიცით, თუ როგორი პატივისცემით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში უნიის საკითხები, ან იყო თუ არა ანტიუნიატური განწყობილებები და ა. შ.

ამ კითხვებზე იმ შედეგებიდან გამომდინარე, რასაც მიაღწია კათოლიკობამ საქართველოში XIII—XV სს, ასე შეიძლება ვუპასუხოთ: ქართველმა საერო თუ სასულიერო მესვეურებმა, ასევე ჩვენმა ხალხმა, მათთვის დამახასიათებელი რელიგიური შემწყნარებლობისადმი მაღალი შეგნებიდან გამომდინარე, კათოლიკობას საქართველოში ფართოდ გაუღეს კარი. ქართველები გულთბილად შეხვდნენ

მისიონერებსა და მათ უნიატურ იდეებს. ამიტომ ეკლესიათა გაერთიანების საკითხს საქართველოში პოლემიკა არ გამოუწვევია. ამის შედეგი იყო ის, რომ მისიონერებს საქართველოში შიშის ქვეშ არ უცხოვრიათ. ქართველი მესვეურები და ზედა ფენა ფრთხილად ეკიდებოდა უნიას და ამიტომ მას არც უგულებელყოფდა და არც რაიმე კონკრეტულ ნაბიჯს დგამდა ამ გზაზე. მართალია, პაპობაზე დამყარებული იმედები ვერ გამართლდა, მაგრამ ამის გამო ქართველი პოლიტიკოსები არ წყვეტდნენ კავშირს რომთან. პირიქით, საქართველოში კათოლიკე მისიონერების ასეთი წარმატებული საქმიანობა თავისთავად მიუთითებს, თუ რა დიდ პატივს სცემდნენ ქართველი საერო და სასულიერო მესვეურები რომის პაპებს.

საკუთრივ პაპები ყოველთვის იბრძოდნენ უნიისათვის. „თქვენი შრომით აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის ორკეცად დაიმკვიდრებთ სასუფეველის გვირგვინს" — წერდა რუსუდან დედოფალს პაპი გრიგოლ IX. ხოლო პაპი იოანე XXII უნიის შემთხვევაში დიდი წვეულების გადახდას აპირებდა. ეს ცდები უშედეგოდ რჩებოდა, რადგან ქართველები გარკვეულ პირობებში მიდიოდნენ უნიაზე, კერძოდ, თუ ვატიკანი რეალურ სამხედრო მხარდაჭერას აღმოუჩენდა მონღოლ-თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, XIII—XV საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მესვეურები ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანების კონკრეტულ გადაწყვეტას მჭიდროდ უკავშირებდნენ საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში რომის პაპების რეალურ სამხედრო დახმარებას.

§ 8. საქართველო რომის დიპლომატიური ურთიერთობა და კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოში XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში

XV საუკუნეში საქართველოში კათოლიკობა მყარ ნიადაგზე იდგა. თბილისის კათოლიკური ეკლესია თავისი იერარქიული სიძლიერით ტოლს არ უდებდა ევროპის საეპისკოპოსო ეკლესიებს[1]. საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეებს ნება ეძლეოდათ წინამძღვრად

აერჩიათ გინდ ევროპელი და გინდ ადგილობრივი პირთაგანი, რომელიც სათანადო განათლებითა და ღვთისმოსაობით იქნებოდა აღჭურვილი[2]. ამ პერიოდში კი „მრავლად იყვნენ მეფენი და ერნი, რომლებიც რომის ეკლესიას პატივს სცემდნენ, სწამდათ და ქადაგებდნენ, რომ რომის პაპი საეკლესიოს ქრისტეს ნაცვალი და პეტრე მოციქულის მოსაყდრეა"[3]. ეს არ შეიძლება უმნიშვნელო შედეგად მივიჩნიოთ, რასაც თავისი ობიექტური საფუძვლები ჰქონდა. ამის ნათელსაყოფად მოკლედ განვიხილოთ XV საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში.

თურქებთან ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომში დასუსტებულ ბიზანტიას, ჩანდა, რომ ეს-ესაა უნდა დაესრულებინა თავისი ისტორიული გზა. XIV საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს თურქებმა დაიკავეს მცირე აზია. XIV საუკუნის მეორე ნახევარსა და XV საუკუნის პირველ ნახევარში მათ დაიპყრეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ბიზანტიის იმპერიის თითქმის ყველა სამფლობელო. თურქთა შემოსევების საფრთხე დაემუქრა ცენტრალური ევროპის ქვეყნებს. ამან ამ სახელმწიფოების ხელისუფალნი აიძულა 1396 წელს მოეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა თურქების წინააღმდეგ უნგრეთის მეფის სიგიზმუნდის (ჟიგმონდის) (1387—1437) წინამძღოლობით. თურქეთის ჯარმა სულთან ბაიაზეთ I-ის მეთაურობით ნიკოპოლთან სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები. ამავე დროს თურქების ჯარი ემზადებოდა კონსტანტინოპოლის ასაღებად, მაგრამ 1402 წლის 28 ივლისს თემურ ლენგის მიერ ანკარასთან ოსმანთა ჯარის განადგურებამ ნახევარი საუკუნით გაახანგრძლივა ბიზანტიის აგონია.

კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII პალეოლოგმა დახმარებისათვის პაპს მიმართა რომის ეკლესიასთან შეერთების მოთხოვნით. ამას პაპი ევგენი IV (1431—1447) სწრაფად გამოეხმაურა და 1438 წლის 8 თებერვალს იტალიის ქალაქ ფერარაში გაიხსნა მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა განეხილა უნიის საკითხი. შავი ჭირის გამო რამდენიმე თვის შემდეგ კრება გადატანილი იქნა ფლორენციაში. კრებაზე, რომელსაც ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა პაპი ევგენი IV, ჩამოვიდა ბიზანტიის იმპერატორი, იოანე პალეოლოგი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოსები, რუსეთის მიტროპოლიტი, წარმოშობით ბერძენი ისიდორე, საქართველოს მიტროპოლიტი გრიგოლი, რომელიც კრების მონაწილეთა წინა რიგში იჯდა, ასზე მეტი მართლმა-

დიდებელი და კათოლიკე ეპისკოპოსი, ბერმონაზონთა ორდენების ხელმძღვანელები და საეკლესიო დასის სხვა წარმომადგენლები.

15 თვის დებატების შემდეგ, 1439 წლის 6 ივლისს გამოცხადდა ლათინური და ბერძნული ეკლესიების უნია. კრებამ მიიღო ლათინური ეკლესიების დოგმატები, გამოცხადდა რომის პაპის პრიმატობა და დაამტკიცა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიის უნიის აქტი. ასევე გადაწყდა, რომ მოეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა თურქეთის წინააღმდეგ. ფლორენციის უნიამ დიდი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა აღმოსავლეთის ეკლესიათა მორწმუნეებში. უნიის წინააღმდეგ გამოვიდა ეფესის მიტროპოლიტი მარკი, საქართველოს მიტროპოლიტი გრიგოლი და სხვა მართლმადიდებელი იერარქები.

კითხვაზე — თუ რამ აიძულა ბიზანტიის მართლმადიდებელი არქიელები და იოანე პალეოლოგი წასულიყვნენ უნიაზე, პასუხს დიდხანს ძებნა არ ჭირდება. ეს იყო თურქთა ჯარის შემოსევების საშიშროების წინაშე გადადგმული ნაბიჯი. მაგრამ ეს უნია არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. 1443 წელს აღმოსავლეთის პატრიარქებმა (ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის) განდევნეს უნიატები. ასევე კარდინალ ჩეზარინის მიერ ორგანიზებულმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა პოლონეთისა და უნგრეთის მეფე ვლადისლავი, 1444 ვარნასთან მარცხი განიცადა.

ბიზანტიის ცდა, ოსმალეთისაგან მომდგარი ზიფათი თავიდან აეცდინა, უნაყოფო გამოდგა. 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლი დაეცა. ეს ნიშნავდა ბიზანტიის ქრისტიანული იმპერიისა და მართლმადიდებლობის ცენტრის დაღუპვას, რასაც დიდი ისტორიული შედეგი ჰქონდა; დაიწყო ოსმალთა შეტევები ბალკანეთზე, შეიქმნა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაზე მათი შეჭრის საფრთხე, მზადდებოდა ახალი დაპყრობები აღმოსავლეთში.

თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ მთელი ქრისტიანული სამყარო დააფიქრა, რადგან ეს მარტო ბიზანტიისათვის არ იყო საბედისწერო, არამედ მრავალ სახელმწიფოს უნდა ეგრძნო მისი შედეგები. ეს მალე გამომჟღავნდა კიდეც. ჩვენი ქვეყნისათვის ესაძალზე დიდი უბედურება იყო, რადგან ამიერიდან საქართველოს დასავლეთისაკენ დაეხშო გზა და მასთან უშუალო კავშირის ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპო. დაიწყო თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომების დაუსრულებელი მზადების ხანა. როგორც წინათ, ახლაც ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა რომის პაპს ეკუთვნოდა. პაპ-

მა ნიკოლოზ V-მ (1447—1455) ევროპის სახელმწიფოების მეთაურებს მოუწოდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ, მაგრამ ამ მოწოდებამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან. იმ დროს ქრისტიანული სოლიდარობა მხოლოდ სიტყვიერად არსებობდა.

მომდევნო პაპმა კალიქსტ III-მ (1455—1458) მთელი ყურადღება გადაიტანა თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის გეგმების შედგენაზე. ამ მიზნით მან ელჩები გაგზავნა ოსმალებისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებში. 1456 წელს ხსენებულმა პაპმა აღმოსავლეთში გაგზავნა ფრანციისკანელი ბერი — ლუდოვიკო ბოლონიელი (ლუდოვიკო და ბოლონია). იგი იყო ეგვიპტეში, ეთიოპიაში, იერუსალიმში, ინდოეთსა და საქართველოში. ლუდოვიკო ბოლონიელი 1456 წელს ჩამოვიდა საქართველოში და შეუდგა თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგებას[4]. ქართველმა მეფეებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს მის ქადაგებას და ამით ძალზე კმაყოფილი ლუდოვიკო ბოლონიელი სამშობლოში დაბრუნდა. მისი ელჩობის შედეგით კმაყოფილმა პაპმა კალიქსტ III-მ გადაწყვიტა, ბოლონიელი ისევ გაეგზავნა აღმოსავლეთში და იგი წერილებით მოამარაგა[5]. მაგრამ რომიდან მისი წამოსვლის წინ პაპი გარდაიცვალა, რის გამოც ელჩობა გადაიდო.

ასე რომ, ფრანციისკანელი მისიონერი ლუდოვიკო ბოლონიელი, პაპების პოლიტიკის გამტარებელი და მოკავშირე ძალების ორგანიზატორი იყო. იგი გამოცდილი და დაკვირვებული დიპლომატია. მან ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ქვეყნები მოიარა. დიღბანს იცხოვრა იერუსალიმში. ოსმალთა ზურგში მყოფმა მტრის ძალა დაზვერა და რომს საიდუმლო ცნობები მიაწოდა. 1456 წელს იგი საქართველოს ნუნციოდ იყო და აქედან წერილი წაუღია, რომელშიც ქართველი კათოლიკები პაპს სთხოვდნენ, რომ უფროსად მათ მიერ არჩეული პირი დაემტკიცებინა. შესაძლებელია, ლუდოვიკო ბოლონიელმა თვითონ დააწერინა ეს მოთხოვნა ქართველებს, რადგან მაღალი წოდება განემტკიცებინა. იგი რომში აღმოსავლეთის პატრიარქის პრეტენზიით მიდიოდა, შემდეგ მან ეს სახელწოდება მართლაც მიიღო[6]. როცა პაპმა ქართველებს ნება დართო თავიანთი სურვილით აერჩიათ იერარქი, მათი არჩევანი ლუდოვიკოზე შეჩერდა, რომიდან ამის დასტური მისცეს. მაგრამ დაავალეს, რომ არცერთ საბუთში მას ეს წოდება არ ეხმარა, სანამ საქართველოში არ დაბრუნდებოდა.

1458 წელს პაპის ტახტზე ავიდა პიუს II (1458—1462). ამ ჰუმანისტმა პაპმა ენერგიულად მოკიდა ხელი თურქების წინააღმდეგ დიდი ჯვაროსნული ომის მოწყობას. მან დაუყოვნებლივ გაგზავნა აღმოსავლეთში ლუდოვიკო ბოლონიელი მრავალი დიპლომატიური დავალებით. ელჩს ახლა საქართველოს მეფესთან მიჰქონდა წერილი[7]. 1458 წელს ლუდოვიკო ბოლონიელი ჯვაროსნული ომის პროექტით საქართველოში ჩამოვიდა. ამ დროს ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა სათავადოებისა და „სამეფოების“ დაუსრულებელი მტრობის არენას. სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II, სამეგრელოს მფლობელი ბედიანი და გურიელი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს არ ემორჩილებოდნენ (1446—1466). ათაბაგი და სამცხის ეპისკოპოსი საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ აღშფოთებული კათალიკოს-პატრიარქი დავითი მესხეთს ავიდა. „საფარის თავზე“ საეკლესიო კრება მოიწვია და სამცხის ეპისკოპოსი „შეუნდობლობით“ და „უჯვარობით“ შეაჩვენა[8].

ლუდოვიკო ბოლონიელმა ალღო აუღო შექმნილ მდგომარეობას. მას დიდი პროპაგანდა არ დასჭირდებოდა, რომ ურთიერთშორის მებრძოლ მოძმეთათვის მათი მოქმედების დამღუპველობა და ოსმალეთისაგან მომავალი საფრთხე დაენახვებინა. მან შეძლო ძმათა შორის ომლის ჩაქრობა და დაზავების მიღწევა. მეფე გიორგის კომპრომისზე წასვლა დასჭირვებია — „აწ თუმცა ამ მორიგებამ ზოგიერთ საქმეში მაზარალა, მაგრამ მაინც კი მოხარული ვარო“,[9] — სწერს იგი ბურგუნდიის ჰერცოგს 1458 წლის 5 ნოემბრის წერილით.

ლუდოვიკო საქართველოდან სომხეთში წავიდა. აქედან — სპარსეთში და ბოლოს ისევ საქართველოში დაბრუნდა. აქ მოხდა მისი პატრიარქად არჩევა პაპი კალიქსტე III-ის 1458 წლის 4 ოქტომბრის ეპისტოლეს საფუძველზე. ყველა ქვეყნიდან, სადაც კი იყო, ელჩები წამოიყვანა პაპის კარზე წარსადგენად. გადაწყდა, საერთო ძალით ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციის შექმნა. მასში გაერთიანდნენ საქართველოს მეფე გიორგი VIII, სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II, სამეგრელოს მფლობელი ბედიანი და გურიელი, რომელთაც ტრაპიზონის იმპერატორი და მცირე სომხეთის მფლობელებიც შეემხრნენ. მოქმედების გეგმა არ იყო რელიგიური მოტივით შეზღუდული და ოსმალთა წინააღმდეგ აღ-ყოინლუს სახელმწიფოს მბრძანებელი უზუნ-ჰასანიც შევიდა ანტიოსმალურ კოალიციაში. აღმოსავლეთის

მოკავშირეებს 160 ათასი[10] კაცის გამოყვანა უვარაუდიათ. ლუდოვიკო ბოლონიელთან ერთად შემუშავებული მოქმედების გეგმა მკაფიოდაა მოცემული ბურგუნდიის დუკასადმი ყვარყვარე ათაბაგის მიერ მიწერილ წერილში. გულზვიადი ათაბაგი თავის თავს უკვე საქართველოს მთავარს უწოდებს და დუკას სწერს: „ამასაც გპირდებით, რომ ერთი ზაფხულის განმავლობაში დავიპყროთ მთელი ანატოლია და ყველა ქვეყნები, რომელიც კონსტანტინოპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს, ხოლო იმის მეორე კერძო ადგილები, რომელიც საბერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს, თქვენ დაგიტოვოთ; მისი აღება ადვილი იქნება, რადგან, როდესაც ოსმალეთი ასე ორ ჯარს შუა მოექცევა, ვეღარ გაუძალდება, მალე დაიძლევა და ამნაირად მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ, ამიტომ სხვა ყველა ლათინის მთავრებზე უმეტესად თქვენ გეუფლებით, რათა ამისთვის იფიქროთ და იზრუნოთ და ხელიდან არ გაუშვათ კარგი შემთხვევა, რომელსაც გაძლევთ“-ო[11]. ამ წერილში ნამდვილი ფაქტების ნიადაგზე ჩანს ის ფინალი, რომლისგანაც გადახვევამ „მომდევნო საუკუნეებს ცრემლებად გადმოუარა“[12].

1459 წელს ლუდოვიკო ბოლონიელი რომში დაბრუნდა. მან თან წაიყვანა გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის ელჩები, რომლებსაც მიჰქონდათ ქართველ მესვეურთა წერილები. ხუთ დესპანთან ერთად ევროპაში მიდიოდა გიორგი მეფის ელჩი ნიკოლოზ თბილელი და ყვარყვარე ათაბაგის ელჩი — ქუსუდანი (ფარსადანი)[13].

აღმოსავლეთის მბრძანებელთა ელჩები და მათი ამალა ლუდოვიკო ბოლონიელის თანხლებით, სამეგრელოში — ფოთში გემში ჩასხდნენ და მიუხედავად ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობისა და მდინარე დუნაიზე ძლიერი პირქარისა, უნგრეთში ჩავიდნენ[14]. აქედან ისინი გაემგზავრნენ გერმანიაში და წარსდგნენ იმპერატორ ფრიდრიხის წინაშე. გერმანიიდან კი — ვენეციაში, სადაც სენატმა ისინი დიდი პატივით მიიღო. ვენეციიდან რომში ჩავიდნენ და ბოლოს, საფრანგეთში. ელჩობის ხელმძღვანელი იყო ნიკოლოზ თბილელი.

1460 წლის ბოლოს ელჩები ჩავიდნენ რომში. „მათ მიეგებნენ სასულიერო დასნი და ეპისკოპოსები და დიდის პატივით მიიღეს, როგორც მეფეთა ელჩნი, დააყენეს სამთავრობო სახლებში და მთავრობის ხარჯითვე შეინახეს“[15]. ელჩებმა მოახსენეს პაპ პიუს II-ს, რომ მათი ქვეყნები მზად არიან მიიღონ მონაწილეობა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. პაპი კმაყოფილი იყო ამით, მაგრამ ქართველი ელჩე-

ბისათვის დაუფარავად უნდა ეთქვა, რომ ევროპის სახელმწიფოები ძალზე არასერიოზულად მოეკიდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის იდეას. მაშინ ოსმალთა საშიშროებას ისე ხელშესახებად არ გრძნობდნენ დასავლეთის სახელმწიფოები და აღარც პაპს ჰქონდა წარსული საუკუნეების მსგავსი გავლენა, რომ მისი სიტყვით იარაღი აესხათ.

პაპმა პიუს II-მ ელჩებს ურჩია, რომ პირადად შეხვედროდნენ საფრანგეთის მეფესა და ბურგუნდიის ჰერცოგს ფილიპეს. ამ უკანასკნელს დიდი დიპლომატიური უნარით დაჯილდოებული პაპი ქართველების შესახებ წერდა, რომ „მათ არ ახასიათებთ ხიფათისა და სიძნელეების წინაშე შიში"[16]. 1461 წლის მაისში საქართველოს ელჩები საფრანგეთში ჩავიდნენ. ისინი ჯერ ეწვივნენ ფილიპე კეთილს, ბურგუნდიის ჰერცოგს, ხოლო შემდეგ კი საფრანგეთის მეფეს კარლოს VII-ს (1422—1461). ნიკოლოზ თბილელმა და ქუსუდანმა საფრანგეთის მეფეს გააცნეს ის გეგმა, რომელიც ადრე პაპ პიუს II-ს მოახსენეს: თურქეთის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისა და კონსტანტინოპოლისა და წმიდა ადგილების გათავისუფლებისა. ამ მიზნით საქართველოს მეფე კავშირის შეკვრას სთავაზობდა საფრანგეთის მეფეს. საკმაოდ წინდახედულმა პოლიტიკოსმა კარლოს VII-მ ამგვარი სახიფათო წამოწყება არ იკისრა.

საფრანგეთში ქართველი ელჩების ყოფნის დროს გარდაიცვალა კარლოს VII. ტახტზე ავიდა მისი შვილი ლუი XI (1461—1483). ტახტზე ასვლის ცერემონიალს ქართველი ელჩებიც დაესწრნენ. არც ლუი XI-მ და არც ბურგუნდიის ჰერცოგმა ყური არ უგდეს რომის პაპის თაოსნობითა და წინადადებით ჩამოსულ ომის მაძიებელ ელჩებს. ამაოდ დადიოდნენ დიდის ამბით წამოსული ელჩები ევროპაში და ბოლოს, იმედგაცრუებულნი, სამშობლოში დაბრუნდნენ.

ამასობაში ცხადი გახდა, რომ დღემოკლე აღმოჩნდა საქართველოს მეფე-მთავრებს შორის დადებული 1459 წლის საზავო ხელშეკრულებაც. ატყდა შინაომები. მისი კოცონი დაანთო სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე II-მ, რომელმაც ქართველი მეფის წინააღმდეგ ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანიც მოიწვია. ბრძოლა მოხდა 1462 წელს. გიორგი მეფე დამარცხდა. მაშინვე მეფისაგან თავი განდგომილად გამოაცხადა იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა. გიორგი მეფე იმერეთისაკენ წავიდა ჯარით. ბრძოლა მოხდა 1463 წელს ჩიხორთან, სადაც მეფე დამარცხდა. 1465 წელს იგი ყვარყვარე ათაბაგის წინააღმდეგ

გაემართა სამცხეში. ყვარყვარემ სძლია მეფეს და დაატყვევა კიდეც. მომდევნო 1466 წელს ქუთაისიდან გადმოიჭრა მეფედ აღზევებული ბაგრატი და თბილისის ტახტიც ხელში ჩაიგდო და „ერთიანი საქართველოს მეფე" შეიქმნა. გიორგი მეფემ თბილისის ტახტი ვერ დაიბრუნა და დარჩენილი სიცოცხლის ათი წელი (1466—1476) „კახეთის მეფის გიორგი პირველის" სახელით გაატარა. ასე რომ, XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი საქართველო დაიშალა. პოლიტიკურ ასპარეზზე ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს სახელმწიფოები გამოვიდნენ.

- მიუხედავად იმისა, რომ ვერ განხორციელდა ბრძოლისუნარიანი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა, მასზე ფიქრი და მცდელობა რომის მესვეურებს არ შეუწყვეტიათ. ჩვენთვის ცნობილი ლუდოვიკო ბოლონიელს 1465 წელს ანტიოქიის პატრიარქის წოდებით პაპი პავლე II-ის (1464—1471) ლეგატად ვხედავთ ყირიმის ხანთან, გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ II-სთან (1440—1493) ოსმალეთის წინააღმდეგ ომის მოწყობის წინადადებით[17]. ამავე ხანებში (1461 წელს) სულთანმა აპმედ II-მ დაიპყრო ტრაპიზონის იმპერია. ეს განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოსათვის, რომელმაც მისი სახით დაკარგა არა მხოლოდ ერთმორწმუნე, არამედ მეგობარი სახელმწიფო. თურქეთისაგან საფრთხე საქართველოს სწრაფად უახლოვდებოდა.

სახელდობრ ამ დროს ევროპის მმართველმა წრეებმა იმედის თვალი მიაპყრეს ოსმალთა დაუძინებელ მტერს, ირანის მბრძანებელს უზუნ-ჰასანს, რომელიც წარმატებით იბრძოდა თურქეთის ექსპანსიის წინააღმდეგ. მიუხედავად წარუმატებლობისა, უზუნ-ჰასანს ხელი არ აუღია ევროპის სახელმწიფოებთან მოკავშირეობაზე[18]. მან კავშირი დადო ოსმალეთის მთავარ მოწინააღმდეგე ვენეციასთან[19]. ასე რომ, ევროპაში უზუნ-ჰასანზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. თავის მხრივ ირანის მბრძანებელი თურქეთთან ომში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს მოკავშირეობას, რასაც პოლიტიკური ხასიათი ეძლეოდა.

როგორც ცნობილია, იმ დროს აღმოსავლეთში საქართველო იყო ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს ბრძოლისუნარიანი ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. ევროპასთან ურთიერთობაში მაშინ რელიგიური მოტივი დიდ როლს ასრულებდა. ისეთი მოქნილი პოლიტიკოსისათვის, როგორც უზუნ-ჰასანი იყო, საქართველოსთან კავშირს გარკვეული მნიშვნე-

ლობა ჰქონდა. საქართველო არა მხოლოდ მოკავშირე იყო უზუნ-ჰასანისა თურქებთან ბრძოლაში, არამედ შუამავლის როლს ასრულებდა ევროპის ქვეყნებთან მის მოლაპარაკებებში[20]. კათოლიკური ევროპის მეთაური, რომის პაპი, კი ანტიოსმალურ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ისევე როგორც წინათ, ახლაც აღმოსავლეთისა და ევროპის სახელმწიფოების მიერ ანტიოსმალური კოალიციის შექმნა საქართველოს მონაწილეობით მარცხით დამთავრდა. ამან ჩვენი ქვეყნის შემდგომ ბედზე დიდი გავლენა მოახდინა. პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველო, რომელმაც დაკარგა რიგი ტერიტორიები და ეკონომიკურად დასუსტდა, დაჟინებით მიისწრაფოდა, სიცოცხლე ჩაენერგა ანტიოსმალური კოალიციისათვის და გაენადგურებინა საშიში მტერი. საბოლოოდ, საქართველოს მისი ყოფილი მოკავშირე უზუნ-ჰასანი 1477 წელს თავს დაესხა, ქვეყანა დაარბია და მძიმედ დაზარკა. თუ წინათ ქვეყანას საშიშრება მხოლოდ ოსმალეთისაგან მოელოდა, 70-იანი წლებიდან ირანიც მისი დაუძინებელი მტერი გახდა და იგი ორ ცეცხლს შუა მოექცა. მდგომარეობას ართულებდა მთავრებს შორის არსებული უთანხმოება და დაუსრულებელი მტრობა.

ასეთ რთულსა და მძიმე პირობებში ქართლის სამეფო ტახტზე 1479 წელს ავიდა კონსტანტინე II. საქართველოს დარღვეული მთლიანობის აღდგენისაკენ მიმართული მისი ენერგიული ცდა მარცხით დამთავრდა. ამას ხელს უწყობდა გარეშე მტრის შემოსევები. 1486 წელს საქართველოს ირანელები შემოესივნენ იაყუბ-ყაენის მეთაურობით. ამის შემდეგ ირანელებმა ორჯერ ილაშქრეს საქართველოში 1488 და 1490 წელს. კონსტანტინე მეფეს მტერთან ბრძოლაში დანარჩენი საქართველო არ მიეშველა. ამავე 1490 წელს თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ქართლის მეფე კონსტანტინე II, კახეთის მეფე ალექსანდრე I, იმერეთის მეფე ალექსანდრე II, სამცხის მთავარი ყვარყვარე II ათაბაგი და ხელი მოაწერეს არა გაერთიანებას, არამედ საბოლოოდ დაშლა-გათიშვას, ახალი სახელმწიფო საზღვრების დაწესებას.

კონსტანტინე II ამ ფაქტს არ ურიგდებოდა. იგი განუწყვეტლივ იბრძოდა ქვეყნის ერთიანობის აღდგენისათვის. ამასობაში საფრთხე ქვეყანას ირანისა და ოსმალეთისაგან დაემუქრა. მეფე შინაური აშლილობისა და მომძლავრებული გარეშე მტრების წინააღმდეგ უცხოელი მოკავშირეების ძებნას შეუდგა. ამ მიზნით მან 1494 წელს თა-

ვისი კარის მღვდელი ნილო საგანგებო დესპანად გაგზავნა ეგვიპტეში, რომელიც კაიროში ხალიფა აშრაფ სეიფ ად-დინ კაიტბეის (1468—1496) სიხარულით მიუღია[21]. მოლაპარაკება სიტყვიერად „მაღალ დონეზე" ჩატარდა, მაგრამ შედეგად არაფერი მოჰყოლია. კაიროდან ნილო იერუსალიმში წავიდა, სადაც იგი შეხვდა ესპანეთის კათოლიკე მეფის ფერდინანდ II-ისა და დედოფალ იზაბელას[22] ელჩებს და გაიგო 1492 წელს არაბების ბატონობისაგან გრანადის საემირატოს გათავისუფლების ამბავი. ამით გახარებულმა კონსტანტინე მეფის ელჩმა ესპანელი დესპანები საქართველოში ჩამოიყვანა. „ესპანეთის მეფის წარმომადგენლების ასეთი თამამი საქციელი (ეს გადაწყვეტილება მათ მიიღეს თვითნებურად) მოწმობს დასავლეთის და, კერძოდ, ესპანეთის მიერ ანტიოსმალური ძალის გაერთიანებაზე მხურვალე დაინტერესებას"[23].

საქართველოს მმართველ წრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გრანადის საემირატოს დამარცხების ამბავს. ქრისტიანთა თვალში ეს იყო ცის სასუფეველი დედამიწაზე. ეგონათ, რომ დადგა დრო ქრისტეს გამარჯვებისა მაჰმადიანებზე. ეს გადაჭარბებით დაიჯერეს საქართველოშიც. ქართველმა პოლიტიკოსებმა იფიქრეს, რომ ესპანეთს შეუძლია დახმარება გაგვიწიოსო. ამიტომ კონსტანტინე II-მ ესპანელ დესპანებს თავისი ელჩები „წმიდა ბასილის წესის მონაზონი" ნილო და მორჩილი ძმა ზაქარია გააყოლა, ძვირფასი საჩუქრებით[24]. მათ წერილები შიჰქონდათ რომის პაპ ალექსანდრე VI-თან (1492—1503) და ესპანეთის დედოფალ იზაბელასთან. ქართლის მეფე ადრესატებს გრძნობით სავსე წერილით ულოცავდა დასავლეთის საქრისტიანოს მაჰმადიანებზე გამარჯვებას.

ესპანეთის მეფისადმი წერილში კონსტანტინე მეფე აანალიზებდა მაჰმადიანების გაძლიერების შედეგად ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას. ამის ფონზე პირველ პლანზე აყენებდა საერთო ქრისტიანულ პრობლემას და მოუწოდებდა დასავლეთ ევროპას, ერთიანი ძალებით აღედგინათ ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერია. დაწვრილებითი ინფორმაცია ქართველ ელჩს ზეპირად უნდა მოეხსენებინა ესპანეთის მესვეურთათვის[25]. ესპანეთში ჩასული ქართველი ელჩისათვის უმალვე აშკარა გახდა, რომ აქ რეალური პოლიტიკისათვის ნიადაგი არ არსებობდა. საქართველოს მეფისადმი ფერდინანდ II-ისა და დედოფალ იზაბელას 1495 წლის 30 ივლისის წერილში დიდი სიხარული იყო გამოთქმული კონსტანტინეს მიერ კათოლი-

ჭეებისადმი ერთგულებისა და პატივისცემის გამო. მაჰმადიანებისაგან „ყოველდღიურად უსიამოვნებები გაქვთ, — წერდნენ კონსტანტინე II-ს, — და საფრთხე არ გშორდებათ, რასაც დიდი გულისტკივილით განვიცდით და მაინც ყველაფრისათვის მადლი უნდა შევწიროთ უფალს და შეევედროთ, რომ თქვენცა და მთელი საქრისტიანო, ურწმუნო ძალისა და ბატონობისაგან გამოიხსნას“. აქვე ქართლის მეფეს მოუწოდებდნენ, რომ „კათოლიკური სარწმუნოების დაცვისა და განახლებისათვის ძველებური შემართებით ებრძოლა“[26].

ესპანეთიდან საქართველოს ელჩი ნილო 1496 წელს რომში ჩავიდა და პაპ ალექსანდრე VI-ს გადასცა მეფე კონსტანტინეს ეპისტოლე და ზეპირი დანაბარები. პაპისადმი კონსტანტინე II-ის წერილი ჯერ-ჯერობით მიუკვლეველია. მისი საპასუხო წერილიდან, რომელიც 1496 წლის 8 ივნისს გაუგზავნა ქართლის მეფეს, ირკვევა, რომ ორ რამეს ითხოვდა კონსტანტინე პაპისაგან: თურქეთის წინააღმდეგ ომში დასავლეთის სახელმწიფოებისაგან დახმარების მისაღებად მხარდაჭერას და ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების (1437—1439 წწ). გადაწყვეტილებების გაგზავნას ეკლესიის ერთიანობის შესახებ. პაპი უწონებდა კონსტანტინე მეფეს წმიდა მიწების გათავისუფლებისათვის საომრად მზადყოფნის სურვილს, მით უფრო, პაპიც ამისათვის იღვწოდა. პაპი ასევე აღფრთოვანებით შეხვდა ქართლის მეფის მისწრაფებას სარწმუნოების დაცვისა და გაძლიერებისაკენ. იგი ტყვიით დაბეჭდილი წერილით უგზავნის კონსტანტინეს ფერარა-ფლორენციის კრების დადგენილებებს და სთხოვს, მტკიცედ დაიცვას უნია, რომლის შინაარსიც უნდა გააცნოს თავის ქვეშევრდომებს. სიტყვიერ დავალებაზე ნილოს პასუხს სიტყვიერადვე აბარებს. რაც შეეხება მთავარ საკითხს, დახმარებას, პაპი იმედს გამოთქვამდა, რომ კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის და სხვა საპატრიარქოებს დაიხსნიდა, მაგრამ განხეთქილების ღვარძლი დათესა ეშმაკმა მთავართა შორის, თუმცა სჯერა, ჩქარა შეარიგებს მათ, წინ გაუძღვება წმიდა ჯვრის დროშით და ურწმუნო მტერს მალე დაამარცხებს[27].

ამრიგად, XV საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს შეექმნა რთული საშინაო და საგარეო მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში კათოლიკეთა ეკლესიის ზარი ისევ ისმოდა. მართალია, 1370 წლის შემდეგ საქართველოში კათოლიკე მისიონერები არ ჩამოსულან, მაგრამ ის ფაქტი, რომ აქ უკანასკნელი კათოლიკე ეპისკოპოსი 1505 წელსაც იჯდა, ნათლად ამტკიცებს საკმაო მრევლის

არსებობას. ჩანს, იყვნენ უნიატი ქართველებიც. ამას ადასტურებს ის, რომ კონსტანტინე II-ის ელჩი ნილო წმიდა ბასილის მოწესეა. ამიტომ მისი გაგზავნა ევროპაში შემთხვევითი არ იყო. ოსმალეთისა და ირანის მხრიდან საქართველოს ჩასანთქავად დამუქრებული საშიშროების წინაშე ქართველი პოლიტიკოსები კათოლიკური ევროპის მეთაურის რომის პაპის სახით მოკავშირეს ხედავდნენ. მისგან მოსალოდნელი მხარდაჭერა და ევროპის ქვეყნებთან შუამდგომლობა განამტკიცებდა დასავლური ორიენტაციის მქონე ქართველ მესვეურთა რწმენას, რომ მომავალში მათ შეეძლოთ იმედი დაემყარებინათ ამა თუ იმ კათოლიკური სახელმწიფოსაგან დახმარების მიღებაზე. მხოლოდ ამ ჭრილში შეიძლება გავიგოთ, თუ რატომ იყო მზად კონსტანტინე II წასულიყო ეკლესიათა უნიაზე. ეკლესიათა ერთობის თასმა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ანტიოსმალური კავშირის დადებასთან. რაც შეეხება საქართველოს, იგი მუდამ თანახმა იყო რეალურად დაეჭირა მხარი ნამდვილი ბრძოლისუნარიანი ანტიოსმალური კოალიციისათვის.

საქართველოს ვერაფერი სანუგეშო მოუტანა XVI საუკუნემ. იგი მტრებით გარშემორტყმული ქვეყანა იყო. დასავლეთიდან მას ძლიერი ოსმალეთი მეზობლობდა, აღმოსავლეთიდან კი სეფიანთა ირანი. ორივე ქვეყანა ერთმანეთს მეტოქეობდა უშიშრად და მედგრად მებრძოლი პატარა ქვეყნის დამორჩილებაში. საქართველოს მდგომარეობა იმით კიდევ უფრო მძიმდებოდა, რომ მას უცხოელ მოძალადეებთან ბრძოლაში დამხმარე-მოკავშირე არ ჰყავდა[28]. ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა საქართველოში კათოლიკობას. ძირითადად ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თურქეთმა ჩაკეტა ევროპიდან საქართველოში მიმავალი გზა. საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში თურქი ფაშები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ჩვენი ქვეყნისაკენ მომავალთ: მათ იმდენად შეუკრეს გზა კათოლიკე მისიონერებს, რომ მთელი XVI საუკუნის განმავლობაში ისინი საქართველოში არ ყოფილან. თვით ჩვენში კი თურქები სდევნიდნენ მართლმადიდებლებსაც და კათოლიკეებსაც[29].

ასეთ ვითარებაში უმწეოდ დარჩენილ ქართველ კათოლიკე მრევლს მოევლინენ ნახჭევან-კილიკიიდან მოსული სომეხი უნიატი ბერები, რომლებიც მხარდაჭერას პოულობდნენ ევროპის სახელმწიფოებში. სომეხმა უნიატმა ბერებმა თავიანთი გულწრფელი სამსახური შესთავაზეს ქართველ კათოლიკე მრევლს. ასე თანდათან კათო-

ლიკე მამები სომეხმა უნიატმა მოძღვრებმა შეცვალეს, რომელთა საქმიანობისა და ფეხის მოკიდებისათვის საჭირო გამხდარა, რომ მათ ხელში გადასულ კათოლიკე პატრთა დატოვებულ მემკვიდრეობას ერთგვარად კანონიზირებული სახე მისცემოდა. ამიტომ საჭირო გახდა უნიატები პაპის ნუნციოდ გამოცხადებულიყვნენ. როგორც ცნობილია, პაპები ამა თუ იმ ქვეყანაში ნუნციოდ აგზავნიდნენ იტალიელს ან საერთოდ ევროპელს. ახლა კი, როცა თურქეთს ჩაკეტილი ჰქონდა საქართველოში შემოსასვლელი გზები, ვატიკანი, რომ უმოძღვროდ არ დაეტოვებინა და მთლიანად არ დაეკარგა საქართველოში არსებული კათოლიკური მრევლი, დათმობაზე წავიდა და 1546 წელს პაპმა პავლე III-მ (1534—1549) საქართველოში თავის ნუნციოდ დანიშნა ნახჭევანელი არქიეპისკოპოსი, სომეხ-კათოლიკე უნიატი ვინმე სტეფანე[30]. „ამ დროს ნახჭევან-კილიკიიდან საქართველოში საქადაგებლად შემოსულა 102 სომეხი უნიატი ბერი, რომელნიც განლაგებულან ქართლ-იმერეთში და უპირველესად სამცხე-საათაბაგოში"[31].

სომხურ-კათოლიკური ეკლესია, რომელსაც კონგრეგაციისაგან დამტკიცებული ჰქონდა სომხურენოვანი რიტი (ტიპიკონი), ღმრთისმსახურებას მშობლიურ ენაზე ასრულებდა. ეს გარემოება საქართველოში შემოსული უნიატი ბერების საქმიანობას გადაულახავ წინააღმდეგობებს უქმნიდა. ადრე, XIII—XV სს. კათოლიკე მისიონერთა დროს ეს საქმე შედარებით მოგვარებული იყო. ევროპელი მისიონერები ვალდებულნი იყვნენ და კიდეც სწავლობდნენ ქართულ ენას. ლათინურიდან ქართულად თარგმნიდნენ საღვთო თუ სამოქალაქო წიგნებს. კათოლიკე მისიონერები საქართველოს მთავარ ცენტრებში ქმნიდნენ სკოლებს, ავრცელებდნენ ჩვენში ევროპულ განათლებას; ქართველ ახალგაზრდებს ასწავლიდნენ ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ ენებს და სხვა.

რა თქმა უნდა, ნახჭევანიდან გადმოსულ ბერებს ასეთი ტვირთის ზიდვა არ შეეძლოთ. ამიტომაა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მკაცრი წინააღმდეგობის პირობებში ქართლ-კახეთსა და იმერეთში, თუ არ ჩავთვლით თბილისის, გორისა და ქუთაისის რიცხვმცირე მრევლს, დიდი ნაწილი კვლავ მართლმადიდებლობას დაბრუნებია[32].

მიუხედავად ამისა, საქართველოს რომთან კავშირი არ გაწყვეტილა. ვინაიდან ევროპელი მისიონერები საქართველოში ვეღარ შემოდიოდნენ, ხოლო სომეხი ვაჭრები თუ სასულიერო პირები ევროპაში

მისვლა-მოსვლას ახერხებდნენ, ჩანს, ქართლის თავადებულმა მეფემ ლუარსაბ I-მა (1527—1556) სომხების საშუალებით სცადა ვატიკანთან კავშირის განახლება. ეს განხორციელდა ნახჭევანის ორი დომინიკანელი მისიონერის დომინიკესა და ბატისტას მეშვეობით, რომელთაც პაპისათვის უთქვამთ, რომ საქართველოს მეფე და მთავრები დიდ პატივს სცემდნენ რომის ეკლესიას და პაპის უპირატესობას აღიარებენო. მეფე ლუარსაბი კი ქართლის სამეფოში მოღვაწე დომინიკანელ მისიონერებთან კარგ ურთიერთობაში ყოფილა[33]. პაპმა პავლე III-მ ხსენებული მისიონერების ხელით 1545 წლის 17 ივნისს ქართლის მეფეს წერილი გამოუგზავნა.

უკანასკნელი ჰუმანისტი პაპი პავლე III ფარნეზე, რომელიც პოლიტიკურ საქმეებში დიდად გამოცდილი პიროვნება იყო, ამ დროს რეფორმაციისაგან შერყეული კათოლიკური ეკლესიის გავლენის აღდგენით იყო დაკავებული. ლუარსაბთან ეპისტოლეს მოწერის დროს კათოლიკური დოგმების სიწმინდის დასადგენად ტრიენტის საეკლესიო კრების (XIX მსოფლიო კრება) მოწვევას ამზადებდა. მართალია, ევროპის სახელმწიფოთა (საფრანგეთსა და გერმანიას) შორის არსებული უთანხმოების მოგვარების გზით ცდილობდა, ერთიანი ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას, მაგრამ მისი ორგანიზაცია წარუმატებლად დამთავრდა. საფიქრებელია, ლუარსაბ მეფის ვატიკანთან კავშირის დამყარება ნაკარნახევი იყოს პავლე III-ის ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობის შექმნის მცდელობასთან.

ლუარსაბ მეფის სახელზე დაწერილ ეპისტოლეში პავლე III გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ „ქართველებს უზენაესი მწყემსის შზრუნველობა მოაკლდათ უფრო ადგილის სიშორის გამო, ვიდრე მათი სულიერი გულგრილობის მიზეზით“, ამხნევებს და ურჩევს, მოუსმინონ დომინიკანელთა რჩევა-დარიგებას, სთხოვს, რომ ლუარსაბმა და სხვა მეფე-მთავრებმა გაუგზავნონ ელჩები, დაემორჩილონ რომის ეკლესიას, რის შემდეგ პაპიც გაგზავნის ნუნციოს[34].

ჩვენ არ ვიცით, პაპის ამ თხოვნისამებრ, ლუარსაბ მეფემ რომში გაგზავნა თუ არა დესპანი. მოვლენების შემდგომი განვითარება გვიკარნახებს ვთქვათ, რომ ლუარსაბმა პაპთან გაგზავნა თავისი ელჩი. ამას თან მოჰყვა პაპ. პავლე III-ის მიერ 1546 წელს საქართველოში ნუნციოდ ნახჭევანის არქიეპისკოპოსის სტეფანო კოლენცას დანიშვნა. მას ევალებოდა შეეგულიანებინა ლუარსაბ მეფე და სხვა მთავრე-

ბი, რათა ეცნოთ პაპის პირველობა და მას დამორჩილებოდნენ. წყაროთა უქონლობის გამო ძნელია ითქვას, თუ რა საქმეს ეწეოდა ეს სუნციო საქართველოში. სწორედ ამ დროს (1546 წელს) ლუარსაბ მეფეს გმირული, შეუპოვარი და უთანასწორო ბრძოლა ჰქონდა ირანის შაჰ თაჰმასპ I-თან (1524—1576).

ამავე დროს ოსმალეთი უშუალოდ საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდა. ისინი იწყებდნენ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის დაპყრობას და აქტიურად ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში. 1545 წელს სულთანმა დიდძალი ჯარი შემოუსია საათაბაგოს[35]. ევროპაში ვენამდე მოსული სულთანი სულეიმან I კანონი (1520—1566) 1548 წელს ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ მოემზადა. დაიწყო ირანსა და თურქეთს შორის საქართველოში გააფთრებული წინააღმდეგობები. მოზღვავებულ მტერთან ქართველები უმთავრესად ფიზიკური საშუალებებით იბრძოდნენ. გარეშე ძალის დახმარება გამორიცხული ჩანდა. ევროპა საქართველოსათვის შორს იყო[36]. თუმცა ქართველი პოლიტიკოსები ხელიდან არ უშვებდნენ იმ უმნიშვნელო შესაძლებლობასაც კი, თუ ევროპაში რომელიმე სახელმწიფო ოსმალეთთან დაპირისპირებული იქნებოდა, მასთან კავშირი არ ეძებნათ. აქედან გამომდინარე, ჩანს, ლუარსაბ I-მა სცადა კავშირის დამყარება ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლ „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორ კარლოს V-სთან (1516—1556)[37]. იმ ერთადერთი წყაროს მიხედვით, რომელიც ჩვენს ხელთაა, ჩანს, რომ ლუარსაბ მეფემ კონსტანტინოპოლის პატრიარქის საშუალებით წერილი გაუგზავნა კარლოს V-ს. ეს ეპისტოლე დაწერილი იყო 1548 წლის მარტში. ლუარსაბი იმპერატორს აცნობებდა, თუ „მოისურვებდა ლაშქრობას აღმოსავლეთში, დაეხმარებოდა მას 30 ათასიანი ლაშქრით“[38].

ლუარსაბ I-ის გმირული ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გააგრძელა მისმა შვილმა, დიდმა სიმონ I-მა (1556—1600), რომელსაც განსაკუთრებულად რთულ და მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. 1555 წლის 29 მაისს ამასიის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა ირან-ოსმალეთის პირველი ომი (1514—1555), რომლის მთავარი ასპარეზი საქართველო იყო. ამ ზავით დამპყრობლებმა ქართველების დაუკითხავად საქართველო გავლენის სფეროებად გაიყვეს. თურქეთს „ერგო“ დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი, ირანს — აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი. ამას ძალზე მძიმე შე-

ლეგი მოჰქონდა 'მესხეთის ავტორიტეტშელახული ეკლესიისათვის, რომელიც „თავისი მრევლის გადარჩენისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. სწორედ ამ დროს შედგეს ფეხი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე სომეხმა უნიატმა ბერებმა“[39].

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი, ჩინებული მხედართმთავარი და პოლიტიკოსი სიმონ I დროის დაუკარგავად შეუდგა საქართველოდან ირანელების განდევნისათვის ბრძოლას. მისი მეთაურობით ქართველების მამაცურმა ბრძოლამ ევროპის ყურადღება მიიქცია[40]. სიმონის მიერ წარმოებული ათწლიანი შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლა ირანის წინააღმდეგ 1569 წელს მისი მარცხით დამთავრდა. მოღალატე თანამოძმის ბიერ გაწირული მეფე ყიზილბაშებმა ტყვედ იგდეს და ირანის მბრძანებელს შაჰ თამაზ I-ს მიჰგვარეს. შაჰმა უდრეკ მეფეს გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზეც სიმონმა მტკიცე უარი განაცხადა. სარწმუნოების უარმყოფელი მეფე ცხრა წლით ალამუთის ციხეში გამოამწყვდიეს. ასე რომ, გაუტეხელმა მეფემ ქრისტიანული სარწმუნოების ღალატს პატიმრის ხვედრი არჩია.

ყიზილბაშების წინააღმდეგ სიმონ მეფის მეთაურობით ქართველი ხალხის მამაცურმა ბრძოლამ ევროპელთა ყურადღება მიიპყრო. ცნობილი პორტუგალიელი პოეტი ლუის კამოენსი (1524—1580) მის „ლუიზიადებში“ (1572 წ.) სამაგალითოდ ხატავს ქართველების გმირულ ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ[41]. ეს ნათელი ფაქტია იმისა, თუ რა ყურადღებასა და თანაგრძნობას პოულობდა მსოფლიო ლიტერატურაში ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ამასიის ზავს ირან-ოსმალეთს შორის წინააღმდეგობები არ შეუნელებია. 1576 წელს გარდაიცვალა შაჰ-თამაზ I. ქვეყანაში შინაფეოდალური ბრძოლები დაიწყო. ოსმალებმა მთელი სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს, აქ ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება გააუქმეს და მის ადგილზე შექმნეს ახალციხის საფაშო. ოსმალებმა თბილისის დაპყრობის შემდეგ, ისიც საფაშოდ გამოაცხადეს. სულთანის ჯარმა ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან განდევნა. ასეთ ვითარებას ირანი ვერ ეგუებოდა და შაჰის მთავრობამ შეცვალა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. იგი გარკვეულ კომპრომისზე წავიდა. ირანის შაჰმა 1578 წელს სიმონ მეფე ხანგრძლივი პატიმ-

რობიდან გაათავისუფლა და ოსმალთა წინააღმდეგ საომრად საქართველოში გამოისტუმრა.

სიმონ მეფემ კარგად იცოდა, რომ საკუთარი ძალებით საქართველო უძლური იყო დამოუკიდებლობის დასაცავად და თავის მხრივ ირანის გამოყენებაზე ამყარებდა გეგმებს. შაჰის ერთგულების მოსაჩვენებლად მან მაჰმადიანობა აღიარა და ამით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა თავისი მიზნების განახორციელებლად. ასე რომ, მისი სპარსოფილური პოლიტიკა ალამუთის ტყვეობის ხანგრძლივი ფიქრის შედეგი იყო[42]. ამ პოლიტიკით, რა თქმა უნდა, ქართველები საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ოსმალეთთან ომში ჩაბმული ირანი კი თავის მოკავშირედ მიაჩნდათ. საკუთრივ ირანი კი, სიმონის სახით იმ მძიმე დროს ძვირფას მოკავშირეს იძენდა.

1578 წლის ოქტომბერში სიმონ მეფე ქართლში დაბრუნდა. სარგებლობდა რა საქართველოში დიდი პატივისცემით, სიმონმა თავის გარშემო შემოიკრიბა მრავალრიცხოვანი მომხრეები და მათ უხსნიდა, თუ რატომ მიიღო მაჰმადიანობა: „მაჰმადიანი გავხდი, — ეუბნებოდა იგი ყველას, — არა იმიტომ, რომ მაჰმადის რჯული და სარწმუნოება უკეთესად მივიჩნიე, არამედ იმიტომ, რომ სამუდამო პატიმრობიდან თავი დამეხსნა და ჩემი იარაღი იესო ქრისტეს სამსახურისათვის აღმემართა, როცა კი ამის შესაძლებლობა მომეცემოდა; ამასთანავე, ქართლის სამეფოს შენარჩუნებაც მხოლოდ ამ გზით შემეძლო“[43]. სიმონს ქართლში მეტად ხელსაყრელი ვითარება დახვდა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. დაიწყო მისი 22 წლიანი თავგანწირული ომი ოსმალთა ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიო მასშტაბის გამოხმაურებას იწვევდა ყველაში, რადგან მისი ბრძოლები არ იყო ლოკალური ხასიათის მოვლენა. იგი უშუალოდ ეხმაურებოდა და კავშირში იყო ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში შემავალ სხვა დაპყრობილ სახელმწიფოებთან. ამიტომ ევროპის ქვეყნებში დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ საომარი ოპერაციების შედეგებს, რადგან აღმოსავლეთში ომის შეწყვეტა, მაშინვე მუქარის ქვეშ აყენებდა დასავლეთის სახელმწიფოებს. ამიტომ „დასავლეთევროპელი პოლიტიკოსებისათვის ირანის დამარცხება და ოსმალეთის მიერ მისი მოსალოდნელი დაპყრობა მსოფლიო მნიშვნელობის კატასტროფას ნიშნავდა“[44].

აქედან გამომდინარე, სიმონ მეფის ბრძოლა ოსმალების წინააღ-

მდეგ დასავლეთში დიდ ინტერესს იწვევდა. ქართლის მეფესთან ფართო დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას ცდილობდნენ ტრანსილვანიის მთავრები იშტვან ბატორი და ზიგმუნდ ბატორი[45] და გერმანიის იმპერატორი რუდოლფ II. ერთი ფრაგმენტული ცნობის მიხედვით, 1578 წელს ირანის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ სიმონ მეფეს წერილი მიუწერია რომის პაპისათვის[46]. 1583 წელს ტრანსილვანიის მთავარი იშტვან ბატორი (გარდ. 1586 წელს) გეგმებს ადგენდა ქართველებთან და ჩერქეზებთან სამხედრო კავშირის შექმნაზე[47].

ევროპის პოლიტიკურ ცენტრთან, რომთან სიმონ I-მა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 1587 წელს. პირველწყაროების მიხედვით, რომის პაპ სიქსტ V-სთან (1585—1590) და ესპანეთის მეფე ფილიპე II-სთან (1556—1598) თურქეთის წინააღმდეგ დახმარების წინადადებით სიმონ მეფემ 1587 წელს[48] გაგზავნა ორი დესპანი. ერთი დიდებულთა წრიდან, „იერუსალიმის მლოცველის სახით", იერუსალიმის გავლით, ხოლო მეორე, სახელად ალექსანდრე, ვაჭრის სახით კონსტანტინოპოლზე და ვენეციაზე გავლით[49]. წყაროებში პირველი დესპანის სახელი არაა ნახსენები. ჩვენი აზრით, იგი იყო ცნობილი სომეხი დიპლომატი ტერ იაკობი. როგორც ირკვევა, ტერ იაკობი თურქ გენერალს ფერჰად ფაშას ქ. არგენორეში ტყვედ ჩაუვარდა. მეორემ, ალექსანდრე ქართველმა, მიაღწია რომამდე „ექვსი შეკერა ქართული აბრეშუმით", რომელიც განკუთვნილი იყო მისი კათოლიკური უდიდებულესობის ესპანეთის მეფე ფილიპე II-სათვის.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ალექსანდრე დესპანს რომის პაპისათვის სიმონ მეფის შემდეგი საჩუქრები ჩაუტანია: „ძაფით ნაქსოვი დიდი ხალიჩა ოქროთი და აბრეშუმით მორთული; ბალიშის გადასაფარებელი უძვირფასესი ფარჩა; საუნაგირო ბალიშის ფარჩა, მარგალიტითა და ძვირფასი ქვებით მორთული"[50]. რაც შეეხება სიმონ მეფის პაპისადმი წერილს, იგი ჩვენ ხელთ არ გაგვაჩნია, მაგრამ არაპირდაპირი წყაროებით ირკვევა, რომ იგი პაპს სთხოვდა „რჩევასა და დახმარებას" თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრივ აცნობებდა, თუ დასავლეთის ქრისტიანი მეფეები ერთდროულად შეუტევდნენ თურქებს, მაშინ „აღმოსავლეთიდანაც მოვიდოდა დახმარება" და ეს ყველაზე ხელსაყრელი მომენტი იქნებოდა, ბოლო მოღებოდა თურქების ბატონობას. მაშინ კვლავ აღსდგებოდა ჯვრის იმპერია კონსტანტინოპოლში. ამასთანავე სიმონი პაპს სთხოვდა,

რომ მისთვის გაეგზავნათ მისიონერები, რათა ქართველები კათოლიკურ სარწმუნოებაში მოექციათ. სიმონი პაპს ასევე სთხოვდა, რომ მის უწმიდესობას აღეკვლინა ლოცვა-კურთხევა „მისი ჯარისა და ვასალებისათვის“[51] დაბოლოს, სიმონ მეფე მზად იყო, ეცნო თავი ესპანეთის მეფისა და რომის პაპის ვასალად, თუ მას „აიძულებდნენ დაემორჩილოს სხვა მეფეს (თურქეთის სულთანს თუ ირანის შაჰს — მ. პ.) და უხადოს მას ხარკი“. ასეთ შემთხვევაში სიმონი „უფრო მოისურვებდა ყოფილიყო“ რომის პაპისა და ესპანეთის „მოხარკე, ვასალი და ქვეშევრდომი, ვიდრე მაჰმადიანებისა“, თუნდაც რომ მათგან დიდი დახმარება მიეღო. სიმონი პირობას დებდა, რომ ყოველთვის, როცა საჭირო იქნებოდა, „იომებდა ქრისტიანებისათვის, როგორც ამას დღემდე აკეთებდა სპარსეთის გვირგვინისათვის“[52].

სიმონ I-ის ანტიოსმალური კოალიციის იდეას რომში მაშინვე ხელი სტაცა ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის ელჩმა ვატიკანში გრაფმა ოლივარესმა და კარდინალმა სანტა სევერინამ[53]. გამოცდილმა დიპლომატმა გრაფმა ოლივარესმა სწორად შეაფასა ის შესაძლებლობა, რაც დასავლეთს ეძლეოდა სიმონ I-თან კავშირის დამყარებით. მიუხედავად პაპის ორჭოფული პოზიციისა, გრაფმა დე ოლივარესმა გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა ქართველი დესპანისათვის. მან სცადა, ასეთი იღბლიანი შემთხვევა არ გაეშვა ხელიდან და ენერგიულად დაიწყო მოქმედება. აიღო რა ინიციატივა ხელში, გრაფმა ოლივარესმა 1588 წლის 8 თებერვალს წერილი მისწერა ესპანეთის მეფეს ფილიპე II-ს. იგი წერდა: ვფიქრობ, დავარწმუნო პაპი, რაც შეიძლება მალე დაიდოს კავშირი „ქრისტიან მეფეებთან“, რათა ისინი გაერთიანდნენ თურქეთის წინააღმდეგ და ამით აღუთქვას დასავლეთიდან დახმარების იმედი სიმონ მეფეს. აქედან გამომდინარე, სიმონმა კავშირი „უნდა განაგრძოს სპარსეთის შაჰთან, როგორც ამას აქამდე აკეთებდა“. ამ საქმის უკეთ წარმართვისათვის საჭიროა კაცი გაიგზავნოს ალექსანდრე დესპანთან ერთად, ან მისი წასვლის შემდეგ, ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებთან, რათა მათ „თათრების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გეგმა შეიმუშაონ“. აქვე, ყოვლისშემძლე გრაფი ოლივარესი ფილიპე II-ს სთხოვდა, რომ ანტიოსმალური კოალიციის დადების მიზნით „გაეგზავნა პიროვნება თავისი დისშვილი პოლონეთის მეფესთან და ასევე რუსეთის მეფესთან, რათა ისინი შეუერთდნენ მათ და შექმნან დიდი ძალა თურქეთის წინააღმდეგ“[54].

ასეთი იყო ის პირველი დიპლომატიური ნაბიჯები, რომელიც, ერთი მხრივ, გადადგა სიმონ I-მა დასავლეთში და, მეორე მხრივ, რომისა და ესპანეთის მესვეურებმა განავითარეს ევროპაში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმონ I-ს დასავლეთის ანტიოსმალური პოლიტიკის ხელმძღვანელობაში გამორჩეული როლი უნდა შეესრულებინა. ევროპის მესვეურები თურქების წინააღმდეგ აღმოსავლელი მოკავშირეების გაერთიანებული ძალების ბრძოლებით ცდილობდნენ, შეეჩერებინათ ოსმალთა შეტევები დასავლეთში. ეს მაკიაველური პოლიტიკა გაჭიანურდა და გაგრძელდა უკვე ესპანეთის მეფე ფილიპე III-ისა (1598—1621) და ფილიპე IV-ის (1621—1665) დროსაც. მაგრამ ეს სხვა ისტორიაა და ისევ ვუბრუნდებით ჩვენ საქმეს. 1587 წლის შემდეგ, 1596 წლამდე, სიმონ მეფის რომის პაპთან ურთიერთობის კვალი არა ჩანს.

ირან-ოსმალეთის მეორე ომი (1578—1590) პირველის დამარცხებით დამთავრდა. 1590 წლის 21 მარტს კონსტანტინოპოლის ზავით ირანის შაპმა აბას I-მა (1587—1629) ოსმალეთის სამფლობელოდ სცნო საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი, ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი. ზავის თანახმად, სიმონი ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკი ეხადა. ოსმალეთი სცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და იღებდა ვალდებულებას, არ ჩაერეოდა მის შინაურ საქმეებში. ამრიგად, ქართლის თავდადებულმა ბრძოლამ სიმონ I-ის მეთაურობით ოსმალეთი აიძულა, ხელი აეღო ქვეყნის სრული დაპყრობის პოლიტიკაზე. კონსტანტინოპოლის ზავმა საქართველოსა და ირანს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო შექმნა. ქართველი ხალხის დაუოკებელი სურვილი იყო მოეშორებინა თურქეთის უღელი, ხოლო შაჰ აბასისა — დაებრუნებინა საკუთარი ტერიტორიები და გაეერთიანებინა თავის ხალხი საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავმა დიდად შეაშფოთა დასავლეთ ევროპის ქრისტიანი ხელმწიფეები. ისინი შეეცადნენ, მოეწყოთ ანტიოსმალური კოალიცია. ამის ინიციატივა რომის პაპმა კლემენტი VIII-მ (1592—1605) და გერმანიის იმპერატორმა რუდოლფ II-მ (1576—1612) ითავა. მათ გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ირანელებსა და ქართველებს. თავის მხრივ ქართლის მამაცი მეფე

სიმონი დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა იმპერატორისა და პაპის წერილებს[55].

1595 წელს სიმონ ქართლის მეფემ, ალექსანდრე კახთა მეფემ და შაჰ აბას I-მა გადაწყვიტეს ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა მოეწყოთ. ამჯერად საინტერესო იყო ანტიოსმალურ გეგმაში კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574—1605) ჩაბმა. ცნობილია, რომ 1587 წლის „ფიცის წიგნით" რუსეთის მფარველობაში შესული კახეთის საშეფო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ერთი მხრივ, მას მოსკოვთან კავშირისა და „ორგულობისათვის" ოსმალეთი ეშურებოდა. მეორე მხრივ, ირანის შაჰიც „მოღალატედ" თვლიდა ალექსანდრე მეფეს. ასეთ ვითარებაში ირანის პოზიციის განეიტრალების მიზნით კახეთის მეფე ჩაება ირან-ქართლის ანტიოსმალურ გეგმაში, მაგრამ ალექსანდრეს უკვე პოლიტიკურად ბრძოლა წაგებული ჰქონდა. მას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთი არ შეეწეოდა. კახეთის მეფის ჭკვიანური პოლიტიკა მაშინ დადასტურდებოდა, როცა საქართველოს დანარჩენ სამეფო-სამთავროებს დაუკავშირდებოდა და ამგვარად გაძლიერებული მტერს სულ ადვილად გაუმკლავდებოდა. მაგრამ იმ დროს ამბიციებით შეპყრობილ ჩვენ მეფე-მთავრებს ერთმანეთთან შეკავშირების ამდენი ნებისყოფა და შეგნება არ გააჩნდათ (სურვილი კი ჰქონდათ), თორემ აღარ დასჭირდებოდათ საშველად მოეხმოთ ისეთი ძალა, რომელიც თავის მხრივ დაპყრობის ინტერესებით ხელმძღვანელობდა და არა საქველმოქმედო ქრისტიანული მიზნებით.

აზიისათვის სწორედ ეს ეპოქა ხასიათდება, როგორც მტაცებლობისა და განუკითხაობის ხანა, როცა რუსეთი, სპარსეთი და ოსმალეთი ერთმანეთსა ზვერავდნენ, როდის რა მოეხელთებინათ და მიეტაცათ უბატონოდ დარჩენილი ტერიტორიები. ნახევრად გაველურებული ინსტიქტებით აღვსილი სახელმწიფოები ერთმანეთს ჩასანთქავად უყურებდნენ. ასეთ ვითარებაში კახეთის მეფე ალექსანდრე II შემწეობას სთხოვს იმ დროს ყველაზე დიდ აგრესორს, რომელსაც არავითარი კანონიერი ნორმები არ გააჩნდა, ანგარიში გაეწია უბედურებაში მყოფი ქრისტიანული სახელმწიფოებისათვის. ჩვენი მეფე-მთავრების პოლიტიკურ გულუბრყვილობას უნდა მოასწავებდეს ის გარემოება, რომ არ ითვალისწინებდნენ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც საქართველოს სასარგებლოდ არ მიმდინარეობდა, ამიტომ საჭირო იყო, როგორმე გამოენახა modus vivendi

ირანთან და ოსმალეთთან, რომელსაც მას სთავაზობდნენ, ოღონდ რუსეთს ჩამოსცილებოდა. მაგრამ ალექსანდრე მეფემ ვერ განჭვრიტა რეალური საფრთხე, ყველა შესაძლებლობაც ვერ გამოიყენა და აკი ამის მსხვერპლი თვით გახდა კიდეც. ახლა ისევ ვუბრუნდებით ჩვენს საკითხს.

როგორც აღვნიშნეთ, 1595 წელს სიმონ I-მა, ალექსანდრე II-მ და შაჰ აბასმა გადაწყვიტეს ოსმალეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გაბმესვლა. ამ შეთანხმებისა და ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ სიმონ I-მა წერილებით აცნობა რომის პაპს, გერმანიის იმპერატორს, ვენეციის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და ესპანეთის მეფეს. ეს წერილები 1596 წლის შემოდგომაზე ევროპაში წაიღო ზემოხსენებულმა ტერ იაკობმა, რომელიც 1597 წლის 20 ივნისს ჩავიდა ვენეციაში. ევროპის მონარქებისა და რომის პაპისათვის ამავე იაკობს მიჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქის წერილებიც[56].

სიმონ მეფე თავის ეპისტოლეში, რომელიც დათარიღებული იყო 1596 წლის 6 მაისით, რომის პაპს უწოდებდა თავის „სულიერ მამას და რომის უდიდეს პაპს". აქვე აღწერდა ლუარსაბ მეფისა და მის მიერ მაჰმადიანებთან წარმოებული შეუპოვარი ბრძოლის ეპიზოდებს და აუწყებდა, რომ იგი ამ ბრძოლას ეწეოდა „იესო ქრისტეს სიყვარულის გამო". ბოლოს ჩავარდა რა ტყვედ შაჰის ხელში, მათგან გათავისუფლდა „ღვთის შეწევნითა" და „პაპის ლოცვის წყალობით". ამჟამად იგი განაგრძობდა რა განუწყვეტელ ბრძოლას თურქების წინააღმდეგ, პირობას დებდა, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა „ჯვარცმული იესო ქრისტეს სიყვარულისათვის". „ვიდრე პირში სული მიდგას, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგობაზე და არასოდეს უქმად არ ეყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვარა ჩემთვის" — აუწყებდა იგი პაპს. წერილის ბოლოს სიმონ მეფე წერდა: „აწ, ყოვლად უწმიდესო ბატონო, რადგან ყველა ქრისტიანების თავი ხართ და ყველაფერი თქვენს ხელშია, მოეცით ძალა და შეწევნა ქრისტიან ერთა და დაიხსენით". თავის მხრივ კი პაპს ჰპირდებოდა, რომ „მაჰმადიანთა ნებას არასოდეს დაემორჩილებოდა"[57].

სიმონ I დიდი ესპანეთის მეფეს წერილით, რომელიც დაწერილი იყო 1596 წლის 25 აგვისტოს სომხურ და ბერძნულ ენებზე, თხოვდა მონაწილეობა მიეღო ანტითურქულ ბრძოლებში. ამჯერად, — წერდა

იგი, — მე, კახეთის მეფე ალექსანდრემ და ირანის შაჰ აბასმა დავდეთ სამთა ხელშეკრულება თურქეთის სულთნის წინააღმდეგ. უმორჩილგსად გთხოვთ, მოახდინოთ ზემოქმედება გერმანიის იმპერატორზე, რათა მან არ დადოს საზავო ხელშეკრულება თურქეთთან და გააგრძელოს ბრძოლა ურჯულოთა წინააღმდეგ. მეორე ფრონტის გახსნა ევროპის მხრიდან ჩვენ გაგვიადვილებს თურქების დამარცხებას საბოლოოდ და მივაღწევთ წმიდათა-წმიდა ადგილის იერუსალიმის გათავისუფლებას: საერთოდ ეს წერილი წარმოადგენს დიპლომატიური მიმოწერის შესანიშნავ მაგალითს. სიმონი მოკლედ აღწერს რა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას და მის გეგმებს, მისი კათოლიკური უდიდებულესობა ესპანეთის მეფე შეჰყავს საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ მას დამყარებული აქვს წერილობითი კავშირი რომის პაპთან, გერმანიის იმპერატორთან და ტრანსილვანიის მმართველებთან. ამავე დროს სიმონი თხოვდა ესპანეთის მეფეს, ეშუამდგომლა ირანის შაჰის წინაშე, რათა მოემზადებინათ კოორდინირებული მოქმედება თურქეთის წინააღმდეგ, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა[58].

სიმონის წერილი გერმანიის იმპერატორ რუდოლფ II-სადმი არ შემონახულა. ასევე უცნობია იმპერატორის პასუხიც, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ის აღფრთოვანებით მიიღებდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებას. ამ დროს ხომ დასავლეთში დიდად იყო დაფასებული თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში სიმონ I-ის სამხედრო-პოლიტიკური ღვაწლი. იგი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, ცნობილი იყო არა მარტო ევროპის სახელმწიფოების მესვეურთა წრეებში, არამედ მთელ კათოლიკურ ქრისტიანულ სამყაროში.

ერთი სიტყვით, ამ დროს რომსა და საქართველოს შორის არსებობდა მყარი დიპლომატიური კავშირი. ამაზე მიუთითებს ტერ იაკობის, ალექსანდრე ქართველის და სხვა დიპლომატ-მისიონერების მოღვაწეობა ევროპის მრავალ ქვეყანაში. რომთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ არა მარტო ქართველ მეფეებსა და უფლისწულებს, არამედ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებსაც და პირიქით, კათოლიკური ეკლესიის მესვეურებსაც. თვით პაპი კლემენტი VIII საპასუხო წერილში, რომელიც 1598 წლის 1 აპრილსაა დაწერილი, სიმონ მეფეს წერდა: „როგორც კათოლიკური

ხელმწიფე ვუძღვნი ჩვენს თავმდაბლობას შენს პატივს და მორჩილებას ღმერთის პატივისცემისათვის და ნეტარი პეტრეს დიდებისათვის, როგორც ყველა კათოლიკე მეფე და ხელმწიფე. იმავე დროს, როგორც ყველა კათოლიკე მეფე და ხელმწიფე წინ დგას, ისე წინ დგახარ ღვთისმოსაავი პატივისცემით ყველა მორჩილთა და რწმენის მასწავლებლისა და დედის — წმიდა რომის ეკლესიის მიმართ, მასში ინახება თვითონ ქრისტეს მიერ ნაანდერძები რწმენის საგანძური, თავისი პირველქმნილი სახით, მასში მოთავსებულია რწმენის ქვაკუთხედი და მარად ნეტარი პეტრეს კათედრა, რომლის შესახებ უფალი ქრისტე ამბობდა: „დე, ნუ გაღატაკდება მისი რწმენა“. პაპი სიმონ მეფეს მის მიერ გადატანილი ბრძოლების გამო დიდ თანაგრძნობას უცხადებდა და აუწყებდა, „არ შევწყვეტთ თხოვნას..., რათა შევაგულიანოთ ქრისტიანი მეფეები და ხელმწიფეები, რომ გამოვიდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენ თავად, რამდენადაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი საკუთარი ძალა, თუმცა ჩვენ ჩვენს შესაძლებლობაზე მეტსაც ვცდილობთ უკუვაქციოთ თურქების შემოტევა და რისხვა, ვაგზავნითრა უკანასკნელ წლებში უნგრეთში დახმარებას და ჯარს“.

აქედან გამომდინარე, ქართლის მეფეს არ უნდა დაეხია უკან და მხნედ და უძლეველად ებძოლა თათრების წინააღმდეგ[59]. რომის პაპი კლემენტი VIII (1592—1605) საქართველოს პატრიარქისადმი ვრცელ წერილში, რომელიც დაწერილია 1598 წლის 1 აპრილს, მას დიდი თავმდაბლობით აუწყებდა, რომ მეთაურობდა რა მსოფლიო ეკლესიას, ცდილობდა ერთად შეეკრიბა ყველა მართლმორწმუნე და კათოლიკე და განსაკუთრებით ღირსი პატრიარქები და ეპისკოპოსები, რათა ისინი მისი მზრუნველობის ქვეშ რომის ეკლესიის გარშემო დაერაზმა. პაპი ქართველ პატრიარქს კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულების გამო ენით უთქმელ მადლობასა და სიყვარულს უთვლიდა. რომის მღვდელმთავარი საქართველოს, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას აღმოსავლეთში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან მან მაჰმადიანურ გარემოცვაში შესძლო ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნება. ამიტომ საქართველოს პატრიარქს პაპი მოუწოდებდა, როგორც აქამდე, ამის შემდეგაც ურყევად შეესრულებინა თავისი მწყემსებრივი სამსახური. ამ გზაზე კლემენტი VIII მას აღუთქვამდა ყოველმხრივ მხარდაჭერას „სარწმუნოების შენარჩუნებისათვის“[60].

როგორც სიმონ I-სადმი, ისე საქართველოს პატრიარქისადმი, კლემენტი VIII-ის წერილებიდან ჩანს, რომში ქართველთა შეფის ანტიოსმალური კოალიციის წინადადებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას და ეკლესათა გაერთიანების საკითხს. ჩანს, შექმნილი ვითარება რომში ამისათვის ხელსაყრელად ჩათვალეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1596 წლის ბრესტის უნიით გაერთიანდა აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანობის ორი შტო, შეიძლება პაპი კლემენტი VIII ჩავთვალოთ მსგავსი რელიგიური პოლიტიკის გამტარებლად საქართველოს მიმართაც. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რომის პაპმა, საქართველოს სასულიერო და საერო მესვეურების დასავლური პოლიტიკიდან გამომდინარე, ხელსაყრელად ჩათვალა საქართველოში უნიისათვის ნიადაგის მომზადება.

როგორც უწინ, ახლაც ანტიოსმალური კოალიციის (1593—1606 წწ.) შექმნა მარცხით დამთავრდა. ასევე მარცხით დამთავრდა გმირი მეფის სიმონ I-ის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. მოღალატე თანამომძის დახმარებით ნახიდურთან ბრძოლაში იგი 1599 წელს თურქებმა ტყვედ ჩაიგდეს. სულთანისათვის ეს დიდი გამარჯვება იყო, რადგან მის ხელთ აღმოჩნდა ოცი წლის განმავლობაში ოსმალების წინააღმდეგ ქედუხრელი მებრძოლი. საგულისხმოა, რომ დასავლეთის პრესაში თურქების განადგურების საქმეში სიმონ I-ის დამსახურებას უტოლებდნენ იოჰანეს უნიადის, სკანდერბეგისა და დონ ხუან ავსტრიელის დამსახურებას.

როგორც ვხედავთ, XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რომსა და საქართველოს შორის მყარი დიპლომატიური ურთიერთობა არსებობდა. ამაზე მიუთითებს მამა იაკობისა და სხვა დიპლომატი მისიონერების მოღვაწეობა ევროპის მრავალ ქვეყანაში. რომთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ არა მარტო ქართველ მეფეებსა და უფლისწულებს, არამედ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებსაც. თვითონ სიმონ I-ს უშუალო დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპ გრიგოლ XIII-თან (1572—1585), სიქსტი V-თან (1585—1590) და კლემენტი VIII-თან (1592—1605). ყველა წერილში იგი პაპის წინაშე პირობას დებდა, რომ იბრძოლებდა თურქების წინააღმდეგ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რათა დაეცვა ქრისტიანული საქართველო მტრისაგან. რომისათვის საქართვე-

ლო აღმოსავლეთში მოკავშირე ქრისტიანული ქვეყანა იყო. მოუნ-
დავად ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლისა, რომის პაპების მორა-
ლური მხარდაჭერა იმედის ნაპერწკალს უნერგავდა მაჰმადიანებთან
უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ ქართველ პოლიტიკოსებს ქვეყნის
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

სიმონ მეფის პოლიტიკური სარბიელიდან წასვლა არ ნიშნავდა
საქართველოს საგარეო ურთიერთობის გაწყვეტას აზიისა და ევრო-
პის სახელმწიფოებთან. მის ადგილს საქართველოს დიპლომატიის
ისტორიაში იკავებს კახეთის მეფე ალექსანდრე II.

თ ა ვ ი III. წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე“ და თეატინელთა მისია საქართველოში XVII საუკუნეში

§ 1. წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ შექმნის ისტორიიდან

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ დიდი ისტორიის მქონე ორგანიზაციის დაარსების მიზნის, ამოცანებისა და სტრუქტურის შესახებ თითქმის არაფერი მოგვეპოვება. ამის გათვალისწინების გარეშე კი ძნელია, გავიგოთ XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის მრავალი მხარე. ზოგიერთი საკითხის გასაღები ხშირად თვით ამ ორგანიზაციის სისტემაშია საძებნი. თავისთავად აღნიშნული თემა ძალზე ვრცელია და ის რამოდენიმე მონოგრაფიაშიც კი ვერ ჩაეტევა. ამიტომ ჩვენს მკითხველს ამჯერად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გავაცნობთ წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ისტორიიდან ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს.

ევროპაში ფეოდალური წყობილების რღვევამ და პირველმა ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა კათოლიკური ეკლესიის ღრმა კრიზისი გამოიწვიეს. ამასთან ერთად, კათოლიკობას ძლიერი დარტყმა მიაყენა რეფორმაციამაც. შექმნილი კრიზისის მძიმე შედეგი იყო ის, რომ XVI საუკუნის შუა ხანებში კათოლიკობას ჩამოშორდა ინგლისის, შოტლანდიის, გერმანიისა და შვეიცის ეკლესიები. ასე რომ, იმ პოლიტიკურმა ქარიშხლებმა, რომლებიც თავს დაატყდა ევროპას, ხანგრძლივი კრიზისის ჩიხში მოამწყვდია მისიონერული საქმიანობა.

შექმნილ ვითარებაში ვატიკანმა გადაწყვიტა, რომ განემტკიცებინა კათოლიკური ეკლესიების ერთიანობა და ამ მიზნით 1542 წელს დაადგინა, მოეწვიათ ტრიენტის საეკლესიო კრება, რომელიც 1545 წლის 13 დეკემბერს გაიხსნა. ეს იყო XIX მსოფლიო საეკლესიო კრება. უკანასკნელმა ჰუმანისტმა პაპმა პავლე III-მ (1534—1549),

რომელიც ცნობილი იყო საერთაშორისო არენაზე ფრთხილი დიპ-ლომატიური მოქმედებებით, ბულა „Regimini militantis Ecclesiae“ დაამტკიცა ეგნატე ლოიოლას მიერ დაარსებული იეზუიტთა ორდენი. შეცვლილ ვითარებაში საეკლესიო რეფორმების გატარების საქმეში პაპობის მთავარი საყრდენი სწორედ იეზუიტები გახდნენ.

ტრიენტის საეკლესიო კრებამ ასევე რეფორმაციასთან ბრძოლაში ერთიანი და ცენტრალიზებული კათოლიკური ეკლესიის საფუძვლების განმტკიცებისათვის დაადგინა: ძირითად საეკლესიო ტერიტორიულ ერთეულში (დიოცეზში) მთელი სასულიერო ძალაუფლება და მღვდლებზე ხელმძღვანელობა გადასცემოდა ეპისკოპოსს, ხოლო საეკლესიო პროვინციებში, რომლებიც შედგებოდა საეპისკოპოსთა ჯგუფებისაგან — არქიეპისკოპოსს. მაგრამ ჯერ კიდევ 1522 წელს, როდესაც ფართოდ იყო გაშლილი მისიები, პაპმა ადრიანე VI-მ (1522—1523) ბერ-მისიონერებს მისცა უფლება, რომ ადგილობრივი ეპისკოპოსისაგან დამოუკიდებლად შეესრულებინათ სამრევლო მღვდლების ფუნქციები. ასეთი ბერ-მღვდლები ექვემდებარებოდნენ მხოლოდ საკუთარ ადმინისტრაციას, რომელსაც სათავეში ედგა ორდენის გენერალი. მისი ადგილსამყოფელი რომში იყო. ასე რომ, ტრიენტის კრებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მისიონერულ საქმიანობას.

ერთი სიტყვით, კათოლიკური ეკლესიის შეგუება ახალ საზოგადოებრივ წყობილებასთან და ამის საფუძველზე შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობებთან დღის წესრიგში გადაუდებელ ამოცანად აყენებდა მისიონერული მოღვაწეობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნას. კათოლიკობის გავრცელების ინტერესებში ამ მოვლენის განხორციელება დაეკისრა წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ორგანიზაციას, რომელიც დაარსდა 1622 წლის 22 ივნისს პაპ გრიგოლ V-ის ბულით „Incrustabili Divinae“[1].

როგორც ვთქვით, ტრიენტის საეკლესიო კრებამ ეკლესიისის მთელი მისიონერული მუშაობა პრინციპულად ახალ საფუძველზე დააყენა. უპირველესი ამოცანა იყო სრულიად კათოლიკური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობის კოორდინირების მიზნით სპეციალური ორგანოს შექმნა. რომის კურიის ფარგლებში ასეთი ორგანოს შექმნა პირველად განიზრახა პაპმა პიუს V-მ (1566—1572). ამ საქმეში მაშინ პაპს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ესპანეთის ყოვლადძლიერმა მეფემ ფილიპე II-მ (1556—1598), რომელსაც უკვე აღარ სურდა თავის კო-

ლონიებში რომის ჩარევა. აღნიშნული მიმართულებით ვერც პაპი გრიგოლ XIII-ის მცდელობამ გამოიღო განსაკუთრებული შედეგი. ამ მხრივ წარმატებული აღმოჩნდა პაპ სიქსტი V-ის (1585—1590) ძალისხმევა. 1588 წელს მან ჩაატარა რომის კურიის რეორგანიზაცია და დააარსა კონგრეგაცია, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაშინ ვერ გაშალა ფართო მუშაობა. ერთი სიტყვით, აღნიშნულ პერიოდში სამისიონერო დაწესებულების დაარსებისათვის არ აღმოჩნდა არც მყარი საფუძველი, არც საჭირო სახსრები, და არც ინიციატორთა ფართო წრე.

საქმე წინ წავიდა მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში, პაპი კლემენტი VIII-ის (1592—1605) დროს. კარდინალმა ჯულიო ანტონიო სანტორო დი კასერტამ (1523—1602) შექმნა ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედიოდა მისიონერული მოღვაწეობის გააქტიურება. მკვლევარები სამართლიანად მიიჩნევენ ამ ორგანოს პაპ გრიგოლ XV-ის მიერ დაარსებულ პროპაგანდის პირველსახედ. ჯულიო ანტონიო სანტორის პიროვნება ჩვენთვის სხვა მხრივაცაა საინტერესო. „ვატიკანის სასულიერო კრებაზე მას ევალებოდა თვალყური ედევნებინა ქრისტიანული აღმოსავლეთის პრობლემებისათვის“. მის სახელთანაა დაკავშირებული XVI საუკუნის მიწურულს საქართველოს ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის კოორდინირება. „სწორედ მას ჰქონდა დავალებული, კარდინალთა უმაღლესი საბჭოსათვის წარედგინა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი მონაწილეობის ამსახველი ინფორმაცია“[2].

ჯულიო ანტონიო სანტორის მიერ დაარსებული კონგრეგაციაც ვერ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. ესპანეთისა და პორტუგალიისაგან იმდენად დიდი იყო წინააღმდეგობა, რომ სანტორის გარდაცვალების შემდეგ კონგრეგაცია იძულებული გახდა თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინა. თუმცა ამ ორგანოს მოღვაწეობას 1599—1604 წწ. უკვალოდ არ ჩაუვლია. ეს გამოიხატა შემდეგში: პირველი, რომის კურიისა და სრულიად კათოლიკური ეკლესიისათვის შეიქმნა პრეცედენტი, და მეორე, გრიგოლ XV-ის მიერ შექმნილი ანალოგიური ორგანიზაციის წევრებმა გაითვალისწინეს კონგრეგაციის მოღვაწეობის გამოცდილება.

პაპ პავლე V-ის (1605—1621) დროს ფართოდ გაიშალა კაპუჩინთა და იეზუიტთა მისიონერული მოღვაწეობა აფრიკასა და სამხრეთ ამე-

რიკაში. პაპის კურიამ არაერთხელ მიმართა წინადადებით კაპუჩინებისა და კარმელიტთა ორდენის წარმომადგენლებს, რომ შეექმნათ კონგრეგაცია. მსგავს აზრს გამოთქვამდა ასევე იტალიელი ტომაზო კამპანელა (1568—1639) მის მიერ ციხეში დაწერილ ტრაქტატში „Quod Reminiscentur"[3]. უეჭველია, პაპი გრიგოლ XV-სათვის, რომელსაც XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის პირველ ოცეულში დიდი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა რომის კურიაში, უცნობი არ დარჩებოდა რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციის მოღვაწეობა.

ამრიგად, XVI საუკუნის შუა ხანებიდან, ვიდრე 1622 წლამდე ვატიკანის მესვეურები არაერთხელ ცდილობდნენ სერიოზულად დაეარსებინათ რწმენის გავრცელების კონგრეგაცია, მაგრამ მას განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პაპ გრიგოლ XV-ის სახელთანაა დაკავშირებული პროპაგანდა ფიდეს დაარსება. ამიტომ მკითხველისათვის საინტერესოდ მივიჩნევთ ორიოდე სიტყვით მაინც შევეხოთ გრიგოლ XV-ის პიროვნებას და პროპაგანდის დაარსების საქმეში აქტიურ მოღვაწე პირთა დამსახურების წარმოჩენას.

პაპი გრიგოლ XV, ალესანდრო ლუდოვიზიო ბოლონიიდან, დაიბადა 1554 წლის 9 იანვარს აზნაურის ოჯახში. მან მიიღო იურიდიული განათლება და რომის წმიდა ტახტის მეთაურად აირჩიეს 1621 წლის 9 თებერვალს. იგი განთქმული იყო მოლაპარაკებების წარმოების დიპლომატიური მოხერხებულობით. „მას ნებისმიერი მიზნის მიღწევა შეეძლო მოკრძალებითა და მეგობრებისადმი სათუთი დამოკიდებულებით"[4]. გრიგოლ XV-ს ჰყავდა ძმისწული ლუდოვიკო ლუდოვიზიო, რომელსაც მან კარდინალობა უბოძა. იგი ამ დროს მხოლოდ 25 წლისა იყო. ამ ახალგაზრდა კაცმა, რომელიც დაჯილდოებული იყო მმართველობის დიდი უნარით, გამჭრიახობითა და საქმისათვის აუცილებელი ჭკუითა და გამბედაობით, თავის ხელში აიღო ძალაუფლება[5]. ლუდოვიკო ლუდოვიზიოს თავდადებამ ბევრად განაპირობა პროპაგანდის დაარსება. იგი ატარებდა კაპუჩინთა პროტექტორის წოდებას და მას ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა თავის ცხოვრებაში.

იმავე დროს რომში განთქმული იყო მოციქულთა სასახლის მოქადაგე კაპუჩინი ჯიროლამო დი ნარნი. კონგრეგაციის მეშვიდე მდივნის ურბან ჩერის (1675—1679) მიხედვით, პაპი გრიგოლ XV ნარნის

მგზნებარე ქადაგებებს ძალზე ემოციურად განიცდიდა[6]. მისი უნარი ყველას ხიბლავდა, მათ შორის კარდინალ ლუდოვიკო ლუდოვიზიოსაც. ამ უკანასკნელმა საკუთარი ხარჯებით დაბეჭდა მისი ქადაგებები.

სპეციალურ ლიტერატურაში კაპუჩინი ჯიროლამო დი ნარნი მიჩნეულია პროპაგანდის დაარსების სულისჩამდგმელად. მისი აზრით, უნდა დაარსებულიყო საგანგებო კონგრეგაცია, რომელიც იზრუნებდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მისიების დაფუძნებაზე. თვეში ერთხელ ამ მისიებს პაპისათვის უნდა მოეხსენებინათ თავიანთი მოქმედებების შესახებ[7].

პროპაგანდის დაარსების თავგამოდებული მომხრე იყო ესპანელი პრელატი ჟან ბატისტ ვივესი (1545—1632). თავდაპირველად იგი რომში იყო ესპანური ინკვიზიციის აგენტი, ხოლო 1608 წელს დაინიშნა ესპანეთის ელჩად. მართალია, ეს თანამდებობა უკრძალავდა მას რაიმე ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღების უფლებას, მაგრამ იგი მისიათა დაარსების უმაგალითო მომხრე იყო. 1613 წელს მან შეისყიდა ესპანეთის მოედანზე მდებარე ფერატინის სასახლე, რომელიც პროპაგანდის ჩამოყალიბების შემდეგ გადასცა პაპ ურბან VIII-ს მომავალ მისიონერთა და მისიის ქვეყნებიდან გამოგზავნილ სასულიერო პირთა აღსაზრდელად. ასევე პაპ გრიგოლ XV-ს პროპაგანდის დაარსების საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს კარმელიტმა დომინიკემ და ბერ-მონაზვნობის დამაარსებელმა ნეტარმა ჟან ლეონარდიმ[8].

ამრიგად, პაპი გრიგოლ XV გახდა ის პიროვნება, რომელსაც ბედმა არგუნა გამხდარიყო ეგზომ ნანატრი კონგრეგაციის დამაარსებელი. ამ უნივერსალური ორგანიზაციის დაარსება სინამდვილეში შეესაბამებოდა იმ დროს არსებულ მოთხოვნებს და სწორედ ამიტომ იყო მან მალე მიაღწია ბრწყინვალე წარმატებებს. მართალია, რელიგიური მოძღვრების პროპაგანდა ძველთაძველი იყო, მაგრამ კონგრეგაციის დაარსებით ამ სიტყვამ მისიონერული მოღვაწეობის მნიშვნელობა შეიძინა. ამ ახალ კონგრეგაციას სხვანაირად უწოდებდნენ „რწმენის გავრცელების კონგრეგაციას“, „რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციას“ ანდა უბრალოდ „პროპაგანდას“.

წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ შექმნის დღედ ითვლება 1622 წლის 6 იანვარი, ხოლო ბულა მისი მიზნის, სტატუსისა და სახელის შესახებ გამოქვეყნდა 22 ივნისს. თავდაპირველად კონგრეგაცია შედგებოდა 13 კარდინალის (რომელთა შორის იყო მათეო

ბარბერინი — მომავალი პაპი ურბან VIII), 2 პრელატის, ერთი ორდენის სასულიერო პირისა და მდივნისაგან[9]. პროპაგანდის პირველი მდივანი იყო ფრანცისკო ინგოლი, რომელმაც დიდი კვალი დატოვა პროპაგანდის ისტორიაში. იგი დაიბადა 1578 წელს რავენაში. თავიდანვე ინგოლი გატაცებული იყო სამოქალაქო და კანონიკური სამართლის დაუფლებით. ეს დისციპლინები მან საფუძვლიანად შეისწავლა პადუაში. აქ მისი ნიჭი და გაქანება შეამჩნია პაპის ერთ-ერთმა ლეგატმა და ის რომში წაიყვანა, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა რამდენიმე ენა და იურისპრუდენცია. პროტექტორის გარდაცვალების შემდეგ ინგოლი მფარველობაში აიყვანა პაპმა გრიგოლ XV და მალე ახლადდაარსებული პროპაგანდის პირველი მდივნის თანამდებობაზე დანიშნა[10]. ინგოლის სახელთანაა დაკავშირებული პროპაგანდის სტამბის ტექნიკური და ფინანსური საქმეების დადებითად გადაწყვეტა.

პროპაგანდის პირველი სხდომა ჩატარდა 1622 წლის 14 იანვარს. მას თვით პაპმა გრიგოლ XV-მ უთავკაცა. აქვე გადაწყდა, რომ ყველა ნუნციისათვის გაეგზავნათ მიმართვები, რათა შეედგინათ ინფორმაციები მათი საქვეუწყებო ტერიტორიაზე მისიონერული მუშაობის მდგომარეობის შესახებ: აქვე დადგინდა, რომ გამოქვეყნებულიყო ბულა, რომელშიც ჩამოთვლილი იქნებოდა ის შესაძლებლობები და პრივილეგიები, რითაც პაპობა აპირებდა კონგრეგაციის აღჭურვასა და ფულად დახმარებას. რომში უნდა შერჩეულიყო დიდი სახლი კონგრეგაციისა და მისი კოლეჯისათვის; განსაზღვრული იქნა კრებების ჩატარების სიხშირე (თვეში ორჯერ), ორდენთა გენერლებს მიეცათ წერილობითი ბრძანებები, რომ კონგრეგაციაში წარედგინათ ცნობები მისიების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ. ბოლოს, კონგრეგაციის არქიეპისკოპოსს პროპაგანდისათვის უნდა გადაეცა ძველი კონგრეგაციის არქივი[11].

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ბულის მომზადება, რომელიც გახდა კონგრეგაციის მოღვაწეობისათვის ოფიციალური საფუძველი. ამ დოკუმენტის პროექტი განხილული იქნა 1622 წლის 4 თებერვლის სხდომაზე. მასში ნაჩვენები იყო პროპაგანდის მიზანი, მისი ამოცანები და ფინანსური ბაზა. 1622 წლის 22 ივნისით დათარიღებული ბულა სინამდვილეში მომზადდა რამდენადმე უფრო გვიან — სექტემბერში. თარიღი აღებულია პაპის სხვადასხვა დოკუმენტებიდან, რომელიც სინამდვილეში ხელმოწერილია 22 ივნისს. ეს იყო

სამოციქულო წერილი „Romanum decet Pontificem“, სადაც გრიგოლ XV-მ კონგრეგაციისათვის გამოყო შემოსავალი[12].

1622 წლის 8 მარტს კონგრეგაციის მესამე სხდომაზე მოხდა მის წევრებს შორის ვალდებულებათა განაწილება. კონგრეგაციამ ნუნციებს დაუქვემდებარა პროვინციები და გამოყო პროტექტორები. თავდაპირველად კონგრეგაციის სხდომები იმართებოდა კარდინალ-პრეფექტთან, რომელიც იმავე დროს წმიდა კოლეგიის ზედამხედველიც იყო. შემდგომში კრებები იმართებოდა ხან ერთ, ხან მეორე კარდინალთან, ხანდახან პაპთანაც კი. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ 1633 წელს არ მოხერხდა შეკრება ფერატინის სასახლეში, რომლის კეთილმოწყობა იმ დროისათვის უკვე დამთავრებული იყო.

ძალზე შრომატევადი იყო პროპაგანდის მდივნის სამუშაო. მას თავიდანვე სამი თანაშემწე ჰყავდა, რომელთა შორის იყო განაწილებული საქმეები. მათს სამუშაოს შეადგენდა: დედნების წერილობითი შედგენა, მათი რეგისტრაციაში გატარება, ახალი მონაცემებით შევსება, ასლების მოწესრიგება, კონგრეგაციის კრებაზე განსახილველი წინადადებების წარდგენა, მისიათა შენიშვნებისა და რეესტრების გაკეთება. 1622 წლის 25 აპრილს დაინიშნა პროპაგანდის ბუხჰალტერი და რწმუნებული. მდივნები იმდენად გადატვირთულები იყვნენ, რომ 1653 წელს საჭირო გახდა მეორე გადამწერის (minutante) აყვანა. 1661 წელს კი დანიშნეს არქივარიუსი, რომელმაც გარკვეულწილად განტვირთა მდივნის თანაშემწეები. ამ დროიდან დაიწყო დოკუმენტების მეცნიერულად დალაგება[13].

1622 წლის 22 ივნისით დათარიღებულ ბულაში (Inscrutabili), რომელიც წარმოადგენდა ძირითად აპოსტოლიკურ კანონს, ჩამოყალიბებული იყო მთელ მსოფლიოში კათოლიკობის პროპაგანდისათვის აუცილებელი საჭიროებანი. ამ საქმეში დიდი როლი ეკისრებოდა წმიდა კონგრეგაციის კომპეტენტურ კარდინალებს. კონგრეგაციის წევრებს სრული უფლება ჰქონდათ წარემართათ მისიონერთა საქმიანობა. ისინი არჩევდნენ მისიონერებს და ამ საქმეში არ იყვნენ რაიმე მყარი წესებით შებორკილები. პაპს ძირითადად მინდობილი ჰქონდა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა. ბულა Inscrutabili-ის დართული ჰქონდა Romanus decet, რომელიც ხაზს უსვამდა კონგრეგაციის განსაკუთრებულ ხასიათს და სხვა უწყებებს შორის მას ფინანსურ დამოუკიდებლობას ანიჭებდა. ამ დანართის მიხედვით კონგრეგაციას უფლება ჰქონდა მიეღო დოტაციები, შეეძინა უძრავი ქო-

ნება და მიწები. აქედან ჩანს, რომ რომის პირველმღვდელმთავარს სურდა, პროპაგანდა ფინანსურად დამოუკიდებელი ყოფილიყო[14].

პროპაგანდის დაარსების ერთი წლის შემდეგ, 1623 წელს პაპი გრიგოლ XV გარდაიცვალა. მისი ხანმოკლე პონტიფიკატის დროს პროპაგანდამ ვერ შეძლო აქტიური საქმიანობისა და მოღვაწეობის გაშლა. მის შემდეგ პაპი გახდა ურბან VIII (1623—1644). იგი დაიბადა 1568 წლის 5 აპრილს ფლორენციაში თავადაზნაურულ ოჯახში. მიიღო იურიდიული განათლება და შემდეგ პარიზში ასრულებდა ნუნციის როლს. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული პროპაგანდის აქტიური საქმიანობა. კერძოდ, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში თეატინელთა მისიონის დაარსების საქმეში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი პაპ ურბან VIII-ის სურათს შემდეგი სახის მინაწერს უკეთებს: „მღვდელმთავარი — ურბან მერვე აღმოსავლეთში და კერძოდ, საქართველოს სამეფოში სამოციქულო მისიონის პირველი ავტორი და მომგონი“[15].

დიდი ნებისყოფის, უნარისა და განათლების მქონე ურბან მერვე ენერგიულად შეუდგა პროპაგანდის საქმიანობის გააქტიურებას[16]. იმ მიმართულებით, რაც მან პირველ რიგში გაატარა, უნდა დავასახელოთ მის მიერ პროპაგანდის კოლეჯის (Collegium de Propaganda Fide) დაარსება, რომელსაც ხშირად „ურბან VIII-ის კოლეჯსაც უწოდებდნენ“. მიჩნეულია, ესპანელმა პრელატმა ჟან ბატისტ ვიეესმა პაპ ურბან VIII-ს შესთავაზა, რომ პროპაგანდასთან გაეხსნა კოლეჯი. 1626 წელს პაპმა ეს წინადადება მიიღო. 1627 წლის 1 აგვისტოს ბულით (Immortalis Dei) კოლეჯმა დროებით ბინა დაიდო ფერატინის სასახლეში და დაექვემდებარა ერთიან ხელისუფლებას[17].

პროპაგანდის კოლეჯის უმთავრესი მიზანი იყო, მოემზადებინა მისიონის ქვეყნისათვის მღვდლები. აქედან გამომდინარე, მას პაპის სემინარიასაც უწოდებდნენ. კოლეჯი განკუთვნილი იყო ყველა ერისა და რასის სასულიერო პირთათვის „et omni gente et natione“. თავდაპირველად კოლეჯი დიდი ეკონომიური სიძნელეების წინაშე იდგა. აუცილებელი იყო საჭირო თანხების გამონახვა, რათა მოწაფეებზე გაეცათ სტიპენდია. სულ პირველად კოლეჯში 12 მოწაფე იყო. ასეთი სიძნელეების ჟამს ურბან VIII-ის ძმამ, ანტონ ბარბერინიმ კაპუჩინებისათვის 25 სტიპენდია დანიშნა, ხოლო ჟან ბატისტ ვიეესმა 10[18]. კოლეჯის დაარსების ათი წლის შემდეგ, კერძოდ, 1637 და

1639 წლების ბულით იგი უზრუნველყოფილი იქნა აუცილებელი სახსრებით და საბოლოოდ განმტკიცდა ამ დაწესებულების ფუნდამენტი. 1646 წელს კოლეჯი დაუქვემდებარეს პროპაგანდის იურისდიქციას[19].

კოლეჯი განკუთვნილი იყო ერეტიკოსი და სქიზმატიკური ქვეყნების წარმომადგენლებისათვის. მისი მასშტაბები რამდენიმე ათეულ წელიწადში სწრაფად გაიზარდა. მაგალითად, 1662 წლისათვის კოლეჯში უკვე 22 ეროვნების წარმომადგენლები სწავლობდნენ. ამ უნიკალურ მოვლენას შეიძლება 22 ენის ზეიმი ვუწოდოთ. სწორედ ურბან VIII-ის კოლეჯს ასეთი ფართო გაქანების გამო პაპმა ალექსანდრე VII-მ (1655—1667) უწოდა „მსოფლიო ეკლესიის სემინარია"[20]. კოლეჯში მხოლოდ ორი ფაკულტეტი იყო — ფილოსოფიისა და თეოლოგიის. აქ ამ საგნების კულტი იყო გამეფებული. მოსწავლეები სწავლის დამთავრების შემდეგ დებდნენ ფიცს. 1660 წლიდან ყველა კოლეჯდამთავრებული ვალდებული იყო დაედო ასეთი სახის ფიცი: „მე ესა და ეს ვემორჩილები კოლეჯის კანონებსა და სტრუქტურას, შესაბამისად ვუერთდები მონასტრის წინამძღვართა ახსნა-განმარტებებს და ვიძლევი პირობას, რომ დავიცავ მას; ამასთანავე ვფიცავ, რომ არ შევალ არცერთ რელიგიურ ორდენსა ან რელიგიურ კონგრეგაციაში სამოციქულო კრებისა და პროპაგანდის ნებართვის გარეშე. ვფიცავ, პროპაგანდაში ყოველთვის გავგზავნი მოხსენებებს ჩემი მოღვაწეობის შესახებ და წარვადგენ ცნობებს იმ მხარეზე, სადაც მე ვიცხოვრებ და ასე გავაგრძელებ ყოველ წელიწადს. ვფიცავ, პროპაგანდის სტრუქტურის მიხედვით დაუყოვნებლივ გავემგზავრები ჩემს მხარეში, რათა იქ დავხარჯო ნიადაგ ჩემი მზრუნველობა და გულმოდგინება ღვთიურ ნივთთა გამგებლობაში სულების გადასარჩენად. ასეთნაირად მოვიქცევი და ვიმუშავებ. წმიდა კრების ნებართვის გარეშე არ შევალ არცერთ რელიგიურ ორდენში ან რელიგიურ კონგრეგაციაში"[21].

პროპაგანდის მოწაფეებს უფლება არ ჰქონდათ წინ აღსდგომოდნენ ამ წესებს. მათ იგი მტკიცედ უნდა დაეცვათ. პაპმა ურბან VIII-მ პროპაგანდის მოწაფეთა მოვალეობანი შემდეგნაირად განსაზღვრა: „თუ საჭიროა სარწმუნოების დასაცავად, პროპაგანდის განვითარებისა და სარწმუნოების გავრცელებისათვის, სიცოცხლეც კი გასწირე". რწმენისათვის სიცოცხლის გაწირვაც კი — ასეთი იყო მოწაფეებისათვის წაყენებული ვალდებულება[22].

ამრიგად, ურბან VIII-ის კოლეჯი ამზადებდა მისიონერებს პროპაგანდის სამსახურისათვის. აქ ახალგაზრდები სასულიერო სავარჯიშოებითა და ენის გაკვეთილებით თავიანთ მომავალ პროფესიას ეუფლებოდნენ. ქართველებს ამ კოლეჯში ორი ადგილი ეთმობოდა. 1641 წლის 29 მაისს, პაპ ურბან VIII-ის ბრძანებით, წმიდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიამ იმ სახლში, რომელიც პიეტრო დელა ვალემ თეატინელთა მისიონს გადასცა, გაიხსნა კოლეჯი ქართველი ახალგაზრდებისათვის[23]. ამ კოლეჯში მრავალმა ქართველმა მიიღო შესაფერისი განათლება და ბევრმა დაიცვა დისერტაცია ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის დარგში. ამას მკითხველი წინამდებარე წიგნის შესაბამის ადგილებში იპოვის.

წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს დიდმა მიზანმა დღის წესრიგში დააყენა ერთი დიდი ამოცანის გადაჭრა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო გახდა საღმრთო წერილების თარგმნა სხვადასხვა ენებზე. ამიერიდან აუცილებელი იყო დაბეჭდილიყო ლიტერატურული, დოგმატური, კატეხიზმოს ნაწარმოებები, ასევე საჭირო გახდა ხელახლა დაბეჭდილიყო და გამრავლებულიყო მრავალი საეკლესიო აქტი და ცირკულარები, რომლებშიც მსჯელობა იქნებოდა მსოფლიოს მრავალ ხალხთა ენებზე. ამ საკითხის გადაჭრა დიდ სარგებლობას შოუტანდა პროპაგანდის საქმეს. ამიტომ მას ხელში უნდა აეღო ბეჭდვის მონოპოლია. ამ მიზნით 1626 წლის 30 ივნისს პაპმა ურბან VIII-მ შეკრიბა კარდინალები და გადაწყვიტეს, რომ გადაუდებლად დაეწყოთ მრავალეროვანი სტამბის ორგანიზება[24].

ამ საქმის მოგვარება თავს იდო ჩვენთვის ცნობილმა ფრანციისკო ინგოლომ. ამ რთული სამუშაოს ტექნიკური და ფინანსური მხარე ინგოლოს ენერგიული და დაუღალავი შრომის შედეგად წარმოუდგენლად მოკლე დროში წარმატებით დაგვირგვინდა. გამომცემლობისათვის მრავალ ენაზე საბეჭდი ასოების მომარაგების მხრივ დიდი წვლილი შეიტანა იმპერატორმა ფერდინანდ II-მ, ვატიკანის ბიბლიოთეკამ და მარკიზმა სალვიატიმ. ფრანციისკო ინგოლომ დიდი გულმოდგინებით შეარჩია მეტად კვალიფიციური ოსტატები და შეგირდები[25]. სტამბის ტექნიკური გამართვა დაევალა იმდროინდელ ყველაზე ცნობილ მესტამბეს სტეფანე პაოლინის, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა უცხო, განსაკუთრებით, აღმოსავლურ ენებზე წიგნების ბეჭდვისა. „პროპაგანდა ფიდეს“ ახლადდაარსებულ სტამბაში მას პასუხისმგებელი მბეჭდავის თანამდებობა ეკავა. სტამბის სუპერინტენ-

დანტი ანუ მმართველი იყო აქილე ვენერიო, რომელსაც ერთდროულად სასტამბო მეურნეობის ეკონომიკური უზრუნველყოფაც ევალებოდა. მან დიდი როლი შეასრულა „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის არა მხოლოდ დაარსების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში, არამედ მისთვის სათანადო შენობის შერჩევაშიც. აქილე ვენერიომ იმთავითვე შესთავაზა კონგრეგაციას ამ მიზნით მისი კერძო სახლი გამოეყენებინათ. ეს წინადადება მადლიერებით მიიღეს და „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბას საფუძველი ჩაეყარა აქილე ვენერიოს სახლში, რომელიც იტალიის დედაქალაქის ცენტრალურ უბანში, ვენეციის მოედნის უკან, საქვეყნოდ ცნობილ ფორუმის ტერიტორიაზე მდებარეობს[26].

წარმოუდგენლად მცირე დროში, დაახლოებით ერთ წელიწადში, შეიქმნა საბეჭდი დაზგა, რომელსაც 15 ენაზე შეეძლო ბეჭდვა. ამ დროს შექმნილ მრავალსახოვან სტამბებს შორის იყო ქართულიც. „1628 წლის ივნისში წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ, გადაწყვიტა თავის სტამბაში მოემზადებინა ქართული ასოები, როგორც საეკლესიო, ისე საერო. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ 1628 წლის სექტემბერში. ასე შეიქმნა მსოფლიოში პირველი ქართული სტამბა, სადაც მალე წიგნი დაიბეჭდა[27].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მცირე დროში ამ უზარმაზარი სამუშაოს შესრულება წარმოადგენდა კულტურის პროგრესისადმი უდიდეს ხელისშეწყობას. მართალია, ყოველივე ეს ვატიკანს თავისი მიზნების განხორციელებისათვის ჭირდებოდა, მაგრამ არ შეიძლება ამ დიდ საქმეში არ დავინახოთ, როგორც აღვნიშნეთ, კულტურის განვითარებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება.

პროპაგანდის მისწრაფებებისა და მიზნების განხორციელება შეუძლებელი იყო მისი ეკონომიკური ბაზის შექმნის გარეშე. თვით პაპი გრიგოლ XV ყოველივე ამას კარგად გრძნობდა და მან დაუყოვნებლივ დაიწყო პროპაგანდის ეკონომიკური ფუნდამენტის შექმნისათვის ზრუნვა. ხსენებულმა პაპმა კონსისტორიაზე ერთ კარდინალს ჩააბარა კონგრეგაციის ეკონომიკის საქმე და გადასცა საფირონის ბეჭედი. ამიერიდან იგი იწოდებოდა პროპაგანდის ეკონომიკის კარდინალ — პეფექტად[28].

პროპაგანდის ეკონომიკური საფუძვლების გაძლიერებას ისახავ-

და მიზნად პაპ ურბან VIII-ის 1629 წლის ბულა „Romanus decet". იგი განამტკიცებდა კონგრეგაციის კერძო საკუთრებას, მის ქონებას ხელშეუხებლად აცხადებდა და ამ საქმეში პროპაგანდის საქმიანობას სრულ დამოუკიდებლობას ანიჭებდა[29]. ამ ბულის თანახმად, კონგრეგაციას უფლება ჰქონდა მიეღო ფულადი დახმარება, დაედგინა ბერმონაზვნებისათვის გასაცემი თანხის ოდენობა და თავის განკარგულებაში ჰქონოდა ანდერძით გაცემული ქონება; მას ასევე შეეძლო შეეძინა ქონება და მიწები. ამით პაპს სურდა, რომ პროპაგანდას თავის ხელში აეღო მისიონერთა სამსახურისათვის გასაღები გასამრჯელო[30].

XVII საუკუნეში პროპაგანდა ფიდეს ფინანსურ შემოსავალს ძირითადად შემოწირული და ნაანდერძევი ქონება შეადგენდა. ყველაზე დიდ ქველმოქმედად ითვლებოდნენ პაპი კლემენტი X (1670—1676), ინოკენტი XII (1691—1700), კლემენტი XII (1730—1740), კარდინალები იბდა და სპინოლა[31]. თავდაპირველად ეკონომიკის კარდინალ-პრეფექტი ოთხ თვეში ერთხელ იცვლებოდა, ხოლო შემდეგ პაპმა ალესანდრე VII-მ (1655—1667) ეს გააუქმა. მისი დროიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე ეკონომიკის კარდინალს მუდმივად ნიშნავდნენ.

XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი და XIX საუკუნის დასაწყისი პროპაგანდის ეკონომიკისათვის მძიმე შედეგებით აღინიშნა. ამის მიზეზს კათოლიკე მისიონერთა ისტორიის ცნობილი მკვლევარი რუსო შემდეგში ხედავს. იგი წერს: „XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის დასაწყისში კათოლიკური მისიონერობა მძიმე კრიზისს განიცდიდა. ესპანეთმა და პორტუგალიამ, რომლებიც ფლობდნენ პატრონატის[32] უფლებას, დაკარგეს თავიანთი ძლევამოსილება მისიონერთა მფარველობის საქმეში. მათ არ შესწევდათ ძალა მისიონერების გლობალური მოღვაწეობისათვის შეექმნათ პირობები. ამის შედეგი იყო ის, რომ გაიზარდა ანტიკათოლიკური ტენდენციები. ორივე ქვეყანა გამოვიდა სამოციქულო ვიკარიატების ინსტიტუტის წინააღმდეგ და დაითხოვეს ზოგიერთი რელიგიური ორდენი და კონგრეგაცია"[33].

XIX საუკუნის დასაწყისში პროპაგანდა ფიდეს ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად გამოსწორდა. ეს უშუალოდ დაკავშირებულია პაპი პიუს VII-ის (1800—1823) სახელთან. მან მოახდინა პროპაგანდის რეორგანიზაცია, რათა განემტკიცებინა მისი პოზიცია და

ავტორიტეტი. იგი თვითონ იყო პროპაგანდის ეკონომიკის კარდინალი და მისი პრეზიდენტი[34].

ასე რომ, წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე წარმოადგენდა ცენტრალიზებულ და მაღალორგანიზებულ უმაღლეს სამისიონერო დაწესებულებას, რომელიც წარმართავდა კათოლიკური მისიების ყველა საქმიანობას. მას ემორჩილებოდა ყველა ის ერეტიკული და სქიზმატიკური ქვეყნები, სადაც ის ნიშნავდა აპოსტოლიკურ ვიკარებს. პროპაგანდა შედგებოდა კარდინალებისაგან — გენერალური პრეფექტისაგან, ეკონომიკის კარდინალ-პრეფექტისაგან, მრავალი მრჩევლებისაგან, პაპის სტატს-მდივნისა და მრავალრიცხოვანი დაბალი ჩინის მსახურებისაგან.

თვეში ერთხელ პაპის თანდასწრებით კარდინალები და კონგრეგაციის წევრები იკრიბებოდნენ პროპაგანდის აქტუალური საკითხების განსახილველად. რაც შეეხება პროპაგანდის კარდინალებს, ისინი ყოველი თვის ორშაბათს იკრიბებოდნენ კონგრეგაციაში, სადაც მსჯელობდნენ მისიონერულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. აქ გამართული დისკუსიებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მომდევნო კრებაზე პაპს მოახსენებდა პროპაგანდის მდივანი. ყოველ კვირაში ერთხელ მიმდინარე საქმეების განსახილველად კარდინალ-პრეფექტთან იკრიბებოდნენ მდივანი პრელატი და კანცელარიის მუშაკები. ისინი განიხილავდნენ მიმდინარე საკითხებს და მიღებულ გადაწყვეტილებას შემდეგ აუწყებდნენ გენერალ-პრეფექტს[35]. კარდინალთა კრებას წინ უძღოდა მოსამზადებელი მუშაობა, რომელსაც სპეციალური ჯგუფი ასრულებდა. მასში გაერთიანებული იყო 24 მრჩეველი და 17 პრელატი. ისინი ე. წ. თავიანთ „საბჭოზე" განიხილავდნენ და ამზადებდნენ მომავალი სხდომისათვის კარდინალთა მოსაზრებებს. „საბჭოს" სხდომას ყოველთვის ესწრებოდა პაპის პროტინოტარიუსი. მისი სამუშაო შედარებით მარტივი იყო. მას ევალებოდა მოესმინა და განეხილა მისიონერთა კორესპოდენციები. ამის შესახებ იგი ადგენდა სათანადო აქტს.

პროპაგანდამ დაარსების ორი წლის შემდეგ შექმნა სასამართლო. მას, ერთი მხრივ, უნდა განეხილა და გადაეწყვიტა ის საქმე, რომელიც ხელს უშლიდა ან აფერხებდა მისიონის წარმატების საქმეს, მეორე მხრივ, მას უნდა განეხილა სასამართლოში გადაცემული პირის საქმე. ამ საქმეში სასამართლოს ხშირად თვით პროპაგანდა სცვლიდა.

იგი განსჯიდა, თუ რა მხრივ დაარღვია მისიონერმა თავისი წმიდა მოვალეობა, რით იყო ეს გამოწვეული და ა. შ.

პროპაგანდის მიერ დაარსებული იერარქია ორი საფეხურისაგან შედგებოდა: ვიკარებისა და პრეფექტებისაგან. თავის მხრივ ვიკარის[36] სამი სახე არსებობდა: პირველი, გენერალური ვიკარი, რომელიც საეკლესიო დიოცეზის (ეპარქიას) ეპისკოპოსის თანაშემწე იყო; მეორე, სამრევლო ვიკარი — მრევლის მღვდლის თანაშემწე. იგი მღვდელს ცვლიდა იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ავად იყო, ან ადგილზე არ იმყოფებოდა; სამოციქულო ვიკარი — პაპის ნაცვალი, რომელიც შორეულ მისიონერულ ქვეყანაში ინიშნებოდა. ვიკარების ძირითად მოვალეობას შეადგენდა, ზედამხედველობა გაეწია კათოლიკური რიტის შესრულებისათვის. ერთი სიტყვით, ვიკარები წარმოადგენდნენ პაპის ნაცვალს მისიონის ქვეყანაში. აპოსტოლიკური ანუ სამოციქულო ვიკარები, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი რეზიდენცია და ეპისკოპოსის ხარისხამდე იყვნენ აყვანილი, უშუალოდ პროპაგანდას ემორჩილებოდნენ. „მეტწილად ეს მორჩილება ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ისინი დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ“[37].

პრეფექტებს პროპაგანდისაგან მინიჭებული ჰქონდათ ავტონომია. მისიონის წარმატებისა და წინსვლისათვის პრეფექტურა არსებობდა თვით მისიონის გვერდით. გენერალურ პრეფექტს, რომელიც სათავეში ედგა პრეფექტურას არ ჰქონდა ეპისკოპოსის წოდება. სამაგიეროდ ვიკარები იყვნენ ეპისკოპოსის ხარისხამდე აყვანილი. ასე რომ, მისიონის უფროსი იყო პრეფექტი. იგი აუცილებლად მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება უნდა ყოფილიყო[38]. მისიონის წინამძღვრობასთან ერთად პრეფექტის მოვალეობას შეადგენდა ისიც, რომ მას პროპაგანდისათვის უნდა გაეგზავნა ვრცელი მოხსენებები მისიონერთა საქმიანობის ყველა საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით. ასევე მისიონის „უფროსები ვალდებული იყვნენ, რომ პროპაგანდის ყველა კითხვისათვის გაეცათ ღრმად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი პასუხები“[39]. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მისიონის პრეფექტები თავიანთ მოვალეობას პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ.

ამრიგად, საეკლესიო მმართველობა დიოცეზში ემორჩილებოდა ეპისკოპოსს, სადაც ეს არ იყო, იქ — პაპის ხელისუფლებას. ვინაიდან ეს უკანასკნელი რთული იყო, პაპი თავის უფლებებს გადასცემ-

და პრეფექტს და ასე იქმნებოდა აპოსტოლიკური პრეფექტურა. საეკ-ლესიო დიოცეზი (ეპარქია) შეიძლება გადაქცეულიყო აპოსტოლი-კურ ვიკარიატად. ასეთ შემთხვევაში პრეფექტი აპოსტოლიკურ ვიკა-რად გვევლინებოდა. ეპარქიის გაზრდის შემთხვევაში იგი იყოფოდა პატარ-პატარა ვიკარიატებად, სადაც შემდეგ ნიშნავდნენ საკუთარ ეპისკოპოსებს, რომლებიც ასრულებდნენ პროვინციებში მისიონერ-ეპისკოპოსის მოვალეობას ან, როგორც კათოლიკურ ქვეყანაში, ნამ-დვილი ეპისკოპოსის მოვალეობას[40].

ასეთი იყო ძირითადი ხაზები პროპაგანდის ორგანიზაცია და სტრუქტურა. იგი დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და ახალ ფორ-მებს იძენდა სამისიონერო მოღვაწეობის საქმეში, მაგრამ პროპაგან-დამ არსებითი ცვლილებები პაპ პიუს VII-ის (1800—1823) დროს გა-ნიცადა. მის დროს გამოცოცხლდა მისიონერული მოღვაწეობა. ეს მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთთან. საფრანგეთსა და ევ-როპის სხვა ქვეყნებში მისიონერების დასახმარებლად გაჩაღდა საქ-ველმოქმედო კომპანიები სახსრების შესაგროვებლად. ამ მხრივ საქ-მე წარმატებით მიდიოდა.

პიუს VII-ს დროს მოხდა სხვადასხვა კონგრეგაციების, ორდენე-ბისა და საზოგადოების აღდგენა და რეორგანიზება. 1817 წელს „პროპაგანდის პოზიციისა და ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით მოხდა მისი გარდაქმნა. შეიქმნა კათოლიკე „ძმათა“ ახალი რელიგი-ური ინსტიტუტი. მისიის ქვეყანაში ამ კატეგორიის მორწმუნეებს დაევალათ დაწყებითი სამისიონერო სკოლების ორგანიზაცია. ამაღ-ლდა მისიონერთა მომზადების დონე. ევროპის ზოგიერთ უნივერსი-ტეტში შეიქმნა მისიონერული ფაკულტეტები. კათოლიკურ მისიონე-რებში ახალი მოვლენა იყო ქალების ჩაბმა ამ საქმიანობაში; აღმო-ცენდა მისიონერ ქალთა ორგანიზაციები“[41].

პაპ ლეონ XII-ის (1823—1829) პონტიფიკატის დროს რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციის მეთაურად დაინიშნა ენერგიული კარდი-ნალი მაურო კაპელარი, მომავალი პაპი გრიგოლ XVI. მან სამისიო-ნერო მოღვაწეობის სფეროში მრავალი რეფორმა გაატარა. სწორედ მისი პონტიფიკატის დროს პროპაგანდამ დაიბრუნა ადრინდელი ბრწყინვალება და დაიწყო მიმქრალი მისიონერული მუშაობის გამო-ცოცხლება. ამ საქმეში სტიმულს რომი იძლეოდა. შეიქმნა მრავალი ასოციაცია, რომელიც მისიებს მორალურ და მატერიალურ მხარდე-ჭერას უწევდა. მაგ. 1822 წელს ლიონში შეიქმნა Xavieri-ის გაერ-

თიანება, 1829 წელს ავსტრიაში დაარსდა ლეოპადინიური დაწესებულება, 1840 წელს ბაიერნში შეიქმნა ლუდვიგის გაერთიანება და ა. შ. გამოცოცხლდა ძველი ორდენები. აფუძნებდნენ ახლებსაც. ამ დროისათვის სულ 25 სხვადასხვა ორდენი იყო[42].

1845 წელს გრიგოლ XV-მ გამოსცა ინსტრუქცია „Neminem Profecto" მისიის ქვეყნებში ადგილობრივი სამღვდელოების შექმნის შესახებ[43]. ერთი წლით ადრე კი პროპაგანდის წარმომადგენელმა კათოლიკური სამღვდელოების სინოდზე ოფიციალურად გამოაცხადა მისიონერთა მოღვაწეობის რვა ძირითადი პრინციპი. ერთ-ერთი პრინციპი მიუთითებდა ადგილობრივი სამღვდელოების შექმნის აუცილებლობას. ღვთისმსახურთა ეროვნული კადრების მომზადების მიზნით უნდა შექმნილიყო ადგილობრივი სასულიერო სემინარიები, რომლის კურსდამთავრებულები შეიძლებოდა ეპისკოპოსადაც კურთხეულიყვნენ[44]. ერთ-ერთი პრინციპი აცხადებდა, რომ მისიონერებს პატივი უნდა ეცათ „ადგილობრივი ცივილიზაციისათვის", შეეგუებინათ კათოლიკობა ადგილობრივ პირობებთან.

გრიგოლ XVI-ის დროს რწმენის პროპაგანდის კონგრეგაცია გადაიქცა კათოლიკურ მისიათა ნამდვილ სამინისტროდ. მან ევროპის ქვეყნებში თავის ხელში აიღო მისიონერებისათვის მატერიალური დახმარების შევსება, კათოლიკურ ორდენებსა და კონგრეგაციებს შორის მისიონის ქვეყნების განაწილება. კონგრეგაციის მიერ შემუშავებული იქნა მისიის ქვეყნებში სამისიონერო მუშაობის იურიდიული სტატუსის ფორმა, რომელიც შეიცავდა ოთხ მკაცრად თანამიმდევრულ საკითხებს: მისია, პრეფექტურა, ვიკარიატი და ეპარქია. ამ უკანასკნელთა მეთაურებს ნიშნავდა უშუალოდ ვატიკანი და მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული. დაბოლოს, რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციას 1967 წლიდან ეწოდება — ხალხთა ევანგელიზაციის კონგრეგაცია.

ასეთი იყო ზოგად ხაზებში წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია. ამ ორგანიზაციის ზოგადი დახასიათებით ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ რეფორმაციის შემდეგ კათოლიკურმა ეკლესიამ მაინც დიდ წარმატებას მიაღწია. ეს აიხსნება მრავალი ფაქტორით, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კათოლიკური ეკლესიის ცენტრალიზებულობა, მაღალორგანიზებულობა და კოსმოპოლიტური ხასიათი.

ამრიგად, წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე" წარმოად-

გენდა ცენტრალიზებულ და მაღალორგანიზებულ უმაღლეს სამისიონერო დაწესებულებას, რომლის უმთავრეს მიზანს შეადგენდა კათოლიკობის გავრცელება ერეტიკოსებს, წარმართებსა და სქიზმატიკოსებს შორის. იგი თავისი კოლეჯებისა და სემინარიების მეშვეობით ამზადებდა მისიონერებს ყველა ქვეყნისათვის და ამუშავებდა კათოლიკობის გავრცელების ფორმებსა და მეთოდებს. კათოლიკე მისიონერები იყვნენ ევროპული ცივილიზაციის ჭეშმარიტი მეგზურები. ამით უნდა ავხსნათ მისიონერთა მოღვაწეობაში ისეთი მიმართულება: როგორიცაა: განათლება, მეცნიერების მრავალ დარგში განსწავლულობა, სამედიცინო საქმიანობაში დახელოვნება და სხვა. ამ საკითხის გაშუქებით ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის დაგვენახებინა, თუ რისკენ მიისწრაფოდა კათოლიკური ეკლესია თავისი მისიებით.

§ 2. ავგუსტინელი და იეზუიტი მისიონერები საქართველოში XVII საუკუნის დასაწყისში

XVII საუკუნის დასაწყისში კათოლიკე მისიონერებს ისევ გაეხსნათ გზა საქართველოსკენ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ირან-ოსმალეთის მესამე ომის დროს (1602—1618) შაჰ აბას I სულთანის წინააღმდეგ მოკავშირეს ევროპის ქრისტიან ხელმწიფეებში ეძებდა (რომის პაპი, ესპანეთი, გერმანიის იმპერატორი)[1]. თავის მხრივ ევროპას ირანთან კავშირი სჭირდებოდა. ცბიერმა შაჰ აბასმა კარგად იცოდა, რომ დასავლეთის ქრისტიანი ხელმწიფეები ოსმალეთთან ომს ქრისტიანების დაცვის სახელით აწარმოებდნენ. ამ პოლიტიკური მოსაზრებით შაჰი ნებას რთავდა კათოლიკე მისიონერებს, ემოღვაწათ ირანში. იგი რომის პაპს თავის ქვეშევრდომ ქრისტიანთა გაკათოლიკებასაც თანხმდებოდა. რელიგია პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული და მასთან შედარებით უფრო ეფექტურიც ჩანდა. ამიტომ შაჰ აბასს ქრისტიანთა მფარველად მოჰქონდა თავი. ამდენად, მისიონერების გაგზავნა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ირანის ვასალი ქვეყანა იყო, ბევრად იყო შაჰ აბასზე დამოკიდებული.

XVII საუკუნის დასაწყისში ირანში მრავალმა ფეხშიშველა კარ-

მელიტთა და ავგუსტინელთა ორდენის მისიონერმა მოიყარა თავი. 1604 წლის აპრილსა თუ მაისში ისფაჰანში ესპანეთის მეფის სახელით ჩამოვიდნენ ავგუსტინელთა ორდენის მღვდლები: ბელშიორ დუშ ანჟუში და გილიერმ დი სანტო აგოშტინიო. იმავე დროს ირანში ჩავიდა ავგუსტინელთა ორდენის სამი წარმომადგენელი — იერონიმო და კრუზა, ანტონიო დე გოვეა, კრისტოვანო დუშ ესპირიტო სანტოსი[2]. 1607 წლის 20 დეკემბერს ისფაჰანში მყოფ მისიონერებს შეუერთდა ფეხშიშველ კარმელიტთა ორდენის მისიონერი ჯოვანო ტადეო დე სან ელიზეო სამ სხვა მისიონერთან ერთად. ამ დროისათვის ირანში მოღვაწეობდნენ ავგუსტინელი, კარმელიტი და კაპუჩინელი ორდენის მისიონერები[3]. მათ ეკლესიები ჰქონდათ ისფაჰანში, ბასორასა და შირაზში[4].

საქართველოს ბედუკულმართობის გამო ირანში ამ დროს მრავალი ქართველი იმყოფებოდა. ამიტომ ბუნებრივი იყო ქართველთა კავშირი კათოლიკე მისიონერებთან. მათთან დაკავშირებას პირველი ნიშანი კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574—1605) მისცა. ცნობილია, რომ 1604 წელს შაჰ აბასმა ოსმალეთის წინააღმდეგ დასახმარებლად თავისი ლაშქრით (3-4 ათასი ქართველით) ალექსანდრე მეფე იხმო. ერზრუმის პროვინციაში მყოფ შაჰ აბასთან იმავე წლის 4 ოქტომბერს ჩავიდა ესპანეთის მეფის ფილიპე III-ის (1598—1621) ელჩი ლუის პერეირა დე ლასერდა თანმხლები პირებით. მათ შორის იყო პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი ბელშიორ დუშ ანჟუში. ალექსანდრე მეფეს თურმე ლაშქრობაში თან ახლდა ორი არქიეპისკოპოსი და ორი ბერი[5].

პორტუგალიელ მისიონერ დუშ ანჟუშისათვის ალექსანდრე II-ს საქართველოში წასვლა და იქ მოღვაწეობის გაშლა შეუთავაზებია. ამის შესახებ პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერ-დიპლომატი ანტონიო დე გოვეა წერს, რომ ალექსანდრე II-ს „უნდოდა წაეყვანა მის სამფლობელოში ჩვენი ორი ბერი, რომლებიც ელჩ ლუის პერეირას მიჰყვებოდნენ სპარსეთის შაჰის ბანაკში“[6]. ჩანს, ბელშიორ დუშ ანჟუშს ამ წინადადებაზე თავისი აზრის გამოთქმა შეუთავაზებია კახეთის მეფესთან მყოფ ალავერდის მიტროპოლიტისათვის. „ჩვენ შევეკითხეთ მიტროპოლიტს, — ეკითხულობთ დე გოვეას რელაციაში, — სურდა თუ არა წავყოლოდით მათ საქართველოში, დაგვითმობდნენ თუ არა აქ პატარა რომაული სტილის ეკლესიას. იგი ჩვენ შეგვეკითხა რა მიზნით? ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ენახათ ჩვენი სტილი და ცე-

რემონიალები და შეგვჩვეოდნენ, თუ მოეწონებოდათ კათოლიკური ეკლესია, გაერთიანდებოდნენ მასში. მან გვიპასუხა, რომ თუ ჩვენ გვინდოდა იძულებით მოგვეხვია მორჩილება პაპისადმი, მაშინ უნდა დაგვეწყო თავიდან, და თუ გვინდოდა მხოლოდ ის, რაც ვთქვით, მაშინ მიგვიღებდნენ დიდი „პატივით და ყველაფერს იღონებდნენ, რათა ჩვენ გვქონოდა ჩვენი ეკლესია რომაული სტილით"[7].

ჩვენი ღრმა რწმენით კახეთის მეფე ალექსანდრე II კათოლიკე ბ. სიონერებს თავის სამეფოში იწვევდა შაჰ აბასის სურვილიდანაც გამომდინარე. როგორც ცნობილია, ამ დროს ოსმალეთის წინააღმდეგ კათოლიკურ დასავლეთთან მოკავშირის მაძიებელ შაჰ აბასს დიპლომატიური მიზნით ქრისტიანთა დამცველად მოჰქონდა თავი. ამ პოლიტიკიდან გამომდინარე, იგი მის ქვეშევრდომ ქრისტიანულ საქართველოში ხალისით შეუწყობდა ხელს მისიონერთა საქმიანობას, რადგან ამით კათოლიკურ დასავლეთს ქრისტიანთა დამცველად მოაჩვენებდა თავს. სწორედ ამ დიპლომატიური ნაბიჯით იყო ნაკარნახევი შაჰ აბასის სიტყვები ქართველი ელჩისადმი: „უთხარით თქვენს მეფეს (ალექსანდრე II-ს — მ. პ.), თუ ის ქრისტიანია, უნდა ემორჩილებოდეს რომის უწმიდეს პაპს, ვინაიდან მე კარგად ვიცი, რომ ის, ვინც ამას არ აკეთებს, — არ არის კარგი ქრისტიანი"[8]. სწორედ შაჰ აბასის ეს პოლიტიკა აფიქრებინებდა ანტონიო დე გოვეას, რომ „პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კათოლიკური ეკლესიის გავრცელებისათვის — ეს არის მფარველობა და კეთილგანწყობა სპარსეთის შაჰისა, რომლის ქვეშევრდომია ყველა ეს საწყალი ქართველები — მ. პ. და კერძოდ, სომხები თავიანთი ვასლებით"[9].

ერთი სიტყვით, მეფე ალექსანდრე II-მ და მიტროპოლიტმა ზემოხსენებულ დუშ ანჟუშს აღუთქვეს, რომ ყველაფერს იღონებდნენ, რათა მას კახეთის სამეფოში კათოლიკური ეკლესია გაეხსნა[10]. მამა ბელშიორს სურდა, ალექსანდრე მეფეს გაჰყოლოდა, მაგრამ ამაზე უარი უთქვამს ლუის სერეირა დე ლასერდას.

ამის შემდეგ[11] ბელშიორ დუშ ანჟუში საქართველოში ჩამოსულა, სადაც მისთვის შეუთავაზებიათ ეკლესია, იქ დარჩენა და სამისიონერო საქმიანობის დაწყება. იგი უკან გაბრუნებულა, ალბათ, ირანში და ისევ საქართველოში დაბრუნება განუზრახავს[12]. რაც შეეხება ალექსანდრე II-ის გადაწყვეტილებას, რომ ხელი შეეწყო კახეთის სამეფოში კათოლიკეთა მისიონის დაარსებისათვის, ეს უნდა მივიჩ-

ნიოთ მომავალში ვატიკანთან პოლიტიკური კავშირის დამყარების სურვილად.

ირანში მყოფი ქართველების კათოლიკე მისიონერებთან ურთიერთობის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა შემდეგი ფაქტი: ისფაჰანში 1605 წელს პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერ-დიპლომატი ანტონიო დე გოვეას ელჩობის დროს შაჰის კარზე ყოფილა სამცხის ათაბაგი მანუჩარ II. ამ უკანასკნელს დე გოვეა პირადად გასცნობია. იგი მოგვითხრობს, თუ რა აღფრთოვანებაში მოსულა მანუჩარი 1608 წლის შობის დღეს, როდესაც მოისმინა საგუნდო გალობანი კლავიკორდით და არფით აკომპანირებული ისფაჰანის ავგუსტინელთა ეკლესიაში[13]. მეტად კმაყოფილ ათაბაგს პატრებისათვის უთქვამს, ჩემი თავი სამოთხეში მეგონაო. მანუჩარ II ათაბაგს კი დე გოვეასათვის განუცხადებია: „ის იქნებოდა მეტად კმაყოფილი, თუ ვინმე მისიონერი მასთან ერთად მის სამეფოში გამგზავრებას ისურვებდა და თუ მათ შორის ერთ-ერთი ექიმი იქნებოდა, ამისათვის მას დიდ პატივს დასდებდა“[14]. სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებების გამო მისიონერებმა ვერ შესძლეს ათაბაგის სურვილის დაკმაყოფილება.

ქართველი მესვეურები ხელიდან არ უშვებდნენ საქართველოში კათოლიკეთა მისიონის დაფუძნების შესაძლებლობას. ასე იყო 1611 წელს, როდესაც კარმელიტი მისიონერი ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეო კახეთში ჩამოვიდა თეიმურაზ I-თან შაჰის დავალების შესასრულებლად. თეიმურაზ მეფემ სთხოვა პატრს კახეთში დარჩენა და შესთავაზა „მიწა მონასტრის ასაგებად, საცხოვრებელი სახლი და მსახურები“[15]. ამჯერადაც ვერ მოხერხდა თეიმურაზის სურვილის დაკმაყოფილება. მისიონერი კი მეფეს დაჰპირდა, რომ იგი კვლავ დაბრუნდებოდა კახეთში. თუ პიეტრო დელა ვალეს დავემოწმებით, თეიმურაზ მეფემ დიდი პატივი სცა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს „არა როგორც სპარსეთის შაჰისაგან გამოგზავნილს, არამედ როგორც კათოლიკე მისიონერს“, რომელსაც უბოძა მიწა „თავისი სარწმუნოების“ ეკლესიის ასაგებად[16].

ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეო გაცნობია აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, საქართველო-ირანის ურთიერთობის საკითხებს და რომში, წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის მოხსენებითი ბარათი გაუგზავნია[17].

პირველწყაროებიდან ირკვევა, რომ 1613 წელს შაჰ აბასმა ავ-

გუსტინელი მისიონერი გილიერმ დი სანტო აგოშტინიო წერილით გაგზავნა თეიმურაზ მეფესთან (1606—1648 კახეთის მეფე; 1625—1632 წწ. ქართლ-კახეთის მეფე). მისიონის დასაარსებლად მან საქართველოში „საუკეთესო და ხელსაყრელი პირობები“ პოვა. წყაროშივე ნათქვამია, რომ „ქართლის მეფემ თავისი ოჯახითა და ამალით კათოლიკური სარწმუნოება მიიღო“[18], მაგრამ ამ ფაქტის სინამდვილედ აღიარება საეჭვოა. ქართველმა მღვდლებმა და თვითონ თეიმურაზ მეფემ ყველა ღონე იხმარეს, რათა დაეთანხმებინათ გილიერმი კვლავ დაბრუნებულიყო საქართველოში[19]. მაგრამ საქართველოდან დაბრუნებისას გილიერმი წამებით მოუკლავთ ნახჭევანში.

ცხადია, ქართველ პოლიტიკოსთა მიზანდასახული სურვილი, რომ საქართველოში დაფუძნებულიყო კათოლიკეთა მისიონი, უყურადღებოდ არ დარჩენილა კათოლიკე მესვეურთა მიერ. რომის პაპს პავლე V-ს (1605—1621) საეკლესიო საქმეებსა და დიპლომატიაში გამოცდილი ბელშიორ დუშ ანჟუში აუწყებდა, რომ „მეტად სასურველი იქნებოდა“ საქართველოში მისიონერების გაგზავნა. თვით პაპი კი ისფაჰანიდან მისიონერების მიერ გაგზავნილი წერილების საფუძველზე კარგად იყო ინფორმირებული მისიონერებისა და რომის უმაღლესი პონტიფექსისადმი ქართველი მესვეურების კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შესახებ[20]. საგულისხმოა ისიც, რომ გოაში ავგუსტინელ მისიონერთა არქიეპისკოპოსის ალეხო დე მენეზესს თვითონ უნდოდა საქართველოში სამოღვაწეოდ ჩამოსვლა. ამის შესახებ მას ბელშიორ დუშ ანჟუშისათვის უთქვამს, ხოლო ამ უკანასკნელის საშუალებით მისი ეს სურვილი ქართველთა კათალიკოსისათვის შეუტყობინებიათ. ამ უკანასკნელს სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ბელშიორ დუშ ანჟუშისათვის აღუთქვამს, რომ ალეხო დე მენეზესს „ყველაფერში მოემსახურებიან და მოუსმენენ მის დოქტრინას, მაგრამ ისე, რომ არ დარღვეულიყო მათი წეს-ჩვეულებები“[21].

მიუხედავად ასეთი დიდი მცდელობისა და მიზანსწრაფვისა, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საქართველოში ავგუსტინელთა მისიონის დაფუძნება. შეიძლება ამის მიზეზად დავასახელოთ 1614 წელს შაჰ აბასის ომი საქართველოსთან, რომელმაც შეამცირა ავგუსტინელ მისიონერთა კონტაქტები ქართველებთან.

ამავე პერიოდში ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611—1657) სამეგრელოში კონსტანტინოპოლიდან მოიწვია კათოლიკე მი-

სიონერები. ეს მოხდა 1614 წელს შემდეგ ვითარებაში: ირან-ოსმალეთის 1603—1612 წლების ომის დროს ოდიშისა და გურიის მთავრებმა ოსმალეთს ხარკი შეუწყვიტეს და აშკარა ურჩობის გზას დაადგნენ[22]. ოსმალეთმა გურიისა და სამეგრელოს დამორჩილების მიზნით საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების ბლოკადა მოაწყო. შეწყდა მარილისა და რკინის შემოზიდვა ამ სამთავროებში[23]. ამ მძიმე გარემოებას ისე შეუწუხებია მთავრები, რომ მათ 1614 წლის გაზაფხულზე ელჩები გაუგზავნიათ სტამბოლში მოსალაპარაკებლად და ზავის დასადებად[24].

სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში მიმავალ დესპანს ასევე ევალებოდა „ლათინთა მისიონერების მოყვანა სამთავროში"[25]. ამ საკითხზე დესპანს მიუმართავს საფრანგეთის ღრმად მორწმუნე კონსტანტინიპოლელი ელჩის ბარონ დე სანსისათვის, რომელთანაც კარგად ყოფილა დაახლოებული. „საფრანგეთის ელჩსაც იეზუიტების უფროსისათვის მიუმართავს და დაურწმუნებია, მეგრელთა ელჩი რასაც გპირდება, ყოველივე ასრულებული იქნებაო. იმასაც ორი იეზუიტი დაუნიშნავს სამეგრელოში წასასვლელად"[26]. ესენი ფრანგი იეზუიტი მისიონერები იყვნენ: ფართო განათლების მქონე პიროვნება ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო[27]. საფრანგეთის ელჩმა ყველაფერი იღონა ამ მისიონერების სამეგრელოში გამოგზავნისათვის. მან 500 ეკიუც კი გაიღო ამ მისიის ხარჯებისათვის[28].

მოგზაურობაში დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ მისიონერები გურიის სამთავროში ჩავიდნენ, სადაც მათ 15 დღის განმავლობაში დიდი მასპინძლობა გაუწიეს. ნიშანდობლივია ლუი გრანჟეს მიერ გურიის მთავრის — მამია გურიელის დახასიათება. იგი წერს: „ეს მთავარი... დიდ პატივს სცემს რომის ეკლესიას და მის მთავარს— პაპს. იგი საჯაროდ ამბობს, რომ ბიზანტიის იმპერიისა და კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო საყდრის დაცემის მიზეზია რომის წმიდა მღვდელმთავრისადმი მორჩილებაზე უარის თქმა; რომ წმიდა პეტრემ მიიღო სასუფეველთა გასაღებები და რამდენადაც პაპი მორწმუნეთა მამაა, მას ყველა უნდა დაემორჩილოს"[29]. ასე რომ, გურიელმა იეზუიტებთან აღსარება თქვა და პაპის მორჩილება აღიარა.

მამია გურიელს სურდა, რომ ლუი გრანჟე იქ დარჩენილიყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა პირობა მისცა, მხარს დაუჭერდა გურიის სამთავრობო მისიონერების გამოგზავნას. მთავარი კი ლუი გრანჟეს და-

პირებია, რომ მისიონერებს კარგად მიიღებდა, მისცემდა სახლს და ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო არსებობისათვის[30].

1615 წლის თებერვალში ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო სამეგრელოში ჩავიდნენ, სადაც ისინი გულთბილად მიიღეს. მთავარმა ლევან II დადიანმა მათ აღუთქვა, რომ ყველაფერს აუსრულებდა. ეპისკოპოსმა მაკარიოსმა კი ითავა მათთვის სახლისა და ეკლესიის აშენება[31].

ლუი გრანჟემ და ეტიენ ვიომ ენერგიულად მოკიდეს ხელი მეგრული ენის შესწავლას. მათი მოღვაწეობის გაშლას კარგი პირი უჩანდა, რადგან აქ „რომის ეკლესიისადმი სიმპათიას" იჩენდნენ. სამწუხაროდ, იეზუიტ მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში ხანმოკლე აღმოჩნდა. მოქვში, სადაც ისინი შეუდგნენ საქმიანობას, მალე ქოლერა გაჩნდა. მან იმსხვერპლა ლუი გრანჟეს თანაშემწე მორჩილი ძმა ეტიენ ვიო. ავად გახდა ლუი გრანჟეც, იგი გაეშურა კონსტანტინოპოლისაკენ, რათა იქ ემკურნალა და კვლავ დაბრუნებულიყო საქართველოში მრავალრიცხოვანი თანამოსაქმეებით. მან კონსტანტინოპოლამდე კი ჩააღწია, მაგრამ იმდენად ცუდად იყო, რომ იძულებულნი გახდნენ ნავსადგურიდან პირდაპირ იეზუიტთა სახლში გადაეყვანათ, სადაც მომდევნო ღამეს, 1615 წლის 22 აგვისტოს დალია სული[32]. „ამის გამო გული გატეხია იეზუიტთა ორდენს და ამ წამოწყებაზე უარი უთქვამს"[33]. ამის შემდეგ 1630 წლამდე კათოლიკე მისიონერებს ვერ ვხედავთ ოდიშის სამთავროში.

კათოლიკობისადმი ქართველთა აშკარა სიმპათია, პატივისცემა და სამოციქულო ტახტისადმი მუდმივი კონტაქტის დამყარების სურვილი, ჩანს, გაითვალისწინეს კათოლიკე მესვეურებმა და 1616 წელს საქართველოში გამოგზავნეს ნახჭევანში დომინიკანელთა წინამძღვარი — ვიკარიუსი წმ. მამა პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა. იგი ჩვენს ქვეყანაში 1616 წლის ივნის-ივლისში იმყოფებოდა. მან საქართველოს შესახებ მოკლე „ცნობები" შეადგინა და რომის პაპ პავლე V-ს წარუდგინა, რომელიც 1621 წელს ცალკე ბროშურად დაიბეჭდა ნეაპოლში. ეს იყო სტამბურად დაბეჭდილი პირველი ბროშურა, რომელიც შეიცავდა ცნობებს საქართველოს შესახებ. ამ სახით ჩვენი ქვეყნის შესახებ ევროპელი მკითხველი პირველად ღებულობდა ცნობებს. პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცამ კათოლიკობისა და რომის პაპისადმი ქართველთა დამოკიდებულება ასე წარადგინა რომში:

„ჩვენი უნეტარესი რომის პაპისადმი უდიდესი პატივისცემა აქვთ, რომელსაც დედამიწაზე ქრისტეს მოადგილედ აღიარებენ. ამ პატივის

დასამტკიცებლად მე ასეთი მორჩილება გამომიცხადეს: 1. ხელებზე და ფეხებზე მეამბორეს; 2. აღელვებულნი ცდილობდნენ ჩემგან მიეღოთ თვითონ მათი, თავიანთი ბავშვების, მამულისა და ცხოველების კურთხევა; 3. სურდათ ჩემთან აღსარების თქმა, რაზეც არავითარ შემთხვევაში არ მინდოდა თანხმობის მიცემა; 4. დიდ პატივად სთვლიდნენ, როცა მათ ეკლესიაში წავიდოდი ხოლმე, სადაც აუცილებლად ხელი უნდა გამეშვირა, რომ ეამბორათ მღვდლებს, საერო კაცებსა და ქალებს; 5. ჩემს მიმართ ალერსს ერთმანეთს არ აცლიდნენ და ა. შ.“.

ქართველ მღვდლებს მარია ჩიტადინი და ფაენცასათვის განუცხადებიათ, რომ „ყველა თავს ძალზე ბედნიერად ჩასთვლიდა, თუ რომის ქრისტიანები მათ ქვეყანაში ჩამოვიდოდნენ“. „მეუბნებოდნენ, — განაგრძობს ავტორი, — რომ რამდენიმე თქვენი მღვდელი ჩვენში რომ ჩამოვიდეს: მაშინვე მივცემთ ეკლესიებსა და სხვა. ისინი დიდ წყალობად ჩასთვლიდნენ, რომ მათთვის გვესწავლებინა და მათი ყმაწვილები ჩვენს დისციპლინაზე აღგვეზარდა“. ყოველივე ამის შემდეგ იგი დაასკვნიდა: „ამ ცოტა რამიდან შეიძლება კაცმა გაითვალისწინოს, თუ რა დიდი წარმატება ექნებოდა მათში ჩვენი რომაული სარწმუნოების გავრცელებას“[34].

პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა 1624 წელს მირის[35] არქიეპისკოპოსი და ნახჭევანის კოადიუტორი[36] გახდა. მას შეუდგენია რომის ეკლესიასთან ქართული ეკლესიის გაერთიანების გეგმა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის უთხოვია საქართველოში ოთხი მისიონერის გაგზავნა[37].

საქართველო-რომის ურთიერთობის სურათს ავსებს ქართველთა ბედშავობით ირანში შაჰ აბას I-ის ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედოფლის კავშირი ავგუსტინელ მისიონერებთან.

- ცნობილია, რომ 1603 წელს დიდი მზადების შემდეგ შაჰ აბასმა დაიწყო თურქეთის წინააღმდეგ ომი, რომლის მიზანი იყო 1590 წლის ზავით დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნა. ეს ომი დამთავრდა ირანის გამარჯვებით. 1612 წლის 20 ნოემბერს სულთანმა ქ. სტამბულში ხელი მოაწერა ახალ ზავს შაჰ აბასთან, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე, ასე თუ ისე უბრუნდებოდა 1555 წლის ამასიის ხელშეკრულების სტატუს კვოს. რუსეთის მხრიდან საშიშროების წინააღმდეგ ორივე მხარე შეთანხმდა ურთიერთდახმარებაზე, რადგან ივანე მრის-

ხ·ნედან მოყოლებული რუსეთის სახელმწიფო ემუქრებოდა კავკასიას[38].

ირან-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ შაჰ აბასმა საქართველოსათვის მოიცალა. მას არ აკმაყოფილებდა ქართლ-კახეთის სამეფოს ვასალური დამოკიდებულება. 1613 წლის 16 ოქტომბერს შაჰ აბასი დიდი ლაშქრით ირანიდან საქართველოსაკენ დაიძრა. აშკარა საფრთხის თავიდან აცილების მიზნით თეიმურაზ მეფემ დედამისი ქეთევან დედოფალი გაგზავნა დესპანად განჯაში დაბანაკებულ შაჰ აბას I-თან[39]. შაჰმა ქეთევან დედოფალი თავისი ამალით ირანში გაგზავნა. ისინი აშრაფში ჩაიყვანეს, იქედან ისფაჰანში და ბოლოს, 1617 წლის სექტემბერში — ქალაქ შირაზში.

შაჰის ტყვეობაში მყოფ დედოფალს, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ შეეცვალა ქრისტიანული სარწმუნოება, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა შირაზში მოღვაწე ავგუსტინელ მისიონერებთან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქეთევან დედოფალი თავის გულმოწყალებას არ აკლებდა პორტუგალიელ ავგუსტინელ მისიონერებს შირაზში მონასტრის აგების დროს. „წამებული დედოფლის შეწირულობანი რომ არა, ძირითადი საჭიროების საგნებიც არ გვეყოფოდა და ამ ქრისტიანთა წინაშე მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით"[40] — წერდა ავგუსტინელი ბერი ამბროსიო დუშ ანჟუში, რომელმაც პორტუგალიურ ენაზე აღწერა დედოფლის ტყვეობა და მოწაღებრივი სიკვდილი ირანში.

თავის მძიმე ხვედრს შეგუებული ქეთევან დედოფალი, სულიერ ალმხნევესა და სიმტკიცეს პორტუგალიელ კათოლიკე მამებთან, კერძოდ, ამბროსიო დუშ ანჟუშთან ურთიერთობაში ჰპოვებდა. ერთი მცირე ცნობის მიხედვით, დედოფალი და მისი თანმხლები 40 თუ 50 პირი ავგუსტინელ მისიონერთა ეკლესიაში ესწრებოდნენ ლოცვებს[41]. ხსენებული დუშ ანჟუში ხშირად სტუმრობდა რა ქეთევან დედოფალს, ეწეოდა მასთან სასულიერო საუბრებს და მოუწოდებდა მოთმინებისა და სიმტკიცისაკენ. ესაუბრებოდა დედოფალს ეკლესიის საკითხებზე და ბევრს უყვებოდა, თუ რატომ იყო რომის პაპი მსოფლიოს ყველა კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტი მეთაური. „ყოველივე ამას დიდი სიხარულით ღებულობდა დედოფალი". „ქეთევანი, — ეკითხულობთ პირველწყაროში, — იწვევდა რომაელ მღვდელს, რათა აღსარება ეთქვა მისი მსახურისათვის. იგი მზად იყო წასულიყო ნებისმიერი ავგუსტინელი მღვდლის ეკლესიაში, რათა მოესმინა წირ-

ვა და ეთქვა ლოცვა, მიეღო სიამოვნებით ჯვრები და მედალიონები რომის პაპიდან ჩამოტანილი და დახმარებოდა ავგუსტინელ ბერებს ცნობილი დღესასწაულების დროს ეკლესიის მორთვაში"[42]. მოწამებრივი სიკვდილის წინ კი დედოფალმა „სასწრაფოდ გაგზავნა კაცი ავგუსტინელი მამების თავშესაფარში და სთხოვა მისთვის მღვდელი გაეგზავნათ. მასთან წინამძღვარი მამა ამბროსიო და მამა ანტონიო მივიდნენ"[43]. ქეთევანმა ამ უკანასკნელს უთხრა აღსარება და ზიარებაც მისგანვე მიიღო.

აქ არ შევუდგებით იმის თხრობას, თუ რა ჯოჯოხეთური გზა განვლეს პორტუგალიელმა ავგუსტინელმა მისიონერებმა ამბროსიო დუშ ანჟუშმა და პედრო დუშ სანტოშმა ქეთევან დედოფლის საფლავის პოვნისა და მისი წმიდა ნაწილების საქართველოში ჩამოსვენების საქმეში[44]. ავგუსტინელი მისიონერები ბევრს ეცადნენ, რომ ვატიკანს ქეთევან დედოფალი რომაული კათოლიკური ეკლესიის წამებულად ეცნო. მართალია, ამაში რელიგიური მიზანი იყო ჩაქსოვილი, კერძოდ, ვატიკანის მიერ საკითხის დადებითად გადაჭრა ხელს შეუწყობდა საქართველოში ავგუსტინელთა მისიონის წარმატებას, მაგრამ მათი მოქმედება მხოლოდ ამ მოტივით არ შეიძლება ავხსნათ. მაჰმადიანურ ოკეანეში სარწმუნოებისათვის წამებული ქეთევან დედოფლისა და სხვა ქართველებისადმი პორტუგალიელ მისიონერთა დიდი პატივისცემა და სიყვარული გამოწვეული იყო მათი ჰუმანიზმითა და ქრისტიანული ღვთისმოსაობით. ირანში ქრისტიანად დარჩენილი ქართველებისათვის კი კათოლიკე მისიონერები ხსნის იმედი იყო.

შექმნილ ვითარებაში, როცა შაჰის ბრძანებით ირანში პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერები იდევნებოდნენ, ამ უკანასკნელებმა გადაწყვიტეს, საქართველოში დაეარსებინათ მისიონი. ამისათვის მათ შესანიშნავი პირობა შეექმნათ. კერძოდ, ავგუსტინელ მამებს ამბროსიო დუშ ანჟუშსა და პედრო დუშ სანტოშს ხელთ ჰქონდათ ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილები, რომელთა საქართველოში ჩამოტანა და თეიმურაზისათვის გადაცემა პატრებს ჩინებულ საშუალებას აძლევდა, რათა დაემყარებინათ კონტაქტი ქართველ ხალხთან და დაეარსებინათ საქართველოში ავგუსტინელთა მისიონი. მათ ეს განზრახვა შეატყობინეს გოაში კათოლიკეთა პროვინციალურ ვიკარიუსს მამა ხუან როკას და ჩააყენეს საქმის კურსში. ამ უკანასკნელმა გოას ეპისკოპოსის თანხმობით „სპარსულისა და თურქული ენების

კარგ მცოდნე“ ორ მღვდელს, მამა სებასტიან დე იესუსს და მამა ამ-ბროსიო დე ლოს ანხელესს დაავალა ამ პროექტის სისრულეში მოყ-ვანა[45]. ეს საქმე დადებითად გადაწყდა. 1626 წლის 15 ნოემბერს გო-ადან მამა ხუან როკამ წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს შეა-ტყობინა, რომ გადაწყვიტეს საქართველოში ორი ავგუსტინელი მი-სიონერი გაეგზავნათ, რომლებიც თან წაიღებდნენ ქეთევან დედოფ-ლის წმიდა ძვლების ნაწილს[46]. ამ დროისათვის (1626 წლის მაისი), წმ. კონგრეგაციას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქართველოში თეატინელი მისიონერები გაეგზავნა. ამიტომ კარდინალებს უნდო-დათ, უარი ეთქვათ საქართველოში ავგუსტინელი მისიონერების წას-ვლაზე და იქ ამ ორდენის მისიონის დაარსებაზე.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფი-დემ ზემოხსენებულ შეკითხვაზე დააგვიანა პასუხის გაგზავნა გოაში. აქ მოღვაწე ავგუსტინელი მისიონერები კი არ დაელოდნენ რომიდან სათანადო პასუხს და თვითონ შეუდგნენ საქართველოში ავგუსტი-ნელთა მისიონის დაარსების გეგმების განხორციელებას.

დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, 1628 წლის 11 მაისს, ხუთშაბათ დღეს, პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერები ამ-ბროსიო დუშ ანჟუში და პედრო დუშ სანტოში გორში ჩავიდნენ. ორი დღის შემდეგ ისინი მიიღო თეიმურაზ მეფემ, რომლისთვისაც ეს მამები ყველაზე ძვირფასი სტუმრები იყვნენ, რადგან მათ მიჰქონ-დათ მეფესთან წამებული დედამისის ნეშტის ერთი ნაწილი: თავის ქალა და მარცხენა ფეხის ძვალი, რომელსაც ოდნავი ხორცი ჰქონდა შერჩენილი. ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმ ადამიანური განცდების აღწერა, რომელიც თეიმურაზს დაეუფლა დე-დამისის სხეულის ნაწილების გადაცემის დროს.

საქართველოდან 1626 წლის 29 ივნისს ძმა ამბროსიო დუშ ან-ჟუშის მიერ გოას პროვინციალურ ვიკარიუსთან გაგზავნილ ვრცელ რელაციაში აღნიშნული მომენტი ასეა აღწერილი: „მივედით ჩვენ თეიმურაზთან, — წერს დუშ ანჟუში, — და გამოვხატეთ მისდამი დიდი პატივისცემა. გვინდოდა ხელზე გვეკოცა, მაგრამ ამის ნება არ დაგ-ვრთო და გვიბრძანა დავმჯდარიყავით. მას შემდეგ, რაც მეფეს ვკი-თხეთ მის ჯანმრთელობაზე, თეიმურაზმა გვკითხა, თუ როგორ ჩამო-ვედით და ხომ არ ვიცით რაიმე მისი დედის ცხედრის შესახებ, ვინა-იდან მან გაგზავნა რა შაჰთან სამი ელჩობა და თხოვა ამის შესახებ, მისგან მიიღო პასუხი, რომ მამებმა წაიღეს ის ცხედარი, მაგრამ არ

იცის ეს მამები პორტუგალიის მეფისაგან იყვნენ, თუ კარმელიტები რომიდან.

რამდენადაც იქ დამსწრეთა შორის სპარსულად თეიმურაზ მეფის გარდა არავინ ლაპარაკობდა, მე მასთან ახლოს მივედი და ვუთხარი, რომ ცხედარი უკვე მოტანილია. „შენ მე არ მატყუებ?“ მითხრა მან, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებიც არასოდეს არ ამბობენ ტყუილს. ამ ცნობით უსაზღვროდ გაიხარა მეფემ და გვითხრა: ჩვენ მისთვის მთელი მსოფლიოს ჯარები რომ მიგვეყვანა, იგი ამას იმდენად არ შეაფასებდა, როგორც აფასებს თავისი დედის ცხედარს“[47].

ამის შემდეგ მეფემ მისიონერებს გამოჰკითხა, თუ როგორ აწამეს დედამისი. „მე მოვუყევი ყველაფერი, — განაგრძობს დუშ ანჟუში, — იგი ძლიერ ტიროდა. ასევე მკითხა, თუ როგორ მოვნახეთ ჩვენ დედოფლის საფლავი და როგორ ამოვიღეთ იქიდან მისი ცხედარი? მე ყველა ამ კითხვაზე ვუპასუხე და ვუთხარი, რომ, სადაც ის დამარხეს იქიდან თვითონ ამოვიღე ცხედარი. მეფემ მითხრა, რომ ჩვენ გავაკეთეთ ის, რასაც მთელს მსოფლიოში მიესალმებიან, რომ ის და მთელი საქართველო ამას არასოდეს არ დაივიწყებს“[48].

ავგუსტინელი მისიონერები ასევე დიდი პატივით მიიღო კათალიკოსმა ზაქარიამ (1623—1630). იგი ჩვენ შვილებს გვიწოდებდაო, წერს დუშ ანჟუში. ამ უკანასკნელს კათალიკოსისათვის რომში გამგზავრება და პაპ ურბან VIII-თან შეხვედრა შეუთავაზებია, ხოლო თუ იგი დათანხმდებოდა, ამბროსიო დუშ ანჟუში მას მორჩილ ძმას პედრო დუშ სანტოშს გააყოლებდა. ამაზე კათალიკოს ზაქარიას უპასუხია: „მეტად მოვხუცდი და ხანგრძლივი მოგზაურობისათვის ძალა აღარ შემწევს, ნეტავი იმ ასაკისა ვიყო, ასეთი მგზავრობის ატანა შემეძლოსო“[49].

მამა ამბროსიო თეიმურაზსაც ესაუბრა იმ მორჩილებაზე, რომელიც მას მართებდა რომის პაპის, როგორც მსოფლიო ეკლესიის მეთაურის წინაშე. ამაზე მეფემ მიუგო, რომ იგი მუდამ აღიარებდა პაპს, როგორც „მთავარ პრელატს“. ხოლო რაც შეეხება სულიწმიდის არსს, კერძოდ, მის გარდამოსვლას „ძიდანაც“, თეიმურაზს თავისი აზრი დაუცვია და პატრებისათვის უთქვამს: „თუ მე უმწიკვლოდ ვცხოვრობ, რატომ მსჯის ღმერთი ასე?“. ამაზე დუშ ანჟუშმა მეფეს უთხრა: „ღმერთი ძალიან ზრუნავს ჩვენს საქმეებზე და უნდა ჩვენი დახმარებით ყველაფერი იყოს კარგად იმიტომ, რომ მისი ზრუნვა

მიზნამდე აღწევდეს"[50]. თეიმურაზის ამ რიტორიკულ შეკითხვაში უდავოდ ჩანს მისი ტანჯვა-ვაებით აღსავსე ბიოგრაფია. მასში დიდი ტკივილითაა გამოხატული წამებით გამოვლილი ცხოვრების ის გზა, რომელიც ყოველგვარი უბედურების გადამტან ამ მეფეს არგუნა ღმერთმა. რაც შეეხება ამბროსიოს მიერ დასმულ სარწმუნოებრივ სხვა საკითხებს, აქ ორივე მხარე მტკიცედ დარჩა საკუთარ პოზიციაზე.

თეიმურაზ მეფემ მოისურვა ავგუსტინელი მისიონერები დარჩენილიყვნენ საქართველოში და დაეარსებინათ თავიანთი მონასტერი. ამ მიზნით მეფემ პატრებს შესთავაზა, აერჩიათ მის სამეფოში ყველაზე ხელსაყრელი ადგილი. „მეფემ მოგვცა კაცი, — წერს დუშ ანჟუში, — რომელიც ჩვენ გვახლდა ამ მოგზაურობაში. დავათვალიერეთ საქართველოს ერთი ნაწილი და ავირჩიეთ ქალაქი გორი, რომელიც განლაგებულია დაბლობ ადგილზე, რომლის გვერდით მოედინება ორი წყალუხვი მდინარე, თევზებით ძალიან მდიდარი. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ძალიან კარგი იქნება აქ ავაგოთ მონასტერი. ავირჩიეთ ხელსაყრელი ადგილი წყალთან ახლოს. აქ შენდება ერთი სამრეკლო და ორი სახლი ჩვენ საცხოვრებლად. მეფე გამოხატავს მზადყოფნას, მოგვცეს ჩვენ ყოველივე აუცილებელი ჩვენი ცხოვრებისათვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი". ამავე წერილში დუშ ანჟუში გოას ვიკარიუსს წერს, რომ „უზრუნველყოს ეს მისიონი და გამოგზავნოს ფული სემინარიის ან სკოლის დასაარსებლად", სადაც აღზრდიდნენ ბავშვებს „ღირსეული და კარგი მანერებით"[51]. თუ როგორ მიიღო სასულიერო და საერო მესვეურებმა ეს მამები, ნათლად ჩანს ამავე წერილის შემდეგი ადგილიდან. „ყველა მღვდელი და ეპისკოპოსი, — აგრძელებს დუშ ანჟუში, — პატივით გვეპყრობა და გულითადად გვღებულობს. ასევე მეფე, დედოფალი და ყველა მათი ახლობელი. რაც მართალია, დედოფალმა დაგვატყვევა თავისი სიყვარულითა და იმ განწყობით, რომელსაც ის იჩენს ჩვენდამი. მისი სურვილია დავრჩეთ საქართველოში. დედოფალს, მეფეს და ყველა მათ ახლობელს უნდა მოისმინოს ჩვენი ერთი ლოცვა სიმღერით. გთხოვთ, თქვენო მამობავ, გამოგვიგზავნოთ ორღანი და ის, რაც ამისათვის საჭიროა; ასევე საცეცხლური, საცეცხლურის ძეწკვი და კურთხევანი; ვარწმუნებ უფალს, ჩვენს ბატონს, რომ ამ ადამიანებისაგან იქნება დიდი შედეგი"[52].

ამრიგად, პორტუგალიელმა ავგუსტინელმა მამებმა ამბროსიო

დუშ ანჟუშმა და პედრო დუშ სანტოშმა მისიონის დაფუძნების მიზნით შემოიარეს ქართლის სამეფოს დიდი ნაწილი და არჩევანი ქალაქ გორზე შეაჩერეს. მალე აქ მათ სამლოცველო და ორი საცხოვრებელი სახლი ააგეს. ვიდრე ამბროსიო დუშ ანჟუში მშენებლობის საქმეებით იყო გართული, პედრო დუშ სანტოში გოაში გაემგზავრა, რათა ხელმძღვანელობისათვის ემცნო გორში მათი კარგად მიღების ამბავი. ასევე ავგუსტინელთა ორდენის სხვა ბერებიც მოეწვია საქართველოში და შეეკრიბა საჭირო თანხები კახეთში ახალი მისიონის დასაარსებლად. იგი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს სხვა სამეფოებშიც დაამკვიდრებდა მისიონს[53].

მაშ ასე, საქართველოში 1628 წლის მაისში ბინა დაიდო პორტუგალიელ ავგუსტინელთა მისიონმა. რვა თვის შემდეგ კი აქ დაფუძნდა თეატინელთა მისიონი. მათ ერთმანეთის მხარდამხარ დაიწყეს მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში.

დაბოლოს, ფასდაუდებელი ისტორიული წყაროა პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერის ამბროსიო დუშ ანჟუშის მიერ ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის დეტალური აღწერა, რომლის სრული სათაურია: „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ სპარსეთის სამეფოს დედაქალაქ შირაზში შაჰ აბასის ბრძანებით, 1624 წლის 22 სექტემბერს, აღწერილი შირაზის წმ. ავგუსტინეს ორდენის მონასტრის ბერის, მამა, მორჩილი ძმა ამბროსიო დუშ ანჟუშის მიერ“. ამით დუშ ანჟუშმა პირველმა გააცნო ევროპას ქეთევან დედოფლის ამბავი, რომლის მოწამებრივ სიკვდილს არაერთი ადამიანი შთაუგონებია, როგორც ჩვენში, ისე ევროპაში. მართალია, პირველწყაროები არაორაზროვნად ადასტურებენ, რომ ქეთევან დედოფალი მართლმადიდებელი აღესრულა, მაგრამ სამშობლოსა და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებულს ამბროსიო დუშ ანჟუში მსოფლიო ეკლესიის წმინდანად და წამებულად მიიჩნევდა. ყოველივე ეს მათ საქმიანობას საქართველოში კარგ პირობებს უქმნიდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ავგუსტინელთა ეკლესია ერთადერთი საუკეთესო იყო საქართველოში. ბევრი ხალხი დადიოდა ამ ეკლესიაში და თურმე თვით მეფეც ხშირად ესწრებოდა წირვას დიდებულებთან ერთად.

§ 3. თეატინელი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში დიპლომატიურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკურ და სარწმუნოებრივ სარბიელზე

XVII საუკუნის პირველი მესამედისათვის წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესა და ვატიკანის მესვეურებს დიდძალი და მრავალფეროვანი მასალები გააჩნდათ ჩვენი ქვეყნის შესახებ. ამ მეტად საინტერესო წყაროების განხილვა არ შეადგენს ჩვენს მიზანს. გადავწყვიტეთ მხოლოდ, მკითხველის ყურადღება მივაპყროთ შემდეგს:

ვატიკანში საქართველოსა და ქართველების გაცნობის საქმეში ფასდაუდებელი როლი შეასრულა თავის დროზე სახელგანთქმულმა და დიდად განთლებულმა მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ. იგი დაიბადა 1586 წლის 11 აპრილს. მრავალმხრივი განათლება მიიღო ჰუმანისტურ წრეებში. 1614—1626 წლებში ის მოგზაურობს აღმოსავლეთის ქვეყნებში. (1617—1623 წწ.) ვალე ცხოვრობდა თეირანში, ისფაჰანში, შირაზსა და სპარსეთის სხვა ქალაქებში[1].

პიეტრო დელა ვალე ორი თვის მანძილზე შირაზში ყოფნისას ხშირად სტუმრობდა და ანუგეშებდა აქ ტყვედ მყოფ ქეთევან დედოფალს. ქართველებისადმი უსაზღვრო სიყვარულმა განაპირობა ის, რომ მან ცოლად შეირთო სპარსეთში დედასთან ერთად ტყვედ წაყვანილი, იქვე დაობლებული და მის მიერ დახსნილი თინათინ ციბა ანუ ძიბა, რომელსაც დელა ვალემ სახელი შეუცვალა და მარიუჩა დაარქვა. ეს უკანასკნელი კი დიდად უყვარდა ქეთევან დედოფალს[2]. პიეტრო დელა ვალეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა, როგორც ქეთევან დედოფლის გარშემო, ისე ირანში მყოფ მრავალრიცხოვან ქართველებთან, რომლებისგანაც მან საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ძვირფასი ცნობები შეაგროვა[3].

1626 წლის 28 მარტს, 12 წლის მოგზაურობის შემდეგ, პიეტრო დელა ვალე რომში დაბრუნდა. მან პაპ ურბან VIII-ს წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი ქართველი ხალხის მძიმე მატერიალური და სულიერი მდგომარეობის შესახებ[4]. იგი პაპს მოუწოდებდა „ქართველების სულის ხსნის მიზნით“ დაუყოვნებლივ გაეგზავნა მისიონერები საქართველოში[5].

პიეტრო დელა ვალე ასევე არწმუნებდა წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ხელმძღვანელობას, რომ თუ საქართველოში ისინი

მისიონერებს გააგზავნიდნენ, ქართველი ხალხისაგან კარგ შედეგებს ძიიღებდნენ. იგი თავის მოხსენებით ბარათში საყვედურობდა რომის ეკლესიას, რომ საქართველოზე არ ზრუნავდა[6]. უეჭველია, პიეტრო დელა ვალეს ენერგიულმა ნაბიჯებმა სასწრაფოდ აამოქმედა რომი.

საქართველოსა და ქართველების შესახებ მეორე საინტერესო და ღრმაშინაარსიანი მოხსენებითი ბარათი ვატიკანში 1626 წლის 8 დეკემბერს წარადგინა აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა დომინიკანელმა მისიონერმა გრეგორიო ორსინიმ[7]. ეს პიროვნება კარგადაა ცნობილი წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ისტორიაში. იგი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც წამოაყენა იდეა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების საქმეში მისიონერების გადამწყვეტი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივ ენაზე წიგნების ბეჭდვისა და მათი გამოყენების მნიშვნელობაზე და ამ მიზნით წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეში სტამბის შექმნის თაობაზე.

გრეგორიო ორსინი დიდად განათლებული ადამიანი იყო. იგი თეოლოგიის კურსს კითხულობდა მინერვის კათოლიკურ უნივერსიტეტში და ჰქონდა მაგისტრის წოდება[8]. 1624 წელს ორსინიმ ერევანში ვიკარიუსის პოსტზე შეცვალა პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა. აღმოსავლეთიდან დაბრუნების შემდეგ მან ვატიკანში წარადგინა მოხსენებითი ბარათი საქართველოში ხელსაყრელი სამისიონერო მუშაობის გაშლის შესაძლებლობების შესახებ[9].

ამრიგად, ვატიკანში დიდძალი მასალა დაგროვდა საქართველოს შესახებ. პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცას, პიეტრო დელა ვალესა და გრეგორიო ორსინის მოხსენებითმა ბარათებმა, რომლებშიც გამოთქმული იყო საქართველოში მისიონის დაარსების შესახებ რჩევები და შეხედულებები, არსებითი გავლენა მოახდინეს ვატიკანის გადაწყვეტილებაზე აღნიშნული მიმართულებით. მათი მოხსენებები არა მხოლოდ თავისთავად სვამდა საკითხს საქართველოში მისიონის დაარსების შესახებ, არამედ იძლეოდა კათოლიკობის გავრცელების კონკრეტულ გზებსაც. ამ მოხსენებით ბარათებში მთავარი ასპექტი იყო ავტორთა კეთილმოსურნე და გულთბილი დამოკიდებულება საქართველოსადმი. მართალია, წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს, სანამ პიეტრო დელა ვალე რომში ჩავიდოდა და საქართველოს შესახებ თავის მოხსენებით ბარათს პაპ ურბან VIII-ს წარუდგენდა, გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში თეატინელთა მისიონის დაარსება, მაგრამ პიეტრო დელა ვალეს კონკრეტულმა გეგმებმა დიდი

როლი შეასრულა აღნიშნულ საქმეში. იგი სამართლიანად ითვლება „ქართული მისიონის პირველ წამომწყებად და მოღვაწედ“[10].

1626 წლის 4 მაისს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ სპეციალური დეკრეტით გადაწყვიტა, რომ საქართველოში დაეარსებინა თეატინელთა ორდენის მისიონი. იმავე წლის 16 ივნისის დეკრეტით პროპაგანდამ დაამტკიცა საქართველოში გასაგზავნი მისიონერების შემადგენლობა და გაგზავნის ვადები. თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ ხუთი თეატინელი მისიონერი გაეგზავნათ. ესენი იყვნენ: დონ პიეტრო ავიტაბილე, ჩელსო და ნეგრო, ფრანჩესკო დ'აპრილე, ჯაკომო დი სტეფანო და ჯოვანი ფილომია დელა ბელა[11].

მისიონის პრეფექტად დაინიშნა დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელსაც ჩაბარდა სპეციალურად შედგენილი ინსტრუქცია საქართველოში თეატინელი მისიონერების მუშაობის შესახებ. მათ მისცეს ასევე საერთო ინსტრუქცია, რომელიც უნდა დაეცვათ მისიონერებს ადგილზე მუშაობის დროს და ასევე კერძო ინსტრუქციაც, რომელიც მარტო საქართველოს შეეხებოდა. ეს უკანასკნელი მისიონერებს უფლებას აძლევდა პირადი შეხედულებებისამებრ ემოქმედათ. ამის საფუძვლად დასახელებული იყო ის, რომ ტერიტორიულად რომს ძლიერ დაშორებული საქართველოს მისიონთან საჭიროების შემთხვევაში სწრაფი კონტაქტის დამყარება შეუძლებელი იქნებოდა.

გარდა ამისა, დონ პიეტრო ავიტაბილეს პროპაგანდის პრეფექტის კარდინალ ლუდოვიკო ლუდოვიზიოს ხელმოწერით გადასცეს სარეკომენდაციო წერილები როგორც სასულიერო, ისე საერო პირებისათვის. საქართველოში მიმავალი მისიონერებისათვის თვითონ პიეტრო დელა ვალემ შეიმუშავა 12 პუნქტისაგან შემდგარი ინსტრუქცია, რომელიც იძლეოდა რეკომენდაციებს საქართველოში მისიონერების გაგზავნის გზების, ქართველი მესვეურებისადმი მისიონერებისათვის პაპის წერილებით აღჭურვის, მისიონერების მიერ მსახურების შერჩევის, წარმოქმნილი წინააღმდეგობების გადალახვისას სულიერი სიმხნევის შენარჩუნებისა და სხვა საკითხებზე[12].

დონ პიეტრო ავიტაბილეს რომში ჩაბარდა პაპი ურბან VIII-ის მიერ ხელმოწერილი, ლათინურ ენაზე შედგენილი სარეკომენდაციო წერილები შემდეგი პირებისათვის: იმერეთის მეფის, ოდიშის მთავრის, გურიის მთავრისა და კახეთის მეფე თეიმურაზისათვის და კიდევ ერთი წერილი — საქართველოს კათალიკოსისათვის. ყველა წერილს ერთი თარიღი ჰქონდა დასმული — 1626 წლის 4 ივლისი.

მკითხველებს აქვე ვაუწყებთ, რომ ამ წერილებში პაპი ადრესატებს ქართველი „ხალხის სულის გადარჩენისათვის“ საქართველოში ჩამოსული მისიონერებისადმი მფარველობას სთხოვდა. ასევე ქართველ მესვეურებს მოუწოდებდა, რომ ეკლესიათა გაერთიანებისათვის თანამიმდევრულად ეზრუნათ. თავის მხრივ კი მისიონერებს საქართველოში ფლორენციისა და ტრიენტის კრების (1544—1563) უნიის ტრადიციები უნდა დაენერგათ.

1626 წლის ივლისში საქართველოში მომავალი მისიონერები დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტეფანო და ჯოვანი ფილომია უკვე მესინაში იყვნენ. იმავე წლის 2 დეკემბერს ისინი მესინადან კონსტანტინოპოლში გაემგზავრნენ, სადაც 1627 წლის 13 მარტს ჩავიდნენ. მათ თურქეთის ხელისუფლებამ ჯაშუშობა დასწამა და დააპატიმრა, მაგრამ საფრანგეთის ელჩის ჩარევით გათავისუფლებული იქნენ და უკან დაბრუნდნენ მესინაში.

1627 წლის დეკემბერში დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტეფანო (დონ ჯოვანი ფილომია ავადმყოფობის გამო მესინაში დარჩა), რომიდან სათანადო განკარგულების შემდეგ მალტა-ალეპოს გავლით საქართველოსაკენ გამოემგზავრა. მოგზაურობაში მთელი რიგი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, 1628 წლის 14 დეკემბერს ისინი გორში ჩავიდნენ. მათ ახლდათ წარმოშობით ფრანგი ბერი კლავდიო. ასე დაიწყო თეატინელი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში.

აქვე ვვინდა მკითხველთა ყურადღება მივაპყროთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. საქართველოში თეატინელი მისიონერების ჩამოსვლა დაემთხვა ევროპაში (ესპანეთსა და რომში) ცნობილი საერო და საეკლესიო მოღვაწის ნიკიფორე ირბახის (ერისკაცობაში ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი) ელჩობას. დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ 1625 წლის ბოლოს მეფე თეიმურაზ I-მა ევროპაში გაგზავნა ირბახის ელჩობა. იგი უნდა ჩასულიყო ჯერ რომში, ხოლო შემდეგ — მადრიდში. მას მიჰქონდა თეიმურაზ მეფის 1625 წლის 20 ნოემბერს ქართულად დაწერილი წერილები რომის პაპ ურბან VIII-თან და ესპანეთის მეფე ფილიპე IV-თან. ელჩს ასევე უნდა ენახა იტალიის პროვინციების ზოგიერთი მთავარი.

ისტორიოგრაფიაში ნიკიფორე ირბახის ელჩად გაგზავნის დროის, მარშრუტისა და მიზნის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. დაწერილებით ამ საკითხებს ჩვენ აქ არ შეეხებით[13]. აღნიშნული სა-

კითხის გარშემო არსებული ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა პირველწყაროსა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მტკიცედ გვჯერა, რომ ნიკიფორე ირბახი 1625 წლის ბოლოს ევროპაში გაემგზავრა საქართველოდან იერუსალიმზე გავლით. ეს გზა იმიტომ იქნა არჩეული, რომ თურქეთზე გავლით ქართველ ელჩს მოსალოდნელი ხიფათი თავიდან აეცილებინა. ამავე დროს იგი ყველაზე მოკლე გზა იყო ხმელთაშუა ზღვისაკენ.

იერუსალიმში ირბახი გაჩერდა ჯვრის მონასტერში, რომელიც იმ დროს უცხოეთში მყოფი ქართველების თავშესაფარი იყო. აქ ყოფნისას ნიკიფორე შეხვდა იერუსალიმის პატრიარქს თეოფანე IV-ს (1608—1646), რომელსაც უთხრა, რომ გაგზავნილია ესპანეთსა და რომში თეიმურაზის მიერ დიპლომატიური და სამხედრო დახმარების მისაღებად შაჰ აბასის წინააღმდეგ. ირბახის გულწრფელობაში დარწმუნებულმა პატრიარქმა თეოფანემ ესპანეთის მეფის ფილიპე IV-ის სახელზე დაწერა წერილი (1626 წლის 1 სექტემბერს) ბერძნულ ენაზე ქართველი ელჩის მადრიდში წარდგენისა და რეკომენდაციის შესახებ. პატრიარქი ესპანეთის მეფეს ეევედრებოდა, რომ არ უარეყო თეიმურაზის თხოვნა და დახმარებოდა მას „შაჰ აბასისათვის შიშის მომგვრელი სიტყვებით ან ძალებით ორმუზის[14] მხრიდან“[15]. თეოფანე პატრიარქმა ნიკიფორე ირბახს თან გააყოლა არქიდიაკონი ათანასიო.

ახლა ისმება კითხვა: რას ისახავდა მიზნად ნიკიფორე ირბახის ელჩობა მადრიდსა და რომში? ამ კითხვაზე პირდაპირ ვპასუხობთ: თეიმურაზი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ს თხოვდა ირანის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებას[16], ხოლო რომის პაპს ურბან VIII-ს ამ საქმეში — შუამავლობას[17]. ახლა ისევ ისმება კითხვა: ჰქონდა თუ არა თეიმურაზ I-ის თხოვნას ესპანეთის მეფისადმი რეალური საფუძველი? ამ კითხვას ასე უნდა ვუპასუხოთ: თეიმურაზ მეფე ფილიპე IV-სადმი თხოვნაში ემყარებოდა იმ მცირე შესაძლებლობებს, რომელიც იმ დროს წარმოიშვა ესპანეთსა და საქართველოს შორის ირანის წინააღმდეგ. საქმე იყო შემდეგში:

ცნობილია, რომ ამ დროს ირანსა და ესპანეთს შორის არსებობდა წინააღმდეგობა სტრატეგიული კუნძულის ჰორმუზის გამო. ეს კუნძული, რომელსაც პორტუგალიელები 1515 წლიდან მტკიცედ ფლობდნენ, 1622 წელს შაჰ აბასმა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ფლოტის დახმარებით აიღო და იქიდან პორტუგალიელები გან-

დევნა. ამიერიდან ირანის ხელმწიფემ სავაჭრო პორტი გადაიტანა ბენდერ-აბასში. ბუნებრივია, ესპანეთის ქვეშევრდომი პორტუგალიისათვის ჰორმუზის წართმევა ქმნიდა წინააღმდეგობებს ირანსა და ესპანეთს შორის, მაგრამ ეს იმდენად მინიმალური შესაძლებლობის მქონე საბაბი იყო, რომ მასზე ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ვერ აიგებოდა. ამ ნაბიჯში თეიმურაზი, ჩანს, ეყრდნობოდა იმ სინამდვილით შეფერილ ვერსიას, რომელიც რეალურად სახავდა ესპანეთის სამხედრო ინტერვენციას დაკარგული ჰორმუზის დასაბრუნებლად.

ასეა თუ ისე, დღეს უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ირბახის ელჩობა ესპანეთში მიზნად ისახავდა ირანის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებას. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის მიხედვით, ირბახის ეს ელჩობა წარმოადგენდა თეიმურაზის მიერ იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობის რეალური შეფასებისა და ღრმა ცოდნის ნაყოფს[18]. ასევე მიჩნეულია, რომ თეიმურაზის ელჩობის უპირველესი მიზანი იყო საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლება და ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ავტორიტეტის განმტკიცება[19]. ეს უკანასკნელი აზრი შეიძლება ვირწმუნოთ, მაგრამ ირბახის მისიას ვერ მივიჩნევთ იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობის ღრმა ცოდნითა და რეალური შეფასებებით აღჭურვილ ელჩობად. რამდენადაც ჩვენს მიზანს სცილდება ამ საკითხის აქ გარკვევა, ამიტომ მასზე არ შევჩერდებით.

ჩვენი აზრით, ირბახის ელჩობა ევროპაში მიზნად ისახავდა მოესინჯა ნიადაგი ირანის ან თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირის ძიების გზაზე. ამ მოქმედებებში ნიკიფორე ირბახს თეიმურაზ მეფისაგან ჰქონდა სრული უფლებამოსილება, რომ თავისი შეხედულებისამებრ დაესვა და გადაეწყვიტა მრავალი საკითხი. ალბათ, ამან შექმნა ის მრავალი გაურკვევლობა, რომელიც ამ ელჩობას თან ახლავს.

მართალია, ამ ელჩობის დიპლომატიური ნაბიჯები უშედეგო გამოდგა, მაგრამ „ეროვნული მნიშვნელობის დიდ კულტურულ მოვლენას დაუდო სათავე"[20]. კერძოდ, წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ ისარგებლა რა რომში ნიკიფორე ირბახის ყოფნით (1628 წლის იანვარ-აგვისტო),[21] შეეცადა მისი დახმარებით დაეარსებინა ქართული სტამბა. ეს იდეა ვატიკანს ეკუთვნოდა, რომელსაც „მიზ-

ნად ჰქონდა, გაევრცელებინა ქართველთა შორის კათოლიკობის საქადაგებლად და მის შესათვისებლად გამოსადეგი წიგნები"[22].

აღნიშნულ საქმეში განუზომელია ნიკიფორე ირბახის დამსახურება. მან სათანადოდ შეაფასა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის პროგრესის თვალსაზრისით ქართული სტამბის დაარსებას მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ასეთ საშუალებას მოკლებული იყო. მისი შრომის შედეგი ასეთია: 1629 წელს პროპაგანდა ფიდეს სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი „ქართული ანბანი ლოცვებითურთ" და „ქართულ-იტალიური ლექსიკონი". იმავე წელს დაიბეჭდა ნიკიფორე ირბახის მიერ ქართულად თარგმნილი პოპულარული კათოლიკური ლოცვა ღვთისმშობლისადმი „ლიტანია ლაურეტანა"[23].

ასე იშვა მსოფლიოში პირველი ქართული სტამბა. მისი სულისჩამდგმელი, ვატიკანთან ერთად, იყო ნიკიფორე ირბახი. აქვე უნდა გვახსოვდეს იტალიელი სტეფანე პაოლინის ის შეუფასებელი დამსახურება, რომელიც მან, ირბახთან ერთად, დასდო „ქართულ-იტალიური ლექსიკონის" შედგენას. კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა მიერ გარკვეული აზრით ქართული სტამბის დაარსება ღირსსახსოვარი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რომში 1629 წელს დასტამბული ქართული წიგნების გამოქვეყნება უნდა განვიხილოთ, როგორც პირველი შედეგიანი ცდა მტრული გარემოცვის გარღვევისა და კულტურულ სფეროში დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან აქტიური კავშირ-ურთიერთობის აღდგენისა[24].

როგორც სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, 1628 წლის 14 დეკემბერს თეატინელი მისიონერები გორში ჩავიდნენ. აქ ისინი გულთბილად მიიღო ავგუსტინელმა მორჩილმა ძმამ ამბროსიო დუშ ანჟუშმა. მასთან თეატინელი მამები მთელი თვე-ნახევარი იმყოფებოდნენ. სულ მალე მისიონერები დიდი პატივითა და კეთილგანწყობილებით მიიღო თეიმურაზ მეფემ და კათალიკოსმა ზაქარიამ. ორივეს დონ პიეტრო ავიტაბილემ გადასცა პაპ ურბან VIII-ის წერილი. დონ ჯაკომო დი სტეფანომ მეფეს მოახსენა პაპისა და პირადად მათი წუხილი იმ განცდილი უბედურების გამო, რომელიც თეიმურაზმა და ქართველმა ხალხმა გადაიტანა შაჰ აბას I-ის მრავალგზისი დამანგრეველი შემოსევების შედეგად. მანვე აუწყა მეფეს საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზანი, რომ ისინი გამოგზავნილი არიან, რათა იქადაგონ კათოლიკური სარწმუნოება და აღმოფხვრან ცრუ დოგმები. „ჩვენი

მთავარი მიზანია სულის გადარჩენა, რომელსაც, ვიმედოვნებთ, მივაღწევთ, თუკი ჩვენ გვექნება თქვენი მხარდაჭერა და მფარველობა"[25] — მოახსენებდა მეფეს დი სტეფანო.

თეიმურაზ მეფემ და კათალიკოსმა ზაქარიამ მისიონერებს ნება მისცეს, აეგოთ ეკლესია და ექადაგათ კათოლიკური სარწმუნოება ისე თავისუფლად, როგორც ამას იტალიაში აკეთებდნენ. მეფემ მისიონერებს ასევე მისცა საცხოვრებელი სახლი, გამოუყო მსახურები და ამარაგებდა სურსათით.

გარდა ამისა, თეიმურაზმა და კათალიკოსმა ზაქარიამ გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ ეპასუხათ პაპის ურბან VIII-ის წერილზე. 1629 წლის 5 იანვარს უკვე შედგენილი იყო მათი ორ-ორი წერილი რომის პაპისა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალების სახელზე. ეს წერილები იმავე წლის მარტში გორიდან რომში წაიღო დომინიკანელმა მამამ. ამ უკანასკნელს მიჰქონდა აგრეთვე დონ პიეტრო ავიტაბილეს 1629 წლის 28 მარტით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი წმ. პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიისადმი.

აღნიშნული წერილით თეიმურაზ მეფე პაპს აუწყებდა, რომ ჩვენს ქვეყანაში კათოლიკე მისიონერების გამოგზავნა რომის მიერ საქართველოსადმი განსაკუთრებული კეთილგანწყობილების მაჩვენებელი იყო. მეფე აქვე აღნიშნავდა, რომ მისიონერებს გაუწია მფარველობა, უბოძა შესანიშნავი ადგილი ეკლესიის ასაშენებლად და მომავალში მათ მეტ შემწეობას აღმოუჩენდა. მოკლედ, ხაზი ესმებოდა რა, მაჰმადიანურ გარემოცვაში ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ქართველთა ტანჯვა-წამებას, მეფე მტკიცედ აცხადებდა, რომ ქართველები არ დაუშვებდნენ ქრისტიანობისაგან არავითარ განდგომას. ლაკონურად აღწერდა რა შაჰ აბასის მიერ ერაყალგზისი ლაშქრობის შედეგად ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, პაპს სთხოვდა, რომ გამოეგზავნათ ეკლესიაში სამსახურისათვის აუცილებელი ნივთები.

ანალოგიური შინაარსისაა თეიმურაზ I-ის წერილი პროპაგანდა ფიდესადმი. თუმცა მისი მთავარი სათხოვარი რომის მესვეურებისადმი აქ კურსივითაა გამოყოფილი. კერძოდ, თეიმურაზი პროპაგანდას თხოვდა, რომ გამოეგზავნათ ერთი კარგი ექიმი, რადგან საქართველოში საშიში ავადმყოფობა მძვინვარებდა[26]. რაც შეეხება კათალიკოს ზაქარიას წერილებს, იგი თეიმურაზის წერილებისაგან გან-

სხვავებული ცნობების შემცველი არ არის და ამიტომ მასზე შეჩერება ზედმეტად მივიჩნიეთ.

მისიონერებს საქართველოში მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. ჩვენი ქვეყანა ამ დროს შაჰ აბასის მრავალგზისი შემოსევების შედეგად გაპარტახებული და აოხრებული იყო. მტერმა დაანგრია და გაძარცვა მრავალი ეკლესია. როცა კათალიკოსი ზაქარია პაპს თხოვდა მისთვის საეკლესიო სამოსელი და მიტრა გამოეგზავნათ[27], ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ყოფა იქნებოდა ქვეყანაში. ჩანს, დიდი სენიანობაც იყო ამ დროს, ხოლო მკურნალები კი არ მოიპოვებოდნენ. ამიტომ იყო, კათალიკოსი და დონ პიეტრო ავიტაბილეც ვატიკანს სთხოვდა ექიმის გამოგზავნას.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, მისიონერები გულმოდგინედ შეუდგნენ მოღვაწეობას. ამ გზაზე მათ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს ქართული ენის შესწავლის საქმეში. ოთხ თვეში ისინი ისე დაეუფლნენ ქართულ ენას, რომ ესმოდათ, რასაც ეუბნებოდნენ და შეეძლოთ კათოლიკური სარწმუნოების შესახებ გამოეთქვათ თავიანთი აზრი და ექადაგათ. მათ ქართულად ისწავლეს „მამაო ჩვენო", „გიხაროდენ მარიამ" და ქრისტიანული დოქტრინები. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ისინი ქართულ ენას სრულყოფილად დაეუფლნენ. ამას ისინიც ამჩნევდნენ და ამბობდნენ: ქართული ენის ცოდნის გარეშე უარი უნდა ეთქვათ საერთოდ სამისიონერო მოღვაწეობაზე. ვატიკანი კი მათგან დაჟინებით მოითხოვდა, დაუფლებოდნენ ქართულ ენას ისე, რომ წირვა-ლოცვა ამ ენაზე ჩაეტარებინათ.

მისიონერების მიერ ქართული ენის შესწავლას ართულებდა ის, რომ მათ არ ჰქონდათ ლექსიკონი და გრამატიკა. მიუხედავად ამისა, დონ ჯაკომო დი სტეფანომ დიდი უნარი გამოავლინა ქართული ენის შესწავლის საქმეში. ამან კი მას გაუადვილა, ახლო ურთიერთობა დაემყარებინა თეიმურაზ მეფესთან. ეს უკანასკნელიც დიდი პატივით ეპყრობოდა დი სტეფანოს და ხშირად საუბრობდა მასთან.

თეატინელმა მისიონერებმა 1632 წლისათვის უკვე ააგეს წმ. პეტრეს სახელობის ეკლესია. იგი გახდა გორში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების კულტურის ცენტრი. აქ, როგორც ერთი პატარა ცნობიდან ჩანს, თეატინელებს ჰქონდათ სასულიერო სასწავლებელი[28], სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ ქართულ, ლათინურ და იტალიურ ენებზე. ამ საქმეს ყველაზე დიდი ღვაწლი დასდო დი სტეფანომ. როგორც ირკვევა, მას შეუდგენია იტალიურ-ქართული ლექსიკონი და

ქართული ენის გრამატიკა. იგი, ალბათ, ამის საფუძველზე ასწავლიდა მოწაფეებს. მაგრამ როგორ ასწავლიდა ან დაახლოებით რამდენი მოწაფე ჰყავდა, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

აღნიშნულის მხრივ დონ ჯაკომო დი სტეფანო პირველი თეატინელი მისიონერია, რომელმაც დაუვიწყარი როლი შეასრულა იმ მძიმე ჟამს ქართლის სამეფოში საგანმანათლებლო საქმეში. მართალია, ამ კუთხით მისი მოღვაწეობის შესახებ მცირე ცნობები გაგვაჩნია, მაგრამ ესეც საკმაო საფუძველს გვაძლევს, ვთქვათ, რომ დი სტეფანოს უანგარო ღვაწლს ქართველი ახალგაზრდების სწავლა-განათლების საქმეში უთუოდ დიდი ჰუმანური მნიშვნელობა ჰქონდა და ხელს უწყობდა, უპირველეს ყოელისა, რომის კათოლიკურ ეკლესიასთან მტკიცე კავშირის დამყარებას. ამ მხრივ კი გორის სასულიერო სასწავლებლის გახსნა უნდა მივიჩნიოთ პირველ პრაქტიკულ ნაბიჯად უნიის გზაზე.

მადლიერმა ქართველებმაც არ დაივიწყეს ამ დაუცხრომელი, ღვთისმოსავი და, როგორც უწოდებდნენ, „აღმოსავლეთ იბერიის მოციქულის“ ხუთი წლის უანგარო შრომა. იგი 1633 წლის 16 დეკემბერს გარდაიცვალა. „ადგილობრივმა ხალხმა, — წერს დონ პიეტრო ავიტაბელე, — მირჩია, რომ სხვა ადგილას გადაგვესვენებინა იმ დიდი საშიშროების გამო, რომ შესაძლებელია მოეპარათ კიდეც, რადგან ყველას წმინდანად მიაჩნდა“[29].

ბუნებრივია, თეიმურაზ მეფისა და კათალიკოს ზაქარიას მფარველობა განაპირობებდა უმთავრესად მისიონერთა საქმიანობის წარმატებას, მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მათ მიზანს არ ეღობებოდა წინააღმდეგობებიც. როგორც ჩანს, იმდროინდელ საქართველოში მრავლად იყვნენ ბერძენი სასულიერო პირები და მათ შორის თეიმურაზ მეფესთან კარგად დაახლოებულნიც. ისინი წინააღმდეგი იყვნენ კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობისა და თეიმურაზ მეფის რომის პაპთან რაიმე კონტაქტისა. მისიონერებს ზოგჯერ აშკარად მტრობდა საქართველოში დიდი ავტორიტეტის მქონე მიტროპოლიტი ალავერდელი. მართალია, ეს უკანასკნელი არ იყო წინააღმდეგი საქართველოში მისიონერების საქმიანობისა, მაგრამ მხარს უჭერდა ბერძენ ბერებს. ალავერდელთან კი პატრები ცდილობდნენ ურთიერთობა არ გაემწვაეებინათ და მოზომილი მოქმედებით მიისწრაფოდნენ, რომ ის თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ, რაც საბოლოოდ შესძლეს კიდეეაც.

რამდენადაც საერო და სასულიერო მესვეურები მფარველობდნენ მისიონერებს, ბუნებრივია, არსებული წინააღმდეგობები არ წარმოადგენდა ძნელად გადასალახავ დაბრკოლებას. ამიტომ მას საბოლოო შედეგებისათვის არსებითი გავლენა არ მოუხდენია. ქართველი ხალხი, თავისი შემწყნარებლური ბუნებიდან გამომდინარე, დიდ პატივისცემას ავლენდა კათოლიკური სარწმუნოებისადმი[30]. მთავარი ეს იყო. ასევე მათ საქმიანობას დიდად უწყობდა ხელს პირველი უნიატი ქართველი საეკლესიო მოღვაწის ნიკიფორე ირბახის მფარველობა.

1629 წლის აგვისტოში, ორი წლისა და ცხრა თვის მოგზაურობის შემდეგ გორში დაბრუნდა თეიმურაზ მეფის ელჩი დასავლეთში ნიკიფორე ირბახი. მან მეფეს მოახსენა ევროპაში მისი ელჩობის შედეგები და გადასცა პაპ ურბან VIII-ის 1628 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული წერილი. გორში ჩამოსვლისთანავე მან დაუყოვნებლივ ინახულა კათოლიკე მისიონერები. ესენი კი ამით ენით აღუწერელ სიხარულს განიცდიდნენ[31].

მისიონერებისადმი ნიკიფორე ირბახის მფარველობას დიდი ძალა ჰქონდა. იგი ესაუბრა თეიმურაზ მეფეს თეატინელთა ორდენის შესახებ და გორში მოღვაწე პატრების საქმიანობა დადებითად წარმოუდგინა. ამან მეფე უფრო დააახლოვა კათოლიკე მამებთან. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ საქართველოში გაიშალა ფართო სამისიონერო მუშაობა და არსებობდა მისი უფრო გაფართოების საშუალება, მაგრამ საჭირო იყო რომიდან მისიონერთა ახალი ჯგუფის გამოგზავნა.

ზემოხსენებულ წერილში პაპი ურბან VIII თეიმურაზ I-ს მხოლოდ რელიგიურ საკითხზე მოახსენებდა. მასში გასაგებად და მოკლედ მოწონებული იყო თეიმურაზის სურვილი „შევიდეს კათოლიკური ეკლესიის რიგებში“. ეპისტოლეში მეფეს ფრთხილად და ტაქტიანად ეძლეოდა წინადადება, რომ ყველა ორთოდოქსული წესის დაცვით ეღიარებინა კათოლიკური სარწმუნოება და ასევე მისი ინიციატივით მართლმადიდებელ ქრისტიანებს ეცნოთ „პეტრე მოციქულის უპირატესობა რომის ტახტის სახით“[32]. ამ საქმეში წინსვლა გზას გაუხსნიდა მომავალში დიდ წარმატებას, კერძოდ, საქართველოს მჭიდრო კავშირს პაპობასთან და ქართლის სამეფოს გამარჯვების მოპოვებას.

ამ ეპისტოლემ, ჩანს, თეიმურაზ I-ს გადაჭრით უკარნახა, რომ რომში გაეგზავნა ახალი ელჩობა. ამ ამოცანის შესრულება ახლა და-

ეკისრა დონ პიეტრო ავიტაბილეს, რომელსაც ამ დროისათვის გადაწყვეტილი ჰქონდა რომში წასვლა, რათა საქართველოში ახალი მისიონერების გამოგზავნის საკითხი მოეგვარებინა.

ასე რომ, საქართველოს მეფის ელჩის ტიტულით აღჭურვილი დონ პიეტრო ავიტაბილე, 1630 წლის 3 აგვისტოს გორიდან რომში გაემგზავრა. მას თან მიჰქონდა თეიმურაზ მეფისა და კათალიკოს ზაქარიას წერილები რომის პაპისა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან. ასევე მას მიჰქონდა თეიმურაზის წერილი პიეტრო დელა ვალესთან. 1631 წლის იანვარში კუნძულ მალტაზე დონ პიეტრო ავიტაბილეს ნეაპოლიდან 1630 წლის 18 ოქტომბერს საქართველოსაკენ წამოსული თეატინელი მისიონერები დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯოზეფო ჯუდიჩე შეხვდნენ. 1631 წლის თებერვლის დასაწყისში ავიტაბილე რომში ჩავიდა. მან პაპსა და წმ. კონგრეგაციის კარდინალებს გადასცა თეიმურაზ მეფისა და კათალიკოს ზაქარიას წერილები და ასევე თავისი მოხსენებითი ბარათი.

პიეტრო ავიტაბილე დროის დაუკარგავად წარსდგა რომის სასულიერო მესვეურთა წინაშე. მან პაპ ურბან VIII-სა და წმ. კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიას სიტყვიერად მოახსენა, თუ რა მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იყო საქართველოში დამპყრობთა შემოსევების შედეგად, რაც უარყოფითად მოქმედებდა მისიონერთა მუშაობაზე. მანვე პაპს გადასცა 32 პუნქტად ჩამოყალიბებული ის საეკლესიო წესები, რომელთაც ქართველები იცავდნენ ლათინებისაგან განსხვავებით. აქვე იმედს გამოთქვამდა, რომ ამის გამოსწორება შეიძლებოდა, რადგან თეიმურაზ მეფე, დარეჯან დედოფალი, კათალიკოსი ზაქარია და ქართველი ხალხი კარგად იყვნენ განწყობილი კათოლიკური ეკლესიისადმი[33].

საპასუხო წერილში თეიმურაზი პაპს მოკლედ და ტაქტიანად აუწყებდა, თუ რა პატივისცემა და მფარველობა აღმოუჩინა თეატინელ მისიონერებს შესაძლებლობის ფარგლებში. მისი ამ მოქმედების გასაღები ერთ წინადადებაში იკითხებოდა: მეფე პაპს თხოვდა ერთი პროფესიონალი ექიმისა და მხატვრის გამოგზავნას. ანალოგიური შინაარსისაა კათალიკოს ზაქარიას წერილი რომის პაპისადმი.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზი პაპისადმი წერილში არ სვამს პოლიტიკურ საკითხებს. ნიკიფორე ირბახის ელჩობის შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ, მან კარგად დაინახა, რომ დასავლეთში რეალური მოკავშირის არჩევის შესაძლებლობა უმნიშვნელო იყო. ახლა იგი

შეეცადა მისიონერების საშუალებით რომთან რეალურად მოქმედი კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტები დაემყარებინა. წარმატება ამ საქმეში ურთიერთხელსაყრელი იყო. ერთი მხრივ, იგი გზას უხსნიდა მისიონერების წარმატებას საქართველოში და მეორე მხრივ, ქართველებს საშუალებას აძლევდა, მისიონერების საშუალებით ზიარებოდნენ მსოფლიო კულტურას.

ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ფაქტი. 1630 წლის ზაფხულში სამეგრელოში ჩამოვიდა დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელიც 1625 წელს რამდენიმე მისიონერთან ერთად წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ გაგზავნა აღმოსავლეთში. ეს მისიონერი სამეგრელოს მთავარმა უსაზღვრო პატივისცემით მიიღო. „ლევან დადიანმა, — წერს ჯოვანი და ლუკა, — სტუმართმოყვარული სიტყვებით მიპასუხა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რადგან ჩემთვის სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერ და განათლებულ ერად მთელს მსოფლიოში. ჩვენ წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი ენახათ და თავიანთ გვერდით ჰყოლოდათ ამ ერის წარმომადგენლები“[34].

ცხადია, ლევან II დადიანის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები მარტოოდენ ჯოვანი და ლუკას 'საამებლად როდი იყო ნათქვამი. მისთვის ვატიკანთან მჭიდრო კავშირის დამყარება ქვეყნის პროგრესული გზით განვითარებისა და ევროპული ცივილიზაციის ზიარების საშუალება იყო. ბუნებრივია, მისიონერები ამ ცივილიზაციის ფასეულობათა მატარებლები იყვნენ. ამიტომ მათ ცივილიზატორულ ფუნქციას, ჩანს, ლევან დადიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ასე რომ, ფრაზა „ჩემთვის სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერ და განათლებულ ერად მთელს მსოფლიოში“, აღნიშნული თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. მისიონერებისადმი მთავრის ასეთი დამოკიდებულება აძლევდა საფუძველს ჯოვანი და ლუკას დაესკვნა, რომ „თუ კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში ჩამოვიდოდნენ, აქ დიდ წარმატებას მიაღწევდნენ“[35].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დონ პიეტრო ავიტაბილე რომში დროს არ კარგავდა. მან დაუხანებლად გადასცა თეიმურაზ მეფის წერილები პაპს, კონგრეგაცია ფიდეს კარდინალებსა და პიეტრო დელა ვალეს. ამ უკანასკნელს, ქართველი ხალხის უანგარო პატივისმცემელსა და დიდ მოსიყვარულეს, აღფრთოვანებით მიულია თეიმურა-

ზის წერილი. მან იმხანად გორში მოღვაწე ერთადერთ მისიონერს დი სტეფანოს უმალვე გამოუგზავნა წერილი, რომელშიც თხოვდა: „გადაეცით ჩემგან მადლობა მის უდიდებულესობას (თეიმურაზ მეფეს — მ. პ.) და დაარწმუნეთ იგი იმაში, რომ წინანდებურად ვართ აქ მისი თავდადებული და მოსიყვარულე მსახური მთელი ჩემი ოჯახით“.

ქართველებისადმი იშვიათი სიყვარულის გრძნობაა გამოხატული პიეტრო დელა ვალეს მისიონერებისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში. „ვასრულებდი რა ჩემს სურვილს, — წერდა იგი, — რომ ჩვენს სახლში მუდამ არსებობდეს სიყვარული საქართველოსადმი, ჩვენს გოგონას სახელად დავარქვით რომიბერა (რომი და იბერია), როგორც პირველდაბადებულს რომაელისა და იბერიელის სისხლიდან, რომელიც გაერთიანდა ერთ პიროვნებაში. ვსულდგმულობ ოცნებით, რომ გარდა სისხლის ერთიანობისა, ასევე ჩვენი ხალხი მუდამ იქნებიან მტკიცე, ერთიანი თავისუფალ კავშირში და განუყრელი რწმენაში“[36].

რომში დონ პიეტრო ავიტაბილეს ელჩობამ დასახულ მიზანს მიაღწია. საქართველოს საქმეებისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ რომის პაპი, კარდინალი უბალდინო, წმ. კონგრეგაციის მდივანი ფრანჩესკო ინგოლი, ამავე კონგრეგაციის რწმუნებული აქილე ვენერიო, პიეტრო ავიტაბილე და სხვები. 1631 წლის 30 აპრილს კარდინალთა კოლეგიის სხდომაზე, რომელსაც პაპი დაესწრო, დიდი ადგილი დაუთმეს საქართველოს საკითხებს. კოლეგიამ ტრიენტის ლატერანური საეკლესიო კრების (1544—1563) გადაწყვეტილების საფუძველზე დაადგინა, რომ საქართველოში წირვა-ლოცვა ქართულად ჩატარებულიყო და იულიანის კალენდარი შემოეღოთ[37]. მისიონერებს მიეთითათ იმაზე, რომ რაც შეიძლება, მალე შეესწავლათ ქართული ენა.

რომში მყოფი ავიტაბილე ენერგიულად შეეცადა განემტკიცებინა თეატინელთა მისიონი გორში. მან განიზრახა, რომ მარადიულ ქალაქში საკუთარი ბინა გაეჩინა მისიონისათვის. ასეთი სახლი შემდგომში გახდებოდა ერთ-ერთი კერა იმ ახალგაზრდა ქართველებისათვის, რომლებიც სასწავლებლად რომის კოლეჯში ჩავიდოდნენ. ამ მიზნით მან თხოვნით მიმართა პიეტრო დელა ვალეს. ამ უკანასკნელმა მისიონისათვის დაუყოვნებლივ გამოყო ერთ-ერთი მისი სახლი და იგი გადასცა საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერებს.

შემდგომში, პიეტრო დელა ვალეს თანხმობით, ეს სახლი ოფიცი-

ალურად გაფორმდა დონ პიეტრო ავიტაბილეს სახელზე და მის საკუთრებაში გადავიდა. უფრო გვიან კი, პაპ ურბან VIII-ის 1641 წლის 29 მაისის ბრძანებით, წმ. კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიამ კანონიკური უფლება მიიღო, რომ ამ სახლში ქართველი ახალგაზრდებისათვის კოლეჯი გაეხსნა[38].

1631 წლის მაისში პაპისა და კარდინალთა კოლეგიის წერილებით აღჭურვილი დონ პიეტრო ავიტაბილე ექვს თეატინელ მისიონერთან ერთად (მათ შორის, საექიმო საქმისა და მხატვრობის კარგი მცოდნე, ასევე მკერავი, ქვის მთლელი, ტკბილეულისა და პურის გამომცხობი მღვდელები) საქართველოსკენ გამოემგზავრა.

ამასობაში, 1631 წლის 12 მაისს გორში ჩავიდნენ თეატინელი მისიონერები დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯოზეფო ჯუდიჩე. მათ მოჰქონდათ პაპის წერილები თეიმურაზ მეფესთან, კათალიკოს ზაქარიასა და ნიკიფორე ირბახთან. ასევე პიეტრო დელა ვალეს წერილები თეიმურაზ მეფესთან და ნიკიფორე ირბახთან, ხოლო მისი მეუღლის — მარიამის წერილი — დედოფალთან. ორი თუ სამი დღის შემდეგ ისინი შეხვდნენ თეიმურაზ მეფესა და კათალიკოსს და გადასცეს მდიდრული საჩუქრები. მეფეს დონ ჯაკომო დი სტეფანომ გააცნო ლამბერტისა და ჯუდიჩეს ჩამოსვლის მიზანი და მფარველობის გაწევა სთხოვა. თეიმურაზმა მისიონერებს დახმარება და ხელშეწყობა აღუთქვა.

წყაროებიდან ირკვევა, რომ თეიმურაზ I-ს დანგრეული გრემის აღდგენისა და ხელახალი აშენების გეგმასთან ერთად იქ თეატინელი მისიონერების დაფუძნება გადაუწყვეტია. მეფის ამ წინადადებას სიხარულით შეხვდა დი სტეფანო. თეატინელი პატრებისათვის მოღვაწეობის ახალი ასპარეზი იშლებოდა. იმავე წლის 18 ივნისს დი სტეფანო, არქანჯელო ლამბერტი და მორჩილი ძმა კლაუდიო გორიდან გრემში წავიდნენ, მეფემ ისინი ცხენებითა და მოგზაურობისათვის სხვა საჭირო საგნებით მოამარაგა. ორი დღის შემდეგ ისინი უკვე გრემში იყვნენ. მათ იქ თეიმურაზ მეფის განკარგულებით ეკლესია და საცხოვრებელი სახლიც მიიღეს. დონ პიეტრო ავიტაბილეს რომიდან დაბრუნების შემდეგ გათვალისწინებული იყო კახეთში — გრემში თეატინელთა მისიონის დაარსება[39].

კახეთში ადგილობრივმა სამღვდელოებამ თეატინელი მისიონერები კარგად მიიღო. ისინი კი ჩასვლისთანავე შეუდგნენ მუშაობას: დააყენეს წირვა, სადაც საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა. დანგრეულ

ქალაქში ცხოვრება გამოცოცხლდა, მაგრამ ასე მხოლოდ რამდენიმე თვე გაგრძელდა. ყიზილბაშები ქალაქს შემოესივნენ, დაანგრიეს და გაძარცვეს ყველაფერი. ამით გულაცრუებული მისიონერები გორში დაბრუნდნენ. ასე რომ, კახეთის სამეფოში თეატინელთა მისიონის დაფუძნების ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა.

1632 წლის 10 ივლისს დონ პიეტრო ავიტაბილე და მისი თანამგზავრები დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ გორში ჩავიდნენ. ესენი იყვნენ: ვინჩენცო კარაფა, ჯუსტო პრატო, ანტონიო ჯარდინა, კრისტოფორო დე კასტელი, გაეტანო კორლიტო, მატეო ფლორინი. მათ მოჰყავდათ აგრეთვე ორი მორჩილი ძმა. საქართველოში ამჯერად სამისიონერო მოღვაწეობის გასაშლელად განსწავლული თეატინელი მამები ჩამოვიდნენ. ზოგიერთ მათგანს სახელისა და პატივის მოხვეჭა საკუთრივ ევროპაში შეეძლო, ვიდრე მტრებით გარემოცულსა და შიგნით აშლილ, გაევრანეპულ საქართველოში, მაგრამ ღვთისმოსავი მამები უფლის მიერ დაკისრებულ მოვალეობად მიიჩნევდნენ ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობას. ისინი თავიანთ ენერგიასა და უნარს არ აკლებდნენ ქართველი ხალხის სამსახურს. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა მალამოდ დაედებოდა დიდ გაჭირვებაში მყოფ ქართველებს მისიონერთა უანგარო საქმიანობა მკურნალობის, სწავლა-განათლების, ხელოსნობის, კულტურისა და პოლიტიკის სფეროში.

თეიმურაზ მეფემ ღირსეულად მიიღო ჩამოსული მისიონერები. ავიტაბილემ მას გადასცა პაპის წერილი, რომლის პირველი სტრიქონები იუწყებოდა, რომ „ევროპის ბევრ ქვეყანაში ერცელდებოდა მისი დიდება და ბრწყინვალე გამარჯვება სპარსელებზე". ურბან VIII ხოტბას ასხამდა თეიმურაზის ძლევამოსილებას და ტაქტიანად მიმართავდა, ენერგიულად შეეწყო ხელი კათოლიკობის გავრცელებისათვის. მოუწოდებდა, დაეძლია ყველა დაბრკოლება ეკლესიათა გაერთიანების გზაზე. ამასთან ერთად სთხოვდა, პატივით მოპყრობოდა დონ პიეტრო ავიტაბილეს, რომელსაც დავალებული ჰქონდა სიტყვიერად მოეხსენებინა პაპის დანაბარები[40].

კათალიკოს ზაქარიასადმი მიწერილ წერილში პაპი ურბან VIII უტყუარ იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს ეკლესია მალე შეუერთდებოდა რომის ეკლესიას. „შენს ხალხს იტალია ტაშისცემით ელოდება, მეწამული გვირგვინით შემკობილმა და ყოველი კათოლიკური ეკლესიის რჩეულმა სამოციქულო სენატმა დიდად გაიხარა, როდესაც გაიგო, რომ იბერიაში შენი ზრუნვის შედეგად, ღიაა ეკლე-

ია ჩვენი მღვდლებისათვის" — წერდა პაპი კათალიკოს ზაქარიას. ამ უკანასკნელს რომის მესვეურები მადლობას უხდიდნენ მისიონერებისადმი აღმოჩენილი დახმარებისა და ხელშეწყობის გამო.

ამრიგად, 1632 წლისათვის გორში დაახლოებით თავი მოიყარა 15 თეატინელმა და ორმა ავგუსტინელმა მისიონერმა. ამიტომ წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიის განკარგულებით გადაწყდა: გორში შეექმნათ კათოლიკე მისიონერთა კონვენტი, რომლის მეთაური მორიგეობით იქნებოდნენ ხან თეატინელ მისიონერთა პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე, ხან პორტუგალიელ ავგუსტინელ მისიონერთა მეთაური ამბროსიო დუშ ანჟუში. საქართველოს მისიონი კი 1633 წელს ისფაჰანის კათოლიკეთა საეპისკოპოსოს დაუქვემდებარეს.

ერთი სიტყვით, გორში დამკვიდრებულ მისიონერებს თავიანთი მიზნების მისაღწევად ხელსაყრელი პირობები შეექმნათ, მაგრამ საქართველოში მალე შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა, რომელმაც არასასურველი მიმართულება მისცა კათოლიკე მამების მოღვაწეობას აღმოსავლეთ საქართველოში. საქმე ისაა, რომ ირანის წინააღმდეგ თეიმურაზ I-ის ბრძოლა მარცხით დამთავრდა. შაჰმა ქართლის მეფედ „ვალის" ტიტულით გამაჰმადიანებული როსტომ ბაგრატიონი, ანუ ხოსრო მირზა დანიშნა. 1633 წლის 18 თებერვალს 67 წლის როსტომმა ქართლის სამეფო ტახტი დაიკავა. თეიმურაზ პირველი იძულებული გახდა გასცლოდა ქართლ-კახეთს. მან დიდი ამალით იმერეთში, თავის სიძეს, ალექსანდრე III-ს შეაფარა თავი. ასევე გზას დაადგა გამოცდილი დიპლომატი თეიმურაზ I-ის პოლიტიკური მრჩეველი ნიკიფორე ირბახი. მან თავისი მოღვაწეობა ლევან II დადიანის კარზე გადაიტანა.

მიუხედავად ქართლის სამეფოში შექმნილი არასასურველი ვითარებისა, მისიონერებმა სცადეს, რომ გაეგრძელებინათ თავიანთი საქმიანობა. პირველ ხანებში მათი იმედები უპერსპექტივო არ ჩანდა, რადგან როსტომ მეფემ, რომელიც დიდი „პატივისცემით ეპყრობოდა კათოლიკეებს სპარსეთში", მისიონერებს მფარველობა აღუთქვა. მან კაცი გაგზავნა პატრებთან, დაამშვიდა ისინი, თავისთან მოიწვია და კარგადაც დაასაჩუქრა. „მეფემ ჩვენ მოგვცა, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — შეღავათიანი სიგელი, რომლითაც განმტკიცებული იყო არა მარტო ყოველივე ის, რაც გვიბოძა თეიმურაზ მეფემ, არამედ გაგვათავისუფლა შემოტანილი საქონლის ბაჟისა და ბინის ქირის

გადასახდელისაგან. გვიბრძანა, რომ დავემორჩილებოდით მხოლოდ მის პირად განკარგულებებს ყველა საკითხში: გარდა ამისა, მან ბრძანა, არავის გაებედნა ჩვენს საცხოვრებელში შესვლა. გასცა განკარგულება წყლით, მარილითა და სხვა ჩვენი მომარაგების შესახებ და არა მარტო სიტყვიერად, არამედ საქმით დაადასტურა ეს მისი გულუხვობა"[41].

მისიონერებს მფარველობას უწევდა აგრეთვე როსტომ მეფის სასახლის „მინისტრი", რომელიც ისფაჰანში ავგუსტინელ წმიდა მამებთან დაახლოებული პირი ყოფილა. იგი არეულობითა და ომებით გამოწვეული საშიშროების დროს მისიონერთა „მფარველი ანგელოზი იყო". მათ ასევე მზრუნველობის ხელს არ აკლებდა ახალი კათალიკოსი ევდემოზ I დიასამიძე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაჰმადიანთა გარემოცვაში კათოლიკე მისიონერებს გაუძნელდათ მუშაობა აღმოსავლეთ საქართველოში. ასეთ ვითარებაში წამოიჭრა მისიონერების გორიდან საქართველოს სხვა მხარეში გადასვლის საკითხი. ამ დროისათვის მათ ნორმალური მუშაობის ყველაზე შესაფერისი ადგილი ოდიშის სამთავროში იპოვეს.

ამის მიზეზად პირველწყაროები შემდეგს ასახელებენ: პირველი, მაჰმადიანი როსტომ მეფისა და სხვა მესვეურების სახით კათოლიკე მისიონერებს უკვე აღარ ჰყავდათ ისეთი მფარველები, როგორებიც იყვნენ თეიმურაზ I, მისი მეუღლე, დედოფალი დარეჯანი, რომელსაც „მისიონის მფარველსა და დედას" ეძახდნენ, კათალიკოსი ზაქარია ჯორჯაძე და მიტროპოლიტი ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. მისიონერთა საქმიანობის წარმატება ხომ პოლიტიკურ მესვეურთა ხელშეწყობასა და მფარველობაზე იყო დამოკიდებული? თვით მისიონერებისათვის როსტომის მფარველობა აღიქმებოდა, როგორც ირანული პოლიტიკის ხაზის გატარება საქართველოში. „ახლა ამ ქვეყნის მეფე მაჰმადიანია და, მაშასადამე, უიმედოა მასთან რაიმე გავაწყოთ" — წერდა დონ პიეტრო ავიტაბილე[42]. ამაში იგი არ შეცდარა. მალე როსტომ მეფემ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ის, ვინც რჯულს გამოიცვლიდა და მაჰმადიანობის გარდა სხვა სარწმუნოებას მიიღებდა, სიკვდილით დაისჯებოდა[43]. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ კრძალავდა მისიონერთა საქმიანობას ქართლის სამეფოში; მეორე, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირე მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებდა მისიონერებსაც; მესამე, ვერც ვატიკა-

ნი იჩენდა ადრეულ ცხოველ ინტერესს გორის მისიონის მიმართ. აქედან გამომდინარე, ახალი მისიონერების დამკვიდრება ქართლის სამეფოში ძნელი საქმე გახდა.

ამრიგად, თეატინელ მისიონერებს აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით უკეთესი პირობები მოღვაწეობისათვის დასავლეთში — სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში შეექმნათ. ზუსტად არ ვიცით, მაგრამ 1634 წლისათვის გორში ძალზე ცოტა მისიონერები იყვნენ. 1637 წელს აქ ჩამოვიდა ორი მისიონერი დონ კლემენტე გალანო და დონ ფრანჩესკო მარია მაჯო. ამ უკანასკნელის დამსახურება დიდია ქართველი ერის წინაშე. იგი პაპის საგანგებო დავალებით ჩამოსვლისთანავე შეუდგა ქართული ენის შესწავლას და ძალზე მოკლე დროში დაწერა ქართული ენის გრამატიკა, რომელიც 1643 წელს დაიბეჭდა პროპაგანდა ფიდეს სტამბაში. ეს ნაშრომი იყო ქართული ენის თავისებურებათა შესწავლის პირველი ცდა, ქართული ენისა, რომელსაც ასე ნაკლებად იცნობდნენ XVII საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ევროპაში. „ეს პირველი გრამატიკა ქართული ენისა იმავე დროს წარმოადგენს პირველ გრამატიკას საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ამდენად მაჯოს ამ შრომას — მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა — განსაკუთრებული ადგილი უჭირავს“[44].

როგორც წყაროები გვიჩვენებენ, 1638 წლის მარტიდან გორში არც ერთი თეატინელი მისიონერი არ იყო. აღმოსავლეთ საქართველოში, რადიკალურად შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო, თეატინელ მისიონერთა ქართველებისადმი დიდი სიყვარულითა და უეჭველი წარმატების მიღწევის იმედით კარგად დაწყებული საქმიანობა შეწყდა. ამ ხანმოკლე დროში მათ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მართალია, წყაროები მცირე ცნობებს გვაძლევენ ქართველთა გაკათოლიკების შესახებ, მაგრამ მათში თვალნათლივ ჩანს მათი სიმპათიები კათოლიკური სარწმუნოებისადმი. ამას გარკვეული შედეგებიც მოჰყვა.

ამის ნათელსაყოფად ერთ მეტად საინტერესო და საგულისხმო კონკრეტულ ფაქტზე მივაპყრობთ მკითხველთა ყურადღებას: 1634 წელს ერთი გორელი ქართველი ახალგაზრდა, სახელად ნასყიდა, დაუკავშირდა თეატინელ მისიონერებს. იგი მათთან დადიოდა, ეხმარებოდა და აკვირდებოდა მათ ცხოვრებას. ნასყიდას მოეწონა მისიონერთა ადამიანური ურთიერთდამოკიდებულება, მათი შრომისმოყვა-

რეიბა, განსწავლულობა, საქართველოსა და ქართველებისადმი სიყვარული და გადაწყვიტა მიელო კათოლიკობა.

გაკათოლიკებული ნასყიდა ბერად აღიკვეცა. მას ჩააცვეს საამისო სამოსელი და ანდრია უწოდეს. იგი დონ პიეტრო ავიტაბილემ პირველად რომში წაიყვანა. აქედან კი 1639 წლის ოქტომბერში ინდოეთში სამისიონერო მოღვაწეობისათვის მიმავალმა ავიტაბილემ შესაფერისი განათლებისა და მისიონერული მომზადების მქონე ძმა ანდრეა თან წაიყვანა. ამ უკანასკნელმა ძალიან მალე გაითქვა სახელი გოაში. მას წმიდა ანდრეას უწოდებდნენ. ბედმა ამ ქართველ კათოლიკე მისიონერს დიდხანს არ არგუნა სიცოცხლე. იგი 1642 წელს გარდაიცვალა. ყველა კათოლიკეს უნდოდა ის თავის ეკლესიაში დაესაფლავებინა. ზოგმა მისი ცხედარის მოპარვაც მოინდომა. ბოლოს, ანდრეა დაკრძალეს წმიდა ავგუსტინეს მონასტერში. ასე რომ, ძმა ანდრეა მეორე ქართველი კათოლიკე ბერი იყო, რომელმაც ინდოეთში დაასრულა თავისი სიცოცხლე.

როგორც ზემოთ ვთქვით, მისიონერებმა გადაწყვიტეს თავიანთი საქმიანობა სამეგრელო-გურიაში გადაეტანათ. აქ მათ მოღვაწეობისათვის ყველაზე საუკეთესო პირობები შეექმნათ. ამას, უწინარეს ყოვლისა, სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1611—1657) ევროპაზე აღებული ორიენტაციის პრაქტიკული ამოცანები ასაზრდოებდა. „ევროპაზე აღებული გეზი, ევროპული განათლებისადმი მისწრაფება ლევან დადიანის რეალური პოლიტიკური მიზანი ყოფილა“[45]. ითვალისწინებდა რა ამას, გორში მოღვაწე თეატინელი მისიონერების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა გორიდან სამეგრელოში გადასულიყო სამოღვაწეოდ. ეს საქმე მისიონის პრეფექტმა დონ პიეტრო ავიტაბილემ რომს შეუთანხმა.

ახლა ვნახოთ, თუ რა ვითარებაში მოხდა თეატინელთა მისიონის გადატანა სამეგრელოში.

ცნობილია, რომ 1633 წელს როსტომ მეფემ ლევან II დადიანი 6 დამოყვრება — მისი დის, მარიამის, ცოლად შერთვა გადაწყვიტა. ამ წინადადებას მთავარი დიდი კმაყოფილებთ შეხვდა და ქართლში საპასუხოდ თავისი მოციქულები მოაელინა, რომელთაც ხელმძღვანელობდა გამოცდილი დიპლომატი ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. სამეგრელოდან თბილისში მიმავალ ნიკიფორეს გორში აქ მეიფი კათოლიკე მისიონერები ჯოზეფო ჯუდიჩე და დონ არქანჯელო ლამბერტი დახვედრიან, რომელთაც სამოღვაწეოდ სამეგრელოში ვადას-

ვლის სურვილი ჰქონიათ და მისთვის ამ საქმეში ხელის შეწყობა უთხოვიათ. ნიკიფორე ირბახმა მათ დახმარება აღუთქვა და დაარწმუნა, რომ ლევან II დადიანი კეთილგანწყობით მიიღებდა. თავისთავად ეს და ის ფაქტიც, რომ ნიკიფორე ირბახი ლევან დადიანის კარზე იმყოფებოდა, დიდ სტიმულს აძლევდა მისიონერებს სამეგრელოში მოღვაწეობის გადატანისათვის.

ერთი სიტყვით, ნიკიფორე ირბახის მიერ გამხნევებული ორი თეატინელი მისიონერი დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯოზეფო ჯუდიჩე 1633 წლის 23 ოქტომბერს დადიანის მოციქულებთან ერთად სამეგრელოს გზას დაადგნენ. ისინი ახალციხე-გურიის გავლით იმავე წლის 19 ნოემბერს ილორში ჩავიდნენ, სადაც იმჟამად იმყოფებოდა ლევან დადიანი მრავალი მხლებლებითა და ეპისკოპოსებით წმ. გიორგის დღეობაზე. მთავარმა აქ ვერ შესძლო მისიონერების მიღება და მათ აუდიენცია მერკულაში დაუნიშნა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ლევან დადიანი, რომელსაც ამ დღეობაზე თან ახლდნენ ეპისკოპოსები და ბერძენი ღვთიმსახურები, ჩანს, მოერიდა მათი თანდასწრებით კათოლიკე მამების საჯაროდ მიღებას.

მერკულაში პატრებმა მთავარს გადასცეს საჩუქრები და აუწყეს საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზანი. „დიდსულოვანო მთავარო, — მიმართავდნენ ისინი ლევან დადიანს, — ჩვენი ერთადერთი მიზანია, თქვენ და თქვენს ერს ვასწავლოთ კათოლიკე სარწმუნოების ჭეშმარიტება და მოვუპოვოთ საუკუნო ბედნიერება“[46]. დადიანმა მისიონერები გულთბილად მიიღო და დაჰპირდა, რომ ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენდა. რადგან მერკულაშიც მთავარს ბერძენი მღვდლები ახლდნენ, ნიკიფორემ მისიონერებს ურჩია, რომ პაპის წერილი მთავრისათვის მერე გადაეცათ. ისინიც ასე მოიქცნენ და ხსენებული ეპისტოლე მათ ლევან დადიანს გადასცეს ზუგდიდში 1634 წელს.

ამავე წელს თეატინელმა მისიონერებმა ბინა დაიდეს გურიაშიც, ეს შემდეგ ვითარებაში მოხდა. 1634 წლის შემოდგომაზე ლევან დადიანის დაზე — მარიამზე ქართლის მეფე როსტომის ქორწინებასთან დაკავშირებით, ქართლში მიმავალი დედოფლის ამალაში იყო გურიის ეპისკოპოსი შემოქმედელი. როცა ქორწილი დამთავრდა და გურიის ეპისკოპოსი უკან ბრუნდებოდა, გორში გაიარა, თეატინელი მისიონერები მოინახულა და მათ პრეფექტს დონ პიეტრო ავიტაბილეს თხოვა, მიეცა რამდენიმე მისიონერი გურიაში წასაყვანად. პრეფექტ-

მა დააკმაყოფილა შემოქმედელის თხოვნა და აახლა სამი მისიონერი: დონ კრისტოფორო კასტელი, დონ ანტონიო ჯარდინა და ძმა კლაუდიო.

ეს შემთხვევა, რომ ქართველ მართლმადიდებელ ეპისკოპოსს პირადად მიჰყავდა კათოლიკე მისიონერები გურიაში სამოღვაწეოდ, ჩვენ უნდა ავხსნათ დასავლეთთან საქართველოს კულტურული და ეკონომიკური კავშირის დამყარების სურვილით, რომლის განხორციელება იმ დროს მხოლოდ მისიონერთა საშუალებით იყო შესაძლებელი. თვით ის ფაქტი, რომ შემოქმედელს მისიონერები საეკლესიო და საერო პირთა „გაბრწყინილი ზნე-ჩვეულებების გამოსასწორებლად"[47] სურდა წაეყვანა, აშკარად ავლენს, თუ როგორ აფასებდნენ ქართველები მისიონერთა თეოლოგიურ განათლებასა და მათ მორალურ სრულყოფილებას. პატრების უანგარო მოღვაწეობისა და ღვთისმოსავი ცხოვრების ჩვენებით, იმდროინდელ ქართველ სასულიერო თუ საერო მესვეურებს სურდათ, ეს კეთილი ადამიანები თავისი ხალხისათვის ზნეობის მაგალითად დაესახათ. ასევე კათოლიკე მამების საშუალებით ცდილობდა შემოქმედელი ქართველი სამღვდელოების კულტურული დონის ამაღლებას.

ეპისკოპოსმა მისიონერები ჩაიყვანა შემოქმედში, სადაც მათ მისცა ბინა, ეკლესია და მსახურები. ისინი დაუბრკოლებლად შეუდგნენ მუშაობას. დონ კრისტოფორი კასტელიმ ისე კარგად მოხატა ეკლესია, რომ მის სანახავად შორეული— დგილებიდანაც კი მოდიოდა ხალხი.

ამასობაში გავიდა ორი წელი. გურიაში გაჩნდა მისიონერებისადმი არაკეთილსასურველი განწყობა. ჩვენთვის კარგად ცნობილი ეპისკოპოსი ალავერდელი, რომელიც როსტომ ხანს განერიდა, იმ დროს ოდიშის სამთავროში იმყოფებოდა. მან ისარგებლა თავისი ავტორიტეტით და ეპისკოპოს შემოქმედელს კატეგორიულად მოსთხოვა, რომ დაუყოვნებლივ დაეთხოვა თავისი ეკლესიიდან თეატინელი მისიონერები. პატრებმა არ იცოდნენ რა ექნათ, უკან, გორში დაბრუნებულიყვენენ, თუ სამეგრელოში გადასულიყვნენ. შექმნილ მდგომარეობას სასიკეთო მიმართულება მისცა კათალიკოს-მთავარ მალაქიას პოზიციამ.

გურიის მთავარი-კათალიკოსი მალაქია (1625—1639), ლევან დაღიანის მსგავსად, ევროპული ორიენტაციისა იყო. ამ უკანასკნელისაგან მალაქიამ იცოდა რა თეატინელ მისიონერთა ჩამოსვლის მი-

ზანი, ოზურგეთში თავისი სასახლის ბაღში მიუჩინა მათ ადგილი, მისცა პატარა ეკლესია, ბინა და მსახურები. ეს მოხდა 1636 წელს.

მალაქიას მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფმა პატრებმა წარმატებით გაშალეს ფართო სამისიონერო მუშაობა. ამ მიმართულებით მათი პირველი ნაბიჯი პატარა სკოლის შექმნით დაგვირგვინდა, სადაც ანტონიო ჯარდინამ მაღალი საგანმანათლებლო დონე და შესაფერისი მისიონერული მომზადება გამოავლინა. ან სკოლაში სულ მალე ოცამდე ბავშვი მოგროვდა, სადაც ანტონიო ჯარდინა ასწავლიდა ქართულ, ლათინურ და იტალიურ ენებს. ქართული ენის ჩინებულმა მცოდნე ჯარდინამ განაგრძო რა გორში დონ ჯაკომო დი სტეფანოს დაწყებული საქმე, ქართული ენის გრამატიკა გურიაში დაასრულა. ეს უნდა ჩაითვალოს პირველ გრამატიკად, რომლის საფუძველზე სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდნენ მოსწავლეებს.

ვგრძნობთ რა მკითხველთა ინტერესს, ვსვამთ შემდეგ კითხვას: რომელი ფენის წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ ამ სკოლაში და რა საგნები ისწავლებოდა იქ? ამ კითხვას ჩვენ ერთადერთი წყაროდან მოტანილი ციტატით ვუპასუხებთ: მისიონერებმა გურიაში „დაარსეს სკოლა, ბავშვები ზოგი თვით მთავარმა აჩუქა, ზოგი ბატონებმა მისცეს და ზოგიც თვით გამოართვეს იმ მშობლებს, რომლებსაც ბავშვების აღზრდა არ შეეძლოთ, რათა ისინი თათრებისათვის არ მიეყიდათ. პატრებმა დაიწყეს სწავლება საქრისტიანო და სამეცნიერო საგნებისა“[48].

ამ წყაროდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ სკოლაში ძირითადად ჰყავდათ გლეხთა შვილები, რომელთაც თუ არა მისიონერები, იმდროინდელი საქართველოს ბედუკუღმართობა სტამბულის ბაზარზე გასაყიდად ამზადებდა გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ სკოლაში ასწავლიდნენ ლათინურ, იტალიურ, ქართულ ენებს, ისტორიასა და კათოლიკური რწმენის დოქტრინას. მათ უმთავრესად ამზადებდნენ სამისიონერო კადრად. განზრახული იყო მათი გაგზავნა პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში სასწავლებლად, რათა შემდეგ თავისი ქვეყნის სასულიერო და საერო წრეებში წამყვანი ადგილი დაეკავებინათ. ასე რომ, გურიაში მისიონერების მიერ დაარსებული სკოლა უნდა მივიჩნიოთ საქართველოში საეკლესიო უნიისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში მიღწეულ დიდ წარმატებად.

ამრიგად, გურიაში მისიონერებმა წარმატებით დაიწყეს საქმიანობა, მაგრამ ეს დიდხანს. არ გაგრძელებულა, რადგან ბერძენი

მღვდლები პატრების წინსვლამ ძლიერ აღაშფოთა. მათი წაქეზებით წარმოშობით იტალიელმა, მაგრამ გამაჰმადიანებულმა ვინმე ფერინდონემ, რომელიც შემდეგ კათოლიკედ აღესრულა, 1636 წელს თეატინელი მისიონერების სახლი დაწვა. ასეთი ხერხით დევნას მისიონერები არ შეუშინდნენ, ბოროტების წილ მტერს სიკეთე მიაგებეს და გულმოდგინედ განაგრძეს მუშაობა.

1637 წლის აგვისტოში ანტონიო ჯარდინა გარდაიცვალა წიფურიაში. ამ გამოცდილი მისიონერისა და განათლებული ადამიანის ნეშტი კოლხეთის მიწამ მიიბარა. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო გურიის მისიონისათვის. ახლა აქ მხოლოდ დონ კრისტოფორო კასტელი დარჩა. მან სახარებისეული მოთმინებით განაგრძო მუშაობა და ამან უხვი ნაყოფიც გამოიღო, მაგრამ აღნიშნული მისიონისათვის ერთი პატრი საკმარისი არ იყო. ამიტომ 1638 წელს კათალიკოს მალაქიას წიფურიადან მისიონერები გამოუთხოვია. ამ საქმისათვის ოდიშში გაგზავნილი ნიკოლო იმხანად წიფურიაში ჩასულ დონ პიეტრო ავიტაბილეს მოახსენებდა, რომ კათალიკოსი მალაქია მზად იყო „რომის ეკლესიასთან შეერთებისათვის“.

კათალიკოს — მთავარ მალაქიას კეთილმოსურნე ურთიერთობა კათოლიკე მამებთან მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ თუ როგორ წარმოედგინა მას „რომის ეკლესიასთან შეერთება“ და როგორ იბრძოდა ამისათვის, ჯერჯერობით დოკუმენტური მასალებით ვერ მტკიცდება. რაც შეეხება მალაქიას მოთხოვნას, რომ გურიაში მისიონერები გაეგზავნათ, ამან დიდად გაახარა რომში მიმავალი დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელიც იმჟამად სამეგრელოს მისიონის მუშაობას ეცნობოდა. ეს უკანასკნელი 1638 წლის სექტემბერში ვინჩენცო ჯილიბერტისთან, ფრანჩესკო მარია მაჯოსთან, ჯაკომო არგელიოზთან და ანდრეა ლიპომანისთან ერთად ოზურგეთში ჩავიდა, გაეცნო აქ ვითარებას და ამ მისიონერებთან ერთად (გარდა დონ ფრანჩესკო მარია მაჯოსი) მალე იტალიაში გაემგზავრა.

ასე რომ, 1638 წლის სექტემბრისათვის გურიის მისიონში იყო ორი მისიონერი დონ კრისტოფორო კასტელი და დონ ფრანჩესკო მარია მაჯო. ეს უკანასკნელი აქ ცოტა ხანს დარჩა და კვლავ დაბრუნდა სამეგრელოში, რათა სამშობლოში წაესვენებინა დონ ჯაკომო დი სტეფანოს ნეშტი, რომელიც მას გორიდან მოპქონდა. მოკლედ, გურიაში ისევ მარტო დარჩა დონ კრისტოფორო კასტელი. მართა-

ლია, აქ მოსალოდნელი იყო სხვა მისიონერების ჩამოსვლა, მაგრამ ვითარება მათ საწინააღმდეგოდ შეიცვალა.

1639 წელს გარდაიცვალა გურიის კათალიკოს-მთავარი მალაქია II. ეს დიდი დანაკლისი იყო გურიაში მოღვაწე თეატინელი მისიონერებისათვის. ახალი მთავარი ვახტანგ II გურიელი (1639—1640) მისიონერების მიმართ აშკარა სიძულვილს გამოხატავდა. მისგან ფიზიკურ განადგურებას კასტელიმ ლევან II დადიანის დახმარებით დააღწია თავი. 1640 წლის აგვისტოში მან დატოვა გურია და წიფურიაში გადავიდა სამოღვაწეოდ. ამრიგად, დონ კრისტოფორო დე კასტელიმ გორში დაჰყო დაახლოებით სამი წელი, ხოლო გურიაში 5-6 წელი, სამეგრელოში კი — 14 წელი.

ჩვენ სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, რომ ლევან დადიანის განსაკუთრებულმა მფარველობამ და ყოველმხრივ ხელშეწყობამ თეატინელ მისიონერებს სამეგრელოში სამოღვაწეოდ ყველაზე კარგი პირობები შეუქმნა. მათ ძალზე მცირე დროში საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს. 1634 წელს პატრებს ლევან დადიანმა სოფელ წიფურიაში წმ. გიორგისადმი და წმ. ქალწულისადმი მიძღვნილი ორი ეკლესია უბოძა, მისცა მიწები, საცხოვრებელი სახლები და მსახურები[49]. წიფურია[50] გახდა თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობის კულტურული ცენტრი. აქ დამკვიდრებულმა პატრებმა მხნედ და ენერგიულად მოკიდეს ხელი სამისიონერო საქმიანობას. პირველი პრაქტიკული ნაბიჯი მათ მეგრული ენის შესწავლის საქმეში გადადგეს და ეს ენა „მალეც შეისწავლეს“[51]. ბუნებრივია, ეს დიდი საშუალება იყო ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად.

ლათინელი მამების მოწინააღმდეგე ბერძენი ბერები და ჩვენთვის კარგად ცნობილი ალავერდელი ძლიერ გაურისხდნენ მთავარს იმის გამო, რომ მან მისიონერებს წიფურიაში ეკლესიები გადასცა. ბერძენმა ბერებმა ყოველივე ეს აცნობეს კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ამ უკანასკნელმა კი მთავარსა და კათალიკოსს წერილები გამოუგზავნა, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამ ეკლესიის კათოლიკეებისათვის გადაცემის გამო. მისი აზრით, ეს ნიშნავდა კათოლიკური რწმენის მიღებაზე ფარულ შეთანხმებას და ბრძანებდა, რომ ეკლესია პატრებისათვის ჩამოერთმიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იძულებული გახდებოდა ეკლესიისაგან განეკვეთა ისინი. მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ ამას ყური არ ათხოვა. პირიქით, ლევან

დადიანმა მისიონერებისადმი სიყვარულითა და პატივისცემით მაშინდელ საქართველოში ყველა პოლიტიკურ მესვეურს გადააჭარბა.

აქვე ვიტყვით: მისიონერთა წინააღმდეგ ბერძენ სასულიერო პირთა დაუცხრომელი აგიტაცია მიზანს ვერ აღწევდა. ეს უნდა აეხსნათ იმით, რომ მთავარზე და ხალხზე მათ დიდი გავლენა არ ჰქონდათ. საყურადღებოა ისიც, რომ მათი გავლენა სუსტი იყო მართლმადიდებელ სამღვდელოებაზეც, რადგან ისინიც მთავრის მსგავსად, დიდ სიმპათიებს ავლენდნენ კათოლიკური სარწმუნოებისადმი და აქტიურად თანამშრომლობდნენ მათთან. თუ რა მოტივები ედო ამას საფუძვლად, ქვემოთ ვნახავთ.

ლევან დადიანის ნდობით აღჭურვილმა პატრებმა ნაყოფიერი მისიონერული მუშაობა გაშალეს ავადმყოფთა მკურნალობის მეთოდით. წყაროთა მონაცემებით, ამ პერიოდში ქვეყანაში მრავალი სახის სენი ყოფილა გავრცელებული. რაც შეეხება მკურნალებს, ისინი თითქმის აღარ მოიპოვებოდნენ. უმთავრესად ეს აუცილებლობა და, არა მარტოოდენ საექიმო ხელოვნებისადმი სიყვარული, აიძულებდა მთავარს, რომ თვით გაეწია დასტაქრობა თავისი ხალხისათვის. „იმისათვის, რომ ექიმობა გაუწიოს თავის ხალხს, — წერს დონ კლემენტე გალანო, — კითხულობს სხვადასხვა საექიმო წიგნებს, რომლებიც გადმოთარგმნილია ლათინურიდან მათ ენაზე, შესწავლილი აქვს მრავალი სანელებელი, სამკურნალო ბალახები, მცენარის ძირებიდან აკეთებს მრავალ წასაცხებს და სასმელ წამალს. ასეთი წამლებით სავსე აქვს ყუთები, რომელთაც თან დაატარებს და საჭიროებისამებრ ყველას ურიგებს“[52].

უეჭველია, მისიონერთა საექიმო საქმიანობას გატანჯული მოსახლეობა დიდი პატივისცემითა და სითბოთი შეხვდა. „მათ, — წერდა რომის პაპს ჯოზეფო ჯუდიჩე, — მივაჩნიავართ ყველაზე სწავლულ მკურნალებად მთელ ქვეყანაზე. ხშირად, როდესაც მძიმედ დაავადებულნი სავსებით ჩვენს ხელთ მოექცევიან და არ სურსთ, რომ მათი სიცოცხლე სხვაზე იყოს დამოკიდებული, გადაგვეშლება ფართო ასპარეზი მათთან ქადაგებისა“[53]. თვით მთავარი კი, როცა ავად გახდებოდა, „პატრების გარდა სხვას არავის“ ენდობოდა[54].

ამრიგად, საექიმო საქმიანობის საშუალებით მისიონერები მოსახლეობაში კათოლიკობას ქადაგობდნენ. მაგრამ არ იქნება სწორი, თუ ამას მარტოოდენ ასეთად მივიჩნევთ. ობიექტურად მათი სამკურნალო საქმიანობა და დასტაქრობა უნდა შეეფასოთ, როგორც დიდი

ჰუმანური აქტი, რომელსაც პრაქტიკული სარგებლობა მოჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. „სხვა მისიონერებთან ერთად, — წერდა დონ კრისტოფორო დე კასტელი, — რომელნიც ჩვეულებრივად აქ სამ-ოთხ წელს დაჰყოფდნენ ხოლმე, მე ვიცხოვრე და დღე და ღამე ვმუშაობდი, ჩემი მკლავები და ჯანი შევალიე ამ საქმეს. ოცდაექვსი წლის განმავლობაში ხალხის წყლულების სამკურნალოდ მთელი ჩემი სიცოცხლე მოვახმარე იმათ, ვინც აქ ცხოვრობს“[55].

მისიონერები სამეგრელოში კათოლიკობის გავრცელების ერთერთ მეთოდათ იყენებდნენ საეკლესიო წესდების უპირატესობას, მართლმადიდებელი ეკლესიის დაკნინებული მდგომარეობის დასაპირისპირებლად. როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთშიაც მართლმადიდებელი საეკლესიო პირები ღვთისმსახურების საქმეში შეცდომებს უშვებდნენ. მისიონერთა სწორი დაკვირვებით ქართველი სამღვდელოება ჩამორჩებოდა ღვთისმეტყველების საკითხებში. ამიტომაც ისინი მათს მორალურ დაკნინებას დაუნდობელი სიმკაცრით გმობდნენ. მისიონერთა რელაციებიდან თუ თხზულებებიდან ჩანს, რომ ქართულ ეკლესიებში გავრცელებული ყოფილა გამომძალველობა და სიხარბე, უნიათობა და გაუმაძღრობა, შეუბრალებლობა და ცრუმორწმუნოება, რომელიც ხელშემწყობი გამხდარა ხალხში რწმენის დაკარგვისა. მართალია, მისიონერთა ასეთი მკაცრი შეფასება მთლად არ შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ჩანს, რომ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენით დამკვიდრებულ ტრადიციებს საფუძველი უაღრესად შერყეული ჰქონია.

ყოველივე ამის შემდეგ გურია-სამეგრელოში დიდად დამახინჯებული ყოფილა ნათლისღების წესი[56]. ამის თაობაზე მისიონერები ესაუბრნენ „დადიანს, რომელმაც აირჩია სამი ბერძნულში განსწავლული მღვდელი და მიანდო მათ, რომ გადაეთვალიერებინათ სამეგრელოს მღვდლების წიგნები და, რაც კარგი არ იქნებოდა, გამოერთმიათ. გადასინჯეს რა ძველი ხელნაწერი წიგნები, ყველა ნაკლულოვანი გამოდგა, ამიტომ თითქმის ყველას გამოართვეს და თან აუკრძალეს ნათლისღების შესრულება. მისიონერებმა ეპისკოპოსებს გადასცეს ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ნათლისღების შესასრულებელი სიტყვები და იმათაც მთელს სამეგრელოში განაცხადეს ესა“[57].

მისიონერების ამ სულიერმა დახმარებამ დიდი გავლენა მოახდინა გურია-სამეგრელოს მესვეურებზე და ხალხის ფართო ფენებზეც.

მათ „ნელი მეთოდებით", კერძოდ, მოზომილი თეორიული ბჭობის საფუძველზე, დაარწმუნეს როგორც მოწინააღმდეგე სასულიერო პირები, ისე პოლიტიკური მესვეურები, რომ საქართველოში ნათლისღება ნაკლულოვანია და საჭირო იყო ხელმეორედ მონათვლა.

ამან კათოლიკე მამებს სასურველი შედეგები მოუტანა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში იყო პატრების შეურიგებელი მოწინააღმდეგის კახეთის ეპისკოპოსისა და გურიის მიტროპოლიტის ალავერდელის ხელმეორედ მონათვლა და შემდეგ გაკათოლიკება[58]. გარდა ამისა, ხელმეორედ მოინათლნენ ეპისკოპოსები, მღვდლები, სამთავროს წარჩინებული პირები და თვით მთავარიც[59]. თუ ვირწმუნებთ, „ქრისტეფორე კასტელიმ ათი ათას კაცზე მეტი მონათლა",[60] ხოლო ჯოზეფო ჯუდიჩემ — 330-ზე მეტი[61].

როგორც ვთქვით, მისიონერებმა ლევან II დადიანი ხელმეორედ მონათლეს. თეატინელთა მისიის ცნობილი ისტორიკოსი ჯოზეფო სილოსი წერს: „როდესაც დონ არქანჯელო ლამბერტიმ დაარწმუნა ლევან დადიანი, რომ ის ბერძნული წესით იყო მონათლული და ეს არ იყო კანონიერი ე. ი. არ იყო სათანადო წესებით შესრულებული, „დათანხმდა და ხელახლა მონათლა უკვე ლათინური წესით"[62].

აქვე ჯოზეფო სილოსი მიუთითებს, რომ ლევან დადიანმა მიიღო კათოლიკობა. იგი წერს: „ლევან დადიანი შინაგანად გახდა კათოლიკე და ამრიგად, გახდა ახალი კონსტანტინე ანუ თეოდოსიო, ხშირად ხმლითაც დაიცვა მიღებული სარწმუნოება. სხვას არაფერს ხედავს, თუ არა რომის სარწმუნოებას, სხვა არაფერს ნატრულობს, თუ არა რომის პაპის ნახვას, რათა მას ფერხთა ემთხვიოს და მის წინაშე აღიაროს კათოლიკური სარწმუნოება, რომელიც უკვე მიიღო"[63].

ლევან დადიანის მიერ კათოლიკობის მიღების შესახებ ჩვენ ჯერ-ჯერობით სხვა საკონტროლო მასალა არ გაგვაჩნია. მოყვანილი ცნობა, მართალია, საკმაოდ აღწერს ლევან დადიანის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებას, მაგრამ პირდაპირ პასუხს ვერ სცემს კითხვას, რამდენად სწორია ეს? თუმცა ამ ცნობის სისწორეშიც ეჭვის შეტანაც ნაკლებად დასაშვებია, რადგან შეუძლებელია თეატინელთა ისტორიის ცნობილ მკვლევარს ჯოზეფო სილოსს ასეთი ფაქტი შეეთხზა. უდავოა, იგი ეყრდნობა ან ჯოზეფო ჯუდიჩეს, ან არქანჯელო ლამბერტის რომელიღაც წერილს (გამორიცხული არ არის სხვა რომელიმე მისიონერის წერილსაც), რომელიც ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის და მომავალ მკვლევარს ელის.

ერთი სიტყვით, ლევან II დადიანი ის პირველი ქართველი პოლიტიკური მესვეურია, რომელმაც კათოლიკობა მიიღო. ეს მისი ევროპაზე ორიენტაციის შემადგენელი ნაწილი იყო და დაუფარავად გამოხატავდა ვატიკანთან მჭიდრო კავშირის დიდ სურვილს. ამ რელიგიურ ასპექტს ხელსაყრელი ფონი უნდა შეექმნა იტალიასთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისათვის, სამეგრელოს სამთავროში იტალიელი ვაჭრებისა და ხელოსნების მიზიდვისათვის.

განსაკუთრებით დიდია კათოლიკე მამების როლი ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლაში იმდროინდელ საქართველოში, როცა მართლმადიდებელი არქიელების მორალური სახე ძალზე შელახული იყო. საქმე ისაა, რომ იმ დროს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ისეთი მძიმე სამარცხვინო სენი, როგორიცაა ტყვის სყიდვა, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენას აზარალებდა. ჩვენ აქ არ შეუდგებით ტყვის სყიდვის მიზეზების განხილვას, არამედ ხაზს ვუსვამთ, რომ მისიონერებმა უდიდესი ენერგია და უნარი შეალიეს ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის პროპაგანდას.

ამ საშინელი სენის წინააღმდეგ პატრების მორალურ მხარდაჭერასა და პრაქტიკულ მოქმედებას დიდი გამოძახილი ჰქონდა ხალხში. ამის საილუსტრაციოდ მკითხველებს არ გადავლლით უამრავი ციტატების მოხმობით, თუმცა ერთ ყველაზე მკაფიო ცნობას შოვიტანთ. „ჩვენი ქადაგება, — წერდა ჯოზეფო ჯუდიჩე, — განსაკუთრებით ტყვის სყიდვის წინააღმდეგ, იმდენად კარგად იქნა მიღებული მთელ საქართველოში, რომ წელს, სულთანისათვის ყმაწვილების გაგზავნის დრო როცა დადგა, ჩვენი სახლი თავშესაფარი გახდა მათივე მშობლების მიერ გამოგზავნილი და გამოქცეული ყმაწვილებისათვის, რათა მფარველობა გაგვეწია მათთვის, ვინაიდან მათ იციან, რომ ჩვენ დიდ პატივს გვცემენ მთავარი და ამ ქვეყნის დიდებულნი. ჩვენ ყველას მიღებასა და დაცვაზე დავთანხმდით, მოვიმარაგეთ რა სურსათი რამდენიმე დღისთვის“[64]. მისიონერების ასეთმა კაცთმოყვარულმა საქმიანობამ, ღმერთისადმი უმწიკვლო სამსახურმა, მაღალზნეობრივმა საქციელმა ნუგეშითა და სიხარულით აღავსო გაწამებული ხალხი, „ერმა დაუწყო მათ ლოცვა-კურთხევა იმ ზომამდე, რომ მათ ღვთის კაცები — „ღორონთიშ კოჩი“ უწოდეს[65].

ამრიგად, ტყვის სყიდვის წინააღმდეგ მიმართულმა ქადაგებამ და პროპაგანდამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ყველა შიშით მოცული, ტყვეობიდან გამოქცეული თუ გამოსყიდული ადვილად ექცეოდა პატრების

გავლენის ქვეშ და ისინიც არ აყოვნებდნენ მათ კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანას.

ლევან დადიანის კარზე მყოფი კათოლიკე მამები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ მისიონერებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ ისინი მთავრის მრჩევლები იყვნენ ევროპასთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარების, ქვეყნის მართვა-გამგეობისა და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტის საქმეში. ამის საილუსტრაციოდ ჩვენს ხელთ არსებული უამრავი ცნობიდან ამჯერად მოვიყვანთ ერთს. მთავარს „როდესაც რაიმე ეჭვი აქვს, — წერს ჯუდიჩე, — ან მთავრობის გამგეობის, ან საქმეების წარმოებისა, ან კიდევ სარწმუნოებისა და საზოგადო საქმისა, მუდამ პატრებსა სთხოვს რჩევას. ერი რა ხედავს, მთავარი ასე გვენდობა და მასზე ჩვენ დიდი გავლენა გვაქვს, მუდამ ჩვენ მოგვმართავს გაჭირვების დროს, რათა ვიშუამდგომლოთ მთავართან და იმედიც აქვთ ყველაფერი გაურიგოთ“[66].

ყოველივე ზემოთქმულიდან უეჭველია, რომ თეატინელ მისიონერებს ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ მესვეურთა წრეებში მაღალი ავტორიტეტული საყრდენი ჰქონდათ. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ისინი ეკლესიაში, სადაც სკოლა ჰქონდათ, საჯაროდ ეწეოდნენ კათოლიკური „სარწმუნოების სწავლებას“. ჩვენ არ ვიცით, თუ რა ფორმით ტარდებოდა ეს, ან ვინ ესწრებოდა, რა რაოდენობით, მაგრამ, ცხადია, რომ „ყოველი კვირა იკრიბებოდნენ კათოლიკური მოძღვრების სწავლებისათვის“[67]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ „კათოლიკური მოძღვრების სწავლებისას“ მისიონერები ახდენდნენ რელიგიურ დამუშავებას და ცდილობდნენ მათში ნდობის მოპოვებას. ეკლესიაში „კვირაობით ქრისტიანულ მოძღვრებას ვასწავლით, — წერს ჯუდიჩე, — ისინი თავს იყრიან ჩვენი რწმენის საიდუმლოებისადმი მიეწაწების გამოსახატავად. ენების კვირაში ცერემონიას არავითარ შემოხვევაში არ დაიკლებიან. რამდენიმე საათით ზოგჯერ ზიარების გამოვსდგამდით, რომ ჩვეულებრივი კურთხევა შეგვესრულებინა. ამან გამოიწვია მოწიწება. შემთხვევა არ გავუშვით, რომ რამდენიმე თვით შემოგველო და განგვეგრძო დისციპლინის გავლა ეკლესიაში ერის კაცთათვის, რომელნიც ჩვენთან ერთად გადიოდნენ სულიერ წვრთნას“[68].

მართალია, მისიონერები მათ მიერ ორგანიზებულ სკოლაში ძირითადად ზრდიდნენ თავიანთ ერთმორწმუნეებს, მაგრამ ასევე ას-

წავლიდნენ ოქრომჭედლობას, დურგლობას, მათემატიკას, უცხო ენებს, მხატვრობას და სხვა. თუ რა წარმატება მოიპოვეს ამ მიმართულებით, ეს ნათლად გამოჩნდა როდია მიქელაძის მხატვრული ნიჭის გაფურჩქვნაში. როდია და მისი მეუღლე ოდიშის გამოჩენილი თავადი მამუკა ბისკაია თავისი ოჯახითა და ორმოცზე მეტი ყმით კათოლიკეები იყვნენ. ქართველი ქალბატონი როდია მოწაფე იყო მხატვარი მისიონერებისა. მათგან შეუთვისებია მხატვრული ხელოვნების ყველა ხერხი და კასტელის აღიარებით სახელოვანი მხატვარი ღამდგარა[69]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაშინდელ საქართველოში თითქმის არ წარმოებდა საგანმანათლებლო საქმიანობა, ამ მხრივ მისიონერთა შრომა ფასდაუდებელია. ისინი ხომ ქართველ ახალგაზრდებს აზიარებდნენ დასავლური კულტურის მიღწევებს. მოსწავლეებს კი მისიონერების საშუალებით პირდაპირი კონტაქტი ჰქონდათ კათოლიკურ სარწმუნოებასთან და მის წარმომადგენლებთან.

ამრიგად, ლათინელ მამებს ოდიშის სამთავროში კათოლიკობის პროპაგანდის სრული თავისუფლება ჰქონდათ. მათ მიერ ზემოდან დაწყებულ გაკათოლიკებას დიდი წარმატებები მოჰყვა. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ოდიშის მთავრის — ლევან დადიანის, მისი ვაზირის — პაპუნა წულუკიას, წარჩინებული თავადის — კაკუ შელიას, მამუკა ბისკაიას და მრავალი გამოჩენილი საერო თუ სასულიერო პირების მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება. თუმცა ცხადია, ერთი ხელის მოსმით მოსახლეობის გაკათოლიკება შეუძლებელი იყო. ამისათვის ყველაზე ეფექტური იქნებოდა ადგილობრივი კადრების მომზადება სამისიონერო საქმიანობისათვის. ეს კარგად ესმოდათ რომში. ამიტომ პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში, რომელიც „მისიონერებს ამზადებდა მსოფლიოს ყველა ერისათვის“[70], ორი ადგილი დაეთმო სამეგრელოს მისიონს. გარდა თქმულისა, ეს ფაქტი ნათლად ავლენს პაპების მხრივ მზრუნველობას ქართველებისადმი. ამ კოლეჯში აღზრდილ ქართველ მოძღვრებს ჩვენს ქვეყანაში უნდა მოეტანათ დასავლური კულტურა და განათლება.

ნიჭიერ მთავარს ლევან დადიანს კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მისი სამთავროს კულტურული განვითარებისათვის პროპაგანდის კოლეჯში ახალგაზრდების გაგზავნას. ამიტომ მან არ დააყოვნა და 1643 წელს ორი ყმაწვილი გაგზავნა რომში პროპაგანდის კოლეჯში გასაწვრთნელად. ამ ყმაწვილებს ერქვათ ანტონი და

ანდრია. ამ უკანასკნელს, რომელიც დიდი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული, შეუსწავლია იტალიური და ლათინური ენები. დაუფლებია ლოგიკას, ფილოსოფიას და თეოლოგიას, მაგრამ მძიმედ ავად გამხდარა და გარდაცვლილა. მეორე ანტონი, თუმცა არ ყოფილა დაჯილდოებული ასეთი მაღალი ნიჭით, მაგრამ აღნიშნულ კოლეჯში მიაღწია ხარისხს თეოლოგიურ მორალში და შემდეგ ერთ პრელატთან მოეწყო და დაეთხოვა კოლეჯს[71].

ამრიგად, რომში ანტონმა ისახელა თავი. ის პირველი ქართველია, რომელმაც საჯაროდ დაიცვა დისერტაცია ღვთისმეტყველების დარგში. ამდენად, პროპაგანდის კოლეჯის ნაყოფიერ ნიადაგზე ჩაყრილმა პირველმა ქართულმა მარცვალმა კარგად გაიხარა. ამის შემდეგ აქ ქართველები არაერთხელ ისახელებენ თავს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ასევე დავასკვნით, რომ ლევან დადიანმა რელიგიური პოლიტიკა შეგნებულად აირჩია და მისიონერებისადმი მისი ნდობით აღსავსე ურთიერთობა მიზნად ისახავდა ამ ლათინელი მამების საშუალებით ევროპასთან კულტურულ, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და რეალიზაციას.

ამ კურსის უპირველესი ამოცანა იყო, სამთავროში მოეზიდა დასავლეთ ევროპიდან ვაჭრები და შავი ზღვის საშუალებით მეგრელო ჩაება საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ მაღალნიჭიერ მთავარს კარგად ესმოდა, რომ „ევროპის ქვეყნების სიძლიერის მაცოცხლებელ არტერიას სწორედ დაწინაურებული ეკონომიკა წარმოადგენდა". ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირით გამოესწორებინა სამთავროს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. ვაჭრობა და ხელოსნობა ევროპულ ყაიდაზე გაემართა[72].

ამ გეგმების განსახორციელებლად ლევან II დადიანმა ნიკიფორე ირბახთან და მისიონერებთან ერთად შეიმუშავა ევროპასთან საქართველოს გზით ვაჭრობის განვითარების პროექტი, რომლის მიხედვით ირანის აბრეშუმი საქართველოზე გავლით უნდა გაეტანათ შავი ზღვით ევროპაში. ასეთი გეგმა ჰქონდა ცნობილ მოგზაურსა და დიპლომატს პიეტრო დელა ვალეს[73]. მკვლევარები სამართლიანად თვლიან, რომ ლევან დადიანი იცნობდა პიეტრო დელა ვალეს პროექტს მისიონერებისა და ნიკიფორე ირბახის მეშვეობით.

აღნიშნული პროექტი, კერძოდ, იტალიასთან სავაჭრო ურთიერთობის გეგმები ლევან დადიანმა ასევე გააცნო 1638 წელს ოდიშში ჩასულ დონ პიეტრო ავიტაბილეს, რომელიც სამეგრელოს გავლით

რომში მიდიოდა. მთავარმა მას სთხოვა, რომ კონსტანტინოპოლში ვენეციის ელჩისათვის გაეცნო მისი პროექტი და შეძლებისამებრ ხელი შეეწყო ოდიშის სამთავროსთან საკაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ საქმის რეალიზაციაში ავიტაბილეც დიდად დაინტერესდა, რადგან აღნიშნული გეგმის მიხედვით გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას უფრო მეტს სტიმულს მიანიჭებდა. მაგრამ ეს პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ამის შემდეგ მთავარს გადაუწყვეტია, რომ დიპლომატიური მისიით გაეგზავნა კონსტანტინოპოლში თეატინელი მისიონერი დონ კლემენტე გალანო. წყაროთა უქონლობის გამო არ ვიცით, რას აღწევდა გალანო კონსტანტინოპოლში მოლაპარაკებისას, ან საერთოდ შედგა თუ არა ასეთი რამ. მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, ლევან დადიანს თავისი გეგმების რეალიზაციაზე ხელი არ აუღია. 1643 წელს მან რომის პაპთან ელჩად გაგზავნა თეატინელი მისიონერი დონ ჯოზეფო ჯუდიჩე. მას მიჰქონდა ლევან დადიანის წერილები პაპ ურბან VIII-თან, წმ. კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიასთან და მიჰყავდა ორი ყმაწვილი პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად.

რომში დონ ჯოზეფო ჯუდიჩეს პაპი ურბან VIII უკვე ცოცხალი აღარ დახვდა. მან ლევან დადიანის წერილი ახალ პაპს ინოკენტი X-ს (1644—1655) გადასცა. მთავარი წერილში პაპს აუწყებდა, რომ 1633 წელს თეატინელი მისიონერების სამეგრელოში ჩასვლის შემდეგ უმალვე გადაწყვიტა მისი უწმიდესობის 1626 წლის 4 ივლისის წერილისათვის ეპასუხა, მაგრამ რიგი დაბრკოლებების გამო ეს ვერ შეძლო. პატრების მოღვაწეობით კმაყოფილი მთავარი განსაკუთრებულად უხდიდა პაპს მადლობას მის სამთავროში ასეთი ადამიანების გამოგზავნისათვის და, ამასთანავე, არ ივიწყებდა თავის ამაგსაც მისიონერებზე მზრუნველობის საქმეში.

ლევან დადიანის მთავარი სათხოვარი წერილში მკაფიოდ ერთ წინადადებაშია მოქცეული. იგი პაპს თხოვდა, რომ სამეგრელოში გამოეგზავნა შალისა და აბრეშუმის ქსოვაში დახელოვნებული რამოდენიმე მისიონერი. თავის მხრივ, ლევანი პირობას დებდა: „პატრებს მივიღებთ პატივითა და ხელგაშლილობით, თავიანთი არჩევნების მიხედვით მივცემთ სახლებს, მოსამსახურეებს, კარ-მიდამოს და ყოველივე იმას, რაც კი მათ დასჭირდებათ ადვილი და წყნარი ცხოვრებისათვის“[74]. ასე რომ, დონ ჯოზეფო ჯუდიჩეს ელჩობას ერთი მიზანი

ჰქონდა: შალისა და აბრეშუმის მქსოველი ოსტატი მისიონერების ჩამოყვანა საქართველოში, რათა მათ ადგილობრივ განეკითარებინათ ეს ხელობა.

პაპი ინოკენტი X-ს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ლევან დადიანის თხოვნა. მან გასცა განკარგულება, რომ მოენახათ კაპუჩინ მისიონერებს შორის მღვდლები, რომელთაც ეცოდინებოდათ ქსოვა და თეატინელ მისიონერებთან ერთად გამგზავრებულიყვნენ საქართველოში. რომში ჯუდიჩეს ორი ახალი მისიონერი გადასცეს. ესენი იყვნენ თეატინელები ჯოვანი მონტი მილანელი და დონ ჯაკომო ანტონიო მარცი კრემონელი[75]. ჩვენ არ ვიცით ესენი იყვნენ თუ არა შალისა და აბრეშუმის მქსოველი მისიონერები.

1646 წლის მარტში დონ ჯოზეფო ჯუდიჩე ხსენებულ მისიონერებთან ერთად იტალიიდან კონსტანტინოპოლის მიმართულებით გამოემგზავრნენ. დარდანელში ჩასვლისთანავე ისინი თურქეთის მთავრობამ დაატყვევა, რადგან ჯაშუშებად მიიჩნია და კონსტანტინოპოლში გადაგზავნა. აქ მათ ხუნდები დაადეს და საპყრობილეში ჩასვეს. თურქებმა დაპატიმრებული პატრები შეურაცხყვეს. დონ ჯოზეფო ჯუდიჩე ციხეში გარდაიცვალა.

აქვე არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ შევაფასოთ დონ ჯოზეფო ჯუდიჩეს მოღვაწეობა სამეგრელოში. ამ თეატინელმა მისიონერმა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სახარებისეული თავმდაბლობა და ქართველებისადმი კეთილმოსურნეობა, მუხლჩაუდრეკლად ოცდაექვსი წელი სამეგრელოში. მან თავისი კეთილი გული, ცოდნა და უნარი უანგაროდ მოახმარა ოდიშის კულტურულ-საგანმანათლებლო, სულიერ და პოლიტიკური საქმეებისადმი სამსახურს. ჯუდიჩემ დაგვიტოვა ძვირფასი ცნობები, რომელიც ეხება სამეგრელოს სამთავროს სოციალურ-ეკონომიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და მართლმსაჯულების საკითხებს. ამ საქმეში იგი ცნობილი თეატინელი მისიონერის დონ არქანჯელო ლამბერტის წინამორბედია.

კონსტანტინოპოლში დატყვევებული მისიონერები ჯოვანი მონტი და დონ ჯაკომო ანტონიო მარცი საფრანგეთისა თუ ვენეციის ელჩის შემწეობით გათავისუფლდნენ. მათ კონსტანტინოპოლში შეუერთდა ერთი თეატინელი მისიონერი გაეტანო დ'ალესანდრო და მორჩილი ძმა კლაუდიო. ეს ოთხივე მისიონერი 1647 წლის 6 აგვისტოს სამეგრელოში ჩავიდნენ. ლევან დადიანი დიდად დაამწუხრა დონ ჯოზეფო ჯუდიჩეს ბედმა. მის სიკვდილში იგი თავის თავსაც ადანაშაულებდა,

რადგან მან გაგზავნა ჯუდიჩე საგანგებო დავალებით რომში და ბრუნდებოდა უკან იქიდან. ჯუდიჩეს სახით ახლა მთავარს დააკლდა ერთი გონიერი მრჩეველი დასავლეთთან ურთიერთობის საკითხებში[76].

1647 წლისათვის სამეგრელოში უკვე ექვსი თეატინელი მისიონერი მოღვაწეობდა, მაგრამ ახლად ჩამოსულ მისიონერთაგან გაეტანო დ'ალესანდრომ ვერ აიტანა კოლხეთის ბუნებრივი პირობები და ბალე გარდაიცვალა.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად კმაყოფილი დარჩა ლევან II დადიანი ჯუდიჩეს ელჩობის შედეგებით. მხოლოდ ცნობილია, რომ ამის შემდეგ მთავარმა გადაწყვიტა კავშირი დაემყარებინა იტალიის ერთ-ერთ პროვინციასთან, ტოსკანის დიდ ჰერცოგ ფერდინანდ II-თან. ლევანმა მასთან წერილი გაატანა დონ არქანჯელო ლამბერტის, რომელიც 18 წელი საქართველოში ყოფნის შემდეგ, 1649 წლის სექტემბერში სამშობლოში ბრუნდებოდა. ეს წერილი ადრესატს დონ არქანჯელო ლამბერტიმ ჩაუტანა.

ამ ეპისტოლეში, რომელიც დაწერილია 1649 წლის 3 მაისს, ლევან დადიანი ტოსკანის დიდ ჰერცოგს თხოვდა, გამოეგზავნა „ყველა ხელოვნებაში გამოცდილი ადამიანები". აქვე მთავარი ფერდინანდ II-ს წერდა: „იმის გამო, რომ ჩემი უფროსი ვაჟიშვილი ავად გახდა და აქამდე ვერავინ შეძლო მისი განკურნება, მე მეჩვენა მიზანშეწონილად დამევალებინა თეატინელი მამა დონ არქანჯელო ლამბერტისათვის, რათა მან აუხსნას თქვენს ბრწყინვალებას ჩემი საჭიროება. ვიმედოვნებ თქვენს გულმოდგინებაზე და დახმარებაზე. მოკლედ, ჩემს მხრიდან ვპირდები თქვენს ბრწყინვალებას ყოველგვარ მხარდაჭერას"[77].

თუ ამ ციტირებულ ადგილს განვიხილავთ წერილისა და შინაარსის თვალსაზრისით, უნდა ვაღიაროთ, რომ მასში დიპლომატიური თავაზიანობის ძალზე მაღალი დონეა გამოვლენილი. აქ არ არის ორაზროვანი დემარში და დედანი არ თხოულობს განმარტებებსა და დაზუსტებებს გათვალისწინებული სუბიექტისათვის, როგორც ეს ჩვეულებრივად დიპლომატიას ახასიათებს. წერილი უაღრესად სრულყოფილია და თავისი სტილით ობიექტური ვითარების მაჩვენებელი.

ხსენებული წერილის მიხედვით, ლევან დადიანმა მისიონერების მეშვეობით კარგად იცოდა ტოსკანის დიდი საჰერცოგოს ძლიერების საფუძვლები. იმდროინდელ ტოსკანის წვრილ აბსოლუტისტურ სახელმწიფოში დიდად იყო განვითარებული მეაბრეშუმეობა და იქ საქ-

მიანობდნენ მაღალკვალიფიციური ხელოსნები[78]. ცხადია, ამას გულისხმობს ალბათ ზემოხსენებულ წერილში ფრაზა, რომ ტოსკანაში არიან „ყველა ხელოვნებაში გამოცდილი ადამიანები“. ვფიქრობთ, ფერდინანდ II-ს ლევან დადიანი თხოვდა აბრეშუმის მქსოველი ოსტატების გამოგზავნას.

ტოსკანის დიდ ჰერცოგს ფერდინანდ II-ს უპასუხოდ არ დაუტოვებია ლევან დადიანის წერილი. 1651 წლის 1 აპრილით დათარიღებულ წერილში ოდიშის მთავარს მის ძირითად თხოვნაზე იგი პასუხობს: „მე ვუბრძანე, რომ აღმოუჩინონ ეს სამსახური თქვენს უმაღლესობას დონ არქანჯელო ლამბერტის თანაამხანაგების საშუალებით“[79]. ამასთან ერთად, ფერდინანდ II მაღალ შეფასებას აძლევდა ლევან დადიანის მიერ მისიონერებისადმი გაწეულ სამსახურს და იმედს გამოთქვამდა, რომ იგი მომავალშიც არ დაიშურებდა მათზე ზრუნვას. თავის მხრივ კი მზად იყო, სამსახური გაეწია სამეგრელოს მთავრისათვის[80].

ტოსკანის დიდ ჰერცოგთან ლევან დადიანის ურთიერთობა უშედეგო გადაწყვეტილებების სფეროს არ გასცილებია. საერთოდ კი ლევან დადიანის ევროპაზე აღებულ გეზს ნავარაუდევ გეგმებში შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, მისი ორიენტაცია ევროპაზე სასარგებლო ნაყოფის შემცველი იყო იმ მხრივ, რომ ევროპის ქვეყნებთან სარწმუნოებრივ-კულტურულ და ეკონომიკურ კავშირში ხედავდა იგი სწორედ ქვეყნის პროგრესული გზით განვითარების საწინდარს.

როგორც ვთქვით, 1649 წლის 18 ოქტომბერს დონ არქანჯელო ლამბერტი იტალიაში გაემგზავრა. იგი დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში. მისი წასვლით თეატინელთა მისიონს ოდიშის სამთავროში დააკლდა დიდი სამისიონერო გამოცდილებისა და საკმაოდ მაღალი ავტორიტეტის მქონე პიროვნება. საქართველოში კათოლიკობის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარის მიხეილ თამარაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დონ არქანჯელო ლამბერტიმ ქართველ ერს დიდი სულიერი და ხორციელი სამსახური მიაგო. იგი თავისი მოღვაწეობით ქართველი ხალხის ხსოვნაში ერთ-ერთი მარად წარუშლელი ადამიანია. ჩვენთვის ასევე ძვირფასი საგანძურია ის ორი წიგნი, რომელიც მან დაგვიტოვა ქართველებს. ესაა: „ცნობები კოლხეთზე სამეგრელოდ წოდებულზე“ (1654 წ.) და „წმიდა კოლხეთი“ (1657 წ.), რომელიც მან ნეაპოლში გამოაქვეყნა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყ-

ვით, რომ ამ ნაშრომებით დონ არქანჯელო ლამბერტი შეიძლება ჩაითვალოს იმ პირველ უცხოელად, რომელმაც შეისწავლა სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. ასევე ეს ნაშრომები უნდა ჩაითვალოს იმ პირველ გამოკვლევებად, რომლებიც მეტნაკლები მეცნიერული დახვეწილობით წარმოდგენას უქმნიან ევროპელ მკითხველებს საქართველოზე, კერძოდ სამეგრელოზე.

მართალია, ლევან დადიანსა რეალური დახმარება ვატიკანისაგან ვერ მიიღო, მაგრამ რომისადმი იმედი, ალბათ, მასში არ განელებულა და მისიონერებს უწინდელ მფარველობას არ აკლებდა. აქედანაც ჩანს, რომ ლევანის გაკათოლიკებას მარტო პოლიტიკური მიზანი არ ედო საფუძვლად. იგი რელიგიური მოტივითაც იყო ნასაზრდოები. სწორედ ეს განსაზღვრავდა იმას, რომ ლამბერტის წასვლის შემდეგ სამეგრელოში მისიონი არ შემცირებულა. ახლა სამისიონერო მოღვაწეობის სიმძიმე სამ თეატინელთან ერთად მხრებზე დააწვა დონ კრისტოფორო კასტელის.

1652 წელს კასტელი რომს თხოვდა, რომ გამოეგზავნათ მისიონერები, რადგან „მისიაში დიდი ნაყოფის გამოღების იმედი ჰქონდათ, თუ ეყოლებოდათ დამტკიცებული მისიონერები“[81]. ამას ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1651—1652 წლებში კასტელიმ დაახლოებით 800-მდე ბავშვი თუ ახალგაზრდა მონათლა. მათ ასევე მონათლეს სამთავროს მრავალი წარჩინებული პირი და მათი შვილები.

1654 წელს, საქართველოში 22 წლის მანძილზე მოღვაწეობის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა დონ კრისტოფორო კასტელი. იგი 14 წლის განმავლობაში ეწეოდა სამისიონერო მუშაობას ოდიშის სამთავროში. როგორც ლამბერტის, ასევე კასტელის სახელი მარად დაუვიწყარი იქნება მადლიერი ქართველი ხალხის ხსოვნაში. ფასდაუდებელი ღირებულებისაა მის მიერ შესრულებული ათასზე მეტი ნახატი, საიდანაც შემოგვცქერის მთელი გალერეა საერო თუ სასულიერო მოღვაწეებისა და მშვენიერი ქართველი ქალებისა. დიდი ისტორიული მნიშვნელობისაა მისი წერილები და ჩანაწერები საქართველოზე.

კასტელის მიჯნურივით უყვარდა ჩვენი ქვეყანა. ამ სიყვარულის უტყუარი გამომხატველია მისი შემდეგი ნათქვამი: „საქართველო ჩემი სატრფო იყო 26 წლის განმავლობაში“[82] — ო, ცხადია, გრძნობით ნათქვამ ამ სიტყვებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. საქართველოსადმი კასტელის დიდ სიყვარულს ჩვენი ხალხიც გრძნობდა და მად-

ლიერმა ქართველებმა აკი ამიტომაც შეიყვარეს იგი მთელი გულით. ამ მისიონერს ძალზე დიდ პატივს სცემდა ლევან დადიანი. ამას უტყუარად ასაბუთებს ეს ფაქტი: როცა კასტელი სამშობლოში ბრუნდებოდა, მთავარმა პირადად მოაგვარა მისი მგზავრობა კონსტანტინოპოლამდე. „ლევანს მისთვის მიუცია სათანადო საბუთი, რომლის საფუძველზე კასტელის უშიშრად შეეძლო ემოგზაურა კონსტანტინოპოლამდე და საჭიროების შემთხვევაში, გემის გაჩერების დროს, მას თავისუფლად შეეძლო გადასულიყო ხმელეთზე. გარდა ამისა, ლევან დადიანს სპეციალურად დაუვალებია გემის კაპიტან მუსტაფასათვის, რომ ეს პიროვნება უხიფათოდ ჩაეყვანა კონსტანტინოპოლში, სადაც მას პატრონობას გაუწევდა საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში დე ლა ე“[83].

კასტელისთან განშორება არ იქნებოდა ადვილი ლევან დადიანისათვის. არც ოდიშელები ელეოდნენ იოლად ორ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველების სამსახურში მყოფ უანგარო მოძღვარს. „როცა გემამდე მივედით, — წერს კასტელი, — და იმ ჩემმა გამცილებლებმა მიხილეს, ყველა ძალიან ტიროდა, პირი ცისკენ მიიბრუნეს, ჰაეროვან ამბორს მიგზავნიდნენ და მეტად გულმდუღარე სიტყვებს წარმოთქვამდნენ“[84].

დაბოლოს, დონ არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯოზეფო ჯუდიჩე და დონ კრისტოფორო დე კასტელი საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერთა გალერეაში ყველაზე გამორჩეული პიროვნებები არიან. ისინი ჩვენი ქვეყნის დუხჭირი ცხოვრების მარტოოდენ გულგრილი დამკვირებლები როდი იყვნენ, არამედ უშუალოდ მონაწილეობდნენ მასში და დიდი გულისტკივილით განიცდიდნენ მას. ეს გულმართალი და პატიოსანი პატრები თავიანთ მოღვაწეობაში კათოლიკობის გავრცელების ვიწრო მიზნებით არ შემოიფარგლებოდნენ. მათთვის დამახასიათებელი თვისებები: გაჭირვებაში გამძლეობა, გასაოცარი უანგარობა, მახლობლებთან ძმური ურთიერთობა, ქრისტიანულ მორალზე დამყარებული კეთილშობილური ჰუმანიზმი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში. საერთოდ, თეატინელ მისიონერთა „მრავალი რელაცია, ნაწერი თუ ნახატი დღესაც ბევრს გულს შეუძრავს მადლიერების გრძნობით“[85]. აქვე მართებულად მივიჩნევთ ასევე ვთქვათ, რომ თეატინელ მამათა ღვაწლი განსაკუთრებულია საქართველოს ცხოვრებაში. მათი შრომითა და გავლენით ჩვენს ქვეყანაში გაიფურჩქნა რელიგიური

და კულტურული ცხოვრება. ასევე, ვფიქრობთ, არ გადავამეტებთ თუ ვიტყვით: თეატინელი კათოლიკე მოძღვრები აღჭურვილნი იყვნენ არა მხოლოდ თეოლოგიური ფრაზებითა და ლიტურგიული დოგმებით, არამედ მათ ჰქონდათ დიდი სიყვარული ადამიანების მიმართ. პატრებს ებრალებოდათ ღარიბები და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდნენ მათი მდგომარეობის შემსუბუქებას. ახლადმონათლული გლეხი ხედავდა, თუ რა მჭიდრო კავშირი არსებობდა კათოლიკურ მოძღვრებასა და მის საარსებო საჭიროებებსა და ეკლესიის პრაქტიკას შორის. ამიტომ კათოლიკეთა ეკლესიაში პოულობდნენ ისინი თავშესაფარს, განათლებას და კათოლიკე მისიონერების სახით მფარველებს.

1659 წლისათვის სამეგრელოში მხოლოდ ოთხი თეატინელი მისიონერი იყო. ესენი იყვნენ: ჯოვანი მონტი, ჯაკომო მარცი, იოზეფ მარია ძამპი და ანდრია ბორომე. ეს უკანასკნელი მისიონის პრეფექტი იყო. ამ პატრების მოღვაწეობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ისინი წარმატებით განაგრძობდნენ ნათლობას. მხოლოდ 1659 წელს მათ 300 სულზე მეტი მონათლეს. წიფურიას სკოლაში დიდი გულმოდგინეებით წვრთნიდნენ მოსწავლეებს ღვთისმეტყველებაში. მათ ასწავლიდნენ „მამაო ჩვენოს", „გიხაროდენს", „მრწამსს", ღვთის მცნებათა და სხვა ლოცვებს, ამავე დროს — წირვის დროს დახმარებასაც[86].

1657 წლის 17 მარტს ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი უეცრად გარდაიცვალა. მომდევნო, 1658 წელს კი — სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოსი ნიკიფორე ირბახი. ბუნებრივია, ეს აუნაზღაურებელი დანაკარგი იყო მისიონერებისათვის, რადგან ამით თეატინელთა მისიონი ფაქტობრივად მფარველთა გარეშე დარჩა. უამისოდ კი სერიოზული წარმატებების მიღწევა შეუძლებელი იყო, თუმცა მოვლენები ამ მიმართულებით არ განვითარებულა. პატრებს ლევან დადიანის შემდგომი სამეგრელოს მთავრების პატივი და მზრუნველობა არ მოჰკლებიათ.

ლევან დადიანს პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია. მთავრის ტახტი დაიკავა ლევანის ძმისწულმა ლიპარიტ III-მ (1657—1658), რომლის მთავრობა ხანმოკლე აღმოჩნდა. საქმე ის იყო, რომ ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ იწყება იმერეთის სამეფოს განუწყვეტელი ომი დადიანებთან. 1658 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ (1639—1660) დაამარცხა ლიპარიტ დადიანი და მის ნაც-

ვლად ოდიშის სამთავროს ტახტზე თავისი კაცი, ვამეყ III დადიანი დასვა. იგი თავის შეუღლესთან ერთად დიდად წყალობდა კათოლიკე მამებს. მთავრის ორი შვილი და მრავალი ქვეშევრდომი პატრებმა კათოლიკური წესით მონათლეს[87].

წყაროთა უქონლობის გამო ძნელია ითქვას, თუ კონკრეტულად რა დამოკიდებულებას იჩენდა ვამეყ III დადიანი მისიონერების მიმართ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი პატრებთან საუცხოო დამოკიდებულებაში იყო. სხვა შემთხვევაში ეს ასახვას ჰპოვებდა მისიონერების მიერ 1661—1663 წლებში რომში გაგზავნილ წერილებში, რომლებიც ასე საკმაოდ გვაქვს.

ვამეყ III დადიანის შემდეგ ოდიშის მთავარი გახდა ლევან III დადიანი (1661—1680). მისი მთავრობის დრო აღსანიშნავია იმით, რომ მიმდინარეობდა განუწყვეტელი ბრძოლა იმერეთის მეფე ბაგრატ IV-თან (1660—1681) და პირიქით. ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები აღნიშნულ პერიოდში ერთმანეთთან ეწეოდნენ გაუთავებელ უაზრო ომებს, რომელიც XVII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა და შედეგად სრული ანარქია მოიტანა.

ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებდა მისიონერთა საქმიანობაზე. იყო დამატებითი მიზეზებიც. კერძოდ, ბუნებრივი პირობებიც ღალატობდა პატრებს. ჯოვანი მონტიმ და ჯაკომო მარციმ ვერ აიტანეს კლიმატური პირობები, დასნეულდნენ და გარდაიცვალნენ. ახლა აქ დარჩა მხოლოდ პრეფექტი ანდრია ბორომე და იოზეფ ძამპი. ურიცხვი მრევლის სულიერ და ხორციელ საჭიროებას ეს ორი პატრი ვერ აუდიოდა. ამიტომ მათ არაერთხელ მისწერეს რომში, რომ გამოეგზავნათ მისიონერები, მაგრამ სამეგრელოში შექმნილი მდგომარეობის გამო აქ წამოსვლას ადვილად ვერავინ ბედავდა. ასეთ ვითარებაში ანდრია ბორომემ რომში წასვლა გადაწყვიტა. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, ის იყო, რომ იგი დასნეულდა და მუშაობა აღარ შეეძლო და, მეორეს მხრივ, ის, რომ მას უნდოდა ახალი მისიონერები ეშოვა სამეგრელოში გამოსაგზავნად.

ეს გადაწყვეტილება ანდრია ბორომემ მთავარს ლევან III დადიანს შეატყობინა. ამ უკანასკნელს ემძიმებოდა მასთან განშორება, მაგრამ იმ პირობით გაუშვა, რომ თუ სხვა მისიონერებს ვერ მოძებნიდა, მაშინ თვითონ მაინც მობრუნებულიყო. რომში პროპაგანდამ თეატინელთაგან ვერავინ ნახა სამეგრელოში წამოსვლის მსურველი. მაშინ დააპირეს ამ დროს ქართლში მიმავალი კაპუჩინების გამოგზავნა.

ამან თეატინელთა ხელმძღვანელობა დააფიქრა, რადგან სამეგრელოს ნაყოფიერი მისიონი სხვა ორდენის მისიონისათვის არ ემეტებოდათ. ამიტომ მალე ოდიშში წამოსვლის მსურველებიც აღმოჩნდნენ.

1663 წლის 7 დეკემბერს სამეგრელოში ჩამოვიდნენ თეატინელი მისიონერები პეტრე ჯირჯენტი, ანდრია ნესტა და კარლო ჯულიანი. მათი ჩამოსვლა დიდად ეამა მთავარს და სხვა ოდიშელებს. ახალი პატრები დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ მუშაობას. მათმა მისიონმა უწინდელი აღორძინება დაიწყო. 1665 წელს იოზეფ ძამპი რომში ატყობინებდა: „მთავარმა ბევრი თავადაზნაურის შვილი მოგვანდო კათოლიკე სარწმუნოებაში გასაწვრთნელად; ჩვენს ეკლესიაში მეგრელები მრავლად მოდიან, ქადაგებას, წირვა-ლოცვას მხურვალედ ისმენენ, აღსარებას გვეუბნებიან და ეზიარებიანო“[88].

ამ წარმატებებმა რომში დიდი კმაყოფილება გამოიწვია. 1667 წელს ორი ახალი მისიონერი ჯაკომო ვიკარიოსა და ჯოზეფო ტორიჩელი გამოგზავნეს. ამ დროს იმერეთის მეფე ბაგრატ IV-სა და ლევან III დადიანს შორის ატეხილი ომის შედეგად ოდიშის სამთავრო აკლებული იყო. მისიონერების სახლი და ეკლესია ამ ომის შედეგად განადგურდა, ყველა მათი ავეჯეულობა მოძალადეებმა იმერეთში წაიღეს და ერთ-ერთი პატრი ტყვედაც წაიყვანეს, რომელიც შემდეგ გაათავისუფლეს.

1665 წელს თეატინელთა მისიონის პრეფექტი იოზეფ ძამპი იტალიაში დაბრუნდა. პროპაგანდამ მისი შემცველი ვერავინ ნახა და ისევ მას თხოვა, რომ სამეგრელოში დაბრუნებულიყო. 1669 წლის სექტემბერში ძამპი უკვე წიფურიაში იყო. მან დაუღალავი შრომით ფეხზე დააყენა მრავალჯერ განადგურებული მისიონი და უწინდელი ბრწყინვალება დაუბრუნა. 1670 წლის 15 დეკემბერს რომმა, რადგან სამეგრელოში სამოღვაწეოდ მისიონერებს ადვილად ვერ პოულობდნენ, ძამპის თხოვა პროპაგანდის კოლეჯში ორი ახალგაზრდა ქართველი კათოლიკე გაეგზავნა, რათა განსწავლულნი კურთხეულიყვნენ მღვდლად და უკან დაბრუნებულიყვნენ სამეგრელოს მრევლში სამუშაოდ.

იოზეფ ძამპის პროპაგანდის კოლეჯისათვის ნიჭიერი ახალგაზრდები შეურჩევია, მაგრამ მათი რომში გაგზავნა ვერ მოხერხებულა. ამის მიზეზი გარკვეულად ჩანს ძამპის მიერ 1674 წელს რომში გაგზავნილ წერილში. იგი წერდა: „დაუსრულებელმა ომებმა, ურთიერთშორის უთანხმოებამ არ მომცა საშუალება ჩემი ყველა კეთილი სურ-

ვილი ამესრულებინა"[89]. მიუხედავად ამისა, 1679 წლის 24 აგვისტოს სამეგრელოში სამი ახალი თეატინელი მისიონერი ონორატ დრაგო, გაეტანო ტურკო და ფრანჩესკო ბეძი ჩამოვიდა. იმავე წლის 14 სექტემბერს ძამპი სამშობლოში დაბრუნდა. მან 25 წელი იმოღვაწა სამეგრელოში. იგი თვითმხილველი იყო იმ შინაომებისა და პოლიტიკური ქარიშხლებისა, რომლებიც განუწყვეტლივ მძვინვარებდა მაშინდელ დასავლეთ საქართველოში. მიუხედავად ამ წარმოუდგენელი სიძნელეებისა, მას ქართველთა სულიერი სამსახურისა და კათოლიკობის საქადაგებლად ძალა და ენერგია არ დაუშურებია. ძამპიმ დაგვიტოვა ვრცელი თხზულება სამეგრელოს ეკლესიის შესახებ, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი ისტორიული მნიშვნელობა. ამ მხრივ იგი შეიძლება აღნიშნული საკითხის პირველ უცხოელ მკვლევრად ჩავთვალოთ[90].

იოზეფ მარია ძამპის წასვლის შემდეგ სამეგრელოში დარჩა ოთხი თეატინელი მისიონერი და ერთი მორჩილი ძმა. მათაც შეუწყვეტელი ომის პირობებში უხდებოდათ საქმიანობა, მაგრამ ეს ვერ ასუსტებდა წარმატებების მიღწევის იმედებს. განგებაც პატრებს არ აკლებდა გულმოწყალე და მფარველ მთავრებს სამეგრელოში.

ლევან III დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშის სამთავრო მოიცვა საშინელმა ანარქიამ. ამით ისარგებლეს აფხაზმა ფეოდალებმა და თანდათან დაიკავეს ტერიტორია მდ. კოდორიდან მდ. ენგურამდე. ამ ტერიტორიაზე გაბატონდა აფხაზთა მთავრის სუსტარ შერვაშიძის ვაჟი სორეხ შერვაშიძე, რომელმაც თავი მთავრად გამოაცხადა, მაგრამ მან ვერ შეძლო მთელი ოდიშის დაპყრობა.

სორეხ შერვაშიძემ მისიონერებს არაჩვეულებრივი პატივი და სიყვარული მიაგო. პირველ რიგში მან თავისი ხარჯით პატრებს აუშენა სახლი და შეუკვეთა ეკლესია. რაც კი შეიძლებოდა, გატაცებული საეკლესიო ნივთები დააბრუნებინა და დანაკლისი თვით შეავსო. იგი იმდენად მჭიდრო კონტაქტში იყო მისიონერებთან, რომ ყოველდღე დადიოდა მათ წირვაზე და თვითონვე ეხმარებოდა „წირვის დროს, რაც იშვიათი მაგალითი იყო ევროპის მთავრებშიც კი"[91]. ეს იმდენად კერძო ხასიათის შემთხვევაა, რომ ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია ვთქვათ: სორეხ შერვაშიძემ კათოლიკობა მიიღო.

ამ მხრივ უფრო შორს წავიდა ოდიშის მთავარი ლევან IV დადიანი (1683—1691). „ახლანდელ მთავარს ძლიერ ვუყვარვართ, — წერდა 1687 წლის 4 იანვარს გენუიდან პატრი გაეტანო რასპინი პროპა-

განდას, — სულ მუდამ ჩვენთან მოდის სადილად და აგრეთვე წირვის დროს მოსახმარებლად; რაც ამ მხარეს მიხიონი გვაქვს, ასეთი ამბავი ჯერ არავის სმენია. გარდა ამისა, ჩვენი რჩევით გამოსცა ბრძანება, რომლითაც სიკვდილის სასჯელით უკრძალავს ყველას ყმაწვილების გაყიდვას"[92]. აქედან მკითხველი ადვილად გამოიტანს დასკვნას, თუ რა ნაყოფის მიღება შეეძლოთ მისიონერებს ასეთი მესვეურის მფარველობის ქვეშ, მაგრამ რომში ამ დროს უკვე დადგენილი ჰქონდათ, რომ თეატინელები სამეგრელოდან გაეწვიათ.

მიუხედავად ამისა, თეატინელ მისიონერებს გადაუწყვიტავთ, რომ მისიონი არ დაეთმოთ. ჩვენი აზრით, რამდენადაც თეატინელთა ორდენს ერთადერთი მისიონი შაშინ სამეგრელოში ჰქონდა, ისინი თავისი ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით არ ტოვებდნენ ოდიშის სამთავროს. 1691 წელს რომიდან თეატინელი პატრი გაეტანო კავაცა ჩამოვიდა, რომელიც 1694 წელს გარდაიცვალა. დარჩენილი ორი მისიონერიდან გაეტანო ტურკომ — 1699 წელს, ხოლო ჯოზეფო ტორიჩელიმ — 1700 წელს ოდიშის ცის ქვეშ ჰპოვა სასუფეველი. ამით უნდა დასრულებულიყო თეატინელთა მისიონი ოდიშის სამთავროში, მაგრამ ირკვევა, რომ 1701 წლის 21—26 ივნისს ფრანგი მოგზაურისა და ბუნებისმეტყველის ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის თბილისში ყოფნის დროს წიფურიაში იმყოფებოდა ერთი თეატინელი მამა, რომელიც აქ დიდი უფლებებით სარგებლობდა[93].

საკვირველია, ასეთი წარმატებული მისიონერული მუშაობის მხარეში თეატინელების შემდეგ, თუ რატომ არ დამკვიდრდნენ კაპუჩინელი პატრები. ამის შესახებ პირველწყაროები სდუმან, თუმცა უნდა შევიჩნიოთ, რომ ოდიშის სამთავროში კაპუჩინელები განაგრძობდნენ თეატინელთა ტრადიციებს და აქ ისინი XVIII საუკუნის ბოლომდეც მოღვაწეობდნენ. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს შემდეგი მცირე ცნობა. 1786 წლის 16 დეკემბერს პროპაგანდა ფიდე თბილისში კაპუჩინთა პრეფექტს პატრ ანდრეას წერილობით მადლობას უცხადებდა სამეგრელოში ორი მისიონერის გაგზავნის გამო. „იქ დადიანს, — ვკითხულობთ ამ ცნობაში, — თავისი ხარჯით აუშენებია მათთვის ეკლესია, ამიტომ დიდი ნაყოფის მიღების იმედი ჰქონიათ"[94]. სამწუხაროდ, მეტის თქმის საშუალება არ გვეძლევა ოდიშის სამთავროში კაპუჩინელთა მოღვაწეობის შესახებ.

თ ა ვ ი IV. კაპუჩინი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში XVII–XVIII საუკუნეებში

§ 1. კაპუჩინი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში დიპლომატიურ კულტურულ-საგანმანათლებლო და სარწმუნოებრივ სარბიელზე

1638 წლის მარტში თეატინელი მისიონერების უკანასკნელმა ჯგუფმა დატოვა გორი და პრეფექტ დონ პიეტრო ავიტაბილეს მეთაურობით გადავიდა დასავლეთ საქართველოში. ასე რომ, 1638 წლიდან გორში თეატინელი მისიონერები აღარ იყვნენ. ბუნებრივია, ასე კარგად დაწყებული და მეტად წარმატებული მისიონის აღნიშნული შედეგებით დასრულება პროპაგანდა ფიდესათვის ძალზე საწყენი იქნებოდა. ჩვენ არ ვიცით, ცდილობდა თუ არა ვატიკანი ისევ გამოეცოცხლებინა თეატინელთა მისიონი აღმოსავლეთ საქართველოში. ვფიქრობთ, პროპაგანდა ფიდეს ხელმძღვანელობა ვერ დაინტერესებდა გულგატეხილ თეატინელებს, რომ ქართლის სამეფოში ისევ განეახლებინათ სამისიონერო საქმიანობა. მიუხედავად ამისა, რომის მესვეურებს არ სურდათ, ხელი აეღოთ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა გაგზავნაზე. ამის დასტური იყო ის, რომ 1661 წლის 13 ივნისის დეკრეტით პროპაგანდამ საქართველოს მისიონი კაპუჩინებს მიანდო[1].

კაპუჩინ კათოლიკეთა ბერმონაზვნური ორდენი წარმოადგენდა ფრანცისკანელთა ორდენის განშტოებას. იგი დაარსდა 1520 წელს. მის დამაარსებლად ითვლება ფრანცისკანელი მათეო და ბაშიო. ეს უკანასკნელი იყო გონებაფხიზელი და ნიჭიერი ადამიანი. წამოაყენა რა ახალი ორდენის დაარსების იდეა, თვით მისცა მას მაგალითი. კერძოდ, ატარებდა წვერწამახულ პირამიდისმაგვარ კაპიუშონს, საიდანაც წარმოსდგა ორდენის სახელწოდება, მოუშვა გრძელი წვერი და თითქმის ფეხშიშველი დადიოდა. მათეო და ბაშიოს იდეა იყო, რომ აღედგინა ფრანცისკანელთა ადრეული ცხოვრების ასკეტური

ხასიათი. დიდი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ მათეომ 1520 წელს პაპი კლემენტი VII-საგან (1523—1534) მიიღო თანხმობა ორდენის დაარსების შესახებ.

აღნიშნული ორდენი ძალიან სწრაფად გაიზარდა. დიდი მოწონება და პოპულარობა დაიმსახურა მათმა პირამიდისმაგვარმა კაპიუშონებმა. 1529 წელს ორდენს უკვე ჰქონდა ბერ-მონაზვნებისათვის ოთხი სახლი. იმავე წელსვე დაიბეჭდა ორდენის წესდება, რომელიც პაპმა კლემენტი VII-მ მოიწონა. წესდების მიხედვით, ასკეტური ცხოვრების იდეა უარყოფილი იქნა, მაგრამ დამყარდა სასტიკი სიმკაცრე. გამეფდა ასკეტური უბრალოება და სიღარიბე ცხოვრებაში. ისინი თავგანწირული ღვთისმსახურები იყვნენ და უდიდეს დახმარებას უწევდნენ ღარიბებს. XVI საუკუნის ბოლოსათვის კაპუჩინთა რიცხვი ძალზე სოლიდური იყო. ისინი დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მოღვაწეობდნენ. 1619 წელს პაპმა პავლე V-მ (1605—1621) დაამტკიცა კაპუჩინთა დამოუკიდებელი ორდენი. ამ კანონიერი აღიარების შემდეგ მას უკვე ჰყავდა საკუთარი მმართველი, ორდენის გენერლის სახით.

მკაცრად ორგანიზებული კაპუჩინები განსაკუთრებული სიბეჯითითა და გულმოდგინებით მუშაობდნენ უღარიბესთა შორის და უქადაგებდნენ მათ კატეხიზმოს. საკუთარი სიღარიბისა და უმკაცრესი ცხოვრების წესის მეშვეობით კაპუჩინები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ უბრალო ხალხის გონებაზე. აღნიშნული საშუალებით ისინი კარგ შედეგებს აღწევდნენ. მათმა მისიონერულმა მუშაობამ იმთავითვე წარმატებით გაიკვლია გზა ევროპაში, აზიასა და ამერიკაში. XVII საუკუნის შუა წლებში ორდენს უკვე რომში ჰქონდა საკუთარი კოლეჯი, რომელიც უცხოელ მისიონერთა სამჯედლოს წარმოადგენდა. აღნიშნული ორდენის წარმომადგენლები დღემდე განაგრძობენ მუშაობას „ინდოეთში, აბისინიასა და თურქულ სამყაროში"[2]. ამჟამად მათ გააჩნიათ 824 თავშესაფარი და ჰყავთ 1000-ზე მეტი ბერი.

კაპუჩინთა ორდენის წესდების ასეთი მოკლე დახასიათება ერთი კონკრეტული აზრის გამოთქმის მიზნით დაგვჭირდა. კერძოდ, ვატიკანმა თეატინელ მისიონერთა რელაციების საფუძველზე კარგად იცოდა, რომ შაჰ აბასთან ბრძოლების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკა კატასტროფულად დაცემული იყო. ქვეყანაში უკიდურესი სიდუხჭირე და სიღატაკე სუფევდა. მართალია, როსტომ ხანისა და ვახტანგ V-ის მეფობის დროს ქვეყანას ერთი ამოსუნთქვის

დრო ჰქონდა, მაგრამ არა ისეთი, რომ იგი ეკონომიკურად კარგად მომძლავრებული სახელმწიფო ყოფილიყო. ცხადია, რომში ითვალისწინებდნენ რა ღარიბთა შორის კაპუჩინთა მოღვაწეობის გამოცდილებასა და მათი ცხოვრების წესებს, გადაწყვიტეს, საქართველოში ამ ორდენის მისიონერები გამოეგზავნათ. მოკლედ, მათი ცხოვრების წესი შეესაბამებოდა ჩვენს ქვეყანაში არსებულ პირობებს. ასეა თუ ისე, XVII საუკუნის 70-იან წლებში კაპუჩინებმა გზა გაიკვალეს საქართველოსაკენ.

ამრიგად, 1661 წლის 13 ივნისის დეკრეტით პროპაგანდა ფიდემ საქართველოში გამოგზავნა კაპუჩინთა პირველი ჯგუფი 8 კაცის შემადგენლობით. ესენი იყვნენ: ბონავენტურა სორენტოელი, ბერნარდო, წმ. ონოფრიო, კიპრიანე კავალი, ჯოზეფო ბორგოინანო, კარლო მარია სენტ-მარენი, ანდრია ტევრიკოელი და ანჯელო ვიტერბოელი. ამათგან ხუთი იყო პატრი და სამი მორჩილი ძმა. მათ პრეფექტად შვიდი წლით დაინიშნა პატრი ბონავენტურა სორენტოელი. თურქეთის ტერიტორიაზე ამდენი მისიონერის გავლა ძალზე საშიში იყო. ამიტომ იგი ორ ჯგუფად გაიყო. ერთ ჯგუფში შევიდა ხუთი კაცი — პატრი ბონავენტურა სორენტოელი, პატრი კიპრიანე კავალი, პატრი ბერნარდო, პატრი კარლო მარია სენტ-მარენი, ძმა ანდრია. ამათგან ოთხი — პრეფექტ ბონავენტურას მეთაურობით სამეგრელოში ჩავიდა. საერთოდ ამ ჯგუფის მგზავრობა უიღბლო აღმოჩნდა: თავდაპირველად ერთი პატრი კიპრიანე კავალი სმირნაში (იზმირი) გარდაიცვალა. ახლა სამეგრელოდან ქართლისაკენ ოთხი მისიონერი გაემგზავრა. პრეფექტ ბონავენტურას მდინარეზე გადასვლისას ცხენი წაექცა, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. ამით შეშინებული სხვა მისიონერები უკან დაბრუნდნენ სამეგრელოში. ერთი მათგანი პატრი ბერნარდო კი კონსტანტინოპოლში გაბრუნდა, ხოლო ორი კაპუჩინი პატრი კარლო მარია სენტ-მარენი და ძმა ანდრია ტევრიკოელი სამეგრელოში დარჩნენ თეატინელებთან და მათთან ერთად შეუდგნენ მისიონერულ მოღვაწეობას. თბილისში კაპუჩინთა მეორე ჯგუფის ჩამოსვლის შემდეგ, ჩანს, კარლო მარია სენტ-მარენი აქ გაღმოვიდა.

კაპუჩინელ მისიონერთა სამი კაცისაგან შემდგარი მეორე ჯგუფი ირანის გავლით 1663 წლის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა. როგორც ირკვევა, რომში დიდი იმედი არ ჰქონდათ, რომ ქართლის მაჰმადიანი მეფე პატრებს მფარველობას გაუწევდა. ალბათ ამის გამო იყო, რომ მათ მეფე ვახტანგ V-თან (1658—1675) რომის პაპის სარე-

კომენდაციო წერილი არ მიჰქონდათ. წინაალმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, სხვა სარეკომენდაციო წერილებთან ერთად პატრებს რატომ არ ჰქონდათ მსგავსი წერილი მეფის სახელზე. მიუხედავად ამისა, ვატიკანის მოლოდინი ბევრად მოულოდნელი აღმოჩნდა.

თბილისში ჩამოსული მისიონერები (ესენი უნდა ყოფილიყვნენ პატრები ჯოზეფო ბორგოინანო, წმიდა ონოფრიო და ძმა ანჯელო ვიტერბელი. ჩანს, ამათგან ერთ-ერთის ნაცვლად გამოემგზავრა პატრი სერაფინო მელიკოკა) პირველად მიიღო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დომენტი II-მ (1660—1676). მათზე მზრუნველობა ითავა ვახტანგ V-ის პირადმა ექიმმა — ქიოსელმა ბერძენმა ანდრია ეპიფანემ — კათოლიკემ, რომელსაც რომში პაპის კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული. ამ უკანასკნელმა მისიონერები წარუდგინა მეფეს, რომელმაც ისინი დიდი პატივის გამოვლენით მიიღო და თბილისის ცენტრში ორი სახლი აჩუქა: ერთი საცხოვრებლად, ხოლო მეორე წირვა-ლოცვების დასაყენებლად.

ქართლის სამეფოში ჩამოსული მისიონერების პრეფექტად დაინიშნა პატრი სერაფინო მელიკოკა. ისინი თავისუფლად შეუდგნენ წირვა-ლოცვის შესრულებას. მათ მიერ პირველად დაყენებულ წირვას უამრავი ხალხი დაესწრო. საგულისხმოა ის, რომ კათოლიკეთა წირვას თვით მეფე ვახტანგ V და დედოფალი მარიამ დადიანი ესწრებოდნენ. ეს უკანასკნელი როგორც თეატინელებს, ისე კაპუჩინებსაც გარდაცვალებამდე (1682 წ.) მფარველობასა და თანაგრძნობას არ აკლებდა. ეს, ბუნებრივია, მისიონერებს მომავალი წარმატების იმედებს უნერგავდა.

პატრები ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ მთავარი პრობლემის, ქართული ენის შესწავლის, მოგვარებას. ამ საქმეში მათ დიდი დახმარება გაუწია უნიატმა ანდრია ეპიფანემ. იგი ასწავლიდა მისიონერებს ქართულ ენას. მას განუზრახავს, შეედგინა წიგნი ქართულ ენაზე შვიდი საიდუმლოების შესახებ, რათა კათოლიკე მამებს ქართველ მღვდლებთან სჯა-ბაასის დროს თავისუფლად შესძლებოდათ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა[3]. მაგრამ მისიონერებისათვის ყველაზე უმთავრესი საკითხი იყო გადასაჭრელი. საქმე ისაა, რომ კაპუჩინთა მოღვაწეობის გაშლას ქართლის სამეფოში ხელს უშლიდა მატერიალური სიდუხჭირე. მათი ღარიბული ცხოვრების წესის გამოყენება საქართველოში არაეფექტური გამოდგა, რადგან „აკიდებული ტომრებით კარდაკარ სიარული საჭირო სურსათის სათხოვნელად“ მისი-

ონერთა ავტორიტეტს ხალხში, კერძოდ, მათი სულიერი გავლენის ქვეშ მყოფ ქართველებში შეარყევდა. ეს ადვილი შესაძლებელი იყო, რადგან ქართველ ხალხს შეიძლება ვერ აღექვა კაპუჩინელთა მათხოვრული წესის ფილოსოფია. ჩანს, ამ განწყობილებას უნდა ემყარებოდეს ქართველთა ის აზრი, რომ რომის „პაპი საქართველოში არ გამოგზავნიდა არც მენახირეს და არც მწყემსებს". ეს წარმოდგენა, ალბათ, მომდინარეობდა თეატინელებზე საქართველოში შექმნილი მაღალი ავტორიტეტიდან. ლევან II დადიანის მსგავსად კი ვახტანგ V-ს არ შეეძლო მისიონერების მომარაგება, ხოლო რომი მათ ფულს არ უგზავნიდა. ამის გამო ანდრია ეპიფანემ 1663 წლის 7 ივლისს სთხოვა პროპაგანდას, რომ პატრებისათვის გამოეგზავნათ წლიური სარჩო[4]. ფინანსური მხარდაჭერის გარეშე მისიონერთა შრომა ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

ამრიგად, 1663 წელს თბილისში დაარსდა კაპუჩინთა მისიონი, რომელიც წარმატებით შეუდგა მუშაობას. მათ ყოველივე ეს დეტალურად, წერილობით შეატყობინეს რომში. ამ წერილებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ, მიუხედავად მაჰმადიანობისა, ქართლის მეფე ვახტანგ V დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მისიონერებს და საერთოდ, კათოლიკურ სარწმუნოებას, ხოლო მარიამ დედოფალი განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევდა პატრებს. შედარებისათვის შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ V-მ კათოლიკე მისიონერები განამტკიცა იმ უფლებებში, რაც მათ პირველად თეიმურაზ I-მა მისცა. და საერთოდ, „გამაჰმადიანებულმა ვახტანგ V-მ უფრო მეტი პატივი სცა ქრისტიანულ სარწმუნოებას, ვიდრე ქრისტიანად ყოფნისას"[5].

ქართლის სამეფოს გარდა, მისიონერებს ფართო მოღვაწეობის გაშლის პერსპექტივები გადაეშალათ კახეთისა და იმერეთის სამეფოებშიც. ცნობილია, რომ 1664 წელს ვახტანგ V-ის შვილმა არჩილმა კახეთის სამეფო ტახტი დაიკავა. ამით ფაქტობრივად ქართლისა და კახეთის სამეფო გაერთიანდა. სიმამაცით, გონებამახვილობითა და მეცნიერებისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალული არჩილი მისიონერების მგზნებარე მფარველი იყო. იგი კაპუჩინებს დაჰპირდა „მისიონის დაფუძნებას კახეთში"[6]. ნიშანდობლივია ამ მხრივ ერთი ცნობა. პატრი დიონიჯო კარლის მიხედვით, არჩილ მეფეს იტალიაში წასვლა სდომებია, მაგრამ ამ განზრახვაზე „ხარჯებისა და გზის სიშორეს აუღებინებია ხელი"[7]. შეიძლება, მისი ეს გადაწყვეტილება

ნაკარნახევი იყო იმდროინდელი იტალიის კულტურისა და მეცნიერების გაცნობის წყურვილით.

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, იქ 1663 წელს ვახტანგ V-თან შინაპატიმრობაში მყოფი უსინათლო ბაგრატ IV გამეფდა. ჩანს, მისიონერებს ქართლის მეფის მიერ იმერეთის ტახტზე ბაგრატის დასმა იქ სამისიონერო მუშაობის დაწყების იმედებს უსახავდა. ყოველივე ამისათვის კი საჭირო იყო რომიდან ახალი მოძღვრების გამოგზავნა და მათთვის მატერიალური და ფულადი დახმარების აღმოჩენა.

როგორც ირკვევა, პროპაგანდამ დროულად არ მიაქცია ყურადღება კაპუჩინთა წერილობით თხოვნას. ამიტომ პატრებმა გადაწყვიტეს, 1664 წლის ბოლოს რომში გაეგზავნათ ერთ-ერთი კაპუჩინელი მისიონერი კარლო მარია სენტ-მარენი. როდესაც ვახტანგ მეფემ ეს გაიგო, მიიწვია თავისთან კარლო მარია და გადასცა პაპ ალექსანდრე VII-სადმი (1655—1667) მისი ქართულად დაწერილი წერილი, რომელიც ლათინურად იქვე თარგმნა სამეფო კარის ექიმმა ანდრია ეპიფანემ. ამ უკანასკნელმაც თავის მხრივ ხსენებულ მისიონერს პროპაგანდის კარდინალებთან გაატანა წერილი, რომელშიც ადრესატებს სთხოვდა, რომ მისიონერებისათვის აღმოეჩინათ საჭირო ფინანსური დახმარება. ასევე ვახტანგ V-ის პატივისცემის ნიშნად გამოეგზავნათ წვრილი საჩუქრები და მათ შორის რამდენიმე ჯაჭვის პერანგი[8]. ამგვარად, რომში მიმავალ კარლო მარიას მიჰქონდა ვახტანგ V-ის წერილი რომის პაპთან, პრეფექტ სერაფინო მელიკოკას წერილი პროპაგანდა ფიდესთან და ანდრია ეპიფანეს წერილი პროპაგანდის კარდინალებთან.

ჩვენ ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ რომის პაპისადმი ვახტანგ V-ის წერილს. იგი პაპს ასე მიმართავდა: „დიდსა, ძარადის დიდებულსა, ღვთისაგან ეგრეთ პატივმოსილსა და გაძლიერებულს, რომლის უძლიერესი არავინ არის, მტერთაგან უძლეველს, ღვთის მოწყალებით უუდიდესს ყოველთა პატრიარქთა ზედა, წმიდა პეტრეს მოსაყდრეს, მთელ ქვეყანაზედ სიმართლის დამცველს, მთელი ქვეყნის ქრისტიანების მთავარს, ყოველთა მაღალ ღირსებათა მქონეთა უფრო ღირსეულს, სამგზის გვირგვინით დაგვირგვინებულს, შემკობილს რომის დიდ პაპათა სახელით, მამათ მთავართა მამას და ბატონს, დამოუკიდებელს და უმაღლეს ბატონს ალექსანდრე მეშვიდეს...“[9]. როგორც ვხედავთ, ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზი პაპს ადიდებდა მისი ღირსებისა და საქრისტიანო ქვეყნებისადმი თავდადებული

ღვაწლის გამო. არ გაგვაჩნია რა პირდაპირი ცნობები, თუ რა მიზანს ისახავდა ვატიკანთან ურთიერთობაში ვახტანგ V, აღნიშნული წერილიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ შემდეგ ვარაუდს: ვახტანგ V საქართველოში არსებული ტრადიციის თანახმად, მომხრე იყო მისიონერების საშუალებით რომთან კავშირის შენარჩუნებისა. ამ მიმართებით პაპთან მის კავშირს, მართალია, პოლიტიკური მხარე არ შეუძენია, მაგრამ იგი, ვფიქრობთ, რომისგან ტექნიკური მიღწევების საქართველოში გადმოტანის მოტივითაც უნდა იყოს ნაკარნახევი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ფაქტი: 1664 წლის 20 მაისის წერილში კაპუჩინთა პრეფექტი პროპაგანდას ვახტანგ V-ის დავალებით თხოვდა, რომ გამოეგზავნათ ერთი მისიონერი, რომელსაც ეცოდინებოდა „ინჟინრობა და მექანიკა, რათა მას მდინარე მტკვარზე ისეთი წისქვილი გაეკეთებინა, როგორიც რომში იყო“[10].

რომში ჩასულმა კარლო მარია დე სენტ-მარენმა პროპაგანდის კარდინალებს მოახსენა საქართველოს მდგომარეობისა და მათი იქ მოღვაწეობის შესახებ. 1665 წლის 22 ივლისის ერთ-ერთი წერილიდან ვგებულობთ, რომ კარლო მარიას სათხოვარი პროპაგანდამ შეიწყნარა. მას რვა ახალი მისიონერი მისცეს და შეჰპირდნენ განსაზღვრული რაოდენობის თანხას (25 პიასტრი ყოველწლიურად თითოეული მისიონერისათვის), როგორც საცხოვრებლად ისე სხვადასხვა ხარჯებისათვის[11].

1665 წლის ბოლოსათვის კარლო მარია დე სენტ-მარენი საქართველოში გამოეგზავრა. მას მოჰქონდა პროპაგანდის წერილი ვახტანგ V-თან და კაპუჩინთა პრეფექტ სერაფინო მელიკოკასთან. პროპაგანდა ფიდე 1665 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში ვახტანგ მეფეს აქებდა და მადლობას უხდიდა მისიონერებისადმი გაწეული სათნოსაყოფელი მზრუნველობის გამო. რაც შეეხება პრეფექტისადმი წერილს, პროპაგანდა პატრ სერაფინოს სთხოვდა, ურბანოს კოლეჯში გაეგზავნა ორი ახალგაზრდა კათოლიკეთა ოჯახიდან ადგილობრივი მოძღვრების მომზადების მიზნით[12].

როგორც ირკვევა, კარლო მარიას რომში ჩასვლის მთავარი მიზანი განუხორციელებელი დარჩა. პროპაგანდამ პატრებს დაპირებული თანხა ვერ გამოუგზავნა. სიღუხჭირეში ჩავარდნილმა მისიონერებმა გადაწყვიტეს, ფულადი დახმარების სათხოვნელად ისევ გაეგზავნათ რომში კარლო მარია.

1667 წლის დასაწყისში კარლო მარია სამეგრელოს გავლით უკვე

რომში მეორედ მიემგზავრებოდა. მან პროპაგანდას წარუდგინა ერცელი მოხსენება, რომელშიც საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი კათოლიკეებისა და კაპუჩინთა მისიონის მდგომარეობა საქართველოში. ეს მოხსენება შეიცავს რა მთელ რიგ საინტერესო მომენტებს, მოკლედ ასეთ სურათს იძლევა: თბილისში 1667 წლის ბოლოსათვის იყო ქართველ კათოლიკეთა რვა ოჯახი, მაგრამ პატრებთან აღსარებას ამბობდა უამრავი მამაკაცი და ქალი, მეტადრე ბავშვები. კაპუჩინებს თბილისში ჰქონდათ სკოლა, სადაც 25 მოსწავლე სწავლობდა. კათოლიკური ოჯახები იყო ქუთაისსა და გორშიც. ამ უკანასკნელში თავისი ოჯახით კათოლიკე ყოფილა გორის „უთავრესი ბატონი" (მამასახლისი?). გორში ჩასვლისას მისიონერები მის სახლში ჩერდებოდნენ. ბუნებრივია, ეს ფაქტი მისიონერების მოღვაწეობას დიდად უწყობდა ხელს გორში. ამ დროისათვის აქ კათოლიკეთა ორი ეკლესია იყო. ერთი ავგუსტინელებისა და მეორე — თეატინელებისა, რომელიც ახლა მართლმადიდებლური ეკლესიის ხელში იყო. მეფე ვახტანგ V შაჰნავაზს გორის თეატინელთა ყოფილი პატარა ეკლესია კაპუჩინებისათვის გადაუცია, მაგრამ მოძღვრების უკმარისობისა და სახსრების უქონლობის გამო ვერ შეუნარჩუნებიათ. ქუთაისშიც თეატინელების ეკლესია უმოქმედოდ იდგა. იმერეთის მეფე ბაგრატ IV მისიონერებს დაჰპირდა, თუ ქუთაისში სამოღვაწეოდ გადავიდოდნენ, აღნიშნულ ეკლესიას პატრებს გადასცემდა[13].

რომში ამჯერად კარლო მარიას ვიზიტმა მიზანს მიაღწია. პროპაგანდამ კაპუჩინთა მისიონს „საკმაო შემწეობა" აღმოუჩინა და ეკლესიის ასაშენებლადაც სახსრები გამოუყო. გარდა ამისა, პროპაგანდამ პატრი კარლო მარია დანიშნა ქართლში კაპუჩინელთა პრეფექტად (წინანდელი პრეფექტი სერაფინო მელიკოკა გადადგომას ითხოვდა), მაგრამ ავადმყოფობის გამო მას არ ეწერა საქართველოში დაბრუნება. 1669 წელს რომიდან საქართველოში შვიდი კაპუჩინი პატრი გამოგზავნეს: ესენი იყვნენ: ანტონიო რომაელი, ფრანჩესკო მონტეკატინოელი, სტეფანე ამელიელი, რაფაელ პარმელი, ჯუსტინო ლივორნოელი, ფრანჩესკო პიემონტელი და ძმა ბართლომეო სანჯულიანელი.

ასე რომ, 1669 წელს მრავალმა კაპუჩინმა მისიონერმა მოიყარა თავი თბილისში. ეს კი საშუალებას იძლეოდა, რომ საქართველოს სხვა მხარეებშიც, კერძოდ, გორსა და ქუთაისში დაეფუძნებინათ მისიონი. ეს საკითხი უმალვე გადაწყდა და თბილისში ჩამოსვლის მე-

სამე დღეს სამი მისიონერი ჯუსტინო ლივორნოელი, პატრი ფრანჩესკო პიემონტელი და ძმა ბართლომეო სანჯულიანოელი თბილისიდან გორში გაგზავნეს მისიონის დასაარსებლად.

ამრიგად, 1669 წელს დაარსდა გორში კაპუჩინთა მისიონი. აქ პატრების წარმატება ეჭვს არ იწვევდა. საფიქრებელია, რომ მათ მფარველობას, თბილ დამოკიდებულებასა და ხელშეწყობას არ აკლებდა ზემოხსენებული გორის „უმთავრესი ბატონი" ანუ მამასახლისი. პატრების წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ ხუთი თვის განმავლობაში გორში 300-ზე მეტი ბავშვი მონათლეს[14]. ცხადია, ამან სომხური ეკლესიის მხრიდან მწვავე რეაქცია გამოიწვია, რასაც მოჰყვა სომეხთა მიერ მისიონერების დევნა, მაგრამ ამან მისიონის შემდგომ წარმატებებზე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა, რადგან ქართველებმა პატრებს დაუჭირეს მხარი. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა: რატომ უჭერდნენ მხარს ქართველები პატრებს? ჩვენი აზრით, კათოლიკე პატრები სომეხ სასულიერო პირებთან ბჭობისას ქართველ მართლმადიდებელთა ინტერესებს იცავდნენ. ეხება მხრივ გაუგებარია, თუ რატომ ტოვებდნენ ამის შემდეგ ქართველები „სომხურ ეკლესიას და კათოლიკურ ეკლესიაში მოდიოდნენ", ანუ კათოლიკდებოდნენ. შეუძლებელია, მოცემულ მომენტში ქართველთა მიერ სომხური ეკლესიის მიტოვება და გაკათოლიკება ავხსნათ ამ კატეგორიის ქართველთა მიერ კათოლიკობის თეოლოგიურ პრინციპებში ღრმა გათვითცნობიერებითა და გარკვევით. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველი ქრისტიანები, მისიონერთა სახით მართლმადიდებელთა მფარველებს ხედავდნენ.

გორის გარდა კაპუჩინთა მისიონი დაარსდა ქუთაისშიც. ეს 1669 წლის ბოლოს ან 1670 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. არ ვიცით, იქ რამდენი მისიონერი გაიგზავნა თბილისიდან, მაგრამ ცხადია, ერთზე მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან მ. თამარაშვილი მრავლობითში ასახელებს ქუთაისში გაგზავნილ მისიონერთა რიცხვს. იმერეთის სამეფოში მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა მათი მუშაობა, რადგან იქ უფრო თავისუფალნი იყვნენ და მოწინააღმდეგეებიც არ ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, ქუთაისში კაპუჩინთა მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. დასავლეთ საქართველოში განუწყვეტელი სისხლისმღვრელი შინაფეოდალური ომები მათ საქმიანობას გასაქანს არ აძლევდა და, ბუნებრივია, მათი მოღვაწეობაც შეწყდა, თუმცა იმერეთის მეფეს ბაგრატ IV-ს დიდი სურვილი ჰქონდა ისევ დაებრუნები-

ნა პატრები. ამ მიზნით მან თბილისში კაპუჩინთა პრეფექტს სერაფინო მელიკოკას გამოუგზავნა წერილი, რომელშიც თხოვდა, რომ როპიდან იმერეთში გაეგზავნათ ორი განათლებული ექიმი წამლებითა და მოწერილობით. სამაგიეროდ ჰპირდებოდა, რომ მათ ყველა პირობას შეუქმნიდა სამოღვაწეოდ. ამავე პრეფექტს, ბაგრატ მეფის მსგავსად, მისიონერების გაგზავნას სთხოვდა იმერეთის გავლენიანი თავადი შოშიტა რაჭის ერისთავი.

1673 წელს საქართველოში კაპუჩინი მისიონერების მოღვაწეობის ათი წელი მიიწურა. ეს იუბილე ერთგვარად საანგარიშო წელიც იყო. ამიტომ თბილისიდან პროპაგანდას პატრმა ბერნარდო ნეაპოლელმა ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, რომელშიც შეჯამებული იყო ათი წლის განმავლობაში კათოლიკე მამების თავდაუზოგავი შრომის შედეგი. იგი შემდეგ სურათს გვიხატავს: კათოლიკე მისიონერებმა საქართველოში თავიანთი განათლების, მედიცინაში განსწავლულობისა და ხალხის უანგარო მკურნალობის წყალობით ქართველებში უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიხვეჭეს. ყველას აღტაცებას იწვევდა იმ სიშორიდან ჩამოსული მამების სულიერი და საერო სამსახურისადმი თავდადება. ამიტომ იყო რომ ჩვენს ქვეყანაში მათ ღებულობდნენ არა როგორც მისიონერებს. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ — მათი დამსახურებისა და განათლების მიხედვით.

აღნიშნული დამსახურება უდიდესი ნდობით მსჭვალავდა მისიონერებისადმი სამეფო კარს. მეფე ვახტანგ V და მარიამ დედოფალი კაპუჩინელთა უპირველეს მფარველებად ითვლებოდნენ. ამის შედეგი იყო ის, რომ მათ ხსენებული დროისათვის ორი სახლი ჰქონდათ თბილისში. 1670 წლისათვის პატრებს საქართველოს დედაქალაქში უკვე აეშენებინათ საკუთარი ეკლესია, ხოლო გორში თეატინელთა ყოფილ ეკლესიაში ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. თუ ვირწმუნებთ, ამ ათი წლის განმავლობაში ათი ათასზე მეტი მოუნათლავთ. კათოლიკობას ღებულობდნენ მაღალი წრის წარმომადგენლებიც. ასეთი იყო მაგალითად გორელი წარჩინებული არდაშელი, რომელიც ვახტანგ V-თან დაახლოებული პირი ყოფილა. არდაშელის მამა ეპისკოპოსი იყო. წარჩინებულ პირთა მიერ კათოლიკობის მიღება დიდ წარმატებას უქადდა მისიონერებს, რადგან ისინი მისაბაძ მაგალითს აძლევდნენ ქვედა ფენებს. წინანდებურად მათ სკოლაში ბევრი მოსწავლე სწავლობდა. აქ ბავშვებს წვრთნიდნენ სარწმუნოებასა და

მორჩილებაში. ასწავლიდნენ ლათინურ და იტალიურ ენებს. ზეპირად აზუთხვინებდნენ კარდინალ რობერტო ბელარმინის (1542—1621) მიერ შედგენილ საქრისტიანო მოძღვრებას, რომელიც ქართულად, ჩვენი აზრით, ფრანჩესკო პიემონტელმა თარგმნა. ამავე პატრმა თარგმნა ქართულ ენაზე კატეხიზმო, რომელიც გამოსაცემად რომში გააგზავნეს[15]. საგანმანათლებლო საქმიანობისადმი მისიონერთა ტრადიციული დამოკიდებულება დიდ ნდობასა და ავტორიტეტს უხვეჭდა მათ ხალხში და უმთავრესად ახალგაზრდებში. პატრების სკოლაში იტალიურ ენაზე კათოლიკური დოგმატების ხატოვნად და ყველაზე მისაწვდომ ფორმაში სწავლება მტკიცედ აკავშირებდა „მოსწავლეებს კათოლიკურ სარწმუნოებასთან"[16].

ამგვარად, კაპუჩინთა საგანმანათლებლო საქმიანობა, მათი სამისიონერო წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იყო.

ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში კათოლიკე მისიონერთა მიერ გაწეული დამსახურების შესახებ აქვე განზოგადოებული დასკვნის სახით ვიტყვით: საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის გვირგვინი იყო მათი საგანმანათლებლო საქმიანობა. მოქმედებდნენ რა პროპაგანდა ფიდეს მიზნებისა და მაღალი ჰუმანური პრინციპების მიხედვით, წმიდა ტახტის წარმომადგენლები ადგილებზე სკოლების გახსნითა და რომში ქართველი ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნით უდიდეს სამსახურს უწევდნენ ამ საშუალებებს მოკლებულ იმდროინდელ საქართველოს. მათ მიერ გახსნილ სკოლებში ქართველი ახალგაზრდები ეზიარებოდნენ ევროპის კულტურული განვითარების სათავეებს. ეს პასუხობდა ქვეყნის მოწინავე ნაწილის მოთხოვნებს. ამიტომ იყო, რომ მისიონერთა სკოლებში სწავლობდნენ წარჩინებულ პირთა შვილები და არა მარტო ისინი. პროპაგანდის კოლეჯსა თუ იტალიის სხვა საერო სასწავლებლებში მისიონერთა მიერ გაწვრთნილი ახალგაზრდები ეზიარებოდნენ საერთო ევროპულ კულტურას, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს. ასეთი ახალგაზრდობა შემდეგში ნიადაგს მოუმზადებდა ქართველი ხალხის კულტურულ განვითარებასა და ქვეყნის გაძლიერებას. ამდენად, ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებით მისიონერები მიზნად ისახავდნენ არა მარტო ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადებას, არამედ ქვეყნის კულტურულ განვითარებასა და ეკონომიკური მოღონიერება-გაძლიერების საქმეში მტკიცე ნიადაგის მომზადებას.

ამრიგად, ვახტანგ V შაჰნავაზის დროს კაპუჩინების სამისიონერო მოღვაწეობა აღმავალი წარმატებით მიმდინარეობდა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ მამა ჯოზეფ ანტუანის 1675 წლის 1 ოქტომბრის წერილიდან ერთ-ერთი ადგილი, სადაც იგი წერს, რომ „ყველა მისიონებს შორის მთელს აზიაში ინდოეთამდე, რომელიც მან მოინახულა, საქართველოს მისიონი ყველაზე ნაყოფიერი იყო"[17]. მამა ბერნარდო ნეაპოლიტანელი რომში გაგზავნილ თავის წერილში იგივეს იმეორებს: „ყველა მისიონიდან, რომელიც გაჩნია პროპაგანდას აღმოსავლეთში, საქართველოს მისიონი ყველაზე უკეთესია, როგორც ღვთისმსახურების თავისუფლებით, ისე უხვი ნაყოფის მიღებით, ასევე ერითაც, რომელიც ყველაზე ცივილიზებულია, მაღალი დიდებულებით, მაღალი გონებითა და განსაკუთრებით განწყობილნი არიან მიიღონ რწმენის კათოლიკური სიმართლე"[18].

ამას, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა ქართველი საერო თუ სასულიერო მესვეურების, ასევე ქართველი ხალხის შემწყნარებლური დამოკიდებულება, როგორც სხვა სარწმუნოების, ასევე კათოლიკობის მიმართ. მეორე, ვახტანგ V შაჰნავაზი კარგად ხედავდა, რომ მისიონერები ევროპულ-ქრისტიანული ცივილიზაციის მატარებლები იყვნენ, ამიტომ მისიონერებისადმი ქართლის მეფის აქტიური მფარველობა, მიუხედავად მისი მაჰმადიანობისა, უნდა გავიგოთ, როგორც დასავლეთთან ცხოველმყოფელი კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის დამყარების დიდი სურვილი. დასავლეთთთან, კერძოდ რომთან, ასეთი დამაკავშირებელი არხი სწორედ მისიონერები იყვნენ.

როგორც ირკვევა, ამ პირობების ხელშეწყობით კაპუჩინებს გულმოდგინე მოქმედება დაუწყიათ საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთებისათვის. ამის შესახებ 1666 წლის 10 დეკემბერს კარლო მარია დე სენტ-მარენი რომს ატყობინებდა, რომ მამა გაბრიელი და სხვა პატრები აქტიურ მოლაპარაკებებს ეწეოდნენ ქართველ სასულიერო პირებთან ეკლესიათა გაერთიანების საკითხზე. აქვე კარლო მარია იმედს გამოთქვამდა, რომ მოკლე ხანში წარმატებით დაგვირგვინდებოდა ეს საქმე. მ. თამარაშვილის მიხედვით, ეკლესიათა გაერთიანების მომხრე „თვით საქართველოს კათალიკოსიც", ე. ი. დომენტი II-ც ყოფილა. ამის თაობაზე ერთ-ერთი სომეხი ავტორის წიგნში, რომელიც მან 1678 წელს გამოსცა ვენაში, თამარაშვილი კითხულობს: „ქართველთა პატრიარქი (დომენტი II-მ. პ.), რომელიც

მიდრეკილია რომის ეკლესიასთან შესაერთებლად, ამას წინათ თვითონ მივიდა საგანგებოდ კაპუჩინებთან მოსალაპარაკებლად... კაპუჩინების უფროსის საშუალებით ხსენებულმა პატრიარქმა თავისი აზრი გამოუცხადა ნეტარხსენებულ პატრ პრისკოს და მეც".

ამ წყაროდან ჩანს, რომ ეკლესიათა უნიის საკითხი დაუყენებია ქართულ მხარეს. ჩვენი აზრით, ამ იდეას ენერგიულად ავითარებდნენ მხოლოდ კაპუჩინი მამები, ხოლო ქართველ სასულიერო პირთა ერთი ნაწილი მას მტკიცედ უჭერდა მხარს. ამ შემთხვევაში უნიის აქტიურ მომხრედ გვეელინება კათალიკოსი დომენტი II. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ეკლესიათა გაერთიანების საკითხი ქართველთა კათალიკოსს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ „გი იცავდა ორი სარწმუნოების თანასწორობის პრინციპს. ამ აზრამდე მივყავართ იმას, რომ აქ არ დამდგარა საკითხი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიისადმი დამორჩილებისა. ამდენად, ორი ეკლესიის გაერთიანების იდეა არსებით გავლენას ახდენდა უნიის განვითარებაზე.

პირველწყაროს მიხედვით, ეკლესიათა გაერთიანების საკითხის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო საქართველოს კათალიკოსმა დომენტი II-მ. ამის მიზეზად დასახელებულია ის, რომ კათალიკოსის „ძმისწული მეფე განუდგა სპარსეთის შაპს და მიმართა ოსმალებს. ამიტომ მთელი საქართველო სპარსეთის შაჰის შიშის გამო არეულა..."[19].

ჩვენ არ ვიცით, მართლა აქ აღნიშნულმა გარემოებამ შეუშალა ხელი ეკლესიათა გაერთიანების საქმეს თუ სხვა რამემ, მხოლოდ ვიცით, რომ ეს საკითხი გადაჭრით არ დასმულა. მის შესახებ საუბარი ადრეევე შეწყდა. მ. თამარაშვილის თანახმად, ეკლესიათა გაერთიანების საკითხი აქტიური იყო საუბრებში. ირანში მყოფმა მამა ფრანჩისკე პიკემ (1684 წ.) ბევრი ისაუბრა ამ საკითხზე, მაგრამ, „სამწუხაროდ, ეს საქმე ვერ განხორციელდა, ხოლო თვითონ მამა ფრ. პიკეს ხელი შეუშალა ავადმყოფობამ. საკითხი ამ გაერთიანების შესახებ ჰაერში აღმოჩნდა ჩამოკიდებული, თუმცა კერძო კავშირი (გაუფორმებელი — მ. პ.) მუდამ არსებობდა"[20].

აღნიშნულთან დაკავშირებით ძნელია, არა გვგონია, რომ მამა ფრანჩისკე პიკეს ხელი ეკლესიათა გაერთიანების საქმეს. გადაჭრით ითქვას რაიმე. ავადმყოფობამ შეუშალა ეს ყველაზე უმნიშვნელო დაბრკოლება იქნებოდა ამ მეტად რთულ და გადაულახავ გზაზე. მარ-

თალია, ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველი სასულიერო მესვეურები მუდამ ცდილობდნენ, ჰქონოდათ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან გაუფორმებელი კავშირი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ეკლესია ხელს იღებდა თავის უფლებებზე. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ეკლესიათა გაერთიანების საქმეს წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ამასთან დაკავშირებით, სავსებით სწორად მიგვაჩნია პროფ. შ. ლომსაძის დასკვნა. იგი წერს: ქართული ეკლესია დიდ შემწყნარებლობას იჩენდა ევროპიდან მოსული კათოლიკე მისიონერებისადმი და ხშირად ხელს უწყობდა კიდეც მათ აქ დამკვიდრება-დამაგრებას. ყველაფერი ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია თავის შემუშავებულ დოგმებზე ხელს იღებდა და კათოლიკური დოგმებისაკენ იხრებოდა (ასე რომ ყოფილიყო, მაშინ გაკათოლიკებას წინ რაღა დაუდგებოდა), არამედ იმიტომ, რომ კათოლიკობის გარდა აღნიშნულ მისიონერებს ჩვენში შემოჰქონდათ ევროპული კულტურის ბევრი ახალი მიღწევა"[21].

ჩვენ სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, რომ პროპაგანდამ 1670 წელს კაპუჩინელ მისიონერებს საკმაო ფულადი დახმარება აღმოუჩინა, მაგრამ ეს ერთჯერადი აქტი სრულიად არ იყო საკმარისი მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. ირკვევა, რომ ხსენებული დროიდან მისიონერებს თითქმის რამოდენიმე წელი არავითარი შემწეობა არ მიუღიათ რომიდან. მძიმე მატერიალურ სიდუხჭირეში ჩავარდნილმა პატრებმა დახმარების სათხოვნელად 1675 წლის ზაფხულში რომში გაგზავნეს მამა რაფაელი. მას რომის პაპ კლემენტი XI-სთან (1670—1676) და კაპუჩინების გენერალ ბონავენტურა ლეკარტისთან მიჰქონდა ვახტანგ V შაჰნავაზის ქართულად დაწერილი წერილი, რომელიც ლათინურად თარგმნა პატრმა ბერნარდო ნეაპოლიტანელმა. რამდენადაც ქართლის მეფე ადრესატებს სამდურავის წერილს სწერს იმის გამო, რომ კაპუჩინ პატრებს არ უწევენ მატერიალურ დახმარებას, ჩვენი აზრით, ეს წერილები ვახტანგ V შაჰნავაზმა მისიონერების თხოვნით მისწერა რომის მესვეურებს.

პაპისადმი წერილში გამოვლენილია შაჰნავაზის მაღალი კულტურა. იგი წერილის დასაწყისში ადიდებს პაპს და თავაზიანად შეახსენებს თავის დამსახურებას მისიონერებისადმი მფარველობისა და ხელშეწყობის საქმეში. აძლევს რა პატრების მოღვაწეობას მაღალ შეფასებას, აქვე რომის პირველმღვდელმთავარს ფრთხილად შეახსე-

ნებდა, რომ მისიონერებს დიდი ხანია ჯამაგირი არ მიუღიათ. სურდა რა ამის მიზეზი გაეგო, წერდა: „ეს არ ვიცით, თუ გამოუგზავნეთ რაიმე და არ მოუვიდათ, თუ არ მოგაგონდათ და არ გამოუგზავნეთ, ეს ვერ შევიტყვეთ. სხვაგან ისპაანსა და თავრიზში, სადაც თქვენი სახელით დადგინებული პატრები არიან, ყველას წელიწადში ჯამაგირი მოუვიდა". ამ არგუმენტის შემდეგ მეფე მიმართავს ულტიმატუმის ფორმას და წერს; „მისიონერებს ხუთი წელიწადია არ მოსვლიათ ჯამაგირი, თუ ჩვენს ქვეყანას ყოფისათვის არ უგზავნით და არას ნაღვლობთ, ჩვენც არ დავაყენებთ, საყდარს ისევ დავაქცევთ და ამათ გამოვყრით. თუ მათი აქ დგომა გინდათ, ჯამაგირი მართალი გაურიგეთ, როგორც სხვა ადგილას მყოფ პატრებს აქვთ და ეს პატრი რაფაელი ისევ გამოგზავნეთ. ამან ჩვენი ქვეყნის ენა იცის და ყოველ კაცს იცნობს და ყველანი ეწყობიან და ყველას სიყვარული აქვს მისი და თქვენი სახელისათვის დიდად სჯობს ამის აქ ყოფნა"[22]. ანალოგიური შინაარსისაა შაჰნავაზის წერილი პროპაგანდა ფიდეს კარდინალ ბონავენტურა ლეკარტისადმი. რამდენადაც ის არსებით ნიუანსებს არ შიეცავს, მასზე აქ არ შევჩერდებით.

შაჰნავაზის წერილიდან ამ ვრცელი ამონარიდის მიხედვით, რომელშიც ულტიმატუმის ფორმით საყვედურია გამოთქმული პაპის მიმართ, რომელმაც სრულიად უგულვებელჰყო ხუთი წლის განმავლობაში მისიონერებისადმი ფულით დახმარება, შემდეგს დავასკვნით: შაჰნავაზის ასეთი მკვეთრი ფორმით ულტიმატუმი, რომ თუ პაპი მისიონერებს ფულით არ დაეხმარებოდა, მაშინ მათ ეკლესიას დააქცევდა და მისიონერებს გაყრიდა, მხოლოდ რომის პირველმღვდელმთავარზე დიპლომატიურად ზემოქმედების მიზნითაა გამოყენებული. ალბათ ეს ულტიმატუმი მეტაფორულ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ თხოვდა პაპსა და კაპუჩინთა გენერალს, დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ უკან საქართველოში პატრი რაფაელი, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენა, წერა და კითხვა. სავსებით სწორია მიხეილ თამარაშვილი, რომ ვახტანგ მეხუთემ „ეს მუქარა იმიტომ მისწერა, რომ მათთვის (მისიონერებისათვის — მ. პ.) საჭირო შემწეობა უფრო ადვილად გამოეგზავნინებინა"[23].

ჩვენ არ ვიცით, რა ზემოქმედება მოახდინა რომის მესვეურებზე ვახტანგ V შაჰნავაზის წერილმა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საკითხი დადებითად გადაწყდა, რადგან მისიონერთა პატაკებში, რომლებიც

უხვადაა გაგზავნილი 1675 წლის შემდგომ ხანებში, არაა საუბარი ფულადი დახმარების გაწევის თაობაზე. კაპუჩინთა მისიონი უხვ ნაყოფს იმკიდა. ამის შესახებ 1675 წლის 10 დეკემბერს პატრი ჯოზეფო რომაელი წერდა: „ქადაგება, ზარების რეკვა, ეკლესიების გაშენება სრულიად თავისუფალია. ეს ყველაფერი დაუბრკოლებლად ხელს უწყობს უდიდესი ნაყოფის გამოღებას. ჭეშმარიტად ღირსია (საქართველოს მისიონისათვის — მ. ბ.) ყველა კაცმა შეწუხება იტვირთოს, სისხლი დაღვაროს და თავისი ცხოვრება გასწიროს“[24]. ასევე წარმატებით აგრძელებდა თავის საქმიანობას თბილისის კათოლიკე მისიონერთა სკოლა, რომელშიც 1676 წლისათვის 40—50 მოწაფე სწავლობდა. აქ ასწავლიდნენ ქართულ, ლათინურ და სხვა ენებს. ამზადებდნენ მოსწავლეებს პროპაგანდის კოლეჯში გასაგზავნად. ამავე დროს კაპუჩინებს სამოღვაწეოდ იწვევდნენ გურიის სამთავროშიც. ერთი სიტყვით, კაპუჩინელი მისიონერების მოღვაწეობა სასურველ შედეგს იღებდა, მაგრამ ქვეყანაში მალე არეულობა დაიწყო. საქმე შემდეგში იყო:

ვახტანგ V შაჰნავაზის საქმეები ცუდად წარიმართა შაჰის კარზე. ირანის გაღიზიანების საქმეში დიდი როლი შეასრულა ვახტანგის მიერ ვერცხლის მადნის ფარულად გამოდნობისა და ფულის მოჭრის ამბავმა; ასევე ვახტანგის დასავლეთ საქართველოს საქმეებში აქტიურად ჩარევამ, რაც ირან-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებას უწყობდა ხელს.[25] არჩილისა და ადრე მისი ძმის ლუარსაბის, ახალციხის ფაშასთან წასვლა დანაშაულად ჩაუთვალეს და ახსნა-განმარტებისათვის ირანში დაიბარეს.

1675 წელს ვახტანგ V ირანში გაემგზავრა. ქართლის გამგებლად თავისი მეორე ვაჟი — გიორგი დატოვა. ისფაჰანისაკენ მიმავალი ქართლის მეფე გზაში გარდაიცვალა. იგი ირანში წაასვენეს და ყუმში მისი მამობილის, როსტომ ხანის გვერდით დაკრძალეს. აქვე ესვენა შაჰ აბას I-იც. ასე ჰპოვა უცხო მიწაზე ძვალშესალაგი ვახტანგ V-მ, რომელიც უდიდეს ფიგურას წარმოადგენდა არა მარტო კავკასიის იმდროინდელ პოლიტიკაში, არამედ სპარსეთის მთელ იმპერიაში. მის „გმირულ სიმამაცესთან ერთად კარგად იყო შერწყმული სამხედრო და სახელმწიფო მართვის ხელოვნების დიდი ცოდნა“[26].

ქართლის ტახტი ახლა კანონით მის უფროს ვაჟს, არჩილს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი, როგორც თურქეთის მხარეზე მყოფი, მიუღებელი კანდიდატი იყო. ისფაჰანში გადაწყვიტეს, ქართლის ტახტზე დაესვათ

ირანში მყოფი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე. ეს ცდა ჩაიშალა, რადგან ერეკლემ უარი თქვა გამაჰმადიანებაზე.

მალე ქართლის გამგებლად დატოვებული გიორგი, მეფედ დამტკიცების მიზნით, ირანში გაიწვიეს. ამ საქმის სწრაფად გადაწყვეტა შეაფერხა გიორგის ძმამ ალექსანდრემ, რომელიც ირანში აღიზარდა და იმ დროს ისფაჰანის ტარუღა იყო. მას ქართლში გამეფება სურდა და საამისოდ ქართველებს არიგებდა[27]. ამასობაში არჩილი ახალციხიდან გადმოვიდა და ქართლის შემომტკიცება დაიწყო. ასეთ ვითარებაში ისფაჰანში ამჯობინეს, რომ ქართლის ტახტი გიორგისათვის დაეთმოთ. შაჰმა გიორგის მაჰმადიანობა მიაღებინა, 1677 წელს ქართლის მეფედ დაამტკიცა, შაჰ-ნავაზ-ხანი უწოდა და საქართველოში გამოგზავნა.

გიორგი XI ქართლში 1677—1688 წლებში მეფობდა. მან თავის ძმას ვახტანგ V-ს ბევრად გადააჭარბა მისიონერებისადმი მფარველობასა და კათოლიკური ეკლესიისადმი პატივისცემაში. ამან უშუალო ასახვა ჰპოვა ქართლის მისიონის წინსვლაში. მისიონერთა საგანმანათლებლო საქმიანობაც უკვე უხვ ნაყოფს იძლეოდა. 1679 წლისათვის კაპუჩინთა პრეფექტს ჯოზეფო ბორგონანელს უკვე გამზადებული ჰყოლია პროპაგანდის კოლეჯში გასაგზავნად ხუთი ყმაწვილი. ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ 1681 წლისათვის „პროპაგანდის კოლეჯში შესვლის ნება ითხოვა ერთმა გამოჩენილმა ქართველი ოჯახის შვილმა, რომელიც ნეაპოლში სამოქალაქო მეცნიერებას სწავლობდა“[28]. სამწუხაროდ, ამ ქართველის ვინაობაში ჩვენთვის უცნობია. მ. თამარაშვილის სწორი აზრით, „ეს ახალგაზრდა ქართველი ნეაპოლში დიდი ხნის მოსული უნდა ყოფილიყო, რადგან იმ დროს საშუალო სასწავლებელში ყოფილა. არც კაპუჩინების მოყვანილი უნდა ყოფილიყო, თორემ თვით კაპუჩინები ითხოვდნენ მის ადგილს და მისი ამბის შესატყობად რომიც მათ მიმართავდა და არა ნეაპოლის ნუნციოს“[29].

ამ საკითხის გასარკვევად და უეჭველი აზრის გამოსათქმელად ჩვენ სხვა წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია. თავისთავად უდავო ფაქტია, რომ ეს ქართველი ახალგაზრდა აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე კაპუჩინი მისიონერების გაგზავნილი არ არის. ასე რომ ყოფილიყო, შეუძლებელია მასზე მისიონერებს ან მათ პრეფექტს რაიმე არ ეთქვათ საქართველოდან გაგზავნილ რელაციებში, რომლებიც ასე მრავლად გვაქვს XVII საუკუნის 80-იან წლებიდან. მეტი ალბა-

თობაა ვივარაუდოთ, რომ ხსენებული ახალგაზრდა კაპუჩინთა თბილისის სკოლა დამთავრებული იყოს. ალბათ აქ ისწავლა მან იტალიური ენა. სხვა მხრივ წარმოუდგენელია მას ესწავლა ნეაპოლის სკოლაში სამოქალაქო მეცნიერება. იმდროინდელ საქართველოში, გარდა მისიონერების სკოლისა, სხვა სკოლა ხომ არ არსებობდა, სადაც იტალიური ენა ისწავლებოდა. ჩანს, იგი საკუთარი ნებით, მისიონერებისაგან დამოუკიდებლად წავიდა ნეაპოლში განათლების მისაღებად და ამის გამო ის არ ფიგურირებს არსად მისიონერების რომთან მიწერ-მოწერაში.

როგორც წინათ, ახლაც მისიონი დიდი წარმატებით ვერ მუშაობდა პატრი-მისიონერების სიმცირის გამო. ბუნებრივია, მცირერიცხოვანი მისია არ შეიძლებოდა თანამიმდევრული ყოფილიყო. მოძღვართა რიცხვის გასადიდებლად ორი გზა არსებობდა: ან რომიდან ვამოეგზავნათ ახალი მისიონერები, ან პროპაგანდის კოლეჯში მოემზადებინათ ქართველი ახალგაზრდები. ეს უკანასკნელი გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, დიდ ფინანსურ ხარჯებთან, რის გამოც ხშირად იგი განუხორციელებელი რჩებოდა. ამიტომ პატრი ბერნარდო მარია ნეაპოლელმა პროპაგანდას 1680 წელს წერილებით შესთავაზა წინადადება, რომ „სამოქალაქო და საეკლესიო მეცნიერებაში“ განსწავლულ საუკეთესო მასწავლებლებს საქართველოშივე მოემზადებინათ საჭირო კადრები. პატრი ბერნარდოს აზრით, „ამნაირად არა მარტო გზის ხარჯი დაიზოგებოდა, არამედ ერთი და იმავე ფულით ორჯერ მეტი ყმაწვილის შენახვა შეიძლებოდა საქართველოში, ვიდრე რომში“[30].

პატრი ბერნარდოს წინადადება რომში ყურადღებითა და ინტერესით განიხილეს. იგი 1681 წლის აპრილის თვეში რომში დაიბარეს, რათა სიტყვიერად მოეხსენებინა საქართველოს მისიონის ამბები. ამ დროისათვის მას უკვე იტალიურიდან ქართულად თარგმნილი ჰქონდა კატეხიზმო, რომელიც რომში ჩასვლისთანავე დაიბეჭდა, 1681 წელს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ წიგნის რეცენზენტი იყო ქართველი კათოლიკე ზალინა ენიბეგაშვილი. იგი იყო პირველი ქართველი კათოლიკე, რომელმაც სწავლა-განათლება მიიღო თბილისში, კაპუჩინთა სკოლაში. მან იცოდა ქართულის გარდა სომხური, სპარსული, თურქული და იტალიური ენები. ეს უკანასკნელი მან, ჩანს, ძალიან კარგად იცოდა. ბერნარდოს თარგმნილი კატეხიზმო ზალინამ შეადარა იტალიურ დედანს და შემოწმების შემდეგ თავის

რეცენზიაში, რომელიც წიგნს უძღოდა წინასიტყვაობის სახით, აღნიშნა: „წავიკითხე და გადავიკითხე ყველანაირი სიფრთხილით ეს წიგნი, შედგენილი პატივცემული მამა ბერნარდო მარია ნეაპოლელისაგან, არაფერი ვპოვე საწინააღმდეგო რომის კათოლიკე სარწმუნოებისა, რადგან სიტყვა-სიტყვით ნათარგმნია კარდინალ ბელარმინის პატარა საქრისტიანო მოძღვრებიდან ქართულ ენაზე“[31].

ამ ფაქტთან დაკავშირებით სავსებით სწორად დაასკვნის მ. თამარაშვილი. იგი წერს: „ეს წინასიტყვაობა ცხადად გვიჩვენებს იმდროინდელ საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას, რადგან ხსენებული ეგოდენი პროვინციების საჭიროებად ჩვენ თავდაპირველად უნდა ვიგულისხმოთ კათოლიკების სულიერი საჭიროება, და არა იმათი, რომლებიც ჯერ არ იყვნენ შეერთებული კათოლიკე ეკლესიასთან“[32].

ზემოხსენებული პატრი ბერნარდო მარია ნეაპოლელი თეოლოგიასა და ფილოსოფიაში ღრმად განსწავლული ადამიანი იყო. იგი 1670 წელს ჩამოვიდა საქართველოში, სადაც 1679 წლამდე მოღვაწეობდა. ბერნარდომ ქართული ენა ჩინებულად იცოდა. სავარაუდოა, იგი ფრ. ფაჯოს მიერ 1643 წელს რომში გამოცემული ქართული ენის გრამატიკის საფუძველზე იტალიაშივე ეზიარა ქართულ ენას. მან იტალიურიდან ქართულად თარგმნა მრავალი წიგნი. ბერნარდო საქართველოს სამეფო კართან ძალზე დაახლოებული პირი იყო. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეფისწულ გიორგისთან — შემდეგში გიორგი XI-თან, რომლის ბიბლიოთეკით, ჩანს, იგი ხშირად სარგებლობდა.

ჩვენთვის ბერნარდო ნეაპოლელი დაუვიწყარია, როგორც იტალიურ-ქართული (360 გვ.) და ქართულ-იტალიური (628 გვ.) ლექსიკონების შემქმნელი. ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის თედო (ნოდარ) უთურგაიძის თანახმად, „ბერნარდო ნეაპოლელის იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო ქართული ენის შესწავლის საქმეში“. მისი „ლექსიკონი ქართული მორფოლოგიისა (ფორმაწარმოების) და წარმოქმნის (სიტყვაწარმოების) სახელმძღვანელოს ფუნქციასაც ასრულებს“[33]. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ბერნარდო ნეაპოლელის ლექსიკონის შექმნიდან გორში უცნობ იტალიელ მისიონერს შეუდგენია იტალიურ-ქართული ლექსიკონი, ბერნარდო ნეაპოლისეული პრინციპებით[34]. პროფ. თ. უთურგაიძის აზრით, „გორულ იტალიურ-ქართულ ლექსიკონში (შედგენილია 1724 წელზე ადრე) გამოყენებულია ფ. მაჯოსა და ბ. ნეაპოლელის ძველი მიღწევა. ეს ლექ-

სიკონი სოლიდური ნაშრომია. მისი ანონიმი ავტორიც, მსგავსად ბერნარდო ნეაპოლელისა კარგად ფლობს ქართულ ენას"[35].

მიზანშეწონილია აქვე ითქვას: იტალიელი მისიონერების მიერ ქართული ენის გრამატიკის, ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონების შექმნაში შეტანილი წვლილი განუზომლად დიდია და ფასდაუდებელი. კათოლიკე მისიონერებმა (ფრანჩესკო მარია მაჯომ, ბერნარდო მარია ნეაპოლელმა და ანონიმი გორელმა მისიონერმა) დიდი როლი შეასრულეს ქართული ენის შესწავლისა და მეცნიერული აღწერის საქმეში. მათ „ქართული ენის შესახებ შექმნეს სერიოზული გრამატიკული ლიტერატურა და ერთგვარად შეუწყვეს ხელი გრამატიკული მეცნიერების დანერგვას ქართველებში, ისინი ხომ თავიანთ მიერვე გახსნილ სკოლებში ქართველებს ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკების გვერდით ქართული ენის გრამატიკასაც ასწავლიდნენ"[36].

პატრი ბერნარდო მარია ნეაპოლელი დიდი სიყვარულით სარგებლობდა ქართველ კათოლიკეებში. ამის უტყუარი ფაქტია კათოლიკე ქალბატონის ვინმე ასთანდარა გოგინაშვილის მიერ 1682 წელს ბერნარდოსადმი იტალიაში მიწერილი წერილი, რომელშიც იგი დიდ წუხილს გამოთქვამს პატრის წასვლის გამო და სულიერ მამას მოკითხვას უთვლის. საკუთრივ ბერნარდოც არ ივიწყებს თავის სულიერ შვილებს და მოკითხვის წერილებს უგზავნიდა მათ.

ერთი სიტყვით, კაპუჩინელ მისიონერთა საქმიანობა ქართველ ეესველურთა ხელშეწყობითა და ქართველი ხალხის შემწყნარებლური ბუნების მეოხებით წარმატებით შლიდა ფრთებს. მიუხედავად ამისა, პატრების შემდგომ წარმატებებს ორმა გარემოებამ შეუშალა ხელი: სომეხ სასულიერო პირთა მიერ მისიონერების ტრადიციული დევნის გაგრძელებამ და 1684 წელს თბილისსა და გორში გაჩენილმა ჟამიანობამ. ამათგან პირველი, ქართლის მეფე გიორგი XI-ის მეშვეობით ადვილად იქნა დაძლეული, მაგრამ ავბედითმა ჟამიანობამ თვით პატრების სიცოცხლეც იმსხვერპლა.

როგორც ვიცით, 1684 წლის ზაფხულსა და გაზაფხულზე თბილისსა და გორში შავი ჭირი გაჩნდა, რომელიც შვიდი თვე მძვინვარებდა. ჟამმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა ხსენებულ ქალაქებში და როცა მრავალი სასულიერო და საერო პირი გაიქცა ამ ქალაქებიდან, მხოლოდ კაპუჩინმა მამებმა გამოიჩინეს კაცთმოყვარეობა. ამის საილუსტრაციოდ შევჩერდებით გორში მოღვაწე პატრ

კარლო პეშელის მიერ გამოჩენილ სათნოებაზე. შავი ჭირის შიშით გორის მოსახლეობის დიდი ნაწილი მთებში გაიხიზნა. მამა კარლო პეშელისთვისაც უთხოვიათ გახიზნულიყო, მაგრამ პატრმა გორელ ქართველ კათოლიკე ფრანჩისკესთან ერთად თავი არ მიანება უპატრონო ავადმყოფებს და თვითონაც დაავადდა. კარლო ამჯერად გადარჩა და უფრო გულმოდგინედ განაგრძო ხალხის მკურნალობა. კარლოს მსახური, გაკათოლიკებული გორელი ახალგაზრდა, ფრანჩისკეც დაავადმყოფდა. მის გადასარჩენად მამა კარლოს ცდა არ დაუკლია, მაგრამ ახალგაზრდა მაინც დაიღუპა. ბოლოს კარლოც დაავადდა და გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ გორის მისონი უპატრონოდ დარჩა. ჟამმა იმსხვერპლა მრავალი გორელი ქართველი კათოლიკეც. ამგვარად, თბილისსა და გორში მისიონის ამოწყვეტის საშიშროება შეიქმნა. ამას ნათლად მოწმობს 1685 წლის 2 იანვარს პატრ ჯუზეპე ბოგოინანოს რომში გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი პროპაგანდის კარდინალს წერდა: „დიდად გეეედრები, მალე უშველოთ, რომ ეს მისიონი არ მოისპოს, რაც საშიშია, რადგან უკანასკნელ მდგომარეობაში ვართ“[37]. იმავე წლის აგვისტოში ხსენებული პატრი პროპაგანდას თხოვდა, რომ გორის უპატრონოდ დარჩენილი მისიონისათვის გამოეგზავნათ მოძღვარი.

ცხადია, მისიონერთა ასეთ კაცთმოყვარულ და თავდადებულ მოქმედებას შესაბამისი ზეგავლენა უნდა მოეხდინა მოსახლეობის მორწმუნეთა ფართო ფენებზე, და არა მარტო მათზეც. ქართველმა ხალხმა, სამეფოს წარჩინებულმა პირებმა და თვით მეფე გიორგიმაც დიდი პატივი მიაგო პატრებს. მაგრამ ეს შემთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ამას მ. თამარაშვილი თვლის, იმ მთავარ მიზეზად, რომლის გამო საქართველოს მესვეურებს „ერთიანად მოუნდომებიათ რომის ეკლესიასთან შეერთება“[38]. აღნიშნულ შემთხვევას, კერძოდ, ჟამიანობისას მისიონერთა მიერ გამოჩენილ თავდადებას, არ შეეძლო ებიძგებინა ქართველი მესვეურებისათვის, რომ ეძიათ კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთების გზები. ეს მხოლოდ შეიძლება მომხდარიყო რაიმე დიდი მიზნის საფუძველზე, რომელიც ამ დროისათვის უკვე იწფდებოდა. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად კი მკითხველთა ყურადღებას შემდეგ ფაქტზე შევაჩერებთ.

პირველწყაროების მიხედვით, მეფე გიორგი XI კათოლიკობას გაეცნო პატრი ჯუსტინო ლივორნოელის მეშვეობით. ეს უკანასკნელი ამის შესახებ წერს: მეფეს, „როდესაც გავაცანი კათოლიკე სარ-

წ?ენოება დიდად მოისურვა ისპაჰანის ეპისკოპოსის ფრანჩისკე პიკეს მეშვეობით (კათოლიკობის — მ. პ.) მიღება". ამ მიზნით, მეფემ კაპუჩინთა პრეფექტი პატრი ჯუზეპე და ბოგონიანო გააგზავნა ისფაჰანში ფრანჩისკე პიკესთან და საქართველოში მოიწვია, „მაგრამ არ მოვიდა"[39]. ეს უნდა მომხდარიყო 1684 წლის მარტის თვემდე. ამავე წლის 5 მარტს პრეფექტმა ჯუზეპემ და მეფე გიორგი XI-მ ისფაჰანში კათოლიკეთა ეპისკოპოსთან გააგზავნეს პატრი ჯუსტინო ლივორნელი, რათა „თბილისში მოეყვანა ეპისკოპოსი ფრანჩისკე პიკე ამ მისიონის სასარგებლოდ, რადგან ქართველ ბატონებს სურთ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთება"[40]. პატრი ჯუსტინო იმავე წლის 21 დეკემბერს თბილისში დაბრუნდა. რაც შეეხება ისფაჰანის კათოლიკეთა ეპისკოპოსს ფრანჩისკე პიკეს, მგზავრობის სიძნელეების გამო მან საქართველოში ჩამოსვლაზე უარი თქვა[41].

თუ ამ წყაროს ვერწმუნებით, და არ გვაქვს საფუძველი იგი ვუარყოთ, მაშინ საინტერესოა ორი მომენტი: პირველი, გიორგი XI-მ ისფაჰანის ეპისკოპოსის ხელით მოისურვა კათოლიკობის მიღება და მეორე, მეფემ დააყენა საკითხი საქართველოს მისიონის ისფაჰანის საეპისკოპოსოსადმი დაქვემდებარებისა. ჩვენი ღრმა რწმენით, გიორგი XI-მ კათოლიკობის მიღება ისფაჰანის ლათინთა ეპისკოპოსისაგან გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით გადაწყვიტა. რადგან ტრადიციულად ირანის ხელმწიფეები თავიანთი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ხშირად თავადაც უწყობდნენ ხელს კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში, ჩანს, გიორგი XI-მ ამაზე დაყრდნობით მოინდომა გაკათოლიკება, რათა ამ გზით ისევ დაბრუნებოდა ქრისტიანულ წიაღს. ალბათ, ამით გიორგი იმასაც ითვალისწინებდა, რომ მის მიერ კათოლიკური რწმენის აღიარებას შაჰი ხელს არ შეუშლიდა. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, სინამდვილეში ისფაჰანის კათოლიკეთა ეპისკოპოსისაგან რომ მომხდარიყო გაკათოლიკება, ეს ხომ ირანში გაუგებარი არ დარჩებოდა?

ასე რომ, ყველა შემთხვევაში გიორგის მიერ კათოლიკური რწმენის მიღება ირანში დაფარული ვერ იქნებოდა. ვიმეორებთ, ირანის შაჰი გიორგი XI-ის გაკათოლიკებას წინააღმდეგობას არ გაუწევდა. ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპაში მოკავშირის მაძიებელ ირანს, საჭიროების შემთხვევაში, ეს შეეძლო თავის სასარგებლოდაც კი გამოეყენებინა. ამ მომენტს ემყარებოდა ალბათ იმ საკითხის დაყენებაც, რომ საქართველოს მისიონი ისფაჰანის საეპისკოპოსოსთან გაერთი-

ანებულიყო. დაბოლოს. ასეა თუ ისე, გიორგი XI-ის მზადყოფნა, რომ მიეღო კათოლიკობა მისი ქრისტიანულ წიაღში დაბრუნების ფორმალური მხარე იყო, რადგან, მიუხედავად გამაჰმადიანებისა, იგი მუდამ ჭეშმარიტ ქრისტიანად რჩებოდა.

ახლა ისევ მივყვეთ მოვლენების მსვლელობას. გარკვეული მიზეზების გამო ისფაჰანის კათოლიკეთა ეპისკოპოსმა ფრანჩისკე პიკემ ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა. მისი გარდაცვალების შემდეგ პატრმა ჯუსტინო ლივორნოელმა თვით გადაწყვიტა, გიორგი მეფე მოექცია კათოლიკობაში. ბუნებრივია, ამის წინააღმდეგი არც მეფე იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით პატრი ჯუსტინო 1687 წლის 28 მაისს პაპ ინოკენტი XI-ს (1676—1689) წერდა: „მე შერცხვენილად ვრჩებოდი, რომ ეპისკოპოსის (ფრანჩისკე პიკეს — მ. ბ.) ხელით ეს მეფე ვერ შევუერთე ეკლესიას, და ეს გვიანდებოდა. გარნა მუდამ ამის სისრულეში მოყვანას ვცდილობდი და კიდეც შევასრულე: 1686 წლის 7 დეკემბერს ჩემს წინაშე მეფემ წარმოსთქვა სარწმუნოების აღსარება და თან ფიციც დასდო, რომ თავის სამეფოც ერთიანად დაუმორჩილოს თქვენს უწმიდესობას... შეერთების ხუთი დღის შემდეგ ამ მეფეს აღსარებაც ვათქმევინე... სარწმუნოებას აწ ძლიერ ერთგულად იცავს; მეტად სახელგანთქმულია, ბრძენი და ყველანაირი ნიჭით შემკული“[42].

როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, გიორგი XI-მ 1686 წელს მიიღო კათოლიკობა. მ. თამარაშვილი თავის მეორე ნაშრომში „საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან ჩვენს დრომდე“ წერს: „ჩვენთვის არაა ცნობილი ზუსტი თარიღი, თუ როდის მიიღო გიორგი XI-მ კათოლიკობა, მაგრამ ჩანს, რომ 1684 წელს ის უკვე კათოლიკე იყო...“[43] პატივცემული ავტორი არ უჩვენებს თუ რას ემყარება ამ შემთხვევაში მისი აზრი. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ 1684 წლის 5 მარტს გიორგი XI-მ ისფაჰანში კათოლიკეთა ეპისკოპოს ფრანჩისკე პიკესთან გაგზავნა პატრი ჯუსტინო ლივორნოელი, რათა იგი ჩამოეყვანა საქართველოში და მისგან მიეღო კათოლიკობა. ვფიქრობთ, ეს ფაქტი აქვს მხედველობაში მიხეილ თამარაშვილს, როცა აცხადებს, რომ გიორგი XI 1684 წელს უკვე კათოლიკე იყოო. არა გვაქვს საფუძველი, არ ვირწმუნოთ პატრი ჯუსტინო ლივორნოელის ცნობა, რომ ქართლის მეფემ 1686 წლის 7 დეკემბერს მიიღო კათოლიკობა. ამდენად ამ თარიღს უნდა დავუჭიროთ მხარი.

ამის შემდეგ მეფე გიორგი XI-მ, კაპუჩინთა პრეფექტ ჯუსტინო

ლივორნოელის რჩევით, 1687 წლის გაზაფხულზე რომში პაპთან ელჩად გაგზავნა პატრი ანჯელო ფილინელი. მას მიჰქონდა მეფისა და ეპისკოპოსის ექვთიმე რატიშვილის წერილები პაპისადმი და მიჰყავდა 19 წლის ქართველი ახალგაზრდა, სახელად სოლომონი პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად. გიორგი მეფის წერილი პაპისადმი, რომელიც 1687 წლის 29 აპრილითაა დათარიღებული ქართულად იყო დაწერილი. იგი იტალიურად თარგმნა ჯუსტინო ლივორნოელმა. ამ წერილით მეფე რომის პაპ ინოკენტი XI-ს აუწყებდა, რომ ჩარიცხოს იგი კათოლიკე მეფეთა რიგში, ამასთანავე ავედრებს თავის პირმშოს ბაგრატს, რომ ისიც პაპმა თავის ლოცვა-კურთხევით მიიღოს მისი ტახტის ქვეშევრდომად. „ამისათვის გთხოვ ეს ჩემი პირმშოც აიყვანოთ თქვენს შვილად" — წერდა პაპს გიორგი XI. მთავარ სათქმელს მეფე წერილის ბოლოს ამბობდა. „ჩვენი სამეფო, — წერდა გიორგი პაპს, — მუდამ ევედრება ღმერთს და ყოვლაწმიდა სამებას, რათა უფრო განაძლიეროს თქვენი კურთხეული მარჯვენა და ჭეშმარიტ კათოლიკეებს და ხსენებულ პატიოსან მეფეთ მტრებზე გამარჯვება მიანიჭოს. ამას მოგახსენებთ, გვნებავს ღვთიურ სიმარილესთან თქვენც შეგიყვაროთ. ჩვენ და ჩვენი სამეფო ვემორჩილებით სპარსეთის მეფეს, მისი ბრძანების გარეშე არაფერი შეგვიძლია, გარნა მსგავსად თქვენი საყვარელი შვილებისა, გვირგვინოსანი მეფეებისა, რომლებიც მუდამ ჟამს ურწმუნოებს (მაჰმადიანებს — მ. პ.) ებრძვიან და მათზე იმარჯვებენ, თქვენის ლოცვა-კურთხევითა ჩვენცა ვძლევთ ამ ურწმუნოებს... ნეტავი ღმერთმა და ღვთისმშობელმა შეგვაძლებინოს, რომ ჩვენმა სამეფომაც მიაყენოს ზიანი თქვენ მტრებს, თქვენ გემსახუროთ და თქვენ მორჩილ მეფეებთან ერთად შევიარაღდეთ. ესეც სცანით, რომ ჩვენი სამეფო, ჩვენი ბრძანების ქვეშ მყოფნი და მთელი ჩვენი საქართველოს მხედრობა მზად ვართ და მოველით თქვენს ბრძანებას; რასაც თქვენი ლოცვა-კურთხევით გვიბრძანებთ, მზად ვართ შევასრულოთ. ეს არის ჩვენი ნატვრა. ჩვენს თქვენს ერთგულ შვილობაზე არავითარი ეჭვი არ შეიტანოთ. თუმცა კი შორს ვართ, მაგრამ დიდად გვენატრება თქვენი ნახვა. ჩვენი სარწმუნოების (კათოლიკობის — მ. პ.) აღიარება შევასრულე პატრი ჯუსტინოს წინაშე, რომელიც ჩვენი სულიერი მამაა. რასაც ეს ჩვენ გვიბრძანებს, ყველაფერს შევასრულებთ"[44].

როგორც ვნახეთ, გიორგი XI რომის პაპს თხოვდა, რომ იგი ევროპის კათოლიკე მეფეთა რიგებში მიეღო და თავის მფარველობაში

აეყვანა. პაპის მხრიდან ამის დადასტურების შემდეგ, ბუნებრივია, იგი კათოლიკე მეფე იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ისმება კანონიერი კითხვა: ჰქონდა თუ არა გიორგი მეფის მიერ კათოლიკობის მიღებას პოლიტიკური მიზანი? თუ იგი კათოლიკური დოგმატების უპირატესობის აღიარებით იყო ნაკარნახევი? ამ კითხვას ვპასუხობთ პირდაპირ: გიორგი XI-ის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება უმთავრესად ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მიზნით. ამ აზრის ნათელსაყოფად მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობთ შემდეგ ამბებს.

გიორგი XI-ის მიერ ევროპაზე აღებული პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ ჩვენ თითქმის არავითარ წყარო არ გაგვაჩნია. ამ საკითხზე მსჯელობისას უმთავრესი საბუთია ზემოხსენებული წერილი გიორგი მეფისა რომის პაპისადმი, სადაც მთავარი სათქმელი დიპლომატიურად ძალზე მოზომილად და ლაკონურადაა გადმოცემული. აქ ნათქვამია შემდეგი: „დასავლეთის გვირგვინოსანი მეფეები, — წერს გიორგი მეფე პაპს, — რომლებიც მუდამ ურწმუნოებს (ამ შემთხვევაში თურქებს — მ. პ.) ებრძვიან და მათზე იმარჯვებენ, თქვენის ლოცვა-კურთხევით ჩვენცა ვძლევთ ამ ურწმუნოთა (თურქებს — მ. პ.)... ნეტავი ღმერთმა და ღვთისმშობელმა შეგვაძლებინოს, რომ ჩვენმა სამეფომაც მიაყენოს ზიანი თქვენთა მტერთა (თურქებს — მ. პ.) თქვენ გემსახუროთ და თქვენ მორჩილ მეფეებთან ერთად შევიარაღდეთ“[45]. ჩვენი აზრით, ამ დიპლომატიურად ნათქვამ რამდენიმე წინადადებაში გიორგი XI რომის პაპ ინოკენტი XI-ს სთავაზობდა ანტიოსმალურ კოალიციაში შესვლას. ამ აზრს გვიმტკიცებს კაპუჩინი მისიონერის დიონიჯიო კარლს ასეთი პატარა ცნობა. „მეფემ ვენის (1683 წლის — მ. პ.) გამარჯვება რომ გაიგო, იტალიური ენის შესწავლას შეუდგა. მას ერთი ჩვენი პატრი ასწავლის“[46]. მართალია, ცოტა გაუგებარია, თუ რა კავშირშია ვენის გამარჯვების ამბავი გიორგი XI-ის მიერ იტალიური ენის შესწავლის დაწყებასთან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებას ევროპაში, ამ საკითხს გასაღებს მოვუძებნით.

როგორც ცნობილია, 1683 წლის მარტში თურქი დამპყრობლები ვენასთან აღმოჩნდნენ. ამჯერად ევროპის ყველა ქრისტიანული სახელმწიფო მიხვდა, ამ პოლიტიკური მომენტის მნიშვნელობას. 1683 წლის მარტში რომის პაპის ინოკენტი XI-ის სურვილით გერმანიის საღმრთო რომის იმპერატორმა კავშირი დადო პოლონეთის მეფე იან

სობესკისთან; იმპერიის შიგნით ყველა კურფიურსტმა გულმოდგინედ დაიწყო მზადება თურქებთან საბრძოლველად.

1683 წლის 12 სექტემბერს გაბრწყინდა მარად დაუვიწყარი სურათი. ქრისტიანთა ყველა ჯარი დაიძრა თურქების წინააღმდეგ. ბრძოლის ბედი ამ ღირსსახსოვარ დღეს გადაწყვიტა პოლონეთის მეფე იან სობესკიმ. თურქთა 300 ათასიანი ჯარი ვეზირ ყარა-მუსტაფას მეთაურობით დამარცხდა. მას ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ამ დამარცხებისათვის იგი დაახრჩვეს, ხოლო შემდეგ თავი მოჰკვეთეს. გამარჯვებულთა რიგებიდან ყველაზე მეტი პატივი ერგო პოლონეთის მეფეს იან სობესკის, რომელსაც ხოტბას ასხამდნენ და ლოცავდნენ ყოველნაირად. ასე მაგალითად, მოპოვებული გამარჯვების გამო იოანეს სახარებიდან ტექსტად არჩეული იქნა მე-6 მუხლი, რომელიც აცხადებს: „იყო კაცი მოვლინებული ღმერთის მიერ, და სახელი მისი იოანე". გერმანიის იმპერატორს კი იქამდე დაავიწყდა ეტიკეტი, რომ ავსტრიის დედაქალაქის განმათავისუფლებელთან შეხვედრისას, თვით მივიდა მასთან, მოიხადა მის წინ ქუდი და რამოდენიმე სიტყვა გაუზიარა[47]. რომში იან სობესკის მიერ ვენასთან (1683 წ.) მოპოვებული გამარჯვება აღიარებული იქნა, როგორც კათოლიკობის ტრიუმფი. ამ გამარჯვების პატივსაცემად ინოკენტი XI-მ დააწესა ქალწული მარიამისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც აღინიშნება 12 სექტემბერს[48].

ვენასთან თურქებზე გამარჯვებას მოჰყვა მათ წინააღმდეგ ჰაბსბურგთა მონარქიის მთელი რიგი წარმატებული ლაშქრობები, რომელიც 1699 წლის 26 იანვარს კარლოვიცის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა. ავსტრიისათვის ამ ღირსსახსოვარი და ხელსაყრელი ზავით დამთავრდა XVII საუკუნე. ამიერიდან თურქები იძულებული ვახდნენ მუდმივ თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საფუძველი გვაქვს დავასკვნათ: კათოლიკე მისიონერების საშუალებით მეფე გიორგი XI კარგად იყო ინფორმირებული ევროპაში პოლიტიკური ძალების განლაგების შესახებ. მათი მეშვეობით იგი თვალყურს ადევნებდა პოლიტიკური მოვლენების განვითარებას დასავლეთში. ვენასთან თურქების ისტორიულ დამარცხებას იგი აღიქვამდა, როგორც საერთო ქრისტიანულ საქმეს, ქრისტიანთა საყოველთაო გამარჯვებას. ხოლო 1686 წლიდან, ვიდრე 1699 წლამდე ჰაბსბურგთა მონარქიის მიერ თურქეთის წინააღმდეგ შეუწყვეტელ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად

ისიც შეემზადებოდა, თუ ამის საშუალება მიეცემოდა. ასევე მან კარგად უწყოდა, რომ რომის პაპს ისევ შენარჩუნებული ჰქონდა, ფორმალურად მაინც დასავლეთის მეფეებს შორის მოსაშუალეს როლი. შეუძლებელია, გარდა თქმულისა, სხვა რამ იყოს მოცემული გიორგი მეფის მიერ პაპისადმი გაგზავნილ ზემოაღნიშნულ წერილში.

ამრიგად, გიორგი XI-ის პირველი დიპლომატიური ნაბიჯები რომში მიმართული იყო იქითკენ, რომ პაპის საშუალებით დაემყარებინა კავშირი თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან. იგი თავის წერილში პაპისადმი კონკრეტულად არ მიუთითებს რომელ სახელმწიფოსთან ცდილობდა კავშირში შესვლას. მისთვის ეს არ იყო მთავარი, რადგან რომის პაპის ლოცვა-კურთხევით „მზად იყო შეესრულებინა მისი ბრძანება". ვენასთან თურქების სასტიკი დამარცხება გიორგი XI-მ ქრისტიანული სამყაროს საერთო წარმატებად ჩათვალა და ამის ნიშნად იტალიური ენის შესწავლას შეუდგა, რათა ამით ესიამოვნებინა კათოლიკური ევროპის სულიერი მესვეურებისათვის. ვენის ისტორიული მოვლენის შეფასებაში. გიორგი XI სავსებით სწორი იყო. ვენასთან დამარცხებული და შემდეგ დასავლეთში ბრძოლებით დაკავებული თურქეთი ძალუმად ვერ შეუტევდა საქართველოს. ამ მოვლენასთან კავშირში უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის მიწურულს თურქეთი ვერ ერეოდა აქტიურად იარაღის ძალით საქართველოში მიმდინარე ამბებში.

დაბოლოს, ჩვენი აზრით, გიორგი XI-ს მიერ კათოლიკობის მიღება არ უნდა ავხსნათ მარტო პოლიტიკური მოსაზრებით. მართალია, არ გაგვაჩნია არც ერთი წყარო, რომელიც გაგვარკვევდა, თუ რატომ მისცა გიორგი XI-მ კათოლიკურ დოქტრინებს უპირატესობა, ან რამდენად ერკვეოდა იგი კათოლიკურ პრინციპებში, მაგრამ ცხადია, რომ მისთვის კათოლიკობა მოწინავეობას ნიშნავდა. იგი იყო საშუალება დასავლეთის ცივილიზაციასთან ზიარებისა. მისიონერებთან მჭიდრო კონტაქტში მყოფმა მეფემ, ალბათ, კარგად გაარკვია, თუ რაში მდგომარეობდა ცენტრალიზებული და ეროვნული ევროპული სახელმწიფოების სიმტკიცე. ამასთან კავშირში გიორგი XI-ს შეეძლო დაენახა, კათოლიკობის სიძლიერე და ისიც, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ეკლესიათა გაერთიანებასა და რომის პაპის უზენაესობის აღიარებას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმდროინდელი ქართველი მართლმადიდებელი საეკლესიო პირები დიდად ჩამორჩებოდნენ კათოლიკე მისიონერებს საღვთისმეტყ-

ველო ციდნაში (ამის შესახებ მრავალი წყარო გაგვაჩნია), საფიქრებელია, ქვეყნის მესვეურების მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება ხშირ შემთხვევაში გამოწვეული ყოფილიყო კათოლიკური დოქტრინების უპირატესობის აღიარებით. მიგვაჩნია, რომ ამ მომენტის გამორიცხვა არ იქნებოდა სწორი. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, რატომ კათოლიკდებოდნენ ქართველი შართლმადიდებელი სასულიერო პირები, ან რატომ არ გამოდიოდა ქართული ეკლესია თეოლოგიურად კათოლიკების წინააღმდეგ.

ამრიგად, საქართველოს საერო თუ სასულიერო მესვეურთა გაკათოლიკება ნაკარნახევი იყო პოლიტიკურ-რელიგიური თვალსაზრისით. ეს დასკვნა თანაბრად შეგვიძლია განვავრცოთ ყველა იმ საერო და სასულიერო პოლიტიკური მოღვაწეების საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე, რომლებიც არსებობენ კათოლიკურ დასავლეთზე აკეთებდნენ. ნათქვამიდან გამომდინარე, მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: მაშ რა უშლიდა ხელს საქართველოში გაკათოლიკებას? ამაზე ვპასუხობთ კაპუჩინი პატრის დიონიზიო კრლის სიტყვებით, რომელიც წერს: „ქართველები ფრანგებისათვის. (კათოლიკეებისადმი — მ. ჯ.) დიდი თანაგრძნობით არიან განწყობილნი. ისინი ჩვენ მეზობლად რომ ყოფილიყვნენ და შეგვძლებოდა მათთვის საჭირო შემწეობა აღმოგვეჩინა, ეჭვი არაა ყველა გაკათოლიკდებოდა“[49]. მსგავსი წყაროების მოყვანა მრავლად შეიძლება.

მოვლენების განვითარების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვის მიზნით, მკითხველთა ყურადღებას ისევ მივაპყრობთ 1687 წლის გაზაფხულზე რომის პაპთან ელჩად ანჯელო ფილინელის გაგზავნის საკითხს. როგორც ვთქვით, ამ პატრს მიჰქონდა გიორგი XI-ის 1687 წლის 29 აპრილით დათარიღებული წერილი ინოკენტი XI-სადმი, რომლის დეტალური ანალიზი ჩვენ ზემოთ გადმოვეცით. ამავე პატრს პაპთან მიჰქონდა აგრეთვე გიორგი მეფესთან ძალზე დაახლოებული პირის ეპისკოპოს ექვთიმე რატიშვილის წერილი, რომელიც 1687 წლის 2 მაისით იყო დათარიღებული. ამ ეპისკოპოსს კათოლიკობა მიუღია 1687 წლის 20 დეკემბერს. იგი ხსენებულ წერილში ადიდებდა პაპს და „მის უწმიდესობას კათოლიკობის აღიარებით ეამბორებოდა“. „ამას ჩავდივართ, — წერდა ექვთიმე პაპს, — არა მარტო გარეგნულად, ხორციელად, არამედ სულითაც, რომელიც თქვენი სიყვარულით სავსე გვაქვს, თუმცა კი შორს ვიმყოფებით“. წერილის ბოლოს მოკლედ ჩანს ის მთავარი სათხოვარი, რასაც მიზ-

ნად ისახავდა ეს ეპისტოლე. „ამასაც მოგახსენებთ, — ეკითხულობთ ამ წერილში, — რომ ღვთისაგან კურთხეული ჩვენი მეფე გიორგი, საქართველოს ყველა ეპისკოპოსი, მღვდელი, მონაზონი და ერისკაცნი დიდად მოხარულნი არიან თქვენს გაძლიერებასა და თქვენი მტრების დამარცხებაზე. ამისათვის ღმერთს ვევედრებით, რომ უფრო უმეტესად გაგაძლიეროთ და აამაღლოს თქვენი მარჯვენა, ასევე მოექცეს თქვენს შვილებს მთავრებსაც, რომლებიც თქვენი მორჩილი და ერთგულნი არიან"[50].

როგორც ვხედავთ, დამაჯერებელი ტონით დაწერილ ამ წერილში ეპისკოპოსი ექვთიმე — პაპს, ვითარცა კათოლიკე სუვერენთა სულიერ მეთაურს, ულოცავდა ვენასთან თურქებზე გამარჯვებას. მის წერილს, როგორც გაკათოლიკებული სასულიერო მესვეურისას, გარკვეული ეფექტი უნდა მოეხდინა პაპის კარზე და გამოხატავდა ქართლის სამეფოს სასულიერო პირთა დამოკიდებულებას გიორგი მეფის ევროპული პოლიტიკის მიმართ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ექვთიმე ეპისკოპოსი და სხვა ქართველი სასულიერო პირები იზიარებდნენ გიორგი XI-ის საგარეო პოლიტიკურ კურსს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის სამეფოში XVII საუკუნის 90-იან წლებში მრავალი სასულიერო თუ საერო პირი გაკათოლიკდა. გიორგი მეფისა და ექვთიმე ეპისკოპოსის გარდა კათოლიკობა აღიარეს: გიორგი XI-ის ძმამ ლევან ვახტანგის ძემ, გიორგი არაგვის ერისთავის ძმამ ბარძიმმა, გიორგი XI-ის შვილმა ბაგრატმა და ჩვენთვის კარგად ცნობილმა სულხან-საბა ორბელიანმა. ამ უკანასკნელის გაკათოლიკების საკითხს დეტალურად ცოტა ქვემოთ შევეხებით.

პაპმა ინოკენტი XI-მ დიდი სიხარულით მიიღო გიორგი XI-ის ელჩი ანჯელო ფილინელი. მან პაპს გადასცა გიორგი მეფისა და ექვთიმე ეპისკოპოსის წერილები და მოახსენა ზეპირად მათი დანაბარები. პაპმა გიორგი მეფის წერილს, 1688 წლის 14 მაისით დათარიღებული წერილით უპასუხა, რომელშიც ინოკენტი XI ენით გამოუთქმელ აღტაცებასა და სიხარულს გამოთქვამდა ქართლის მეფის გაკათოლიკების გამო. „ვინაიდან ჩვენი მწყემსობრივი მოვალეობის უმთავრესი ზრუნვა, — წერდა პაპი გიორგი მეფეს, — არის იესო ქრისტეს პატიოსანი სისხლით დახსნილთა სულების ცხონება, ამიტომ ისე არაფერს შეეძლო ჩვენთვის ნუგეში ეცა, როგორც გვანუგეშა თქვენი მოქცევის (გაკათოლიკების — მ. პ.) ამბავმა, რადგან ამ

თქვენს მოქცევას დიდად ვაფასებთ და იმედი გვაქვს, რომ მაგ თქვენი მაგალითით დღიდან დღე უფრო განეფინოს ეს ჩვენი სარწმუნოება. ღირსეულ ქებას შევასხამთ რა მაგ თქვენს წარჩინებულ მოქმედებას, თქვენს დიდებულებას კათოლიკე ეკლესიის წიაღსა შინა შევიწყნარებთ და გრაცხთ თქვენც ჩვენს მორწმუნე და ქვეშევრდომ მეფეთა შორის"[51].

პაპის მეორე წერილში გიორგი მეფისადმი, რომელიც 1688 წლის 22 მაისითაა დათარიღებული, საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი მ.ისი გაკათოლიკებით გამოწვეული სიხარული რომში. ამის ნიშნად „საჭიროდ ვსცანით, — წერდა პაპი გიორგი მეფეს, — მივუძღვნათ თქვენს დიდებულებას საუკეთესო ხელოვნებით შემკობილი და ვერცხლით შემოჭედილი ღვთისმშობლის ხარების ხატი, რომლის ჩარჩოც აბანოზის ხისა არის". აქვე პაპი ქართლის მეფეს უნიშნავდა მოსანანიებელი შენდობის მრავალსახოვან ლოცვებს[52]. პაპმა ასევე მისწერა წერილი ექვთიმე რატიშვილს, რომელიც დათარიღებულია 1688 წლის 14 მაისით. მასში ინოკენტი XI უსაზღვრო სიხარულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ექვთიმე ეპისკოპოსმა კათოლიკობა აღიარა. ამ ფაქტს რომში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან იგი, ერთი მხრივ, ამტკიცებდა თუ რა ნაყოფი გამოიღო საქართველოში კათოლიკობამ და, მეორე მხრივ, საიმედო პერსპექტივებს სახავდა ეკლესიათა გაერთიანების საქმეში. პაპს არც ექვთიმე ეპისკოპოსი დარჩენია დაუსაჩუქრებელი. მას გამოუგზავნა „ერთი ძვირფასი და დიდნახელავი ბარძიმი".

ბუნებრივია, აღნიშნული მოვლენების მიღმა არც პროპაგანდა ფიდე დარჩენილა. პროპაგანდის კრებამ 1688 წლის 3 აპრილს მოკლე ბარათი გამოუგზავნა გიორგი მეფეს, რომელშიც შექებულია მისი ბრძნული ნაბიჯი, რომ შვილთან ერთად აღიარა კათოლიკური სარწმუნოება. თავის მხრივ პროპაგანდა თბილისის კაპუჩინთა პრეფექტს ჯუსტინო ლივორნოელს მადლობის წერილს წერდა, რომ „კათოლიკე ეკლესიას თავიანთი ცდით ესეთი წარჩინებული პირები შესძინეს". აგრეთვე „გაუგზავნეს სარწმუნოების სიმბოლო, რათა მეფეს, მის შვილსა და მის ძმას გაამეორებინონ აღსარება. ხელი მოაწერინონ და ისევ რომში გამოაგზავნონ, რათა ასეთი შესანიშნავი საქმე სამახსოვროდ დარჩეს"[53].

რაც შეეხება პატრი ანჯელო ფილინელის მიერ რომში პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად ჩაყვანილ ქართველ ახალგაზრდას,

სახელად სოლომონს, იგი მიიღეს ხსენებულ კოლეჯში. სწავლის დამთავრების შემდეგ სოლომონი „კაპუჩინებთან მონაზონად შესულა". ამ მხრივ იგი იტალიელებთან შემონაზვნებული მესამე ქართველი კათოლიკე იყო.

ამრიგად, რომში პატრი ანჯელო ფილინელის ელჩობა წარმატებით დასრულდა. პაპმა გიორგი XI-ის თხოვნა შეასრულა. იგი ჩარიცხული იქნა კათოლიკე მეფეთა რიგში და აღიარებული იქნა პაპის ქვეშევრდომად.

ჩვენ არ ვიცით, თუ როდის დაბრუნდა რომიდან საქართველოში პაპთან ელჩად გაგზავნილი პატრი ანჯელო ფილინელი. ჩანს, იგი თბილისში მაშინ ჩამოვიდა, როცა ქართლიდან განდევნილი გიორგი XI დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აფარებდა თავს. უფრო სავარაუდებელია, მას არც შეხვედრია პატრი ანჯელო და შესაბამისად არც პაპის წერილი უხილავს. ასეც რომ არ ყოფილიყო, იმ დროს საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, გიორგი XI ვერ მოიცლიდა ვატიკანთან ურთიერთობის საკითხების განსახილველად და ვერც პაპის გამოგზავნილი წერილის საპასუხოდ. ამის ნათელსაყოფად მოკლედ შევეხებით XVII საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას.

მეფე გიორგი XI-ის მთელი საქმიანობა თავისი შინაარსით ირანის საწინააღმდეგო ხასიათისა იყო. იგი მამის პოლიტიკას არა მარტო აგრძელებდა, არამედ უფრო რადიკალურიც იყო და საიდუმლოდ ემზადებოდა ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის[54]. შაჰი ჩქარა დარწმუნდა, რომ გიორგი ნაკლებად აპირებდა მორჩილებას. მან ქართლიდან არ გააძევა არჩილი, რომელსაც შაჰი დაჟინებით მოითხოვდა. პირიქით, არჩილი გიორგის დახმარებით არაერთხელ გამეფდა იმერეთში. აქვე ვიტყვით: ნიჭითა და სიმამაცით დაჯილდოებულ არჩილ მეფეს, რომელიც ხან კახეთის ტახტზე ავიდა, ხან კი იმერეთისა, ბედმა არ არგუნა გამხდარიყო დიდი მმართველი. ამისათვის მეცნიერებით გატაცებულ მეფეს არაფერი არ აკლდა, გარდა იმისა, რომ მას მოუწია ეცხოვრა ისეთ საქართველოში, სადაც მტრობა, შური, გაუტანლობა, შინაფეოდალური და დინასტიური ომები ცხოვრების წესად იყო ქცეული. მოკლედ, ძნელია მოიძებნოს ტერიტორიითა და მოსახლეობით ისეთი პატარა ქვეყანა, რომელსაც გადაეტანოს იმდენი საშინელი სამოქალაქო ომები, რამდენიც საქართველომ გადაიტა-

ნა 1661 წლიდან 1698 წლამდე. ამიტომ შემთხვევითი არ იყო პატრი დიონიჯო კარლის სიტყვები, რომ საქართველოს მართვას „თვით მაკიაველიც კი ვერ გაართმევდა თავსო“.

გიორგი XI აქტიურად ერეოდა იმერეთის საქმეებში და იქ გავლენის მოსაპოვებლად სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა: მოყვრობას, მოსყიდვას, თავადთა შორის ბრძოლაში ჩარევას. გარდა ამისა, იგი კახეთის ხანის განსადევნად ემზადებოდა. აქ მას ძლიერი მომხრეები ჰყავდა[55]. 1688 წელს კახეთის მოსახლეობამ თხოვნით მიმართა გიორგის, რათა დახმარებოდა ყიზილბაში მმართველის განდევნაში. მან გადაწყვიტა, რომ ესარგებლა ამ მომენტით და ქართლ-კახეთი გაეერთიანებინა, მაგრამ მისი ეს გეგმა შინაური ღალატის გამო ჩაიშალა.

ირანის შაჰი ინტრიგების ქსელს აბამდა გიორგის წინააღმდეგ. ამ საქმეში მას საიმედო მოკავშირეებად ქართლის თავადთა ის ჯგუფი მიაჩნდა, რომელიც გიორგის წინააღმდეგ იყო განწყობილი. ამ საქმეში შაჰს წარმატება ჰქონდა. რენეგატი თავადები ხარბად დაეწაფნენ შაჰ ჰუსეინის ქრთამს. განდგომილ თავადთა რიგებში იყვნენ არაგვის ერისთავი გიორგი, მუხრანის ბატონი ერეკლე, იესე და სარგის მაჩაბლები და სხვები. გიორგი არ შეუშინდა შაჰის რისხვას და რენეგატ თავადთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღო[56].

ახლა შაჰის კარზე მიზეზს ეძებდნენ გიორგის გადასაყენებლად. იგი ირანში დაიბარეს, მაგრამ მან ეს თხოვნა არ შეასრულა და იმერეთში გადავიდა. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ დიდი ყოყმანის შემდეგ ირანში მყოფმა ერეკლემ მაჰმადიანობა მიიღო და 1688 წელს ქართლის ტახტზე ავიდა ნაზარალი — ხანის სახელწოდებით.

ერეკლე I ქართლს 1688—1703 წლებში განაგებდა. მან ვერ შეცვალა ქვეყნის ანარქიული მდგომარეობა. მის დროს ქართლ-კახეთში ირანის ხელისუფლება განმტკიცდა, რასაც მოჰყვა ქართლში სპარსული ზნე-ჩვეულებების დამკვიდრება. თავადებს არ მოსწონდათ ქართლის წესების „დამშლელი“ ერეკლე. ისინი კვლავ გიორგი მეფეს ეფიცებოდნენ ერთგულებას და ტახტზე იწვევდნენ.

1691 წელს გიორგი ქართლში შემოვიდა. ოთხი წელი გაგრძელდა პარტიზანული ბრძოლა გიორგისა და ერეკლეს მომხრეებს შორის. იმერეთიდან ხელახლა გამოძევებული არჩილი გიორგისთან ერთად იბრძოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ. მისი მიზანი კახეთის ტახტის დაჭერა იყო, მაგრამ დამარცხდა. 1695 წელს გიორგი ისევ იმერეთში გადავიდა. ერეკლე ქართლ-კახეთის ტახტზე დამკვიდრდა.

ასეთ ანარქიულ მდგომარეობაში დიდად უნდა შეშლოდა ხელი მისიონერთა საქმიანობას, მაგრამ ეს მთლად ასე არ მოხდა. თბილისის მისიონი წარმატებით განაგრძობდა მუშაობას. რაც შეეხება გორის მისიონს, აქ 1684 წლის ჟამიანობის შედეგად მამა კარლო პეშელის გარდაცვალების შემდეგ პატრები არ იყვნენ. მათი მონასტერი და ქონება, ჩანს, სომხების ხელში გადავიდა. კაპუჩინთა პრეფექტი პატრი ჯულიო კრემონელი 1689 წლის წერილით რომიდან ითხოვდა 64 პიასტრს, რათა დაებრუნებინათ გორის მონასტერი და რიგიანად მოეწყოთ იგი. სათანადო სახსრების გარეშე გორში კათოლიკე პატრის გამოგზავნა შეუძლებელი იყო[57].

კაპუჩინი პატრები განუწყვეტლივ ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ ისევ გამოეცოცხლებინათ გორის მისიონი და აღედგინათ კათოლიკეთა დანგრეული მონასტერი. გორის მოსახლეობას კი ეს დიდად სურდა, რადგან ისინი კეთილგანწყობილნი იყვნენ კათოლიკური სარწმუნოებისადმი და იმედოვნებდნენ კაპუჩინი მამები გაწვრთნიდნენ მათ შვილებს[58]. ირკვევა, რომ პროპაგანდა ფიდემ ყურადღება მიაქცია კაპუჩინთა თხოვნას. უარყოფითი პასუხისათვის არც არსებობდა საფუძველი და გორის მისიონის აღდგენისათვის პროპაგანდამ თავდაპირველად გამოყო 150 სკუდო, რომელიც შემდეგ 180 სკუდომდე გაზარდეს[59]. მიუხედავად ამისა, გორის მისიონმა ვერ შეძლო მუშაობის განახლება. არ ვიცით დაბრუნდნენ თუ არა მისიონერები გორში XVII საუკუნის ბოლოს. ამაზე წყაროები არაფერს იუწყებიან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კაპუჩინებს ფაქტიურად აღარ ჰყავდათ ისეთი მფარველი, როგორც გიორგი XI იყო, თბილისში მისიონის საქმიანობა წარმატებით გრძელდებოდა. 1690 წლის 24 აგვისტოს იეზუიტი იოანე ეოსტკოვსკი პროპაგანდის ერთ-ერთ კარდინალს აუწყებდა, რომ თბილისში „კათოლიკობა მუდამ დღე ვრცელდება და ახლად გაკათოლიკებულნი ხშირად ეზიარებიან წმიდა საიდუმლოებებს"[60]. ამავე იეზუიტს დავალებული ჰქონია ქუთაისში მისიონის დაარსება.

მართალია, პირდაპირი წყაროები არ გაგეაჩნია, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ერეკლე I-ს კათოლიკე მისიონერებთან, უწევდა იგი მათ მფარველობას თუ არა, მაგრამ ამ კითხვას ერთი მცირე ცნობის მიხედვით დადებითად უნდა ეუპასუხოთ. კერძოდ, ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, რომელიც 1701 წლის 21—26 ივნისს თბილისში იმყოფებოდა გვამცნობს: „მეფე

ერეკლე I ორივე რელიგიას (მაჰმადიანობასა და ქრისტიანობას — მ. პ.) ერთდროულად აღიარებს: დადის მეჩეთშიც, ხოლო, როცა კაპუჩინებთან მიდის, მისი უწმიდესობის პაპის სადღეგრძელოს სვამს"[61]. ამდენად, ერეკლეს მეფობის დროს მისიონერები წარმატებით განაგრძობდნენ მოღვაწეობას. ბუნებრივია, მას წინააღმდეგობა ან უარყოფითი დამოკიდებულება რომ გამოეხატა მისიონერებისადმი, იგი უთუოდ ასახვას იპოვიდა პატრების მიერ რომში გაგზავნილ ეპისტოლეებში, რომლებიც საკმაოდ მოგვეპოვება.

მიუხედავად ამისა, კათოლიკე მისიონერები თავიანთ საქმიანობაში ყველაზე საიმედო გარანტიად გიორგი XI-ს სახავდნენ. ამიტომ ისინი ოცნებობდნენ იმ დროზე, როცა იგი ისევ დაუბრუნდებოდა თავის ტახტს, მაგრამ ამას ადვილად განხორციელება არ ეწერა. ასეთ ვითარებაში კათოლიკე მამებს მფარველად გამოუჩნდათ ქართველი კათოლიკე, გიორგი არაგვის ერისთავის ძმა ბარძიმი, რომელიც ერეკლე I-ის სამეფო კარზე მსაჯულთუხუცესი იყო.

ბარძიმ მსაჯულთუხუცესმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღო 1689 წელს, რაც მაშინვე აცნობა კაპუჩინთა პრეფექტმა ჯულიო კრემონელმა რომს. როგორც მისიონერთა წერილებიდან ირკვევა, ბარძიმი დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ქართლის სამეფოში. ამის შესახებ ხსენებული პრეფექტი 1690 წლის 1 იანვრის წერილით რომს აუწყებდა: „ახლა, საჭიროა იცოდეთ, რომ ეს პირი, სახელად ბარძიმი, რომელიც ახლა შეუერთე წმიდა რომის ეკლესიას, არის ერთი უძლიერესი და უწარჩინებულესი საქართველოს მთავართაგანი და აქვს დიდი სამთავრო, სავსე მეომარი ხალხით. ამჟამად იგი არის მდივანბეგი, როგორც აწინდელი მეფის (ერეკლე I-ის — მ. პ.) შემდეგ არის პირველი პირი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცოტათი წილი ამასაც უდევს იმაში, რომ საქართველო გიორგი მეფეს აუჯანყდა. გიორგიც მეტად განრისხებულია მასზე"[62].

ამ ვრცელი ეპისტოლედან ჩანს, რომ ბარძიმის მფარველობით მისიონერებმა მეტად გაიხარეს, რადგან ქართლის სამეფოში იგი გავლენიან პიროვნებას წარმოადგენდა, და ამასთანავე „კათოლიკურ ეკლესიას დიდ სიყვარულს უცხადებდა". „როდესაც ბარძიმმა მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, — წერს პატრი ჯულიო, — შეგვეხვეწა, რომ მიგვეწერა პაპისათვის, რათა მას მიეღო იგი რომის ეკლესიის შვილად..., რათა მისი კურთხევით გაძლიერებულმა შეიძლოს... მთელი სამეფო შეუერთოს კათოლიკე ეკლესიას"[63]. აქვე პატრი ირწმუ-

ნებოდა, რომ ბარძიმი „მზად არის ყველაფერში დაემორჩილოს პაპის ბრძანებას“-ო.

ბარძიმ მსაჯულთუხუცესის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება ეჭვს არ იწვევს. უდავოა ისიც, რომ მას სულიერ მამობას უწევდა ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსი ექვთიმე რატიშვილი. ამან და იმ მომენტმაც, რომ მისიონერთა მფარველი ბარძიმ ერისთავი ქართლის სამეფოში გავლენიანი პირი იყო, პატრებს ნათელი პერსპექტივა დაუსახა მომავალ საქმიანობაში. „ღვთის განსაკუთრებული შემწეობით ამ ჩვენი მისიონის წარმატება იმდენად დიდია, რომ არავის შეუძლია მასზე რაიმე ეჭვი შეიტანოს“, — წერდა პროპაგანდას 1690 წლის 18 მარტს ჯულიო კრემონელი. ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყანაში ანარქია სუფევდა და სომეხთა მხრიდან მისიონერები იდევნებოდნენ, სწორედ ბარძიმისთანა გავლენიანი მზრუნველი სჭირდებოდათ პატრებს[64].

ამიტომ იყო კაპუჩინებმა ძალზე დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ბარძიმ მსაჯულთუხუცესის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებას. ბარძიმის პიროვნების, მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღების მნიშვნელობასა და მისიონერებისადმი გაწეული მფარველობის შესახებ ოთხი ვრცელი წერილი იქნა გაგზავნილი რომში 1690 წელს საქართველოდან. ვიმეორებთ ეს შემთხვევითი არ იყო, რადგან გიორგი მეფის შემდეგ კაპუჩინელ მისიონერებს ბარძიმ ერისთავი ესახებოდათ ყველაზე საიმედო პიროვნებად მათი მფარველობის საქმეში. საკუთრივ ბარძიმ ერისთავმა ორი წერილი გაუგზავნა პაპ ინოკენტი XII-ს (1691—1700), რომელშიც იგი რომის პირველმღვდელმთავარს ჰპირდებოდა, რომ მთელი თავისი ქვეშევრდომებით შეასრულებდა ყველა მოთხოვნას, რასაც უწმიდესი პაპი ინებებდა მომავალში.

მართალია, მისიონერებს ბარძიმ მსაჯულთუხუცესის სახით ერთგული ძლიერი მზრუნველი ჰყავდათ, მაგრამ მათ, როგორც საქართველოს პოლიტიკურ ამბებში კარგად ჩახედულმა პირებმა, სწორად შეაფასეს, რომ კათოლიკობის წარმატების მტკიცე გარანტია ქვეყანაში მშვიდობის დამყარება და უძლიერესი სუვერენის მფარველობა იყო. ამის გარეშე საქმე ნავარაუდევი წარმატების მომტანი ვერ იქნებოდა. სწორედ ამიტომ სურდათ მათ გიორგი მეფისა და ბარძიმ ერისთავის შერიგება. საქმის ამ არსში გასარკვევად მოკლედ შეეხებით შემდეგ ამბებს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გიორგი XI-ის მოწინააღმდეგე თავადთა შორის იყო გიორგი არაგვის ერისთავი, რომლის ძმა იყო ბარძიმი. ეს უკანასკნელი ერეკლე I-ს უჭერდა მხარს. ამ დახმარების შედეგი უნდა იყოს ის, რომ ერეკლემ ბარძიმი „მსაჯულთუხუცესად დაადგინა“[65]. შემდეგში, როცა გიორგი XI-მ 1691 წელს თავისი სამეფოს დიდ ნაწილი დაიკავა, მის მხარეზე გადავიდა ქართლის თავადთა დიდი წაწილი და მათ შორის გიორგი არაგვის ერისთავი და მისი ძმა ბარძიმი[66].

გიორგი მეფესა და ბარძიმ ერისთავს შორის დაპირისპირებას კათოლიკე მამები ძალზე მტკივნეულად განიცდიდნენ, ცხადია, ამ ორ კათოლიკე მესვეურს შორის კარგი ურთიერთობა კაპუჩინთა სამისიონერო საქმიანობაში წარმატების მიღწევის დიდი გარანტი იყო. ამიტომ მათ ჩანს, განიზრახეს საქმეში ჩაერიათ პროპაგანდის მეშვეობით რომის პაპი. კაპუჩინთა პრეფექტი ჯულიო კრემონელი პროპაგანდას სწერდა: „კარგი იქნება, სთხოვოთ პაპს, რომ ორი სიტყვა მოსწეროს ჩვენს ლტოლვილ მეფეს (გიორგი XI-ს — მ. პ.), რათა შეურიგდეს ამ მთავარს (ბარძიმ ერისთავს — მ. პ.) და ერთად დაიწყონ ეს წმიდა საქმე (ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების საქმე — მ. პ.) უფრო მეტის ძალით და ეგრეთვე იმისათვის, რომ ყველა ჩვენი რჩევა მიიღოს ისე, როგორც მისი წარმომადგენლისაგან“[67]. თავის მხრივ კი კაპუჩინთა უფროსი, როგორც იგი ირწმუნება, ენერგიას არ იშურებდა მეფესა და ბარძიმს შორის ქიშპობა ერთგულებით შეეცვალა. „ბარძიმმა ძალიან დამაიმედა, — წერს იგი, — თანახმა ვარ, ერთგულად შევუერთდე გიორგი მეფესო“[68]. თუ ეს განხორციელდებოდა პატრ ჯულიო კრემონელს იმედი ჰქონდა, რომ საქართველო „წმიდა ეკლესიის“ სამოთხე გახდებოდა, რადგან „მიუხედავად ამდენი არეულობისა, განსაცდელისა, შიშისა და დევნისა (სომხებისაგან — მ. პ.), ბევრნი გაკათოლიკდნენ და შეიქმნენ მსასოებელნი, კეთილი მაგალითის მიმცემნი, უანგარონი და ჭეყვართ ღმერთი“[69].

კაპუჩინთა პრეფექტ ჯულიო კრემონელის ეს თხოვნა რომის პაპს ალექსანდრე VIII (1689—1691) უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მ. თამარაშვილის მიხედვით „1691 წელს პაპს გიორგი მეფისათვის რჩევის წიგნი მოუწერია, რათა კვლავ დამეგობრებოდა ბარძიმს და მას შეერთებოდა და მისი და სხვა კათოლიკეების დახმარებით ერთად ეზრუნათ საქართველოს საკეთილდღეოდ“[70]. რაც შეეხება ბარ-

ძმ ერისთავს, მას მომდევნო პაპმა ინოკენტი XII-მ წერილობით სთხოვა გიორგი XI-თან შერიგება[71]. მართალია, გიორგი XI-სა და ბარძიმს შორის შერიგებაში გადამწყვეტი ნამდვილად ვერ იქნებოდა პაპისა და მისიონერების თხოვნა, მაგრამ შეუძლებელია მათი მცდელობა დადებითად არ შევაფასოთ. ისინი ხომ ფაქტიურად დაპირისპირებული ძალების გაერთიანებას ისახავდნენ მიზნად. ეს კი თავისთავად დადებითი მოვლენა იყო, რადგან, როგორც იტყვიან, საქართველოს ისტორიის ბორბალი იმ დროს ხომ უკუღმა ტრიალებდა.

გიორგი XI-ს სხვა გზა არ ჰქონდა, ქართლის ტახტი რომ დაებრუნებინა იგი შაჰს უნდა დამორჩილებოდა. ამ მიზნით ის 1697 წელს ისფაჰანში ჩავიდა. ირანის ხელმწიფემ ამით ძალიან გაიხარა. სხვა შემთხვევაში შაჰი ასეთ პიროვნებას თავს გააგდებინებდა, მაგრამ ახლა სეფიანებს ქართველთა სამხედრო ცოდნისა და სიმამაცის წყალობით უნდა გადაერჩინათ თავი. საქმე ისაა, რომ ირანს ამ დროს აუჯანყდნენ ავღანელი ტომები, რომელთაც სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ქვეყანას აღმოსავლეთში. ასეთ ვითარებაში შაჰი გიორგი XI-ზე უკეთეს სამხედრო ნიჭითა და ძალით დაჯილდოებულ პიროვნებას ვერ ინატრებდა. ამიტომ იგი ირანში დატოვეს და ქირმანის ბეგლარბეგად[72] დანიშნეს, ხოლო მისი ძმა ლევანი — ნაიბად[73].

ერთი სიტყვით, ირან-საქართველოს ურთიერთობაში დაიწყო 22 წლიანი პერიოდი, როცა ქართლის მეფეებს და რჩეულ ქართველ მეომრებს ირანის მტრების წინააღმდეგ უნებლიეთ უხდებოდათ თავგანიწრული ბრძოლა და სისხლისღვრა. სწორედ მიუთითებს ინგლისელი ისტორიკოსი ვ. ალენი: „გიორგისა და მისი ძმების სამხედრო სიმტკიცემ შეინარჩუნა უკანასკნელ ათეულ წლებში სეფიანთა დინასტია სპარსეთში“[74].

ამდენად, კათოლიკეთა მფარველი გიორგი XI ირანში აღმოჩნდა შაჰის სამსახურში. მან იქაც გააგრძელა ლათინ მამებთან ურთიერთობა. მაჰმადიანთა მიწაზე ავღანელების წინააღმდეგ მებრძოლი მეფე ერთგული დარჩა ქრისტიანული სარწმუნოებისა. ამის აშკარად გამოხატვა, ბუნებრივია, იქ შეუძლებელი იყო. ამიტომ მას თავისთან ექიმების სახით ჰყავდა ორი კაპუჩინი პატრი, რომლებიც მოძღვრის ფუნქციას ასრულებდნენ. ამასობაში საქართველოში კაპუჩინთა საქმიანობამ წინანდელი ბრწყინვალება დაკარგა. საქმე ისაა, რომ 1698 წლიდან საქართველოში დაიწყო სომეხთა მხრიდან კათოლიკეთა სასტიკი დევნა, რომლის მსგავსი საქართველოს მისიონს აქამდე არ

ობა ქართლისა ვახტანგს და მერმე წარავლინოს ლევან ქართლს, რათა განაგოს საქმენი"[82].

შაჰმა გიორგის თხოვნა შეასრულა. 1703 წელს ქართლის ჯანიშნობა ვახტანგ ლევანის ძეს (ვახტანგ VI-ს) ებოძა. ერეკლე I-ს კი შაჰ ჰუსეინმა კახეთის მეფობა უბოძა, ირანის ყულარაღასობა (შაჰის გვარდიის უფროსობა) და ისფაჰანში გაიწვია.

გიორგი XI-ის ყანდაჰარში გაგზავნით ირანის მთავრობას შეეძლო დამშვიდებულიყო. ამით შაჰ ჰუსეინი ორ მიზანს აღწევდა: პირველი, გიორგის ხელით ფიტავდა ქედუხრელი ავღანელების ძალებს. ეს ნიჭიერი და გამოცდილი მხედარმთავარი უნდა გამხდარიყო ირანის იმპერიის უშიშროების გარანტია; მეორე, მოაცილა რა იგი საქართველოს, ირანის მთავრობამ მოხსნა ამ მხრიდან საშიშროება, რადგან საქართველოში გიორგის პოზიციების განმტკიცებას შეეძლო საბედისწერო როლი შეესრულებინა ირანში არსებული ხელისუფლებისათვის.

საბოლოოდ, გიორგი XI 1709 წლის 21 აპრილს ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლის მსხვერპლი შეიქმნა. მოხერხებული და ცბიერი მირ ვეისის მეთაურობით ავღანელებმა მუხანათურად მოკლეს მამაცი მეფე და გაანადგურეს მისი ჯარი. ასე რომ, გიორგი მეფემ თავისი მხედრული ნიჭი, უნარი და ენერგია ვერ მოახმარა საქართველოს სამსახურს. გიორგის პოლიტიკის მარცხის შესახებ სწორად წერს ფრანგი შარლ დე პეისონელი. „გიორგი XI-ს არ ეყო პოლიტიკური სიბრძნე. იგი მიზნის მისაღწევად ძალას მიმართავდა და ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ მოხერხებულობით ხშირად მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე ძალადობით. მას არ ეყო სიფრთხილე, რის გამოც ებმებოდა მახეში, საიდანაც თავის დაღწევა შეიძლებოდა მოხერხებულობით და არა მამაცობით. მაგრამ მის მიერ დაშვებული შეცდომები უფრო საბედისწერო აღმოჩნდა, ვიდრე სარგებლობა მოუტანა გმირულმა საქმეებმა. მან დაადასტურა, თუ რამდენად სახიფათოა გამბედაობა სიფრთხილის გარეშე. მისმა მტერმა მის ვეისმა კი პირიქით, აჩვენა თუ რას აღწევს ეს ორი თვისება, როცა ისინი განუყოფელნი არიან"[83].

ამ ამბებზე შედარებით ასე ვრცლად ჩვენ ერთი მოსაზრებით შევჩერდით. კერძოდ, ვაჩვენოთ, იმ რთულ ვითარებაშიც კი, თუ როგორ ახერხებდა გიორგი მეფე კათოლიკე მამებთან ურთიერთობასა და პატივისცემის გამოხატვას. ირანში ჩასულ გიორგი XI-ს კავშირი არ

გაუწყვეტია კათოლიკე მისიონერებთან. ერთ-ერთი პატრი პიერ რიკარი ერთხანს მკურნალობდა გიორგი მეფეს და მასთან მტკიცე მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა[84]. გიორგი მეფესთან ჯარის საჭიროების საბაბით მუდამ იყო „ორი კაპუჩინი: ძმა რეჯინალდო და კონტე და ძმა ამბროჯო და მილანო. მეფემ მათ მიანდო თავისი საგვარეულო ძვირფასეულობა. ოქრო და ძვირფასი ქვები. პირველი მათგანი რეჯინალდო და კონტე ქირმანში გარდაიცვალა...“ — წერს იეზუიტი თადეუშ კრუსინსკი[85]. მუხანათურად მოკლული მეფის მკერდზე იპოვეს ოქროს ჯვარი. ამასთან დაკავშირებით, კრუსინსკისთან ვკითხულობთ: „თელიან, რომ ავღანელებთან ბრძოლის წინ გიორგიმ მიიღო წმიდა ზიარება და სრულიად დაბრუნდა რომის კათოლიკური ეკლესიის წიაღში[86].

უდავოა, ეს ცნობები იძლევა სრულ საფუძველს დავასკვნათ, რომ ირანში გიორგი მეფესთან ექიმი მისიონერების ყოფნა არ იყო შემთხვევითი. ისინი მოძღვრის ფუნქციებს ასრულებდნენ და მაჰმადიანთა გარემოცვაში განსაცდელის წინაშე მყოფ მეფეს სულიერად განამტკიცებდნენ. ყოველივე ეს ცხადად აჩვენებს, რომ გიორგი XI ერთგული დარჩა კათოლიკური სარწმუნოებისადმი.

გიორგი მეფის ავღანეთში დაღუპვის შემდეგ ირანის შაჰმა შექმნა დიდი არმია და მის მეთაურად დანიშნა ისფაჰანის გუბერნატორი და დივანბეგი ქაიხოსრო ლევანის ძე. ამასთანავე, შაჰმა მას უბოძა ქართლის ტახტიც. ქაიხოსრო ორი წელი (1709—1711) ითელებოდა ქართლის მეფედ, მაგრამ იგი თავის სამშობლოში არ უნახავთ.

საქართველოსაგან მოწყვეტილი ქაიხოსრო მეფე კათოლიკე მისიონერთა ერთგული მფარველი იყო. ამასთან დაკავშირებით, ზემოხსენებული თადეუშ კრუსინსკი წერს: „მისიონერთა მფარველმა და კეთილისმყოფელმა ხოსრო ხანმა (ქაიხოსრო — მ. პ.) თბილისის, გორის, განჯისა და თავრიზის მისიებს დაუნიშნა მუდმივი შეწირულობის გადახდა. მასთან მუდამ იყო კარმელიტი ძმა ბასილი პარიზიდან, რომელიც დამსახურებული მისიონერი იყო და დიდი პატივისცემით სარგებლობდა სპარსელებს შორის“[87].

ჩვენი ღრმა რწმენით, ქაიხოსროს, როგორც ირანის სახელმწიფოს დიდი მოხელის, ასეთი მზრუნველობა კათოლიკე მისიონერებისადმი, უწინარეს ყოვლისა, ნაკარნახევი იყო ირანის შაჰის პოლიტიკით. კერძოდ, ირან-საფრანგეთის 1708 წლის 7 სექტემბრის ხელშეკრულების 26-ე მუხლით ირანის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ორ-

დენის მამებს თავისუფლად შეეძლოთ „თავიანთი სარწმუნოების სამსახური". მათ ასევე უფლება მიეცათ ირანის იმპერიის ნებისმიერ ქალაქში ეცხოვრათ, იქ ესწავლებინათ და გაეწვრთნათ „ყველა სომეხი და ქრისტიანთა ბავშვები". ამ საქმეში მათთვის ხელის შეშლა არავის შეეძლო[88].

ასევე საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ქაიხოსროს მიერ ფარულად კათოლიკობის აღიარება და მისიონერებისადმი მფარველობის პოლიტიკა უმთავრესად შემადგენელი ნაწილი იყო იმდროინდელი ქართველი მესვეურების, კერძოდ, ვახტანგ VI-ის ევროპაზე აღებული ორიენტაციისა. ჩანს, ღვიძლი ძმები, ისფაჰანის გუბერნატორი ქაიხოსრო, ქართლის ჯანიშანი ვახტანგ VI და კათალიკოსი დომენტი III (1705—1741) ერთიან პოლიტიკურ კურსს ადგნენ რომთან ურთიერთობაში. მართალია, ქაიხოსროსა და დომენტის მიერ რომზე აღებული ორიენტაციის შესახებ ძალზე მცირე ცნობები გაგვაჩნია, მაგრამ არსებულიც საკმაო საფუძველს იძლევა, ვთქვათ შემდეგი: ქაიხოსრომ და დომენტი კათალიკოსმა 1708 წლის ზაფხულში წერილი მისწერეს რომის პაპს კლიმენტი XI-ს (1700—1721). ჩვენთვის მათი წერილები უცნობია, მაგრამ პროპაგანდა ფიდეს ისფაჰანის ვიკარისადმი 1708 წლის 13 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან (პროპაგანდა ვიკარს თხოვდა დაწვრილებითი ცნობები მიეწოდებინა ქაიხოსროსა და დომენტის შესახებ) დაახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ ქაიხოსროსა და დომენტის წერილების არსი.

კათალიკოსი დომენტი თავის წერილში პაპ კლიმენტი XI-სადმი გამოთქვამდა ერთგული ქვეშევრდომობის სურვილს და კათოლიკური სარწმუნოების მიღების წადილს. აქ პაპი იწოდებოდა ქრისტეს მონაცვლედ, წმიდა სამოციქულო ეკლესიის მეთაურად და ჩაუქრობელ ლამპრად. რაც შეეხება ქაიხოსროს, იგი წერილით პაპს აუწყებდა, რომ საიდუმლოდ მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რადგან მისი საჯაროდ აღიარება ირანში შეუძლებელი იყო. ამიტომ ითხოვდა პაპისაგან, რომ ნება მიეცა, გარეგნულად დაეფარა თავისი ქრისტიანობა. ასევე „მიანიჭოს ახსნა უწინ ქრისტიანობის უარყოფისათვის და შენდობიანი ჯვარი უბოძოს. აგრეთვე აუწყოს, რომში რომ მივიდეს პაპთან, თავშესაფარ ადგილს იშოვიდა თუ არა?"[89]

ქართველი მესვეურებისადმი პასუხი რომმა ძალზე დააგვიანა. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ, ალბათ, ისფაჰანიდან დროზე ვერ მიაწოდეს ვრცელი ცნობები ქაიხოსროსა და დომენტის

შესახებ, რასაც პროპაგანდა ფიდე 1708 წელს ითხოვდა. მხოლოდ 1711 წლის 24 იანვარს შესძლო პროპაგანდამ წერილი მიეწერა ქაიხოსროსა და დომენტი კათალიკოსისათვის. ამ უკანასკნელისადმი წერილში პაპის სახელით პროპაგანდა დომენტის უწონებდა კათოლიკური სარწმუნოების მიღების სურვილს და მოუწოდებდა, თავისი წადილი აღესრულებინა. ასევე აგულიანებდა, „ხელი მოეწერა კათოლიკური სარწმუნოების სიმბოლოსათვის, რომელიც ამ წერილთან ერთად ეგზავნებოდა“[90]. პროპაგანდა ქაიხოსროსადმი წერილში პაპის სახელით სიხარულს გამოთქვამდა მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღების ნდომის გამო. „პაპი მამობრივის სიყვარულით შეგაგულიანებთ, — წერდა პროპაგანდა ქაიხოსროს, — რომ თქვენს ასეთ კეთილ წადილში მარად მტკიცედ იყოთ“. „ხოლო პაპი გულმოწყალებით ყველაფრის ნებას აძლევდა, რაც კი კათოლიკურ სარწმუნოებას არ ეწინააღმდეგებოდა“[91].

ჩვენ არ ვიცით ეს წერილები მიიღეს თუ არა ადრესატებმა, ან რა შედეგები მოჰყვა ამას. ავღანელებთან სასტიკ ბრძოლაში ჩაბმული ქაიხოსრო, ცხადია, ვერ მოიცლიდა პროპაგანდის წერილის საპასუხოდ. 1711 წლის 26 ოქტომბერს იგი მამაცურად დაიღუპა ყანდაჰარში ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. აქ ქაიხოსროს თან ახლდა სამი მისიონერი, აქედან ორი დაიღუპა მასთან ერთად,[92] ხოლო მესამე — ჯუზეპე ფრესკურატი, გადარჩენილა. ეს უკანასკნელი შემდეგში ვახტანგ VI-ს ირანში დაუახლოვდა.

ქაიხოსროსთან ერთად დაღუპული ერთ-ერთი მისიონერი იყო კარმელიტი ძმა ბასილი. „მან არ ისურვა საფრთხეში მიეტოვებინა ბელადი, — წერს თ. კრუსინსკი, — თუმცა მას უბრძანეს გაქცევით ეშველა თავისათვის, მაგრამ იგი ქაიხოსროსთან ერთად დაიღუპა, რომელიც ჩუმად ასრულებდა მისი მოძღვრის ფუნქციას“[93].

ასე დაასრულა სიცოცხლე ქართლის მეფე ქაიხოსრომ. ირანის ინტერესებისათვის გიორგი XI-სა და ქაიხოსროს დაღუპვას საქართველოსათვის მძიმე შედეგები მოჰყვა. ყანდაჰართან კატასტროფა ნიშნავდა არა მარტო სეფიანთა შერყეული რეჟიმის დაღუპვას, არამედ მან საქართველოს დაუკარგა რჩეული მხედართმთავრები, სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს ისინი ესოდენ სჭირდებოდნენ.

როგორც ვნახეთ, ქართლის მეფე გიორგი XI 1709 წლის 21 აპრილს დაიღუპა, იმავე წლის ივლისში ირანში გარდაიცვალა ქართლის ტახტის მემკვიდრე ლევანი. 1711 წლის 26 ოქტომბერს დაი-

ლუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო. ამ პერიოდში, კერძოდ, 1703 წლიდან ქართლის სამეფოს მართავდა ვახტანგ VI. ამ დროს აღორძინდა ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრება. მაჰმადიანთა ძალმომრეობის პირობებში ვახტანგი ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკის მედროშედ გამოვიდა. მისი „მოღვაწეობის ე. წ. ჯანიშნობის პერიოდი საქართველოს იდეოლოგიური შემზადების ხანა იყო“[94]. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა ირანის შაჰის პროგრამას, მაგრამ სანამ გიორგი XI თავისი ჯარით ყანდაჰარში ავღანელთა მრავალრიცხოვან ტომებს აკავებდა, შაჰის სამეფო კარი იძულებული იყო, როგორმე შეეკავებინა თავი ქართლის შინაგან საქმეებში ჩარევისაგან და გიორგის ზურგს უკან ამოფარებული ჯანიშანი ქართლში წარმატებით საქმიანობდა.

ვახტანგ VI, ისე როგორც წინამორბედი მეფეები (ვახტანგ V, გიორგი XI), მფარველობდა კათოლიკე მისიონერებს, თუმცა XVIII საუკუნის დასაწყისში წინანდელ დროსთან შედარებით, კათოლიკობის წარმატებები უმნიშვნელო იყო. საქართველოში მხოლოდ თბილისის მისიონი მოქმედებდა. ჟოზეფ ტურნეფორის მიხედვით 1701 წლისათვის თბილისში სამი კაპუჩინი იყო — ორი მამა და ერთი მორჩილი ძმა, რომლებსაც „პროპაგანდა ფიდეს“ კონგრეგაცია წლიურად აძლევდა თითო სულზე 25 რომეულ ეკიუს, რაც ას ფრანგულ ლივრს უდრიდა. გარდა ამისა, ისინი შემოსავალს ღებულობდნენ მოსახლეობისაგან მკურნალობისათვის. კაპუჩინებს თბილისში ჰქონდათ ლამაზი ეკლესია და დავრდომილთა თავშესაფარი. აქ სულ „500 რომაელი კათოლიკე იყო“[95].

მიუხედავად შექმნილი მძიმე პირობებისა, კათოლიკე პატრები ისევ აგრძელებდნენ მოღვაწეობას. 1702 წელს მათ რომში სასწავლებლად გაგზავნეს ერთი ქართველი ახალგაზრდა კათოლიკე იოსებ აბესალამაშვილი (აბისალამიანი). პროპაგანდის კოლეჯში უადგილობის გამო იგი გაუგზავნიათ მონტეფიასკონეს სემინარიაში, სადაც მიუღიათ 1703 წლის 11 ოქტომბერს. ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ მას მოუწადინებია საღვთისმეტყველო საგნის შესწავლაც, მაგრამ სწავლა არ დაუსრულებია და 1709 წელს რომიდან საქართველოში დაბრუნებულა[96].

1707 წლისათვის საქართველოში მოღვაწეობდა კაპუჩინელი მქადაგებელი და მოციქულებრივი მისიონერი ჯოზეფო მარია და პერუჯა. იგი დამსახურებული მისიონერ-დიპლომატი იყო, რომელიც პაპ-

მა კლიმენტი XI-მ 1709 წელს გაგზავნა შაჰ ჰუსეინის კარზე, სპეციალური დავალებით[97]. იმავე წლის მიწურულისათვის საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის ხელშეწყობით თურქეთის გავლით საქართველოში ჩამოვიდა ხუთი იტალიელი კაპუჩინი[98]. აქვე მკითხველებს შევახსენებთ, რომ კათოლიკე მისიონერების თურქეთზე გავლით საქართველოში ჩამოსვლა დიდად იყო დამოკიდებული საფრანგეთის ელჩზე კონსტანტინოპოლში. მხოლოდ საფრანგეთის ელჩის მფარველობის ქვეშ შეეძლოთ მათ თურქეთის ტერიტორიის გავლა და საქართველოში ჩამოსვლა. წამყვანი კათოლიკური ქვეყანა საფრანგეთი XVIII საუკუნეში იყო აღმოსავლეთში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების აქტიური მფარველი.

ჩვენ სათანადო ადგილას ვნახეთ, რომ XVII საუკუნის მიწურულს ირანის იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც სომეხთა მხრიდან დაიწყო კათოლიკე მისიონერების დევნა. მართალია, შაჰის ბრძანებით ირანის იმპერიაში კათოლიკე პატრებს ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, მაგრამ ამან ეფექტურად ვერ იმოქმედა. შემდეგში ირან-საფრანგეთის 1708 წლის ხელშეკრულებამ კათოლიკე მისიონერებს ისევ მიანიჭა თავისუფალი მოქმედების უფლებები, მაგრამ მას მხოლოდ თეორიული წასიათი ჰქონდა. ირანის იმპერიაში კათოლიკე პატრები ისევ განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას. წყაროების მიხედვით, ეს გამოწვეული იყო სომხეთის პატრიარქისა და მისი მომხრეების საქმიანობით. სომხეთის პატრიარქმა დიდი ქრთამის საშუალებით ირანის მესვეურებისაგან მიიღო სიგელი, რომლის ძალითაც მისიონერთა საქმიანობას დაბრკოლებებს უქმნიდა[99]. ირანის იმპერიიდან მისიონერებს განდევნა ემუქრებოდა. სომხური ეკლესიის მსახურნი ხელს უშლიდნენ თბილისში მისიონერთა საქმიანობას.

სომეხი სასულიერო პირების ანტიკათოლიკური განწყობილების მიზეზების შესახებ პროფ. ვ. გაბაშვილი წერს: „კათოლიკე მისიონერებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი სომეხი სარწმუნოების თბილისელი ვაჭრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. ისინი კათოლიკე მისიონერებს თვლიდნენ, სავსებით მართებულად აგენტებად და საშიშარ მეტოქეებად. სომეხი ვაჭრები წინააღმდეგობას უწევდნენ კათოლიკე მისიონერების კომერციულ საქმიანობას, როგორც სპარ-

სეთში, ისე საქართველოში"[100]. შემდეგში ეს აზრი ურყევად იქნა გატარებული სპეციალურ ლიტერატურაში.

ცნობილი მეცნიერის, პროფ. ვ. გაბაშვილის აღნიშნულ დასკვნას ჩვენ მთლიანად ვერ გავიზიარებთ. როგორც ვიცით, 1633 წელს, პროპაგანდის ბრძანებით, კათოლიკე მისიონერებს აეკრძალათ სავაჭრო საქმიანობა[101]. ამიერიდან მისიონერები ძალზე იშვიათად ერეოდნენ ამ საქმეში. ჩვენ არ გაგვაჩნია არცერთი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა, რომ რომიდან გამოგზავნილი მისიონერები საქართველოში ეწეოდნენ სავაჭრო ოპერაციებს ანდა დაკავებული იყვნენ სავაჭრო საქმიანობით. ჩვენი აზრით, სომეხი სასულიერო პირები იმიტომ იყვნენ საქართველოში კათოლიკე პატრებისადმი ანტიპათიურად განწყობილნი, რომ ქართველების მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებით სომხური ეკლესია კარგავდა თავისად მიჩნეულ მრევლს. ქართველთა უფრო მეტი სიმპათიები და მიდრეკილება კათოლიკური სარწმუნოებისადმი მოსვენებას უკარგავდა იმდროინდელ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწინაურებულ სომხებს. „პოლიტიკური კატაკლიზმებითა და ეკონომიური უილაჯობით შერყეულ სახელმწიფოში, ვერც ქართული ეკლესია იდგა სათანადო დონეზე, რათა ეკისრა ერის შემომკრები და დამრაზმავი ფუნქცია. როგორც ჩანს, სასიცოცხლო ძალებისაგან დაცლილი და დაძაბუნებული ერი ვერც სათანადო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ვერ განამტკიცა და ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლა სომხურმა ეკლესიამ, მან დაიწყო უაღრესად აქტიური და ენერგიული მოქმედება, რათა გზადაბნეული და უხელმძღვანელო მოსახლეობა თავის მრევლად ექცია"[102]. მარტივად რომ ვთქვათ, სომხური ეკლესია ცდილობდა, ქართველები თავიანთ სამშობლოშივე გრიგორიანობაზე, სომხურ რჯულზე მოექციათ. სწორედ აქ ეგულებოდა თავის მოცილედ სომხურ ეკლესიას კათოლიკე პატრები, რადგან ქართველები გრიგორიანობას კათოლიკური სარწმუნოების მიღებას ამჯობინებდნენ. კათოლიკობა იყო ის ფარი, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა ეროვნულობის შენარჩუნება.

როგორც ზემოთ ვთქვით, ვერც ირან-საფრანგეთის 1708 წლის ხელშეკრულებამ შეძლო ზღვარი დაედო მისიონერთა შევიწროებისათვის სპარსეთის იმპერიაში. ასეთ ვითარებაში ისფაჰანში გაგზავნილი იქნა აგათაპოლელი ეპისკოპოსი, ბაბილონის კოადიუტორი[103], პარიზის სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, აბატი გატიე დე გა-

ლისკონი, რომელიც აღჭურვილი იყო საფრანგეთის მეფის წერილებით ირანის შაჰისადმი. სანამ იგი ირანში ჩავიდოდა, საქართველოში ჩამოსულა. ეს იყო 1711 წლის 3 აგვისტომდე. მან საქართველოში „ყველა კათოლიკე მისიონერი ჰპოვა მძიმე მდგომარეობაში"[104].

ჩვენი აზრით, გატიე დე გალიკსონის ჩამოსვლა საქართველოში გარკვეულ მისიას ისახავდა. მაშინ, როცა ირანის იმპერიაში კათოლიკე მისიონერები იდევნებოდნენ, ქართლში გალიკსონის ჩამოსვლას ის მიზანი ჰქონდა, რომ მისიონერთა საიმედო მფარველ ვახტანგ VI-ს ამ საქმეში მისთვის ქმედითი დახმარება გაეწია.

გატიე დე გალიკსონმა ისევ აღადგინა ძალაში კათოლიკური მისიების უფლებები, მაგრამ არსებობდა საშიშროება იმისა, რომ შაჰის მიერ გაცემული ფირმანი ისევ გაუქმებულიყო. საქმე ისაა, რომ მისიონერების მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად სწრაფად განვითარდებოდა ვაჭრობა ირანსა და საფრანგეთს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მისიონერს უკან დაბრუნება ელოდა[105].

აქვე მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ შემდეგს: 1711 წლის 26 ოქტომბერს ყანდაჰარში ქაიხოსროს დაღუპვის შემდეგ ქართლის ტახტი გათავისუფლდა. შაჰმა ახლა ქართლის მეფობა ვახტანგს შესთავაზა და ტახტზე დამტკიცების მიზნით ირანში გაიწვია. 1712 წლის 23 აპრილს ვახტანგი 300 კაცის თანხლებით ირანში გაემგზავრა. შაჰმა იგი დიდი პატივით მიიღო, გამაჰმადიანება მოსთხოვა და მალე გამოსტუმრება აღუთქვა, მაგრამ ვახტანგმა სარწმუნოების შეცვლაზე მტკიცე უარი განაცხადა, რის გამოც იგი ირანში დააკავეს.

ისეთ ვითარებაში, როცა კათოლიკე მისიონერებს საფრანგეთ-ირანის 1708 წლის ხელშეკრულებით მხოლოდ თეორიული პრივილეგიები ჰქონდათ მინიჭებული და ირანის იმპერიაში განიცდიდნენ შევიწროებას, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა, დაემყარებინა კავშირი ისფაჰანში დაკავებულ ვახტანგთან, რომლის მდგომარეობა ფრანგმა მესვეურებმა გატიე და გალისკონისა და თავრიზის მისიების წინამძღვრის პიერ დ'ისუდენის წერილების საშუალებით უკვე იცოდნენ.

ჩვენი აზრით, საფრანგეთის მთავრობამ, როცა დაინახა, რომ ირანის შაჰს არ შეეძლო მისიონერთა მფარველობა, თუ ამას არ მოჰყვებოდა 1708 წლის ხელშეკრულების რატიფიკაცია, გადაწყვიტა კავშირი დაემყარებინა ვახტანგთან. ჩანს, ფრანგი მესვეურები დიდ მნი-

შვნელობას ანიჭებდნენ ვახტანგის პფარველობას მისიონერებისადმი. მათ ამ საქმეში ვახტანგის მხარდაჭერა საიმედოდ ესახებოდათ. რაც შეეხება ირანში მყოფ მისიონერებს, მათ საქართველოში კაპუჩინელთა საქმიანობის წარმატებისათვის ვახტანგის ქართლის ტახტზე ქრისტიან მეფედ დაბრუნება ერთადერთ გზად მიაჩნდათ. ამიტომ ისინი ამ საქმეში ფრანგ მესვეურებს თხოვდნენ ჩარევას.

მოკლედ, კათოლიკე მამების (პიერ დ'ისუდენის, გატიე დე გალიკსონის, ჟან რიშარის) მეშვეობით ირანში ტყვედ მყოფმა ვახტანგმა 1712 წლის ივლის-აგვისტოში მიიღო კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის გრაფ დეზალორის, ხოლო 1713 წლის აპრილს — საფრანგეთის მეფის ლუი XIV-სა და კანცლერ გრაფ დე პონშარტრენის წერილები. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ვახტანგმა 1713 წლის 17 ნოემბერს საფრანგეთსა და რომში წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით დიპლომატიური მისიით გაგზავნა ს. ს. ორბელიანი. ამ ელჩობის მომზადებისა და გამგზავრების საკითხს ჩვენ აქ არ შეეხებით, მხოლოდ აღვნიშნავთ: დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანის საგანგებო ელჩობით აღჭურვა ვახტანგ VI-ის მიერ კარგად მოფიქრებული პოლიტიკური ნაბიჯი იყო და წარმოადგენდა ადრე ჩასახული განზრახვის ხორცშესხმის ცდას.

სანამ უშუალოდ შეეხებოდეთ ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის მიზნებსა და შედეგებს, მანამ განვიხილავთ სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკობის მიღების საკითხს.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა სოფელ ტანძიაში (ქვემო ქართლი, მაშავერას ხეობა) 1658 წლის 4 ნოემბერს. იგი ჯერ ტანძიაში ცხოვრობდა, შემდეგ დმანისში. მან მიიღო კარგი აღზრდა-განათლება. დაახლოებული იყო ქართლის სამეფო კართან; სულხან ორბელიანის განათლების საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ ქართლის მეფე ვახტანგ V და მისი შვილები[106]. სულხანმა რამდენიმე უცხო ენა იცოდა: სომხური, სპარსული, თურქული, ბერძნული, ლათინური. თვით იგი თავის ავტობიოგრაფიაში ამბობს: „ვიყავი სწავლისა ფრიად მოყვარე".

ს. ს. ორბელიანი ახალგაზრდობიდანვე ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ჯერ თანამშრომლობდა გიორგი XI-თან, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღორძინების საქმეში უშუალოდ ვახტანგ VI-ის წინამორბედი იყო. ქარ-

თლში ერეკლე I-ის მეფობის დროს სულხან ორბელიანი, როგორც გიორგი XI-ის მომხრე, ახალციხეში გაიხიზნა და სიმამრთან ცხოვრობდა. 1697 წელს, როგორც კი გიორგი XI-ს შემოურიგდა ირანის შაჰი და მას დაუბრუნა ქართლის ტახტი, სულხანი თბილისში დაბრუნდა. 1698 წლის 18 მარტს იგი გარეჯის მონასტერში ბერად აღიკვეცა და საბად იწოდა.

1703 წელს ქართლის გამგებელი გახდა ვახტანგ VI. ამ ამბით გაზარებულმა სულხან-საბამ დატოვა გარეჯის მონასტერი და კვლავ ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი გახდა ვახტანგის ერთ-ერთი მრჩეველი. სულხან-საბა დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა მთელს საქართველოში.

ამის შემდეგ განვიხილოთ სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკების საკითხი. მ. თამარაშვილი ს. ს. ორბელიანის მიერ კათოლიკობის მიღების შესახებ ორ თარიღს ასახელებს — 1687[107] და 1701 წელს[108]. ამ საკითხის გარშემო ერთიანი აზრი არ არსებობს თამარაშვილის შემდგომდროინდელ მკვლევართა შორისაც. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ მეცნიერთა (გ. ლეონიძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ო. ტაბაღუა, ივ. ლოლაშვილი, რ. ბარამიძე) აზრს, რომ 1687 წელს საბას კათოლიკობა არ მიუღია. ამ დროს მან მხოლოდ გამოთქვა სიმპათია კათოლიკური სარწმუნოებისადმი, რაც მისიონერებმა გადაჭარბებულად აჩვენეს რომში. ვერ დავუჭერთ მხარს იმ აზრსაც (ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, რ. ბარამიძე), რომ ს. ს. ორბელიანმა დასავლეთში გამგზავრების წინ, 1713 წელს, მიიღო ოფიციალურად კათოლიკობა. ჩვენი აზრით, მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით სწორად დაასკვნა აკად. გ. ლეონიძემ, რომ სულხან-საბამ კათოლიკობა მიიღო 1692 წელს[109]. ჩვენ ამ თარიღს ვუჭერთ მხარს, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, უდავოა, 1707 წლის ზაფხულის მიწურულამდე საბა ორბელიანი უკვე კათოლიკეა. ამას ადასტურებს რომის პაპ კლიმენტი XI-სადმი ს. ს. ორბელიანის წერილი, რომელიც დაწერილია 1707 წლის 15 აგვისტოს. ამ წერილში სულხან-საბა აღიარებს პაპის უზენაეს ხელისუფლებას და მის „წმიდათა ფერხთა მთხვეველი“ ევედრება კლიმენტი XI-ს, „რათა ცოდუათა ჩუენთა სიმრავლეთა აღხოცად ევედროს ღმერთსა ღა წმიდა კურთხევა მათი მოგვფინოს, და ლოცვა ყი ს ჩუენ ულირსთათვის, რათა სიმტკიცით ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა (კათოლიკურ სარწმუნოებას — მ. პ.) ზედა შეურყევლად.

სიტყვით და საქმით უწყით, რამეთუ შენ გაქუს მიტევებად ცოდუ-ათა"[110].

ქართულ ისტორიოგრაფიაში სულხან-საბა ორბელიანის მიერ კა-თოლიკური სარწმუნოების მიღება ახსნილია მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით. ამასთან დაკავშირებით ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომე-ბიდან ციტატების მოყვანა ძალზე შორს წაგვიყვანდა და არც ვთვლით საჭიროდ. ჩვენც ადრეულ ნაშრომში[111] ვიზიარებდით მთლი-ანად იმ აზრს, რომ სულხან-საბას გაკათოლიკებას საფუძვლად ედო მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებები, მაგრამ დღეს ამას ისე არ ვფიქრობთ. ეჭვს არ იწვევს, რომ ს. ს. ორბელიანის მიერ კათო-ლიკური სარწმუნოების მიღებას პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, მარტო ამით მისი ახსნა არაა სწორი. თუ საბას გაკათოლიკებას მხოლოდ პოლიტიკური მო-მენტები ედო საფუძვლად, მაშინ რატომ გაატარა მან თავის თხზუ-ლებაში — „საქრისტიანო მოძღვრება" კათოლიკური პოზიციები? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, უნდა ავხსნათ, თუ რატომ გახდა სულხან-საბა ბასილიანთა ორდენის წევრი და რას ნიშნავს იგი. ქარ-თველი მეცნიერებიდან ამ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. რევაზ ბარამიძემ და აღნიშნული საკითხის გარშემო რიგი სა-ყურადღებო აზრები გამოთქვა.

ჯერჯერობით არ არის ისეთი სახის ლიტერატურა, რომელშიც ნათლიანად მოცემული იქნებოდა ბასილიანთა ორდენის მდიდარი და რთული ისტორია. ეს ბევრად აძნელებს ჩვენთვის საინტერესო საკი-თხების ახსნას, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში შეეეცდებით მკითხველებს მივაწოდოთ ამ ორდენის მოკლე ისტორია და გადმოვ-ცეთ მისი არსი.

ბასილიანთა ორდენის ფუძემდებლად ითვლება ბერძენი საეკლე-სიო მოღვაწე ბასილი დიდი კესარიელი (330—379). აქედან მომდი-ნარეობს სწორედ ორდენის სახელწოდებაც. ბასილი დიდმა ჯერ კი-დევ IV საუკუნეში დაწერა ორდენის წესდება, რომელსაც „დიდი და მცირე წესი" ეწოდება. მასში დადგენილი იყო ბასილიანელთა მისი-ონერული მოღვაწეობის ძირითადი ამოცანები, ფორმები და მეთო-დები. ორდენის ხელმძღვანელებმა თავიდანვე შექმნეს ქალთა ბერ-მონაზვნური ორგანიზაციაც. ბასილიანელ ქალთა პირველი მონასტე-რი დაარსდა ბალკანეთში ბასილი კესარიელის დის მაკრინეს მიერ.

ამ ორდენით დაინტერესება განსაკუთრებით გაძლიერდა XV საუ-

კუნეში, როდესაც ფართოდ მოიკიდა ფეხი აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების გაერთიანების იდეებმა. სპეციალურ ლიტერატურაში დასავლეთში აღნიშნული ორდენის შექმნის გზაზე პირველ გადადგმულ ნაბიჯად მიჩნეულია 1446 წლის ნოემბერი, როდესაც კარდინალმა ბესარიონმა მოიწვია ახალი კაპიტული ორდენის რეფორმის ჩატარების მიზნით[112]. 1579 წლის 1 ნოემბერს პაპი გრიგოლ XIII-ის ხელმოწერით აღმოსავლეთის ბასილიანთა ორდენმა მიიღო კონსტიტუცია. ეს წელი ითვლება აღმოსავლეთში ბასილიანთა ორდენის დაარსების თარიღად.

XVII საუკუნიდან დაიწყო ბასილიანელთა ორდენის ლათინურ ბერმონაზვნურ ორდენად გარდაქმნა. მიმდინარეობდა აღმოსავლური რიტის ცვლილებები. ჩამოყალიბდა ე. წ. „შერეული რიტი", რომელიც სავსე იყო ნაირგვარობით. ამით ორდენმა უნიატური ხასიათი მიიღო[113]. მისი რეფორმა დიდხანს გაგრძელდა. ამ ორდენის ძირითად რეფორმატორად და პირველ პატრონად მიჩნეულია იოსებ ვილიამინ რუტსკი (1574—1637)[114].

იოსებ ვილიამინ რუტსკიმ თავისი დროისათვის სოლიდური განათლება მიიღო. მან რომში დაამთავრა წმიდა ათანასეს სახელობის იეზუიტთა კოლეგია და პრაღაში — იესოს საზოგადოების აკადემია. იეზუიტი მამების ხელმძღვანელობით ის ზედმიწევნით დაეუფლა თეოლოგიასა და კათოლიკური ეკლესიის დოგმატებს, სწავლობდა ლათინურ და ბერძნულ ენებს. 1608 წელს ვილენის წმიდა სამების უნიატური ეკლესიის პირველმა მიტროპოლიტმა ფოტიმ იგი დანიშნა თავის მოადგილედ ვილნოსა და მთელ ეპარქიაში. რუტსკიმ თავის ადგილსამყოფელად აირჩია წმიდა სამების მონასტერი. 1613 წელს პოტის გარდაცვალების შემდეგ მან მიიღო სამიტროპოლიტო კათედრა[115].

ი. რუტსკიმ ბასილიანთა ორდენის რეფორმაზე ფიქრი დაიწყო ჯერ კიდევ სამიტროპოლიტო კათედრის დაკავებამდე. 1617 წელს კი იგი ენერგიულად შეუდგა ბასილიანელთა ორდენის რეფორმის ჩატარებას, რომელშიც მას დიდ დახმარებას უწევდნენ იეზუიტები[116]. შედგენილი იქნა ორდენის წესდება, განსაზღვრული იქნა მისი მოღვაწეობის მეთოდები და მიზანი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ნათქვამი იყო, რომ ორდენის მიზანია „ერთ ნაწილში კათოლიკური სარწმუნოების შენარჩუნება, ხოლო მეორეში (მართლმადიდებლებში — მ. პ.) — მისი გავრცელება". ასევე მისი მიზანი იყო „აღმოსავ-

ლელი სლავების (რუსი ხალხის — მ. პ.) შეერთება რომის ეკლესიასთან"[117]. წარმოდგენილი რეფორმის მიხედვით, ბასილიანელთა ორდენის წევრი თითქმის ყველაფერში იცავდა მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპებს. კერძოდ, ისინი ატარებდნენ წვერსა და თმას, ასრულებდნენ ყველა ბერძნულ წეს-ჩვეულებებს, ხელმძღვანელობდნენ ნიკეის კრების სიმბოლოთი. რელიგიურ საიდუმლოებასა და მარხვის დაცვაში მთლიანად ეყრდნობოდნენ აღმოსავლური ეკლესიის წესდებასა და ტრადიციებს. ამ ორდენის წესდების მიხედვით კათოლიკური იყო მხოლოდ ორი ნაწილი: პირველი, ორდენის წევრს უნდა ეღიარებინა რომის პაპის უზენაესობა და მეორე, სარწმუნოების სიმბოლოზე უნდა დაემატებინა, რომ სულიწმიდა გამოდის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ „ძისაგანაც"[118].

1624 წლის გაზაფხულზე იოსებ რუტსკი გაემგზავრა რომში, რათა დაემტკიცებინა ბასილიანელთა ორდენის წესდება და სტრუქტურა. კურიის ყველაზე დიდი მზრუნველობის საგანი გახდა ორდენის წესდებაში კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ბერმონაზონთა დამახასიათებელი თვისებების შეთავსება. არანაკლებ რთული იყო ორდენის ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხის გადაწყვეტა. 1624 წლის 4 ოქტომბრის სხდომებზე კონგრეგაციამ მიიღო დეკრეტი, რომელიც ოთხი პუნქტისაგან შედგებოდა და შეიცავდა ორდენის ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს. კერძოდ, კარდინალებმა გასცეს სანქცია, რომ ყველა უნიატი ბასილიანელი გაერთიანებულიყო ერთ კონგრეგაციაში. ამრიგად, მათ შეეძლოთ აერჩიათ „გენერალი ანდა უბრალოდ არქიმანდრიტი"[119]. პაპმა ურბან VIII-მ ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა და ბასილიანელთა ორდენს მიანიჭა ფართო სამისიონერო უფლებამოსილება.

დაბოლოს, ბასილიანელთა ბერძნულ-უნიატური ორდენი აღმოსავლეთში კათოლიკობის გავრცელების საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა. ამიტომ პროპაგანდა მას შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა, რადგან უნიის შენარჩუნება შესაძლებლობას ხდიდა კათოლიკობის წარმატებებს აღმოსავლეთში.

როგორც ვნახეთ, ბასილიანელები იყვნენ უნიატური ორდენის წარმომადგენლები. მისი წევრები ბერძნულ-მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებასა და აღმსარებლობასთან ერთად აღიარებდნენ ორ კათოლიკურ დოგმატს: რომის პაპის უზენაესობას და „ფილიოკვეს" ე. ი. სარწმუნოების სიმბოლოს ამატებდნენ, რომ სულიწმიდა გამო-

დის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ „ძისაგანაც“. ორდენის ასეთი ხასიათიდან გამომდინარე მისი წევრი გარეშე მორწმუნესათვის შეუმჩნეველი რჩებოდა და იგი მართლმადიდებლის შთაბეჭდილებას ტოვებდა, „ხოლო ის ფაქტი, რომ ის პაპს აღიარებდა, ამის შესახებ იცოდა თვითონ და ორდენის ხელმძღვანელმა მოძღვარმა“. „ამიტომ ბასილიანელთა ორდენის წევრად გახდომა შეუმჩნეველი რჩებოდა მართლმადიდებელი მრევლისათვის და დაზღვეული იყო ყოველგვარი უსიამოვნებისაგან“[120]. ასე რომ, გარეგნული ნიშნის მიხედვით ბასილიანელი იყო მართლმადიდებელი, ხოლო შინაარსის მიხედვით კათოლიკე. ამდენად, წმ. ბასილის ორდენი ბერძნულ მართლმადიდებლური ტიპიკონით სარგებლობდა, რაც პაპობის მხრივ გაცილებით დიდი კომპრომისი იყო, ვიდრე „ფილიოკვეს“ აღიარებაა.

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანი იყო უნიატი კათოლიკე. იგი ნიკიფორე ირბახის შემდეგ მეორე ქართველი სასულიერო პირია, რომელიც ბასილიანელთა ორდენის მოწესე იყო. ამ ორდენის წევრად სულხან-საბას გახდომა უდავოდ ნაკარნახევი იყო საფრანგეთსა და რომში მისი დიპლომატიური ელჩობის ამოცანებით. ბასილიანელობა მას სრულ საშუალებას აძლევდა კათოლიკურ დასავლეთთან გამოენახა საერთო ენა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვჯერა, რომ ს. ს. ორბელიანის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებას, გარდა ამ პოლიტიკური მოტივებისა, საფუძვლად ედო კათოლიკური დოქტრინების უპირატესობის აღიარება. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ გაატარა სულხან-საბამ თავის თხზულებაში — „საქრისტიანო მოძღვრება“ კათოლიკური პრინციპები, ანდა რატომ ეწეოდა კათოლიკობის ენერგიულ აგიტაციას საქართველოში, თავისი უშედეგო ელჩობიდან დაბრუნების შემდეგ, ან რატომ „მოაქცია საბამ კათოლიკობაზე ყველა თავისი სახლობა და თავისი უკეთილშობილესი და უმრავლესი გვარეულობა“. ვფიქრობთ, ეს ფაქტები ნათლად ადასტურებენ ჩვენს მოსაზრებას.

ახლა ისევ დაუბრუნდეთ დასავლეთ ევროპაში ს. ს. ორბელიანის დიპლომატიური ელჩობის საკითხს. 1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა ფრანგ მისიონერ ჟან რიშართან ერთად გორიდან გაემგზავრა საფრანგეთში დიპლომატიური მისიით. აქვე სამართლიანობა მოითხოვს, რამოდენიმე სიტყვით ითქვას დასავლეთ ევროპაში ს. ს. ორბელიანის ელჩობის მომზადების საქმეში ჟან რიშარის როლის შესახებ.

პარიზში უცხოეთის მისიების წევრი აბატი ჟან რიშარი 1710 წლის ბოლოს გაემგზავრა ირანში საქართველოზე გავლით. აქ თბილისში გაიცნო მან სულხან-საბა და ვახტანგ VI. 1712 წელს ისფაჰანში ჩასულ ვახტანგთან რიშარმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა და წარმოადგენდა მის მესაიდუმლესა და მრჩეველს დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხებში. მისი დიდი მეცადინეობის წყალობით მოხდა საფრანგეთის მეფის ლუი XVI-ისა და კანცლერი გრაფი დე პონშარტრენის წერილობითი კავშირის დამყარება ვახტანგთან და სულხან-საბასთან. მან დიდი როლი შეასრულა საფრანგეთსა და რომში სულხან-საბას დიპლომატიური მოლაპარაკების მომზადებისა და ხელშეწყობის საქმეში.

ჩვენ ს. ს. ორბელიანის საფრანგეთში ელჩობის პოლიტიკურ საკითხებს აქ არ შევეხებით. ამ ელჩობის ამოცანებიდან ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება ვატიკანთან სარწმუნოებრივი ურთიერთობის საკითხებზე. ზოგადად კი აღვნიშნავთ: სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა დასავლეთში ვახტანგ VI-ის კარგად მოფიქრებული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. საქართველოს ელჩს ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეების წინაშე ევალებოდა არა მარტო „სათხოვარი" ირანის ტყვეობიდან ვახტანგის გათავისუფლების შესახებ, არამედ საქართველო-საფრანგეთის მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის ფორმების ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, ვახტანგ VI-ს ევროპული პოლიტიკის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გამოეკვლინა, თუ რა სარგებლობის მიღება შეეძლო საქართველოს საფრანგეთისაგან თავისი საშინაო, და საგარეოპოლიტიკური ამოცანების გადაჭრის საქმეში. ამიტომ შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში ვახტანგ VI-მ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ირანის ტყვეობიდან დასავლეთის საშუალებით თავდახსნის მიღწევას. თუ საფრანგეთი ამ მიმართულებით პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამდა და ქართლის ტახტზე ვახტანგი ქრისტიანად ავიდოდა, მაშინ იგი აღმოსავლეთში საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის მტკიცე საყრდენი იქნებოდა[121].

ს. ს. ორბელიანი და ჟან რიშარი გორიდან დასავლეთ საქართველოში ჩავიდნენ. აქ ისინი 40 დღე დარჩნენ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლისთან. ამ დროის განმავლობაში სულხან-საბა და რიშარი ხვდებოდნენ დასავლეთ საქართველოს საერო და სასულიერო მოღვაწეებს და შეძლებისდაგვარად აცნობდნენ მათ ვახტანგის გეგმებს და სულხან-საბას ევროპაში გამგზავრების მიზანს. აქ

მათ ვახტანგის გეგმების შესაბამისად შეიმუშავეს საფრანგეთის აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობაში საქართველოს როლისა და ადგილის, საქართველოში კათოლიკე მისიონერების ჩამოყვანისა და მათი მომავალი საქმიანობის საკითხები.

დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გრიგოლი (1695—1742) იზიარებდა ვახტანგისა და სულხან-საბას გეგმებს საქართველოს საშინაო და საგარეო საკითხებში. საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმეში იგი მხარს უჭერდა სულხან-საბას მიზნებს და თავის მხრივ „გამოთქვა სურვილი, — წერს ჟან რიშარი, — შეერთებოდა კათოლიკურ ეკლესიას. მან მოითხოვა გამოეგზავნა მისთვის მისიონერები სამი მისიისათვის, რომელსაც განალაგებდა სამეგრელოში, იმერეთსა და აფხაზეთში"[122]. წყაროთა მიხედვით, ეს მისიონერები ძირითადად სამეგრელოში უნდა მოთავსებულიყვნენ. ამით სამეგრელოს მესვეურები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი. ჩანს, ახლა მათ გამოიყენეს ხელსაყრელი შემთხვევა და კათალიკოს გრიგოლის სთხოვეს, რომ მას ს. ს. ორბელიანთან ერთად გაეგზავნა ბერი დავით მეგრელი, რომელიც გარანტიად დაუდგებოდა რომის პაპს სამეგრელოში მისიონერების კარგად მოწყობისა და ფართო სამოღვაწეო ასპარეზის შექმნის საქმეში. ეს გადაწყვეტილება ხელს უწყობდა სულხან-საბას ელჩობას იმ მხრივ, რომ ახლა მას შეეძლო ლუი XIV-ისა და რომის პაპის წინაშე წამდგარიყო არა მარტო ქართლის სამეფოს, არამედ მთელი საქართველოს ელჩად.

1714 წლის 22 იანვარს სულხან-საბა, ჟან რიშარი და დავით მეგრელი მარსელში ჩავიდნენ. ქართველი ელჩი ჩქარობდა. იგი ცდილობდა რაც შეიძლება, მალე დაემთავრებინა თავისი საქმეები და საქართველოში დაბრუნებულიყო. მას განზრახული ჰქონდა დროის დაუკარგავად ენახა ლუი XIV. მარსელიდან საბამ პროპაგანდის ერთ-ერთ კარდინალს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აუწყებდა საფრანგეთში მისი ელჩობის მიზანს და თხოვდა პაპის შუამავლობას საფრანგეთის მეფის წინაშე. აქვე ატყობინებდა, რომ საფრანგეთში მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი ჰქონდა რომში ჩასვლა, რათა საქართველოში მისიონერები წაეყვანა კათოლიკობის გასავრცელებლად[123].

რომის პაპმა კლიმენტი XI-მ სულხან-საბას თხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულა. მან 1714 წლის 14 აპრილს საფრანგეთის მეფეს მისწერა წერილი, რომელშიც თხოვდა, რომ ყველა საშუალებით

დახმარებოდა ქართველ ელჩს „ვახტანგ მეფის გასათავისუფლებლად“. რომის მითითებით ქართველ დიპლომატს პარიზში დიდ დახმარებას უწევდა პაპის ნუნციო, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ საბას ელჩობას სასურველი შედეგი მოჰყოლოდა[124].

ვერსალში მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ს. ს. ორბელიანი ჟან რიშარისა და დავით მეგრელის თანხლებით 1714 წლის ივნისის შუა რიცხვებში რომში გაემგზავრა. საქართველოს ელჩის საქმეებით დამაშვრალ ჟან რიშარს არც რომში დაუკლია მზრუნველობა ელჩობის ამოცანების დადებითად გადაჭრისათვის. აქ იგი 1714 წლის 25 ივლისამდე საბას თარჯიმნის როლს ასრულებდა.

რომში ქართველი ელჩის მისაღებად პაპს, კლიმენტი XI-ს ერთგვარი მოსამზადებელი ღონისძიება ჩაუტარებია. პაპმა პროპაგანდა ფიდეს კარდინალ პრეფექტს საკრიპანტის და კარდინალ ალბანის დაავალა ეზრუნათ ქართველი ელჩის მისაღებად. კარდინალმა ალბანიმ სულხან-საბას შესახვედრად გაგზავნა ეტლი და კარეტები[125].

1714 წლის 29 ივნისს სულხან-საბა რომში ჩავიდა. აქ, ისე როგორც პარიზში, სულხანი მონასტერში დაუყენებიათ[126]. კერძოდ, ის მოათავსეს მამა მისიონერებთან მონტე-ჩიტორიოში, სადაც მისთვის მომზადებული ჰქონდათ ბინა. აქ იგი ღებულობდა კარდინალებს[127]. 5 ივლისს საბა მიიღო პაპმა კლიმენტი XI-მ, რომელიც სულხან-საბას აქამდე მხოლოდ წერილობით იცნობდა. პაპმა განსაკუთრებული პატივით მიიღო ვახტანგის ელჩი: „თავზე მომეხვია და. ჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა, ფეხზე დამაყენა. მე დაბლა ბოლო ვდგებოდი, გვერდს ახლო მომიყვანა, მომიკითხა მიალერსა“[128].

პაპთან აუდიენციის შემდეგ სულხან-საბა შეხვდა პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტს საკრიპანტის და სხვა კარდინალებს: დე ლა ტრემუაის, პაულიჩის, ალბანის და კასინის. თითოეულმა მათგანმა და განსაკუთრებით საკრიპანტიმ დიდი პატივისცემა და სიყვარული გამოავლინა ქართველი ელჩის მიმართ. საერთოდ, პაპმა და კარდინალებმა მრავალი საჩუქარი მიართვეს ძვირფას სტუმარს. პაპმა სულხან-საბას აჩუქა ოქროს მედალი.

აქვე უნდა ითქვას შემდეგიც: 1714 წლის 25 ივლისს ჟან რიშარის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ სულხან-საბა თარჯიმნის გარეშე დარჩა. ადრეულ საუკუნეებთან შედარებით, ახლა აღნიშნული საკითხის მოგვარება არ იყო ძნელი, რადგან ამ დროს რომში იმყოფებოდნენ საქართველოში დიდხანს ნამსახური კაპუჩინელი მამები,

სულხან-საბას მეგობრები პატრი ანჯელო ფილინელი და სილვესტრო და პანიკალე. ორივე ამ მისიონერმა ქართული ენა კარგად იცოდა. მამა ანჯელო ჩვენთვის კარგად ცნობილი პიროვნებაა. იგი 1687 წელს ელჩად გაგზავნა რომში ქართლის მეფე გიორგი XI-მ ბუნებრივი იყო, პატრ ანჯელოსა და სილვესტროს დიდად გაახარებდა საბას ხილვა რომში. თავის მხრივ საბასათვის ესინი დიდ იმედს წარმოადგენდნენ. ამიტომ სულხან-საბამ მოითხოვა ქართული ენის ჩინებული მცოდნე სილვესტრო და პანიკალე გაეგზავნათ მისთვის რომში თარჯიმნად ჟან რიშარის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ. მოკლედ, „მარადიულ ქალაქში" ასეთი პატივითა და ყურადღებით არცერთი ქართველი ელჩი არ მიუღიათ.

რომის პაპმა სულხან-საბას თხოვნა ზუსტად შეასრულა. პროპაგანდამ გადაწყვიტა გაეგზავნათ საქართველოში 12 კაპუჩინი მისიონერი სულხან-საბასთან ერთად. ეს მისიონერები ქართველ ელჩს კონსტანტინოპოლში შეუერთდებოდნენ. 1714 წლის 26 ივლისს პაპმა წერილი მისწერა ლუი XIV-ს ვახტანგ VI-სადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ. პაპი წერილში დიდ შეფასებას აძლევდა საფრანგეთის მონარქის მოღვაწეობას მისიონერების მფარველობის საქმეში და წერდა: „არავითარ შემთხვევაში ხელი არ აიღო კეთილი განზრახვებისაგან", რადგან კათოლიკე მისიონერთა საქმიანობას აღმოსავლეთში წარმატება რომ ჰქონდეს, საჭიროა ვახტანგის ირანის ტყვეობიდან გათავისუფლება. „მოიმოქმედე, რასაც ყველაზე საუკეთესოდ და სასარგებლოდ მიიჩნევდე ვახტანგ მეფის უსწრაფესი გათავისუფლებისა და გამოშვებისათვის" — წერდა პაპი ლუი XIV-ს[129].

იმავე წლის 17 აგვისტოს კლიმენტი XI-მ იმედით აღსავსე წერილი მისწერა „აზიის იბერიის განთქმულ და უძლიერეს მეფეს, ვახტანგს". იგი უწონებდა ტყვე მეფეს ქრისტიანობაში სიმტკიცეს და კათოლიკე მისიონერთა მფარველობას. „ამიტომაც ჩვენც, — წერდა პაპი, — არაფერი დავზოგეთ, ყოველი ღონე ვიღონეთ, რათა თქვენ გეღირსოთ მალე განთავისუფლება და თქვენს სამეფოში მობრუნება"[130].

იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რასაც საბას ელჩობა მიზნად ისახავდა რომში, შეიძლება ითქვას, მისი მისია წარმატებით განხორციელდა. როგორც პირველწყაროებიდან ჩანს, თავდაპირველად გათვალისწინებული იყო სულხან-საბას იტალიიდან კვლავ საფრანგეთში დაბრუნება, მაგრამ ამაზე ქართველ ელჩს უარი უთქვამს. სულხან-

საბას ეს გადაწყვეტილება ალბათ გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დროს პარიზში ელოდებოდნენ სპარსეთის ელჩს მოჰამედ რეზა ბეგს. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო საფრანგეთში, მეტადრე პარიზში, საქართველოს ელჩის გამოჩენა. მით უფრო, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ ადრე გასცა განკარგულება სპარსეთის ელჩს არაფერი გაეგო საქართველოს მეფის ვახტანგის წარმომადგენლის საფრანგეთში ჩასვლასა და წარმოებულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით.

სულხან-საბა ორბელიანმა დაასრულა რა ვატიკანში მოლაპარაკებები, კონსტანტინოპოლისაკენ გაემგზავრა. 1714 წლის 11 სექტემბერს იგი ჩავიდა დანტესა და ბოკაჩიოს სამშობლოში ფლორენციაში. პაპის მსგავსად, მის შესახვედრად ფლორენციის დიდი დუკას კოზიმო III დე მედიჩის (1639—1723) წინასწარი თადარიგი დაუჭერია. მიიღო რა დიდი ზეიმით ქართველი ელჩი, მისი ბრძანებით „ორი ეტლით წაიყვანეს წმიდა სამების მონასტერში", სადაც დიდი დუკას ხარჯზე მას ბრწყინვალედ გაუმასპინძლდნენ. ძვირფასი ქართველი ელჩის პატივსაცემად კოზიმო III-ს იშვიათი სუფრა გაუმართავს და საბასათვის დიდად მშვენიერი საჩუქრები მიურთმევია. დუკას მიბაძვით კაპუჩინ პატრებს სულხანისათვის დიდი პატივი დაუდვიათ და მონტუგის მონასტრის უფროსს საბასა და მისი თანმხლები პირებისათვის საზეიმო სუფრა მოუწყვია. საბას თხოვნით „18 სექტემბერს ახადეს ფარდა ხარების ღვთისმშობლის ხატს, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო". რომშიც და აქაც საბას თარჯიმნის როლს ასრულებდა პატრი სილვესტრო და პანიკალე. აქვე საბას სანახავად მოვიდა ერთ მისიონერთან ერთად მამა ანჯელო ფილინელი, რომლის ხილვა ძლიერ გაეხარდა ქართველ ელჩს. პატრმა ანჯელომ საბა ლივორნომდე მიაცილა[131].

1714 წლის 20 სექტემბერს სულხან-საბა ფლორენციიდან კუნძულ სიცილიაზე გაემგზავრა, შემდეგ კუნძულ მალტაზე და ბოლოს — კონსტანტინოპოლში, სადაც 1715 წლის იანვრის ბოლოს ჩავიდა. აქ დაელოდა იგი საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის დაპირებებს. სულხან-საბა კონსტანტინოპოლში (საფრანგეთის საელჩოში) დარჩა 1716 წლის მაისამდე.

ვამთავრებთ რა საუბარს სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში ელჩობაზე, მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ ერთ საკითხს: პარიზსა და რომში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო კათოლიკობის გავრცე-

ლება საქართველოში. ამ მიზნით საფრანგეთის მეფესა და რომის პაპს სულხან-საბა თხოვდა კათოლიკე მისიონერების გაგზავნას საქართველოში. ეს მისიონერები უნდა განლაგებულიყვნენ ქართლში, იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. ევროპაზე ორიენტირებული ქართველი მესვეურები საქართველოში კათოლიკობის გავრცელებით იმედოვნებდნენ ქვეყნის გაერთიანებას. როცა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ორად იყო გაყოფილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებად, როცა სამხრეთ საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია თითქმის დადუმებული იყო, როცა აფხაზეთში ქრისტიანობა ძალზე შესუსტდა და წარმართული სარწმუნოება აღორძინდა, როცა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გამაერთიანებელი ხმა არ ისმოდა, ვახტანგ მეფე, სულხან-საბა და მათი მომხრეები კათოლიკობის გავრცელებით სახავდნენ ქვეყნის გაერთიანების გზას. ქართველი პოლიტიკოსების აზრით, საქართველოს გაკათოლიკება უნდა ყოფილიყო ის საშუალება, რომელიც დარღვეული საქართველოს სხეულს გააერთიანებდა რომისა და კათოლიკური საფრანგეთის დახმარებით. ამგვარად, ქართველი მესვეურები კათოლიკობას უკავშირებდნენ ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვით სულხან-საბა ორბელიანის, როგორც დიპლომატის, შეფასებისათვის: თამამად უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი ცივილიზებული ევროპის შუაგულში ს. ს. ორბელიანმა გამოამჟღავნა პროფესიონალი ელჩისათვის დამახასიათებელი თვისებები. პარიზსა და რომში მის მიერ გამოჩენილმა გონიერებამ ათქმევინა პაპს შემდეგი სიტყვები საბასადმი: „მიხარიან, რომში დიდი ხმა დაგივარდა, კარგად იქცევი და გონიერადო“. საბას დიპლომატიური მოლაპარაკებების დიდმა უნარმა ათქმევინა ასევე ჟან რიშარს, რომ დასავლეთში „დიდი ქებით იხსენიებდნენ ბატონ სულხან-საბას საქმეებს“-ო. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ სულხან-საბა, როგორც დიპლომატი, დაბადებული იყო მშვიდობიანი და დამოუკიდებელი საქართველოს საქმეებისათვის. ჩვენ მას ვუწოდებთ ყველაზე დიდ დიპლომატს XVIII საუკუნემდელი საქართველოს ისტორიაში. მისი დიპლომატიის სიდიადე არა მხოლოდ ტექნიკურ ხელოვნებაში მდგომარეობდა, არამედ მის მასულდგმულებელ პატრიოტულ იდეაში.

ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას დასავლეთ-

ში შედეგი არ მოჰყოლია. დახმარების მომლოდინე ვახტანგი ირანში ჯიუტად განაგრძობდა წინააღმდეგობას სარწმუნოების შეცელაზე. მას 1716 წელს გადაუწყვეტია კათოლიკური სარწმუნოება მიეღო. თადეუშ კრუსინსკის მიხედვით, ვახტანგს თავისი კარისკაცი ვინმე სომეხი კათოლიკე ელიზბარი გაუგზავნია ფრანცისკანელთა ორდენის მღვდელ ბარნაბა ფედელი მილანელთან, რომელიც მაშინ ისფაჰანში სამოციქულო ვიკარი იყო, თხოვნით: გაეგზავნა მისთვის სპარსული ენის მცოდნე მისიონერი, რათა იგი მოექცია კათოლიკურ სარწმუნოებაზე[132]. ჩვენ არ ვიცით, თუ რა შედეგი მოჰყვა ვახტანგის ამ ნაბიჯს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს აქტი არ შემდგარა, რადგან საქმე სხვა მიმართულებით განვითარდა.

1716 წლის მაისის შუა რიცხვებში სამი წლის დამქანცველი მოგზაურობისა და მრავალმხრივი დიპლომატიური მოლაპარაკებებით დამაშვრალი 60 წელს მიტანებული ს. ს. ორბელიანი 12 კაპუჩინ მისიონერთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. იმავე წლის 1 ივნისს დასავლეთისაგან იმედგაცრუებული ვახტანგი იძულებული გახდა მაჰმადიანობა მიეღო. შაჰმა მაშინვე მისცა მას ქართლის მეფობა, საგანმგებლოდ უბოძა თავრიზი და ბარდა, დანიშნა ირანის ჯარების მთავარსარდლად და იქვე დაიტოვა. ვახტანგი საქართველოში 1719 წელს დაბრუნდა.

სანამ დასავლეთში ს. ს. ორბელიანის ელჩობა გრძელდებოდა, თბილისში 6 კაპუჩინელი პატრი მოღვაწეობდა. გორში კი ამ დროს ოთხი მამა ეწეოდა მუშაობას. ჩანს, მათ გორში საქმიანობის კარგი პირობები შეექმნათ, რადგან კათოლიკობაში მოუქცევიათ რამოდენიმე თავადი და მათი მრავალი ყმა[133]. სულხან-საბამ ჩამოსვლის შემდეგ ჩამოყვანილ მისიონერებთან ერთად, გულმოდგინედ დაიწყო ქადაგება და კათოლიკობის გავრცელება. მისმა ქადაგებამ დიდი გავლენა იქონია ხალხზე და იმ დროს ბევრმაც მიიღო კათოლიკობა. ამას, ბუნებრივია, ქვეყანაში კათოლიკობის გაძლიერება მოჰყვა, მაგრამ ეს ღიდხანს არ გაგრძელებულა. 1718 წელს ისევ განახლდა ეჩმიაძინის პატრიარქის ხელმძღვანელობით კათოლიკე პატრების დევნა, რომელიც ვახტანგის საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეწყდა. მიუხედავად დასავლეთისაგან იმედგაცრუებისა, მეცნიერი მეფე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით განაგრძობდა მისიონერთა მფარველობას.

საქართველოში მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

1721—1722 წწ. ირანის იმპერიასა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მძიმე პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. სეფიანთა დინასტია სულს ღაფავდა. მისი დასამარება წილად ხვდა ავღანთა წინამძღოლს მირ მაჰმუდს. ეს ხელს უხსნიდა თურქეთს ამიერკავკასიისა და ირანის წინააღმდეგ მოქმედებებისაკენ. ასეთ ვითარებაში ლოგიკური იყო რუსეთის მეფის პეტრე I-ის ლაშქრობა კასპიისპირეთში 1722—1723 წლებში. რუსეთის ამ ლაშქრობაში ვახტანგ VI გამოვიდა პეტრე I-ის მოკავშირედ. 1722 წელს მიღწეული იქნა პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის სიტყვიერი შეთანხმება ირანის წინააღმდეგ ერთიანი სამხედრო მოქმედების შესახებ. ამ კავშირის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთის ჯარს ქართველ-სომეხთა შეიარაღებული ძალების დახმარებით უნდა დაეკავებინა კასპიისპირა ოლქები. თავის მხრივ, პეტრე I-ს შესაძლებლობის მიხედვით დახმარება უნდა გაეწია აღმოსავლეთ საქართველოს ირანის უღლისაგან გასათავისუფლებლად.

ამ მიზანს განხორციელება არ ეწერა. აარიდა რა თურქეთთან შესაძლო ომს თავი, პეტრე I-მა უკან დაიხია და მისი მოკავშირე ვახტანგ VI ახლა სულთანს პირისპირ შეატოვა. ვახტანგი ხედავდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი წარმატებას ვერ აღწევდა. (თუმცა მან საბოლოოდ მაინც ვერ გაარკვია პეტრე I-ის ვერაგული პოლიტიკის არსი.). ამიტომ გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეთხოვა დახმარება დასავლეთ ევროპისაგან. 1722 წლის 29 ნოემბერს ვახტანგმა წერილობით მიმართა პაპს ინოკენტი XIII-ს და ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს, რათა მიეღო მათგან დახმარება თურქეთთან მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ.

პაპი ინოკენტი XIII-სადმი (1721—1724) 1722 წლის 29 ნოემბრის თარიღით გაგზავნილ წერილში, ვახტანგი მიმართავდა რა „უბრწყინვალეს მამას“, აღნიშნავდა, რომ „თურქეთის სულთანი ემზადებოდა სალაშქროდ, რათა მთლიანად გაანადგუროს ჩვენი სამეფო“ და მოსპოს ქრისტიანობა ამ მხარეში. ასეთ ვითარებაში, — წერდა ვახტანგი პაპს, — „ჩვენ გვრჩება მხოლოდ ერთი იმედი: დავეყრდნოთ თქვენს მშობლიურ დახმარებას, რომელსაც მხოლოდ შეუძლია ქრისტიანი მთავრების დახმარებით ან ერთ-ერთი მისი წარმომადგენლის საშუალებით გამოექომაგოს პორტას წინაშე, ხელი შეუშალოს ოტომანებს, წარმართონ ჩვენს წინააღმდეგ ის საშინელება, რომლითაც ისინი გვემუქრებიან“. აქვე ვახტანგი ხაზგასმით აღნიშ-

ნავდა, რომ საქართველოში შექმნილი ვითარება არ აძლევდა საშუალებას, საჯაროდ ელიარებინა კათოლიკური სარწმუნოება, მაგრამ პირობას იძლეოდა, იცხოვრებდა „პაპის მორჩილების ქვეშ". წერილის დასასრულს ვახტანგი პაპს მოაგონებდა, რომ საქართველოში მრავალი კათოლიკე ცხოვრობდა და უხატავდა რა საფრთხე მოელოდა მათ, თუ თურქეთის ლაშქრობა საქართველოში განხორციელდებოდა[134].

ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს ვახტანგ VI ანალოგიური შინაარსის წერილს წერდა. ქართლის მეფე იმპერატორს თხოვდა, რომ კონსტანტინოპოლში მისი ელჩის ბატონ დირლინგის საშუალებით ეცადა, ხელი აეღებინებინა საქართველოში თურქეთის ლაშქრობაზე. საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა დაცვის მოტივით ვახტანგი იმპერატორს თხოვდა, მიეღო ქმედითი გადაწყვეტილებები. მართალია, საქართველო გაყრილია, — წერდა ვახტანგი, — „ჭეშმარიტ რომაულ ეკლესიას, მაგრამ ჩვენს სამფლობელოში კათოლიკეები მრავლადაა, და მეც იმათ რიცხვში ვითვლები, თუმცა ამ ადგილებში არეულობა ჯერ კიდევ საშუალებას არ მაძლევს, გავამხილო ჩემი კათოლიკობა. ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, ვაცნობო ეს თქვენს უდიდებულესობას, ვინაიდან თქვენი გულმოწყალებით მფარველობა აქ მცხოვრებ კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტ შვილებზე იქნება ნამდვილად ის საშუალება, რათა კვლავ გაერთიანდნენ გაყრილნი და მოაქციონ ისინი (ქართველები — მ. ჰ.) ჭეშმარიტ ნამდვილ სარწმუნოებაში (კათოლიკობაში — მ. ჰ.)"[135].

კონსტანტინოპოლში ავსტრიის ელჩ დირლინგისადმი გადასაცემი ეს წერილები, ჩვენი აზრით, წაიღო რომელიმე კათოლიკე მისიონერმა. არ ვიცით, რომის პაპი ან ავსტრიის სამეფო კარი შეეცადა თუ არა ქართლის მეფისათვის დახმარება გაეწია. უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ამჯერადაც დასავლეთი დუმილით შეხვდა ქართლის მეფის თხოვნას. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად რეალური იყო ვახტანგ მეფის ნაბიჯი, როცა მიმართავდა ავსტრიის იმპერატორს დახმარებისათვის, იმდროინდელ თურქეთ-ავსტრიისა და რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის შესწავლამ საფუძველი მოგვცა, დავასკვნათ შემდეგი:

თურქეთის მთავრობა, სანამ საქართველოს დასაპყრობად ჯარს გააგზავნიდა, აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა ავსტრიის მხრიდან უშიშროების გარანტიის მიღწევას. ასევე, სულთანი ითვალისწი-

ნებდა რუსეთ-ავსტრიის კავშირის დადების შესაძლებლობას პორტას წინააღმდეგ. თურქეთის მთავრობა ანგარიშს უწევდა ამ გარემოებას. თავის მხრივ, რუსეთის დიპლომატია ნიადაგს ეძებდა ვენაში თურქეთთან შესაძლო ომში კავშირის დადებისათვის. ვახტანგ VI-მ შესანიშნავად შეძლო თვალყური ედევნებინა თურქეთ-ავსტრიის ურთიერთობებისათვის. მან, ჩანს, დაინახა, რომ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ომის გადაწყვეტისას ანგარიში უნდა გაეწია ავსტრიის სამეფო კარისაკენ მოსალოდნელი საშიშროებისათვის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგ VI-ის ურთიერთობა ავსტრიასთან უკავშირდება რუსეთ-ავსტრიის დაახლოების აღნიშნულ ტენდენციას და ასევე თურქეთის მიერ ანგარიშის გაწევის პოლიტიკას ავსტრიისადმი.

ვახტანგის, როგორც დასავლეთზე, ისე რუსეთზე დამყარებული იმედები არ გამართლდა. მისი პოლიტიკა დამარცხდა. შექმნილ ვითარებაში ქართლის ტახტდაკარგულმა მეფემ გადაწყვიტა, წასულიყო რუსეთში, რათა დახმარება მიეღო იმპერატორ პეტრე I-საგან და გათავისუფლებინა საქართველო თურქებისა და ირანელების ბატონობისაგან. მას სამშობლოში მალე დაბრუნების იმედი ჰქონდა. 1724 წლის 15 ივლისს ვახტანგი, მისი ოჯახი და მთელი ამალა, რომელიც შედგებოდა 1200 კაცისაგან, გაემართნენ რუსეთისაკენ. ვახტანგის ამალაში იყო სულხან-საბა ორბელიანიც.

არც ეხლა ეწერა ბედი ვახტანგისა და მისი მრავალრიცხოვანი მომხრეების იმედის აღსრულებას. რუსეთში გადახვეწილ რჩეულ მამულიშვილებს სამუდამო განსასვენებელი ჩრდილოეთის სუსხიანი ცის ქვეშ ელოდათ. ეს ბედმა პირველს სულხან-საბა ორბელიანს განუმზადა. 1725 წლის 26 იანვარს იგი მოსკოვში გარდაიცვალა ღა დაკრძალეს ვსესვიატსკოეში, არჩილ მეფის კარის ეკლესიაში. ასე იპოვა უკანასკნელი ბინა თავისი აღმზრდელის და მეგობრის არჩილის გვერდით სულხან-საბა ორბელიანმა, რომელმაც ტანჯული სიცოცხლე შესწირა ანარქიასთან, ქვეყნის მშვიდობიანობისა და საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას. ჩვენ ვიზიარებთ მ. თამარაშვილის აზრს, რომ სულხან-საბა ორბელიანი სიკვდილის ბოლომდე კათოლიკე იყო და მას ის რუსეთში არ უარუყვია. ასე რომ, სულხან-საბა კათოლიკე აღესრულა.

13 წლის ვედრების შემდეგ, 1737 წლის 27 მარტს ასტრახანში, რუსეთის დახმარებით საქართველოს გათავისუფლების გულუბრყვი-

ლი მეოცნებე ვახტანგ VI გარდაიცვალა. მის დაკრძალვას კათოლიკე მოძღვრებიც დაესწრნენ.

ვახტანგ VI-ის, სულხან-საბასა და მათი მომხრე ევროპაზე ორიენტირებული ქართველების ხელშეწყობით და მფარველობით საქართველოში კათოლიკობამ ფეხი მყარად მოიკიდა. 1723 წელს საქართველოდან ორი ქართველი ახალგაზრდა წავიდა რომში სასწავლებლად. 1725 წლის 30 ივლისს პროპაგანდის კოლეჯში შევიდა გორელი ქართველი კათოლიკე დავით ტულუკაანთ პაპაშვილი[136]. იგი იქ მოხვდა სულხან-საბას რეკომენდაციით. 1732 წლის 22 მარტს მან საჯარო სხდომაზე ფილოსოფიაში დაიცვა დისერტაცია, რომელსაც დაესწრო პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტი. მომდევნო წლის 21 მარტს დავითი მღვდლად ეკურთხა ლათინურ ტიპიკონზე[137]. დავით პაპაშვილი რიგით მეორე ქართველი იყო, რომელმაც რომში საჯაროდ დაიცვა დისერტაცია.

დავითი რომში მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. 1733 წელს მან დაწერა „საქრისტიანო მოძღვრება", რომელიც 1741 წელს რომში დაბეჭდა ქართველმა კათოლიკე მღვდელმა ივანე ჯიგანაშვილმა. ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მისიაში 11 წელს ნამსახურმა, „ქართული და სომხური ენის პროფესორმა" კაპუჩინელმა პატრმა კლაუდიო რეჯიელმა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავითს არ შეუწყვეტია მთარგმნელობითი მუშაობა. ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში მან თარგმნა თომა კემფელის ლათინურ ენაზე დაწერილი თხზულება — „ქრისტეს მიბაძვა". დავითი დიდი სახელითა და გავლენით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში: მან დიდი ამაგი დასდო მშობლიურ გორს. მისი თაოსნობით აქ გაიხსნა სკოლა, სადაც ქართველ კათოლიკეთა შვილების გარდა სწავლობდნენ ქართველ მართლმადიდებელთა შვილებიც. სკოლაში ერთ დროს პატრი დავითიც ასწავლიდა[138].

დავით პაპაშვილის შემდეგ ქართველ კათოლიკეთა რიგებში გამოკვეთილი ადგილი უკავია ივანე ჯიგანაშვილს. 1729 წლის 18 ივნისს იგი პროპაგანდის კოლეჯში მიუღიათ, ხოლო 1740 წლს 2 ივნისს ივანე მღვდლად ეკურთხა სომხურ ტიპიკონზე; 1741 წლის 29 აპრილს მან მიიღო ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში სამეცნიერო დოქტორის ხარისხი. იმავე წლის 31 აგვისტოს ივანე საქართველოში დაბრუნდა[139].

იმ ხანებში, კერძოდ 1738 წლის მეორე ნახევარში რომში წმიდა

ადგილების მოსალოცავად წავიდა გორელი კათოლიკე მღვდელი პეტრე ჯანიძე, რომელმაც თან წაიყვანა პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად ერთი თბილისელი ახალგაზრდა ქართველი კათოლიკე ანტონ ქოდაკანთი. მწირი წყაროებიდან არ ჩანს პეტრე მღვდელი რამდენ ხანს იყო რომში, ან როდის დაბრუნდა სამშობლოში, ან დაბრუნდა კი საერთოდ?

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ კათოლიკეთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ორბელიანთა გვარეულობის სასულიერო თუ საერო წარმომადგენლებს. უდავოა, ორბელიანთა გვარის წარჩინებულ პირთა გაკათოლიკება ს. ს. ორბელიანის რელიგიური პოლიტიკის უშუალო ნაყოფია. ხსენებულ გვარს ამშვენებს ივანე, ვახტანგ და ქრისტეფორე ორბელიანთა სახელები. ამათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ეპისკოპოსი ქრისტეფორე ორბელიანი. ამ პიროვნების შესახებ მცირე წერილობითი წყაროები გაგვაჩნია. არსებული ცნობები კი შემდეგ სურათს გვიხატავენ.

ბასილიანელი ქრისტეფორე ორბელიანი იყო „ეპარქიის ეპისკოპოსი და მის მრევლს შეადგენდა ქართული ტიპიკონის მქონე კათოლიკები". მას საქართველოში დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი. მან, ჯერ კიდევ მღვდელმა, 1725 წლის წინა ხანებში მიიღო კათოლიკური სარწმუნოება იტალიელი პატრი ანჯელო პაპილის მეშვეობით. 1741 წლის 1 ოქტომბერს იგი თბილისიდან გაემგზავრა იტალიაში. წყაროები ქრისტეფორე ეპისკოპოსის რომში გამგზავრების ორ მიზეზს ასახელებენ: პირველი, რომ მას სურდა რომის პაპის ნახვა, რათა მოეხსენებინა კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოში და მოელოცა წმიდა ადგილები. მეორე, იგი ელჩად გაგზავნეს ივანე და ვახტანგ ორბელიანებმა თავიანთი სათხოვარის გადასაცემად. რომის პაპმა ბენედიქტე XIV-მ (1740—1758), რომელიც მისი სიკეთის გამო ძალზე უყვარდათ რომის მაცხოვრებლებს, განსაკუთრებული პატივისცემით მიიღო ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსი. „პაპმა თავისი ჩვეულებრივი მამობრივი სიყვარულით მიიღო ხსენებული ეპისკოპოსი და მიანიჭა უხვი წყალობა და სულიერი ძალა, აგრეთვე წმიდა ჯვრის ნაწილი და ნაკურთხი კრავები", — ვკითხულობთ წყაროში[140].

ქრისტეფორე ეპისკოპოსი გარკვეული თხოვნით წარსდგა პროპაგანდა ფიდეში. წმიდა კრებისათვის მას უთხოვია, რომ პროპაგანდის კოლეჯში გამოყოფილ ორ ადგილზე ყოველგვარი დაბრკოლების გა-

რეშე მიეღოთ ქართველი ახალგაზრდები, როცა მათ გამოაგზავნიდა „კათოლიკე ეპისკოპოსი და სამეგრელოს კაპუჩინები“[141]. როგორც ვხედავთ, ამ დროს სამეგრელოში მოღვაწეობდნენ კაპუჩინი პატრები. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოში კათოლიკეები ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ.

ქრისტეფორე ეპისკოპოსს პროპაგანდისათვის ასევე შეუსსენებია, რომ საჭირო იყო დადებითად გადაწყვეტილიყო პაპ კლიმენტი XI-ის მიერ სულხან-საბა ორბელიანისათვის მიცემული პირობა რომში ქართველებისათვის „საკუთარი სახლის გადაცემის“ შესახებ, რადგან „ეს სახლი დიდად შეეწეოდა საქართველოს მისიონს“[142].

ზემოთ ვთქვით, რომ ქრისტეფორე ეპისკოპოსი პაპთან ელჩად გაგზავნეს წარჩინებულმა ქართველმა კათოლიკეებმა ივანე და ვახტანგ ორბელიანებმა. ამ თავადების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ცნობები არ გაგვაჩნია. მხოლოდ ირკვევა, რომ ივანე ორბელიანი 1773 წლისათვის უკვე 80 წლისა იყო და ერეკლე II-ის კარზე მდივანბეგის[143] თანამდებობა ეკავა. ივანეს ბიძაშვილი იყო ვახტანგ ორბელიანი. ამ თავადებთან ერთად კათოლიკობა მიიღეს მათმა ქვეშევრდომებმა. თუ ერთ ცნობას ვირწმუნებთ, ვახტანგ ორბელიანი 50-იან წლებში იმერეთის სამეფოში გადასულა და გაუკათოლიკებია იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720—1752), აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი (1742—1769) და მისი ძმა როსტომი, რაჭის ერისთავი (1749—1769)[144].

ისმება კითხვა: რა მიზნით გაგზავნეს ივანე და ვახტანგ ორბელიანებმა ეპისკოპოსი ქრისტეფორე 1741 წელს რომში? წყაროებიდან ჩანს, რომ 1741 წელს ნადირ შაჰის მიერ ქართლის სამეფოს აღწერისა და დახარკვის შედეგად ივანე და ვახტანგ ორბელიანებისათვის ქონების დიდი ნაწილი წაურთმევიათ. ნადირის ანტიკათოლიკური ეანწყობილებით უსარგებლიათ სომხებს და ქართველ კათოლიკეთა შევიწროება დაუწყიათ. ჩანს, ქართველებისადმი დაპირისპირებული სომხები ნადირ შაჰის მომხრეები იყვნენ და მისი ანტიკათოლიკური პოლიტიკა ხელსაყრელად ჩათვალეს ქართველ კათოლიკეთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის დასაწყებად. სომხებისაგან შევიწროებულ ქართველ კათოლიკეთა რიგებში იყვნენ ივანე და ვახტანგ ორბელიანები. შექმნილი ვითარების გამო მათი მდგომარეობა იმდენად მძიმე ყოფილა, რომ გადაუწყვეტიათ სამშობლო დაეტოვებინათ. „თქვენ

რომ ინებებდეთ, — წერდნენ ისინი პაპს, — და ერთ რომელიმე ადგილს გვიბოძებდნენ საცხოვრებლად, ჩვენ ყველა ჩვენი ქვეშევრდომებით მზად ვართ დავტოვოთ ჩვენი სამშობლო. ხოლო თუ ამას არ ინებებთ, მაშინ გვიშუამდგომლეთ ნაღირ შაჰთან, რათა ასე არ დაგვჩაგროს და აგრეთვე სთხოვეთ მას, რომ შეაჩეროს ეს განუწყვეტელი დევნა, რომელსაც ჩვენ გვიყოფენ მწვალებლები (სომხები — მ. ჰ.), ვინაიდან ამ ბოლო დროს უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავვარდით, რის გამო იძულებული გავხდით ჩვენი არქიმანდრიტი გამოგვეგზავნა, რათა თქვენს უწმიდესობას აცნობოს ჩვენი საეალალო მდგომარეობა"[145]. ძნელი არაა აქედან დაასკვნას მკითხველმა, თუ რა მიზნით გაგზავნეს ივანე და ვახტანგ ორბელიანებმა პაპთან ქრისტეფორე ეპისკოპოსი.

ქრისტეფორე ეპისკოპოსის რომში ყოფნის დროს (1741 წლის ოქტომბერი — 1742 წლის ნოემბერი), საქართველოში 1742 წლის აპრილის დასაწყისში ისევ განახლდა სომეხთა მიერ კათოლიკეების დევნა. ამას ისეთი ძლიერი სახე მიეღია, რომ ყველა კათოლიკე პატრს ახალციხისათვის შეუფარებია თავი. მრევლი კათოლიკე მამების გარეშე დარჩენილა. ამას ძალიან შეუწუხებია ჩვენთვის უკვე ცნობილი ივანე და ვახტანგ ორბელიანები, თავადი ამილახვარი და საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ VII ხერხეულიძე (1741—1744). თითოეულმა ცალ-ცალკე მისწერა პაპ ბენედიქტე XIV-ს წერილი და აცნობა საქართველოში შექმნილი ვითარება. გამოთქვამდნენ რა დიდ წუხილს პატრების დევნის გამო, რომის პაპს უმორჩილესად სთხოვდნენ, რომ არ გაეწვია უკან კაპუჩინები და მათი ეკლესია ამ პატრების გარეშე არ დაეტოვებინათ[146]. ამის სანაცვლოდ საქართველოს კათალიკოსი მზად იყო „პაპისადმი მორჩილება გამოეცხადებინა და ყველა მისი ბრძანება აღესრულებინა". აქვე ბენედიქტე XIV-ს პატიებას სთხოვდა იმის გამო, რომ კათოლიკე მამებს სათანადო დახმარება ვერ გაუწია. ამის შემდეგ კი ამცნობდა: „ჩემი დიდი ხნის წადილის შესრულება სომხებმა არ დამაცადეს, რადგან ისინი ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთ ნებისამებრ ბატონობენ"[147].

როგორც ვნახეთ, ივანე და ვახტანგ ორბელიანები, თავადი ამილახვარი და საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ VII პაპს თხოვდნენ, რომ კაპუჩინი პატრები უკან არ გაეწვია და ქართველი კათოლიკენი მოძღვრების გარეშე არ დაეტოვებინა. ეს თხოვნა იმით იყო ნაკარნახევი, რომ კათოლიკე მრევლი სომეხთა ხელში არ გადასუ-

ლიყო. თავისთავად ჩანს, რომ ამ მიმართულებით ნადირ შაჰისაგან ზურგმოგრეული სომხები ძალიან აქტიურობდნენ. სანამ რომი საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებდა, კაპუჩინებმა ერთ-ერთი პატრი ლეონ ბავაელი ისფაჰანში გაგზავნეს პატრ დამიანე ლიონელთან, რომელიც ნადირ შაჰის მკურნალი ექიმი იყო. მას დიდი გავლენა ჰქონდა შაჰის კარზე და დიდი მცდელობის შემდეგ ნადირისაგან მიიღო რაყამი, რომლის ძალითაც კაპუჩინებს „შეეძლოთ თბილისში დარჩენილიყვნენ“.

ამის შემდეგ კაპუჩინები ისევ დაბრუნდნენ თბილისში და დაიბრუნეს თავიანთი ეკლესიაც. მათი საქმიანობა ჩვეულ ძალას იკრებდა. მისიონერების საქმიანობისა და კათოლიკობის გავრცელების შესაძლებლობის შესამოწმებლად 1746 წელს ირანიდან თბილისში ჩამოვიდა ისფაჰანის ლათინთა ეპისკოპოსი ფილიპე[148]. მან აქ თავის ვიკარად დანიშნა პატრი ნიკოლა და ჯირჯენტი, რომელმაც ქართული ენა საუცხოოდ იცოდა. მ. თამარაშვილის მიხედვით, ეს პატრი მაშინვე შეუდგა თბილისში მეორე ეკლესიის აშენებას, რადგან წინანდელი პატარა იყო და მრევლს ვეღარ იტევდა. ეკლესია დასრულდა 1749 წელს, რომლის აშენებაზეც 4 ათას თუმანზე მეტი დაიხარჯა. საქართველოში ეს ეკლესია ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა[149].

ამავე ხანებში საქართველოში მოღვაწე პატრებს შორის მომწიფებულა აზრი, რომ თბილისში დადგენილიყო ლათინთა ეპისკოპოსი. ამ მიზნით 1750 წელს საქართველოდან რომში გაგზავნეს პატრი მარია ბორგიელი, რომელმაც პროპაგანდას სპეციალური მოხსენება წარუდგინა, სადაც არგუმენტირებულად იყო დასაბუთებული, თბილისში ლათინთა საეპისკოპოსოს დაარსების საჭიროება. ამის აუცილებლობას პატრები შემდეგში ხედავდნენ: პირველი, ძლიერ განსწავლული და წარჩინებული ეპისკოპოსი იქნებოდა იმის გარანტია, რომ საქართველოში „კათოლიკურ სარწმუნოებას შესაფერისი პატივი და წარმატება ექნეს“ და მეორე, „საჭიროა იყოს ლათინი ეპისკოპოსი, რადგან მწვალებლებისაგან (სომხებისაგან — მ. პ.) შიში აღარ იქნება, ვინაიდან მისიონში იგი იქნება ოსმალეთისა და სპარსეთის მთავრობის თანხმობით და მათსავით იგი არ იქნება ორი მთავრობის ქვეშევრდომი“[150]. რომში პატრების ამ წინადადებას, ჩანს, ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს. ამის მიზეზს მ. თამარაშვილი ხედავს იმაში, რომ პროპაგანდა ცდილობდა თავიდან აეცილებინა ახალი ხარჯები.

ასე რომ, მიუხედავად ზემოთ ნაჩვენები სიძნელეებისა, კათოლი-

კობა საქართველოში ახალ სიმაღლეებს აღწევდა. პირველი, ეს გამოიხატა იმაში, რომ 1748 წლისათვის პროპაგანდის კოლეჯში უკვე სამი ადგილი დაეთმო ქართველებს; მეორე, 1749 წელს თბილისში აშენდა კათოლიკთა ახალი მშვენიერი ეკლესია; მესამე, გაკათოლიკდა იმერეთის მეფე ალექსანდრე V, აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი, როსტომ რაჭის ერისთავი და მისი შვილი გიორგი[151]; მეოთხე, 1755 წლამდე კათოლიკობა მიიღო 60 ქართველმა თავადმა და ცნობილმა კათალიკოსმა ანტონ I დიდმა[152]. ამ უკანასკნელ საკითხზე მკითხველებს ცოტა ქვემოთ მოვუთხრობთ, ამჯერად კი მათ ყურადღებას მივაპყრობთ რაჭის საერისთავოში კათოლიკობის გავრცელების საკითხს.

ჩვენთვის უცნობია, თუ რა მოტივით იყო ნაკარნახევი იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ისა, კათალიკოს ბესარიონისა და რაჭის ერისთავის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ონში კათოლიკეთა მონასტერი მოქმედებდა და აქ მოღვაწეობდა კაპუჩინელი ძმა იერონიმე მარია ნურსიაელი. აქ მსახურობდა აგრეთვე ბასილიანელი, ქართველი მონაზონი სტეფანე. როსტომ რაჭის ერისთავმა დიდად შეუწყო ხელი კათოლიკე მისიონერებს. მათ განკარგულებაში იყო როსტომის მიერ გადაცემული სახლი ონში. მან 1751 წელს საკუთარი ხარჯებით ააშენა ეკლესია და მონასტერი. ერისთავთან პირადად მეგობრობდა პატრი ლეონე, რომელიც საქართველოში 31 წელიწადი ცხოვრობდა.

1753 წლამდე ონში კათოლიკეთა რიცხვი 35 სულამდე აღწევდა. რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, აქ საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ კაპუჩინელი მისიონერები. როგორც წყაროები გვიჩვენებენ, 1754 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელმძღვანელობით ბერძენმა მღვდლებმა მოშალეს რაჭის მისიონი. ასე რომ, რაჭის მისიონიდან კათოლიკე მამების მიერ ნავარაუდევი ნაყოფი ვერ იქნა მიღებული. იმერეთის სამეფოდან და რაჭიდან კათოლიკე მისიონერები თბილისში დაბრუნდნენ[153].

სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ გაკათოლიკებულ სასულიერო პირთა შორის ყველაზე გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს კათალიკოს ანტონ I დიდს (1744—1755, 1764—1788). ფილოსოფოს-მეცნიერმა ანტონმა კათალიკოსის ტახტი ქართლში თეიმურაზ II-ის (1744—1762) გამეფების დროს დაიკავა. ფართო განათლებისა და ურყევი ნებისყოფის მქონე ანტონი უმალვე ენერგიულად შეუდგა

ფეოდალური აშლილობისა და განკერძოების პირობებში კრიზისულ მდგომარეობამდე მისული ეკლესიის აღორძინება — განმტკიცებას — მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, საქართველოში სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას, ურჩ და განდგომილ მღვდელმთავართა დამორჩილებას, დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას, სასწავლებლების დაარსებას და ა. შ. თავისი მიზნების განსახორციელებლად მან ორიენტაცია აიღო დასავლეთ ევროპაზე, დაუახლოვდა საქართველოში მყოფ მისიონერებს (პატრი ნიკოლა, ფრანჩესკო, ბონავენტურა პადუელი) და ბასილიანელთა უნიატური ორდენის მოწესე გახდა. იგი კათოლიკე მამების ყველაზე საიმედო მფარველი იყო მთელი დევნის ჟამს, რაც გარკვეულად უმსუბუქებდა მდგომარეობას კაპუჩინელ მამებს.

ანტონ კათალიკოსმა კათოლიკური სარწმუნოება აღიარა 1754 თუ 1755 წელს. ეს მოხდა გორში კაპუჩინთა მისიონის პრეფექტის ჯიროლამო და ნორჩას მეშვეობით. მართალია, წყაროებში არაა მითითებული, მაგრამ ანტონი უთუოდ ბასილიანელთა ორდენის მოწესე იყო, რადგან სიტყვიერად სცნო ორი დოგმატი კათოლიკობისა: პაპის, ვითარცა მღვდელმთავრის, ავტორიტეტი და სულიწმიდის ძისაგან გამომავლობა. (ე. წ. Filiogue). სწორია ის აზრი, რომ ანტონის „გაკათოლიკება“ უნდა განვიხილოთ აგრეთვე, როგორც დასავლური ორიენტაციის გამარჯვება თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის დროინდელ საქართველოში[154].

როგორც წყაროებიდან ირკვევა, ქართლის მეფე თეიმურაზ II (1744—1762) ანტიკათოლიკური განწყობილებისა იყო. ამით ისარგებლეს საქართველოში პროირანულმა ძალებმა, ანტონ კათალიკოსის პირადმა მტრებმა, კათოლიკეთა მოწინააღმდეგე სომხებმა, კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელთა პატრიარქმა და მათ თეიმურაზი წააქეზეს უპირატესად ანტონ კათალიკოსისა და კაპუჩინთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. ამ ანტიკათოლიკურ მოძრაობას სათავეში ედგა ნინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი და თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი, ბესიკ გაბაშვილის მამა. მას სასულიერო პირთა წრეში მრავალი მომხრე ჰყავდა. სამღვდელოების ამ კონსერვატულმა ნაწილმა ზაქარია გაბაშვილის მეთაურობით 1755 წლის ბოლოს მცხეთაში მოიწვია საგანგებო საეკლესიო კრება, რომელმაც ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენა და დააპატიმრა, ხოლო მისი თანამოაზრეები კი მკაცრად დასაჯა. რამდენიმე თვის შემდეგ მომ-

დევნო საეკლესიო კრებაზე ანტონმა აღიარა და მოინანია თავისი ცდომა, უარყო კათოლიკობა და ითხოვა ღვთისმსახურების უფლებაში აღდგენა და რუსეთში წასვლა.

1756 წლის აპრილში რუსეთისაკენ მიმავალი ანტონი გორში შეჩერდა, სადაც მას ეკლესიაში წირვის უფლება მისცეს[155]. ის გორში კათოლიკეების ეკლესიასთან ბერების სახლში გაჩერდა. მისმა ასეთმა მოქმედებამ ძლიერ ააღელვა ქალაქის სამღვდელოება. ანტონმა თავი იმით იმართლა, ნაავადმყოფარი ვარ და, რადგან ამაზე უკეთესი სახლი არ არის აქ გავჩერდიო[156]. ანტონით უკმაყოფილო გორელებმა მეფეს წერილიც კი მისწერეს[157]. სწორია ის ვარაუდი, რომ რუსეთისაკენ მიმავალი ანტონი გამოემშვიდობა თავის ყოფილ თანამოაზრეებს გორელ კათოლიკეებს[158].

გორში პატრებმა დიდი პატივი მიაგეს ანტონს, რაც მათთვის საბედისწერო გახდა. არა მხოლოდ გორის პატრებს და სხვა კათოლიკეებს, არამედ თბილისის მოძღვრებსაც 1755 წელს ჩამოართვეს ეკლესია და სხვა ქონება. პატრები განდევნეს, ხოლო იმ ქართველებს, რომლებიც კათოლიკობას აღიარებდნენ, სხვადასხვა ვნება მიაყენეს. ამ დარბევას ხელმძღვანელობდა ზაქარია გაბაშვილი და მღვდელი ლარაძე. მიუხედავად იმისა, რომ მათ კათოლიკეებისაგან ქრთამი აიღეს, მაინც არ დაინდეს ისინი. ამ დროს განადგურდა გორში კათოლიკეთა საავადმყოფო, წამალხანა და სასწავლებელი[159]. გორის კათოლიკეთა ეკლესია თეიმურაზ მეფემ „იქაურ არქიეპისკოპოსს" გადასცა,[160] მაგრამ ამით ქართველ კათოლიკეთა კერა არ ჩამქრალა გორში. მათ თავიანთი ეკლესია გადაიტანეს ზუბალაშვილების სახლში.

ამრიგად, ნიკიფორე ირბახისა და სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ, ანტონ I ბაგრატიონი იყო მაღალი თანამდებობის მესამე უნიატი ქართველი სასულიერო პირი. მისი გაკათოლიკება, როგორც წინამორბედებისა, არ ნიშნავდა მართლმადიდებლობის ღალატს, ტიპიკონისა და საეკლესიო წესების შეცვლას, წინაპართა ტრადიციების უგულვებელყოფას, რადგან წმ. ბასილის მოწესეობა ამას გამორიცხავდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ქართველი კათოლიკენი არსებობის დღიდან ფაქტიურად უნიატები იყვნენ, რადგან მათ საეკლესიო წიგნები და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე ჰქონდათ. კათოლიკური სარწმუნოების ასეთი ხალხი კი „უნიატებად" იწოდებოდნენ. ანტონის, ისევე როგორც საბას, გაკათოლიკება მართლმადიდებლობას კი

არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ მის გადარჩენას ისახავდა მიზნად. ვინაიდან მოძალებული ისლამის აგრესიის პირობებში ევროპის დახმარების გარეშე (ჩრდილოეთიდან აღთქმული დახმარება იგვიანებდა) თავად მართლმადიდებლობა დგებოდა უკიდურესი საფრთხის პირისპირ. ეს არ ესმოდა ქართველი სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელმაც ანათემა გამოუცხადა საბას და ანტონს[161].

ანტონ კათალიკოსის თხზულებებიდან ირკვევა, რომ იგი არა მხოლოდ გონებისმიერი ხედვით ჭვრეტდა ეკლესიათა კვლავ შეერთების აუცილებლობას. „მზამეტყველებაში" მოჩანს, რომ ეს გათიშვა ეკლესიებისა ანტონისათვის იყო პირადი ტრაგედია, ღრმა განცდის საგანი უწინარეს ყოვლისა. ცხარე ცრემლით გლოვობს იგი ამ გათიშვას, ამ დარღვევას ღვთაებრივი ერთობისას, 'რამაც კაცობრიობა, მისი თვალსაზრისით, განსაცდელში ჩააგდო: „ხოლო აქა ცრემლითა ფრიადითა ჟამი არს წერად, და რათა მაქუნდეს კალამი მწუხარებისა ალთა შინა წთობილი, ხოლო კვეთილი მახვილთაგან საგონებელთა მომკვლელთაისა და მელანი, ნაზავი ცრემლითა, ვაიმე! ვაიმე! განიყვნეს ეკლესიანი სძალნი ქალწულნი, შვენიერნი მნათობნი აღმოსავლისა და დასავლისა ცის კიდეთანი, რომელსა ერთ სამე ეწოდებოდა ეკლესიაი და არა ორ... ერთისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა არა სადმე განყოფითა თანა კერძოსა მისისათა დაიხსნების სრულებაი... არამედ უმჯობეს იყო, რათამცა ორთა ნაწილთაგანი იგი შედგმულებაი დაუხსნელ იყო". აქედან ცხადი ხდება, თუ რად მიელტვოდა ანტონ I ეკლესიათა კვლავ შეერთებას. ეს მისი მაღალი ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარეობდა. ამიტომ მის მიერ „კათოლიკობის მიღებას" სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ხოლო საქმით მას არ დაუთმია მართლმადიდებლური სჯული[162].

ჩვენი მხრიდან ამას დავუმატებთ: ანტონ კათალიკოსის ასეთი ჭვრეტა ნაკარნახევი იყო მისი ეკუმენიკური მზრუნველობით. ქრისტიანობის ერთიანობის გარეგნული აღდგენა, ყველა ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობის შექმნა მოითხოვდა კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის დოქტრინალური შეუთანხმებლობის გადალახვას. კარგად იცის ანტონმა, რომ ამის მიღწევა ადვილად არ მოხერხდება და ამიტომ მასზე არ ამახვილებს ყურადღებას. იგი მოსურნეა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები დაადგნენ ეკუმენიზმის გზას და ეს დღესაც შეგვახსენებს, რომ ეკლესიათა ერთიანო-

ბა შეიძლება მხოლოდ დაფუძნდეს სარწმუნოებაზე და საჭირო აღარაა დოქტრინალური უთანხმოებების წინ წამოწევა.

დაბოლოს, ზემომოყვანილი ციტატის მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანტონ დიდმა „მზამეტყველებაში" არა მხოლოდ ახალ სიმაღლეზე აიყვანა უნიის საკითხებზე მსჯელობა, არამედ ქართულ ნიადაგზე გადმოიტანა ეკლესიათა ერთიანობის იდეა, რომელიც, ერთი მხრივ, პასუხობდა ამ პერიოდის პაპობის უნიატური პოლიტიკის სულისკვეთებას და, მეორე მხრივ, იცავდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესებსაც.

თეიმურაზ II-ს ანტიკათოლიკური განწყობილება ბოლომდე არ გაჰყოლია. ჩანს, იგი მისი შვილის ერეკლე მეფის რჩევით მიხვდა, რომ პროგრესის მოწინააღმდეგე ძალების სურვილს ასრულებდა და ამიტომ კათოლიკეებისათვის ისევ შემწეობა აღმოუჩენია. ამის უტყუარი საბუთია ის, რომ მან მეფე ერეკლესთან ერთად 1760 წლის 23 იანვარს წერილი მისწერა ახალციხის კაპუჩინთა უფროსს პატრ ლეონარდოს, რათა ერთი მღვდელი გამოეგზავნა თბილისში უმწყემსოდ დარჩენილი მრევლის მოსავლელად.[163].

ცნობილია, რომ 1762 წელს თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ხელმწიფე გახდა ერეკლე II. 1763 წელს ერეკლე მეფემ ანტონ I, რომელიც 1757 წლის 1 დეკემბრიდან ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი იყო, კელავ საქართველოში დააბრუნა და კათალიკოსობა უბოძა. ამას შეეძლო გარკვეული როლი შეესრულებინა კათოლიკეებისადმი ფარული სიმპათიით განწყობილ ერეკლეზე დასავლური ორიენტაციის სასარგებლოდ. ამ დროისათვის ერეკლეს გამოუმჟღავნებელი სიმპათია კათოლიკეებისადმი უდავოა. ეს გამოვლინდა იმაშიც, რომ მან კათოლიკობისათვის განდევნილი ივანე ორბელიანი ექსორიიდან დააბრუნა, ხოლო მისიონერ პატრებს იგი ყოველნაირად ეხმარებოდა და მფარველობდა ერთხანს, სანამ გრიგორიანთა შფოთი არ ატყდა თბილისში ამ ნიადაგზე.

წყაროების მიხედვით, თბილისიდან კათოლიკე მამების ახალციხეში გადასვლის შემდეგ სამეფო კარი მცოდნე და კარგად მომზადებული მკურნალების გარეშე დარჩენილა. 1761 წლის გაზაფხულზე დედოფალი ავად გამხდარა და მის საექიმოდ ერეკლე მეფეს ახალციხეში კაპუჩინთა უფროსი ლეონარდო მოუწვევია, რომელიც ერთხელ უკვე იყო თბილისში ვახტანგ ბატონიშვილის განსაკურნებლად.

„თბილისში ჩასულმა ლეონარდომ 'მალე განკურნა დედოფალი, რის გამო ერეკლეს მისთვის დიდი სიყვარული გამოუცხადებია. მას ასევე პატივისცემა დაუმსახურებია ქართველი ბატონებისა და ზოგიერთი გავლენიანი სომხებისაც. კათოლიკეების ერთი საკმაოდ დიდი სახლი გადაუქცევია ეკლესიად, საჯაროდ დაუწყია ქადაგება, წირვა და სხვა სამსახურის ასრულება. კათოლიკეების გარდა მასთან წამლობის მხრივ სხვებიც მიდიოდნენ და ისმენდნენ მის ქადაგებას. რამდენიმე კაცი გაუკათოლიკებია. ლეონარდოსთან გორიდან მოსულა ბერძნული ტიპიკონის ორი ქართველი 'მღვდელი და კათოლიკობა მიუღია"[164] — წერს 'მ. თამარაშვილი.

ჩვენი აზრით, მარტო აღნიშნული საჭიროებით არ იყო გამოწვეული ერეკლე 'შეფის შემწყნარებლობა კათოლიკე 'მამებისადმი. იგი შემადგენელი ნაწილი იყო ერეკლე II-ის დასავლური ორიენტაციის იმ კონკრეტული ამოცანისა, რომელიც 80-იანი წლებიდან გამოვ'ლინდა. აქამდე კი ერეკლე ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდა მისიონერების მიმართ, რაც ხშირად მისი მიზნის საწინააღმდეგო მოქმედების გამოვლენითაც ხასიათდებოდა. ეს კი გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებით, რაც ხანდახან სარწმუნოებრივ საკითხებში დიპლომატიურად ლავირებას მოი-ითხოვდა.

ერთი სიტყვით, თბილისში ისევ განახლდა კაპუჩინელთა მოღვაწეობა. ამან რომში დიდი ხიხარული გამოიწვია და პაპმა კლიმენტი XIII-მ (1758—1769) ერეკლე II-ს 1763 წლის 16 აპრილს მისწერა წერილი, რომელშიც დიდი თავაზიანობის გამოვლენით თხოვდა მეფეს, შეებრალებინა კათოლიკეები, რომლებიც მოძღვრების გარეშე დარჩნენ. „ახლა გთხოვთ, ინებოთ და დააბრუნოთ თქვენს სამეფოში ის მონაზვნები რომლებიც წინათ თავიანთი ღირსებით თქვენთვის საყვარელნი იყვნენ და 'მფარველობდით კიდეც მათ. ახლა რასაც ვთხოვთ თქვენს ხელმწიფებას, დიდ სიკეთედ ჩათვალოთ და თქვენგან მარად დავალებულნი ვიქნებით", — წერდა პაპი ერეკლეს[165].

ერეკლე მეფემ ცოტა მოგვიანებით განიზრახა გორის მისიონის აღდგენა. ამ მიზნით მან 1767 წლის გაზაფხულის დასაწყისში ახალციხის 'მისიონის უფროსს პატრ ალოიზს (Aloysius de Praga) მისწერა წერილი, რომ გორში გამოეგზავნა მამა გიორგი — ტაურინელი, რომელიც იმავე წლის 14 მარტს ჩავიდა გორში. მას მისცეს სახლი, სადაც ტრაპეზი აღმართეს და კათოლიკეები ეკლესიის მაგივრად

იყენებდნენ. ჩამორთმეული ეკლესიის მაგიერ მეფემ მისიონერებს ეკ-ლესიის ასაშენებელი ადგილი უბოძა. მალე მშენებლობაც დაიწყო. ეკლესიის აგება დაასრულა პატრმა მარიუსმა 1813 წელს[166]. იმავე დროს ერეკლემ გორის მამასახლისსა და ციხისთავს წერილობით დაავალა პატრებისათვის მიექციათ ყურადღება, რათა ისინი არავის შეეწუხებინა.

საქართველოში კათოლიკეთა საქმიანობის ასეთი წარმატებით შემობრუნებამ რომის შესაბამისი რეაგირება გამოიწვია. პაპი კლე-მენტე XIV 1769 წლის 23 აგვისტოს წერილით ერეკლე II-ს გულ-თბილ მადლობას უძღვნიდა მისიონერებისადმი გაწეული მფარველო-ბის გამო. აქვე მეფეს აუწყებდა, რომ მან მთელ ევროპაში მოიხვეჭა სახელი თავისი სიბრძნით, გულადობით, მტერზე გამარჯვებით, კაპუ-ჩინელი მისიონერებისადმი კარგი მოპყრობით და მათზე მზრუნველ-ობით. პაპი ამ გულთბილ წერილში იმედს გამოთქვამდა, რომ ერეკ-ლე კვლავაც დაიფარავდა პატრებს და მათ შემწეობას არ მოაკლებ-და[167]. ერთი სიტყვით, პაპი ერეკლე მეფის მფარველობას კათოლი-კეებისადმი საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდა და ამით მისი პიროვნების მასშტაბებს ზრდიდა.

ამავე ხანებში რომიდან გორში დაბრუნდა კაპუჩინებთან მონაზ-ვნად შესული გორელი მორჩილი ძმა ანტონ ქართველი. შესაძლებელ-ია ვიფიქროთ, რომ მან დაამთავრა პროპაგანდის კოლეჯი. ანტონმა სამისიონერო მოღვაწეობა თბილისში დაიწყო. შემდეგ იგი 1779 წელს კაპუჩინთა პრეფექტმა რაღაც საჭირო საქმის გამო რომში გაგ-ზავნა, სადაც 1781 წელს კაპუჩინთა ორდენში შევიდა. ამავე წელს ანტონი საქართველოში დაბრუნდა. ახლა მას იმერეთის მეფე სოლო-მონ I-თან რომიდან მოჰქონდა პაპ პიუს VI-ის წერილი და საჩუქ-რად ერთი საათი. როგორც ირკვევა, ანტონი საუკეთესო მკურნალი ყოფილა. ამის გამო იგი თითქმის მუდმივად იმყოფებოდა ერეკლე მე-ფის კარზე. ამგვარად, ანტონ გორელი რიგით მეოთხე ქართველი იყო, რომელიც კაპუჩინთა ორდენში შევიდა. იგი 1787 წელს გარდა-იცვალა[168].

XVIII საუკუნის 60—70-იან წლებში იმერეთის სამეფოში კათო-ლიკობას საკმაოდ დაეტყო წინსვლა. ჩვენთვის უკვე ცნობილი დასავ-ლეთ საქართველოს კათოლიკე პატრიარქი ბესარიონი და მისი ძმა როსტომ რაჭის ერისთავი, ჩანს, ძალიან ცდილობდნენ, ისევ აღორ-ძინებინათ მისიონერთა მოღვაწეობა იმერეთის სამეფოში, კერძოდ

რაჭაში. ამ მიზნით ისინი ახალციხის მისიონის უფროსს პატრ ალოიზს გამუდმებით თხოვდნენ, რომ გაეგზავნა მისიონერები, მაგრამ პრეფექტი თავს იკავებდა ამისაგან. ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველოში გამეფებული ანარქიისა, კერძოდ, სოლომონ I-სა და როსტომ რაჭის ერისთავს შორის მიმდინარე განუწყვეტელი ბრძოლებისა და ბერძენ სამღვდელო პირთა მოსალოდნელი დევნის გამო, კაპუჩინთა პრეფექტი მისიონერთა უსაფრთხოების გარანტიის მიღების გარეშე საშიშად თვლიდა იმერეთის სამეფოში პატრების გაგზავნას. ასეთი გარანტია წერილობით თავის თავზე აიღო პატრიარქმა ბესარიონმა და როსტომ რაჭის ერისთავმა. ამ დაპირებას პატრი ალოიზი არ დათანხმდა და იმერეთში გაგზავნა საქმიო ხელოვნებით განთქმული ერთი ძმა დიონიზიო სპეციალური ინსტრუქციით, რომელშიც, ალბათ, მოცემული იყო ის პირობები, რაც უნდა დაეკმაყოფილებინათ ზემოხსენებულ პირებს. კათალიკოსმა ბესარიონმა, რაჭის ერისთავმა და სხვა თავადებმა წერილობით მისცეს პატრ ალოიზს დასტური, რომ კათოლიკე მამებს ყოველგვარ შემწეობას აღმოუჩენდნენ[169].

მიხეილ თამარაშვილის მიხედვით, ქუთაისში ჩასული დიონიზიო ონში გამგზავრებულა, რათა იქ განეახლებინა მოღვაწეობა. მას „ონში კიდეც აუშენებია სამი ოთახი. ეკლესიაც უნდა დაეწყო, ხოლო ამის ნება არ მიეცი, სანამ სოლომონ მეფე და დედოფალი მარიამ დადიანი წერილობით თანმხობას არ გამომიგზავნიან“-ო წერდა პატრი ალოიზი პროპაგანდას 1767 წლის 18 მარტს ახალციხიდან.

იმერეთში სოლომონ I დიდის (1752—1784) მეფობის დრო ხასიათდება იმერეთ-ოსმალეთს შორის ომებითა და განუწყვეტელი შინაფეოდალური ბრძოლებით, რაც, უეჭველია, ხელს უშლიდა მისიონერთა მოღვაწეობის გაშლას. მართალია, სოლომონ მეფე არ იყო წინააღმდეგი კათოლიკეთა საქმიანობისა, მაგრამ მათ მიმართ არც დიდი ხელშეწყობითაა იგი ცნობილი. საერთოდ, იმერეთის სამეფოში მისიონერებს სრული თავისუფლება ჰქონდათ. 1779 წლისათვის ქუთაისში 15 მოსახლე კათოლიკე იყო, რომელთაც საკუთარი ეკლესია ჰქონდათ. მათ სულიერ მწყემსობას უწევდა ერთი კათოლიკე მღვდელი, რომელსაც ხანდახან ახალციხეში მყოფი კაპუჩინები სცვლიდნენ.

1779 წლის 25 აგვისტოს სოლომონ I-მა წერილი მისწერა რომის პაპს პიუს VI-ს (1775—1799). მეფე პაპს წერილით თხოვდა, რომ იმერეთში ორი ექიმი და მისთვის საჩუქრად ერთი საათი გამოეგზავ-

ნა. აქვე აცნობებდა, რომ ქვეყანა ოსმალეთისაგან ძალიან შევიწროებულია და სთხოვს, მოხედოს გაჭირვებულ ხალხს[170]. რომში სოლომონის წერილი და სათხოვარი იმერეთში კათოლიკობის მომავალი წარმატების საფუძვლად მიიჩნიეს და დაუყოვნებლივ დაიწყო ექიმად გასაგზავნი კანდიდატის ძებნა. ეს არ იყო ადვილი საქმე, რადგან ასეთ რთულ პირობებსა და მდგომარეობაში მყოფ იმერეთის სამეფოში ევროპიდან სამოღვაწეოდ წამოსვლის მსურველი ნაკლებად მოიძებნებოდა. „ბევრი ძებნის შემდეგ აღმოჩნდა ერთი ფრანგი და აქ წამოსვლის სურვილი გამოაცხადა. იგი იყო ავინიონის უნივერსიტეტის პირველი ექიმი პენიე დე ლონშანი" — წერს მ. თამარაშვილი[171]. რაც შეეხება საათს, იგი პაპმა თავის წერილთან ერთად გამოატანა საქართველოში მიმავალ კაპუჩინ ანტონ გორელს. პიუს VI-ის წერილში, რომელიც დაწერილია 1781 წლის 27 იანვარს, სოლომონ I-ს ატყობინებდა, რომ დიდად სწუხდა ოსმალებისაგან მისი შეჭირვების გამო. ღმერთს შეევედრებოდა, რათა მის სამეფოში სიმშვიდემ დაისადგუროს. აუწყებდა, რომ საჩუქრად უგზავნიდა საათს და შეეცდებოდა მალე მოეელინა ერთი ექიმიც[172]. ეს უკანასკნელი დაპირება შეუსრულებელი დარჩა. ავინიონელი ფრანგი პენიე დე ლონშანი, რომელმაც პირველ ხანებში საქართველოში წამოსვლაზე თანხმობა განაცხადა და რომლის კანდიდატურა პროპაგანდა ფიდემ მოიწონა იმერეთში არ ჩასულა.

ამავე ხანებში, კერძოდ, 80-იან წლებში ერეკლე II-მ გადაწყვიტა, კონტაქტი დაემყარებინა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. მას ამ დროისათვის კარგად იცნობდნენ ევროპაში. ევროპელი მწერლები და პოლიტიკური მოღვაწეები თავიანთ ნაწარმოებებში მოიხსენიებდნენ საქართველოსა და მის მეფეებს. ევროპაში აღტაცებასა და თანაგრძნობას იწვევდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა. ჯერ კიდევ 1738 წელს ახალგაზრდა ერეკლეს ნიჭსა და უნარზე ალაპარაკდა აღმოსავლეთი და დასავლეთი. მან სახელი გაითქვა ნადირ შაჰთან სამხედრო ექსპედიციებში 1738—1739 წწ. ავღანეთსა და ინდოეთში. ევროპელი მკითხველისათვის საქართველოსა და ერეკლეს პიროვნების გაცნობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი ავტორის შარლ დე პეისონელის წიგნს „მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქართველოში", რომელიც პარიზში გამოვიდა 1754 წელს. ავტორი ამ ნაშრომში აღტაცებით აგვიწერს „დიდი პრინცის" ერეკლეს მოღვაწეო-

ბას. აძლევს მას რა მაღალ შეფასებას, მიუთითებს მის არაჩვეულებრივ ჭკუა-გონებაზე, გამოცდილებაზე, მხნეობასა და სამართლიანობაზე. პეისონელის ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში. ამის დასტურია ის, რომ იგი 1755 წელს ითარგმნა და გამოიცა მაინის ფრანკფურტში გერმანულ ენაზე.

აღმოსავლეთის საქმეებში აქტიურმა ჩარევამ ერეკლე II-ს დიდად გაუთქვა სახელი ევროპაში. ამას მოწმობს ის გამოთქმა, რომელიც თითქოსდა პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდმა თქვა: „ევროპაში პირველი მე ვარ, ხოლო აზიაში — ერეკლე". ცნობილი გერმანელი მწერლის გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის პიესა — კომედია „მინა ფონ ბარჰელმი ანუ ჯარისკაცის ბედნიერების" მიხედვით, სახელის მოხვეჭაზე მეოცნებე გერმანელი ჯარისკაცები გერმანიიდან გაპარვას ცდილობდნენ, რათა პრინც ერეკლეს მთავარსარდლობით ერთი-ორჯერ მაინც ელაშქრათ თურქების წინააღმდეგ"[173].

როგორც ვთქვით, ერეკლე II-მ XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სცადა ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება. ეს ნაბიჯი განპირობებული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე სასიცოცხლოდ მდგარი ფინანსური დახმარების ძიებით. ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768—1774) საქართველომ გასწია დიდი ხარჯი 430 ათასი მანეთი. საჭირო იყო ხარჯების დაფარვა. ერეკლემ რუსეთს სესხად სთხოვა ფული. „...რაკი რუსეთიდან ჯარით არ მეხმარებით, სესხად ან „პენსიონის" სახით ფული მომაშველეთ, რომ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ჯარის დაქირავება და შენახვა შევძლო", — წერდა ერეკლე[174]. მაგრამ რუსეთიდან პასუხი არ ჩანდა. ამიტომ ერეკლემ გადაწყვიტა სესხად ფული ეთხოვა ევროპის სახელმწიფოებისათვის. ამ მიზნით მან კათოლიკე მისიონერები დაიახლოვა, რომელთაც ერეკლე დაჰპირდა ეფექტურ მხარდაჭერას, თუ ისინი დაეხმარებოდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან ასე აუცილებელი სესხის მიღებაში.

ევროპის ხელისუფალთათვის თავისი პოლიტიკური მიზანი კარგად რომ გაეცნო, ერეკლე მეორეს სჭირდებოდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში შესაფერისი უნარისა და გამჭრიახი გონების მქონე პიროვნება. არჩევანი შეჩერდა კაპუჩინთა ექსპრეფექტ პატრ დომინიკე ტრიესტელზე, რომელსაც 19 წლის ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა ერეკლესთან. როგორც ირკვევა, პატრი დომინიკე შემთხვევით არ აურჩევია თავის ელჩად რომისა და ავსტრიის კარზე

ქართლ-კახეთის მეფეს. მას ძნელი დიპლომატიური მოლაპარაკებების გარიგებაში საკმაო გამოცდილება ჰქონია. მის ამ უნარს პატრი მაურო ასე ახასიათებს: დომინიკე არის „ბრძენი, მეტად მარჯვე და მტკიცე ასეთ ძნელ და საჭირო საქმეების გარიგებაში"[175]. აქვე უნდა ითქვას, რომ დომინიკე დასავლეთში ერეკლე II-ს გაუგზავნია, როგორც თავისი პირადი წარმომადგენელი.

1781 წლის ზაფხულში პატრი დომინიკე კონსტანტინოპოლზე გავლით დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა. იმავე წლის 20 ივნისს კონსტანტინოპოლში ჩავიდა, მაგრამ 3 ივლისს პერაში მოულოდნელად გარდაიცვალა. თუ რა ბედი ეწია ერეკლეს წერილებს დღემდე არაა ცნობილი. ჩვენ ზუსტად ისიც არ ვიცით, თუ რამდენი წერილი მიჰქონდა მისიონერ დომინიკეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არც ერეკლეს წერილების შინაარსზე შეიძლება მსჯელობა. ჩვენთვის მხოლოდ გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: დომინიკე ტრიესტელი თავდაპირველად უნდა ჩასულიყო რომში პაპთან და მისთვის უნდა გადაეცა ერეკლეს წერილი. შემდეგ პაპს საქართველოს მეფის ელჩ დომინიკესათვის უნდა ეშუამდგომლა ავსტრიის იმპერატორის წინაშე, რათა მოესმინა მეფის თხოვნა. ერეკლეს დავალებით თბილისში მყოფმა მეორე მისიონერმა მაურო ვერონელმა წერილი მისწერა პაპს, სადაც აღნიშნული იყო, რომ თუ ერეკლეს თხოვნას შედეგი მოჰყვებოდა, მეფე მისიონერებს საქართველოში დიდ მფარველობას აღმოუჩენდა[176]. ცხადია, ყოველივე ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ დომინიკეს დიპლომატიური მისიის წარმატებისათვის პაპს თავისი მცდელობა არ დაეკლო. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ პატრი დომინიკეს მიჰქონდა წერილი რომის პაპისა და ავსტრიის იმპერატორისათვის, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინოპოლში დაიკარგა.

ერთი წლის შემდეგ, 1782 წლის ოქტომბერში, ერეკლემ კაპუჩინთა პრეფექტის პატრ ანდრეასის დახმარებით გულმოდგინედ მოამზადა და ხელახლა გააგზავნა თავისი წარმომადგენელი ელჩად ევროპაში რუსეთზე გავლით. იგი იყო პატრი მაურო ვერონელი, რომელიც 1776 წლიდან იმყოფებოდა საქართველოში[177]. საქართველოში გამომგზავრებამდე მაურო იყო ვერონისა და ვენეციის მოქალაქე და ევროპის ქვეყნებში სამისიონერო მოღვაწეობის დიდი გამოცდილება ჰქონდა[178]. როგორც პატრი დომინიკე ტრიესტელის შემთხვევაში,

ახლაც მაურო ვერონელი ელჩად არჩეული იქნა ამ საქმისათვის მისი შესაფერისი უნარის მიხედვით.

1782 წლის 28 ოქტომბერს ერეკლემ ქართულ, თურქულ და ლათინურ ენებზე პასპორტი მისცა მაურო ვერონელს და იმავე წლის 14 ნოემბერს იგი ევროპაში გაემგზავრა. ახლა მაუროს მიჰქონდა ქართულ ენაზე დაწერილი წერილები რომის პაპის, საფრანგეთის, სარდინიის, ნეაპოლიტანიის, პრუსიის მეფეების, ავსტრიის იმპერატორისა და ვენეციის რესპუბლიკის სახელზე. ადრესატებს მეფე სთხოვდა ფულად სესხს, რათა ევროპულ ყაიდაზე შეექმნა ჯარი.

სანამ მაურო ვერონელი ევროპაში გაემგზავრებოდა, 1782 წლის აგვისტოში კაპუჩინთა უფროსმა პატრმა ანდრეასმა წერილი გაუგზავნა რომში ერთ-ერთ კარდინალს, რომელშიც წერდა ერეკლე მეფის განზრახვაზე, კავშირი დაემყარებინა ევროპის სახელმწიფოების მეთაურებთან ეთხოვა მათთვის დახმარება „ურწმუნოთა წინააღმდეგ"[179]. ევროპაში მიმავალ მაუროს თან მიჰქონდა უფროსი პატრის — ანდრეასის სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც ანდრეასი იმპერატორ იოსებ II-ს თხოვდა, მიეღო მაურო და მოესმინა მისთვის. ანდრეასმა მსგავსი შინაარსის წერილი გაუგზავნა რომში პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციას და სთხოვა მას მხარდაჭერა აღნიშნულ საქმეში.

ერთი სიტყვით, ერეკლე მეფის ევროპაზე აღებული ორიენტაცია ხელსაყრელად მიაჩნდათ საქართველოში მოღვაწე პატრებს იმისათვის, რომ მისიონის საქმე წინ წასულიყო. ამიტომ ისინი თავის უნარს, ენერგიასა და შესაძლებლობას არ აკლებდნენ, რათა მაურო ვერონელის ელჩობა წარმატებით დაგვირგვინებულიყო. ასეთ შემთხვევაში ერეკლე II კათოლიკეებს არა მარტო მფარველობას აღუთქვამდა, არამედ 1755 წელს ჩამორთმეული ეკლესიების, სახლებისა და სხვა ქონების უკან დაბრუნებასაც. ასევე ჰპირდებოდა „თბილისში თავის ხარჯზე ექვსი პატრის შენახვას"[180]. მეფემ ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა. 1781 წლის 20 ნოემბერს მისი ბრძანებით თბილისისა და გორის პატრები და მათი ძმები გათავისუფლდნენ ყოველგვარი გამოსაღებისა და ხარჯებისაგან.

არც ამ ელჩობას ეწერა ბედი. 1783 წლის მაისში პატრი მაურო ვერონელი პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში გარდაიცვალა. ამ ამბით სერიოზულად შეწუხდა პოლონეთის პროვინციის კაპუჩინთა უფროსი პატრი პაჩიფიკუსი. ჩანს, მასაც კარგად ესმოდა, თუ რა წარმატებას

უქადდა ამ ელჩობის დადებითი შედეგები საქართველოში კაპუჩინთა საქმიანობას და მანაც თავის მხრივ შექმნილ ვითარებაში გონივრულად და მოხერხებულად იმოქმედა. კერძოდ, პაჩიფიკუსმა ერეკლეს წერილების წაღება ვენაში დაავალა კაპუჩინელ პატრებს — ვოლფგანგსა და ჰილარიუმს. ახლა გარდა ერეკლეს წერილებისა, მათ მიჰქონდათ კიდევ ერთი წერილი, შედგენილი ვლოდიმირში 1783 წლის 15 მაისს. მასში საუბარია იმაზე, თუ საიდან აღმოჩნდა ერეკლეს წერილები ბერდიჩევში. ის სხვა წერილებთან ერთად მათ უნდა წარედგინათ ვენაში იმპერატორის კარზე[181].

კაპუჩინმა პატრებმა ვოლფგანგმა და ჰილარიუმმა ერეკლეს წერილები ვენაში იმპერატორის კარს ჩააბარეს, მაგრამ აქ ქართული არავინ იცოდა და გადაწყვიტეს ეს წერილები რომში — პროპაგანდა ფიდესათვის გაეგზავნათ სათარგმნელად. ამ საქმეზე სერიოზულად იზრუნა ავსტრიის კანცლერმა კაუნიტციმ. მან 1783 წლის ივნისის ბოლოს ერეკლეს წერილები რომში გადაუგზავნა პაპის კარზე ავსტრიის „სრულუფლებიან მინისტრს“ კარდინალ ჰრზან ფონ ჰარას ფრანც ქსავერს[182]. ამ უკანასკნელმა ხსენებული წერილების თარგმნისათვის მზრუნველობა დაავალა პროპაგანდა ფიდეს კარდინალს ანტონელის.

კარდინალი ანტონელი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით მოეკიდა დავალებული საქმის შესრულებას, მაგრამ წერილების თარგმნა დიდხანს შეყოვნდა. „ამის მიზეზი ისაა, — ეკითხულობთ პირველწყაროში, — რომ ამ კოლეგიაში (პროპაგანდის კოლეჯში — მ. პ.) მხოლოდ ორი ყმაწვილია, რომლებიც ქართულს ფლობენ და მხოლოდ ერთი, რომელიც სპარსულს ფლობს“[183]. გადაჭრით ვერ ვიტყვით, აქ ნახსენები ქართული ენის მცოდნე ორი ყმაწვილი წარმოშობით ქართველები იყვნენ თუ იტალიელები. უფრო სავარაუდებელია, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ამ დროს პროპაგანდის კოლეჯში რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა[184].

1783 წლის სექტემბრის დასაწყისისათვის ერეკლეს წერილები უკვე თარგმნილი იყო. ერთი წერილი პაპის სახელზე რომში დატოვეს, ხოლო დანარჩენები უკანვე ვენაში გამოაგზავნეს. ამ საქმისათვის კარდინალ ანტონელისთან ერთად დიდი შრომა გასიწეს კარდინალებმა ჰრზანმა და სტეფანიმ[185]. როცა ვენაში გაიგეს წერილების შინაარსი და საქმის ვითარება, იმპერატორ იოსებ II-ის (1780—1790) ბრძანებით ავსტრიის ელჩს პეტერბურგში კობენცლის შე-

ეკითხნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოში შექმნილი და რა მდგომარეობაშია ერეკლე მეფე. ამ დროს უკვე საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო. 1783 წლის 24 ივლისს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველო მოექცა რუსეთის გავლენის ქვეშ. ავსტრიის ელჩმა პეტერბურგში კობენცლიმ ყველაფერი ეს შეატყობინა ვენას და მას თან დაურთო გეორგიევსკის ტრაქტატი გერმანულ ენაზე.

აშრიგად, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ცდა, რომ მიეღო ევროპიდან დახმარება, ჩაიშალა. ამას გავლენა არ მოუხდენია მეფეზე და იგი წინანდებურად განაგრძობდა მისიონერების მფარველობას. მართალია, მან თბილისის კათოლიკეთა ეკლესია პატრებს ვერ დაუბრუნა, მაგრამ სანაცვლოდ ახალი ეკლესიის ასაშენებელი თანხის მიცემას დაპირდა. კათოლიკე მამებისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი მეფის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებიც. ერეკლეს ერთ-ერთი და, რომელიც 1788 წლის დეკემბრის დასაწყისში გარდაიცვალა, კათოლიკე ყოფილა. რაც შეეხება დედოფალს, დარეჯან დადიანს, მან პატრებს გორში აჩუქა სასახლკარე ადგილი, სადაც მათ გლახაკთა თავშესაფარი სახლები ააშენეს[186].

1795 წელს ირანის საჭურისი შაჰის აღა-მაჰმად-ხანის დამანგრეველ შემოსევას საქართველოში ვერც კათოლიკე მამები გადაურჩნენ. გაბოროტებულმა მტერმა თბილისი საშინლად ააოხრა. დაინგრა და გადაიწვა კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერიც. „პატრები თავიანთი მრევლით დიდ შეწუხებაში ჩაცვივდნენ“ და არ იცოდნენ თუ როგორ გაძლოლოდნენ საქმეს. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ პატრებს წმიდა კოლეგია ყოველმხრივი შემწეობის აღმოჩენას ჰპირდებოდა. პირველი დახმარების სახით რომიდან მამებმა მიიღეს 400 სკუდო და გამამხნევებელი წერილი. „გამხნევედით და გმირულად განაგრძეთ, — წერდნენ პატრებს, — თქვენი მოღვაწეობა და გულს ნუ გაიტეხთ ამქვეყნიური უბედურებით. აგრეთვე იცოდეთ, რომ ეს წმიდა კრება დიდად კმაყოფილია თქვენი“[187].

ამ შედეგებით დაასრულეს XVIII საუკუნე კაპუჩინელმა პატრებმა საქართველოში. XIX საუკუნეს, როგორც ქართველი ხალხისათვის, ისე კათოლიკეებისათვის, სხვა პირობები და სხვა რეალობები მოჰქონდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვა თვით კათოლიკე მისიონერებისათვისაც იყო უარყოფითი შედეგის მომტანი.

ერეკლე მეფის სამეფო ტახტის მემკვიდრის გიორგი XII-ის

(1798—1800) გარდაცვალებისთანავე 1800 წელს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, ბატონიშვილები და დედოფალი რუსეთში გადაასახლა, რათა ქართველებს საქართველოს სამეფოს აღდგენის იმედი აღარ ჰქონოდათ. ამ დროიდან მოკიდებული საქართველოს ისტორია წყდება და ხელთ გვრჩება მხოლოდ ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური თავგადასავლების აღწერილობა.

§ 2. კათოლიკობა სამცხე-საათაბაგოში XVIII საუკუნეში

სამცხე-საათაბაგოში, საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით, კათოლიკობამ თავისებური გზა განვლო. საუკუნეების მანძილზე ამ მხარის გაწამებული ქართველების მიერ ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული მეობის შენარჩუნების საქმეში განუზომლად დიდია კათოლიკობის როლი. ამ მოვლენის რელიეფურად წარმოჩენის მიზნით უმჯობესად ჩავთვალეთ იგი წინამდებარე წიგნში ცალკე საკითხად გამოგვეყო.

სამცხე-საათაბაგოში კათოლიკობამ გზა ჯერ კიდევ XII საუკუნეში გაიკვლია. ამ საუკუნის 70-იან წლებში ახალციხეში უკვე არსებობდა კათოლიკეთა ეკლესია. ეს ბუნებრივი იყო, რადგან სამცხე შუადამ იყო ის კარი, რომელიც ევროპელ მგზავრებსა თუ მისიონერებს გზას უხსნიდა საქართველოსაკენ. ცხადია, მისიონერთა პირველი მასპინძლები მესხები იყვნენ და იქ დამკვიდრებული მისიონი შუადამ შეადგენდა ქართლის მისიონის ნაწილს.

წყაროთა უქონლობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება სამცხე-საათაბაგოში XIII საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით კათოლიკობის მიერ გავლილი გზის სრული სურათის წარმოდგენა. მცირე არაპირდაპირი წყაროების მონაცემებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დროის მანძილზე აქ კათოლიკე მისიონერთა ხმა არ ისმოდა. ნათქვამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ ცნობას. კონსტანტინოპოლში ვენეციის საელჩოს ინფორმატორი ტომაზო მინადიო, რომელმაც აღწერა ირან-ოსმალეთის 1578—1590 წლების ომები, მოგვითხრობს, რომ ჯავახეთში „რამდენიმე ეკლესია

შეაკეთეს კეთილმა პირებმა და მათში ასრულებენ კათოლიკე მღვდლები რომის წმიდა ტიპიკონს, ესენი არიან იმ მისიონერთაგან **დარჩენილები, რომელთაც** სარწმუნოების მადლით აღჭურვილებმა გადაიარეს ზღვანი და მთანი"[1].

მართალია, თეატინელმა მისიონერებმა ახალციხის საფაშოში ფეხი ვერ მოიკიდეს, მაგრამ პატრები ხშირად გურიიდან და სამეგრელოდან ახალციხეში მიდიოდნენ, სადაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ქრისტიანებს ამხნევებდნენ და „გამაჰმადიანებულებს ხელახლა აქრისტიანებდნენ"[2]. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ახალციხის საფარ ფაშა (ბექა ჯაყელი 1628—1651) თეატინელ მისიონერებთან დამეგობრებული პიროვნება იყო. კითხვაზე-პასუხს, თუ რატომ ვერ მოიკიდეს ფეხი სამცხე-საათაბაგოში კათოლიკე მისიონერებმა, მოგვცემს იმ პოლიტიკური ვითარების ზოგადი სურათის წარმოჩენა, რომელიც აქ შეიქმნა XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან.

ცნობილია, რომ XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში თურქეთმა ჩაკეტა საქართველოში მიმავალი გზა. ჩვენს ქვეყანაში შეწყდა კათოლიკე მისიონერთა შემოსვლა და მოღვაწეობა. უმწყემსოდ დარჩენილ ქართველ კათოლიკეთა მრევლს სამსახური შესთავაზეს კილიკია-ნახჭევანიდან მოსულმა სომეხმა უნიატმა ლათინურ-სომხური ძმობის ბერებმა. ამ სომხურ-ლათინურ ეკლესიას რომისაგან დამტკიცებული ჰქონდა სომხურენოვანი ტიპიკონი. „მათი კათოლიკობა ძირითადად იმით გამოიხატებოდა, რომ პაპს სცნობდნენ წმიდა პეტრეს ეკლესიის მოსაყდრედ, აღიარებდნენ მას ქრისტეს მოციქულად და ემორჩილებოდნენ"[3].

უნიატმა ბერებმა ქართლ-კახეთსა და იმერეთში ფეხი ვერ მოიკიდეს. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, აქ მათ XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე ხელთ ეპყრათ ქართველ კათოლიკეთა სულიერი მეთაურობა[4]. ამას განაპირობებდა ის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც რუსთაველის სამშობლოში შეიქმნა.

როგორც ვიცით, XVI საუკნის 80-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს სამთავრო ოსმალებმა დაიპყრეს და ახალციხის (ჩილდირის) საფაშო შექმნეს. დამპყრობლებმა ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს მაჰმადიანობისა და ოსმალური წესების დანერგვა. უთანასწორო ბრძოლაში ქართველები თანდათან პოზიციებს თმობდნენ. მოსახლეობის ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგმა თავი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარა, ზოგი კი იძულებული შეიქმნა გამაჰმადია-

ნებულიყო. „მესხთა ნაწილი პილიგრიმული სიჯიუტით მაინც არ ტოვებდა ქრისტიანობას და ზოგჯერ კათოლიკობასა და გრიგორიანობას ღებულობდა, ხოლო მათ შორის მეტად უმცირესმა ნაწილმა შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება"[5].

რუსთაველის სამშობლოში ქართველად ყოფნა აუტანელი გახდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, გზა ესპობოდა კათოლიკობასაც. „ლათინი პატრების საპირისპიროდ თურქები მხარს უჭერდნენ სომხურ-ენოვან კათოლიკურ რიტს. სომეხი კათოლიკობიდან ლათინურ კათოლიკობაზე (ლათინურენოვანი) გადასვლა სპეციალური ფირმანით აკრძალული იყო. თურქთა შეხედულებით, მართლმადიდებელი ქართველი, რომელიც არ გამაჰმადიანდებოდა, ან უნდა გასომხებულიყო (გრიგორიანობა მიეღო) ან სომხურ კათოლიკურ რიტზე გადასულიყო"[6].

ამრიგად, ახალციხის საფაშოში თურქთა მიერ მართლმადიდებლობა შეუწყნარებელ რელიგიად გამოცხადდა, კათოლიკე მისიონერები კი იქიდან განდევნეს. „აქაურ კათოლიკე მრევლს მღვდელმსახურებას უწევდნენ სომეხი უნიატი ბერები, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ, შეენარჩუნებინათ ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მხრივ უნიატების დამსახურება უდავოა"[7]. ამ მოვლენას საკვლევით სწორად აფასებს თამარაშვილი. იგი წერს: „რადგან ოსმალეთმა XVI საუკუნეშივე მოუსპო გზა ევროპელ მისიონერებს, უმწყემსოდ დატოვებულ სამცხის ქართველ კათოლიკეებსაც იგივე შავი დღე დაადგა, ხოლო მათმა მცირე რიცხვმა შეინარჩუნა უკვე მიღებული კათოლიკე სარწმუნოება სომხის ტიპიკონის მიღებით. რადგან ამ დროს სომხობას ოსმალეთი ისე არ აწუხებდა, როგორც სხვა ტომის ქრისტიანებს, სომხური ტიპიკონის მიღება დიდად შეეწია ქართველ კათოლიკეებს, რომლებიც დაიხსნა არა მარტო სიკვდილისაგან, არამედ სხვა ბევრნაირი შეწუხებისგანაც. ამ გარემოების წყალობით ისინი შეუერთდნენ სომხის ტომის კათოლიკეებს არა მარტო სარწმუნოებით, არამედ ერობრივადაც, რადგან მათსავით უშიშრად ყოფილიყვნენ გამძვინვარებულის ოსმალეთის მთავრობის ხელში. ვერც გაბედეს შემდეგში ქართული ტიპიკონის მიღება, რადგან მათ მტარვალი ბატონისაგან მოელოდათ ან სიკვდილი ან გამაჰმადიანება"[8]. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ქართველები ვერც უწინდელ ლათინურ ტიპიკონზე გადასვლასაც ბედავდნენ.

ამრიგად, ერთის მხრივ, თურქეთის ცენტრალური მთავრობისა

და, მეორეს მხრივ, სომეხ სასულიერო მესვეურთა წინააღმდეგობის გამო ძალზე ძნელი იყო სამცხეში კათოლიკეთა მისიონის დაარსება. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის 30-იან წლებში ახალციხეში გზა გაიკვლიეს კაპუჩინებმა. როგორც ირკვევა, 1710 წლის 15 სექტემბერს პროპაგანდა ფიდემ გადაწყვიტა, რომ კაპუჩინთა მისიონი დაეარსებინა ახალციხეში და ამ მიზნით იქ ქართლის მისიონიდან სამი პატრი გააძწესა. ამათგან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ძოძღვარ ალექსი მილანელის სახელი.

ეს მისიონერები 1715 წლის აგვისტოს დამლევს ფარულად ჩავიდნენ ახალციხეში, სადაც ორი თვე დარჩნენ, მაგრამ თურქებისა და ჩიმეხი ეპისკოპოსის შიშით უკან დაბრუნდნენ ქართლში. ამ ვითარებიდან გამომდინარე ცხადი იყო, რომ სულთანის მიერ ფირმანით დამტკიცებული ნებართვის გარეშე მისიონერები აქ ფეხს ვერ მოიკიდებდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1748 წლისათვის სამცხეში სასულიერო და საერო კათოლიკეთა რიცხვი დაახლოებით 15 ათასზე მეტს შეადგენდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ნაყოფიერი ნიადაგი დახვდებოდა კათოლიკე პატრებს უხვი მოსავლის მოსამკელად. ძნელია, დასახელებული რიცხვიდან ვთქვათ, დაახლოებით რამდენი იყო ქართულ ტიპიკონზე მდგარი კათოლიკეები, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ.

ხსენებული პატრი ალექსი მილანელი არ შეუშინდა სირთულეებს და 1716 წლის გაზაფხულზე ისევ ფარულად ჩავიდა ახალციხეში, სადაც ამჯერად ორმოცი დღე დარჩა ქართველ კათოლიკეებთან. როგორც უწინ, ახლაც ახალციხის კათოლიკეთა უნიატმა ეპისკოპოსმა ნება არ მისცა ალექსი მილანელს იქ დაეარსებინა მისიონი და მოსთხოვა მას სწრაფად დაეტოვებინა ახალციხე.

ახალციხეში კაპუჩინთა მისიონის დაარსების ამ ორმა წარუმატებელმა ცდამ, ალექსი მილანელი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ სულთანის ფირმანის გარეშე ამ საქმის წარმატებით განხორციელება შეუძლებელი იყო. ამიტომ ეს პატრი პროპაგანდა ფიდეს სთავაზობდა საშუალებას, თუ რა გზით იყო შესაძლებელი სულთანისაგან ფირმანის მიღება. მისი აზრით, ამ საქმის მოგვარება უნდა ეთხოვათ საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩისათვის. თუ ის ვერ გადაწყვეტდა ამ საკითხს, მაშინ მიემართათ ავსტრიის მთავრობისათვის, რათა ეთხოვათ სულთანისათვის, რომ „მისიონერებს თავისუფალი და უშიშარი გზა მისცეს შავ ზღვაზე საქართველოში და მის გარეშე

ქვეყნებში შესასვლელად, აგრეთვე იქონიონ ახალციხეში ბინა, მონასტერი, ეკლესია და თავისუფლება ჰქონდეთ როგორც კათოლიკეებს ისე მისიონერებს"[9].

ჩანს, ამ მცდელობამ შედეგი გამოიღო. 1732 წლის დასაწყისისათვის კაპუჩინთა მისიონის უფროსს ნიკოლო და ჯირჯენტს სულთანის ფირმანი უკვე ხელთ ჰქონდა. მომდევნო წლის 8 ოქტომბერს ახალციხეში დაბინავდა კაპუჩინთა მისიონი, რომელიც ქართლის მისიონს დაექვემდებარა. მისიონის უფროსად ისფაჰანის ეპისკოპოსმა დანიშნა ნიკოლო და ჯირჯენტი, რომელიც ამავე დროს საქართველოში მისი ვიკარიუსიც იყო. ამგვარად, ახალციხის კაპუჩინთა მისიონი ისფაჰანის საეპისკოპოსოს დაექვემდებარა.

ნიკოლოს ხელთ ჰქონდა რა სულთანის ფირმანი, დაიწყო ახალციხეში მაჰმადიანთა მიერ დანგრეული ძველისძველი ეკლესიის ხელახლა აშენება. დიდი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ, ყოვლადწმიდის სახელობის კათოლიკური ეკლესია 1734—1740 წლებში უკვე აშენებული იყო. აქ მღვდელმსახურება ლათინურ-ქართულად მიმდინარეობდა. ამიტომ ყოვლადწმიდის ეკლესიას დიდძალი მრევლი მიაწყდა[10].

ახალციხეში დამკვიდრებულმა მისიონერებმა დაკვირვებული მოქმედებით დაიწყეს საქმიანობა. მათ მალე მოაქციეს კათოლიკობაზე სოფელ ველის მართლმადიდებელი მღვდელი, რომელმაც შემდეგ კაპუჩინების დახმარებით გააკათოლიკა მთელი სოფელი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 500 სულზე მეტი ყოფილა[11]. ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ საქმემ კათოლიკე პატრებისათვის სასურველი სახე მიიღო. მათ საქმიანობას წინ შემდეგი დაბრკოლებები გადაეღობა:

ახალციხის კათოლიკეთა უფროსმა უნიატმა ტერ ოვანესმა (მინას-მარკოზ), რომელიც მავნე ჩვეულებისა და ცრურწმენის ბურუსში იყო გახვეული, განიზრახა მისიონერთა განდევნა ახალციხიდან. ამ მიზნით იგი ამცირებდა კაპუჩინებს და ხალხს აძულებდა მათ. მან პატრების შესახებ მრავალი სიცრუე პროპაგანდასაც მისწერა. სიმართლის დამტკიცების მიზნით კაპუჩინელმა მამებმაც მისწერეს პროპაგანდას წერილი და პატრი ჯოზეფო მილანელი გაგზავნეს, რათა მას პირადად მოეხსენებინა არსებული ვითარების შესახებ. საბოლოოდ 1742 წელს ტერ ოვანესსა და კაპუჩინებს შორის ჩამოვარდნილი უკმაყოფილების გამოსარკვევად პროპაგანდამ კონსტანტინოპოლიდან

გამოაგზავნა მღვდელი ქერუბინე არაქელი, რომელმაც ამ დავაში პატრები გაამართლა[12].

1742 წლისათვის ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა შორის რომსა თუ კონსტანტინოპოლში სომხურენოვან ტიპიკონზე ნაკურთხი ხუთი მღვდელი ყოფილა. ამათგან მხოლოდ ორის გვარია ცნობილი. ესენი იყვნენ: „ივანე, გიორგი, პეტრე, ანტონ ფირალიშვილი და სტეფანე ვარამაშვილი. ამ მოძღვრებიდან ივანე და პეტრე კაპუჩინთა მოწინააღმდეგეები იყვნენ.

მართალია, პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით პროპაგანდამ გადაწყვიტა, ახალციხის კაპუჩინთა მისიონი კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოსათვის დაექვემდებარებინა. ჩვენ სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, რომ ახალციხის კაპუჩინთა მისიონი ისფაჰანის საეპისკოპოსოს დაუმორჩილეს, ამით „გამოდიოდა, რომ ახალციხის მხარე ქართლის ნაწილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. თურქეთი, რა თქმა უნდა, ამას რ დაუშვებდა“[13]. ეს არ სურდა ასევე, როგორც სომეხ უნიატ ბერებს, ასევე სომხურ ტიპიკონზე მყოფ ზოგიერთ ქართველ კათოლიკე მღვდელსაც. ამიტომ პროპაგანდამ დაადგინა: მისიონერები ლათინთა იმ ეპისკოპოსს დაემორჩილებოდნენ, რომელ ქვეყანაშიც ისინი იმყოფებოდნენ. ამგვარად, ამ გადაწყვეტილებით, ახალციხის კაპუჩინთა მისიონი კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოს დაემორჩილა[14]. სინამდვილეში მათი მისიონი უშუალოდ რომს ექვემდებარებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ ნიკოლო და ჯირჯენტი ახალციხის მოძღვრებმა არ სცნეს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის წარმომადგენლად. ამ საქმეში ისფაჰანის ლათინთა ეპისკოპოსის ცდა, რომ ახალციხის მღვდლები დამორჩილებოდნენ ნიკოლო და ჯირჯენტს, უშედეგოდ დამთავრდა. 1749 წელს პროპაგანდის წარდგინებით კონსტანტინოპოლის ლათინთა ეპისკოპოსმა სომხურ ტიპიკონზე ნაკურთხი თბილისელი ივანე ჯიგანაშვილი დანიშნა ახალციხის ვიკარიუსად. აქვე მკითხველისათვის საინტერესოდ მივიჩნევთ ამ პიროვნების შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გაცნობას.

ივანე ჯიგანაშვილი 1729 წლის 18 ივნისს მიიღეს პროპაგანდის კოლეჯში, რომელიც 1731 წლის 2 თებერვალს დაამთავრა. 1740 წლის 2 ივნისს იგი მღვდლად ეკურთხა სომხურ ტიპიკონზე. ივანე,

ჩანს, ნიჭიერი, განათლებული და ძალზე მომზადებული პიროვნება იყო. მან 1741 წლის 29 აპრილს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების სამეცნიერო ხარისხი მიიღო[15]. ამგვარად, ივანე ჯიგანაშვილი რიგით მესამე ქართველი იყო, რომელმაც რომში საჯაროდ დაიცვა დისერტაცია.

განსწავლული ახალგაზრდა ივანე ჯიგანაშვილი (იგი ამ დროს 36 წლის იყო) 1749 წელს ჩამოვიდა ახალციხეში. თავდაპირველად მან ენერგიულად მოკიდა ხელი საქმიანობას, მაგრამ ბოლომდე სიმტკიცე და გულმოდგინება ვერ შეინარჩუნა. ივანემ თავის მომხრე მღვდლებთან ერთად არასაჭირო ჭიდილი და დავა გააჩაღა 1755 წელს ახალციხეში ჩამოსულ პავლე ასლანიშვილთან. ამ უკანასკნელს დამთავრებული ჰქონდა პროპაგანდის კოლეჯი. მიხეილ თამარაშვილის თანახმად, პავლეს მიღებული ჰქონდა სადოქტორო ხარისხი[16].

წყაროებიდან ირკვევა, რომ ივანე ჯიგანაშვილი პავლე ასლანიშვილის სახით ხედავდა თავის კონკურენტს, რის გამოც სცადა მისი თავიდან მოშორება. ამ მიზნით შურისძიების წყურვილით შეპყრობილმა ივანემ დაიწყო საჩივრების წერა პავლე ასლანიშვილის წინააღმდეგ რომსა თუ კონსტანტინოპოლში. ამ ჭიდილმა დასასრული იმაში ჰპოვა, რომ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ვიკარობა ჩამოართვა ივანე ჯიგანაშვილს და მის ადგილზე დანიშნა კაპუჩინების უფროსი პატრი ლეონარდო. ამ უკანასკნელმა ყველა საშუალება იხმარა, რათა არსებული უთანხმოება დაეძლია.

მართალია, არ ხერხდება იმის დადგენა, თუ რამდენი კათოლიკე მისიონერი საქმიანობდა ამ დროიდან ახალციხეში, მაგრამ პატრების ხელ ყოფნა და სომხურ ტიპიკონზე შემდგარ ქართველ კათოლიკე მღვდლებთან ერთად თუ ცალკე მათი მოღვაწეობა მთელი საუკუნის მანძილზე დასტურდება. ადგილზე სერიოზული წარმატებების მისაღწევად, კაპუჩინი მამები ჩვეული ენერგიით ეწეოდნენ ადგილობრივი კადრების მომზადების მიზნით პროპაგანდის კოლეჯში ახალგაზრდების გაგზავნას. ამ კოლეჯში კი ახალციხის ვიკარიატს ორი ადგილი ეთმობოდა. 1763 წელს ახალციხიდან აღნიშნულ კოლეჯში ორი ახალგაზრდა გააგზავნეს. მათგან ერთის ვინაობა არ ვიცით, ხოლო მეორე ქართველ კათოლიკეებში კარგად ცნობილი გრიგოლ მაქანდარაშვილი იყო. ეს უკანასკნელი წარჩინებული და შეძლებული ოჯახიდან ყოფილა და დიდი ნიჭი გამოუჩენია სწავლის მიმართ.

1763 წელს ახალციხის სამწყსოს სომხურ ტიპიკონზე შემდგარი

ორი ქართველი კათოლიკე მოძღვარი, ახალციხელი ანტონ ფირალიშვილი და თბილისელი ფრანჩისკე შარავანთი (შარავაძე?) შეემატა. ესენი დიდი მონდომებითა და მზრუნველობით შეუდგნენ მრევლის მოვლას. უფრო აქტიური სამისიონერო საქმიანობით თავი გამოიჩინა ფრანჩისკე შარავანთმა. პატრმა ვიკარიუსმა ლეონარდომ მას სამწყსოდ მისცა სამი სოფელი: ხიზაბავრა, ახალქალაქი და ხერთვისი, სადაც მრევლის აბსოლუტური უმრავლესობა ქართული ტიპიკონის კათოლიკეები იყვნენ. იგი დაბინავდა ხიზაბავრაში. „მივედი თურა, — წერდა ფრანჩისკე 1764 წლის 13 აგვისტოს პროპაგანდას, — მაშინვე გავმართე სკოლა და დავაწყებინე სწავლა იქაურ ვაჟებს... ყოველ კვირა-უქმობით დილა საღამოობით მუდამ ვწვრთნიდი. ბავშვებს საქრისტიანო მოძღვრება ვასწავლე და თითქმის ყოველ დღეს ეკლესიაში ვამეორებინებდი"[17]. ამავე დროს ახალციხეში უკვე მოქმედებდა სკოლა, სადაც 70-ზე მეტი მოსწავლე იყო.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის ახალციხეში გამოცდილი, განსწავლული და თვალსაჩინო ქართველი მოძღვრები მოღვაწეობდნენ. ასეთები იყვნენ: ანტონ ფირალიშვილი, პავლე ასლანიშვილი, ფრანჩისკე შარავანთი, პეტრე ყორღანაშვილი და სხვები. მრავალრიცხოვანი კათოლიკე მრევლისათვის მოძღვართა ეს რაოდენობა არასაკმარისი იყო. მართალია, პროპაგანდის კოლეჯში მრავალი ქართველი სწავლობდა, მაგრამ ესეც სანახევროდ თუ შველოდა საქმეს. განსაკუთრებით ჭირდა ქართული ტიპიკონის კათოლიკე მოძღვრები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული დროისათვის მარტო ივლიტაში, უდეში, ვალეში, ველსა და ახალციხეში დაახლოებით 6 ათასი კათოლიკე იყო, ცხადია, ზემოხსენებული მოძღვრები, როგორც იტყვიან ზღვაში წვეთი იყო.

ასეთ ვითარებაში ანტონ ფირალიშვილმა, მრევლთან შეთანხმებით, 1764 წელს დააყენა საკითხი ქ. ახალციხეში კათოლიკური სემინარიის დაარსების შესახებ, რომლის „დამთავრების შემდეგ იქვე, ახალციხეში, შეიძლებოდა მღვდლად კურთხევა. სემინარიაც, რაღა იქმა უნდა, წმიდა ოფიჩიოს კრების შესაბამისად ორენოვანი (ლათინურ-ქართული) იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ახალციხეში სემინარია ვერ გაიხსნა, მისი გაბნნისათვის ზრუნვა ხალხს პატრებისადმი კეთილად განაწყობდა"[18].

ამ წარუმატებელი ცდის შემდეგ აღნიშნული საკითხის მოგვარების იმედი ისევ პროპაგანდაზე იქნა დამყარებული. კაპუჩინების პრე-

ფექტმა ლუიჯი პრაღელმა, რომელმაც 1766 წელს შესცვალა პატრი ლეონარდო, პროპაგანდის კოლეჯში იმავე, თუ მომდეგნო წელს გაგზავნა სამი ყმაწვილი. ამათგან ერთი იყო შემდეგში ახალციხეში ცნობილი „რეფორმატორი" — მოძღვარი გრიგოლ კრუხიჭამიაშვილი. დანარჩენი ორის ვინაობა უცნობია. ამ ორიდან ერთი ჟამის მსხვერპლი გამხდარა. მოკლედ, ანტონ ფირალიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ოსმალეთის სახელმწიფოში არ მოიპოვებოდა სხვა პროვინცია, სადაც ამდენი კათოლიკე და სარწმუნოების მხრივ ასეთი თავისუფლება იყო, როგორც აქ. მაგრამ კათოლიკეთა უმეტესი ნაწილი უმწყემსოდ იყო დატოვებული"[19]. 1767 წელს ანტონ ფირალიშვილი გარდაიცვალა. ეს დიდი დანაკარგი იყო ახალციხის მისიონისათვის. იმავე წელსვე ახალციხის მრევლმა კათოლიკე პატრის ანტონიო კაპუროს მეშვეობით სცადა, რომ პროპაგანდას პავლე ასლანიშვილი დაენიშნა „ახალციხის უფროსად კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის ხელქვეშ" და ასევე „აღესრულებინა საეპისკოპოსო სამსახური". ეს მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. მისი წინააღმდეგნი იყვნენ, როგორც ადგილობრივი ქართველი მღვდლები, ისე კაპუჩინი პატრებიც. ეს უკანასკნელნი იმიტომ ეწინააღმდეგებოდნენ მის ეპისკოპოსად დანიშვნას, რომ „უფროსობა ხელიდან არ გამოსცლოდათ"[20].

ამასობაში მისიონერებისა და ქართველი კათოლიკე მღვდლების საწინააღმდეგო მოქმედებებმა განვითარების კულმინაციას მიაღწიეს. მათი მშვიდობიანი საქმიანობა 1769 წლის ივლისში სომეხთა კათალიკოსმა სიმონმა დაარღვია. „იგი წინდაწინ მოელაპარაკა ახალციხის ნომან (მამან) ფაშას, გაარკვია თავისი უფლებები, მისცა დიდძალი ქრთამი (15 ქისა თეთრი) და 1769 წლის ივლისში ქართველ კათოლიკეთა მონასტერი ჯერ ააკლებინა შემდეგ დაალუქინა და ქართველი ხუცები დააპატიმრებინა"[21]. ამათ შორის იყო ეპისკოპოსი პავლე ასლანიშვილი. დაპატიმრებული ხუცები ფაშამ ცხენებზე ფეხგადაკრული ეჩმიაძინში სიმონ კათალიკოსს გაუგზავნა. ქართველ კათოლიკე მოძღვრებთან ერთად მაშინ დაიჭირეს ხუთი კაპუჩინი იერონიმე და ნორჩა, ვინჩენცო ანტონიო პალერმოელი, ფრედერიკო სტირიაელი, ფორტუნატო კარნიელი და ალოიზი და პრაგა, რომლებიც ახალციხიდან რვა დღის სავალზე ბარდუზის ციხეში ჩაყარეს[22]. „ხუცების დაპატიმრებიდან სამი დღის შემდეგ, ნომან ფაშას ბრძანებით, ქართველ კათოლიკეთა მონასტერი გრიგორიანული ეკლესიის

წარმომადგენელს ვართაპეტ მარტიროზას ჩააბარეს, ხოლო მათ საცხოვრებელ ოდებში საფაშო ფქვილი დაყარეს. ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებიდან თურმე მარტო ნორმან ფაშას 10 ოყამდე ოქროული და ვერცხლეული მიართვეს"[23].

ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მოსაძებნად კონსტანტინოპოლში მყოფმა მოწინავე ქართველებმა მიმართეს ლათინთა იქაურ ეპისკოპოსს. ამ უკანასკნელმა დახმარება სთხოვა საფრანგეთის კონსტანტინოპოლელ ელჩს. 1769 წლის 15 ნოემბერს კი ჰროპაგანდამ მიმართა საფრანგეთის მთავრობას თხოვნით, რომ „თავიანი ელჩის საშუალებით მოეპოვებინა სულთანისაგან პატრებისა და ძღვდლების დახსნის ბრძანება"[24]. თურქეთი, რომელიც ამ დროს რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იყო, ანგარიშს უწევდა ევროპის სახელმწიფოებთან კეთილგანწყობილების შენარჩუნებას და ამ საქმესაც მიხედა. ნომან ფაშა, რომელმაც აგრეთვე დიდი მარცხი განიცადა აწყვერსა და ასპინძასთან ბრძოლაში, 1770 წელს თანამდებობიდან გადააყენეს. მის მაგივრად დანიშნეს სულეიმან ფაშა ჯაყელი (1770—1791), რომელსაც ადგილობრივი ქრისტიანები კარგად შეხვდნენ. მან მოსვლისთანავე დაპატიმრებული მღვდლების დახსნისათვის წინდაწინ ქრთამად 12 ქისა თეთრი აიღო, დაატყვევა პატრიარქ სიმონის წარმომადგენელი მარტიროზ ვართაპეტი და სიკვდილისა და მათი ეკლესიების აკლების მუქარით ქართველი კათოლიკე მღვდლები და ლათინი პატრები უკან დააბრუნებინა[25].

ამ კერძო ხასიათის შემთხვევიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, კათოლიკობის შესანარჩუნებლად თუ რა შიშისა და ტანჯვის გადატანა უხდებოდათ სამცხის ქართველებს. იგი მუდამ ხდებოდა ვაებისა და მწუხარების მიზეზი, მაგრამ ქართველობა მას არ თმობდა, რადგან აქ ქრისტიანობის შენარჩუნება მხოლოდ კათოლიკობით იყო შესაძლებელი. სამცხელი პატრიოტებისათვის კი ეს ქართველობის ტოლფასი კატეგორია იყო.

ტყვეობიდან დაბრუნებული კაპუჩინელი პატრები და ქართველი მღვდლები ისევ შეუდგნენ შეწყვეტილი მუშაობის განახლებას. ლათინმა მამებმა ფხიზლად შეაფასეს სიტუაცია და ძალზე ფრთხილად დაიწყეს მოქმედება, რადგან არ სურდათ გამოეწვიათ უნიატ ბერთა გულისწყრომა. მათი ასეთი ცდა ჭეშმარიტი მიზნების ღრმა შეგნებით აიხსნებოდა. თუმცა ამას მოვლენების საბოლოო შედეგებზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. ჩანს, მუდმივი ქიშპობისა და დევნის ატ-

მოსფეროს გაერიდა კათოლიკობის ერთგული მსახური ეპისკოპოსი პავლე ასლანიშვილი და მღვდელი სტეფანე ავთანდილაშვილი. 1772 წელს ისინი რომში წავიდნენ და იქ დაიწყეს მოღვაწეობა. პავლე ასლანიშვილს პროპაგანდამ „სომხის ტიპიკონის მოსწავლე მღვდლების კურთხევა მიანდო"[26]. იგი 12 წელი მოღვაწეობდა რომში და 1784 წლის 2 ნოემბერს იქვე გარდაიცვალა. პროპაგანდამ მის ადგილზე დანიშნა სტეფანე ავთანდილაშვილი და „თბილისის არქიეპისკოპოსის ტიტული მისცა"[27].

70-იანი წლებიდან ახალციხის მისიონში შედარებით სიმშვიდემ დადგა. ამას უმთავრესად განაპირობებდა სულეიმან ფაშას პოზიცია, რომელიც კათოლიკეებს მფარველობას უწევდა. ქართველი კათოლიკე მოძღვრები კი კარგად გრძნობდნენ, რომ ეს მოჩვენებითი და დროებითი სიმშვიდე ვერ უზრუნველყოფდა სასურველი შედეგების მიღებას. ამიტომ ისინი ცდილობდნენ, რომ პროპაგანდის მეშვეობით თურქეთის მთავრობისაგან მიეღოთ ფირმანი, რომელიც ყრუ კედლად აღიმართებოდა სომეხთა დევნის წინააღმდეგ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ასეთი ფირმანის მიღება შეუძლებელი გახდა, მაგრამ ამ წარუმატებლობამ ქართველ კათოლიკეებს სიმხნევე ვერ წაართვა.

ამრიგად, შექმნილი ვითარების შესაბამისად ქართველი კათოლიკე მოძღვრები და კაპუჩინი პატრები განაგრძობდნენ მრევლის მოვლას. ამ უკანასკნელთა უფროსად 1771 წელს დაინიშნა პატრი დომინიკე ტრიესტელი. ახალციხის ვიკარად კი ეპისკოპოსმა პავლე ასლანიშვილმა 1772 წელს რომში გამგზავრების წინ დატოვა ივანე ჯიგანაშვილი.

ამავე ხანებში, ეფიქრობთ, 1775 წელს, ახალციხეში რომიდან დაბრუნდა მეტად საინტერესო კათოლიკე მოღვაწე გრიგოლ მაქანდარაშვილი. როგორც სათანადო ადგილას აღვნიშნეთ გრიგოლი სწავლობდა პროპაგანდის კოლეჯში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. ახალციხეში დაბრუნების შემდეგ იგი მხარის პროვიკარად დანიშნეს. გრიგოლმა, როგორც გონიერმა და წინდახედულმა ადამიანმა ალღო აუღო ახალციხის კათოლიკეთა ეკლესიებში არსებულ ხულისკვეთებას და პროპაგანდას მოსთხოვა გამოეგზავნა ქართულ ენაზე დაბეჭდილი საქრისტიანო მოძღვრება. პროპაგანდამ მას 50 ეგზემპლიარი უმალვე მიაწოდა და თან მოსწერა: „მაშ განაგრძეთ ეგ

თქვენი სასარგებლო მოღვაწეობა თქვენი ტომის ერის სასარგებლოდ"[28].

გრიგოლ მაქანდარაშვილმა გაითვალისწინა ახალციხის სამღვდელოების წარსული გამოცდილება და 1776 წელს წერილობით კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს როვასტრელს (Rovastrelli) სთხოვა, რომ ნება დაერთო ეკლესიებში ორენოვანი (სომხურ-ქართული) მღვდელმსახურებისა. „ზოგიერთმა ჩვენმა მღვდლებმა, — წერდა იგი როვასტრელს, — თავიანთი ნებით ჩვეულებად შემოიღეს ხმოან წირვაზე სახარების წაკითხვა სომხური და ქართული ენით" და ამბობენ, რომ ქართული სახარება განმარტებაა მრევლისათვის გაუგებარი სომხური სახარებისა[29]. ეპისკოპოსმა ეს საკითხი დამოუკიდებლად ვერ გადაჭრა და იგი პროპაგანდას გადაუგზავნა განსახილველად.

ინკვიზიციის კარდინალებმა კრებაზე ეს საკითხი უმალვე დადებითად გადაწყვიტეს და პროპაგანდამ პასუხი ახალციხეში გრიგოლ მაქანდარაშვილს დაუყოვნებლივ გაუგზავნა. ამგვარად, 1776 წელს რომმა ახალციხის სომხურ ტიპიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეებს წმიდა კოლეგიის 1757 წლის კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ნება დართო, რომ ეკლესიებში მღვდელმსახურება სომხურ და ქართულ ენაზე ეწარმოებინა. როგორც ირკვევა ეს საკითხი 1784 წელს ისევ დასმულა წმიდა კოლეგიის კრებაზე კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის მიერ. ამის მიზეზი იყო ის, რომ „ზოგიერთნი რომში კვლავ ჩიოდნენ ტიპიკონის თაობაზე და კათოლიკე ეკლესიებიდან ქართული ენის სრულ გამოდევნას მოითხოვდნენ"[30]. ამჯერადაც ინკვიზიციის კარდინალებმა, როგორც 1776 წელს, საკითხი ქართველ კათოლიკეთა სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

ამ საკითხზე მკითხველის უკეთ გარკვევის მიზნით, მივმართავთ წინა ისტორიულ ამბებს. ცნობილია, რომ XVII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში შემოსული თეატინელები და შემდეგ კაპუცინებიც ეკლესიაში ორენოვან (ლათინურ-ქართული) მღვდელმსახურებას ეწეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მესხეთში მოსულმა ნახჭევანელმა უნიატებმა არ იცოდა ქართული ენა და რიტუალებს მხოლოდ ძველ სომხურ ენაზე (გრაბარი) ასრულებდა, მრევლი მას ხმოანი წირვის დროს მაინც ქართულად პასუხობდა და ქართულადვე გალობდა. ამის გამო 1755 წელს უნიატებმა რომში იჩივლეს — „როგორ იქნებაო, რომ ტიპიკონის ენაზეთ (ლათინურ-სომხური) წირვა-ლოცვა არ მიდისო და აქაური მღვდლები ნებადაურთველის ენით (ქარ-

თული) ქადაგებენო და სახარებასაც თავიანთ ენაზედ კითხულობენო"[31].

ასეთი საჩივრები, როგორც ჩანს, რომისათვის ახალი არ იყო. ამიტომ საკითხი, შეიძლებოდა თუ არა საქართველოს მისიონში ორენოვანი რიტუალის შემოღება, საბოლოო გადასაწყვეტად წმიდა კოლეგიის კრებაზე გაიტანეს. საკითხის საფუძვლიანი შესწავლისა და განხილვის შედეგი იყო ის, რომ 1757 წელს რომის კვირინალის პალატაში შემდგარმა კრებამ ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში ორენოვანი რიტუალი ოფიციალურად დააკანონა. კრებაზე ინკვიზიციის კარდინალებმა დაადგინეს, რომ სამოციქულოსა და სახარების ლათინურად წაკითხვის შემდეგ იგივე ტექსტი უნდა წაკითხულიყო ქართულად და გალობებიც ქართულად უნდა თქმულიყო. ეს ფაქტიურად ქართული რიტის შემოღებას ნიშნავდა. წმიდა კოლეგიის დადგენილებას მტკიცედ ასრულებდა აგრეთვე კაპუჩინების მონასტერი ახალციხეში. ასეთი ვითარება საფაშოს სხვა კათოლიკურ ეკლესიებში რიტის თაობაზე საკითხს უფრო ამწვავებდა, მრეველი მღვდელმსახურების შესრულებას ქართულად მოითხოვდა. ზოგიერთი სომხურ რიტზე მდგარი ქართველი კათოლიკე მოძღვარი გრაბარზე წაკითხულ ლოცვანს თვითნებურად ქართულადაც იმეორებდა და ქადაგებას მხოლოდ ამ უკანასკნელით ატარებდა[32]. სწორედ ამის საფუძველზე მოითხოვდა ზემოხსენებული გრიგოლ მაქანდარაშვილი მღვდელმსახურების წარმოებას ორ ენაზე.

გრიგოლ მაქანდარაშვილი მტკიცედ განაგრძობდა სულიერ სამსახურს. მალე მას მხარში ამოუდგა მისი მეგობარი გრიგოლ კრუხიჭამიაშვილი (ხურსიძე), რომელიც 1766—1767 წლებში იქნა გაგზავნილი პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად. იგი წარჩინებული მოწაფე იყო, მაგრამ გულით ავადმყოფობის გამო სწავლის დამთავრება ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, ის რომშიეე აკურთხეს მღვდლად, ხოლო კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა გრიგოლი თავის ვიკარად დანიშნა ახალციხეში.

მართალია, გრიგოლ კრუხიჭამიაშვილს არ ჰქონდა სასულიერო მოღვაწეობის დიდი გამოცდილება, მაგრამ მან ენერგიულად მოკიდა ხელი საქმიანობას. პირველ რიგში გრიგოლმა გადააყენა უმეცარი მღვდლები, რომლებიც დიდი ხანი ატარებდნენ მოძღვართა ცხოვრების ტვირთს. ეს, ცხადია, მას კეთილისმყოფელთ ვერ შესძენდა. ამას თან დაემატა გრიგოლ მაქანდარაშვილის მიმართ მისი უმართებულო

მოქმედება. ჩანს, მან ვერ გამოიჩინა საქმისათვის საჭირო უნარი და კეთილშობილება. მიხეილ თამარაშვილის თანახმად, გრიგოლ კრუხიჭამიაშვილმა „უკანონოდ და თვითნებურად“ შეაჩვენა გრიგოლ მაქანდარაშვილი. ამ უკანასკნელის მომხრე მღვდლებსაც არ ასცდათ შეჩვენება. ესენი იყვნენ: ივანე ხოჯაშვილი, ივანე გარსევანიშვილი, იოსებ ორთავაშვილი, ივანე მელიტონაშვილი და ფრანჩისკე შარავანთი.

გრიგოლ კრუხიჭამიაშვილის ასეთმა მოქმედებამ ახალციხის კათოლიკე მოძღვრები და ეკლესია ორად გაყო. ერთ ნაწილს სათავეში ედგა გრიგოლი, რომელიც ერთი სომეხი მღვდლისა და ორი უმეცარი კაპუჩინის გავლენას განიცდიდა, მეორე ფრთას სათავეში ჩაუდგა განათლებული, მრავალი უცხო ენის მცოდნე (ლათინური, ფრანგული, იტალიური, თურქული, სომხური) ენერგიული და დაუდეგარი იოანე ხუცესი (ხოჯაშვილი). კონსტანტინოპოლის ლათინთა ეპისკოპოსი უძლური გამოდგა მოესპო ეს განხეთქილება ქართველ კათოლიკეებში. საკითხი რომში წმიდა კრებამ განიხილა, რომელმაც ურჩია იოანეს ახალციხიდან კონსტანტინოპოლში გადასულიყო და მოეჭლო იქაური ქართველი კათოლიკეებისათვის. იოანე ამ გადაწყვეტილებას არ დათანხმდა[33] და 1767 წლის 23 მაისს იგი ქუთაისში ქართველ კათოლიკეთა მონასტერში დადგა. 1777 წელს იგი მამისეულ კერას დაუბრუნდა. ახალციხეში მისთვის სამწყსოდ გადაუციათ არტაანის მხარის სოფ. ველის კათოლიკე მრეველი. 1800 წელს იოანე ხუცესი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ვიკარად და უფროსად დაამტკიცა. ეს თანამდებობა მას გარდაცვალებამდე (1809 წ.) ეკავა[34].

ერთი სიტყვით, გრიგოლ კრუხიჭამიაშვილს ავადმყოფობამ თუ წერვიულობამ კეთილშობილება დააკარგვინა. პატივმოყვარეობამ შურისძიების სურვილი გაუორკეცა. შ. ლომსაძის ვარაუდით, „შესაძლებელია გრიგოლ კრუხიჭამიაშვილის მიერ მოხდენილი „რეფორმების“ არსი ისევ და ისევ ტიპიკონის გარშემო ატეხილი დავიდან მომდინარეობს“[35]. ასევე ფიქრობს მიხეილ თამარაშვილიც[36]. ასეა თუ ისე, მისი მოღვაწეობა საბოლოოდ უარყოფითად უნდა შეფასდეს. გრიგოლ კრუხიჭამიაშვილის საქმიანობამ ლოგიკური დასასრული ჰპოვა იმაში, რომ 1784 წელს იგი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა პროვიკარობიდან გადააყენა. სამი წლის შემდეგ გრიგოლი გარდაიცვალა.

ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსომ გრ. კრუხიჭამიაშვილის მაგივრად პროპაგანდას სთხოვა, რომ დაენიშნა ანტონ (ლევან) ხუციშვილი. მან 1784 წელს დაამთავრა პროპაგანდის კოლეჯი და იმჟამად კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. კარდინალთა კოლეგიამ ანტონ ხუციშვილის კანდიდატურა აღნიშნულ თანამდებობაზე არ მიიღო. მ. თამარაშვილი ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ „პროპაგანდის კოლეჯში სწავლის დროს მისთვის სიამაყე შეემჩნიათ და უფრო მეტად სამოქალაქო დისციპლინებით გატაცება"[37]. ჩვენი მოსაზრებით, ანტონ ხუციშვილის კანდიდატურაზე უარის თქმა უმთავრესად განაპირობა იმან, რომ ის, როგორც პროპაგანდის კოლეჯდამთავრებული, ფიციისამებრ არ წამოვიდა საქართველოში. როგორც ვიცით, პროპაგანდის კოლეჯის მოსწავლე სწავლის დამთავრებისა და მღვდლად კურთხევის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში და ეშრომა თანამოძმეთა სულიერი „საჭიროებისათვის კანონიერი უფროსის განკარგულების ქვეშ"[38].

ანტონ ხუციშვილის შესახებ აქვე უნდა ითქვას შემდეგიც: როგორც ირკვევა, იგი ძალზე განათლებული და მოხერხებული ადამიანი იყო. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინოპოლში აკრედიტებულ ნეაპოლისა და ვენეციის ელჩებთან. მათკენ მიმავალი გზის კარი მას გაუღო ლათინური და ფრანგული ენების ჩინებულმა ცოდნამ. იგი კონსტანტინოპოლში ნეაპოლისა და ვენეციის ელჩის შვილებს ლათინურსა და ფრანგულ ენებს ასწავლიდა. „საქმე იქამდე მისულა, რომ ელჩებს რომისათვის უთხოვიათ ანტონ მღვდელის საშუდამოდ ფიციისაგან განთავისუფლება, რადგან აღარ წასულიყო ახალციხეში და იქვე დარჩენილიყო"[39]. იგი კონსტანტინოპოლში დარჩა სიკვდილამდე.

კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსომ განიხილა შექმნილი მდგომარეობა და ახალციხის პროვიკარად კვლავ დანიშნა გრიგოლ მაქანდარაშვილი. მიუხედავად განსწავლულობისა, კერძოდ საერო დისციპლინებში, მან მრევლში ვერ დაიმკვიდრა მაღალი ავტორიტეტი. ამაში მოწინააღმდეგე ძალების ხელიც ერია. მის წინააღმდეგ ძალზე აქტიურად მოქმედებდა მღვდელი ანტონ ქაჩხოშვილი, რომელმაც „დიდი მტრობა დაუწყო და ხალხიც გადაუბირა, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ბევრი ცილისწამება მისწერა და ყალბი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული წერილები გაუგზავნა"[40]. ამის მიზეზებს ჩვენ წყაროებში ვერ ვპოულობთ. სავარაუდებელია, ისევ შურმა იმძლავრა,

რომელიც ყოველთვის ვნებს კეთილ საქმეს. შედეგი?: 1794 წლის 5 ივლისს პროპაგანდამ გრიგოლ მაქანდარაშვილი გადააყენა თანამდებობიდან და კონსტანტინოპოლში ქართველთა სავანეში გაამწესა.

იმავე წლის 13 დეკემბერს პროპაგანდამ ახალციხის პროვიკარად დანიშნა კაპუჩინების უფროსი პატრი ანდრია პალერმოელი, რომელიც სამი წელი იყო ამ თანამდებობაზე. მან საქმისადმი შესაფერისი უნარით შეძლო მდგომარეობისათვის სასურველი მიმართულება მიეცა, მაგრამ ახალციხის მრევლს გრიგოლ მაქანდარაშვილისადმი უფრო მეტი ნდობა ჰქონდა. ამიტომ ახალციხის სასულიერო და გამოჩენილმა საერო პირებმა პროპაგანდის კარდინალს 1796 წლის 10 მაისს მისწერეს წერილი, რომელშიც ასაბუთებდნენ გრ. მაქანდარაშვილის უდანაშაულობას და ითხოვდნენ მის წინანდელ თანამდებობაზე დაბრუნებას.

პროპაგანდამ ამ წერილის საფუძველზე შეცვალა თავისი უწინდელი პოზიცია და გრიგოლ მაქანდარაშვილი გაამართლა. პროპაგანდის ხელმძღვანელობამ უბრძანა კონსტანტინოპოლის ვიკარიუსს გვილელმო მარკიზს, რომ ახალციხის პროვიკარის ადგილზე ისევ დაებრუნებინათ გრ. მაქანდარაშვილი. ეს გადაწყვეტილება მას 1797 წლის 8 აპრილს ეუწყა წერილობით.

პროპაგანდა ფიდეს გადაწყვეტილება კონსტანტინოპოლის ვიკარიუსმა ძალზე ფრთხილად მიიღო და საბოლოოდ უარი თქვა მის სრულებაზე. ისმება კითხვა: რატომ იყო კონსტანტინოპოლის ლათინთა ვიკარიუსი გრიგოლ მაქანდარაშვილის შეურიგებელი მოწინააღმდეგე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მოკლედ აღვნიშნავთ: 1795-სა, თუ მომდევნო წელს, ყოველ შემთხვევაში 1798 წლის ბოლოს, გრიგოლ მაქანდარაშვილის გარდაცვალებამდე, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა პროპაგანდის კოლეჯდამთავრებული სომხური ტაპიკონზე მდგარი ახალციხელი ქართველი კათოლიკე პაველ შაჰყულიანი. კარიერის მაძიებელმა ამ პიროვნებამ, ალბათ, შეძლო კონსტანტინოპოლის ვიკარიუსის მიმხრობა, რომელმაც თავის მხრივ პავლე მისი ინტერესების დამცველად მიიჩნია. ჩანს, ამის გამო, კონსტანტინოპოლის ვიკარიუსისათვის მიუღებელი გახდა ქართული რიტისათვის თავდადებული მებრძოლი გრიგოლ მაქანდარაშვილი. ვიკარიუსს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მხარი დაეჭირა შაჰყულიანისათვის და ამიტომ მან პროპაგანდის 1798 წლის 18 აპრილს განმეორებული ბრძანება, რომ მაქანდარაშვილი დაუყოვნებლივ დაებ-

რუნებინა ახალციხეში, ყურად არ იღო. ასე რომ, პროპაგანდის ბრძანება უშედეგო გამოდგა. სულ მალე გრ. მაქანდარაშვილმა კონსტანტინოპოლის ცის ქვეშ დალია სული.

- ამასობაში ახალციხეში ჩამოვიდა პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი). ამ პიროვნებამ 56 წლის განმავლობაში, როგორც დადებითი ისე უარყოფითი როლი შეასრულა ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში. ამიტომ მისი მოღვაწეობის შესახებ პროფ. შ. ლომსაძის ნაშრომზე (გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბილისი, 1979, გვ. 110—118) დაყრდნობით მკითხველებს მივაწვდით სათანადო ადგილებში, ამჯერად კი აღვნიშნავთ:

- პავლე ჭილიმუზაშვილი დაიბადა 1769 წელს ახალციხის რაბათში, შეძლებული ვაჭრის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მან მიიღო ახალციხეშივე იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მღვდელ ივანე აბაზაძის ხელმძღვანელობით. შემდეგ იგი სწავლის გასაგრძელებლად წაიყვანეს კონსტანტინოპოლში, სადაც მიაბარეს იქაურ სომხურ სასულიერო სასწავლებელში. აქ მან საკმაოდ კარგად შეისწავლა ძველი და ახალი სომხური ენა. 1784 წელს კონსტანტინოპოლის სომხური სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ვატიკანის მოთხოვნით სწავლის გასაგრძელებლად გადაიყვანეს პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში, სადაც 1788 წლის 15 აგვისტოს ფიცი მისცა. აქ მან თავი გამოიჩინა სწავლით. 1795 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი, რის შემდეგაც კონსტანტინოპოლის სომეხ კათოლიკეთა საეპისკოპოსოსათვის მიუკითხავს და სამცხეში განწესებას დალოდებია[41].

პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი) თავის დროის კვალობაზე უაღრესად განათლებულ და მომზიბველ პიროვნებად იყო მიჩნეული. ევროპული და აღმოსავლური ენების ზედმიწევნით ცოდნა მას საშუალებას აძლევდა ყველგან სასურველი ურთიერთობა დაემყარებინა. თავისი ცოდნით იგი ყველასგან პატივისცემას იმსახურებდა. კარგად იცოდა ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ითვლებოდა თავისი დროის დიდ თეოლოგად, იყო აღიარებული მჭევრმეტყველი, მთარგმნელი. პირადი ნაცნობობა ჰქონდა არა მარტო ახალციხის, არამედ არზრუმ-ტრაპიზონის ფაშებსა და სულთანის კარის მოხელეებთანაც[42].

1798 წელს კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსომ პავლე შაჰყუ-

ლიანი ახალციხის პროვიკარად დანიშნა. მომდევნო წლის შუა რიცხვებში იგი სპეციალურად თბილისში ჩამოვიდა, გიორგი XII-ს ეწვია, ერეკლეს გარდაცვალების გამო მიუტირა და სამძიმარი მოახსენა, მერე გიორგის ტახტზე ასვლა მიულოცა და ერთგული სამსახური აღუთქვა[43]. მ. თამარაშვილი პავლე შაჰყულიანის მიზნის შესახებ არგუმენტირებულად დაასკვნის, რომ მას უნდოდა „ხელში ჩაეგდო" მთელი საქართველოს კათოლიკეთა სულიერი უფროსობა და თავისი თავი ეპისკოპოსად დაენიშვნინებინა. იმის შესახებ, თუ რამდენად იყო საქართველოში ეპისკოპოსი საჭირო, პროპაგანდას არა ერთხელ მისწერა"[44]. პროპაგანდას ასევე აღუწერდა, თუ „აქაურ ეპისკოპოსად როგორი ღირსების პირი უნდა დანიშნულიყო, რომ ის უნდა ყოფილიყო შეძლებული და გავლენიანი ოჯახის შვილი, აუცილებლად ადგილობრივი, სწავლა მიღებული უნდა ჰქონოდა პროპაგანდის კოლეჯში, უნდა სჭეროდა სომხურენოვანი ტიპიკონი, ამავე დროს უნდა სცოდნოდა ადგილობრივი ენები, პირველ რიგში ქართული ენა და სხვა. ერთი სიტყვით, მომავალი ეპისკოპოსი ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო პირადად მისი პიროვნება. ამ გზით შაჰყულიანმა მრავალი სომეხ კათოლიკეთა მხარდაჭერა მოიპოვა, სამაგიეროდ ამისათვის თანდათან განუდგნენ მას ქართველი კათოლიკე მღვდლები"[45].

ჩვენ ამით, არ ვამთავრებთ პავლე შაჰყულიანის მოღვაწეობაზე საუბარს. მის შესახებ მომდევნო თავში შესაბამის მოვლენებთან კავშირში ვრცლად გვექნება საუბარი, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს მთლიანობაში აღიქვას ამ პიროვნების საქმიანობა.

თ ა ვ ი V. კათოლიკობის გზა საქართველოში XIX–XX საუკუნეებში

§ 1. კათოლიკობის ბედი საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

XIX საუკუნის დასაწყისმა ერთგვარი შვება მოჰგვარა კათოლიკე პატრებს. როგორც სათანადო ადგილას აღვნიშნეთ (თავი IV, § 1), 1795 წლის შემდეგ კაპუჩინებს არ ჰქონდათ საკუთარი ეკლესია და სახლი. შექმნილ ვითარებაში მათ გამოსავალი იმაში ჰპოვეს, რომ წელიწადში 100 პიასტრად დაიქირავეს სახლი, სადაც გამართეს ეკლესიაც. ეს მხოლოდ დროებითი საშუალება იყო. ამიტომ კაპუჩინთა მისიონის პრეფექტმა ფრანჩესკო პადუელმა 1797 წელს რომის საასულიერო მესვეურებს თხოვა, რომ გაეწიათ შუამდგომლობა რუსეთის მთავრობასთან თბილისსა და გორში მათი ეკლესიისა და სახლის დაბრუნების თაობაზე. ამ მხრივ პატრებს რუსეთის მთავრობის იმედი ჰქონდათ. ასეთ განწყობას ერთი შეხედვით ჰქონდა საფუძველი, რადგან საქართველოს რუსეთთან შეერთების 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, ყველა სარწმუნოებას ხელშეუხებლობის გარანტია ეძლეოდა[1]. ამან გააცხარა კათოლიკე მამები და გულმოდგინედ განაახლეს საქმიანობა.

კაპუჩინთა პრეფექტის ფრანჩესკო პადუელის თხოვნას რომში ყურადღებით მოეკიდნენ. რეალური გამოსავალი მონახული იქნა. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით რუსეთთან საშუამავლო ვატიკანმა ავსტრიის მთავრობას მიმართა. ამ საქმეში აქტიურად ჩაება ავსტრიაში პაპის ნუნციო რუფო, რომელმაც წარმატებით შეძლო საქმის დაგვირგვინება. რუსეთის კარზე რომის პაპის რწმუნებულმა ბენვენუტომ იმპერატორ ალექსანდრე I-ს (1801–1825) სთხოვა აღნიშნულ საქმეში დახმარება. იმპერატორის ბრძანებით ვიცე-კანცლერი ალექსანდრე კურაკინი საქართველო-იმიერკავკასიის მთავარმართებელ გენერალ კნორინგს 1801 წლის 22 ნოემბერს წერდა, რომ

საქმის ინტერესებიდან გამომდინარე ეზრუნა კათოლიკეებისათვის წართმეული ეკლესიებისა და სახლების დაბრუნებისათვის. ამასთანავე გენერალს სთხოვდა ეუწყებინა მისთვის, თუ რამდენი კათოლიკე იყო საქართველოში, რომელი წოდების წარმომადგენლები იყვნენ კათოლიკეები და რა მიზნით არიან ამ მხარეში მისიონერები დამკვიდრებულნი[2]. 1802 წლის 27 თებერვალს ალ. კურაკინმა განმეორებით სთხოვა გენერალ კნორინგს დაებრუნებინათ პატრებისათვის თბილისისა და გორის ეკლესია[3].

წყაროების მიხედვით, საქართველოს კათალიკოსი და სხვა წარჩინებული სასულიერო პირები იმ მოტივით, რომ კათოლიკეთა თბილისისა და გორის ეკლესია უკვე დიდი ხანია მართლმადიდებელ მორწმუნეთა ხელში იყო, შეუძლებლად მიიჩნევდნენ პატრებისათვის ისევ უკან მათ გადაცემას. თუმცა იქვე აღიარებდნენ, რომ კათოლიკეებს ჰქონდათ ახალი ეკლესიის აშენების უფლება[4]. რუსეთის ხელისუფალნი დააკმაყოფილა ამ ახსნამ და დათანხმდნენ საკითხის ამგვარ გადაწყვეტას.

აღნიშნულთან დაკავშირებით 1802 წლის 7 იანვარს ფრანჩესკო პადუელი ერთ-ერთ კარდინალს რომში შემდეგს წერდა: „ქართველებს რუსი იმპერატორისათვის საჩუქრად გაუგზავნიათ ორი ათასი პიასტრი, რათა ეკლესიები არ დაგვიბრუნონ“-ო[5]. ამგვარად, ვიცეგანცლერმა კურაკინმა ქართველ სასულიერო პირთა და გენერალ კნორინგის არგუმენტი სწორად ჩათვალა და გადაწყდა, ხსენებული ეკლესიების სტატუსი არ შეცვლილიყო. ჩვენი აზრით, რამდენადაც რუსეთის ხელისუფლება მხარს არ უჭერდა კათოლიკე მისიონერებს თავის ქვეყანაში, არც საქართველოში შეეგუებოდა მათ საქმიანობას, მაგრამ პატრების წინააღმდეგ გადამწყვეტი პოლიტიკის გატარება შაინც დროის საკითხი იყო და ამიტომ თავდაპირველად ამ საქმეში გადაჭრით არ მოქმედებდნენ.

კნორინგის მმართველობის პერიოდში კათოლიკე მისიონერებს აშკარად ანიშნეს, რომ მათი სარბიელი საქართველოში ამიერიდან იკვეცებოდა. ამას კონკრეტული დასაბამი მისცა 1802 წელმა. საქმე ისაა, რომ ამ წელს თბილისში ჩამოვიდა კაპუჩინი ექიმი-მისიონერი იოანე კარლო. მისიონის პრეფექტს ეგონა, რომ ექიმის ჩამოსვლა ესიამოვნებოდა გენერალ კნორინგს, რადგან ამ პროფესიის ადამიანები იმ დროს ცოტანი იყვნენ საქართველოში, და ამიტომ მოახსენა შას ამის თაობაზე. გაგულისებულმა კნორინგმა არაორაზროვნად გა-

ნუცხადა ფრანჩესკო პადუელს, რომ „ამიერიდან აღარ შეიძლება ევროპიდან მისიონერების შემოსვლაო“[6]. უფრო მეტიც; როდესაც ხსენებულმა პრეფექტმა მას მოახსენა, რომ ცხინვალში 30 კათოლიკეა და საჭიროა მათთვის ეკლესია აშენდესო, მთავარმართველმა პატრს არათავაზიანად უპასუხა: „თქვენ ეკლესიის აშენებაზე ფიქრობთ, მაშინ როდესაც აქედან ყველანი უნდა წახვიდეთო“[7].

ცხადია, ყოველივე ეს მისიონერებს პესიმისტურად განაწყობდა და მათ საქმიანობას საქართველოში უპერსპექტივოდ სახავდა. აკი გულგატეხილი პრეფექტი ფრანჩესკო პადუელი რომს ატყობინებდა: „ღვთის სიყვარულისათვის დამიბარეთ რომში, რათა გავშორდე აქაურობას. ნუღარ იზრუნებთ აქ ახალი უფროსის დანიშვნაზე, რადგან, როგორც მესმის, აქ ჩვენთვის ყველაფერი გათავდა“[8]. ასეთ განწყობას განაპირობებდა ისიც, რომ 1784 წლიდან მოგილევის ლათინთა ეპისკოპოსი საქართველოს მისიონის დაქვემდებარებას ცდილობდა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, აღნიშნული მიმართულებით მოგილევის ეპისკოპოსი უფრო ენერგიულად მოქმედებდა. ეს გარემოებაც საკმაოდ ამწვავებდა კაპუჩინთა ყოფნას საქართველოში.

მიუხედავად ამისა, კათოლიკე მისიონერები მაინც განაგრძობდნენ საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში. მათ იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა გენერალ პავლე ციციანოვის (ციციშვილის 1802—1806 წწ.) მმართველობამ, როგორც ირკვევა, პავლე ციციანოვი, ცხადია, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, დიდად ზრუნავდა მისიონერებზე. ამან პატრები წააგულიანა, რომ ციციანოვისათვის ეთხოვათ, ხსენებული ეკლესიების დაბრუნების თაობაზე. ამ საკითხის დადებითად გადაჭრა გენერალს შეუძლებლად მიაჩნდა. სამაგიეროდ, 1803 წლის 12 ივნისს რუსეთის იმპერატორს აუწყებდა, რომ მისიონერებისათვის თბილისში ხაზინიდან ეჩუქებინათ ერთი ადგილი, სადაც ააგებდნენ ეკლესიას. ამისათვის 6 ათასი მანეთის შემწეობა აღმოეჩინათ. მისი აზრით, ამ გზით შესაძლებელი იყო საქართველოს ეპარქიის მოგილევის კონსისტორიისადმი დამორჩილება. ამასთანავე მას მიაჩნდა, რომ ამ გადაწყვეტილებას წინ არ აღუდგებოდნენ კათოლიკე პატრები[9]. ცხადია, ამ საშუალებით გზა გადაეკეტებოდა ევროპიდან საქართველოში მისიონერების შემოსვლას, რითაც დასავლეთთან დამაკავშირებელი ეს ძაფიც საბოლოოდ გაწყდებოდა.

ეს პროცესი თანდათანობით ვითარდებოდა. მის საბოლოო შედე-

გამდე კი, 1804 წელს კაპუჩინთა პრეფექტმა ფრანჩესკო პადუელმა პავლე ციციანოვის დახმარებით 6 ათასი მანეთი მიიღო ეკლესიის ასაგებად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვით ციციანოვს შეუდგენია ამ ეკლესიის გეგმა. როგორც ჩანს, აღნიშნული თანხა სანახევროდაც არ ყოფნიდა ეკლესიის ასაშენებელ ხარჯებს. ამიტომ პატრებმა დახმარება პროპაგანდას სთხოვეს, რომელმაც თავის მხრივ ავსტრიის მთავრობას მიმართა შემწეობისათვის. ამ უკანასკნელმა აღნიშნული საქმისათვის 1282 პიასტრი გაიღო. 1808 წლისათვის კათოლიკეთა ეკლესია თბილისში უკვე აშენებული იყო.

ამასობაში რუსეთის მთავრობა ცდილობდა, რომ საქართველოს ეპარქია დაექვემდებარებინა რუსეთში ლათინთა მიტროპოლიტისათვის. იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1804 წლის 10 აგვისტოს ბრძანების თანახმად რუსეთში ლათინთა მიტროპოლიტს სესტრენცევიჩს დ:ევალა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ყველა მხარის „რომაული აღმსარებლობის სამღვდელოება მიეღო თავისი ზედამხედველობის ქვეშ"[10]. ამის შესაბამისად 1805 წლის 29 იანვარს პავლე ციციანოვმა საქართველოში კაპუჩინთა პრეფექტს ფრანჩესკო პადუელს აუწყა, რომ „რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის ყველა სასულიერო პირი დამორჩილებოდა რუსეთის ლათინთა მიტროპოლიტს სესტრენცევიჩს ან მოგილევის კონსისტორიას". აქვე აფრთხილებდა, რომ ამიერიდან კავშირი არ ჰქონოდათ რომის სასულიერო ხელმძღვანელობასთან[11]. პასუხად ციციანოვს ფრანჩესკო პადუელი აუწყებდა, „...რომ მას პროპაგანდის ბრძანების გარეშე არ შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა"[12].

XIX საუკუნის დასაწყისში კაპუჩინ მისიონერებს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შედარებით უკეთესი პირობები შეექმნა იმერეთის სამეფოში, კერძოდ ქუთაისში. პატრებს აქ მფარველობას უწევდა იმერეთის მეფე სოლომონ II (1789—1810). მათ ქუთაისში ჰქონდათ ხის ეკლესია და მეფის სიგელით დამტკიცებული მიწა. იმერეთის მეფის მისიონერებისადმი მფარველობის მიზანი ნათლად ჩანს მის მიერ კარდინალ ბორჯიასადმი მიწერილ წერილში. სოლომონ II ადრესატს მისიონერ-ექიმ ნიკოლა და რუტილიანოს ქუთაისიდან რომში დაბრუნების მოთხოვნის პასუხად წერდა: „ნიკოლას კვლავ მოუვიდა ბრძანება რომში დაბრუნებისა; თუმცა მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წამოსვლა და ჩვენი დატოვება, მაგრამ ავუკრძალეთ წასვლა. ვინაიდან მუდამ ექიმებად თქვენი გაშოგზავნილი პატრები

გვყავდა, თქვენმა უმაღლესობამ კეთილი ინებოს და ჩვენი სიყვარულისათვის პატრი ნიკოლას ნება მისცეს დარჩეს ჩვენთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით არ დავიჭერთ, გამოგიგზავნით, მაგრამ შემდეგში კი არც ერთ პატრს არ დავაყენებთ აქ. ყველანი იძულებული გახდებიან აქედან წავიდნენ, თუ ჩვენი პატივისათვის მისი აქ დატოვება არ ინებეთ"[13].

პროპაგანდა ფიდეს სასიამოვნოდ დაურჩა მეფე სოლომონ II-ის წერილი და დაუყოვნებლივ პასუხიც აახლო. პროპაგანდა სიხარულით აკმაყოფილებდა მეფის თხოვნას და იუწყებოდა: „თუკი როდისმე შემთხვევამ მოიტანა, რომ თბილისში, გორსა და საქართველოს სხვა ადგილებში მყოფი კაპუჩინები რაიმე მიზეზის გამო იძულებულნი გახდნენ დატოვონ ის ადგილები, ასეთ შემთხვევაში ვევედრები თქვენი ხელმწიფების გულმოწყალებას, რომ კეთილი ინებოთ და მიიღოთ ისინი თქვენს სამეფოში მშვიდად და დაიფაროთ ყოველნაირი უსამართლობისაგან"[14]. აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ პროპაგანდის მესვეურები რუსეთის მიერ ანექსირებულ აღმოსავლეთ საქართველოში მისიონერთა საქმიანობისათვის მომავალს ვერ ხედავდნენ. ამიტომ პროპაგანდამ კათოლიკობის წარმატების ეჭვმიუტანელი იმედი იმერეთის სამეფოზე დაამყარა, რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

ახალციხეში კათოლიკობა უწინდელ გასაჭირს განიცდიდა. 1798 წელს ახალციხის პროვიკარად დანიშნული პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი) დაუცხრომლად იბრძოდა ხელთ ეგდო მთელი საქართველოს კათოლიკეთა სულიერი უფროსობა. ამ ჟინით შეპყრობილი „სამცხე-შავშეთ-არტაან-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა შორის სომხურენოვანი რიტის ხმარების მიზანშეწონილობის მტკიცებას შეუდგა"[15]. ამ მხრივ ბრძოლის დასაწყისად 1802 წელი შეიძლება ჩავთვალოთ. ამ წელს არტაანის მხარის სოფ. ველის ქართველ კათოლიკეთა ერთადერთი დროული წინამძღვარი გარდაიცვალა. პროპაგანდა ფიდეს ადრევე დაუჭერია თადარიგი და დაუდგენია, რომ ველელთა სულიერი საჭიროებისათვის ურბანოს კოლეჯში აღეზარდა ქართულ ტიპიკონზე ორი ქართველი ახალგაზრდა, მაგრამ ამის განხორციელება სხვადასხვა მიზეზების გარმო მაშინ ვერ მოხერხდა. ახლა წმიდა კრებას ხელახლა დაუყენებია აღნიშნული საკითხი და გადაუწყვეტია, რომ პროპაგანდის კოლეჯში ორი ქართველი ახალგაზრდა გაწვრთნილიყო მღვდელ გრიგოლ ბაღინაშვილის ხელმძღვანე-

ლობით. 1802 წლის 14 ივლისის წერილით პროპაგანდამ ეს გადაწყვეტილება აუწყა ახალციხის პროვიკარ პავლე არქიმანდრიტს (მან ეს ხარისხი 1801 წელს მიიღო) და სთხოვა ორი ახალგაზრდის გაგზავნა ურბანოს კოლეჯში[16].

პროპაგანდის ეს თხოვნა პავლე შაჰყულიანმა არ შეასრულა და რომს ასეთი პასუხი გასცა: არც ველში და არც ახალციხეში საჭირო არ არის ბერძნის ტიპიკონის ქართველი მღვდლები, რადგან ქართველი კათოლიკეები „შეეჩვივნენ სომხური ტიპიკონის მქონე მღვდლებისაგან სულიერი სამსახურის მიღებასო"[17]. ამით დაუფარავად გამოჩნდა შაჰყულიანის მიზანი ეპისკოპოსის ტახტის დაუფლების გზაზე. „საეპისკოპოსოს დაარსებისათვის კი საჭირო იყო მორწმუნეთა განსაზღვრული რაოდენობა, რაც სომეხ კათოლიკეებთან შეერთებით შეიძლებოდა შემდგარიყო"[18]. სწორედ ეს მოტივი ედო საფუძვლად მის ბრძოლას ქართული ტიპიკონის წინააღმდეგ.

პროპაგანდა ფიდე კარგად იყო ინფორმირებული ველი ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობის შესახებ. ამიტომ შაჰყულიანის არგუმენტები უარყოფილი იქნა. წმიდა კრებამ დაადგინა, რომ „ველის ქართველ კათოლიკეებს, რაგინდ ცოტანი იყვნენ ისინი უნდა ჰყავდეთ ღვდელი, რომელიც საეკლესიო წესებს შეასრულებს ქართულ ენაზე"[19]. ეს გადაწყვეტილება პროპაგანდამ წერილობით აუწყა პავლე არქიმანდრიტს 1803 წლის 6 აგვისტოს. აქვე მას ხელმეორედ თხოვდნენ, რომ ურბანოს კოლეჯში გაეგზავნა „ქართველი ყმაწვილები მართლმადიდებლურ ტიპიკონზე აღსაზრდელად"[20]. როგორც წინათ, ახლაც შაჰყულიანმა ყურადღება არ მიაქცია პროპაგანდის მოთხოვნას, მაგრამ ამ მხრივ წმიდა კრება აქტიურად განაგრძობდა მოქმედებას და საბოლოოდ პავლე იძულებული გახდა 1805 წელს ორი ველელი ქართველი ყმაწვილი იაკობი და ანდრია რომში გაეგზავნა. ისინი „ქართულენოვან მოძღვრებად უნდა მომზადებულიყვნენ რომს, მაგრამ მოხდა აქაც გაუგებრობა, ყმაწვილები კონსტანტინოპოლში შეაჩერეს და, როგორც ჩანს, იქაური სომხური კათოლიკური სასწავლებლისაკენ აქნევინეს პირი. ბევრი ამ ფაქტშიც შაჰყულიანის ოინებს ხედავდა"[21].

1805—1814 წლებში საქართველოში კათოლიკეთა მდგომარეობის შემდეგი სურათი იხატება: 1787—1812 წლებში კაპუჩინთა უფროსი იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი ფრანჩესკო პადუელი. კათოლიკე პატრები მოღვაწეობდნენ თბილისში, გორსა და ქუთაისში. სამისიონერო

საქმიანობა უკვე აღარ მიმდინარეობდა. მიუხედავად შედარებითი ხელსაყრელი პირობებისა, პატრების ჩამოსვლა რომიდან არ ხდებოდა. მთელ საქართველოში იყო სულ 6 თუ 8 კათოლიკე მოძღვარი. თბილისში მოქმედებდა სკოლა, სადაც სულ 12-მდე მოსწავლე იყო. მოქმედებდა დიდი ხნის წინ დაარსებული კათოლიკეთა ძმობა, რომელთაც საკუთარი ფულით იყიდეს რვა დუქანი[22].

1812 წლის სექტემბერში ქუთაისში გარდაიცვალა ფრანჩისკო პადუელი. მისიონერები უფროსის გარეშე დარჩნენ. ამ დროისათვის სულ იყო სამი კაპუჩინი პატრი: ფილიპე ფორანოელი, მარიო კოლონაელი, მორჩილი ძმა კარლო ვიეაროელი და თბილისელი ქართველი პატრი ონოფრიო დომინიკანელი. ცხადია, კათოლიკე მრევლისათვის მოძღვართა ეს რიცხვი არასაკმარისი იყო. საჭირო იყო ახალი შემწე მისიონერები. ამიტომ საქართველოში კარგად ცნობილი პატრი ფილიპე ფორანოელი 1813 წელს რომს თხოვდა, რომ ოთხი ან ხუთი პატრი გამოეგზავნა. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ ნება დაერთოთ, რომ კათოლიკეებს რუსეთიდან მაინც მოვლენოდნენ მოძღვრები. პროპაგანდამ ვერც ამჯერად შეძლო საქართველოში პატრების გამოგზავნა.

რაც შეეხება ახალციხეს, აქ მდგომარეობა არ შეცვლილა. რამდენადაც ახალციხეში არც ერთი კაპუჩინი არ იყო, ჩვენთვის კარგად ცნობილი პავლე შაჰყულიანი ცდილობდა, პატრების ეკლესია და მონასტერი ხელში ჩაეგდო. ამ მიზნის მიღწევა მან შეძლო, რადგან პროპაგანდამ 1813 წლის 24 მაისს პავლე შაჰყულიანი დროებით დანიშნა კაპუჩინთა მისიონის უფროსად. ეს მისი უდავო გამარჯვება იყო, მაგრამ ამან ადგილობრივ მოძღვრებს შორის უკმაყოფილება და არეულობა გამოიწვია. რამდენადაც შაჰყულიანს მისი მოხერხებისა და უნარის წყალობით პროპაგანდა მხარს უჭერდა, ეპისკოპოსის ტახტამდე ცოტა აკლდა, მაგრამ „ბევრი ჩადენილი დანაშაულის გამო იგი ერს ძალიან სძულდა“[23]. ამიტომ რომმა სიფრთხილე გამოიჩინა და 1814 წელს მას კაპუჩინთა უფროსობა ჩამოართვა. ახლა მან მოქმედების მიმართულება შეცვალა და ფრთხილად დაიწყო საქმიანობა. იგი პეტერბურგში მყოფი ლათინთა არქიეპისკოპოსისაკენ იკვალავდა გზას. ყველაფერი დროის მდინარებას უნდა გადაეწყვიტა.

როგორც ვთქვით, 1814 წელს პავლე შაჰყულიანს კაპუჩინთა მისიონის უფროსობა ჩამოერთვა. ამავე წელს ამ თანამდებობაზე დროებით დაინიშნა პატრი ფილიპე ფორანოელი. 1815 წლის 23 იანვარს

მის მიერ პროპაგანდაში გაგზავნილი ვრცელი მოხსენების მიხედვით საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მდგომარეობის შემდეგი სურათი იშლება:

თბილისში ფორანელთან ერთად მოღვაწეობდა მამა ბარლამო განდილი. აქ ამ დროისათვის დაახლოებით 55 მოსახლე კათოლიკე იყო. მათი ეკლესია, მიუხედავად გარეთა სამუშაოების დაუსრულებლობისა, საუკეთესო ეკლესიად ითვლებოდა თბილისში. მას ამშვენებდა ირგვლივ შემოვლებული გალავანი, რომელიც 1814 წლის მიწურულს დასრულდა. აქვე ერთი მშვენიერი ოთახი იქნა მოწყობილი სკოლისათვის. ეკლესიის ქონებას შეადგენდა ერთი ვენახის ბაღი და ერთი დუქანი. საკუთრივ პატრებს ჰქონდათ ერთი ძალზე საუცხოო სახლი. თბილისშივე არსებობდა „იესოს, იოსების და მარიამის წმიდა სახელობის ძმობა მამაკაცებისა და დედაკაცებისათვის"[24]. მისი წინამძღვარი იყო პატრი ფილიპე ფორანელი. ძმობას ჰქონდა 9 დუქანი.

16 წლის შემდეგ თბილისის ქართველ კათოლიკეთა რიცხვი 92 ოჯახამდე გაზრდილა. ამის გამო თბილისის „მეტად მშვენიერი და შემკული" პატარა ეკლესია მრევლს ვერ იტევდა. ეკლესიის ზემოხსენებულ ძმობას ახლა 10 დუქანი ჰქონდა, რომელსაც წლიურად 600 მანეთი შემოსავალი შემოსდიოდა. ძმობის წესდების მიხედვით ეს შემოსავალი ხმარდებოდა: 1. კვირაში ორ ხმიან წირვას მიცვალებული დათა და ძმათათვის; 2. სკოლის მასწავლებლის ჯამაგირს; 3. ეკლესიის სანთლებს; 4. მეორლანეს ჯამაგირს; 5. დანარჩენი ფულით შემწეობას უწევდნენ გლახაკებს. ეკლესიას ქალაქის ახლოს ერთ გორაზე ჰქონდა სასაფლაო „ერცელი მიწით, რომლის ნახევარი სახნავ-სათიბი იყო". 1823 წელს მას შემოავლეს ღობე და „გადაიქცა მშვენიერ ბაღად, რომლის შემოსავალი" უპოვართ ეძლეოდათ. ეკლესიას თავის ეზოში ჰქონდა აგრეთვე ერთი პატარა „სამკურნალო ოთახი ავადმყოფისათვის".

ამავე ხანებში გორში მოღვაწეობდა კაპუჩინი მისიონერი მარიო კოლონაელი და თბილისელი მამა ონოფრიო დომინიკანელი. აქ 30 მოსახლე კათოლიკე იყო, რომელთაც ეკლესია არ გააჩნდათ, მაგრამ კარგად მოწყობილ სახლში აღავლენდნენ წირვა-ლოცვას. მიმდინარეობდა ახალი ეკლესიის მშენებლობა, რომელსაც ბევრს ეხმარებოდა იქ არსებული „იესოს, იოსების და მარიამის წმიდა" სახელობის ძმობა. მას აქ რამდენიმე დუქანი ჰქონდა. რაც შეეხება ქუთაისს,

აქ კათოლიკეებს ჰქონდათ ხის ეკლესია, რომლის საკუთრებას შეადგენდა ერთი ბაღი და ერთი პატარა სოფელი 7 თუ 8 მოსახლით, რომელიც სოლომონ II უწყალობა პატრ ნიკოლა და რუტილიანოს.

ახალციხეში ხსენებული დროისათვის 450 მოსახლე კათოლიკე ყოფილა. აქ იყო ლათინურ ყაიდაზე მოწყობილი ერთი პატარა მონასტერი და ყოვლადწმიდა მარიამის სახელობის ერთი პატარა ეკლესია, რომელსაც მეთვალყურეობდა მორჩილი ძმა კარლო ვიეაროელი. აღრე, როცა ახალციხეში პატრები იყვნენ, წირვა ლათინურ ენაზე სრულდებოდა და მგალობლები ხმიან წირვაზე გალობდნენ და პასუხს ქართულად ამლევდნენ. ახლა, რადგან აქ ლათინი პატრი აღარ იყო, წირვა სომხურ ტიპიკონზე სრულდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამისიონერო საქმიანობა ფაქტიურად აღარ მიმდინარეობდა, რადგან რუსეთის იმპერატორის ბრძანების თანახმად ქართველს ეკრძალებოდა კათოლიკობაზე გადასვლა. ამიტომ პატრები ვერ ბედავდნენ ვინმეს გაკათოლიკებას. ქართველი ხალხი, განსაკუთრებით გორსა და ქუთაისში, დიდი ნდობით ეკიდებოდნენ კათოლიკე მოძღვრებს. როგორც წინათ, ახლაც ექიმი-მისიონერებისადმი დიდი იყო მოთხოვნილება. 1816 წელს ორი კაპუჩინი მღვდელი და ერთი მორჩილი ძმა მოვიდნენ ევროპიდან. ამათგან ერთი დარჩა ქუთაისში, ხოლო მეორე — თბილისში.

მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი პირობებისა, კათოლიკობა საქართველოში მდგომარეობის განსამტკიცებლად პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა. ამ გზაზე ხელშემწყობ ფაქტორად იქცა რუსეთის მთავრობის „თავშეკავებული“ და „კეთილისმყოფელი“ დამოკიდებულება კათოლიკე პატრებისადმი. ეს მარტო გარეგნულად კი არ იყო გამოხატული, არამედ რეალურ ქმედებებშიც გამოვლინდა. კერძოდ, კათოლიკეებმა თბილისში სკოლა ააშენეს „რუს ბატონთა შორის მოკრეფილი ფულით“[25]. 1817 წლის 10 ოქტომბერს პატრი ფილიპე ფორანოელი რომს აუწყებდა, რომ საქართველოს მთავარმართებლის მარკიზ ფილიპე პაულუჩის (იგი წარმოშობით იტალიელი იყო) შუამდგომლობით რუსეთის იმპერატორმა „სამუდამო პენსია დაუნიშნა თბილისის, გორისა და ქუთაისის ეკლესიებს, თითოეულს 120 მანეთი წელიწადში“[26]. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი არ იძლევა საფუძველს დავასკვნით, რომ რუსეთის სამეფო კარმა შეცვალა თავისი წინანდელი დამოკიდებულება კათოლიკე მისიონერებისადმი ანდა შეუდგა რომის კურიის ინტერესების დაცვას საქართველოში. უფრო

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველ კათოლიკეთა ინტერესების დაცვა ნაკარნახევი იყო საკუთარი მიზნებით. კერძოდ, ამ გზით ამზადებდნენ ნიადაგს ქართველ კათოლიკეთა მოგილეკის კონსისტორიისადმი დამორჩილებისათვის.

1818 წელს პროპაგანდის კარდინალებისადმი პატრი ამედე პიემონტელის მიერ წარდგენილი ერთი მოხსენების მიხედვით, საქართველოში კათოლიკეთა რიცხვი 9 ათასამდე აღწევდა. მისიონერებმა ექიმობიდან თუ სხვა შემოსავლიდან შეგროვილი ფულით ტყვეობიდან დაიხსნეს „მახლობელ თუ შორეულ მცხოვრებთა 50 ოჯახი", რომლებიც ადვილად გააკათოლიკეს[27]. ასეთ ხელსაყრელ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, მისიონერთა მოღვაწეობას დიდი გასაქანი ჰქონდა.

გორში კათოლიკეთა ეკლესიის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობდა. იგი 1820 წლისათვის დამთავრდა. აქ ეკლესიას ჰქონდა ერთი ბაღი და ორი დუქანი. გორის ეკლესიასთან არსებული წმიდა სავარდის ძმობა არც თუ ისე უმნიშვნელო ქონების პატრონი ყოფილა. გორის მონასტერს ორსართულიანი სახლი ჰქონდა, რომელიც რვა დიდი ოთახისაგან შედგებოდა. მონასტრის გვერდზე მდებარეობდა ექვსოთახიანი ბინა, რომელშიც მოთავსებული იყო სკოლა და სამკურნალო. ძმობას გააჩნდა მნიშვნელოვანი ფულადი თანხა, რომლის გასესხებასაც იგი აწარმოებდა. არ მოგვეპოვება ცნობები, რომლებიც გაგვარკვევდნენ, თუ რომელი ფენის წარმომადგენლები შედიოდნენ ძმობის შემადგენლობაში. მხოლოდ ირკვევა, რომ ძმობა მჭიდრო კავშირში იყო იმ ადამიანებთან, რომლებმაც მას დახმარებისათვის მიმართეს და ისიც შეძლებისდაგვარად მათ ხელს უმართავდა. სავარაუდებელია, ძმობა ქართველი მოსახლეობის ინტერესებს იცავდა და ამ საშუალებით ახერხებდა მათ გაკათოლიკებას.

საქართველოში არსებულ კათოლიკეთა ეკლესიებს შორის თავისი ხილამაზით გამოირჩეოდა თბილისის ეკლესია. მას მალე მეტოქეობას გაუწევდა ქუთაისის ეკლესია, რომლის აშენება 1826 წელს დაიწყეს იქაურმა კათოლიკეებმა[28]. იგი თბილისის ეკლესიაზე დიდი იყო[29]. ძძიმე მატერიალური პირობებისა და რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომის გამო ამ ეკლესიის მშენებლობა რამდენჯერმე შეფერხდა. ხანგრძლივი დროის შემდეგ, კერძოდ, 1841 წელს იგი გაწახლდა და მალე დასრულდა კიდეც. ქუთაისის ეს ეკლესია წმიდა ღვთისმშობლის სახელობაზე აიგო. „ეკლესიას აშენებდნენ ძმები

ელისაშვილები კათოლიკე მღვდლის დონ დიმიტრი თუმანიშვილის ლოცვა-კურთხევით"[30].

ამ წარმატებების გვერდით ახალციხეში საწინააღმდეგო სურათი იშლებოდა. პავლე შაჰყულიანის გაუთავებელი კარიერისტული ბრძოლის მიზანი კარგად ესმოდათ კათოლიკე მესვეურებს და ამიტომ იგი 1826 წლის 11 აპრილს კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსმა ვინჩენცო კორეზიმ გადააყენა პროვიკარობიდან, „აუკრძალა მღვდელმსახურება და დაიბარა კონსტანტინოპოლში". შაჰყულიანის მაგივრად კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ახალციხის პროვიკარად დანიშნა მღვდელი ივანე ლაზარაშვილი[31]. ამჯერად პავლე არ დაემორჩილა თავისი უფროსის გადაწყვეტილებას და არ წავიდა კონსტანტინოპოლში. ახლა საქმეში პროპაგანდა ჩაერია. ჩანს, რომში კარგად გაითვალისწინეს შექმნილი ვითარება, კერძოდ, შაჰყულიანის მიერ პეტერბურგისაკენ მიმავალი გზის გაკვალვა და იგი ახალციხიდან თბილისში გაგზავნეს, სადაც კაპუჩინებმა პატივით მიიღეს. მათთან იგი რამოდენიმე თვე იყო. ირკვევა, რომ პავლემ მოხერხებულად შეძლო კაპუჩინი მოძღვრების თავის სასარგებლოდ განწყობა. მათ ახლა რომის წინაშე იშუამდგომლეს, რომ შაჰყულიანი ისევ დაენიშნათ პროვიკარად. ჩანს, პროპაგანდამ კაპუჩინთა წინადადებას ანგარიში გაუწია და პავლე შაჰყულიანი ისევ დააბრუნა თავის ადგილას. სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკის მიხედვით ირკვევა, რომ კონსტანტინოპოლის ლათინთა ეპისკოპოსი არ დეთანხმა პროპაგანდის გადაწყვეტილებას და 1826 წლის 30 ნოემბერს, პავლეს გამოუგზავნა „ეპისკოპოსისა და პროპაგანდის კრების წიგნები მისი გადაყენების შესახებ"[32].

როგორც ცნობილია, 1828 წლის 14 აპრილს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. ომის შედეგები გაფორმდა 1829 წლის 2 სექტემბრის ადრიანოპილის საზავო ხელშეკრულებით, რომელსაც საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ადრიანოპოლის ტრაქტატით რუსეთს გადაეცა ახალციხე-ახალქალაქი და მთელი ტერიტორია, რაც ძველ სამცხეს და ჯავახეთს შეადგენდა. ეს მოასწავებდა თურქეთისაგან მიტაცებული საქართველოს ძირძველი და ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის დაბრუნებას დედასამშობლოსათვის.

წყაროებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ომის დროს ახალციხეში სრულიად დანგრეულა კაპუჩინთა მონასტერი, ხოლო ეკლესიის ერ-

თი კედელი მთლიანად ჩამონგრეულა. ახლევე დამწვარა მონასტრის ოთხი დუქანი. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ის მთლიანად დაუტაციათ. 73 კათოლიკე ომის მსხვერპლი შექმნილა, ხოლო გარკვეული ნაწილი ქართლსა და იმერეთში გახიზნულა და იქ დამკვიდრებულა. ახალციხის საფაშოს რუსეთთან შეერთება პავლე შაჰყულიანს აქტიური მოქმედების საშუალებას აძლევდა. იგი უკვე „აშკარად იბრძოდა ახალციხეში უცხოური მისიონის გაუქმებისათვის, მოითხოვს შემოერთებული სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ კათოლიკეთა ჩამოცილებას კონსტანტინოპოლის ვიკარიისაგან და მოგილევის კონსისტორიასთან შეერთებას“[33].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთის საქართველოსთან შეერთების შემდეგ ახალციხის ქართველ კათოლიკეთა სულიერ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. „რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ლათინ მოძღვართა განდევნა, რომელთა მოღვაწეობასაც პოლიტიკურ შპიონაჟთან აკავშირებდნენ. რაღა თქმა უნდა, ლათინი მოძღვრების გაძევებას მოჰყვებოდა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში ნაწილობრივ შემორჩენილი ლათინური რიტის ანუ ლათინური ენით წირვა-ლოცვის გაუქმება“. ასეთ შემთხვევაში მდგომარეობა ძალზე რთული იყო. კერძოდ, წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ქართული კათოლიკური ტიპიკონი დამტკიცებული არ ჰქონდა. „მესხეთიდან ლათინი მოძღვრების გაძევებით განაწყენებული ვატიკანი, გასაგებია, ახლა ქართულ ტიპიკონს აგრე იოლად არ დაამტკიცებდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა, რომ ქართველ კათოლიკეთა ლათინური რიტის ეკლესიებშიც სომხური ტიპიკონი და სომხური ენა დამკვიდრებულიყო. ამასობაში დროისა და პირობების შესაფერისი კაციც გამოიძებნა. ეს კაცი იყო გასომხებული ქართველი — სომხურ რიტზე მდგარი პავლე შაჰყულიანი“[34].

მიუხედავად ამისა, ვატიკანში საქართველო არ ავიწყდებოდათ. 1829 წელს თბილისში ჩამოვიდა ახალი პატრი თომა ტემპიელი. მისიონერთა მოღვაწეობა უპერსპექტივო არ ჩანდა. მართალია, მართლმადიდებლებს ეკრძალებოდათ კათოლიკობაზე გადასვლა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა „სხვადასხვა ტომის პირნი უერთდებოდნენ კათოლიკურ ეკლესიას“[35]. რამდენადაც საქართველოში მოღვაწე ლათინი მოძღვრები ხანდაზმულები იყვნენ, ისინი ითხოვდნენ სამი ახალი მისიონერის გამოგზავნას. პროპაგანდამ ამ საკითხის მოგვარება

ადგილობრივი კადრის მომზადებაზე დაამყარა. ამ მიზნით 1834 წლის 6 სექტემბერს კაპუჩინთა უფროსს ფრანჩიზკე მესინელს პროპაგანდამ გამოუგზავნა წერილი ურბანოს კოლეჯში ორი ქართველი ყმაწვილის გაგზავნის შესახებ. ცნობილი არ არის, შესრულდა თუ არა პროპაგანდის ეს მოთხოვნა.

მცირე ცნობები გაგვაჩნია 1840—1845 წლებში საქართველოში კათოლიკე მოძღვრების საქმიანობის შესახებ. არსებული მასალებიდან კი შემდეგი სურათის აღდგენა შეიძლება: 1841 თუ 1842 წელს კაპუჩინთა მისიონის პრეფექტად დაინიშნა ბენედიქტე აჩირუალელი. მან „კათოლიკეებისათვის დაბეჭდვინა ლოცვის წიგნი და აგრეთვე ქართულ ენაზე დასაბეჭდად გაამზადა წმინდანების ცხოვრება"[36].

კათოლიკეთა უკანასკნელი პრეფექტი იყო დამიანე ვიარეჯიონელი, რომელიც 1842 წლის ბოლოს უნდა დანიშნულიყო ამ თანამდებობაზე. მას 1843 წელს კონსტანტინოპოლის ლათინთა პატრიარქმა სთხოვა, რომ ახალციხის მისიონის უფროსობაც თავის თავზე აეღო, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა, რადგან თბილისის რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა ახალციხიდან მისიონერების დათხოვნა. ამ დროს აქ სომხები წარმატებით ეწეოდნენ ანტიმისიონერულ მუშაობას, რაც რუსეთის ხელისუფლების ინტერესებს დიდად აკმაყოფილებდა. გარდა ამისა, დამიანე პრეფექტის მოღვაწეობა საქართველოში ჩვენთვის ცნობილია იმით, რომ მან რომში მიმავალი იოსებ ზუბალაშვილი, რომლის ხარჯზე აშენდა უმთავრესად გორის ეკლესია, შეაგზავნა თავის უფროსს პროპაგანდაში, რათა მისთვის პატივისცემა და დახმარება აღმოეჩინა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პავლე შაჰყულიანმა ენერგიულად დაიწყო ბრძოლა სამცხე-ჯავახეთის კათოლიკეთა მოგილევის კონსისტორიაზე შეერთებისათვის. 1839 წელს იგი კვლავ გადააყენეს პროვიკარობიდან. ამან პავლე მეტად განაწყო შურისძიებისათვის და დაიწყო მიწერ-მოწერა რუს მოხელეებთან. თავდაპირველად მან გენერალ ბებუთოვის მფარველობას მიაღწია, მაგრამ მთავრობამ საქმის გამოძიება დაავალა ლუთერან პოლკოვნიკ კოცებუს. მან შაჰყულიანი დამნაშავედ სცნო და მოითხოვა, მოეშორებინათ იგი ახალციხიდან და გორში — კაპუჩინთა მონასტერში გაეგზავნათ. ასევე მისი ყველა მომხრე დაესაჯათ. ასე რომ, 1844 წელს მთავარმართებელ ნეიდგარტის დადგენილებით შაჰყულიანი იძულებულ მოაცილეს ახალციხის ეკლესიასა და მრევლს.

ასეთ ვითარებაში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ალარიომ ყველასაგან მოულოდნელად შაჰყულიანი ისევ თავის ადგილზე დააბრუნა, რომელმაც თვით მთავარმართებელი ნეიდგარტიც განარისხა. ეს უკანასკნელი აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დეთანხმა. შაჰყულიანს ფარ-ხმალი არ დაუყრია და ჩვეული ენერგიით კაპუჩინები საიმპერატორო კართან დასმინა. ჩანს, ამ დროისათვის სამეფო კარს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოდან კაპუჩინების განდევნა. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის 1844 წლის 2 ივნისის № 105 ბრძანებით კაპუჩინებს გამოეცხადათ: 1. კავკასიაში მყოფ ლათინთა მოძღვრებს ეკრძალებათ სომეხ-კათოლიკეთა საქმეში ჩარევა; 2. ლათინი მოძღვრები დაექვემდებარებიან მოგილევის კონსისტორიას და რუსეთის ტახტის სამუდამო ქვეშევრდომობა აღიარონ, თუ უნდათ დარჩენა, თავიანთ სამსახურში, თუ არადა დატოვონ რუსეთის საზღვრები; 3. შეწყვიტონ ყოველგვარი კავშირი საზღვარგარეთის სასულიერო პირებთან[37].

ამრიგად, ამ ბრძანებით კათოლიკე მოძღვრებს აეკრძალათ სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველი კათოლიკეების საქმეებში ჩარევა. იმ კათოლიკე მოძღვრებს შეუნარჩუნდებოდათ სამსახური, რომლებიც რუსეთის ტახტის ქვეშევრდომობას აღიარებდნენ, ხოლო ვინც ამ პირობას არ აღასრულებდა, რუსეთიდან გაძევება ემუქრებოდა. ფაქტიურად ამ ბრძანების განხორციელება ნიშნავდა კაპუჩინთა მისიონის გაუქმებას, როგორც შიდა რუსეთში, ისე მის „განაპირა მზარეში" — საქართველოში მათი მისიის დასრულებას. ამით უკვე შეიქმნა რეალური საშიშროება, რომ რუსეთისაგან ზურგმომაგრებულ სომხურ ეკლესიას ემძლავრა ქართველ კათოლიკეებზე, რაც ასეც მოხდა.

კაპუჩინებმა რომის პაპის ნებართვის გარეშე აღნიშნული პირობები ვერ შეასრულეს. ამიტომ 1845 წლის დასაწყისში რუსეთის იმპერატორის ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი საქართველოდან კაპუჩინი პატრების განდევნის შესახებ. „1845 წლის 1 იანვარს რუსმა მოხელეებმა თბილისიდან კაპუჩინი პატრები დამიანე, ფილიპე, ქერუბინე და ემიდიო გორში ჩაიყვანეს, რომელთაც კარგ მანძილზე ტირილით გაჰყვა ასიოდე კათოლიკე. 3 იანვარს გორში მყოფი პატრი ემანუელი და ბერნარდე ეკლესიიდან ძალით გამოიყვანეს და ყველა ერთად ქუთაისში წაიყვანეს. ამათ ჩასვლამდე იქიდან უკვე განეშორებინათ პატრი ფლორენციო"[38]. 17 იანვარს ხსენებულმა პატრებმა საქართველოს საზღვრები დატოვეს. ამა თვის 25-ს ისინი ტრაპი-

ზონში ჩავიდნენ, სადაც დაბანაკდნენ იმ იმედით, რომ ისევ საქართველოში დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ამას აღსრულება არ ეწერა.

აქვე უნდა ითქვას შემდეგიც: რუსეთის მთავრობის ზემოხსენებულ ბრძანებამდე პატრები კარგად ხედავდნენ, თუ რა ბედი ელოდათ საქართველოში. ამიტომ მათ წინასწარ გაგზავნეს „ქაღალდები და არქივები" კონსტანტინოპოლში[39]. ცხადია, ეს კაპუჩინთა მისიონის არქივი იყო. ვინ იცის, რა ფასდაუდებელი ისტორიული ცნობები იქნებოდა ამ მასალებში დაუნჯებული. იქნებ საბოლოოდ არაა ის ჩვენთვის დაკარგული, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ სინანულის გამოთქმის მეტი რაღა დაგვრჩენია.

დიდხანს ქართველი კათოლიკეებიც არ კარგავდნენ იმედს, რომ ისევ იხილავდნენ პატრებს საქართველოში. მათ მეფისნაცვალ სიმონ ვორონცოვს (1845—1854) სთხოვეს განდევნილი ლათინი მოძღვრების უკან დაბრუნება, მაგრამ მათი ბედი საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთის მმართველობას საქართველოში. იმ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში კათოლიკური წესის ერთადერთი მოძღვარი იყო მხოლოდ. ეს იყო ქართველი კათოლიკე დონ ანტონ გლახაშვილი (გლახოვი). იგი დაიბადა ქუთაისში 1799 წელს. 1832—1841 წწ. სწავლობდა რომში ურბანოს კოლეჯში, სადაც მიიღო ფილოსოფიური და თეოლოგიური განათლება. 1840 წელს ანტონი რომშივე აკურთხეს მღვდლად. რამდენიმე ევროპული და აღმოსავლური ენების მცოდნე და დიდად განათლებული ა. გლახაშვილი 1841 წელს დაბრუნდა საქართველოში. იგი იყო ქუთაისის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ვიკარი. ამასთან ერთად ანტონი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. 1859 წლიდან ასწავლიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში კათოლიკური აღმსარებლობის საღვთო სჯულს.

ქუთაისში 40 წლის მანძილზე სასულიერო მოღვაწეობის პერიოდში დონ ანტონ გლახაშვილმა მრავალი სასიკეთო საქმეები გააკეთა. კერძოდ: 1862 წელს მისი ხელმძღვანელობით დასრულდა ქუთაისის ღვთისმშობლის კათოლიკური ეკლესია, კათოლიკეთა ძველ საფლაოზე ააგო დიდებული სახლი ეკლესიის წინამძღვრისათვის. დააარსა და საკუთარი შენობა აუგო კათოლიკურ სამრევლო სკოლას.

ამრიგად, დონ ანტონ გლახაშვილი იყო კათოლიკური ეკლესიის პირველი ქართველი მოძღვარი საქართველოში. ცხადია, ძნელი იყო მარტო მას მოევლო თბილისის, გორისა და ქუთაისის მრევლისათვის. ამიტომ მთავრობამ მოგილევის არქიეპისკოპოსს სთხოვა საქარ-

თველოში გამოეგზავნა ორი ახალგაზრდა პოლონელი მოძღვარი, რომლებიც ქართულ ენას შეისწავლიდნენ და მრევლს მოუვლიდნენ. მალე კაპუჩინების ადგილას მოვიდნენ პოლონელი მღვდლები და დაიწყეს სასულიერო მოღვაწეობა.

1848 წელს ღრმად მოხუცებული, მარტოხელა და უმემკვიდრეო არქიმანდრიტი პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი) ლოგინად ჩავარდა და ახალციხის კათოლიკეთა სასულიერო მმართველობას ფაქტიურად ჩამოსცილდა. ამით ისარგებლა ვატიკანმა და იმპერატორ ნიკოლოზ I-თან შეთანხმებით ახალციხის კათოლიკენი ტირასპოლის ლათინთა ეპისკოპოსს დაუმორჩილა.

§ 2. ქართველი კათოლიკენი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში

1845 წლიდან რუსეთის მთავრობის მიერ აიკრძალა საქართველოში ევროპიდან კათოლიკე მისიონერების შემოსვლა და მოღვაწეობა. როგორც ვნახეთ, კათოლიკე მოძღვრები საქართველოდან დათხოვნილი იქნენ. ამით გაწყდა ევროპასთან ქართველი ხალხის უშუალო კავშირი. ამან მდგომარეობა ყველაზე მეტად გაართულა ახალციხეში, სადაც ქართველ კათოლიკეთა ლათინურ რიტზე მდგარ ეკლესიებში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა სომხური ტიპიკონისა და სომხური ენის დამკვიდრებას. მათი ამ ნების აღმსრულებელი, სამწუხაროდ, იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველი კათოლიკე პავლე შაჰყულიანი. საბოლოოდ ქართველ კათოლიკეთა ბატონ-პატრონად სომხური ეკლესია გამოცხადდა.

ეს სრულიად არ ნიშნავდა, რომ დედასამშობლოს დაბრუნებული მესხეთი ბედს იოლად შეურიგდებოდა. მისი გამორჩეული შვილები ქართული ენისა და კულტურის გარშემო ერთიანდებოდნენ. ამ დიდი საქმის მეთაურად მაშინ ქართველი კათოლიკენი გამოდიოდნენ. „მათი აზრით, ქართული ენის განმტკიცება-შენარჩუნების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართულ წიგნს (ამ შემთხვევაში ტიპიკონს)... ისინი ფიქრობდნენ, რომ ქართული წიგნი შეამცირებდა

შცხო იდეებიხ შემოტევას და დაიცავდა მის ეროვნულ თვითმყოფადობას"[1]. ამ ფიქრითა და გრძნობით იყო ნასაზრდოები ხიზაბავრელი იოსებ ხუციშვილის (1797—1890) მიერ 1836 წელს სრულიად დამოუკიდებლად ორიგინალური ქართული სტამბის შექმნა ახალციხეში. მესხეთის კულტურული დაწინაურების საქმეში ამ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ დაბეჭდილი წიგნები (დღემდე შემორჩენილია ხუთიოდე წიგნი) უნდა მივიჩნიოთ მესხეთში ეროვნული საქმის აღორძინების საფუძვლად. სწორედ „ხუციშვილის სტამბაში უაღრესად ეროვნული მოწოდებების ბეჭდვამ ის გამოიწვია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების ახლოს იგი მოსპეს მეფის აგენტებმა"[2].

რუსეთის მთავრობის მიერ მესხეთში გატარებული ანტიკათოლიკური პოლიტიკის შედეგი იყო ის, „რომ ქართველ კათოლიკეთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, უცხოეთში წასულიყო და საქართველოს ფარგლებს გარეთ განეგრძო მუშაობა. ამისათვის ყველაზე ხელსაყრელი სარბიელი შეიქმნა კონსტანტინოპოლში, სადაც ქართველმა კათოლიკეებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი ძმობა და გააგრძელეს კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოში მაცხოვრებელ კათოლიკეებს შორის. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო ახალციხეში „პატრი პეტრე ხარისჭირაშვილი — ქართველ კათოლიკეთა მხსნელად მოვლენილი, „მეორე მათე", რომელმაც ქართული კულტურისათვის დაუჯერებლად ბევრი რამ გააკეთა"[3].

მაგრამ პეტრე (ლუკა) ხარისჭირაშვილი დაიბადა 1818 წლის 20 აპრილს ქ. ახალციხის ძველ ნაწილში, რაბათში, სადაც მეტწილად ქართველი კათოლიკენი ცხოვრობდნენ. მან დაწყებითი სასულიერო განათლება მიიღო ახალციხის წმიდა ნათლისმცემლის ეკლესიის სკოლაში პავლე შაჰყულიანის ხელმძღვანელობით. მასთან საჭირო კურსის გავლის შემდეგ პეტრე ხარისჭირაშვილმა სწავლა განაგრძო ევროპაში. იქიდან დაბრუნებული გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც 1842 წლის 26 ოქტომბერს ერთ-ერთ კათოლიკურ ეკლესიაში მღვდლად ეკურთხა[4] და შაჰყულიანის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა.

გულანთებულმა მამულიშვილმა ახალციხეში დაბრუნებისთანავე გადაუდებელ ამოცანად დააყენა აქ „ქართული სასულიერო სემინარიის გახსნის საკითხი, სადაც გაძლიერებული კურსით უნდა ესწავლათ სამოქალაქო დისციპლინებიც". ამ პროექტის განხორციელება,

ბუნებრივია, სასულიერო სემინარიაში ქართულ ტიპიკონს დაამკვიდრებდა, რაც რენეგატ შაჰყულიანს მიღებულ ღირსებას დააკარგვინებდა, რადგან „მისი ძალა სხვებისაგან განსხვავებით სომხური ენისა და ტიპიკონის ზედმიწევნით ცოდნაში იყო"[5]. ცხადია, მათ შორის უთანხმოება გარდაუვალი იყო და შედეგიც მალე გამოჩნდა. შაჰყულიანმა პეტრე ხარისჭირაშვილს უფლება არ მისცა მღვდელმსახურება შეესრულებინა ახალციხეში და მისგან იძულებული საბოლოოდ 1856 წელს წავიდა საზღვარგარეთ. იგი წმიდა ლაზარეს კუნძულზე მხითარისტთა ძმობას შეეკედლა. აქ პეტრემ თავგანწირული შრომით 1858 წელს დაბეჭდა სქელტანიანი წიგნი „ისტორია გინა მოთხრობა ზ.ალმრთო წერილისა ძველისა და ახლის აღქთმათა, თარგმნილი ქართულს ხმასა ზედა წიგნით საბეჭდავსა შინა წმიდა ლაზარეს მონასტრისასა". მომდევნო წელს აქ მან დაბეჭდა კიდევ ორი ქართული წიგნი[6]. აქვე, ვენეციაში, სადაც იგი თითქმის ორ წელზე მეტი ცხოვრობდა, სწავლობდა უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში.

1859 წლის გაზაფხულზე პეტრე ხარისჭირაშვილი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. მას ამ დროისათვის რომში თავისი საქმიანობით უკვე კარგი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი. ისარგებლა რა ამით, პეტრემ თხოვნით მიმართა ვატიკანს, რომ ქართველი კათოლიკეებისათვის მიეცათ კონსტანტინოპოლის გარეუბანში — ფერი-კვეიში კონგრეგაციის შექმნის უფლება ქართული ენითა და ტიპიკონით. 1859 წლის 7 მაისს პეტრე ხარისჭირაშვილმა ვატიკანისაგან შეიღო ნებართვა და „დააფუძნა მონასტერი კონსტანტინოპოლში ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის სახელზედ". ასე რომ, ფერი-კვეიში დაარსდა ქართველ კათოლიკეთა სასულიერო საზოგადოება, ძმობა (სავანე), ქართულენოვანი ტიპიკონით, რომელსაც 1861 წლის 10 თებერვალს პროპაგანდა ფიდემ იურიდიული ძალმოსილება მიანიჭა. იმავე წელს მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა მის მიერ შექმნილ ფერი-კვეიში საძირკველი ჩაუყარა პატარა ეკლესიას. სანამ იგი აშენდებოდა, ძმობას დროებით ადგილი მიუჩინეს ლათინთა მონასტერში, სადაც ქართულ ენაზე დაიწყეს მღვდელმსახურება. „როცა თურმე პ. ხარისჭირაშვილმა პირველად შეასრულა ქართულ ენაზე გალობა, ძმობის ყველა წევრს ცრემლი მოერია, მათ დაიჩოქეს ხარისჭირაშვილის წინ და მისი ჯანმრთელობა შესთხოვეს მაცხოვარს"[7]. მოკლე ხანში აშენდა ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, რომლის შე-

სასვლელ თაღზეც ამოკვეთილი იყო დიდი ქართული წარწერა: „წმიდაო მარიამ დაიცავ ივერიელნი“.

დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ მონასტერს შეემატა მცირე სასულიერო სასწავლებელი, რომლის პირველი მოსწავლეები იყვნენ სტამბულის ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი გურული ბავშვები და ახალციხიდან სპეციალურად ჩამოყვანილი ყმაწვილები. იმისათვის, რომ ამ სასწავლებელს, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა, ოფიციალური სახე ჰქონოდა, ხარისჭირაშვილმა შეუდგინა სპეციალური დებულება, რომელიც დიდი ბრძოლის შემდეგ 1864 წელს ქალაქ რომში დაამტკიცებინა კარდინალებს[8]. სასწავლებელი პირველად ორწლიანი იყო. 70-იანი წლებიდან იგი სამწლიან სასწავლებლად გადაკეთდა და ქართული სასულიერო სემინარიის შექმნის რეალური პირობები მოამზადა.

ახლად დაარსებულ ქართულ სკოლაში საღვთისმეტყველო საგნების გარდა ისწავლებოდა: ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, სადურგლო საქმე და სხვა. დიდი ყურადღება ეთმობოდა ფრანგული და ლათინური ენების სწავლებას. პეტრე ხარისჭირაშვილი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა სასწავლებელში ქართველი მაჰმადიანების მიზიდვასა და მომზადებას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აპირებდა გაეგზავნა ისინი ადგილებზე, როგორც ქართული ენისა და მამულიშვილური გრძნობების დაცვისათვის მებრძოლი მისიონერები. მისი აზრით, როცა ამგვარად მომზადებული პატრიოტებით დაიფარებოდა „თურქეთის საქართველო“, მაშინ დადგებოდა რეალური პირობები საქართველოს სრული გაერთიანებისა[9].

გულმხურვალე და პატრიოტულად შემართული მამულიშვილი ვენეციაში შეწყვეტილი საგამომცემლო საქმიანობის მოგვარებას შეუდგა. 1870 წელს მან კონსტანტინოპოლშიც აამუშავა ქართული სტამბა, „რომელიც შემდეგ ისე გაფართოვდა, რომ სრულიად დამოუკიდებელი წარმოების სახე მიიღო, რომელსაც ჰყავდა თავისი მომსახურე პერსონალი. 70—80-იან წლებში სტამბის დირექტორად მუშაობდა ანტონ გოზალიშვილი“[10]. სტამბაში ამ დროისათვის „მრავალი წიგნი დაიბეჭდა მხატვრული ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის საკითხებზე. გამოიცა რამდენიმე წიგნი საბუნებისმეტყველო და სხვა დარგებიდან. აღნიშნული სტამბის გარშემო თანდათან თავი მოიყარეს მწერლებმა, მთარგმნელებმა და საქმის ენთუზიაზის-

ტებმა: მამულაშვილმა, წინამძღვრიშვილმა, მერაბიშვილმა, ხუციშვილმა, გვარამაძემ, ბათმანიშვილმა და სხვა"[11].

ქართველ კათოლიკე მოძღვართა საქმიანობა კონსტანტინოპოლში თანდათან ისე გაძლიერდა და გაიზარდა, რომ 70-იანი წლების დამლევს ამ ძმობამ საფრანგეთში ქ. მონტობანში დაიფუძნა ქართველ კათოლიკეთა ახალი ძმობა. ამ საქმის თაოსანი და სულისჩამდგმელი იყო პეტრე ხარისჭირაშვილი. მონტობანის ქართული მონასტრის მთავარ მოძღვრად ანდრია წინამძღვრიშვილი აირჩიეს. ეს იყო მეტად ერთგული და საქმიანი ადამიანი. მისი თაოსნობით პარიზიდან ხაბეჭდი მანქანა ჩამოიტანეს და მონტობანში წიგნების ბეჭდვა დაიწყეს. აქ ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ლექსიკონებისა და საოფლო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვით. „კონსტანტინოპოლისა და მონტობანის ქართული წიგნების გამომცემელთა სასახელოდ მარტო ისიც კმარა, რომ მათ 1877 წლიდან 1881 წლამდე, სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში შეძლეს 25-მდე სხვადასხვა წიგნის დაბეჭდვა და გავრცელება საქართველოში"[12].

მონტობანში ქართველ კათოლიკეთა სავანის ცხოვრება, სამწუხაროდ, ხანგრძლივი ვერ გამოდგა. მან სულ ცოტა, ათი წელი იარსება. 1880 წლის 29 მარტს საფრანგეთში გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელსაც ხელს აწერდნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჟიულ ფერი, შინაგან საქმეთა და კულტურის მინისტრი შ. ლეფერი და იუსტიციის მინისტრი ჟიულ გაზო. ამ დეკრეტის თანახმად, საფრანგეთში არსებული ყოველი კონგრეგაციის ან ნებართვის გარეშე არსებულ რელიგიურ გაერთიანებას სამი თვის განმავლობაში, მისი არსებობისა და მოღვაწეობისათვის ოფიციალური ნებართვის მიღების მიზნით ხელისუფლებისათვის უნდა წარედგინა თხოვნა დეპარტამენტის პრეფექტის მთავარ სამდივნოში, საიდანაც ის ოფიციალურ ქაღალდს მიიღებდა. შემდეგში ეს საბუთი უნდა წარდგენილიყო შინაგან საქმეთა და კულტურის სამინისტროში. ეტყობა, მაშინ ქართული სავანის მესვეურებმა ეს ვერ მოახერხეს, რის გამოც კათოლიკეთა ძმობა დაითხოვეს და განდევნეს იქიდან.

1885 წლის 8 მაისს პეტრე ხარისჭირაშვილმა წერილით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მარკიზ დე ნოიას. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ მონტობანში ქართველთა სავანე გამოყენებული იყო საცხოვრებლად და სასწავლო დარბაზად ახალგაზრდა ქართველებისათვის, რომელთაც სწავლის გაგრძელება სურდათ სა-

ფრანგეთში. აქ განათლების მიღების შემდეგ ისინი დაბრუნდებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში. იქ დააარსებდნენ სკოლებს და შეასწავლიდნენ ფრანგულ ენას. იგი ითხოვდა მონტობანში ქართველთა სავანის აღდგენას, რათა ქართველებს კვლავ განეგრძოთ იქ სწავლა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. საფრანგეთის ხელისუფლებამ პეტრე ხარისჭირაშვილს შესთავაზა, რომ ქართველ ახალგაზრდებს ესწავლათ საფრანგეთის სემინარიებში ინტერნატში ყოფნით.

როგორც ზემოთ ვნახეთ, დროის სულ მცირე მონაკვეთში ფერი-კვეის სავანე ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. აქ თავმოყრილი ქართველების უპირველესი მიზანი ერისათვის სამსახური იყო. პეტრე ხარისჭირაშვილს მხარში ედგნენ მამულზე მხურვალედ შეყვარებული ქართველი ერის ჭეშმარიტი შვილები ანდრია წინამძღვრიშვილი, ალფონს ხითარიშვილი, სტეფანე გიორგაძე და სხვები. ამ სავანეში აღიზარდნენ ჩვენი კულტურისა და მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ პროფესორი, ისტორიკოსი, მიხეილ თამარაშვილი, ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი, არაბისტი შალვა ეარდიძე, გამოჩენილი ქართველოლოგი მიხეილ თარხნიშვილი, პუბლიცისტი დომინიკე პაწაძე, საქართველოს ისტორიისა და საეკლესიო მუსიკის მკვლევარი — ალიოზ ბათმანაშვილი, სარატოვის სახელიერო სემინარიის რექტორი იოანე (მიხეილ) ანტონაშვილი (ანტონოვი), პატრი პიო ზალიძე და სხვები. თითოეული მათგანის პიროვნებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მათმა აღმზრდელმა, მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა.

1880-იანი წლებისათვის ქართველ კათოლიკეებს ოთხი სკოლა გააჩნდათ: პერაში პაპა-ქეფრეის წმიდა იოსების სკოლა, სკუტარის სკოლა, ფერი-კვეის სკოლა და დარდანელის სკოლა. ამათგან გამოირჩეოდა ფერი-კვეის სკოლა, რომლის კურსდამთავრებული მოსწავლეთა ნაწილი (ვინც სწავლაში გამოიჩენდა თავს) საეკლესიო ძმობის ხარჯზე სწავლას აგრძელებდა სხვადასხვა ფრანგულ და იტალიურ სემინარიებში. მოსწავლეთა მეტი ნაწილი მაინც სტამბულის იანიშარის ფრანგულ სემინარიაში რჩებოდა, სადაც ქართველი სემინარიელებისათვის კვირაში ორჯერ განკუთვნილი იყო „გაკვეთილების მიცემა ქართულ ენაში, ლიტერატურასა და ისტორიაში. კონსტანტინოპოლში სწავლამიღებულ მოსწავლეთა მიზანი სამშობლოში დაბრუნება და აქ მოღვაწეობა იყო. მათ ენატრებოდათ თავიანთი სამშობლო და მასზე ფიქრში აღამებდნენ და ათენებდნენ"[13].

კონსტანტინოპოლის ქართველთა ახალშენის სამრევლო ეკლესიად ირიცხებოდა წმიდა პეტრეს ეკლესია გალათში. 1882 წელს ამათი სასულიერო მოვლა გადაეცა ქართველ მღვდლებს, რომლებსაც პირველ მსოფლიო ომამდე პერას უბანში პაპა-ქეფრუიშიც ჰქონდათ პატარა სასწავლებელი და ეკლესია. 1910 წელს თვით სავანის ეკლესია სამრევლო ეკლესია გახდა და უდიდეს დღესასწაულებშიც ქართველებიც აქ მოდიოდნენ[14].

ამრიგად, კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის მიზანი იყო ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად. იგი უცხოეთში თავისი არსებობით ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ. ქართველმა მამებმა ეს სავანე აქციეს ეროვნულ კერად, სადაც მუდამ არა მარტო მრავალი ქართველი ახალგაზრდობა აფარებდა თავს, არამედ მრავალი პოლიტიკური მოღვაწეც, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებისა. ამ საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და დასავლეთის სხვა ქვეყნები მარადის ეცნობოდნენ საქართველოს და ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ მდგომარეობას[15].

ამ სავანის დახასიათება ძალზე საინტერესოდ აქვს გადმოცემული უენეციელ უვგენი დალეჯიო დ'ალესიოს თავის ნაშრომში „ქართველები კონსტანტინოპოლში", რომელიც 1921 წელს ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ და დასტამბა ქართველ კათოლიკეთა სავანეში. ავტორი წერს: „უცხოეთში გადმოტყორცნილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისაც გინდა იყო, მოდი ამ სავანეში და აქ ნახავ შენ თანამემამულეთა ძმურ, შინაურ და ზრდილობიან დახვედრას; მალე იგრძნობ, თვალით ნახავ არა მარტო შიგ მცხოვრებ ქართველების სახეზე შენი ქვეყნის და შენი ერის დიდებას, მწუხარებას, არამედ ამას კედლებიც მეტყველებენ. აი, აქ არის სულ უბრალოდ დახატული ქართველ წმინდათა და მეფეთა ხატები და სამეფო გვარის ღერბი. სპეტიო ადგილასაა თამარ მეფე, გამომხატველი ქართველი ერის სიძლიერე-აღორძინებისა და დიადი კულტურისა და მის გვერდით დავით მეფე, სურათი წარსული დიდებისა. აქვეა მგოსანი მესხი შოთა რუსთაველი, მისნი მიმდევარნი და გიორგი საკაძე. ერთი შეხედვით, ესენიც გიმეტყველებენ და გიწვევენ სამშობლოსა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ: პირველნი განვითარებისაკენ

და უკანასკნელნი სასტიკი ბრძოლისაკენ. ამათთან ერთად ამ საკახის დამაარსებლის და მის მოწაფეთა სურათებიც გვიკარნახებენ ზნეობას, მოვალეობის აღსრულებას, სარწმუნოებას და ღრმა რწმენას მომავალი აღორძინებისა და დიდებისა"[16].

დობოლოს, ქართული კულტურის ცენტრები კონსტანტინოპოლში, მონტობანსა და ვენეციაში წარმოადგენდნენ სინას, ათონის, ჯვრისა და სხვა კულტურული ცენტრების დაგვიანებულსა და ფერშეცვლილ გამოძახილს, რომლის მოღვაწეობის მთელი შინაარსი საქართველოს ეროვნული და ეკონომიკური კონსოლიდაციის ბაზაზე ევროპულ კულტურასთან დაახლოება იყო. ეს ემსახურებოდა აგრეთვე კათოლიკე ქართველთა გვაროვნობის გარკვევას, რისთვისაც დიდად იღვაწა პეტრე ხარისჭირაშვილმა[17]. მის ღვაწლს უდავოდ შეესადაგება ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები, როცა ამბობს: „ჩემმა ხელმა შექმნა ეს ყველაფერი და ასე გაჩნდა ეს ყველაფერი" (ესაია, 66:2).

კონსტანტინოპოლის ქართველი კათოლიკენი დიდ სულიერ სამსახურს უწევდნენ თავის სამშობლოს და იქ ნაკურთხი მღვდლების ხელში იყო ახლა საქართველოში კათოლიკეთა ყველა ეკლესია. თბილისის მშვენებას წარმოადგენდა „მარიამის ამაღლების" ტაძარი. იგი XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ერთადერთი ლათინური ტიპიკონის კათოლიკური ეკლესია იყო. „ზუბალაშვილების შემწეობით უცხოეთიდან ხელოვნების მრავალი ნიმუში ჩამოიტანეს და ამ ტაძარს შესწირეს. აქ გამოფენილ ფერწერულ ტილოებს შორის იყო ცნობილი ესპანელი მხატვრის მურილიოს სკოლის ოსტატთა ნამუშევრები"[18].

„მარიამის ამაღლების" ტაძარი მრევლს ვერ იტევდა, ამიტომ XIX საუკუნის 60-იან წლებიდან თბილისელ კათოლიკეთა სინოდმა აქტიური მზადება დაიწყო პეტრე და პავლე მოციქულთა სახელზე ტაძრის ასაშენებლად. მას საძირკველი 1870 წელს ჩაეყარა. სამრევლო საბჭოს სურდა შეექმნა ისეთი ნაგებობა, რომელიც გარეგნული ფორმებითაც და მოცულობითაც უპირველესი იქნებოდა მთელს კავკასიაში, ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდა თბილისის „მარიამის ამაღლებისა" და ჭუთაისში აგებულ წმიდა ღვთისმშობლის ტაძრებს. მშენებლობას სათავეში ედგა კათოლიკეთა მრევლის მამასახლისი შტაბს-კაპიტანი სტეფანე ზუბალაშვილი, კავკასიის ვიზიტატორი

მაქსიმილიან ორლოვსკი. ტაძრის აგებაში მონაწილეობდნენ 1830 წლის ვარშავის ანტიცარისტული აჯანყების დამარცხების შემდეგ გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტები და თბილისელი გერმანელები. ხარჯების უდიდესი ნაწილი გაიღო კონსტანტინოპოლში მოქმედმა ქართველ კათოლიკეთა ორდენმა — წმიდა სავარდის ძმობამ.

1886 წელს ავსტრიიდან ჩამოიტანეს და აქ დაამონტაჟეს საეკლესიო ორღანი, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა თბილისშიც და მთელ კავკასიაშიც (იმ დროისათვის თბილისის სამ ტაძარში იდგა ორღანი). ორღანთან ერთად ორი ფისგარმონიც იყო, რომელზე დაკვრას სწავლობდნენ საკვირაო სკოლის მოსწავლეები. 1891 წელს ტაძრის ვრცელ ეზოს ჯიმშერაშვილთა ოჯახმა საკუთარი თანხებით შემოავლო მესერი. ეზოში მოაწყო ბაღი, ხოლო ტაძრის უკანა მხარეს ააგო დამხმარე ნაგებობები, სადაც ცხოვრობდნენ კავკასიის ვიზიტატორი, ტაძრის წინამძღვარი და ორღანისტი.

ქართული კათოლიკური ეკლესია, განსაკუთრებით სამღვდელოება, მუდამ იდგა ეროვნულ პოზიციებზე. მათ წრეებში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ახალციხელი დონ იოანე (მიხეილ) ანტონაშვილი (ანტონოვი). მას განათლება მიღებული ჰქონდა პროპაგანდის კოლეჯში და ითვლებოდა ლათინური და იტალიური ენების შეუდარებელ მცოდნედ. XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს იგი ტირასპოლის ეპისკოპოსის ცოტმანის მოთხოვნით გადაიყვანეს ტირასპოლის საეპისკოპოსოში (სარატოვში) და დანიშნეს სემინარიებისა და სასწავლებლების ინსპექტორად. თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით ტირასპოლის ეპისკოპოსის ბარონ დე როპის წინადადებით იოანე ანტონაშვილი სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნეს. იგი აქ ბევრს ზრუნავდა ქართველ სემინარისტებზე. 900-იანი წლების ბოლოს იოანემ თავი დაანება სარატოვს და თბილისში დაბრუნდა[19].

იოანე ანტონაშვილი ქართულენოვანი ტიპიკონის შემოღებისათვის ენერგიულად იბრძოდა. ამ მხრივ იგი მიხეილ თამარაშვილის ნამდვილი წინაპარი იყო. აღნიშნული საკითხის გამო იოანე რამდენჯერმე ჩავიდა რომში და პირადად ეახლა პაპსა და კარდინალებს, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, საქმე უშედეგოდ დამთავრდა. შემდგომში მან ამ საქმის მოგვარების იმედი მიხეილ თამარაშვილზე დაამყარა.

ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო პატრი დომინიკე პაწაძე (მუღა-შაშვილი). იგი დაიბადა 1860 წელს ხიზაბავრაში. სწავლობდა ჯერ ახალციხის სამრეველო, ხოლო შემდეგ სამოქალაქო სკოლაში. კონ-სტანტინოპოლში განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა მონტო-ბანსა და რომში. იქედან დაბრუნდა თბილისში და მოღვაწეობდა ქარ-თველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. მწიგნობარი, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ჩინებული მცოდნე მოძღვარი თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი მესხ-ჯავახელ დავრდომილ ქართველ გლეხთა დაუშრეტელი თანა-მდგომი და შემწე იყო[20]. „900-იანი წლების დასაწყისში მისი ინიცი-ატივით შიდა ქართლში სოფელ სკრაში მესხეთიდან ჩამოსახლდა ქართველ კათოლიკეთა რამდენიმე ოჯახი, მას ფიქრად ჰქონდა აქეთ დასასახლებლად მოეზიდა ძირითადად მშობლიური ენადაკარგული ქართველი კათოლიკენი". მისი აზრით, მათ საბოლოო გადაგვარები-საგან ქართული გარემო იხსნიდა. ამიტომ „არაფერს იშურებდა იმი-სათვის, რომ თუნდაც თავისი თავის ხიფათში ჩაგდებით, მათთვის შეექმნა ასეთი გარემო. ბევრი იშრომა, ბევრი იბრძოლა, მაგრამ საქ-მე ბოლომდე მაინც ვერ მიიყვანა"[21].

უანგარო მამულიშვილმა 1907 წელს მშობლიურ ენაზე დააარსა კათოლიკური ყოველკვირეული პერიოდული ორგანო „ჯვარი ვაზი-სა". ეს სახელი პირველი ნიშანი იყო მართლმადიდებელ ქართველო-ბასთან თანადგომისა. ამ გაზეთის დაარსებას დიდი სიხარულით შეხ-ვდნენ კონსტანტინოპოლელი ქართველი კათოლიკენი. „მიხეილ თა-მარაშვილი გაზეთის აქტიური კორესპონდენტი იყო, სადაც იბეჭდე-ბოდა მისი როგორც ისტორიული, ისე პრობლემატური ხასიათის წე-რილები. დ. პაწაძის დაუცხრომელმა და უკომპრომისო ბრძოლამ ეროვნული ერთიანობისათვის, და ამ გზაზე მის მიერ გადადგმულმა პრაქტიკულმა ნაბიჯებმა მას მტრები გაუმრავლეს, რომელთაც იგი 1911 წელს ვერაგულად გამოასალმეს წუთისოფელს"[22].

1890 წლის 28 სექტემბერს კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა მუდამ სამშობლოზე მოფიქრალი და მამულიშვილური იდეალების მატარებელი პეტრე ხარისჭირაშვილი. მისი სიკეღილის შემდეგ კონ-სტანტინოპოლისა და მონტობანის მოძღვართა შორის ანდრია წი-ნამძღვრიშვილისა, ალფონს ხითარიშვილსა და სტეფანე გიორგაძე-ზე საქმიანი არავინ ჩანდა. ამათგან ჩვენ მოკლედ მკითხველის ყუ-

რადღებას შევაჩერებთ პეტრე ხარისჭირაშვილის ბუდეში აღზრდილ ალფონს ხითარიშვილზე.

უწარჩინებულესი ქართველი და პატრიოტი მამულიშვილი ალფონს ხითარიშვილი დაიბადა 1840 წელს ახალციხეში. აქ იგი სწავლობდა სამრევლო სკოლაში, ხოლო შემდეგ მშობლებმა სასწავლებლად გაგზავნეს ხარისჭირაშვილთან კონსტანტინოპოლში. აქ სწავლის დასრულების შემდეგ მან ჯერ რომის საშუალო, ხოლო შემდეგ უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. 1870 წელს იგი დაბრუნდა თბილისში და სარატოვის საეპისკოპოსომ მღვდლის ხარისხით შეიწყნარა[23].

ზაქარია ჭიჭინაძის დახასიათებით იგი იყო განათლებული მოძღვარი, მჭევრმეტყველებითა და კარგი ქადაგებით გამორჩეული პიროვნება. მას ყოველთვის თან სდევდა ქართველ კათოლიკეთა დიდი პატივისცემა და სიყვარული. მისი ჭეშმარიტი მამულიშვილური სახე ერთმა გარემოებამ გამოაჩინა, რომელიც მას სამშობლოს დატოვების ფასი დაუჯდა. კერძოდ, 1885 წელს თბილისს ეწვია იტალიის მეფისწული. მაღალი სტუმარი დაესწრო მარიამის ამაღლების ტაძარში წირვას, რომელიც აღასრულა ალფონს ხითარიშვილმა. ეკლესიაში სტუმარს თან ახლდა მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები და გუბერნატორი. წირვის დამთავრების შემდეგ პატრმა ალფონსმა იტალიურ ენაზე ვრცელი სიტყვით მიმართა უფლისწულს:

„რამდენადაც თქვენმა უდიდებულესობამ ისურვა და ინახულა ჩვენი პატარა საქართველოს კათოლიკური ეკლესია და მოისმინა აქ წირვა-ლოცვა, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლით მოგახსენოთ: საქართველო ჩვენი სამშობლოა, რომელიც რუსეთს დაუკავშირდა 1800 წლის შემდეგ. ჩვენ, ქართველებს გვაქვს ჩვენი ენა და ჩვენი მწიგნობრობა. ჩვენც ქართველი კათოლიკეები გახლავართ, ეს დღევანდელი გალობაც, რომლითაც შესრულებული იქნა წირვა, ქართული ვალობა გახლავთ, ჩვენი ენის გალობა, აქ საქართველოში შედგენილი. ეს ეკლესია აშენებულია ძველი, ქართველი მეფეების დროს. ჩვენ კათოლიკობას დავუკავშირდით XII საუკუნეში“. ამის შემდეგ მან უფლისწულს გააცნო საქართველოს წარსული, ქართველთა წვლილი მსოფლიო ისტორიაში[24].

აღფრთოვანებულმა იტალიის მეფისწულმა პატრ ალფონს ხითარიშვილს მხურვალე მადლობა მოახსენა საინტერესო ქადაგებისა და მშვენიერი იტალიური ენისათვის. უკმაყოფილონი მხოლოდ გუბერნა-

ტორი და რუსი მოხელეები იყვნენ. მეფის ვიზიტის დამთავრების შემდეგ თბილისის გუბერნატორმა ურჩ მოძღვარს დიდი რისხვა დ. ატეხა თავს. კავკასიის კათოლიკეთა ვიზიტატორისა და ხელისუფლების მოთხოვნით ანტისახელმწიფოებრივი ქადაგებისათვის (ე. ი. პატრიოტული), ქართულ ენაზე საღვთო სჯულის სწავლებისათვის ალფონს ხითარიშვილი აიძულეს სამშობლო დაეტოვებინა. იგი ჯერ კონსტანტინოპოლში ფერი-კვეის მონასტრის წინამძღვარი იყო, ხოლო შემდეგ გადავიდა მონტობანში, სადაც გარდაიცვალა 1909 წლის 24 მარტს.

მესხეთის კულტურულ ცხოვრებაში და საერთოდ საქართველოს კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ივანე გვარამაძეს, რომელიც ლიტერატურაში „ვინმე მესხის" ფსევდონიმითაა ცნობილი. იგი დაიბადა 1831 წლის 17 ოქტომბერს ვალეში ხელოსნის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ჯერ ვალეს სოფლის მღვდელთან, შემდეგ ახალციხის სკოლაში. შემდეგში სწავლას აგრძელებს თბილისში, ქუთაისში, ალექსანდროპოლში, სარატოვში, კონსტანტინოპოლში. იგი ერთხანს მუშაობდა თბილისში ასოთამწყობად, ყოფილა რომსა და პარიზში; იყო მრავალ ქვეყანაში და საბოლოოდ ახალციხეში დარჩა სამუშაოდ[25].

ივანე გვარამაძე განსაკუთრებით დაინტერესებულა თავისი კუთხის (სამხრეთ საქართველოს) სვე-ბედით. მან, პირველმა, გაბედულად აღიმაღლა ხმა ქართველთა გადაგვარების წინააღმდეგ და დაიწყო ბრძოლა მესხთა გვარტომობის დასაცავად. ივანემ დიდი ამაგი დასდო ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის განათლებისა და გათვითცნობიერების საქმეს. „დაუოკებელ სურვილს, რომ სამშობლოს ყველა სატკივარისათვის წამალი დაედო, მოჰყვა მისი ძალების გაფანტვა. იგი იყო პოეტი, მწერალი, დრამატურგი, არქეოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, ქართული გრამატიკის შემდგენელი, მემუსიკე, მგალობელი, ჩინებული მხატვარი, ლათინური, ფრანგული, რუსული, თურქული, იტალიური, ძველი და ახალი სომხური ენების მცოდნე და მთარგმნელი, კალიგრაფი, ასოთამწყობი, რედაქტორ-გამომცემელი და მრავალი სხვა". იგი თითქმის ყველა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთის კორესპონდენტი და ბევრი საზოგადოების წევრი იყო. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წიგნი, რომელთაგან აღსანიშნავია „ქართლის ცხოვრება" ქრისტეს დაბადებიდან

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე. „მამები და მათი შვილები", „ყვავილების კონა", „გზა ცხოვრებისა", „მიქელ გობრონის წამება" და სხვა[26]. გამოუქვეყნებელ თხზულებათაგან აღსანიშნავია ლექსიკოლოგიური ნაშრომი „ქართული ენის საუნჯე".

ივანე გვარამაძის მოღვაწეობა და შრომა ნამდვილად აღემატებოდა ერთი ადამიანის ძალებს. სწორია პროფ. შ. ლომსაძე, რომ „მას ჰქონდა რაღაც ზეადამიანური შრომის უნარი". მის მიერ შეკრებილი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა დაცულია ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში. მის ამ შრომას თავის დროზე ყურადღება მიექცეს: რ. ერისთავმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, დ. ბაქრაძემ, ს. მესხმა, ჰ. უმიკაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ და სხვებმა. ა. წერეთლის თხოვნით ზ. ჭიჭინაძემ ივანე გვარამაძის ცხოვრებისა და შემოქმედებაზე დაწერა წიგნი. იაკობ გოგებაშვილმა ვინმე მესხის მიერ მესხეთში შეკრებილი ზოგიერთი ფოლკლორული ნიმუში, როგორიცაა „თხა და ვენახი" და „საწყალი დედაბრისასა", თავის სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიტანა[27].

ქართველ კათოლიკეთა პლეადის უთვალსაჩინოესი და ყველაზე დიდი წარმომადგენელია მიხეილ თამარაშვილი. იგი დაიბადა ახალციხეში (რაბათში) 1858 წლის სექტემბერში ხელმოკლე ხელოსნის ოჯახში. ნიჭით გამორჩეული მიხეილი სასწავლებლად მიაბარეს ახალციხის იოანე ნათლისმცემლის სამრევლო სკოლაში განთქმულ მღვდელსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე გვარამაძეს. ამ უკანასკნელს, როგორც პუბლიცისტს, ისტორიკოსს, მწერალს, პოეტს, თეოლოგსა და მოძღვარს, იმ დროს რაღაც ეროვნულ-ანდამატური ძალა და შემკრებლობითი უნარი ჰქონდა. მის გარშემო თავს იყრიდა პროგრესული ქართველობა. იგი იყო ნამდვილი ეროვნული ინსტიტუტი და თავისებური სიძველეთსაცავი, რომელმაც სამუდამო დალუპვას გადაარჩინა მრავალი ისტორიული თხზულება, ქრონიკა თუ დოკუმენტი. მისი ხმა ყველა ქართველ კათოლიკეს სწვდებოდა და ყველგან დამაკანონებელ ძალას იძენდა[28]. აღნიშნულ სკოლაში მ. თამარაშვილმა ივანე გვარამაძისაგან მარტო წერა-კითხვა კი არ შეისწავლა, არამედ „ღრუბელსავით შეისვა მამულის სიყვარული და მისი თავდადების აუცილებლობა"[29].

მიხეილი 14 წლისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა. ამან მისი ცხოვრების გზა სულ სხვანაირად შეატრიალა. მან სწავლას დროე-

ბით მიანება თავი და მუშაობა დაიწყო, რათა მრავალშვილიანი ოჯახისათვის (მშობლებს სულ 10 შვილი ჰყავდათ) შემწეობა აღმოეჩინა. ივ. გვარამაძის დაჟინებული მოთხოვნით 1878 წელს 20 წლის მიხეილი სწავლის გასაგრძელებლად წავიდა კონსტანტინოპოლში პეტრე ხარისჭირაშვილის სასულიერო სასწავლებელში. სამი წლის თავდადებული მუშაობით მიხეილმა შეძლო თავისუფლად დაუფლებოდა ფრანგულსა და ლათინურ ენებს. კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობამ სამ წარჩინებულ მოსწავლესთან ერთად გადაწყვიტა, მიხეილი თავისი ხარჯებით ესპანეთში გაეგზავნა. აქ მან დაამთავრა სასულიერო სემინარია და ისევ დაბრუნდა კონსტანტინოპოლში, სადაც მღვდლად აკურთხეს. არ დასჯერდა რა ამას, სწავლას მოწყურებული მ. თამარაშვილი პეტრე ხარისჭირაშვილის ხელშეწყობით პარიზში გაგზავნეს წმიდა ლაზარეს სასწავლებელში, რომელიც 1888 წელს წარმატებით დაამთავრა. ამის შემდეგ იგი კვლავ კონსტანტინოპოლის ქართველთა ძმობაში მოიწვიეს.

იმავე წელსვე მიხეილ თამარაშვილი საქართველოში დაბრუნდა. ეს ის დრო იყო ჩვენს ქვეყანაში, როცა სამშობლოს სიყვარული ოფიციალურ წრეებში თვითმპყრობელობის ღალატად ითვლებოდა და იდევნებოდა. თბილისში ჩამოსულ მიხეილს „ფიქრად ჰქონდა სასულიერო საქმე მეცნიერული მუშაობისათვის შეეფარდებინა და საქართველოს ისტორიის შესწავლაში თავისი წვლილი შეეტანა“[30].

„თბილისში ჩამოსვლისთანავე მიხეილი ქართველ კათოლიკეთა „მიძინების ეკლესიის“ მოძღვრად იქნა განწესებული. ეკლესიაში მან თავისებური განაწესი შემოიღო. ამ განაწესით ყოველი საზოგადო წირვისა თუ ლოცვის დროს ეკლესიის კათედრიდან მრევლს ეროვნული ისტორიის პატრიოტულ ფურცლებს ახსენებდა და სიმტკიცისა და ერთიანობისაკენ მოუწოდებდა. მ. თამარაშვილის ქადაგებაზე, რომელიც ეროვნულ საკითხებზე ჩატარებულ მეცნიერულ ლექციებს უფრო ჰგავდა, მრევლმა იმატა. ქართველ კათოლიკეთა სიყვარულს საზღვარი არ ჰქონდა. მათ რწმენასა და ოცნებებს ფრთები ესხმებოდა... XIX საუკუნის 80-იან წლებში, როცა რეაქცია მძვინვარებდა და შეუბრალებლად ახშობდა ეროვნულ გრძნობების სულ მცირე გამოვლინებასაც კი, კათოლიკური ეკლესიის ამბიონიდან ამის ხმამაღალი განცხადება მართლაც გმირობა იყო“[31].

თამარაშვილის ამგვარი აზრების გატარებამ ეკლესიაში ერთგვარი განხეთქილება შეიტანა. მოწინააღმდეგეები ენერგიულად ამოქ-

მედდნენ და საკითხი ქართულ სომხური კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეთა დავაში გადაიზარდა, რაც იმით დასრულდა, რომ პრელატმა მაქსიმე ორლოვსკიმ მიხეილ თამარაშვილს თბილისსა და საქართველოში მოღვაწეობა აუკრძალა; შემდეგ კი მთავრობის განკარგულებით მ. თამარაშვილს, როგორც არაკეთილი აზრების მქონე მოძღვარს, ნაციონალისტური პროპაგანდისათვის საქართველოდან გაძევება მიუსაჯა. თამარაშვილის განდევნის შემდეგ თბილისის ქართველ კათოლიკეთა მიძინების ტაძარში პრელატმა ორლოვსკიმ შემოიღო წესი, რომ აქვე ეწირათ არაქართული ტიპიკონის მღვდლებსაც[32].

სამშობლოდან გაძევებული მიხეილი 1889 წლის ბოლოს კონსტანტინოპოლში ჩავიდა, საიდანაც იგი მომავალი წლის ზაფხულში რომს წავიდა სასულიერო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. აქ იგი ხარბად დაეწაფა სწავლას და ხსენებული აკადემია 1894 წელს წარმატებით დაამთავრა და ღვთისმეტყველებაში დოქტორის ხარისხი მიიღო. ამ დროიდან იგი ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას შეუდგა. საამისოდ მას ხელს უწყობდა სოლიდური მომზადება, მრავალი ევროპული ენების ცოდნა და საკუთარი ქვეყნის სამსახურის უდიდესი სურვილი და სიყვარული.

ამ დროს ახალციხეში გაჩაღდა მწვავე ბრძოლა კათოლიკური ტიპიკონის საკითხებზე. კათოლიკურ ეკლესიას მძიმე დრო დაუდგა მესხეთ-ჯავახეთში. სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებმა რუსი მოხელეების მხარდაჭერით 1886 წელს მიაღწიეს მთავრობის დადგენილებას, რომლის ძალითაც კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა აიკრძალა. ამან ქართველ კათოლიკეთა გულისწყრომა გამოიწვია. მართალია, ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში ქართული რიტი კონგრეგაციის მიერ შეწყნარებული არ იყო, მაგრამ ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან სავალდებულო ლოცვანის შემდეგ, მრევლთან ერთად მოძღვარიც ქართულად გალობდა ხოლმე და წირვის შემდეგ სამოციქულო სახარებას ქართულად კითხულობდა[33].

ქართველი კათოლიკე მოძღვრები ბევრს ცდილობდნენ, რომ მთავრობას გაეუქმებინა მიღებული დადგენილება. „ისინი ფიქრობდნენ როგორმე მოეხიბლათ რომი და მშობლიური ენის დამკვიდრების საკითხი გადაეჭრათ. მათ გადაწყვიტეს, 1893 წელს პაპ ლეონ XIII-თვის იუბილეს დროს, საპატიო აუდიენციაზე წარედგინათ ეს საკითხი, შედგა ვრცელი მოხსენება, რომელიც დაწერილი იყო ლექსად.

ვს ლექსი ქართულიდან თარგმნეს იტალიურად და ორ ენაზე ნაწერი მიართვეს პაპს, მაგრამ ვატიკანი ქართული რიტის დამტკიცების საქმეს აყოვნებდა. 1894 წელს პაპ ლეონის მიერ გამოცემული დეკრეტით აღმოსავლეთის კათოლიკეებს ეკრძალებოდათ ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა. ეს ნიშნავდა, რომ ძალაუნებურად ქართველი კათოლიკენი სომხურ ტიპიკონთან ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი"[34].

ამგვარად, ქართველებს დასჭირდათ იმის მტკიცება, რომ კათოლიკური ეკლესია ნამდვილად ქართულია და რომ მას თავისი ეროვნული ისტორია აქვს. ამ საკითხის დასაბუთების მწვავე აუცილებლობა გახდა იმის მთავარი მიზეზი, რომ მიხეილ თამარაშვილი შეუდგა საქართველოში კათოლიკობის გავრცელების ისტორიის შესწავლისათვის მასალების მოძიებას ვატიკანის არქივებში. აქ იგი მუშაობამ „ისტორიის მღელვარე ოკეანეში გადაისროლა, სადაც ხანდახან ნატერის თვალივით გაიელვებდნენ დოკუმენტები საქართველოს ისტორიის შესახებ, რომელთაც იგი ხარბად ეტანებოდა". პროფ. შ. ლომსაძის ხატოვანი სიტყვებით რომ ვთქვათ, „იჯდა რომში ეს მართლაც ბიბლიური იობი და ახალ-ახალი ცნობებით ამდიდრებდა თავისი შორეული ქვეყნის ისტორიას".

ამავე ხანებში კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობა მიხეილ თამარაშვილის დაჟინებით მოუწოდებდა ფერი-კვეის მონასტრისაკენ. „ისტორიული საბუთების შეკრება-მოპოვებით თავდავიწყებული მიხეილი ერთხანს უარზე იყო რომიდან დაბრუნებაზე, მაგრამ ბოლოს „ძმობამ" მაინც თავისი გაიტანა, 1894 წელს იგი კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა და იქ ფერი-კვეის ქართული სკოლის მასწავლებლად დანიშნა. მიხეილი საქმეს ენერგიულად შეუდგა და საქართველოდან მოწაფეები დაიბარა", მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო გრძნობდა, რომ მისი მოწოდება კვლევითი მუშაობა იყო, ამისათვის კონსტანტინოპოლში კი მას არც პირობები და არც საამისო დრო ჰქონდა.

1897 წელს მიხეილი რომში დაბრუნდა და კვლავ შეუდგა საკვლევაძიებო მუშაობას. წარმოუდგენლად უმძიმესი შრომის შედეგად მ. თამარაშვილმა გამოავლინა თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა ორდენის (დომინიკანელთა, ფრანციისკანელთა, იეზუიტთა, ავგუსტინელთა, თეატინელთა, ფრანჩისკანელთა) მისიონერთა რელაციები, მოხსენებები, რომის პაპთა წერილები ქართველ მესვეურებთან, ქართველ მეფეთა მიმოწერა ევ-

როპის ქვეყნების მმართველებთან, რომის პაპებთან და კარდინალებთან. XVII საუკუნის თეატინელი მისიონერების კრისტოფორო დე კასტელის მიერ საქართველოში შესრულებული ჩანახატების ალბომი, ტორე დელ გრეკოს არქივში დაცული მისიონერ ბერნარდეს მიერ XVII საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერები და მრავალი სხვა პირველხარისხოვანი დოკუმენტები. ყველაფერი ეს ერთად თავმოყრილი სახავდა არა მარტო კათოლიკური მრწამსის გავრცელების ახალ პერსპექტივებს, არამედ საქართველოს საგარეო ცხოვრების ახალ თვალსაზრისით, ახალი კუთხით დანახვისა და შესწავლის შესაძლებლობებს.

ამრიგად, მიხეილ თამარაშვილს მოღვაწეობა მოუხდა ქართული კათოლიკური ეკლესიის არსებობის მეტად მძიმე პერიოდში, როდესაც მესხეთ-ჯავახეთში ქართული ეკლესიის ეროვნული სახის წაშლა მოინდომეს სხვადასხვა ჯურის შოვინისტურმა ჯგუფებმა, მეფის რუსეთის მოხელეების მხარდაჭერით. საქმე იქამდე მივდა, რომ ქართველებს მტკიცება დასჭირდათ, ქართული კათოლიკური ეკლესია ნამდვილად ქართულია და მას თავისი ეროვნული ისტორია აქვს. ამ საკითხის დასაბუთების მწვავე აუცილებლობა გახდა ის მთავარი მიზეზი, რომ მიხეილ თამარაშვილი შეუდგა საქართველოში კათოლიკური რწმენის გავრცელების ისტორიის შესწავლისათვის მასალების მოძიებას. ამასთანავე მ. თამარაშვილი ის პირველი ქართველი მკვლევარია, რომელიც მუშაობდა საქართველოს ისტორიის მასალებზე ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში.

1902 წელს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობითა და დახმარებით გამოქვეყნდა მიხეილ თამარაშვილის პირველი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი, 1902, 844 გვ.“. ამ წიგნის გამოსვლით ქართული ისტორიოგრაფია ერთბაშად წინ წავიდა. მან გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ქართველი მეცნიერებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება. მას დიდმა ილია ჭავჭავაძემ „მეორე ქართლის ცხოვრება“ უწოდა. აშკარა იყო, რომ მ. თამარაშვილის მიერ მიკვლეული და გამოქვეყნებული მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის შესასწავლად ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავდა, რომლებიც ვერ ახსახა ოფიციალურ ქართულ მატიანეებსა და ქრონიკებში. ასეთად რჩება ეს ნაშრომი დღემდე. ამ მასალების მიკვლევით აშკარა გახდა: სანამ საქართველო სა-

ბოლოოდ რუსეთს დაუკავშირებდა თავის ბედს, ქართული სახელმწიფოს მესვეურნი ევროპასთან კონტაქტების გზებს ეძებდნენ.

1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოვიდა მიხეილ თამარაშვილის მეორე წიგნი „საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან ჩვენს დრომდე". „L'Eglise géorgienne des origines jusqu'a nos jours, Rome, 1910, 710 გვ". ამ წიგნშიც ავტორი ბევრად სცილდება სათაურით განსაზღვრულ შინაარსს. დიდძალი უცხოური და ქართული პირველწყაროების საფუძველზე მ. თამარაშვილმა შეადგინა თავისებური ისტორიული ენციკლოპედია, რომელმაც გააშუქა საქართველოს ისტორიისა და სულიერი ცხოვრების მრავალი მხარე. ამ წიგნმა გამოიწვია ევროპის მეცნიერთა დიდი დაინტერესება საქართველოს უძველესი კულტურით. ეს ჩანს იქიდანაც, რომ რაღაც ხუთიოდე თვის განმავლობაში ამ ნაშრომზე 50-ზე მეტი რეცენზია დაიწერა ევროპის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში — ფრანგული, ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ და სხვა ენებზე. წიგნს უმაღლესი შეფასება მისცეს რომის პაპმა და კარდინალებმა. ამრიგად, ევროპელთათვის ეს წიგნი იყო ახალი მეტად საინტერესო სამყაროს აღმოჩენა. ამ ნაშრომით მიხეილ თამარაშვილმა ახალი ბიძგი მისცა ქართველოლოგიის განვითარებას ევროპის ქვეყნებში და დიდი ძეგლი დაუდგა ქართველებს ევროპაში.

„საქართველოს ეკლესიის ისტორიის" გამოცემის შემდეგ მკვლევარი ფიქრობდა საქართველოს მოკლე პოლიტიკური ისტორიის დაწერას. ამ ისტორიის ერთი ნაწილი მან დაწერა კიდეც. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გამოქვეყნების შემდეგ მისი მიზანი იყო სამშობლოში ჩამოსვლა და შეგროვილი დიდძალი დოკუმენტური მასალების დალაგება და დამუშავება. სამშობლოსაკენ მოუწოდებდნენ მას ახლო ნათესავები, მეგობრები და ქართველი კათოლიკე მოძღვარნიც. მომხიბვლელად ეხატებოდათ ქართველ კათოლიკე მოძღვრებს მიხეილ თამარაშვილის, როგორც ისტორიკოსის, დოქტორის, თეოლოგის ღრმა მცოდნისა და მღვდლის სახე. 1910 წელს ქართველ კათოლიკე მოძღვართა მცირე თათბირზე გადაწყდა: ყველა ქართველი კათოლიკე გაერთიანდეს ქართული რიტის გარშემო და ეთხოვოს რომს, რათა თამარაშვილს ებოძოს ღირსება ქართველ კათოლიკეთა ეპისკოპოსისაო. თუ თამარაშვილი ეპისკოპოსად დაინიშნებოდა, მათი აზრით, ქართველ მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა გაერთიანების რეალური საფუძველიც მომზადდებოდა"[35].

თამარაშვილის საფიქრალი სხვა რამ იყო, მაგრამ მას აღსრულება არ ეწერა. 1911 წლის 2 სექტემბერს იგი დაიღუპა ადრიატიკის ზღვაში, სოფელ სანტა-მარინელასთან, როდესაც დასახრჩობად განწირული ადამიანი გადაარჩინა. ამ ამბავმა მთელს განათლებულ ქართველობას, ვინც კი იცოდა მეცნიერებისა და ჭეშმარიტი ისტორიის ფასი, გული დაწყვიტა და დაამწუხრა. დიდი მწუხარებით გამოეხმაურა მას საქართველოს თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალი. დიდ გულისტკივილს გამოხატავდა იტალიური პრესაც.

მ. თამარაშვილი დიდი პატივით დაკრძალეს სანტა-მარინელაში. იქვე, სან-ჯუზეპეს კაპელაში მიხეილ თამარაშვილს დაუდგეს მარმარილოს მემორიალი. შემდეგ მისი ნეშტი გადასვენებული იქნა ქალაქ ჩივიტა-ვეკიაში. მხოლოდ 1978 წელს მწერალ, კინორეჟისორ და საზოგადო მოღვაწის რეზო თაბუკაშვილის შეუპოვრობითა და უანგარო ჭირისუფლობით გახდა შესაძლებელი სასიქადულო მამულიშვილის ცხედარს სამუდამო განსასვენებელი მშობლიურ მიწაში ეპოვა. იგი დიდების წმიდა მიწამ მიიბარა.

მიხეილ თამარაშვილის ტრადიციების ღირსეული და თვალსაჩინო გამგრძელებელი იყო ჩვენი საამაყო მამულიშვილი და მეცნიერი მიქელ თარხნიშვილი. იგი დაიბადა 1897 წლის 12 იანვარს ახალციხეში. 1913 წელს კონსტანტინოპოლიდან საქართველოში მოვიდნენ კათოლიკე ქართველი ბერები, რათა წაეყვანათ ყმაწვილები სემინარიაში ქართული მონასტრისათვის მოსამზადებლად. 1913 წლის სექტემბერში 16 წლის მ. თარხნიშვილი, რამდენიმე ამხანაგთან ერთად კონსტანტინოპოლს გაემართა და იქ ქართულ მონასტერთან არსებულ სკოლაში დაიწყო სწავლა, სადაც ოთხი წელი დარჩა.

1913 წლის 12 თებერვალს მიქელ თარხნიშვილი, შვიდ სხვა ქართველ ჭაბუკთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნილ იქნა ბენედიქტელთა საბატონში ქ. ეტალში (გერმანია), სადაც 1919 წლის გაზაფხულამდე იმყოფებოდა. მისმა ნიჭმა, სიბეჯითემ და შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო, განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია გერმანულ ენაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიქელ თარხნიშვილი თავის თანამემამულეებთან ერთად, გერმანიიდან 1919 წლის სექტემბრისათვის სამშობლოში დაბრუნდა. იგი ერთხანს თბილისში სწავლობდა, მაგრამ მალე — 1919 წლის დეკემბერში ის კვლავ

კონსტანტინოპოლს დაბრუნდა და ამის მერე, მას სამშობლო აღარც უხილავს.

კონსტანტინოპოლში მიქელი შევიდა კაპუჩინთა კოლეჯში, რომელიც 1923 წელს დაამთავრა, ხოლო 1923 წლის სექტემბრიდან 1924 წლის ივლისამდე იგი კონსტანტინოპოლის ქართულ მონასტერში ფილოსოფიას სწავლობდა მამა პეტრე ტატალაშვილთან. 1924 წლის ოქტომბერში კი თარხნიშვილი სამ სხვა სტუდენტთან ერთად ფილოლოგიურ-თეოლოგიური ცოდნის გასაღრმავებლად ვენაში ჩავიდა. აქ მას დიდი დახმარება გაუწია გერმანული ენის შესანიშნავმა ცოდნამ. კონსტანტინოპოლში დაბრუნებაზე უარის მიღების გამო მიქელ თარხნიშვილი რომში გაგზავნეს სადაც თავდაპირველად გერმანული კოლეჯის თავისუფალ მსმენელად ირიცხებოდა, ხოლო 1930—1933 წლებში სწავლობდა რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. აქ მას 1933 წლის 7 დეკემბერს მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი შრომისათვის: „თეატინელთა სამოციქულო ღვაწლი საქართველოში XVII საუკუნეში“, რომი, 1933 (ხელნაწერი ლათინურად).

1931 წელს მღვდლად ნაკურთხი მიქელ თარხნიშვილი 1935—1943 წლებში პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწევა საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში (მიუნხენში), როგორც აქაურ ქართველთა სულიერი მოძღვარი. ამასთან სწავლობს სომხურ და სირიულ ენებს, რაც შეეხება გერმანულს, ფრანგულს, იტალიურს, რუსულს, ლათინურს, რომ არაფერი ვთქვათ ქართულზე, იგი შესანიშნავად ლაპარაკობდა და წერდა, ფლობდა აგრეთვე ბერძნულსაც.

1943 წელს მიქელ თარხნიშვილი რომში დაბრუნდა. აქ იგი 1951 წლიდან ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას შეუდგა. თარხნიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის უმთავრესი ასპარეზი იყო ქართველოლოგია, აგრეთვე ქრისტიანული აღმოსავლეთი და ბიზანტინისტიკა. „ფასდაუდებელია მისი ღვაწლი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებში დაცული უძველესი ქართული წარწერებისა და ლექციონარების გამოქვეყნება-შესწავლაში. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ პალესტინაში აღმოჩენილი უძველესი ქართული წარწერები, რომლებიც მ. თარხნიშვილმა პირველმა გაშიფრა მეცნიერულად და გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებანი“[36]. ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესანიშნავი მცოდნე ბელგიელი აკადემიკოსი ჟე-

რარ გარიტი თავის გამოსათხოვარ წერილში 1958 წელს წერდა, რომ მიქელ თარხნიშვილის გარდაცვალება დიდი, აუნაზღაურებელი დანაკლისია, რადგან იგი იყო ქართული ისტორიისა და ლიტერატურის დარგში მთელი დასავლეთისათვის შეუდარებელი მასწავლებელი, ხოლო ცნობილი ინგლისელი პროფესორი დევიდ ლენგი მიქელ თარხნიშვილის წვლილს ადარებდა მიხეილ თამარაშვილის ამაგს და დასძენდა, რომ სწორედ ამ ორი მეცნიერის დაუღალავმა მოღვაწეობამ შექმნა პირობა ევროპაში ქართული კულტურის კვლევისათვის და გააადვილა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლა[37].

1953 წლის 15 ოქტომბერს დიდი მამულიშვილი მიქელ თარხნიშვილი გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს რომის ცენტრალურ, ვატიკანში მოღვაწე უცხოელ ძმათა საერთო აკლდამაში. მიქელ თარხნიშვილის პორტრეტს მშვენივრად გვიხატავს მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად გაკეთებული ლათინური წარწერა: „კაცი რელიგიური ერთგულებით სახელგანთქმული, მორჩილებითა და ღვთისმოსაობით შემკული, მუშაობაში მუყაითი და სანიმუშო, მახვილი გონებისა და ღრმა ცოდნის პატრონი... სამშობლოსაგან ხანგრძლივი განშორების შემდეგ ბოლოსდაბოლოს ბედნიერად ბრუნდება ჭეშმარიტ სამშობლოში“[38].

ქართველ კათოლიკე მოძღვართა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია დონ დამიანე სააკაშვილს. იგი დაიბადა 1864 წელს ქ. ქუთაისში. აქვე დაამთავრა კათილოკეთა სკოლა და გიმნაზია. 18 წლისა გაემგზავრა რომში სასწავლებლად, საიდანაც რვა წლის შემდეგ სარატოვში გაგზავნეს. შემდეგ იგი გაამწესეს პერეკოპში, სადაც მან ააშენა პატარა ეკლესია. გარდა პერეკოპისა, იგი მოღვაწეობდა ბერდიანსკში, ოდესასა და ლუგანსკში.

1905 წელს დონ დამიანე სააკაშვილი დაბრუნდა შშობლიურ ქუთაისში და სათავეში ჩაუდგა კათოლიკურ ეკლესიას. მისი მზრუნველობითა და მეცადინეობით გაფართოვდა სკოლის შენობა, გადააკეთა სადგომი სახლი და შექმნა საღმრთო სჯულის შემსწავლელი ჯგუფი. დამიანე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც ასწავლიდა თეოლოგიას, ფილოსოფიასა და უცხო ენებს. ეს ენციკლოპედიური განათლების მქონე პიროვნება 1943 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა 79 წლის ასაკში. იგი დაკრძალულია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის ბაღში.

XX საუკუნის პირველ მესამედამდე კათოლიკობა ჩვენს ქვეყანაში ჩვეული გზით მიდიოდა. კავკასიის ვიზიტატორ ორლოვსკის შემ-

დეგ მაღალი საეკლესიო თანამდებობა ებარა დონ მიქელ ანტონაშვილს. მისი მმართველობის პერიოდში პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძარი, რომელიც უკვე კავკასიის კათოლიკეთა ცენტრს წარმოადგენდა, უფრო კეთილმოეწყო, წირვები ტარდებოდა ლათინურ ენაზე, მაგრამ მრევლს საშუალება ჰქონდა (მიუხედავად ოფიციალური ხელისუფლების მძაფრი პროტესტისა) ელოცა და ეგალობა ქართულად. ქართულად ტარდებოდა ქადაგებებიც. თავის ენაზე ლოცვის საშუალება ეძლეოდათ პოლონელებს, კათოლიკე გერმანელებს. გერმანელ მორწმუნეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკთა წითელ ტერორს გამოქცეულ გერმანელთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა დამოუკიდებელ საქართველოს შეაფარა თავი. გერმანელთათვის მათ მშობლიურ ენაზე ქადაგებით გამოდიოდა პატრი კონსტანტინე საფარაშვილი.

კონსტანტინე საფარაშვილი დაიბადა 1887 წელს ახალციხის მაზრაში. მან განათლება მიიღო კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში. შემდეგ იგი რომში დაეუფლა ღვთისმეტყველების სიბრძნეს. კონსტანტინე იყო ფართო ერუდიციისა და განათლების მქონე პიროვნება. მას შეეძლო ათ ენაზე ექადაგა თავისი მრევლისათვის. იგი იყო შესანიშნავი მუსიკოსი, გააჩნდა არაჩვეულებრივი რეჟისორული თვალთახედვა.

სამშობლოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით დაბრუნებული კონსტანტინე ანტიეროვნულმა ძალებმა მტრულად მიიღეს. ქართული ტიპიკონის მოწინააღმდეგეებმა იგი მეფის მთავრობასთან დააბეზღეს. განაჩენმაც არ დააყოვნა და კონსტანტინე საფარაშვილი სარატოვში გაასახლეს, მაგრამ საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა. ნანატრი დამოუკიდებლობა საშუალებას აძლევდა მგზნებარე მამულიშვილს, რომ სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ქართველ კათოლიკეებში ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებისა და ეროვნული ერთიანობის განმტკიცებისათვის ებრძოლა. ვერც ამ მიზანს ეწერა განხორციელება ბოლშევიკური რეჟიმის პოლიტიკის გამო.

1918—1921 წლებში ჩვენს ქვეყანას საუკუნეებით ნანატრი ხანმოკლე თავისუფლება ეღირსა. ამან უმალ გამოაცოცხლა ვატიკანსა და საქართველოს შორის ურთიერთობა. 1918 წლის ივლისში საქართველოს საეპისკოპოსოს წარმომადგენელი ეახლა კონსტანტინოპოლის სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელს მონსინიორ ანჯელო

მ. დოლჩის და გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული კათალიკოს კირიონ II-ის წერილი გადასცა. წერილი 1917 წლის 25 სექტემბრით იყო დათარიღებული. ამ წერილით კათალიკოსი პაპ პენედიქტ XV-ს (1914—1922) აუწყებდა თავის ხელდასხმას, შეახსენებდა ძველ მეგობრულ ურთიერთობებს ორ ეკლესიას შორის და აღუთქვამდა საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა უმცირესობის პატივისცემას. 1919 წლის 2 აგვისტოს თეთრი სამღვდელოების წარმომადგენელი ანტუან დელპუჩი გაგზავნა საქართველოში. იგი პონტიფიკატის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პირველი რექტორი იყო. იგი წლის ბოლომდე დარჩა თბილისში.

1920 წლის ივნისში იეზუიტთა ორდენის მდივანმა მამა პიეტრო ტაჩი ვენტურიმ შეარჩია საქართველოში გასაგზავნი სამი მისიონერი: მამა ჯოაკინო მოსკა, იტალიელი, წინამძღვარი; მამა ლუი ბაილი, ფრანგი; მამა ლადისლავ ტზისკიევიჩი, რუსული წარმომავლობისა. სამი მამა, რომლებსაც იეზუიტი ძმა ვიტო კოლანჯელოც შეუერთდა, 1920 წლის 19 ნოემბერს პაპმა სპეციალურ აუდიენციაზე მიიღო. 1921 წლის დამდეგს ისინი საქართველოსაკენ გამოემგზავრნენ, მაგრამ თბილისამდე არ ჩამოუღწევიათ. ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის ამბავი რომ შეიტყვეს, უკან გაბრუნდნენ[39].

საყოველთაოდ ცნობილია, „წითელი უღმერთოების" ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. 30-იან წლებში ბოლშევიკურმა მთავრობამ, როგორც მართლმადიდებლური, ისე კათოლიკური ეკლესიები დახურა. უღმერთოებმა ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ურწმუნოთა კლუბად აქციეს. კედლები გაათეთრეს, დიდებული ორღანო დაშალეს, მისი ლითონის მილები წყალგაყვანილობაში გამოიყენეს, ხის ნაწილები დაწვეს, მუხის უნიკალური მერხები დაწესებულებებს დაურიგეს. ქუთაისის, ბათუმის, გორის, ახალციხის საყდრები ჯართის საწყობებად აქციეს. მცირერიცხოვანი მრეველი რეპრესირებულ და ნაწილობრივ განადგურებული იქნა[40].

მთელ საქართველოში მოქმედებდა მხოლოდ პეტრე პავლეს კათოლიკური ეკლესია თბილისში, სადაც მხოლოდ ერთი მღვდელი იყო. იმ ძნელბედობის ჟამს მკვეთრად გაზრდილი გადასახადების დროზე შეუტანლობისათვის სამუდამოდ ართმევდნენ საეკლესიო ნაგებობებს. 1937 წლამდე პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძარს მზრუნველობას არ აკლებდა მისი სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი თუმანიშვილი — გამოჩენილი ინჟინერი, პირველი ქართვე-

ლი, რომელსაც 1934 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. თუმანიშვილის რეპრეზიერების მერე ტაძარი დახურვისაგან იხსნეს თბილისსა და მის გარეუბანში მცხოვრებმა გერმანელებმა.

როგორც ვთქვით, ვერც სამღვდელოება გადაურჩა „წითელ ტერორს". 50 წელს გადაცილებული პატრი საფარაშვილი დააპატიმრეს და სოლოვკის ბანაკში ამოაყოფინეს თავი. მართალია, ხუთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების ნებაც მისცეს, მაგრამ სასულიერო მოღვაწეობა აუკრძალეს. მძიმე დრო პატრ ემანუელ ვარდიძეს უმზადებდა პატიმრობას. შემდეგ ვითარება ცოტათი შეიცვალა და ეს უკანასკნელი 1966 წელს გარდაცვალებამდე თბილისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი იყო.

ემანუილ ვარდიძის გარდაცვალების შემდეგ კავკასიის კათოლიკური მრევლი მოძღვრის გარეშე დარჩა. მორწმუნეთა მრავალრიცხოვანი მოთხოვნების შედეგად ხელისუფლებამ ნება დართო კონსტანტინე საფარაშვილს სათავეში ჩაღგომოდა თბილისის პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძარს. მიუხედავად ხანდაზმულობისა და ავადმყოფობისა, იგი მხნედ შეუდგა თავის მისიას. მას 1967 წელს უწმიდესმა პაპმა პაველ VI-მ (1963—1978) ქართულ ენაზე დაწერილი მოციქულებრივი მისალმება გამოუგზავნა, რომელშიც ულოცავდა წინამძღვარს დაბადების მეოთხმოცე წლისთავს, ხოლო თბილისის მრევლს მათი ტაძრის 90-ე წლისთავს და ლოცავდა ქართველ ერს. 1971 წელს კი იმავე პაპმა კონსტანტინეს გულთბილად მიულოცა სასულიერო მოღვაწეობის 60 წელი. ახლანდელი წინამძღვარი იან სნეჟინსკი კონსტანტინე საფარაშვილმა ვატიკანის კურიასთან შეთანხმებით დანიშნა თავის მემკვიდრედ. იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს კათოლიკე მრევლში. მას წლების მანძილზე თავი არ დაუზოგავს, რათა არ ჩამქრალიყო კათოლიკეთა კერა საქართველოში.

ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ასაზრდოებს იტალიელი შამების გაბრიელე ბრაგანტინისა (დაიბადა 1955 წლის 17 თებერვალს — ვერონაში) და ჯუზეპე პასოტოს (დაიბადა 1954 წლის 6 ივლისს — ვერონაში) მოღვაწეობას საქართველოში. ისინი 1994 წლის 10 სექტემბერს ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ვატიკანმა ეს მამები საქართველოში გამოგზავნა ლათინური წესით ღვთისმსახურების ჩასატარებლად. მათი მოღვაწეობის უმთავრესი მიზანია მრევლში ქრისტიანული რწმენის გაღრმავება. ამ მამების

სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მათ უმოკლეს დროში საკმაოდ კარგად ისწავლეს ქართული ენა. ამჟამად ისინი ემსახურებიან ქუთაისისა და ხონის კათოლიკე ქრისტიანებს, სადაც მოსახლეობა ხსენებულ მოძღვრებს ძალზე გულთბილად შეხვდა. აქვე აღნიშვნის ღირსია პოლონელი ბერის ბერნარდინის მოღვაწეობა ადიგენის რაიონის სოფელ არალში, სადაც იგი წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე ატარებს. მამა ბერნარდინი იქვე ცხოვრობს ახალციხის რაიონის სოფელ ვალეში. ვატიკანთან ასეთი კავშირები მკვიდრ ისტორიულ ტრადიციებზე დაყრდნობით მომავალში ბევრი პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

ახალმა დრომ, რომელიც დამკვიდრდა ე. წ. „პერესტროიკის" შემდეგ ფართო შესაძლებლობა მისცა მორწმუნე საზოგადოებას. გაიხსნა და ამოქმედდა მრავალი საწყობებად თუ სხვა დანიშნულებით გამოყენებული ტაძრები და ეკლესიები. ამ მხრივ ყველა პრობლემა როდია დაძლეული კათოლიკური ეკლესიის გზაზე, მაგრამ იმედია დროის სრბოლა მასაც შთაჰბერავს ახალ სიცოცხლეს.

საქართველოს კათოლიკურ ეკლესიას საიმედო მომავალი აქვს. წინაპართა ოცნება რეალობად იქცა. დღეს თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება. მას ახლო მომავალში უთუოდ ქართველი მოძღვრები აღასრულებენ. ამის იმედს იძლევიან ის ახალგაზრდები, რომლებიც ახლა უცხოეთში არიან სასწავლებლად გაგზავნილები. ესენია: ირაკლი ნინუა, ზურაბ კაკაჩაშვილი, ვაჟა ვარდიძე და აკაკი ჭელიძე. იმედია მათი მოღვაწეობა დიდი მიხეილ თამარაშვილისა და სხვა წარჩინებულ ქართველ კათოლიკეთა კვალად ჩვენი ქვეყნის ეროვნულ საქმეს მოხმარდება.

დაბოლოს, ახალი დროის მონაპოვარია ისიც, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებობს სრულიად საქართველოს მიხეილ თამარაშვილის სახელობის კათოლიკური საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1992 წლის 12 ივნისს. საზოგადოების უპირველესი მიზანია დააახლოვოს და შეაკავშიროს სხვადასხვა რწმენისა და მრწამსის ადამიანები, გაალვივოს მაღალი შეგნება და ეროვნულ-პატრიოტული გრძნობა თითოეულ მოქალაქეში, ცხოვრებაში დაამკვიდროს საუფლო ათი მცნების პრინციპები.

საზოგადოების უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საზოგადოების გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შედიან: პრეზიდენტი, ვიცე პრეზიდენტი და გამგეობის წევრები. სრულიად საქართველოს

მიხეილ თამარაშვილის სახელობის კათოლიკური საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტია ბატონი სერგო ფეიქრიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი ქალბატონი თამარ ტატიშვილი. საზოგადოებას აქვს ხუთი ჯგუფი: 1. კათოლიკური ეკლესიებისა და განძეულობათა დაცვის ხელმძღვანელი — კათოლიკე ბატონი ნუგზარ ბარდაველიძე; 2. ეკონომიკური საკითხებისა — ხელმძღვანელი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, კათოლიკე ბატონი ვახტანგ დათაშვილი; 3. სამეურნეო საქმიანობისა — ხელმძღვანელი კათოლიკე, ინჟინერი ბატონი ზურაბ ფეიქრიშვილი; 4. საქველმოქმედო და მატერიალური დახმარების — ხელმძღვანელი, კათოლიკე ინჟინერი, ქალბატონი ციცინო ხითარიშვილი; 5. ქრისტიანული ზნეობის აღორძინებისა და საგამომცემლო საქმიანობისა — ხელმძღვანელი მამა ანრი მარტენი. საზოგადოებას აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს კათოლიკე", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1994 წლის აპრილში. იგი საზოგადოებრივ, რელიგიური, ლიტერატურული მიმართულებისაა და თავის საქმიანობას საზოგადოების პრინციპების შესაბამისად წარმართავს. გაზეთის მთავარი რედაქტორია ქალბატონი ნანა ახობაძე.

ვამთავრებთ რა საუბარს მკითხველებთან, საბოლოოდ დავსძენთ: ქართული კათოლიკური ეკლესია მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მუდამ იდგა მტკიცე ეროვნულ პოზიციებზე. ამ სულით სუნთქავს იგი დღესაც და ასევე იქნება მომავალშიც. დიდი სითბო და სიყვარული აკავშირებდათ ქართული კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის სულიერ მესვეურებს. ეს ტრადიცია გრძელდება დღესაც. ამ ორი ეკლესიის ქრისტესმიერ ძმობას უდიდესი სიკეთის მოტანა შეუძლია, როგორც საქართველოსათვის, ისე საერთოდ ქრისტიანობისათვის.

შენიშვნები I თავისათვის

§ 1. რომის პაპი — კათოლიკური ეკლესიის მეთაური

1. „Romanus Pontifex" — რომის ქურუმი.
2. მის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი ცნობილია ფრაგმენტების სახით, რომელსაც ციტირებას უკეთებდა „საეკლესიო ისტორიის მამად წოდებული კესარიის ეპისკოპოსი ევსები (გარდ. დაახლ. 340 წ).
3. მის დროს შედგა აგრეთვე ქრისტიან მარტვილთა ოფიციალური სია.
4. Ян Веруш Ковальский, Папы и папство, М., 1991, с. 9.
5. იქვე.
6. Dizionario Enciclopedico Sansoni, Firenze, 1987, p. 1431.
7. სიტყვა „კონკლავი" მომდინარეობს — „con clave"-დან და ნიშნავს გასაღებით დაკეტილ ოთახს. იგი არის კარდინალთა კოლეგია, რომელიც ირჩევს რომის პაპს.
8. Pallerberg G. The from within. London, 1961, pp. 60-62.
9. Григулевич И. Р. Папство век XX, М., 1978, сс. 64—72.
10. იქვე, გვ. 73.
11. Dizionario Enciclopedico, Op. cit., p. 1535.
12. Ян Веруш Ковальский, Папы и ..., сс. 12—13.
13. კატაკომბები — ძველ რომსა და სხვა ქალაქებში: მიწის ქვეშ გაყვანილი ან ბუნებრივად გაჩენილი ვრცელი გალერეები, კორიდორები, სადგომები, სადაც პირველ ხანებში თავს აფარებდნენ დევნილი ქრისტიანები.
14. კრიპტა — ძველი რომის კატაკომბები: სადგომი, სადაც პირველი ქრისტიანები ასრულებდნენ ღვთისმსახურებას და მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს.
15. ბულა — პაპის დოკუმენტი, განცხადება ან ეპისტოლე, რომელსაც პაპი უგზავნიდა საეკლესიო ანდა სახელმწიფო მოღვაწეებს. ბულა ფართოდ გამოიყენებოდა შუა საუკუნეებში.
16. პაპმა იოანე XII-მ (1316—1334) 1322 წელს გამოსცა ბულა „Docta sanctorum" — პირველი დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა საეკლესიო მუსიკას.
17. „ვატიკანი" — წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „ვატიცინაციო" — „წინასწარმეტყველება". „ვატეს" წინასწარმეტყველი. ვატიკანი თავის დროზე ეწოდა მდ. ტიბროსის მარჯვენა მხარეზე მდებარე ერთ-ერთ ბორცეს.
18. მისი ოფიციალური სახელწოდებაა: „ჩიტა დელ ვატიკანო" (Città del vaticano").
19. Donati D. La Città del Vaticano nella teoria generale del diritto Padova, 1930, pp. 56-58.

20. იქვე, გვ. 110—138.
21. Annus XXI, vol. XXI, 7 Iunii 1929, № 6. Acta Apostolicae Sedis. Commentarium officiale. Inter Sanctam Sedem et Italiae Reqnum Conventionemes Art. 9, p. 213.
22. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII—XVI სს.), ტ. I, თბილისი, 1984, გვ. 29.

§ 2. კათოლიკობისა და მართლმადიდებლობის წარმოშობა

1. „ო ი კ უ მ ე ნ ე“ (ბერძ.) — სიტყვა-სიტყვით „დასახლება“.
2. ს ქ ი ზ მ ა (ბერძ. Schisma) — მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიაში: განხეთქილება, ერთიანი ეკლესიიდან რაიმე ნაწილის გამოყოფა.
3. B r e h i e r L. The Grec Curch, 1923, p. 108.
4. იქვე, გვ. 111.
5. Д и л ь Ш. Основные проблемы Византийской истории, М., 1947, с. 71.
6. პ ე ლ ა გ ი ა (360—418) — ქრისტიანი ბერი. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის ნების თავისუფლებას, პიროვნების შინაგან შესაძლებლობებს ზნეობრივი სრულქმნისა და „ხსნის“ მისაღწევად. უარყოფდა ცოდვის შემკვიდრეობით ძალას. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (431 წ.) პელაგია დაგმეს და მწვალებლად გამოაცხადეს.
7. ა ვ გ უ ს ტ ი ნ ი (334—430) — ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი გაელენიანი და სახელგანთქმული მამა.
8. B r e h i e r L. Op. cit., p. 121.
9. ბ ა ს ი ლ დ ი დ ი, ბასილი კესარიელი (330—379) იყო დიდი საეკლესიო მოღვაწე, თეოლოგი, მქადაგებელი, მწერალი. სწავლობდა კესარეაში, შემდეგ კონსტანტინოპოლისა და ათენის ფილოსოფიურ სკოლებში. დაახლოებით 30 წლისამ მიიღო ქრისტიანობა და ამოგზაურა ცნობილი განდეგილების მოსანახულებლად სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში. პონტოში დაბრუნებულმა დაარსა მონასტერი. 370 წელს გახდა კესარიის ეპისკოპოსი. ამასთანავე კაპადოკიის მიტროპოლიტი და პონტოს ეგზარქოსი. ცდილობდა მოეხდინა აღმოსავლეთის ეკლესიის ძალთა კონსოლიდაცია არიანელების წინააღმდეგ. ქადაგებდა ასკეტიზმს. მხარს უჭერდა მონაზვნობას. ცდილობდა შეერიგებინა აღმოსავლეთის ეპისკოპოსები დასავლეთის ეკლესიასთან. არსებობს მოსაზრება, რომ იგი კაპადოკიელი ქართველი უნდა ყოფილიყო.
10. N o r d e n W. Das Papsttum und Byzanz, Berlin, 1903, s. 65.
11. B r e h i e r L. Op. cit., pp. 126-128.
12. მ ი ს ტ ი კ ა — (ბერძნ. — საიდუმლო), რელიგიური პრაქტიკა, რომლის მიზანია აბსოლუტთან ექსტაზის გზით უშუალო „შეერთების“ განცდა. თეოლოგიურ და ფილოსოფიურ დოქტრინათა ერთობლიობა, რომელიც არკვევს და არეგულირებს ამ პრაქტიკას.
13. N o r d e n W. Op. cit., 81.
14. მ ო ნ ო თ ე ლ ი ტ ე ბ ი გაჩნდნენ მონოფოზიტების შემდეგ და სახელწოდებაში

რელიგიურ განხეთქილებას ქმნიდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრისტეში იყო ერთი, ღვთაებრივი ნებისყოფაო. სწორედ მონოთელიტების დამხობას ისახავდა მიზნად მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის (668—685) ბრძანებით მოიწვიეს კონსტანტინოპოლში 680 წელს.

15. Ян Веруш Ковальский, Папы и ..., сс. 63—64.
16. მ. თარხნიშვილი. წერილები, თბილისი, 1984, გვ. 148.
17. Ян Веруш Ковальский, Папы и ..., с. 83
18. იქვე, გვ. 84.
19. ეს დამატება პირველად შემოღებული იქნა ესპანეთში 589 წ. არიანელების მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იმის ხაზგასასმელად, რომ ყოვლადწმიდა სამებაში მამა და ძე თანასწორნი არიან. ამის შემდეგ ეკლესია კიდევ 5 საუკუნე იყო ერთიანი.
20. ვ. ვარდიძე, რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიების გაყოფა, გაზ. — „საქართველოს კათოლიკე", 1995, № 1, გვ. 4-5.
21. Norden W. Op. cit., pp. 130-131.
22. მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 148.
23. ზ. გამსახურდია, წერილები — ესეები, თბილისი, 1991, გვ. 89.

§ 8. საქართველო-რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობა

1. მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.
2. იქვე, გვ. 61—62.
3. იქვე, გვ. 228.
4. წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული პეტრე მოციქულის ძმა იყო.
5. მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, თბილისი, 1886, გვ. 3.
6. მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.
7. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 110.
8. Tamarati M. L'Eglise georgienne des origines jusqu'a nos jurs Rome, 1910, pp. 159-198,
9. დაწვრ. იხ.: ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991, გვ. 23—24.
10. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი, 1979, გვ. 273.
11. ი. გვარამაძე, ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, თბილისი, 1882, გვ. 253; ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 58—111.
12. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი, 1968, გვ. 112—120.
13. ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 132.
14. იქვე, გვ. 130—131.
15. ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბილისი, 1979, გვ. 13.
16. სპეციალისტები ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ

სხვადასხვა თარიღებს ასახელებენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ ავტორთა დასაბუთებას, რომლებიც ამას 487/488 წელს მომხდარ ამბად მიიჩნევენ.

17. ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 195.
18. მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.
19. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979, გვ. 348.
20. სწორია ვ. გოილაძე, რომ ბრაჯი ანუ ქართული საისტორიო ტრადიციით ფრანგი, იგივე გალიელია.
21. შატბერდის კრებული, დასახ. ნაშრ., გვ. 347—348; საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურღი, 1882, გვ. 148.
22. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, თბილისი, 1953, გვ. 125.
23. 451 წელს ქალაქ ქალკიდონში მოწვეული იქნა მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო მონოფიზიტობა. განკვეთა მისი მიმდევრები და განაჩინა, აღიაროს ქრისტეში შეერთება ორთა ბუნებათა; განუყოფლად. შეერყვნელად, განუყრელად და უქცეველად.
24. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 125.
25. Ян Веруш Ковальский, Папы и ..., с. 60.
26. მ. თამარაშვილი, რომი, გაზ. — „ივერია", 1904, № 108, 8 მაისი, გვ. 2—3.
27. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VI, თბილისი, 1960, გვ. 13; შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბილისი, 1984, გვ. 106—107.
28. Ян Веруш Ковальский, Папы и ..., с. 59.
29. შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და..., გვ. 48.
30. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 26.
31. მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 148.
32. ვ. გოილაძის აზრით, იოანე გუთელი 758 წელს გუთების ეპისკოპოსად აკურთხა დასავლეთ საქართველოს პირველმა კათალიკოსმა იოანემ (ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176).
33. ზ. სხირტლაძე, ე. ჭელიძე, უპიზოდი საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, ჟურნ. — „ლიტერატურა და ხელოვნება", 1992, № 3—4, გვ. 232.
34. Annales Ecclesiastici..., t. VIII, p. 868 § II, anno 856; ი. ტაბაღუა, საქართველო უროპის არქივებსა..., ტ. I, გვ. 70.
35. მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 232; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია..., გვ. 64.
36. ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი II, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1967, გვ. 23.
37. საბინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 415.
38. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 31.
39. ქართული პროზა, წიგნი I, თბილისი, 1982, გვ. 13.
40. იქვე, გვ. 487—488.

41. იქვე, გვ. 488.
42. ქართული მწერლობა, ოცდაათ ტომად, ტ. V, თბილისი, 1988, გვ. 13.
43. იქვე.
44. ვ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 232.
45. ვ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

შენიშვნები II თავისათვის

§ 1. ქართველ-ლათინთა ურთიერთობა ჯვაროსნული ომების ხანაში

1. ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბილისი, 1968.
2. შ. ბ ა დ რ ი ძ ე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბილისი, 1984, გვ. 120.
3. C a h e n C. Orient et Occident en temps des Croisades. -O.: Aubier Montagne, Paris, 1984, p. 53.
4. დაწერ. იხ.: З а б о р о в М. Крестоносцы на Востоке, М., 1980.
5. ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989, გვ. 17.
6. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 219.
7. ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 18.
8. იქვე, გვ. 5.
9. იქვე, გვ. 17—18.
10. იქვე, გვ. 45—46.
11. შ. ბ ა დ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 121.
12. გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ნაჯვ ად-დინ ალ-ღაზი, წიგნში: — „დავით აღმაშენებელი", — თბილისი, 1980, გვ. 212.
13. ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.
14. შ. ბ ა დ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 127.
15. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 325—326.
16. იქვე, გვ. 360.
17. განმსტრობა — დაჯაშუშვა (ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, I, თბილისი, 1991, გვ. 140).
18. ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.
19. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით IV აღმაშენებელი, თბილისი, 1990, გვ. 295.
20. Поселиани П. Краткая история Грузинской церквы, изд. 2-ое, С.-Петербург, 1843, сс. 72—73.
21. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

22. ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16.
23. მ. ბადრიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 129.
24. ქართული პროზა, ტ. 2, თბილისი, 1982, გვ. 177.
25. თ. ჟორდანია, ქრონიკები, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფილისი, 1897, გვ. 522.
26. მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 38—39.
27. ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 110—111.
28. მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.
29. ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
30. დამიეტა — ქალაქი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.
31. Annales Ecclesiastici... Laucae, 1747, t. I, pp. 457-458.
32. Annales Ecclesiastici... Romae, 1646, t. XIII, p. 292.
33. Arcangelo Lamberti, Colchide Sacra, Napoli, 1657, p. 293.
34. Annales Ecclesiastici..., Romae, 1646, t. XIII, P. 293.
35. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. I, გვ. 78; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7.
36. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 79.
37. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7; ი. ტაბაღუა, დასახ., ნაშრ. გვ. 78.
38. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. I გვ. 79; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.
39. Michaud, Histoire des Croisades, Paris, 1817, t. 3, pp. 647-649.
40. ფრიდრიხ II სიცილიის მეფე 1197—1250 წწ. და გერმანიის იმპერატორი 1220—1250.
41. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ.I, გვ. 78; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7—8.
42. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 80; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.
43. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9—11; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა...., ტ. I, გვ. 80—80; Tamarati, Op. cit., pp. 417—418.
44. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 81.
45. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., 12, ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 82—83, 185.
46. ალბათ იგულისხმება კატართა ერესის წინააღმდეგ ბრძოლა.
47. ფრიდრიხ II აკრიტიკებდა სამღვდელოების წახდენილობას, სახარების პრინციპებიდან უკან დახევას, საღვთო ჭეშმარიტების გავრცელების ნაცვლად პოლიტიკით საქმიანობას. იმპერატორის პოზიციას მაშინ ევროპის ბევრმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი.
48. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 189, 190; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 15.
49. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 191; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

50. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 86—87.
51. იქვე, გვ. 87.
52. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალ-ციხური ქრონიკები), თბილისი, 1979, გვ. 8.

§ 2. კათოლიკობა და უნიის საკითხი საქართველოში XIII—XV საუკუნის პირველ ნახევარში

1. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბილისი, 1987, გვ. 16.
2. Archivio Segreto Vaticano. Registro Vaticano, vol. 17, ff. VI-VI v° G i r o l a m o G o l u b o v i c h P.O.F.M. Biblioteca Bio-Bibliografica della Terra Santa e dell'Oriente Francescane, t. II, Firenze, 1913, p.299.
3. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 88; მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ 17.
4. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.
5. G i r o l a m o G o l u b o v i c h P.O.F.M. Op. cit., pp. 299-300.
6. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.
7. იქვე, გვ. 17, T a m a r a t i, Op. cit., p. 430.
8. მ. ტაბაღუა, საქართველო-იტალიის ურთიერთობის ისტორიიდან (საქართველო-ვატიკანი) XIII—XVIII საუკუნეები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1993, გვ. 21.
9. პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თეთრებს ვუწოდებთ. — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 1942, ნაკვ.II, თბილისი, 1942, გვ. 37.
10. ამ დროს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო ნიკოლოზ II (1240—1280 წწ.).
11. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 88.
12. იქვე.
13. იქვე, გვ. 89.
14. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 17.
15. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დსახ. ნაშრ., გვ. 18.
16. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1966, გვ. 111.
17. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 90.
18. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 18.
19. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 21.
20. იქვე, გვ. 19.
21. იქვე, გვ. 20.
22. იქვე, გვ. 21.
23. იქვე, გვ. 28; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 93.
24. ლ. ტ უ ხ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, წიგნი I. — თბილისი, 1994, გვ. 274.

25. Бердзе Т. Н. Мореплавание и Морская торговля в средневековой Грузии, Тбилиси, 1989, с. 177.
26. იქვე, გვ. 97.
27. იქვე. გვ. 87; История Ирана, М., 1977, с. 151.
28. Kalcar C. H. Geschichte der romisch-katholischen mission, Erlagen, 1867, s. 3.
29. იქვე, გვ. 123.
30. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 93—94, 202; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28—29.
31. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 207.
32. იქვე, გვ. 208.
33. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 38.
34. იქვე, გვ. 31.
35. იქვე, გვ. 32.
36. Richard I. Papaute et les Missions d'Orient au Moyen Age (XIII-e - XV-e siêcles), Rome, 1977, p. 178.
37. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.
38. Richard I. Op. cit., p. 185
39. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.
40. ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ — თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 243, — თბილისი, 1983, გვ. 97.
41. Heyd W. Histoire du commerce du Levant au Moyen-Age, t. II, Leipzig, 1923, p. 396.
42. იქვე.
43. ვ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.
44. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ იგი გაუქმდა 1454 წელს, ზოგი — 1475 წელს.
45. Richard I. Op. cit., p. 128; Барадзе Т. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 102.
46. Kalkar C. H. Op. cit., p. 128.
47. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 41.
48. იქვე, გვ. 42; მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 29.
49. Girolamo Golubovich O.F.M. Op. cit., t. V. (1345-1400), Firenze, 1927, p. 155; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 24.
50. Тарле Е. В. История Италии в новое время, СПБ, 1901, с. 32—33; Ян Веруш Ковальский, Папы и ..., с. 154.
51. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 588, 17.
52. Girolamo Golubovich O.F.M. Op. cit., t. II, p. 555.
53. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.
54. მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 31.
55. იქვე.
56. ეს არ არის სრული სია. ამიტომ იგი საბოლოო არ არის. არქივებში დაუნჯებულმა წყაროებმა შეიძლება მას მომავლში სრული სინათლე მოჰფინოს. ხშირ შემთხვევაში ვერ შეეძელით ეპისკოპოსთა მოღვაწეობის ბოლო თარიღების დადგენა.
57. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35—50; მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 23—34.

§ 8. საქართველო-რომის დიპლომატიური ურთიერთობა და კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოში XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში

1. ვ. გურგენიძე, კათოლიკობა საქართველოში, ჟურ.: — „კრიტიკა", 1990. № 4, გვ. 141.
2. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.
3. იქვე, გვ. 52.
4. Авалов З. Д. Забытая вариация об одной исторической теме (из истории восточного вопроса XV столетия), Прага, 1925, с. 243.
5. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.
6. იქვე, გვ. 52.
7. იქვე, გვ. 56.
8. ზ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების ..., გვ. 32.
9. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.
10. Мамиствалишвили Е. М. Внешнеполитические взаимоотношения Грузии во второй половине XV века и в XVI веке, диссертация на соискание ученой степени доктора историч. наук. Тбилиси, 1982, с. 43.
11. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58—59.
12. ზ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 53.
13. Tardi L. Relations entre la Hongarie et la Géorgie au x XII-e XVII-e siecles.-„Bedi Kartlisa revue kartvélologie", vol. XXV, Paris, 1968, p. 115; დ. პაიკაძე, ლუდოვიკო და ბოლონია და ქართველთა ელჩობა დასავლეთ ევროპაში, ჟურნ. „მაცნე", 1983, № 4.
14. ლ. ტარდი, ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში. წიგნში.: — „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები", ტ. II. — თბილისი, 1978, გვ. 199.
15. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.
16. Epistolarum Turcicarum variorum et diversorum Auhorum, libri V, in quibus epistolae de rebus Turcicis Anno MDXCVIII, p. 58.
17. Красносельцев В. Н. Запис. миссии ..., с. 190.
18. ლ. ტარდი, ვენეციის როლი უნგრეთთან ..., გვ. 200.
19. დაწერ. იხ.: Мамиствалишвили Э. Указ. соч. сс. 50—87.
20. იქვე, გვ. 56.
21. ი. ციციაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 11.
22. ფერდინანდ II კათოლიკე (1452—1516) არაგონის მეფე. 1469 წელს დაქორწინდა კასტილიის დედოფალ იზაბელა კათოლიკეზე. ამის შემდეგ 1479 წელს გაერთიანდა არაგონისა და კასტილიის სამეფოები, რომელმაც შემდეგში გაადვილა ესპანეთის გაერთიანება.
23. Мамиствалишвили Э. Указ. соч., с. 89.
24. Archirio de la Corona de Aragon: Curia Sigilli Secreti; (ACACSS), Fs. 186 v; ე. ხინთიბიძე, ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, „ცისკარი", 1986, № 3, გვ. 150.

25. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1966, გვ. 452—453; Мамиствалишвили Э. Указ. соч., с. 89.
26. ACACSS; Fs. 186 v-187.
27. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 65—66; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 217—219.
28. შ. მ ე ს ხ ი ა, ლუარსაბ I და სიმონ I, თბილისი, 1991, გვ. 3.
29. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 70—71.
30. იქვე, გვ. 71—73; შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუა საუკუნეების ..., გვ. 28—29.
31. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 30.
32. იქვე, გვ. 31.
33. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 72; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 232.
34. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 72; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 232—233.
35. დაწვრ. იხ.: მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. — თბილისი, 1971; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, — თბილისი, 1973.
36. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. 31, თბილისი, 1954, გვ. 66.
37. Т а р л е Е. Указ. соч., с. 61.
38. Archivio General de Simancas: Seccion Estado (AGS E), 480 SF.
39. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 35.
40. Wien. Staatarchiv. Turcica. I, Fasc 12, kovn. 1556, F. 207.
41. Луис К а м о э н с, «Лузиады» (Прозаический перевод), СПБ., 1897.
42. А в а л и ш в и л и З. Из истории кавказской политики. «Кавказ» (Парижи), № 11, гв. 10; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 136.
43. Giovanni Tomaso Minadoi da Rovigo. Historia della Guerra fra Turki et Persiani, descritta in quattro libri, Roma, 1587, in Venetia, 1588, p. 130.
44. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.
45. დაწვრ. იხ.: T a r d i L. Le roi Simon I-er e la lumière des sources d'Europe Centrale contemporaines de son epoque, „Bedi Kartlisa, revue de kartvelologie", vol. XXXII, Paris, 1974.
46. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. I, გვ. 156.
47. T a r d i L. Le roi Simon I-er ..., p. 148.
48. AGS E 950 FS. 73; Krchivio del Ministerio de Asuntos Exteriores: Seccion Santa Sede (შემდეგში: AMAE ss) caja 15 Fs 200.
49. AGS E 950 FS. 73.
50. AGS E 950 FS. 158.
51. AGS E 950 FS. 158.
52. AGS E 950 FS. 82.
53. იგი იყო კარდინალი ჯულიო ანტონიო სანტორო დი კასერტა.
54. AGS E 950, FS. II.

55. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 91; ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ. — „ცისკარი", 1986, № 3, გვ. 150.
56. T a r d i L. Le roi Simon I-er..., p. 161-162.
47. ვ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76—77.
58. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის. არქივებსა ..., ტ. I, გვ. 222—227.
59. იქვე, გვ. 228—230.
60. Archivio segreto Vaticano. Armorum XLIV, vol. 42, ff. 101-103.

შენიშვნები III თავისათვის

§ 1. წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს" შექმნის ისტორიიდან

1. Histoire universelle des misions catholiques (sous la dir. de Mgr. S. Delacroix), Paris, 1957, t. 2, p. 117 (შემდეგში: HUMC).
2. T a r d i L. Le roi Simon I-er..., p. 169.
3. Sacrae Congregation de Propaganda Fide memoria rerum. 350 anni a sertirio delle missioni, 1622-1972.-Rom; Fralburg; Wien, 1972, v. I, pp. 37-38.
4. Histoire des Papes et du Vatican, 1964, t. 2, pp. 198-211.
5. იქვე, გვ. 199.
6. HUMC, t. 2, p. 115.
7. P a н к е Л. Римские папы в последния четыре столетия в двух томах, изд. второе, т. II, СПБ., 1877, с. 216.
8. HUMC, t. 2, p. 115; G. Goyau, A. Pérate, P. Fabre, Le Vatican les Papes et la Civilisation. Le Gouvernement central de l'Eglise, Paris, 1895, p. 348.
9. HUMC, t. 2, p. 116:, Kalker C.H. Op.cit., p. 3.
10. HUMC, t. 2, 120-124.
11. HUMC, t. 2, p. 116.
12. Sacrae congregations de Propaganda Fide..., Op. cit., v. I, pp. 196.
13. HUMC, t. 2, p. 117.
14. იქვე, გვ. 118.
15. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 342.
16. Storia D' Italia. Cinque volumi [in 4 piccolo riecamente illustrati, volume secondo, Torino, 1959, pp. 529-540.
17. HUMC, t. 2, p. 118; G. Goyau, A. Perate, P. Fabre, Le Vatican les Papes..., p. 368.

18. იქვე.
19. იქვე, გვ. 369., HUMC, t. 2, p. 119.
20. იქვე.
21. G. Goyau, A. Perate, P. Fabre, Le Vatican..., pp. 369-370.
22. იქვე, გვ. 370.
23. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 137.
24. HUMC, t. 2, p. 119.
25. იქვე.
26. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჯ. ვ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბილისი, 1983, გვ. 12.
27. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 195.
28. G. Goyau, A. Perate, P. Fabre, Le Vatican..., 375.
29. HUMC, t. 2, p. 118.
30. G. Goyau, A. Perate, P. Fabre, Le Vatican..., p. 35.
31. იქვე, გვ. 376.
32. პატრონატი წარმოადგენდა უფლებათა სერიას, რომელიც რომის პაპმა მარტინ V (1417—1421) უწყალობა პორტუგალიის მეფეს, როგორც რომის კათოლიკური მისიებისა და ეკლესიების პატრონებს კოლონიებში.
33. R o u s s e a u F. L'idee missionaire aux XVI-e et XVII-e siecles. Les doctrines, Les methodes, Les conceptions D'organisation, Paris, 1930, p. 135.
34. G. Goyau, A. Perate, P. Fabre, Le Vatican..., g. 378.
35. იქვე, გვ. 349—350.
36. ვ ი კ ა რ ი (ლათ. vicarius — ნაცვლის მოადგილე) — ადმინისტრაციული ორგანოს — დიოცეზის მმართველი.
37. Histoire des Papes et du Vatican..., t. 2, p, 382.
38. G. Goyau, A. Perate, P. Fabre, Le Vatican..., p. 385.
39. იქვე.
40. HUMC, t. III, p. 71. Kalkar C. H., Op. cit., s. 5.
41. HUMC. t. III, p. 71.
42. K a l k a r C. H., Op. cit., s. 5.
43. HUMC, t. III, p. 41.
44. იქვე.

§ 2. ავგუსტინელი და იეზუიტი მისიონერები საქართველოში XVII საუკუნის დასაწყისში

1. დაწერ. იხ.: ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ..., გვ. 105—119.
2. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 22.
3. იქვე, გვ. 19—20.
4. ლ უ ი ს ხ ი ლ ი ფ ე რ ნ ა ნ დ ე ს ი, ი ლ ი ა ტ ა ბ ა ღ უ ა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV—XVII სს.), მადრიდი, 1993, გვ. 405.
5. იქვე, გვ. 128; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 24.
6. G u l b e n k i a n R. L'ambessade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Peres Portugais de L'ordre de Saint-Augustin. Belchior dos Anjos et Guillerme de Santo Agostinio. 1604-1605. Lisbonne-1972, p. 27; A l o n s o C. O. S. A., Missioneros Agustinos en Georgia (siglio XVII), Valladolid, 1978, p. 33.
7. Alonso C. O. S. A. Op. cit., p. 27.
8. AGS E 2864 f. 91.
9. იქვე.
10. ALONSO C. O. S. A. Op. cit., 27; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 24; ლ უ ი ს ხ ი ლ ი ფ ე რ ნ ა ნ დ ე ს ი, ი ლ ი ა ტ ა ბ ა ღ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 128.
11. თუ რომელი წელი იყო ზუსტად ვერ დავადგინეთ. მოვლენათა ლოგიკური განვითარების მიხედვით ეს უნდა ყოფილიყო 1611 წელს ქახეთში ჯოვანი ტადეო სან ელიზეოს ჩამოსვლამდე.
12. ლ უ ი ს ხ ი ლ ი ფ ე რ ნ ა ნ დ ე ს ი, ი ლ ი ი ტ ა ბ ა ღ უ ა, დასახ., ნაშრ., გვ. 377——378.
13. იქვე, გვ. 127.
14. Relation des grandes guerres et victoires obtenues par le Roy de Perse Cha Abbas contre les empereurs de Turquie Mohamet et Achmet son fils ensuite du voyage de quelques religieux de l'ordre des Hermites de Saint-Augustin envoyees en Perse par le roy catholique Don Philippe srcond roy de Portugal par P. F. Anthoine de Govea, Rouen, 1646, p. 477.
15. Rellation della missione de Carmelitani Scalzi in Persia, vol. 209, f. 250 v; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის... ტ. 2, გვ. 20.
16. მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპ ურბან VIII-ს, 1627 წ. გაზ.: — „ივერია", 1879, № 3.
17. Rellation e della missione de Carmelitani Scalzi in Persia, vol. 209, f 250v ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის... ტ. 2, გვ. 21.
18. Archivio della Sacra Congregatione de Propaganda Fide, „Lettere", vol. 7, f. 660.
19. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველოს ევროპის არქივებსა, ..., ტ. 2, გვ. 32.

20. ლუის ხილიფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 130, 377.
21. იქვე, გვ. 378.
22. ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, — თბილისი, 1990, გვ. 49.
23. ს. როდონაია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის I ნახევარში, — თბილისი, 1961, გვ. 10; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 299.
24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ..., ტ. IV, გვ. 299.
25. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134; Tamarati M. Op. cit., p 450.
26. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134; ვინჩენცო პოჯი, იეზუიტები და საქართველო, „მაცნე" ენისა და ლიტერატურის სერია, 1991, № 2, გვ. 73.
27. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 35; ვინჩენ-ცო პოჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 71, 73.
28. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 37; მ. თამ-არაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 135; ვინჩენცო პოჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.
29. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 49.
30. იქვე, გვ. 50.
31. იქვე, გვ. 53—54.
32. იქვე. გვ. 54; ვინჩენცო პოჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 74—75.
33. Archangelo Lamberti, Op. cit., p. 43.
34. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 60—61.
35. მირი — ქალაქი მცირე აზიაში.
36. კუადიუტორი — შემწე.
37. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 61.
38. Shaw S. I. Histori of the Ottoman Empire and Modern Turkey; Volume I. Empire of the Gazis: The Rise and Decline of the Ottoman Empire, 1280-1808. Cambridge, University Press, 1985, pp. 186-189.
39. დაწერ. იხ.: ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. 2, გვ. 69—140; ი. ტაბაღუა, ქართული დიპლომატიის ისტორია, თბილისი, 1984, 18—24; რ. გულბენკიანი. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბილისი, 1987, გვ. 26—35.
40. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ... ტ. 2, გვ. 116; რ. გულ-ბენკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.
41. Archivio della SC PF, SOCG, Georgia, vol I, f. 118; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 113, 46-ე შენიშვნა; რ. გულ-ბენკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 130—131.
42. ლუის ხილიფერნანდესი, ილია მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 409—410; რ. გულბენკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 21.
43. რ. გულბენკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 55, 61-ე შენიშვნა.
44. დაწერ. იხ.: ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 130—131.
45. ALONSO C.: Misloneros agustinos en Georgia (siglo XVII) Valladolid, Estudio Agustiniano, 1978, p. 48.

46. რ. გულბენკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 12; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 133.
47. ლუის ხილი ფერნანდესი, ილია მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 481—482.
48. იქვე, გვ. 483.
49. რ. გულბენკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 17; ლუის ხილი ფერნანდესი, ილია მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 487; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 136; Arcangelo Lamberti, Op. cit., p. 67.
50. ლუის ხილი ფერნანდესი, ილია მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 484.
51. იქვე, გვ. 486.
52. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 136; რ. გულბენკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

§ 3. თეატინელი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში დიპლომატიურ, ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სარწმუნოებრივ სარბიგლზე

1. პიეტრო დელა ვალეს შესახებ იხ.: Granca G. Storia dei Viaggiatori italiani, Roma-Torino, 1873; Ciampi I. Pietro Della Valle, „Nuova Antologia", Settembre-Decembre 1879; Amat P. di Filippo, Gli illustri viaggiatori italiani Roma, 1885; Ciampi I. Della illustrata con nuovi documenti, Roma, 1880; Pennesi G, Pietro Della Valle e i suoi viaggi in Turchia, Persia e India, „Bolletino della R. Soc Geografica Italiana", Roma, 1890, vol. III, fasc. XI e XII; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. II, შენიშვნა მე-6, გვ. 201.
2. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.
3. Arcangelo Lamberti, Op. cit., p. 46.
4. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 203.
5. იქვე.
6. იქვე, გვ. 204.
7. იქვე.
8. იქვე, გვ. 205.
9. იქვე, გვ. 207.
10. Andreu Fr. C. R., Carteggio inedito di Pietro Della Valle col. P. Avitabile i Missionari teatini della Georgia „Regnum Dei Collectanea Theatina". Anno VI. Iulio Decembri, № 23-24, p. 60. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 208.

11. Ferro B. Istoria delle Missioni dei Chierici Regolari, vol. I, Roma, 1704, p. 38; Tabagua I. Note sulla Storia dei rapporti tra il papato di Roma e i re della Georgia (secoli XIII-XVII), Annali dell'Istituto Universitario Orientale, vol. 45, p. 320.
12. Archivio segreto Vaticano. Archivio Della Valle -Del Bufalo, vol. 51, p. 53; Andreu Fr. C. R, Op. cit., p. 64; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 213—217.
13. დაწერ. იხ.: გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი — ნიკიფორე ირბახი, თბილისი, 1977; ჯ. ვათეიშვილი, ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე. ქართველი დესანი ესპანეთში XVII ს-ის პირველი მესამედის დამლევს. გაზ.: — „კომუნისტი", 1983, №№ 175, 177, 178; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 141—199; ქეთევან ბაგრატიონი ორსინი (რომი), ი. ტაბაღუა (თბილისი), ქართული ელჩობა ევროპაში (ნიკიფორე ირბახი XVII ს.) — „მრავალთავი", 1983, X, გვ. 199—253; თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1990, გვ. 50—78; მანანა ტაბაღუა, საქართველო იტალიის ..., გვ. 46—99; Дж. Ватейшвили, По следам Никифора Ирбаха, — „მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნ. ისტ. სერია, 1991, № 2, 3, 4.
14. ორმუზი (ჰორმუზი) — სპარსეთის ყურეში.
15. ლუის ხილი ფერნანდესი, ილია, მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 419.
16. ლუის ხილი ფერნანდესი, ილია მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 411—413; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 232—233.
17. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 233—235; მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 219—220.
18. გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31—33; ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრ., № 175; თ. ტივაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62.
19. გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31; თ. ტივაძე, დასახ. ნაშრ., გ.ვ 65.
20. ა. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.
21. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. II, გვ. 194.
22. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1945, გვ. 306—313.
23. ა. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16—17.
24. იქვე, გვ. 26.
25. Ferro B. Op. cit., p. 96; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 89,
26. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 201—206.
27. იქვე, გვ. 97.
28. დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეშან ბიორბაძისა, თბილისი, 1977, გვ. 67.
29. იქვე, გვ. 28.

30. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 117.
31. F e r r o B. Op. cit., p. 107; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ...,ტ. III, გვ. 107.
32. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 97—99; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 198—200.
33. F e r r o B. Op. cit., p. 114; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა .., ტ. III, გ. 138.
34. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 161.
35. იქვე, გვ. 166—167.
36. იქვე, გვ. 131.
37. F e r r o B. Op. cit., p. 116; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 138.
38. Archivio Generale Teatini, „Georgia". Decreto del 30 Aprile 1631.
39. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 237—239; მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 118—119.
40. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 237—239; მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 118—119.
41. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა ..., ტ. III, გვ. 245.
42. დ ო ნ პ ი ე ტ რ ო ა ვ ი ტ ა ბ ი ლ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 68.
43. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 131.
44. ი. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965, გვ. 53.
45. დ ო ნ ჯ უ ზ ე პ ე ჯ უ დ ი ჩ ე მ ი ლ ა ნ ე ლ ი, წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან ბიორგაძემ, თბილისი, 1964, გვ. 5.
46. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 172.
47. იქვე, გვ. 151.
48. იქვე, გვ. 155.
49. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 172; დ ო ნ ჯ უ ზ ე პ ე ჯ უ დ ი ჩ ე მ ი ლ ა ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.
50. სამეგრელოში ამგვარი ტოპონიმი დღეს აღ არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, წ ი ფ უ რ ი ა არის სოფელი ზიხაზურბა, ხოლო მეორე ნაწილი მას ათავსებს ჯგალსა და მარტვილს შორის. პროფ. თ. ბერაძის აზრით, სამეგრელოში კათოლიკე-მისიონერთა რეზიდენცია სოფ. განარჯია მუხურის ერთი უბანი — წ ი ფ უ რ ო ნ ი უნდა ყოფილიყო. ჩვენც ამ აზრს ვუჭერთ მხარს.
51. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 174.
52. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორია, თბილისი, 1992, გვ. 114—115.
53. დ ო ნ ჯ უ ზ ე პ ე ჯ უ დ ი ჩ ე მ ი ლ ა ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.
54. იქვე, გვ. 117.
55. დ ო ნ კ რ ი ს ტ ო ფ ო რ ო დ ე კ ა ს ტ ე ლ ი, ცნობები და ალბომი საქართვე-

ლოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1977, გვ. 53.

56. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154; გვ. 181—182; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

57. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

58. იქვე, გვ. 184; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

59. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 179—186.

60. იქვე, გვ. 183.

61. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

62. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 190—191; მ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

63. Silos Iosepho Bituntino. Historiarum Clericorum Regolarium a Congregatione condita Par. Altera, Romae, 1655, p. 453; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

64. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, დასახ. ნაშრ., გვ. 46—47.

65. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

66. იქვე, გვ. 190.

67. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, დასახ, ნაშრ., გვ. 115.

68. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, დასახ. ნაშრ., გვ. 119—120.

69. დონ კრისტოფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

70. Kalkar C. H. Op. cit., s. 5.

71. Archangelo Lamberti, Op. cit., p. 388-389.

72. ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბილისი, 1990, გვ. 110.

73. Pietro Della Valle, Voyage de Pietro Della Valle, gentil home romain dan la Turquie, Paris, 1747, t. II, p. 403.

74. Tawarati M. Op. cit., p. 555-556.

75. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

76. Archangelo Lamberti, Op. cit., p. 331; მ. თამარაშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 194.

77. ი. ტაბაღუა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ..., გვ. 121.

78. История средних веков, М., 1964, с. 551.

79. ი. ტაბაღუა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ..., გვ. 122.

80. იქვე.

81. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

82. დონ კრისტოფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრ., გვ. 187, სურათი 325.

83. მ. ტაბაღუა, წიგნი საქართველოზე იტალიაში, კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან", I, თბილისი, 1994, გვ. 263.

84. დონ კრისტოფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრ., გვ. 99, სურათი 82.

85. ც. არდაშელია, ხამს მოყვარე, ჟურნ.: „საქართველოს ქალი", 1983, № 7, გვ. 12.

86. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 201.
87. იქვე, გვ. 197; დონ კრისტოფორო დეკასტელი, დასახ. ნაშრ., გვ. 79.
88. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 202.
89. იქვე, გვ. 205.
90. იხ.: ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975, გვ. 129—200.
91. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 209.
92. იქვე, გვ. 211.
93. ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1988, გვ. 67.
94. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 404.

შენიშვნები IV თავისათვის

§ 1. კაპუჩინელი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში დიპლომატიურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიურ სარბიელზე.

1. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 222; Tamarati, Op. cit., p. 563.
2. Heimbucker M. Orden und Kongregation, 1896, § 44.
3. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 225.
4. იქვე.
5. Peyssonel Ch. Fils de counsul de France a Smyrne. Essai sur les Troubles Actuels de Perse et de Georgie, Paris, 1754, p. 21.
6. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 226,
7. დიონიჯო კარლი, თბილისის აღწერა. იტალიური ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 29. — თბილისი, 1951, გვ. 176.
8. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 228; Tamarati, M. Op. cit., p. 564—565.
9. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 228—229.
10. იქვე, გვ. 226—227.
11. Tamarati M. Op. cit., p. 566.
12. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 231.
13. იქვე, გვ. 233—235.

14. იქვე, გვ. 236.
15. იქვე, გვ. 238—242; Tamarati M. Op. cit., pp. 569—572.
16. იქვე, გვ. 241.
17. Tamarati M. Op. cit., p. 572.
18. იქვე.
19. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 242.
20. Tamarati M. Op. cit., p. 573.
21. შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 30.
22. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 246.
23. იქვე, გვ. 247.
24. იქვე, გვ. 249.
25. თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში. — თბილისი, 1977, გვ. 149.
26. Peyssonel Ch. Op. cit., p. 39.
27. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ამონაბეჭდი „საისტორიო მამბიდან", ნაწ. II, 1925. — თბილისი, 1926, გვ. 67.
28. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 254,
29. იქვე, გვ. 254.
30. იქვე, გვ. 255.
31. იქვე, გვ. 255—256.
32. იქვე, გვ. 256.
33. თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრევის ურთიერთმიმართება, — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXIX", — თბილისი, 1990, გვ. 146.
34. Орловская Н. К. Грузинские словари Бернардо Неаполитанского — „ლიტერატურული ძიებანი", III, — თბილისი, 1972, გვ. 38.
35. თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 146.
36. იქვე.
37. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 260.
38. იქვე.
39. იქვე, გვ. 688.
40. იქვე, გვ. 264.
41. იქვე, გვ. 260, 684.
42. იქვე, გვ. 264—265.
43. Tamarati M. Op. cit., p. 573-574.
44. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 268; 691.
45. იქვე, გვ. 268.
46. დიონიჯო ქარლი, დასახ. ნაშრ., გვ. 177.
47. Иcеp О. Всеобщая история, т. III, СПБ., 1894, с. 440.
48. Enciclopedia Ittliana, T. XIX, Roma, 1951, p. 91.
49. დიონიჯო ქარლი, დასახ. ნაშრ., გვ. 176.
50. მ. ოამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 269; 693.
51. იქვე, გვ. 271.

52. იქვე, გვ. 273.
53. იქვე, გვ. 273.
54. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV—XVII სს.), ტ. 2. — თბილისი, 1965, გვ. 458.
55. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, — თბილისი, 1993, გვ. 280.
56. დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 459—460.
57. ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, № 1101, ფ. 71.
58. იქვე, გვ. 30.
59. იქვე, № 1077, ფ. 12.
60. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 274.
61. ჟ. პ. დე ტურნეფორი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.
62. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., 275.
63. იქვე, გვ. 276.
64. იქვე, გვ. 278—279.
65. ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა, ქართლის ცხოვრება II, 1854, გვ. 60.
66. იქვე, გვ. 63.
67. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 276.
68. იქვე, გვ. 237.
69. იქვე, გვ. 284.
70. იქვე.
71. იქვე, გვ. 287.
72. ბეგლარბეგი (თურქ.) — დიდი პროვინციის მმართველი.
73. ნაიბი (არაბ.) — მოსამართლე; პროვინციის მმართველის მოადგილე.
74. Allen W. E. D. A. Histori of the Georgian People from the begining down to the Russian conquest in the nineteenth century, London, 1932, p. 261.
75. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 286.
76. იქვე, გვ. 296.
77. Панахиян М. Г. О режиме капитуляций В Иране (1568—1715); Автореф. канд. дис. — М. 1962; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 297.
78. ი. ტაბაღუა, მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, — თბილისი, 1982, გვ 90.
79. საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე. ორ წიგნად აღწერილი, — ტფილისი, 1913, გვ. 19.
80. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე. — თბილისი. 1913, გვ. 106.
81. საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა ..., გვ. 19.
82. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება ..., გვ. 106.
83. Peyssonel Ch. Op. cit., p. 53.
84. Lokhart L. L. The fall of the Safavi Dynasty and the Afgan occupation of Persia. Cambridge, 1958, pp. 46-47.
85. Krusinski Th. Tragica Vertentis belli Persici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno 1728 vum. Leopoli, 1740, p. 276.

86. იქვე.
87. იქვე.
88. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი — 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო ილია ტაბაღუამ, — თბილისი, 1975, გვ. 72.
89. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 306.
90. იქვე, გვ. 307.
91. იქვე, გვ. 309.
92. Archives, Paris. „Perse", t. 6, fos (268-269; 346).
93. Krusinski Th. Op. cit., p. 276.
94. მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. — თბილისი, 1988, გვ. 36.
95. ჟ. პდე ტურნეფორი, დასახ. ნაშრ., გვ. 66—67; ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი). — თბილისი, 1972, გვ. 106.
96. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 305.
97. Krusinski Th. Op. cit., p. 266; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ..., გვ. 23.
98. Archives du Ministere des Affaires Etrangeres. Paris „Turquie", t. 45, f. 45, f. 221 v.
99. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 96.
100. ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი. — წიგნში.: „სულხან-საბა ორბელიანი 1658—1958. საიუბილეო კრებული" — თბილისი, 1959, გვ. 63.
101. HUMC, T. 2, p. 119.
102. რ. ბარამიძე, ლიტერატურული შტუდიები. — თბილისი, 1988, გვ. 47.
103. კოადიუტორი — საფრანგეთში პიროვნება, რომელიც წარმოადგენს პრელატის შემწეს და მომავალში იკავებს მის ადგილს.
104. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 201.
105. იქვე, გვ. 111.
106. სულხან ორბელიანის მამა, ვახტანგი იყო ქართლის მეფე ვახტანგ V-ის ცოლის ძმა. ვახტანგ V-ის შვილები იყვნენ: არჩილი, გიორგი (შემდეგში გიორგი XI), ლევანი, ალექსანდრე, ლუარსაბი, სოლომონი, ანუკა, თამარი: ვახტანგ VI იყო სულხან-საბას მამიდაშვილის შვილი. ფრანგულ წყაროებში სულხან-საბას უწოდებენ ვახტანგ VI-ის ბიძას, ხოლო ვახტანგს მის დისწულს.
107. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 311.
108. Tamarati M. Op. cit., p. 589.
109. გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. — თბილისი, 1949, გვ. 80.
110. მ.თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 311.
111. მ. პაპაშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII ს-ის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1992;
112. Pelesz G. Geschichte der Union der ruthenischen Kirche mit Rom, Vienna 1878-1880, vol. 2, s. 15.

113. იქვე.
114. იგი იყო მოსკოვის ყოფილი ვოევოდას ველიამინოვის შვილი, რომელიც 1568 წელს პოლონეთ-ლიტვის ჯართან ბრძოლისას გადავიდა პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ ავგუსტის მხარეზე, რისთვისაც მან მიიღო ლიტვის სამთავროში დიდი მამული. თავისი ახალი გვარი რუტსკიმ მიიღო თავისი მამულის რუტის სახელწოდებიდან, რომელიც ნოვგოროდის საევოევოდოში მდებარეობდა.
115. Szegda M. Dzialalnosc prawno-organizacyjna metropolity Iozefa IV-Welamina Rutskiego (1613-1633). Warszawa, 1967, s. 85.
116. Senyk S. Rutskys reform and Orthodox Monasticism. A comparison/ OCP, 1982, v. 42, № 2, p. 408.
117. იქვე, გვ. 409—412.
118. იქვე, გვ. 415—418.
119. Szegda M Op. cit., s. 108.
120. რ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 123.
121. მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 140—141.
122. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ..., 128—129.
123. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 315.
124. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 208.
125. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. I. — თბილისი, 1959, გვ. 161.
126. იქვე, გვ. 314.
127. ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 221.
128. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. I ..., გვ. 221.
129. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 327.
130. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 326; Tamarati M. Op. cit., p. 600—601.
131. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 329.
132. Klusinski Th. Op. cit. p. 172.
133. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 334.
134. იქვე, გვ. 340.
135. ი. ტაბაღუა, ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან). — საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 47, № 1, 1976, გვ. 244—245; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 341.
136. შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 54.
137. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 343.
138. ზ. ჭიჭინაძე, უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის უურადღებისა, გვ. 75; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 328.
139. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 346.
140. იქვე, გვ. 351.
141. იქვე, გვ. 354—355.
142. იქვე, გვ. 354.
143. მდივანბეგი — მოსამართლე, მრჩეველი, სასამართლოს წევრი.
144. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 368, 355.

145. იქვე, გვ. 352.
146. იქვე, გვ. 358—359.
147. იქვე, გვ. 52—53.
148. საქართველოს კათოლიკეთა ეპისკოპოსად ითვლებოდა ისპაჰანის ლათინთა ეპისკოპოსი.
149. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 363.
150. იქვე, გვ. 752, 364.
151. იქვე, გვ. 366.
152. იქვე, გვ. 372.
153. იქვე, გვ. 370—371.
154. ზ. გამსახურდია, დასახ. ნაშრ., გვ. 95.
155. ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, I, — თბილისი, 1994, გვ. 330.
156. იქვე.
157. ზ. ჭიჭინაძე, პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896, გვ. 24.
158. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 330.
159. ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში ..., გვ. 57.
160. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 375.
161. ზ. გამსახურდია, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
162. იქვე.
163. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 377.
164. იქვე, გვ. 380.
165. იქვე, გვ. 763, 383.
166. იქვე. გვ. 385—386; ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში ..., გვ. 51; ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 332.
167. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 387.
168. იქვე, გვ. 385.
169. იქვე.
170. იქვე, გვ. 395.
171. იქვე, გვ. 397.
172. იქვე, გვ. 396.
173. გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი, მინა ფონ ბარჰელმი ანუ ჯარისკაცის ბედნიერება, კომედია ხუთ მოქმედებად, თარგმანი წინასიტყვაობა და შენიშვნები ბ. ნადირაძის, თბილისი, 1946, გვ. 31.
174. ი. ციცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960, გვ. 85.
175. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 398.
176. იქვე, გვ. 399.
177. Osterreichisches Staatsarchiv, Wien. Ruslend II, Berichte 1783, karton 38.
178. იქვე.
179. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 400.
180. იქვე, გვ. 401.

181. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1979, გვ. 64.
182. იქვე, გვ. 65; 115—117, დოკ. № 31—35.
183. იქვე, გვ. 119, 151—152.
184. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 466—467.
185. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო საერთაშორისო არენაზე ..., გვ. 120. დოკ. № 36.
186. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 405.
187. იქვე, გვ. 408.

§ 2. კათოლიკობა სამცხე-საათაბაგოში XVIII საუკუნეში

1. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, პასუხად სომხის მწერლებს, თბილისი, 1904, გვ. 204.
2. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 164.
3. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 21.
4. იქვე, გვ. 52.
5. იქვე, გვ. 45.
6. იქვე, გვ. 46.
7. იქვე, გვ. 48.
8. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 411—412.
9. იქვე, გვ. 415.
10. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 53.
11. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, პასუხად სომხის ..., გვ. 208.
12. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 418—419.
13. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 54.
14. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 423.
15. იქვე. გვ. 346.
16. იქვე, გვ. 424—425.
17. იქვე, გვ. 430.
18. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 59.
19. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 438.
20. იქვე, გვ. 439.
21. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 60.
22. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა .... გვ. 442—444.
23. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 60.
24. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 444.
25. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 60.
26. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 451.
27. იქვე.
28. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 458; შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 61.
29. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 460.
30. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 61.

31. იქვე, გვ. 58.
32. იქვე, გვ. 57—58.
33. იქვე, გვ. 86; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 464.
34. შ. ლომსაძე, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1975, გვ. 495—496.
35. შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 61.
36. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 465.
37. იქვე, გვ 464.
38. იქვე, გვ. 467.
39. იქვე, გვ. 468.
40. იქვე, გვ. 469.
41. შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 111.
42. იქვე, გვ 113.
43. იქვე.
44. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 500.
45. შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 113.

შენიშვნები V თავისათვის

§ 1. კათოლიკობის ბედი საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

1. АКТЫ, т. VI, часть I, с. 467.
2. АКТЫ, т. I, с. 550.
3. იქვე, გვ. 551.
4. იქვე.
5. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 485.
6. იქვე, გვ. 493.
7. იქვე.
8. იქვე, გვ. 493—497.
9. АКТЫ, т. II, с. 281.
10. იქვე, გვ. 283.
11. იქვე, გვ. 282.
12. იქვე, გვ. 283.
13. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 491—492.
14. იქვე, გვ. 492.
15. შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 114.
16. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 487.
17. იქვე.
18. შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების .... გვ. 114.
19. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 487.

20. იქვე, გვ. 488.
21. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 114.
22. АКТЫ, т. II, с. 284.
23. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 501.
24. იქვე, გვ. 502.
25. იქვე, გვ. 507.
26. იქვე, გვ. 508.
27. იქვე, გვ. 514.
28. იქვე.
29. იქვე. გვ 515.
30. პ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ქუთაისის წმიდა ღვთისმშობლის კათოლიკური ეკლესია, გაზ.: — „საქართველოს კათოლიკე", 1994, № 4, გვ. 1.
31. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 513.
32. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 223.
33. იქვე, გვ. 67—68.
34. იქვე,
35. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ..., გვ. 516.
36. იქვე, გვ. 520.
37. იქვე, გვ. 524.
38. იქვე, გვ. 525; T a m a r a t i M. Op. cit., pp. 658—663.
39. АКТЫ, т. X, с. 241.

§ 2. ქართველი კათოლიკენი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში

1. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 136.
2. იქვე, გვ. 137.
3. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 66.
4. ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში, თბილისი, 1990, გვ. 46; ლ. უ რ უ შ ა ძ ე, პეტრე ხარისჭირაშვილი, გაზ.: — „საქართველოს კათოლიკე", 1994 № 3.
5. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 68.
6. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 153.
7. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 72.
8. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 166.
9. იქვე, გვ. 166—168.
10. იქვე, გვ. 155.
11. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 74.
12. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 165.
13 იქვე, გვ. 171—173.
14. ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში ..., გვ. 33.

15. იქვე, გვ. 31.
16. იქვე, გვ. 32—33.
17. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გვიანი შუასაუკუნეების ..., გვ. 84.
18. ნ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სიკეთის მოტანა შეუძლია, გაზ: — თბილისი", 1989 წლის 7 დეკემბერი.
19. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 231—232.
20. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თბილისი, 1912, გვ. 53—62.
21. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 234.
22. იქვე. გვ. 235—236.
23. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ნ, მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი .... გვ. 45—46.
24. იქვე, გვ. 48—49.
25. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მესხეთ-ჯავახეთი ..., გვ. 511; გ. ი ვ ა ნ ი ძ ე. განათლების კერები მესხეთში, თბილისი, 1985. გვ. 6.
26. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მესხეთ-ჯავახეთი ..., გვ. 511; გ. ი ვ ა ნ ი ძ ე, განათლების კერები ..., გვ. 7.
27. შ. ლ ო მ ს ა ძ ვ მესხეთ-ჯავახეთი ..., გვ. 512.
28. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 10—11; შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მესხეთ-ჯავახეთი ..., გვ. 511.
92. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი ..., გვ. 10.
30. იქვე, გვ. 14.
31. იქვე.
32. იქვე, გვ. 15.
33. იქვე, გვ. 23.
34. იქვე, გვ. 24.
35. იქვე, გვ. 233.
36. ჟ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი, ქართველოლოგიური მოღვაწეობა უცხოეთში, გაზ.: — „საქართველოს კათოლიკე", 1994, № 8.
37. გ. შ ა რ ა ძ ე, მიქელ თარხნიშვილი, გაზ.: — „სახალხო განათლება", 1990 წლის 3 იანვარი.
38. იქვე.
39. ვ ი ნ ჩ ე ნ ც ო პ ო ჯ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 80—81.
40. პ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, პატრი ემანუილ ვარდიძე, გაზ.: — „საქართველოს კათოლიკე", 1995, № 2.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. საქართველო-რომის ხარწმუნოებრივი ურთიერთობა ეკლესიათა გათიშვამდე

§ 1. რომის პაპი — კათოლიკური ეკლესიის მეთაური 10

§ 2. კათოლიკობისა და მართლმადიდებლობის წარმოშობა . . . 29

§ 3. საქართველო-რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობა . . . 54

თავი II. პაპობის დიპლომატიური და საეკლესიო ურთიერთობა საქართველოსთან XII—XVI საუკუნეებში

§ 1. ქართველ ლათინთა ურთიერთობა ჯვაროსნული ომების ხანაში . 70

§ 2. კათოლიკობა და უნიის საკითხი საქართველოში XIII—XV საუკუნის პირველ ნახევარში 83

§ 3. საქართველო რომის დიპლომატიური ურთიერთობა და კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოში XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში 100

თავი III. წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე" და თეატინელთა მისია საქართველოში XVII საუკუნეში

§ 1. წმიდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს" შექმნის ისტორიიდან 126

§ 2. ავგუსტინელი და იეზუიტი მისიონერები საქართველოში XVII საუკუნის დასაწყისში 142

§ 3. თეატინელი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში დიპლომატიურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკურ და სარწმუნოებრივ სარბიელზე 156

თავი IV. კაპუჩინი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში XVII—XVIII საუკუნეებში

§ 1. კაპუჩინი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში დიპლომატიურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სარწმუნოებრივ სარბიელზე 199

§ 2. კათოლიკობა სამცხე-საათაბაგოში XVIII საუკუნეში . . . 281

თავი V. კათოლიკობის გზა საქართველოში XIX—XX საუკუნეებში

§ 1. კათოლიკობის ბედი საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში 299

§ 2. ქართველი კათოლიკენი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში 314

შენიშვნები 340

6ę